



K180 418
3

ა. გენდერინიშვილი

ეროვნული
საკითხები
საქართველოში
1801-1921

«გევნერება»
1980

საქართველოს სსრ მიცნობრივათა აკადემია

აკად. ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
მთელი რაზის ინსტიტუტი



ა. გელიანიშვილი

ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 ღვ.



შავოვალოვანი „მიცნობრივა“

თაბილიშვილი

1980



ნაშრომში გაშექმდულია ქართველი ხასახის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო მიმღები მიმღების აღდგენისათვის XIX ს. დამდგენიდან 1921 წლამდე. პირველწარების საფუძველზეა შესწავლილი XIX ს. პირველი ოცნებულის სახალხო აჯანყებათ ხასახით, ოცნებით დათორმეტანელთა ფარული ორგანიზაციის მიზანი, თერგდალეულთა ეროვნული პროგრამა, „საქართველოს თავისუფლების ღია საქმიანობა, სოციალ-ფინანსურისტების ბრძოლა საქართველოს ეკონომიკისათვის, ქართველ მემკერდთა ეროვნული კონცეფციების ევოლუცია, ბოლშევიკების ეროვნული პროგრამის არსი, საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევისა და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის.

ՀԵՇԱՔՑՈՒԹԻՒՆ ՑՐ. ՑԱՀ ՑՈՅՆ

δ $\frac{10604}{M\ 607(06)-80}$ 179-80

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980



შ 0 ს ა ვ ა ლ ი

ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოებრივის 20 საუკუნეზე მეტი წელის ისტორიია აქვს. ეს ოცი საუკუნე ქვეყნის მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესი როდია. იგი ამავე დროს არის ქართველთა სახალხო-გამათავისუფლებელი ომების ისტორიაც. სპარსელი, რომაელი, ბიზანტიელი, არაბი, მონღოლი, თურქი და სხვა დამპყრობებები ხშირად ახტებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას, ქვეყნის შეტ-ნაკლები ხნით დამორჩილებას, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი არასდროს არ შერიცებია უცხოელთა ბატონობას, ყოველთვის თავდადებით იბრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

XIX ს. დამდეგს ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. რუსეთის მძღვრმა სახელმწიფომ თით წლის განმავლობაში თანდათან შეიტანა საქართველოს სამეცნ-სამთავროები. რუსული იარაღით დაცულ ჩემის ქვეყანაში შეწყდა ირანელი და თურქი დამპყრობების თარეში, ხალხმა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მოიპოვა, განვითარების ახალ გზაზე გამოეიდა. მაგრამ რუსეთთან საქართველოს შეიტების ამ პროგრესულ შედეგთან ერთად მაღლ თავი იჩინა უარყოფითმა ფაქტორებმაც. ქართველი ხალხი ვერ შეურიცდა ბიუროკრატ მოხელეთა თვითნებობა-ბოროტ-მოქმედებას, კარიზმის რეაქციულ პოლიტიკას და ხმა აიმაღლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ცარიზმის პოლიტიკამ შექმნა ქართველი ხალხის სულიერი გადავარების საფრთხე, რასაც პატრიოტებმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებით უპასუხეს. XIX ს. პირველი ოცნებულის ანტირევილი აგანყებები, 1832 წლის, შეთქმულება, თერგდალეულთა მოვაწეობა, „თავისუფლების ლიგას“ საქმიანობა, ავტონომისტთა პროპაგანდა, პროლეტარიატის გამოსვლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზ-

ზე—ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება—გვ—
ფართოების ეტაპებია.

უცხოელ დაშპყრობთა წინააღმდეგ ნებისმიერი ხალხის ბრძოლების
უკავებელი პირობებში ბუნებრივი და სამართლიანი მოძრაობაა,
მაგრამ კაცობრიობის პროგრესული განვითარების შესაბამისად იც-
ვლება ამ მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი. ფეოდა-
ლიზმის ხანაში სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითა-
დი მიზანია უცხოელ დაშპყრობელთაგან ქვეყნის განთავისუფლე-
ბა. ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პე-
რიოდში, როცა მთავრდება ერების ჩამოყალიბების ხანგრძლივი
პროცესი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკურ-
თან ერთად იძენს სოციალურ შინაარსსაც. ეროვნული რევოლუ-
ცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთი ნაირ-
სახეობა ხდება, იგი წარიმართება როგორც გარეშე დამპყრობი ძა-
ლის, ისე ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ბა-
ტონებმობისა და მისი ნაშთების მოსპობას, დემოკრატიული წყო-
ბილების დამყარებას.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა
XIX—XX სს. ფართო პრობლემაა. მის დამუშავებაში მონაწილე-
ობენ მეცნიერ-მკელევართა მთელი თაობები. საკითხის შესწავლა
რევოლუციამდე დაიწყო, განსაკუთრებული ინტენსიონით გაგრძე-
ლდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ
და დღესაც არ დამთავრებულა.

დღემდე პრობლემის გარშემო გამოქვეყნებულ სამეცნიერო
ლიტერატურაში განსაკუთრებით დეტალურადაა შესწავლის
თერგდალეულების ბრძოლა ქართული ენის, კულტურისა და და-
დებითი ტრადიციების დაცვისათვის. მართალია, თითქმის ყველა
ალიარებს, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი
მოძრაობა პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა, მაგრამ ბრძოლა ქარ-
თული სახელმწიფო ეროვნული იდეალებისათვის აქამდე არ გამხდა-
რა დეტალური, მეცნიერული კვლევის საგანი, რადგან მისწრაფება
საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ რატომლაც
ცუდი ტონის მაჩვენებლად იყო გამოცხადებული.

მკელევართა ერთი ნაწილი თერგდალეულებს, რომელიც სვა-
მდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმ-
წიფოს აღდგენის საკითხს, სეპარატისტებსა და ნაციონალისტებს
უწოდებს. ზოგი მეცნიერი კი ცდება ეროვნულ-გამათავისუფლებელი
მოძრაობის სოციალური ბაზისა და ხასიათის გაფეხადებული.

რით, დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლა არსებითად წარ-
მოადგენდა ბურჟუაზიის ნაციონალურ მოძრაობას—ნაციონალიზმის
რომელსაც არ შეეძლო ხალხისათვეს მიეცა თავისუფლება. ისინი
თერგდალებულებს აცხადებენ „ბურჟუაზიის ნაციონალური საკით-
ხის იდეოლოგებად“.

XIX ს. 50—60-იანი წლების საქართველოში მესამე წოდები-
დან ბურჟუაზიული კლასის გამოყოფა მხოლოდ იწყებოდა. მარტო
ფორმირების პროცესში მყოფ ბურჟუაზიის, რა თქმა უნდა, არ შე-
ეძლო ეროვნული თაესუფლებისათვის ბრძოლა. ამიტომ XIX ს.
მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის ბურ-
ჟუაზიულ მოძრაობამდე დაყვანა შეცდომაა. ზოგიერთ მკელევარს
ავიწყდება, რომ კოლონიურ ქვეყნებში საერთოდ და საქართველო-
ში კერძოდ ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის ძირითადი
ძალა იყო გლეხობა, თუმცა მასში მეტ-ნაკლები აქტიონით მონაწი-
ლეობნენ სხვა სოციალური ფენებიც.

ამ ფაქტიურმა კითარებამ ასახვა პოვა კომუნისტური ინტერ-
ნაციონალის დოკუმენტებში. 1920 წელს კომინტერნის მეორე კონ-
გრესში ე. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ ვდაობდით იმაზე, პრინციპუ-
ლი და თეორიული სწორი იქნებოდა თუ არა იმის განცხადება,
რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და კომუნისტურმა პარტი-
ებმა მხარი უნდა დაუჭირონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრა-
ობას ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ დისკუსიის შემდეგ ჩვენ მივეღით
იმ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე, რომ ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიული მოძრაობის ნაცვლად ვილაპარაკოთ ნაციონალურ რე-
ვოლუციურ მოძრაობაზე. არაეთიარი ეჭვი არაა, რომ ყოველი ნა-
ციონალური მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიული იყოს, ვინაიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის
მთავარი მნია შედგება გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიულ-
კაპიტალისტური ურთიერთობის წარმომადგენელია“¹.

ამგვარად, საქართველოს ეროვნულ-გამათვისუფლებელი მო-
ძრაობის ძირითადი ძალა იყო გლეხობა. ამ ბრძოლაში მეტ-ნაკლე-
ბი აქტიონით მონაწილეობდა ბურჟუაზია და თავადაზნაურობა. უფრო
მოგვიანებით გამომედავნდა ეროვნულ-გამათვისუფლებე-
ლი მოძრაობის წამყვან ძალად პროლეტარიატის გადაქცევის ტენ-
დენცია. ჩვენი აზრით, ცდებიან ის აეტორები, რომელიც თერგ-
დალებულთა სურვილს—ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაებათ

¹ ვ. ღ ლ გ ნ ი ნ ი . თხ . , ტ . 31 , გ . 287 .

თავადაზნაურობა, უტოპიურს უწოდებენ. თუ პოლონეთის უწოდებენ
აზნაურობა ახერხებდა ყოფილიყო პატრიოტულად და რევოლუ-
ციურად განწყობილი (ვ. ი. ლენინი), რატომ უნდა ყოფილიყო
ამ უნარს მოკლებული ქართველი თავადაზნაურობა? ჩვენ მივაჩი-
ნია, რომ კონსერვატიული შეხედულებების მიუხედავად, ქართვე-
ლი თავადაზნაურობის საკმაო ნაწილი პატრიოტულ რჩებოდა და
ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მისი ჩაბმა სავსებით
შესაძლებელი და, შეიძლება ითქვას, უკვე ფაქტი იყო. ამდენად,
თერგდალეულები იყვნენ არა „ბურუუაზის“ ეროვნული საკრთხის“
იდეოლოგები, არამედ მთელი ქართველი ხალხის, საქართველოს
ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები და
იდეოლოგები.

ქ. მარქსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ საკითხს.
აკრიტიკებდა ყველა მათ, ვინც ერთს ცნებას მოქალებულად აც-
ხადებდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას გვულებელ-
ყოფდა. ინგლისის წინააღმდეგ ირლანდიელთა ეროვნულ მოძრაო-
ბისთან დაყავშირებით მარქსი წერდა: — „უბედურებაა ხალხისათ-
თვის, თუ მან სხვა ხალხი დამონა, რეაქციას ინგლისში ირლან-
დის დამონება განამტკიცებს და ასაზრდოებს, ინგლისის მუშათა
კლასის განთავისუფლების წინაპირობა ინგლისის ბატონობისაგან
ირლანდიის განთავისუფლება არის“. მარქსი ურჩევდა ინგლისელ
მუშებს მხარი დაეჭირათ ირლანდიის გამოყოფისათვის, ბო-
ლომდე მიეყვანათ იგი თავისივე თავისუფლებისათვის. „ირლანდი-
რისა და ინგლისის პროლეტარიატს, —წერს ლენინი.—მარქსის პოლი-
ტიკა რომ არ მიეღოთ და თავიანთ ლოზუნგებად ირლანდიის გამო-
ყოფა არ წამოყენებიათ, მათი მხრით ეს იქნებოდა უბოროტესი
ოპორტუნიზმი, დემოკრატიისა და სოციალისტის ამოცანების დავი-
წყება, ინგლისური რეაქციისა და ბურუუაზისადმი დათმობა“².

სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი შეცდომებს უშვებდა
ეროვნულ საკითხში. როზა ლუქსემბურგი, მაგალითად, წინააღმდე-
გი იყო პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის პუნქტის შეტანისა, რა-
დგან მისი განცხადებით ერთა თვითგამორკვევის უფლების აღია-
რება ჩაგრულ ერთა ბურუუაზიული ნაციონალიზმის მხარდაჭერას
უდრის. როზა ლუქსემბურგის საპასუხოდ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ
საკითხის ასე დასმა „ნიშნავს ნაციონალიზმის საკითხში გაღმა
შედავებას, ვინაიდან უფრთხის რა ჩაგრულ ერთა ბურუუაზის ნა-

² ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 20, გვ. 541, 543-544.

ციონალიზმს, როზა ლუქსემბურგი ნამდვილად გამოდის ველიკო ტანკებისთვის შავრაზმული ნაციონალიზმის ხელშემწყობად³.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი—ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვივება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე—ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება, ეროვნული ზღუდეების დამსხერევა, ეკონომიკური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვა ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა“. ვ. ი. ლენინი იმასაც აღნიშნავს, რომ ორივე ეს ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი სქარბობს ამ ფორმაციის დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ სახოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. „ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქესისტების ნაციონალური პროგრამა: იგი, ჯერ-ერთი, ეცავს ერთა და ენათა თანასწორუფლებიანობას ...და მეორეც, ინტერნაციონალიზმის პრინციპს“⁴... რომ პროლეტარიატი ას დაავადდეს ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

მთელ მსოფლიოში ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვების ეპოქა ეროვნულ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. „კაპიტალიზმს სჭირდება, — წერდა ლენინი, — ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერისი სავაჭრო ბრუნვისა. ...ამიტომ ასეთ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომლებიც ყველაზე უკეთ აქმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას. ...მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის ტიპიურ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“⁵. ვ. ი. ლენინს მოჰყავს იმის მაგალითები, რომ კაპიტალიზმის განვითარების უკეთესი პირობები ეროვნულ სახელმწიფოებში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და სხვ.) შეიქმნა. მრავალეროვნული სახელმწიფოები (რუსეთი, ავსტ-

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 507.

⁴ იქვე, გვ. 14.

⁵ იქვე, გვ. 483.

რია-უნგრეთი, ჩინეთი და სხვ.) კი ამ მხრივ მნიშვნელოვნაში ჩიტილება
რჩებოდნენონ.

ვ. ი. ლენინი შემდეგ აღნიშნავს, რომ დიდ ხახელმწიფოებში ი
უფრო ადვილად წყდება ექონომიკური პროგრესის ამოცანები და
ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის
ამოცანები. მაგრამ ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ დიდ სა-
ხელმწიფოებში გაერთიანებული ერების ნებაყოფლობითი კავში-
რით. „ყველგან, სადაც კი ძალ და ტანებით კავშირს ვხე-
დავთ ერებს შორის, ჩვენ, თუმცა სრულიადაც არ ვქიდაგებთ თვი-
თეული ერის აუცილებლად გამოყოფას, მაინც უეჭველად და
გადაჭრით ვიცავთ თვითეული ერის უფლებას პოლიტიკურად თვით-
გამოერკვევს, ე. ი. გამოიყოს. ასეთი უფლების დაცვა, ქადაგე-
ბა, აღიარება ნიშნავს ერთა თანასწორუფლებიანობის დაცვას, ნიშ-
ნავს ძალ და ტანებითი კავშირის არცნობას”⁷.

ზოგიერთი „მემარტენე“ სოციალ-დემოკრატი, როგორც აღვ-
ნიშნეთ, ეწინააღმდეგებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების
აღიარებას იმ მოტივით, რომ ეს გააღვივებს დაჩაგრული ხალხების
ეროვნულ მოძრაობას, რაც მშრომელი მასების სოციალური ბრძო-
ლის ინტერნაციონალურ ერთიანობას ვნებას მიაყენებსო. ამ ყიი-
დის სოციალისტებს ავიწყდებოდათ, რომ ეროვნულ-გამათავისუფ-
ლებელი მოძრაობა საერთო დემოკრატიული მოძრაობის, პროლე-
ტარიატის გამათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი
უკო და ორივე ერთად ქმნიდა ქვეყანაში რევოლუციურ სიტუაციას.
ასეთ როლს ასრულებდა დიდ ბრიტანეთში ირლანდიელთა ეროვ-
ნული მოძრაობა, ავსტრიაში — სლავებისა და მადიარების, ხოლო
რუსეთში პოლონელების და სხვა დაჩაგრული ხალხების ეროვნულ-
გამათავისუფლებელი მოძრაობა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ XIX ს.
50—60-იან წლებში „რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი
მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავიდაზნაურობის მა-
საც. ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციე-
ბი ისე ძლიერი და ღრმა იყო, რომ სამშობლოში დამარტების შემ-
დეგ პოლონეთის საუკეთესო შვილები ყველგან და ყოველთვის
მხარს უჭერდნენ რევოლუციურ კლასებს... მაშინ დემოკრატიის
სრული გამარჯვება ევროპაში მართლაც შეუძლებელი იყო პოლო-
ნეთის აღუდგენლად. მაშინ პოლონეთი მართლაც ცივილიზაციის

⁶ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ, 20. გვ. 485—487.

⁷ იქვე, გვ. 265—266.

ბურჯი იყო ცარიზმის წინააღმდეგ, პოლონეთი იყო დემოკრატიული მოწინავე რაზმი. ახლა პოლონეთის გაბატონებული კლასები, ვერ-ვანისა და ავსტრიის შლიახტა, რუსეთის მრეწველი და ფინანსის-ტი ბობოლები გამოდიან მმართველი კლასების მომხრებად პოლონეთის მხავრელ ქვეყანაში, ხოლო პოლონელი პროლეტარიატის გვერდით, რომელმაც გმირულად გადმოიღო ძეველი რევოლუციური პოლონეთის დიდი ტრადიციები, თავის განთავისუფლებისათვის იბრძვის გერმანელი და რუსი პროლეტარიატი⁸. ამდენად, პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი დაუკავშირდა საერთაშორისო პროლეტარიატის გამათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ ასეთი ვითარება, ლენინის განცხადებით, სულაც არ გამორჩებადა იმას, რომ პოლონეთის პროლეტარიატს თავის ლოზუნგად წამოეყენებინა პოლონეთის თავისუფალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკას შექმნა⁹.

ვ. ი. ლენინი ერთა თვითგამორკვევის პრინციპთან მიმართებაში გამოყოფდა ქვეყნების სამ ჯგუფს: 1) დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნები და აშშ. აქ საერთო დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის წარმატება მოიხსოვდა კოლონიების განთავისუფლებას. 2) რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბალკანეთი. ამ ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები ბოლომდე ვერ განხორციელდებოდა, თუ დაცული არ იქნებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლება. 3) ნახევრად კოლონიური და კოლონიური ქვეყნები. სოციალისტებს მხარი უნდა დაეჭირათ ამ ქვეყნების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რადგან ეს პასუხობდა როგორც ამ ქვეყნების ხალხთა, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის გამათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთში ჩაგრული ერები უმრავლესობას შეადგენენ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის წარმატება დიდად იქნება დამოუკიდებული ამ ჩაგრული ერების პოზიციაზე. ამიტომ „ცარიზმის მიერ დაჩაგრული ერების რუსეთისაგან თავისუფლად გამოყოფის უფლების აღიარება უკველად სავალდებულო სოციალ-დემოკრატებისათვის, მათი დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების გულისათვის“¹⁰.

⁸ ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 6, გვ. 569—570.

⁹ იქვე, გვ. 572.

¹⁰ იქვე, თხ., ტ. 22, გვ. 183—188.



ამგვარად, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, სრული ლური და ეროვნული მოძრაობანი ერთმანეთს კი ო ასუსტებენ, არამედ აძლიერებენ. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ერწყმოდა საერთო დემოკრატიულ ბრძოლას და ორივე ერთად ქმნიდა რევოლუციურ სიტუაციას, საერთო ნაციონალურ კრიზისს, აადვილებდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობას. ამდენად, ქართველი პატრიოტების ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ცარისტული რუსეთისაგან გამოყოფისათვის საესებით ბუნებრივი, სამართლიანი და პროგრესული მოვლენა იყო. მაგრამ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ანგარიშს უწევდნენ არახელსაყრელ საერთაშორისო და რუსეთის შინაპოლიტიკურ პირობებს და ხალხს დაუყოვნებლივი აჯანყებისაუენ არ მოუწოდებდნენ. ისინი კმაყოფილდებოდნენ ავტონომიის მოთხოვნით, ავტონომიური საქართველო მიაჩნდათ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საფუძვლად და პირველსახედ.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის საეთხები კი ჯერ არაა შესწავლილი სათანადო სილრმე-სისრულით. ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ამ ხარვეზის შევსებას.

პირველი თავი

რუსთან გივარ საქართველოს შემორჩენის შემდეგი დართველი
 სახორციალოების გრძოლა ეროვნული სახელმწიფოს
 შენარჩუნებისათვის XIX ს. პირველ ათწლეულში

1. დართვა-კანონის შესვლა რუსთან იმპერიის შემაღლებლისათვის
 ანტისიზისული ავანამდები და ძართვული სახელმწიფოსარიცხვის
 აღდგინის საკითხი

მუსლიმანური სამყაროს მტრულ გარემოცვაში მოქმედულმა
 ქართველმა ხალხმა, რომელიც თავდადებით იბრძოდა თავის სა-
 ხელმწიფოებრიობის და ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, ად-
 რევე შეამსინა რუსეთის მზარდი ძლიერება და იმედი მიეცა, რომ
 დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში ერთმორწმუნე ჩრდილო-
 ელი მეზობელი დახმარებას გაუწევდა.

ქართველი ხალხის ეს ჩრდილი მარტო იმ ვარაუდზე არ აოფი-
 ლა დამყარებული, რომ რუსეთი ქრისტიანული ქვეყანა იყო და მის
 ვალს შეადგენდა ქრისტიანული საქართველოს დახმარება. ქართ-
 ველმა პოლიტიკოსებმა სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია,
 მიხედვენ, რომ რუსეთის ინტერესები კავკასია-წინა აზიაში სა-
 ქართველოს ინტერესებს ემთხვეოდა და ორივე მათგანისათვის სა-
 სარგებლო იქნებოდა, თუ ისინი გაერთიანდებოდნენ სპარსეთ-
 ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველ პოლიტიკოსთა ეს ჩანაფიქრი პერსპექტივაში სწო-
 რი იყო. მაგრამ მათი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ გადა-
 ვინახებით შეაფასეს რუსეთის ძალა და მისგან ხსნას ჭერ კიდევ
 XVI—XVII სს-ში ელოდნენ, როცა იმ სახელმწიფოს ამის შესა-
 ძლებლობა არ გააჩნდა.

რუსეთის ცარიში კარგად გრძნობდა თავისი ძალების უკმა-
 რობას და ირან-თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირებს
 ეძებდა. რუსი პოლიტიკოსები ქართველ მეფე-მთავრებს გაერთი-

ანებისა და შეერთებული ძალით უჩქმუნოთა წინააღმდეგ ეპიკურუსულისაკენ მოუწოდებდნენ. ქართველებს მუსლიმანური გარემონცემა წინააღმდეგ ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გმირული ტრადიცია ჰქონდათ. ამიტომ რუსეთისაგან მათ სურდათ არა ბრძოლისაკენ მოწოდება, არამედ რეალური დახმარება. მაგრამ რუსეთის დამარება საქართველოსადმი დიდხანს მხოლოდ მორალური იყო.

დრო გადიოდა. რუსეთი თანდათან ძლიერდებოდა, ხოლო მისი მოწინააღმდეგები — ოსმალეთი და ირანი თანდათან სუსტდებოდნენ. კავკასიის სამხედრო ხაზი, შეუჩერებლად, მთელი ფრონტით ეშვებოდა სამხრეთისაკენ და XVIII ს. 60-იან წლებში კავკასიის ქედს მოებჯინა. რუსეთი საქართველოს თითქმის უშუალო მეზობელი გახდა. ქართველი ხალხის ჩრდენა ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლისადმი კიდევ უფრო გაიზარდა.

XVIII ს. 80-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფის წინაშე რუსეთის მფარველობის მოპოვების საკითხი მეტად ქეტიურად დაისვა. ერეკლე მეფემ თავისი მდიდარი გამოცდილებით იცოდა, რომ საფრთხე სამხრეთიდან კვლავ არსებობდა. ამიერკავკასიია იყო რუსეთისა და ირან-თურქეთის შეჯახებათა ასპარეზი, ნეიტრალურ ზონად მოწინააღმდეგენი მას არ დატოვებდნენ. საქართველოს არჩევანი უნდა მოეხდინა. იგი ერთ-ერთ მათგანს უნდა დაკავშირებოდა. ერეკლეს ღრმა ჩრდენით, საქართველოს მომავალი ერთმორწმუნე რუსეთთან იყო დაკავშირებული, რომ შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ რუსეთს შეეძლო ეხსნა. ქვეყანა სპარსეთ-ოსმალეთისაგან და გზა გაეხსნა მისთვის უკეთესი მომავლისაკენ.

მეფის რუსეთს ქართლ-კახეთი იმპერიის სამხრეთის მიმართულებით გაფართოების პლაცდარმად სპირდებოდა, ქართველ პოლიტიკოსებს კი ერთმორწმუნე მეზობელი მფარველ მოკავშირედ ეგულებოდათ. ორმხრივი ინტერესების დამთხვევის გამო საქმე დაჩქარდა. 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ქალაქ გიორგიესქში გაფორმდა რუსეთ-ქართლ-კახეთის მფარველობით-სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა.

ქართლ-კახეთის მეფე უარყოფდა დამოკიდებულებას ირანისა და სხვა სახელმწიფოებისაგან. ამიერიდან მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას ცნობდა და რუსეთის მფარველობაში შედიოდა.

რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ მფარველობა-დახმარებას არ მოაკლებდა ქართლ-კახეთის მეფეს, დაიცავდა ქვე-

ქნის საზღვრებს. ქართლ-კახეთის ტახტზე ყოველი ახლად ასული
შეფე ვალდებული იყო რუსეთის მმპერატორისათვის ეთხოვა ჭრა-
ტკიცება, მფარველისაგან მიეღო სამეფო რეგალიები, ფიცი დაედო
მის წინაშე.

ქართლ-კახეთის მეფე კარგავდა დამოუკიდებელი საგარეო პო-
ლიტიკის წარმოების უფლებას. ამ სფეროში იგი რუსეთის მმპე-
რატორს ემორჩილებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ინიშნე-
ბოდა რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი მინისტრი, ანუ რე-
ზიდენტი. ქართლ-კახეთის მეფესაც უფლება ჰქონდა რუსეთში გა-
ეგზაგნა თავის წარმომადგენელი.

რუსეთის მმპერატორი აღუთქვამდა ქართლ-კახეთის მეფეს,
რომ მის მტერს მიიჩნევდა თავის მტრად. ქართლ-კახეთის ტახტზე
დაიცავდა უცვლელად ერეკლე ბაგრატიონს და მის მემკვიდრეებს.
სამეფოს შინაგან საქმეებში არ ჩაერეოდა, ადგილობრივი ხელი-
სუფლების თანხმობის გარეშე არ შეცვლილა ქვეყნის სამხედრო-
ადმინისტრაციულ წყობას.

თავის მხრივ ქართლ-კახეთის მეფე აღუთქვამდა რუსეთის იმ-
პერატორს, რომ ყოველთვის მზად იქნებოდა თავის მხედრობით
მისი სამსახურისათვის, დაიცავდა რუსეთის ქვეშევრდომთა ინტე-
რესებს, მისცემდა მათ საქართველოში თანამდებობებს.

ტრაქტატს ახლა საიდუმლო მუხლები: რუსეთის მთავრობა
ვალდებულებას კისრულობდა საქართველოს თვედაცვისუნარია-
ნობის განმტკიცებისათვის ამ ქვეყანაში მუდმივ სამყოფად გამო-
ეგზავნა ორი ბატალიონი ჯარი ოთხი ქვემეხით, ხოლო საჭირო-
ების დროს დამატებითი სამხედრო ძალები. მმპერატორი აღთქმას
დებდა, დახმარებოდა საქართველოს მტრებისგან მიტაცებული ტე-
რიტორიების განთავისუფლების საქმეში².

ასეთი იყო გიორგიესეს ტრაქტატის პირობები, რომელზეც
ერეკლე II და ქართველი ხალხი დიდ იმედს ამყარებდა. სამოქავ-
შირეო-მფარველობითი ხელშეკრულებით, მართალია, რამდენადმე
იზლუდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტი, მაგრამ ქვე-
ყანა დამოუკიდებლობას როდი ჰქარგავდა, იგი ფართო ავტონომიას
ინარჩუნებდა.

რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულების გაფორმე-
ბამ და ქართლ-კახეთში რუსთა ჯარის შემოსვლამ შეაშფოთა ჩვენი

² А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы. т. II,
вып. I, 1898, с. 7—14.

მაპმადიანი მეზობლები. ირანისა და ოსმალეთის შეართველი წრე-
ები ვარაუდობდნენ, რომ, თუ რუსეთი ფეხს მტკიცედ მოიკიდებოდა
საქართველოში, აქედან დიდ საშიშროებას შეუქმნიდა მათ სამ-
ფლობელოებს ახლო აღმოსავლეთში. ბუნებრივია, მაპმადიანი ხელ-
შწიფენი უკამაყოფილო იყვნენ ერეკლე II-ის რუსოფილური პო-
ლიტიკით და მიზნად დაისახეს მისი სამაგალითოდ დასხა.

მუქარა მალე რეალობად იქცა. ქართველმა ხალხმა თავის
ზურგზე იწვინა მეზობელი ხანების გახშირებული შემოსევები.
ერეკლე II-ისათვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ირანის მმართვე-
ბელი აღა-მაპმად-ხანი დიდ ჯარს აგროვებდა ქართლ-კახეთში გა-
მოსალაშერებლად. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, მეფემ თავის
მფარველ-მოკავშირეს, რუსეთის იმპერატორს, დამხმარე ჯარი სოხო-
ვა. მაგრამ ეკატერინე II-მ არ შეასრულა ტრაქტატით ნაკისრი
ვალდებულება, მიზანშეწონილად არ მიიჩნია საქართველოში დამხ-
მარე ჯარის გამოგზავნა.

მოუხედავად ამისა, საქართველოში რუსული ორენტაცია თან-
დათან ძლიერდებოდა. 1793 წელს საქართველოს მეფე-მთავრებმა
საერთო წერილი გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს და მთელი სა-
ქართველოს დაცვა-მფარველობა შესთხოვეს. მაგრამ არც ამ მიმარ-
თვას მოჰყოლია დადებითი შედეგი.

1795 წელს ირანის ჯარი ამიერკავკასიაში შემოვიდა. აღა-მაპ-
შალ-ხანმა ყარაბაღიდან ბრძანება გამოუგზავნა ერეკლეს—რუსეთ-
თან კავშირი გაწყვიტე და ჩემი უზენაესი ხელისუფლება აღიარეო.
ქართლ-კახეთის მეფემ უპასუხოდ დატოვა ხანის მოთხოვნა და შე-
ეცადა თავდაცვითი ღონისძიებანი გაეტარებინა.

მოხუცი ერეკლე თავისი ლაშქრით კრწანისის ველზე მამაცუ-
რად შეება 7-ჯერ უფრო მრავალრიცხოვინ მტრის ჯარს. საარაკო
გმირობის გმოჩენის მიუხედავად ქართველები დამარცხდნენ. მე-
ფე ლაშქრის მცირე ნაშთებთან ერთად ბრძოლის ველს გაეცალა.
12 სექტემბერს სპარსელთა ჯარი თბილისში შემოვიდა, ქალაქი და-
ანგრია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაელიტა და დატ-
ყვევა. საქართველოს შინაგან ძალთა დაქსაჭსულობა და მფარველ-
მოკავშირის გულგრილობა იყო თბილისის თავზე დატეხილი ამ
ტრაგედიის მიზეზი.

ძალიან დაგვიანებით, 1795 წლის 1 ოქტომბერს მიიღო კავკა-
სის სამხედრო ხაზის სარდალმა გენერალმა გულოვიჩმა იმპერა-
ტორის რესკრიპტი საქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნის თა-
ობაზე. რუსეთის მთავრობა მიხედა, რომ თვით რუსეთის ინტერე-

სები მოითხოვდა ქართლ-კახეთის დაცვას, ტრაქტატით ნაყისჩურუა
ვალდებულების შესრულებას. რუსეთის მმართველმა წრეებმა
კარგად დაინახეს, რომ ოღა-მაპმად-ხანის პოლიტიკა საფრთხის ქვეშ
აყენებდა რუსეთის გავლენას ამიერკავკასიასა და შეა აღმოსავლე-
რის ქვეყნებში და ამიტომ საჭირო იყო მისი დასჯა, ირანის
მოქცევა რუსეთის გავლენის სფეროში. რუსი პოლიტიკოსები
იმედოვნებდნენ აგრეთვე, რომ საქართველოსა და ირანის მეშვეო-
ბით მდიდარ ინდოეთს უფრო მოკლე გზით დაუკავშირდებოდნენ,
ვიდრე ევროპელები, რომელთაც ამისათვის კეთილი იმედის კონ-
ცხის შემოვლა სჭირდებოდათ.³

ასეთ სიტუაციაში რუსეთის მმართველმა წრეებმა გადაწყვე-
რეს ხელი შეეწყოთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური გაძლი-
ერებისათვის. ისინი ვარაუდობდნენ, რომ საქართველო გაზღებოდა
რუსეთის ძლიერი მოკავშირე და ფორბოსტი თურქეთის წინააღმ-
დევ ბრძოლაში. ამავე დროს იგი უშრონველყოფდა რუსეთის სავა-
ჭრო კაბიტალის გაბატონებას ირანში.

რუსეთის არმიის შეტევა სამხრეთისაკენ 1796 წლის მაისში
დაიწყო. მოკლე ხანში დაიყავეს დარიუბანდი, ყუბა, ბაქო, სალი-
ნი, შემახია. რუსთა ჯარები გავიდნენ მუღანის ველზე და ირანის
სიღრმეში შექრისათვის ემზადებოდნენ. მაგრამ როგორც ირანში
გაბატონების, ისე საქართველოს გაძლიერების გეგმა განუხორცი-
ელებელი დარჩა. 1796 წლის ნოემბერში ეკატერინე II გარ-
დაიცვალა. ერთი თვის შემდეგ კი ამიერკავკასიაში მყოფ რუსთა
ჯარის სარდლობამ მიიღო პავლე I-ის ბრძანება ყოველგვარი სამხე-
დრო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ. ასეთ პირობებში საქართ-
ველო, ვითარცა ფორბოსტი, მნიშვნელობას კარგივდა. რუსეთის
მმართველმა წრეებმა საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექ-
მნის გეგმა მიივიწყეს. საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის ნაწი-
ლები საშობლოში გაიწვიეს.

რუსთა ჯარის უკან დაბრუნება ოღა-მაპმად-ხანმა თავის გამარ-
ჯებად გამოაცხადა და თავის ჩრდილოელ მეზობლებს (მათ შო-
რის ერეკლე მეფესაც) მრისხანე ბრძანებები გამოუგზავნა მორჩი-
ლების შესახებ. 1797 წლის პარილში ერეკლე იმპერატორ პავლე
I-ს ატყობინებდა შაჰის მუქარის შესახებ და 4-ათასიან დამხმარე

³ В. Бутков. Материалы для новой истории Кавказа. т. II, 1869, с. 355.

ჯარს ითხოვდა. ერეკლე მთაგონებდა მფარველს, ირანის შაპი იმი-
ტომ მტრობს ქართლ-კახეთის მეფეს, იმიტომ დაუნგრია თბილიშვილ
და ახალი ლაშქრობით ემუქრება, რომ „იცოდა საქართველოს კეშ-
მარიტის ერთგულებით ყოფნა თქვენის იმპ. დიდ საფარველს ქვე-
შე“⁴.

რუსეთის იმპერატორმა ერეკლე II-ის რამდენიმეგზის თხოვნა
დახმარების შესახებ უპასუხოდ დატოვა. შინაგანად დასუსტებული
და მფარველ-მოკავშირის მიერ მიტოვებული ქვეყანა მკვლელის
დანამ გადაარჩინა ახალი აოხრებისაგან. 1797 წლის ივნისში აღა-
მაშმაღ-ხანი მოჰკლეს. მიუხედავად ამისა, სპარსელთა შემოსევის
საფრთხე საბოლოოდ მაინც არ მოხსნილა. ირანის ახალი მბრძანე-
ბელი ბაბა-ხანი საქართველოს მიმართ თავის წინამორბედის პოლი-
ტიკას აგრძელებდა.

1797 წლის ბოლოს ერეკლემ დაავალა თავის ელჩს, რუსეთის
მთავრობის წინაშე კატეგორიულად დაესვა საკითხი — ფიქრობდა თუ
არა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. რუსეთიდან პასუხის მოლოდინში, 1798 წლის 11 იანვარს მეფე
ერეკლე II გარდაიცვალა. მან საფლავში ჩაიტანა თავის ესოდენ
ნაამაგარი ქვეყნის ჯავრი, რომლის აწმყო უნუგეშო იყო, ხოლო
მომავალი გერ კიდევ გაურკვეველი.

გიორგი XII-ის მეფობის დროს ქართლ-კახეთის შინაგანი კრი-
ზისი თანდათან ძლიერდებოდა, სპარსელთა შემოსევის საფრთხე
კი იზრდებოდა. სეთ პირობებში მხოლოდ საკუთარი ძალებით
ქართლ-კახეთის სამეფოს გაუჭირდებოდა მტრის მოგერიება, მაგ-
რამ მფარველ-მოკავშირის დახმარება არ ჩანდა. გიორგი მეფემ
დაკარგა რუსეთის იმედი და გადაწყვიტი სპარსეთის წინააღმდეგ
თურქეთის ძალა გამოეყენებინა. 1798 წლის გაზაფხულზე მეფემ
ასლან ორბელიანი გაგზავნა თურქეთის სულთანთან თხოვნით
მფარველობის შესახებ. ა. ორბელიანი უკვე ახალციხეს იყო
მისული, როცა რუსეთიდან დავით ბატონიშვილი დაბრუნდა და
იმპერატორ პავლეს საქართველოსადმი კეთილგანწყობილების ამ-
ბავი ჩამოიტანა.

ქართლ-კახეთის მეფეს კვლავ ყოვლადმოწყალე რუსეთის იმ-
პერატორისაგან დახმარების იმედი დაებადა. მან თურქეთისაკენ

⁴ А. Цагарели. Грамоты... II с. 133—134.

⁵ Н. Дубровин. Георгий XII... с. 61.



გაგზავნილი დესპანი უკან მოაბრუნა და მალე ამის შემდეგ თავის გამოიტანა რუსეთის მთავრობას აცნობა. 1798 წლის 30 ოგვისტოს წერილით პავლე I-მა გიორგი XII-ს გამზენება მიუღოცა და თან შეახსენა, რომ 1783 წლის ტრაქეტატის ძალით იგი მეფისაგან ელოდება ფორმალურ თხოვნას ტახტზე დამტკიცების შესახებ.

გიორგი XII-ს არ დაუყოვნებია. ოქტომბერში მან პეტერბურგს გიორგი ივალიშვილი გაგზავნა. მეფე იმპერატორს სწერდა: „მწვავესად უმაღლესისა თქვენისა გრამოტისა დამტკიცეთ ჩემი მეფობა და მემკვიდრედ ჩემად შეილი ჩემი დავით და ნუ ვინ შემომისდება სამეფოსა ჩემსა გამგეობასა შინა და ნუ ვინ უპატივო ჰყოფს თავადთა, აზნაურთა და გლეხთა ჩემთა თვინიერ ნებისა ჩემისა. დასამტკიცებლად თქვენის ჩემდამი უხეის მოწყალებისა მებოძოს სამი ათასი სალდათი თვისის ზარბაზნებით და ხარჯით“⁶.


მ ღრისისათვის რუსეთის მმართველი წრეების ინტერესი საჭართველოსადმი კვლავ გაიზარდა. პავლე I-მა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ქართლ-კახეთის მეფის თხოვნა. მან გიორგი XII-ს მეფედ დამტკიცების სიგელი და სამეფო ნიშნები გამოუგზავნა. იმპერატორის სრულუფლებიან მინისტრად ქართლ-კახეთის სამეფო კარზე კოვალენსკი დაინიშნა და საქართველოში მუდმივ სამყოფად გამოიყო ერთი პოლკი ჯარი. ამდენად, რუსეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობა 1783 წლის ტრაქეტატის საფუძველზე აეწყო.

1799 წლის 26 ნოემბერს რუსთა ჯარი გენერალ-მაიორ ლაზარევის უფროსობით თბილისში შემოვიდა. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა მ ამბავს. ქვემეხთა სალუტი, ზარების რეკვა მეფისა და ხალხის დიდ სიხარულს გამოხატავდა. კოვალენსკიმ საზეიმო ეითარებაში გადასცა გიორგი XII-ს სამეფო ნიშნები, რის შემდეგ მ უკანასკნელმა ფიცი დადო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

გიორგი XII-მ სამადლობელი წერილი გაუგზავნა იმპერატორს მხედრობის გამოგზავნისათვის, მაგრამ იქვე წერდა, რომ ერთი პოლკი ჯარი მტრის მოსაგერიებლად არსაკამარისიაო. სპარსეთის მბრძანებელი ბაბა-ხანი საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდა და მძევლად უფროსი გავი მომხოვაო. თუ 6-ათასიან ჯარს არ გამომიგზავნით სპარსელები „შვილსაც გამოგვართმევენ და სხვა პირობასაც, და მაშინ სრულიად განშორებულნი ვიქენებით თქვენის და-

⁶ А. Цагарели. Грамоты. т. II. с. 156—157.

2. ა. ბერიანშვილი



მოკიდებულებიდან⁷. ამგვარად, გიორგი XII იმპერატორის წინაშე საკითხს კატეგორიულად სვამდა: თუ მფარველ-მოკავშირე⁸ ტრაქია ტატით ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს, ქართლ-კახეთის შექმნა ფე იძულებული იქნება სხვა მფარველი გამონახოს. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ აპირებდა ქართლ-კახეთის სხეისათვის დათმობას. გადაწყვდა ხელდებულისათვის საქმაო ჯარების გაგზავნა.

ჭერ კიდევ ერეკლე II-ს სურდა რუსეთის დახმარებით ქართლ-კახეთის მართვა-გამგეობის სისტემის რეორგანიზაცია მოეხდინა. ეს იდეა გიორგი XII-ის დროს კიდევ უფრო მომწიფედა. გიორგი მეფე რეალური პოლიტიკის მატარებელი იყო. მან გამოცდილებით იცოდა, რომ 1783 წლის ტრაქტატმა ვერ უზრუნველყო ქართლ-კახეთის უშიშროება და დიდ ნაყოფს ვერც მომავალში მოიტანდა. ამიტომ მეფემ გადაწყვიტა უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა თავისი ქვეყანა რუსეთისათვის, გადმოენერგა აქ რუსული მართვა-გამგეობის სისტემა. ამას უნდა აღეკვეთა ბატონიშვილებისა და თავადების პარტიულარისტული ტენდენციები და ხელსაყრელი პირობები შეექმნა ქვეყნის შინაგან ძალთა გაერთიანებისათვის.

1800 წლის ივნისში, გიორგი XII-ის სურვილის თანახმად, ქართველმა ელჩებმა (გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი, ე. ფალავანდიშვილი) პავლე I-ს წარუდგინეს სახხოვარი პუნქტები—ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელიც 16 მუხლისაგან შედგებოდა: იქ ნათქვამია: 1. გიორგი მეფეს, ქართლ-კახეთის დიდებულებს, სამღვდელოებას და ხალხს სურს გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომები და დაემორჩილონ რუსეთის კანონებს. 2. გიორგი მეთორმეტე და მისი მემკვიდრენი შეინარჩუნებენ სამეფო ტახტს, მეფე იქნება უპირველესი ხელისუფალი ქართლ-კახეთში. 3. რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის დასაცავად გაგზავნის საქმაო რაოდენობით ჯარს. 4. საქართველოში მოქრილ ფულს ერთ მხარეს ექნება ქართლ-კახეთის ლერბი, მეორე მხარეს კი რუსეთისა. 5 ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა წოდება უფლებებში გაუთანაბრდება რუსეთის შესაბამის წოდებებს. 6. საქართველოს მოსახლეობას რამდენიმე წლით შეღავათი მიეცემა გადასახადების გაღებაში და სხვ⁹.

ქართლ-კახეთი, რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა, მაგრამ მეფე ყველა თავის უფლებებშე როდი ამბობდა უარს. უთმობდა რა რუსეთის მთავ-

⁷ А. Цагарели. Грамоты.... т. II, с. 186—187.

⁸ В. Бутков. Материалы.... т. II, с. 461—462.

რობას საკანონმდებლო ხელისუფლებას, გიორგი XII თავისა და ტახტის შემჯეოდრებისათვის ოღმასრულებელი ხელისუფლების დარღვებას მოითხოვდა. იგი პირობას დებდა, რომ სამეფოს მართვა-გამგეობის დროს რუსთის კანონებს დაეყრდნობოდა. ამდენად, გიორგი XII-ის პროექტით ოღმოსაცლეთ საქართველო რუსეთის-იმპერიის შემაღებელობაში უნდა შესულყო საქმიოდ შეზღუდული ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით.

ხელშეკრულების პროექტის შედგენამ და, რაც მთავარია, რუსთა ჭარის შემოსვლამ გიორგი მეფე დამშვიდა, მისი ძები კი შეაშეფოთა. ეს უკანასკნელი ფიქრობდნენ და უსაყვედურებლენ მეფეს, რომ რუსთა ჭარი მან მოიშვია არა იმდენად ქვეყნის დასაცავად, რამდენადაც პირადი უშიშროებისა და ძმების უფლებათა უზრუნველყოს. დარეგან დედოფლის უფროსი ვაჟი იულიანი და მისი ძები ცდილობდნენ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ არ დაეშვათ დავითის მეფედ გამოცხადება. 1800 წ. 7 ოქტომბერს ბატონიშვილებმა თხოვნით მიმართეს იმპერატორ პავლეს თავიანთი დინასტიური უფლებების დაცვის თაობაზე. ისინი არწმუნებლენ რუსთა ხელმწიფეს, რომ ქართველი ხალხის სურვილია დაცული იქნას მეფე ერეკლეს ანდერძი, სამეფო ტახტი გვარში უფროსს ეჭიროსთ.⁹

მეფე ერეკლეს შეილები და შვილიშვილები სამეფო ტახტისათვის დაობდნენ, ქვეყნის ბედი კი პეტერბურგში მათი სურვილის საწინააღმდეგოდ წყდებოდა. 1800 წლის ნოემბერში იმპერატორმა პავლემ განიხილა რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების პროექტი და მეფე გიორგის აცნობა, რომ თქვენი ელჩების მიერ წარმოდგენილი ნოტა მოწონებულია. რუსეთის მთავრობამ საზოგარი პუნქტები ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების საფუძვლად ჩათვალა, მაგრამ ვიდრე იგი საბოლოოდ გაფორმდებოდა, საჭიროდ მიიჩნია ქართველი ელჩების — ე. ფალავანდიშვილისა და გ. ავალიშვილის უკან, საქართველოში გავზავნა. მათ გიორგი მეფისათვის უნდა წარედგინათ იმპერატორის მიერ მოწონებული ხელშეკრულების პროექტი. მეფეს უნდა დაემტკიცებინა ის, ხოლო შემდეგ მეფისა და ხალხის სრული რწმუნებით აღჭურვილი ელჩები კვლავ პეტერბურგში გაეგზავნა, სადაც მოხდებოდა ორმხრივა აქტის გაფორმება.

⁹ Н. Дубровин. Георгий XII, т. II, с. 145—146.

ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებით რუსეთის მთაწმინდის ბას სურდა ყველასათვის ეჩვენებინა, რომ ქართლ-კახეთის შეერთება რუსეთთან ფაქტიურად და ფორმალურადაც ნებაყოფლობით მოხდა, რომ ძალდატანებას რუსეთის მხრით ადგილი არ ჰქონია.

ამ ღროვასათვის რუსეთის მმართველ წრეებში ქართლ-კახეთის შეერთების საკითხი საბოლოოდ მომწიფდა. იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა ამიერკავკასიაში მტკიცე პლაცდარმის შექმნას, რაღაც ცარის მისი სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გარეშე რუსეთის სუსტი სავაჭრო ბურუუაზია ფართოდ ვერ გაშლიდა მხრებს სამხრეთის ბაზრებშე. იმპერატორმა პავლემ იმდენად გადაუდებელ საქმედ ჩათვალა ქართლ-კახეთის შეერთება რომ აღარ დაუცადა ორმხრივი აქტის გაფორმებას, ერთპიროვნული ბრძანებით გადაწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი.

1800 წ. 15 ნოემბერს იმპერატორი კავკასიის სამხედრო ხაზის უფროსს გენერალ ქნორინგს სწერდა: „ქართლ-კახეთის მეფის ჯანმრთელობის შესუსტება საბაბს გვაძლევს ველოდოთ მის მალე გარდაცვალებას. ამიტომ დაუყოვნებლივ ვაგზავნე იქ ჩემი სახელით განცხადება, რომ უმაღლესი ბრძანების მიღებამდე არ დაუშვან მემკვიდრის გამეფება“¹⁰.

მალე ამის შემდეგ, 1800 წ. 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს დოკუმენტი საიდუმლოდ გამოუგზავნეს გენერალ ქნორინგს, რომელსაც იგი თბილისში უნდა გამოეცხადებინა მას შემდეგ, რაც ქართველი ელჩები საქართველოდან ისევ პეტერბურგში დაბრუნდებოდნენ და გიორგი მეფე გარდაიცვლებოდა. ამგვარად, როცა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, ხოლო ქართველი ელჩები ორმხრივი ხელშეკრულების პროექტით ჯერ კიდევ სამშობლოში არ ჩიმოსულიყვნენ, პეტერბურგში უკვე ითქვა ხელისუფლების სიტყვა.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი მეფე გარდაიცვალა. გენერალ-მაიორმა ლაზარევმა გამოაცხადა იმპერატორის ნება იმის შესახებ, რომ უმაღლესი ბრძანების გამოსვლამდე ქართლ-კახეთის ტახტი არავის დაეკავებინა. ამ გარდამავალ პეტიონში ყოველგვარი ბრძანება-განკარგულებანი უნდა გამოსულიყო ითან ბატონი-

¹⁰ В. Бутков. Материалы.... т. II, с. 462.



შვილის, ეგნატე თუმანიშვილის და გენერალი ლაზარევის ხელიცნობა სამართლებრივი ცოშერით¹¹.

ამ განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია საქართველოში. აშეარად უგულებელყოფილი იყო ქართლ-კახეთის სამეფო საგვარეულოს უფლებები: ამ მომენტისათვის რუსეთის მფარველობაში შესვლას მთელი ხალხი უჭერდა მხარს, სამეფოს გაუქმებასა და რუსეთთან უშუალოდ შეერთებას კი თითქმის არავინ არ მოიხვდა. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა 1783 წლის ტრაქტატს იწონებდა, უკიდურეს შემთხვევაში იმ კორექტივით, რაც მასში გიორგი XII-ის სურეილით უნდა შეტანილიყო. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს და ბაგრატიონთა დინასტიის შენარჩუნების მომხრეთა შორის ერთიანობა არ არსებობდა. ერთი ნაწილი იულონ ერეკლეს ძეს უჭერდა მხარს, მეორე დავით გიორგის ძეს. იულონი თავის უფლებას სამეფო ტახტისადმი ერეკლეს ანდრეძეზე მითითებით ასაბუთებდა, დავითი კი აცხადებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მიერ ვარ დამტკიცებული მემკვიდრედ და ამიტომ ვეფობაც მე მეუღლენისო. შინაგინასტიური, პოლიტიკური ბრძოლა ქართლ-კახეთის ეროვნულ სხეულს ასუსტებდა, რუსეთის ხელისუფალთ კი მოქმედებას უადვილებდა. ისინი აცხადებდნენ, რომ დინასტიური შულლის პირობებში ტახტის რომელიმე პრეტენდენტის მეფედ დამტკიცება ქართლ-კახეთში შინა ომს გამოიწვევს, ამიტომ ხალხისათვის უკეთესია სამეფო გაუქმდეს და ქვეყანა უშუალოდ შევიდესო იმპერიის შემადგენლობაში.

პლატონ იოსელიანის გადმოცემით, „მღვიძარენი დაუკარგვებლობისათვის მეფობისა, მეფის ძენი—იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მინაილ, სარდალი იოანე ყაფლანიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, ეგნატე იოსელიანი, მეითარი თარხნიშვილი და მათ შორის უბაძესი და ნათლად მხილველი მყობადისა და მომავლისა სოლომონ ლეონიძე სოხოვდნენ და ევედრებოდნენ დავითს წარვიდეს მცხეთას და დაგვირგვინდეს მეფედ¹². მაგრამ დავითმა ვერ გაბედა ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, გადაწყვიტა დალოდებოდა იმპერატორის ბრძანებას მეფედ დამტკიცების შესახებ.

ქართველ პატრიოტებს, ბუნებრივია, ალელვებდათ სამშობლოს ბედი. ისინი იყრიბებოდნენ თბილისის ქუჩა-მოედნებზე და მსჯელობდნენ ქვეყნის მომავალზე. საქართველოში განლაგებული რუს-

¹¹ А. Цагарели. Грамоты... т. II, с. 192.

¹² პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეუგამეტისა. თბ., 1936, გვ. 215.

თა ჯარის სარდლობამ, რომელსაც აშინებდა ოპოზიციონერთა სტერეო
მიანობა, აქრძალა ქუჩებში ხალხის შეკრება. „წესრიგის დამდაშაშ
ღვევთ პატიმრებდნენა“¹³, პირველ რიგში დააპატიმრეს სოლომონ
ლეონიძე, რადგან იგი პატრიოტული გამოსვლებით ქართველთა
ეროვნულ გრძნობებს კიდევ უფრო აღვივებდა, ცდილობდა ხალხის
შემწეობით დაეყოლიებია რუსეთის მთავრობა დავითის მეფედ გა-
მოცხადებაზე.

განსაკუთრებით ღელავდა დედოფალ დარეგნის ირგვლივ შე-
მოქრებილი დასი. იულონი ვახტანგი, მირიანი და ფარნაოზი თავი-
ანთი რაზმებით მუხრანს შეიყრიბენ. მათ გადაწყვიტეს მცხეთაში
შესვლა, იულონის სვეტიცხოვლის ტაძარში მეფედ კურთხევა და
ამით რუსეთის მთავრობის მომხდარი ფაქტის წინაშე დაყენება. მაგრამ რუსთა ჯარმა ბატონიშვილები მცხეთაში არ შეუშვა¹⁴. მა-
შინ დედოფალმა დარეგანმა გენერალ ლაზარევს შესთხოვა იულო-
ნის მეფედ გამოცხადება, გენერალს კი საამისო არც სურვილი
ჰქონდა და არც უფლება. მან დედოფალს თხოვნაზე ცავი უარით
უპასუხა, იულონ ბატონიშვილს კი ურჩია ლაშქარი დაეშალა და
იმპერატორის ბრძანებას დალოდებოდა.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების საკითხი რთულდებო-
და. გენერალ კნორინგს ჯარები მზა მდგომარეობაში ჰყავდა, რომ
საჭიროებისთანავე საქართველოსაკენ დაძრულიყო. მაგრამ რუსე-
თის მთავრობა ქერქვერობით ძალის გამოყენებას ერიდებოდა. იმ-
შერატორი იმედოვნებდა, რომ ყველაფერი შშეიღობიანად მოგვარ-
დებოდა.

ასეთი იყო ქართლ-კახეთის შინაპოლიტიკური მდგომარეობა,
როცა 1801 წლის 8 იანვარს ქართველი ელჩები „ორმხრივი აქ-
ტის“ პროექტით თბილისში შემოვიდნენ. რაყი მეფე გიორგი ცო-
ცხალი არ დახვდათ, ისინი დაეითს წარუდგნენ და საქმის ვითარება
გააცნეს. დავითმა ახალი ხელშეკრულების პროექტის ძალით თავი
სამეფოს გამგედ გამოაცხადა და აღარ ეცემოდა, რომ მალე იმპე-
რატორისაგან მეფედ დამტკიცების სიგელსაც მიიღებდა. მაგრამ 19
იანვარს იმპერატორის სიგელის ნაცვლად მიიღო წერილი როს-
ტოპჩინისა, რომელიც ითხოვდა ქართველი ელჩების აუც შეიძლე-
ბა სწრაფად გაგზავნას პეტერბურგს, სადაც საბოლოოდ უნდა გა-
ფორმებულიყო ორმხრივი ხელშეკრულება. ამავე დროს საქართ-

13. Н. Дубровин. Георгий XII... с. 182.

14. იოსელიანი დასახ. ნაშრ., გვ. 220.

ველოში მდგარი რუსთა ჯარის უფროსებს მთავრობისაგან დეპუტაციონები ქტივა მიეცათ, რომ პეტერბურგში გაეგზავნათ მთელი ქართველი ხალხის რწმუნებით აღჭურვილი დეპუტაცია, რომელიც იმპერატორს შესთხოვდა რუსეთის ქვეშეკრდომობაში მიღებას. გენერალმა ლაზარევემა ამ ღონისძიებაში იულონისა და მისი ძმების ჩაბმაც სცადა, მაგრამ მათ უარი თქვეს თბილისში გამოცხადებაზე და ისინი საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ პეტერბურგს ქართველი დეპუტატების გაგზავნისა. მიუხედავად ამისა დეპუტაცია მაინც გაივზავნა.

იმპერატორ პავლეს განზრახვა ჰქონდა მოეწყო ქართველთა დეპუტატების თეატრალური მიღება, მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ მთელ ქართველ ხალხს სურს რუსეთის ქვეშეკრდომობაში შესვლა. „ყოვლად მოწყალე“ რუსეთის იმპერატორის ეს განზრახვა საესებით გასაგებია, მას სურდა ყველა დაერწმუნებინა შეერთების ნებაყოფლობაში, მაგრამ ბევრი სულაც არ იყო ისეთი შეერთების მსურველი და ისეთი ქვეშეკრდომობის მომხრე, როგორსაც მას რუსეთის ხელისუფლება უმზადებდა. ქართველი ხალხი იმედოვნებდა, რომ რუსეთის მფარველობა-დახმარება მას დაიცავდა გარეშე მტრებისაგან, თანაც საფრთხის ქვეშ არ დააყენებდა ქართველ სახელმწიფობრიობას. ერთი სიტყვით, ხალხის სურვილი იყო ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულიყო ავტონომიური ერთეულის სახით.

1801 წ. 16 თებერვალს თბილისში, სიონის ტაძარში წაყითხული იქნა პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ამავე დროს რუსეთს გაიწვიეს ბატონიშვილები იოანე, ბაგრატი და მიხეილი. ისინი უნდა დასწრებოდნენ საიმპერატორო კარზე ქართველთა დეპუტაციის საზრიშო მიღებას. მაგრამ როგორც ქართველი დეპუტატების თეატრალური მიღების, ისე ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების გეგმა ჩაიშალა. ქართველი ელჩებისა და დეპუტატების პეტერბურგს ჩასვლამდე პავლე I შეთქმულთა ხელით დაიღუპა.

მიუხედავად იმისა, რომ პავლე I-ის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, ქართველებს არ დაუკარგავთ სახელმწიფოსა და შინაგანი ავტონომიის შენარჩუნების იმედი. დავით ბატონიშვილი კვლავ ელოდებოდა იმპერატორისაგან მეცვედ დამტკიცებას, იულონის მომხრეთა დასი კი ცარიზმის მოხელეთა განდევნის გეგმას ამუშავებდა. იულონმა საქმაო რაოდენობით ჯარი შეკრიბა, ვახტანგმა და მირიანმა კი

სამხედრო გზა გადაკეტეს, რუსთა ჭარის ახალი ნაშილების შემცირების უღიერესი ვლა რომ დაეპროლებინათ, ამ გზაზე მდებარე ხეთი ხიდი დაანგრიეს¹⁵. დარეგან დედოფალი და მისი ვაევები ცდილობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იმერეთის მეფე სოლომონ II და მეზობელი მაჰმადიანური სახანოები გამოეყენებიათ. ბატონიშვილთა ასეთი განზრავა ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვის, რომელმაც დამატებით რამდენიმე პოლკი ჭარი გამოყო და ქართლ-კახეთის ყველა ციხესიმაგრე დაიკავა.

მართლია, რუსეთის სამხედრო ხელისუფლებამ არ დაუშვა ქართლ-კახეთში ახალი მეფის გამოცხადება, მაგრამ უარი ვერ უთხრა დავითის განეფო სამეფო, ვითარცა მემკეიღლრეს. არ არსებობდა სრული უფლებიანი ხელისუფლება დავითისა და ჭერ კიდევ არ იყო გასხვილი რუსული მმართველობა. 1801 წლის თებერვლიდან 1802 წლის მაისამდე იყო გარდამცვალი პერიოდი, ერთვარი შუალედი დამოუკიდებელ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის პროვინციას შორის.

ქართლ-კახეთის ბეჭის საბოლოო გადაწყვეტა წილად ხედა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. მან 1801 წლის პარიზში ქართლ-კახეთის საკითხი განსახილველად დასვა სახელმწიფო საბჭოში. საბჭოს უმრავლესობამ სურვილი გამოოჩეა სახელმწიფო ებრივი აქტებით უკვე შეერთებული ქვეყანა შენარჩუნებულიყო იმპერიის შემადგენლობაში, რის საჭიროებასაც სამი არგუმენტით ასაბუთებდა: 1. უთანხმოება სამეფო საგვარეულოში ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე ქვეყანას დამლუპველი შინაომით ემუქრება. 2. იმპერიის ღირსება მოითხოვს უკვე შეერთებული ქართლ-კახეთის შენარჩუნებას. 3. ქართლ-კახეთის შეერთება უზრუნველყოფს რუსეთის საზღვრების უშიშროებას და საშუალებას მოვცემს ავლაგმოთ მთის ხალხების თვითნებობა. სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობას მიზანშეწონილად მიაჩნდა ქართლ-კახეთში დროებით რუსული შვართველობის გახსნა, მის სათავეში გუბერნატორის ჩაუყენება, რომელიც თავის ხელთ გააერთიანებდა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას¹⁶.

არათვიციალური კომიტეტის წევრები და თვით იმპერატორი არ იზიარებდნენ სახელმწიფო საბჭოს ამ თვალსაზრისს. ალექსანდ-

15 Акты собранные Кавказскою археографическою комиссию, т. I, 1866, с. 315—320 მემდევ შემოქმედით: АКАК.

16 Н. Дубровин. Георгий XII... с. 216.



რე I-ს მცვი ეპარქებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებულის შემთხვევაში, რადგან არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანდა, რომ ქართველები მართლაც ნებაყოფლობით შედიოდნენ რუსეთის ქვე-შევრდომობაში. ორმხრივი ხელშეკრულება, რასაც ქართველები მოითხოვდნენ, გაფორმებული არ ყოფილა, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტი კი უკვე გამოვეყუნდა. იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს წინაშე ასე სვამდა საკითხს: „საქართველოს მიღება რუსეთის ქვეშვრდომობაში განა უსამართლობა არ იქნება ამ სამეფოს ტახტის მემკვიდრეთა მიმართ?“ ლევიტიმისტური გრძნობებით გამსჭვალული ალექსანდრე I თითქოსდა ბაგრატიონთა ინტერესების დამცულად გამოდიოდა, არ უნდოდა წაერთოა მათთვის „ღვთისაგან“ ბოძებული დინასტიური უფლება, მაგრამ ეს მხოლოდ ლამაზი და ამავე დროს ყალბი ფრაზები იყო. იმავე ალექსანდრე I-მა არც კი მოუსმინა ქართველ ელჩებს, რომელიც ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას და ერთ-ერთი ბატონიშვილის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებას სთხოვდნენ. ზემოთ მოტანილ ლამაზ ფრაზის კი სხვა დანიშნულება ჰქონდა. ამით ალექსანდრეს სურდა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ჰუმანისტი ხელმწიფის სახელი მოეპოვებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო საბჭომ კვლავ განიხილა ქართლ-კახეთის საკითხი, მაგრამ უმრავლესობა თავის ქედ თვალსაზრისშე დარჩა. ასაბუთებდნენ რა თავიანთ მოსაზრებას, საქართველოს შეერთების მომხრენი აცხადებდნენ. რომ თვით ქართველი ხალხის სურვილია იმპერიის ქვეშვრდომობაში შესვლა. მაგრამ თუ როგორი შეერთება და ქვეშვრდომობა სურდათ ქართველებს (შინაგანი ავტონომიის შენარჩუნებით) ამ საკითხს განზრას გვერდს უვლიდნენ. ქართლ-კახეთშე პროტექტორატის დაყიარება, მისი მიღება მხოლოდ მფარველობაში სახელმწიფო საბჭოს რუსეთისათვის არახელსაყრელად მიაჩნდა. სახელმწიფო საბჭო საკითხს ასე სვამდა: ან ქართლ-კახეთის თავის ბედის ანაბარა დატოვება, ან მისი სრული შეერთება რუსეთთან. ეს არსებითად ულტიმატუმი იყო ქართველი ხალხის მიმართ — ან იწვნიეთ აზევე დამშერობთა თარეში, ან რუსეთის იმპერიის ქვეშვრდომი გახდით უკველგვარი პირობის გარეშე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭომ მაინც მიიღო ფორმალური დადგენილება — ადგილზე გამოირკვეს შეძლებს თუ არა ქართლ-კახეთი დამოუკიდებელ არსებობასო.

იმპერატორი ალექსანდრე I ამჯერად დაეთანხმა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებას. მან ბრძანება გამოუგზავნა გენერალ-კონსული რინგს, ჩასულიყო ქართლ-კახეთში და მდგომარეობის ადგილზე შესწავლის შემდეგ პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებზე: 1. შეუძლია თუ არა ქართლ-კახეთს თავისი ძალებით წინ აღუდგეს სპარსეთის პრეტენზიებს, მოიგრიოს მთიელ ხალხთა თავდასხმები და ჩააქროს შინაგანი წინააღმდეგობანი. რაც ქვეყანას შინაომით ემუქრება. 2. საკუთარი რწმენით და სამშობლის სარგებლიანობის სურვილით მცვიდა თუ არა ქართლ-კახეთის მეფე რუსეთთან შეერთების აუცილებლობის შევნებამდე, ერთხმად უკერდა თუ არა მხარს ამ გადაწყვეტილებას მაღალი წილდებანი და ხალხი¹⁷. ალექსანდრე I თითქოს ანგარიშს უწევდა ქართლ-კახეთის მდგომარეობას და ქართველი ხალხის სურვილს, მაგრამ ქართველი ხალხის რწმუნებით აღჭურვილ ელჩებს — გ. ჭვევავაძეს, ე. ფალავანდიშვილს, გ. ავალიშვილს კვლავ არაფერს ეკითხებოდა, ქართლ-კახეთის საკითხს მათი მონაწილეობის გარეშე წყვეტდა.

იმერეთის მეფე სოლომონ II ფხიზლად ადევნებდა თვალს ქართლ-კახეთის ამბებს, მისი ნათესავი ბაგრატიონების ინტერესთა უგულებელყოფა და რუსთა ჯარის მიერ ქართლ-კახეთის შეერთება მის დიდ უქმაყოფილებას იწვევდა. 1801 წ. ივნისში სოლომონმა წერილით მიმართა ალექსანდრე I-ს, უცხადებდა, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის დამხობა დიდად მაღარდებსო, ერეკლეს შვილების მწუხარება და უბედურება ჩემ უბედურებად მიმაჩნია. „შეიწყალეთ, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფეო, სახლი მეფისა ირაკლისა, ფამილია და ძენი მისი, უბედურებისა თვისისათვის მტირალნი... რათა მიიღოს მეფობა იულონ, მემკვიდრემან საქართველოსამან“¹⁸.

იმპერატორის ბრძანების თანახმად, 1801 წლის მაისში გენერალი კნორინგი თბილისს ჩამოვიდა. იგი წინასწარ შემუშაებული თვალსაზრისით შეუდგა ქვეყნის მდგომარეობის გამოკვლევას და არსებითად ისეთი მდგომარეობა „ნახა“ ქართლ-კახეთში, რაც რუსეთის მთავრობისათვის უკეთ ცნობილი იყო.

მართალია, კნორინგი სრულიადაც არ თვლიდა საჭიროდ ქართველი ხალხის სურვილისათვის ანგარიში გაეწია, მაგრამ სასურველად მიაჩნდა რუსული მართვა-გამგეობის სისტემის შემოღებაზე

¹⁷ В. Бутков. Материалы ... т. II, с. 474.

¹⁸ АКАК. т. I, с. 558.



თუ მთელი ხალხის არა, თვალსაჩინო პირთა დასტურის მიღწეული ამიტომ რუსეთის ადგილობრივი ხელისუფალნი მიმართავდნენ მოსკოვიდებს და დაშინებას. ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „ხოლო მას უძალა ლიანარალს ლაზარევს მუნ მყოფსა ებირნა რაოდენიმე გვამნი მეფისა ორგულნი ... ამათ ათქმევინა უარყოფა მეფისა და გახსნა რუსეთისა მართებულობისა, რომლისა მსმენელმა კნორინგმა მიუღლო დავითს მეფობა და დასხნა თვისნი მსაჯულნი ვიდრე გახსნამდე ლუბერძისა“¹⁹.

კნორინგმა მართლაც სრულიად ჩამოაშორა მართვა-გამგეობას დავით ბატონიშვილი. მან ჩამოყალიბა საქართველოს დროებითი უმილესი მმართველობა გენერალ-მაიორ ლაზარევის თავმჯდომარებით, რომელშიც შევიდნენ ქართველი მდივანბეგები—ზალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, იოანე ჩილოყაშვილი, სულხან თუმანიშვილი და თბილისის მელიქი დარჩია ბეჭეთვია²⁰.

კნორინგის განკარგულებებმა დავით ბატონიშვილი შეაშფოთა. შეირყა მისი რწმენა რუსეთის მთავრობის სამართლიანობისადმი. დავითი ცდილობდა მოეპოვებინა თავადაზნაურობის, ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერა და მათი შემწეობით აეძულებინა რუსეთის მთავრობა დაემტეიცებინა იგი მეფედ. ქართველი ხალხი, უდავოა, ავტონომიის, ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების სურვილს გამოთქმამდა, რის გამო ლაზარევი ეერ ფარავდა თავის შეშფოთებას და კნორინგს ატყობინებდა: „ჩემის აზრით, უმჯობესია მთელი ბაგრატიონთა გვარი რუსეთში იქნეს გაწვეული. თუ ისინი აქ დარჩინენ უწესრიგობას ბოლო არ მოეღება“²¹.

დავით ბატონიშვილი, მართალია, აშეარა უკმაყოფილებას გამოთქმემდა კნორინგისა და რუსეთის სხვა ადგილობრივი მოხელეების მიმართ, მაგრამ კიდევ შერჩა რუსეთის ხელმწიფის იმედი. დავითმა წერილით მიმართა ალექსანდრე I-ს, შესთხოვდა არ დაერცვია მისი კანონიერი უფლება ქართლ-კახეთის ტახტისადმი, არ გაუქმებინა ძეელთაძეველი სამეფო. ეს წერილი სახელმწიფო საბჭოს გადაეცა, რომელმაც დავითის თხოვნის განხილვა მანამდე გადადო, ვიდრე კნორინგი საქართველოდან არ დაბრუნდებოდა და არ წარადგენდა ანგარიშს ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ასევე გადადეს განხილვა დარეჯან დედოფლის წერილისა, რომელიც ით-

¹⁹ ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 79.

²⁰ Н. Дубровин. Георгий XII... с. 224—225.

²¹ Н. Дубровин. Георгий XII, ... с. 227.

ხოვდა ქართლ-კახეთის დატოვებას ავტონომიურ სამეფო 1733 წლის ტრაქტატის უფლებრივი ნორმების საფუძველზე²². გვიათ ამ მოდელის მიხედვით არა მარტივი იყო მას მას არ შეეძლო თავის საკუთარი ძალებით წინ აღდგომოდა სპარ-სელთა შემოსევებს და მთის ხალხთა თავდასხმებიც მოეგერიებინა.

1801 წლის 28 ივლის კნორინგმა წარადგინა თავის გამოკვლე-
ვის ანგარიში საქართველოს მდგომარეობის შესახებ. კნორინგის
აზრით, ქართლ-კახეთის მდგომარეობა მართლაც ისეთი იყო, რომ
მას არ შეეძლო თავის საკუთარი ძალებით წინ აღდგომოდა სპარ-
სელთა შემოსევებს და მთის ხალხთა თავდასხმებიც მოეგერიებინა.
გვნერალი ერქ ფარავდა, რომ რუსეთთან შეერთების საკითხში ქარ-
თველი ხალხის პოზიცია ერთგვაროვანი არ იყო, რომ ქართველი
თავადაზნაურობის ნახევარს თავის მეფისა და ქართული
მართვა-გამგეობის სისტემის შენარჩუნება სურდა, რასაც იმით
ხსნიდა, რომ თავადებს ეშინიათ არ დაკარგონ მემკვიდრეობითი
აანამდებობანი, რაც მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა²³.

კნორინგის მოხსენების შინაარსი, როგორც ჩანს, მალე ცნობი-
ლი გახდა ქართველი ავტონომისტებისათვის. ისინი კვლავ ენერგი-
ულად ამოქმედდნენ, შეეცადნენ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში
საქმის განხილვა თავის სასარგებლოდ შემოებრუნებიათ. სოლომონ
II-მ თავისი დესპანი — გაფარიძე სასწრაფოდ გაფზავნა რუსეთ-
ში იმპერატორთან და გაატანა შუამდგომლობის წერილი იულო-
ნის ქართლ-კახეთის მუფედ დამტკიცების თაობაზე. მაგრამ გენე-
რალ კნორინგის ბრძანებით იმერეთის მეფის ელჩი კავკასიის ხაზ-
ზე დაკავეს. უშედეგოდ დამთავრდა სამეფოს შენარჩუნების სხვა
ცდებიც.

1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანი-
ფისტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.
ქართველმა ელჩებმა მხოლოდ ამის შემდეგ გაიგეს, რომ ქეყნის
ბედი მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა. გამოთქვემდნენ რა
ამის გამო საყვედურს, გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი და ე. ფა-
ლავანდიშვილი თავად კურაკინს სწერდნენ: „ჩვენ თავს უბედუ-
რად ვთვლით. ყველაზე უკეთ თქვენ იცოდით ჩვენი სურვილი, მის-
წრაფება და საქმის წარმოება. ამიტომ თქვენთვის გასაგები უნდა
იყოს, რომ ასეთი შეერთების წყალობით დაკარგეთ თანამემამუ-
ლეთა ნდობა და პატივისცემა“²⁴. გ. ჭავჭავაძეს, ე. ფალავანდი-
შვილს და გ. ავალიშვილს მართლაც ჰქონდათ საფუძველი ასეთი

22 იქვე, გვ. 227—238.

23 იქვე, გვ. 239.

24 А. Цагарели. Грамоты ...т. II, с. 300—301.

განცხადებისა, რადგან ბევრი ქართველი პატრიოტი გარკვეული ჯოზომების
ლიტერატური მოსაზრებით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში
ბრალს დებდა არა რუსეთის იმპერატორს, არამედ ქართველ ელ-
ჩებს. 1801 წლის ამბების თანდამსწრე ბაგრატ ბატონიშვილი წერ-
და: „ჭავჭავაძე გარსევანმა... მიართვა წიგნი იმპერატორს პავლეს
თვით გაკეთებული სახელსა ზედა მეფისასა, რეცა აღება მეფობი-
სა საქართველოდამ და გახსნა ღუბერნისა... მსმენელმა ამისამან
იმპერატორმა დაამტკიცა თხოვილი მისი და მიუღო მეფობა და-
ვითს და მიუწერა უპირველეს მართებელს კავკასიისა კნორინგს
...რათა გახსნას საქართველოსა შინა მართებლობა რუსეთისა და
დაიყრან თვისად“²⁵. ითანე ბატონიშვილიც იმაში აღანაშაულებს
ელჩებს, რომ მათ ბოროტად გამოიყენეს მეფის რწმუნება და გა-
ყიდეს საქართველო²⁶.

ქართველი ხალხის სიძულვილი მარტო ელჩებმა როდი დაიმ-
სახურეს. შერისხული ოღონინდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმე-
ბისათვის ბრალდებული ცველა პირი. ხალხის ეს გრძნობები კარ-
გალ არის გადმოცემული ორჯიმანდრიტი ექვთიმეს შიგრ კნორინგი-
სათვის 1802 წლის 23 აპრილის გაგზავნილ წერილში. აქამდე მო-
ნასტრის ბერები, წერს არქიმანდრიტი, უსიტყვოდ მემორილებო-
დნენ, ახლა კი „რუს ხელმწიფეს საქართველო ამან მიართვაო, ბე-
რები ამიტეხს და ამ მიზეზით მტანჯავენ. ჟეშმარიტია, საქართვე-
ლოს... გამოხსნისათვის მეფე გიორგი ვაწუხე, დიდხანს
დაუშვერ სამეცნის გადლითა, საქართველო მისის დიდებულებისა-
თვის მივართმევინე. ჟეშმარიტება მოწიმეა, თუ არა ჩემი დიდი
შრომით, ეს საქმე არ მოხდებოდა. ახლა ამის მიზეზით ვიტანჯები.
ყოველ კიდეს იპყრობთ, თქვენთვის დევნილი არ ჟეშმიწყალოთ—სა-
მართალია, ...ჩემი მოხსენება საიდუმლო იყოს, უარესს მიყოფენ“²⁷.

მართალია, რუსეთის ცარიზმს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმე-
ბაში რამდენიმე რენეგატი ქართველი მართლაც დაეხმარა, მაგრამ ამ
საქმის მთავარი შემოქმედი თვით იყო. ცარიზმი ვერ ურიგდებოდა
იღვილობრივ თვითმმართველობას, ხალხს „სრულუფლებიან“ ქვე-
შევრდომებად აქცევდა. ასე მოექცა იგი ქართველ ხალხსაც.

1802 წლის აპრილში გენერალი კნორინგი მრავალი რუსი მო-
ხელის თანხლებით, რომელთაც თან მოპქონდათ ვახტანგ მეექვსის

²⁵ ბაგრატ ბატონიშვილი. ხალხი მოთხოვნბა, გვ. 77-78.

²⁶ ი. ბატონიშვილი, კალმასობა. ტ. I, გვ. 128—131.

²⁷ AKAK, I, c. 443.

მიერ რუსეთში გატანილი წმინდა ნინოს ჯვარი, თბილისში ქადაგის შოდ შემოვიდა. ქრისტიანობის სიმბოლოს ქართველთა რელიგიური კულტურული გრძელების უნდა ემოქმედა, რუს მოხელეებს კი რუსეთის კანონებისადმი პატივისცემა უნდა შთავენერგათ იმპერატორის ახალ ქვეშევრდომთა გულში. მალე სიონის ტაძარში წაიკითხეს ალექსანდრე 1-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების და რუსული მართვა-გამგეობის შემოღების შესახებ. ამის შემდეგ კნორინგმა დამსწრე საზოგადოებას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის დადგება მოსთხოვა. ქართველები აღშფოთდნენ, ბევრმა მათგანმა უარი თქვა ფიცები. მაგრამ ამას უკვე აღარ შეეძლო მოვლენათა განვითარების შეცელა. კნორინგის ბრძანებით უკმაყოფილობი დააპატიმრეს. ცარიზმის ბატონობა — თვითნებობა-ჩეპრესიები იწყებოდა²⁸.

* * *

რუსეთის შთავრობის მიერ შემოღებული მართვა-გამგეობის წესები ქართველი ხალხისათვის გაუგებარი იყო. ქვეყნის ინტერესები, მართალია, მოითხოვდა ფეოდალურ-ვასალურ ურთიერთობათა ნორმების უარყოფას, აბსოლუტური მონარქიის დონემდე ამაღლებას, მაგრამ ცარიზმს არ შეეძლო ეს პროგრესული საქმე სამართლანად და თანაც ქართულად შეესრულებინა. ანგარი მექანიზმე მოხელეები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს. ისინი ქვეყანას თავის საწველ ფურად თვლიდნენ და ხალხს. ყოველნაირად იციტროებდნენ.

ყველაზე ადრე რუსულ თვითმპურობელურ მმართველობას ოპოზიციაში ქართველი თავადაზნაურობა ჩაუდგა. რუსეთის სახელმწიფო სამართალი არ სცნობდა აღმინისტრაციულ თანამდებობათა მეტყვიდრეობით ფლობის ქართულ წესს, რის გამო ბევრმა თავადმა აშკარა ზარალი განიცადა. ქართველი მოხელე თავადაზნაურობის შედარებით მცირე ნაწილი მოხვდა საქართველოს უზენაეს მმართველობასა და სამაზრო სასამართლოებში. კერძოდ, 1802 წლის მაისში საქართველოს უზენაესი მთავრობის ექსპედიციებში მრჩევლებად შევიდნენ: კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ესტატე ციციშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, სულხან თუმანიშვილი,

28 საქართველოს ისტორიის ნაჩვევები. ტ. IV, 1973, გვ. 818.

დარჩია ბებუთოვი, რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, ივანე მარკოს ძე ნიკოლოვაშვილი, ქაიხოსრო ჩოლოვაშვილი, დავით აბაშიძე, ზეგალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი და ომან ხერხეულიძე. სამაზრო სასამართლოთა მსაჯულებად დაინიშნენ: ნიკოლოზ ციციშვილი, ბირთველ თუმანიშვილი, ზაზა სოლოლაშვილი გლახა ჭილაძე, გიორგი ჩოლოვაშვილი, დავით ქობულაშვილი, აღამ ანდრონიკაშვილი და ასლან ვაჩინაძე. სამაზრო საპოლიციო გამგეობებში თანამდებობები მიიღეს: ვახუშტი ჭავახიშვილმა, ივანე ბეგთაძე-გვემა, გაბრიელ ყორლანოვმა, ანდრია გაბაშვილმა, რევაზ მურვანიშვილმა, ფარებული ჭილაძემ, ბექან სიღამონ-ერისთავმა, იოსებ ვავჭავაძემ, რევაზ ანდრონიკაშვილმა და სხვ. პოლიციელის პოსტი და ფუნქციები... მიუკირტუმ სურგულოვმა (თბილისში), განუიღო არუთინოვმა (გორში), ივანე გურგენიძემ (თელავში), გრიგოლ ნაცვლიშვილმა (სიღნაღში), ივანე კობიაშვილმა (დუშეთში)²⁹. მა თანამდებობებზე დანიშნულ პირებს მეტ-ნაკლები იდენტობით ჯამაგირი და ენიშნათ და ამდენად მათ რამდენადმე აინაზლაურეს ძელი მეტკვადრეობითი თანამდებობების გაუქმებით განცდილი ზარალი. მაგრამ მოხელეობას შერჩენილი ეს თავადაზნაურობა მაინც უკმაყოფილი იყო. დებულებით ნაგულისხმევი კოლეგიური მმართველობა პრაქტიკაში ერთპიროვნულ რუსულ მმართველებად იქცეოდა, საიდანაც ქართული ელემენტი არსებითად გაძევებული იყო. ცეკვა და საქმეს მთავარმმართველი, მმართველი, ექსპედიციის უფროსები და კაპიტან-ისპრანიკები წყვეტდნენ, ქართველი მრჩეველ-მსაჯული კი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. ეს თავისებური პენსიონერი „გისამრჩელოს“ იმისათვის იღებდა, რომ მდუმარედ მჯდარიყო და თავისი უფროსის, რუსი მოხელის თვითნებობისათვის ხელი არ შეეშალა³⁰. კიდევ მეტ უკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, თავადაზნაურობის ის დიდი ნაწილი აცხადებდა, რომელსაც ძველი თანამდებობა უსაზღაუროდ (პენსიის დანიშვნის გარეშე) დაათმობინეს და ახალი თანამდებობა კი არ მისცეს.

გლეხობას ჯერჯერობით თითქოს არ ჰქონდა უკმაყოფილების მიხეზი, მაგრამ ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს შიშით უცემდა და ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ხალხის ფართო მასებში

²⁹ AKAK. T. I. c. 448—449.

³⁰ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. გვ. 266—267.

ესოდენ პოპულარული მეფის, ერეკლე II-ის ვაჟის უკანასკნელი
დამტკიცებას უქერდა შხარს.

თავადაზნაურობისა და ხალხის ასეთი განწყობილება, როგორც
ჩანს, კარგდ იცოდნენ ბატონიშვილებმა. ისინი თავის უფლებათა
დაცვისა და სამეფოს ოღვენისათვის ბრძოლაში, იმერეთის მე-
ფესთან ერთად, სპარსელთა და ლევთა ძალის გამოყენებასაც ვარა-
ულობდნენ, მაგრამ უმთავრეს იმედს ქართლ-კახეთის მოსახლეო-
ბაზე იმყარებდნენ. მართალია, რუსული მმართველობის სამი თვის
მოქმედებამ ქართველი თავიადაზნაურობისა და გლეხობის გარკვეუ-
ლი ნაწილის უკმაყოფილება გაზარდა, მაგრამ 1802 წლის ივლი-
სის შეთქმულება სამეფოს შენარჩუნებისათვის წელიწადნაზევრის
წინ დაწყებული ბრძოლის ლოგიური გაგრძელება და მისი ერთი
ეტაპი იყო. შეთქმულთა საქმიანობის ხასიათს ძირითადად იულონ
ერეკლეს ძე, მისი ძმები და მათი მომხრე დასი განსაზღვრავდა.

1802 წ. 20 ივლისით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ
მთავარმართველს უკვე მოსელია ცნობები კახეთში დაწყებული
მოელვარების შესახებ. კნორინგი დაბეჭითებით წერდა, იმაში მთა-
ვარი ბრალი მიუძლვით ბატონიშვილებს. ორი დღის შემდეგ ვენ-
ერალ-მაიორი გულიაკოვი აცნობებდა ლაშარევს, რომ ვამოსვლის
მთავარი ორგანიზატორება თავადები—სიმონ და დავით ქობულა-
შვილები, იოსებ ჭავჭავაძე და მღვდელი ელეფთერი არიანო. კოვა-
ლენსკი ამ სიას უმატებდა გიორგი დიმიტრი და დავით ჩოლოყა-
შვილებს, იოსებ და ომან ჯანდიერებს, ნინია ჭავჭავაძეს და რევაზ
ვაჩინაძეს. საქართველოს მთავარმართველი და მისი თანამშრომე-
ლი რუსი მოხელეები მიღებულმა ცნობებმა ძალიან შეაშფოთა. მათ
ჯარის ნაწილებით გაამაგრეს სტრატეგიული აღვილები. ჩატარეს
ლონისძიებანი მღვდლარება კახეთიდან ქართლსა და თვით თბილის-
შიც რომ არ გავრცელებულიყო³¹.

მღვდლარების პირველი კერები ქიზიყში გაჩნდა. თავადაზნაუ-
რობა და გლეხობა (ერთი ცნობით 40 ათასი კაცი) 1802 წ. 25 ივ-
ლისს შეიკრიბა კელმენჩურს და გამართა სჯა-ბაასი ქვეყნის მდგო-
მარებაზე. სიღნაღილიდან ამ შეკრების დასაშლელად ჯარის ნაწილი
გაიგზავნა, მაგრამ იგი შეთქმულებმა უკანვე გააქციეს. თავიადაზნა-
ურობამ და გლეხობის საგრძნობმა ნაწილმა ფიცი დასდო იულო-
ნის ერთგულებაზე, თან შიგნი კახეთის მოსახლეობას მოუწოდა
გამოსვლისაკენ. „აქ კელმენჩურზე შევიყარენით, — წერენ შეთქ-

³¹ AKAK, T. I, c. 361—362.

გულნი, — დავითიცეთ იულონის მეფობაზედ... ამ ამპავში რომ
ვიყავით, პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჭარით და არტილერიით, წერებული
მაგრად დავხვდით, დაბრუნდა ისევ. ახლა თქვენც მაგრად და მხნედ
იყავით, გლეხიც და თავადიც... ეს ამბავი გაღმაც აცვიდინეთ უკე-
ლას... ყოვლად სამღვდელო ნეკრესელო, შენც ამაზე მხნედ უნდა
იყო, ხალხი გაამხნევო და ფიცით შეჰქრა ხელმწიფის ერთგულება-
ზედ და იულონის მეფობაზედ³².

ამ მიმართებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მთელი კახეთი მღელ-
ვარებამ მოიცვა. ჭერ კიდევ 21 ივნისს კახელებმა წერილით მიმარ-
თეს გენერალ გულიავოს. საქართველო, ნათქვამია წერილში,
პატარა ქვეყანა არის. ჩვენ გვებრძოდა თურქეთის ხონთქარი, ირა-
ნის ყაენი და დალესტანი. მაგრამ მათ ვერაფერი დაგვაკლეს. „ვერც
მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს კაისკოპოსობა, ვერც მოშალეს
თავადობა და ვერც მოშალეს გლეხობა“³³. მტრებისგან შევიწროე-
ბულმა ჩვენმა მეფემ რუსეთის ხელმწიფეს შესთხოვა მფარველო-
ბა. ინება ყოვლადმოწყალე ხელმწიფემ და საქართველო რუსეთს
შეაერთა და მანიფესტები გვიბობა“. მაგრამ მანიფესტებით აღთქ-
მული დაპირებაწყალობანი არ აღსრულდათ. ქვეყნად მშეიღობა
ვერ დამყარდა, თავადაზნაურთა და გლეხთა ინტერესი დაცული
არაა, ბევრი თავადაზნაური დაპატიმრეს და მამული ჩამოართ-
ვესო. არ ვიცით რა დანაშაული გვაქვს? თუ ხელმწიფის ბრძანე-
ბით გვსჯით, გამოვიცხადეთ ისე გარდაგხედეს, თუ თქვენ თა-
ვად გვსჯით, ერთობით თავადნი და გლეხი მოგახსენებთ, ამის
პასუხი უნდა მოვცეთ, რომ ხელმწიფეს არზა მივართოთ და ჩვენი
შეჭირვება მოვახსენოთ.

გენერალმა გულიავომა კახელებს ამ წერილზე პასუხი არ
აღირსა, რეპრესიები კი გააძლიერა. პირველ რიგში წერილის მიმ-
ტანი, შემდეგ კი რამდენიმე აქტიური შეთქმული დაპატიმრა.
გაიგო რა ამის შესახებ კახეთის თავადაზნაურობამ და ხალხმა გუ-
ლიავოს 25 ივნისს მეორე წერილით მიმართა. დაპატიმრებულ
თავადებს არაფერი ბრალი არ მიუძღვით, მთელმა კახეთმა ჭერ
რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე, ხოლო შემდეგ იულონის მე-
ფობაზე დაიფიცაო. ჩვენ გვინდა, რომ „იულონ მეფედ გვიჯდეს და
ხელმწიფის ერთგული ვიყვნეთ. რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსა-
ხური ენებებოდეს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ

³² იქვე, გვ. 363.

3. ა. ბენდი ნიშვილ.

გვიბრძანოს და ისე ჩვენის შეძლებით ხელმწიფეს ვემსახუროთ³³... აქ ძალიან ნათლადაა გამოთქმული შეთქმულთა და მთელი ქართველი ხალხის სურვილი. ისინი რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენას მოითხოვდნენ.

მოძრაობის მეთაურები მალე დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებასთან პეტიციების გზავნა წყლის ნაყვა იქნებოდა. მათ ავტონომისტთა ერთიანობის განმტკიცების მიზნით კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ფიცი დაადგებინეს განშრახული საქმის ერთგულებაზე. ფიცის ტექსტი ასე იკითხება: „ჩვენ ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებელთა... ესე წიგნი და პირობა დავდევით, რომ... რუსეთის იმპერატორს მოვახსენოთ მუხლის დფომით და ვედრებით, რომ ჩვენზედ დიდად მოჭირნახულეს.... მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოს და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვას და ჩვენის მეფით მათის დიდებულების მფარველობის ქვეშ ვიყვნეთ. ვინც ამაში უკან განსდგეს, წმიდის სამების უარისმყოფელიც იქნება, ბაგრატიონთ ოჯახის მუხანატიცა და ჩვენც ერთობით გარდავახდევინოთ“³⁴. მოძრაობის მეთაურებმა იმპერატორის სახელზე თხოვნა შეადგინეს და მასზე ხელმოწერის შეგროვება დაიწყეს, რომელშიც დაუფარავდა გამოცხადებული ქართველი ხალხის უმრავლესობის სურვილი.

„უმოწყალესონ ხელმწიფევ! — ნათქვამია თხოვნაში — როდესაც ერთგულებასა ზედა ოქვენსა დაგვაუიცეს, მყის გამოგვიცხადეს მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოვეკესენებიოს კარსა წინაშე უდიდებულებისა ხელმწიფობისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე.“

ეს ფრანციელთ მზგავსი რესპუბლიკაობა ოქნებოდა ჩვენგან. ჩვენს ბატონებს (მეფეებს. — ა. ბ.) რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ ვუარყოთ... ეს ჩვენი აზრი არ არის. — მაცდურთა კაცთაგან მომხდარია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალგვარად გარჩილის და ღვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენი მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ“³⁵. ხელს აწერენ ანდრონიკაშვილები, ბებურიშვილები, ჩოლოყაშვილები,

³³ AKAK, ტ. I, ც. 368—369.

³⁴ AKAK, ტ. I, ც. 387.

³⁵ იქვე.

ვაეკვაძეები, ვაჩნაძეები, ჯორგაძეები, განდიერები. ნეკრესიშვილები
ტროპოლიტი, აფხაზები, მაყაშვილები და სხვ.

დაბატიმრებულ პირთა და მოწმეთა ერთი ნაწილის ჩეენგბი-
ლან ჩანს, რომ თითქმის ყველა აწერდა ხელს რუსეთის იმპერატო-
რისათვის გასაგზავნ თხოვნას ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის
შესახებ და ამას დანაშაულად და მით უმეტეს რუსეთის წინააღმ-
დეგ მიმართულ აჯანყებად არ თვლიდა, რადგან ერთლროულად
ფიცს დებდნენ რუსთ ხელმწიფოს ერთგულებაზე. მაგრამ მალე
მოძრაობის ხელმძღვანელთათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთა-
ვრობა სხვაგვარად მსჯელობდა, მას ქართველ ავტონომისტთა მოძ-
რაობა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებად, უმძიმეს დანა-
შაულად მიაჩნდა და მის ჩასახშობად სასტიკ რეპრესიებს მიმარ-
თავდა.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, შეთქმულებსაც საპასუხო ღო-
ნისძიებანი უნდა ჩაეტარებინათ. მათ გააძლიერეს აგიტაცია, კრე-
ბებს აწყობდნენ, ვლეხებს გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ. შეთ-
ქმულების ორგანიზატორები დაუკავშირდნენ ვახტანგ ბატონი-
შვილს და მას საქართველოს სამხედრო გზის ჩაეტვა სოხოვეს.
ბევრი თავადი სპარსეთს გაიქცა და შინ დარჩენილებს აცნობებდა
ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის დიდი ჭარებით რუსთა გან-
სადევნად მოდისო.

სპარსეთისათვის სანუკვარი ოცნება იყო საქართველოდან რუ-
სეთის ჭარის განდევნა, მაგრამ საამისო ძალები მას არ გააჩნდა.
ამავე დროს ქართველებს უნდა სცოდნოდათ, რომ სპარსეთის შავი
რუსეთის იმპერიაში შემავალ ქართლ-კახეთის ავტონომიური სამე-
ცოს აღდგენისათვის თავს არ გამოიდებდა. მოძრაობის წარმატება
საქართველოს შინაგანი ძალების გაერთიანებაზე იყო დამოკიდე-
ბული. ეს კი შეუძლებელი გახდა. ქართლ-კახეთის ფეოდალური
კლასი ვერ გაერთიანდა, გლეხობას კი ვერ არ დაეკარგა რუსეთის.
მთავრობის იმედი, მას უკავშირებდა ქვეყნად მშვიდობა-სამართ-
ლიანობის დამყარებას. რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობაში დი-
დი ხალისით არ მონაწილეობდა. ასეთ პირობებში ქართველ ავ-
ტონომისტთა გამოსვლა თავიდანვე განწირული იყო.

მთავრობამ სწრაფად მიიღო გადამჭრელი ღონისძიებანი. ალე-
ქსანდრე ბატონიშვილთან გაქცეულ თავიდთა მამულები სახაზი-
ნოდ გამოცხადდა. ამავე დროს მთავრობამ დასწრება ამჭობინა.
ეიდრე შეთქმულნი აშკარა აჯანყების დროშას ააფრიალებდნენ, კა-
ხეთში გენერალი ლაზარევი გაგზავნა დიდი ჭარით, ხოლო დუშეთის

მგდარი ვახტანგ ბატონიშვილის შეპყრობა გენერალ ტუჩქოვა
დაავალა.

3 აგვისტოს ლაზარევი თავის ჯარით ქიზიყს ჩავიდა ჭაბაშვილის
ქმულებს მორჩილებისაკენ მოუწოდა. შეთქმულებმა ვერ გაძელეს
რუსთა რეგულარული ბატალიონებისათვის წინააღმდეგობის გაწევ-
ვა და დანებება ამჯობინებს. 3—6 აგვისტოს მოძრაობაში მონაწი-
ლეთა დიდი უმრავლესობა მორჩილებით გამოცხადდა ლაზარევ-
თან. ამ უკანასკნელმა შეთქმულები აიძულა იულონის მეფობაშე
ფიცი უარეყოთ და საქართველოში გამოცხადებული ახალი ხელი-
სუფლებისათვის ერთგულება შეეფიცათ. წარმატებით შეასრულა-
თავის მისია გენერალმა ტუჩქოვმაც: 10 აგვისტოს მან ვახტანგ ბა-
ტონიშვილი მიინდო და თბილის წამოიყვანავს.

ამგვარად, 1802 წლის ივლისის გამოსვლა მარცხით დამთავრ-
და. ეს იყო ქართველ ივტონომისტთა მოძრაობის პირველი ეტაპის
დასასრული. როგორც დავინახეთ, 1801—1802 წლებში მოძრაობა
ქართლ-კახეთის სამეფოს იღდევნისათვის უპირატესად შშვილობიან
ხასიათს ატარებდა. ქართველ ბატონიშვილებს, თავადაზნაურობას
და ხალხს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რუსთა სამართლიანი ხელ-
შწიფე ბაგრატიონთა უფლებებს დაიცავდა. ანგარიშს გაუწევდა
ხალხის სურვილსაც და ქართლ-კახეთს მფარველობაში თავის მე-
დიესთან ერთად მიიღებდა. ამ გამოსვლის ლიკვიდაციის შემდეგ ეს
ილუზია მხოლოდ მცირე ნაწილს შერჩა. ივტონომისტებმა იმედი
ძირითადად ხალხის ფართო ანტიცარისტულ მოძრაობას დაუკავ-
შირეს.

* * *

1802 წლის გამოსვლის ლიკვიდაციის შემდეგ უმაღლესმა მთა-
ვრობამ დაავალა ციციანოვს ჯერ კიდევ საქართველოში დარჩენი-
ლი მეფის ოჯახის წევრები სასწრაფოდ გაესახლებინა რუსეთში.
რავი ნებით არაერთ მიდიოდა, ციციანოვმა ძალას მიმართა.

მთავარამართებელმა შეადგინა სამეფო სახლის წევრთა რუ-
სეთს გადასახლების ქრონოლოგიური გეგმა, რომლის მიხედვით ეს
ფრიად მნიშვნელოვანი, რუსეთის მთავრობის აზრით, ღონისძიება
1803 წლის ივნისში უნდა დამთავრებულიყო. ამ სიაში მოხვდნენ:
ერეკლე II-ის ქვრივი, დედოფალი დარეჯანი, გიორგი XII-ის ქვრი-

36 6. ბერ ძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 272.

ვი, დედოფალი მარიამი. ერეკლეს შეიღები — იულიანი, ფაქტობრივი ზი, ვახტანგი, ალექსანდრე, ქეთევანი, თეკლე. გიორგის შეიღები — დავითი, იოანე, ბაგრატი, თემურაზი, ჯიბრიალი, ილია, ოქროპირი, ირაკლი, თამარი, ანა და სხვ. ყველა ისინი რუსეთს უნდა წასულიყვნენ თავიანთი ოჯახებით³⁷. ამ ღონისძიებით ფიქრობდა მეფის მთავრობა აეტონომისტთა მოძრაობისათვის საფუძველის გამოცდას.

1803 წლის 10 თებერვალს ციციანოვი იმპერატორს სწერდა, რომ დედოფალმა დარეჯანმა, ვახტანგ და დავით ბატონიშვილებმა რუსეთს გადასახლებაზე კატეგორიული უარი განაცხადესო. მათი ეს ერთსულოვანი უარი ნაწილობრივ ამართლებს ხმებს იმის შესახებ, რომ ალექსანდრე, იულიანი და ფარნაოზი აპირებენ ადრე გაზაფხულზე სპარს-ლეკთა ჭარით შემოიჭრან საქართველოში, რათა აღადგინონ სამეფო. ამასთან ერთად მოგახსენებთ, რომ აქ ვავრცელდა ხმები თითქოს მე არ მაქვს უფლება ძალდატანებით გავასახლო ბაგრატიონები რუსეთში. ამიტომ იძულებული გავხდი მათთვის მეჩევნებია თქვენი უმაღლესობის რესპუნქტი, რომლითაც ნება მეძლევა გაშოვიყენო არა მარტო დარწმუნების, არამედ იძულების საშუალებაც. მეფის ოჯახის წევრთა რუსეთს გადასახლება — დაასკვიდა ციციანოვი, შექმნილ სიტუაციაში მე აუცილებლად მიმართია. ამისათვის კი სხვა საშუალება, გარდა ძალდატანებისა, როგორც ჩანს, არ ვამოღვებათ³⁸.

ციციანოვმა კატეგორიულად მოითხოვა სამეფო სახლის წევრების რუსეთს გადასახლება. 1803 წლის 11 თებერვალს დავით ბატონიშვილი საყვედურნარევი ტონით სწერდა ციციანოვს: მივიღე თქვენი წერილი, მებრძანა რუსეთს გადასახლება. 1200 წლის წინ ავიდა ჩევნი ვარი სამეფო ტახტზე, ახლა კი ასე უსამართლოდ ვეისტუმრებენ სამშობლოდან. მაგრამ ბრალს არავისა ვდებთ (კვლავ ახერხებდა თავის შეკავებას ტახტის მემკვიდრე), ამის მიზეზი ჩევნივე უბედურება არისო. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა ჯერ ჩემი თხოვნა გაგევზაენათ იმპერატორთან. შეიძლება მისი უმაღლესობა დარწმუნებულიყო ჩემს სიმართლეში და მოეღო მოწყვილება. სამეფო ტახტს თუ არ დამიბრუნებდა, სამშობლოში ცხოვრების ნებას მაინც მომცემდათ³⁹.

³⁷ АКАК, т. II, с. 65.

³⁸ იქვე, გვ. 68—69.

³⁹ АКАК, т. II, с. 173.

რუსი გენერლები და იმპერატორი ალექსანდრე I ყრულუნენი ქართველი ბატონიშვილების ვედრებისადმი და თთქმის ომავითოა ანგარიშს არ უწევდნენ ქართველი ხალხის სურვილს ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნების თაობაზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ცხადი გახდა ავტონომისტებისათვის და მათ, ბუნებრივია, მოქმედების ტაქტიკა შესცვალეს. თხოვნა-საჩივრებიდან აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. სამეფოს აღდგენის გეგმა ხალხის ანტირევილ მოძრაობას დაუკავშირეს.

1804 წლს რუსულ-ირანის ომი დაიწყო. ორი ქვეყნის ეს ბრძოლა ამიერკავკასიაში ბატონობისათვის ავტონომისტებმა ხელ-საყრელ მომენტად ჩათვალეს და გააქტიურდნენ. ქართველი ბატონიშვილები—იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან, ხოლო ალექსანდრე და თეიმურაზი სპარსეთიდან ცდილობდნენ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აემზედრებინათ მაპმადიანი ხანები, მთიელები, ქართველი თავადები. წერილებით და მოციქულებით, რჩევით და დაპირებებით ისინი ყველას ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისა და მოუწოდებლნენ⁴⁰.

1804 წლისათვის ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა სამ ჯგუფად იყოფოდა. ცარიზმის მმართველობის მომხრეთა დასს ქმნილნენ ქვეყნის ღალატისა და სხვა დანაშაულისათვის ერეკლე II-ის მეორ შერისხული თავადაზნაურნი, რომელიც ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ აღდგენილ იქნენ თავის სამამულო უფლებებში. აქცე შედიოდნენ ცარიზმისა და მისი მოხელეებისა-გან სხვადასხვა წყალობა-საჩიუქრებით მოსყიდული პირები. რუსული მმართველობის აშკარა მოწინააღმდეგეთა დასში შედიოდნენ ბატონიშვილებთან ერთად გაქცეული თავადაზნაურები და ქვეყნის შიგნით მიმალული ოპოზიციონერები. მესამე ჯგუფი—თავადაზნაურთა დიდი უმრავლესობა რუსული მმართველობის უკანონობის იყო, მაგრამ რეპრესიებით შეშინებული აშკარა მოქმედებას ვერ ბედავდა.

ავტონომისტებს თავის მთავარ საყრდენ ძალად მეორე ჯგუფი მიაჩნდათ, მაგრამ არ ეჭეობდნენ, რომ ხელსაყრელ სიტუაციაში მესამე ჯგუფსაც გაიყოლებდნენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი გლეხობის პოზიციას. გლეხი მტერი იყო ყველა უსამართლო მოძალადისა,

40 6. ბერძენიშვილი ი. საქართველოს ისტორიის საეთხები. II, გვ. 320.

მეცნიერი ბატონი იქნებოდა ის თუ სახელმწიფო მოხელე, ქართველები და მოურავი თუ რუსი კაპიტან-ისარავნიყი.

ოთხ წელიწადში ქართველმა გლეხობამ საკმაოზე მეტად იგე-გა რუსული თვითმცყრობელური მმართველობის უკუღმართობა-ნი. მძიმე სახელმწიფო გადასახადები, უტანელი საგზაო-სატრანს-პორტო ბეგარა, საერობო პოლიციის თვითნებობა-ბოროტმოქმე-დება, სასამართლოს მოხელეთა უსამართლობა-გაუკითხაობა იყო გლეხობის უკმაყოფილების უმთავრესი მიზეზზი ამ დროს. განსაკუ-თრებით მძიმე იყო საქართველოს სამხედრო გზის პირად მცხოვ-რებ მთიელთა მდგომარეობა. გზა-ხიდების გაკეთება, მათი მოვლა, ტვირთის ზიდვა აუტანელ ბეგარად აწვა მოსახლეობას. გლეხობა სახელმწიფო ბეგარა-ვალდებულებებს ნებით თუ ძალდატანებით ასრულებდა, საკუთარი მეურნეობის წარმოებისათვის კი დრო არ ჩამოარდა. სავალალო ისიც იყო, რომ გლეხები ამ აუტანელ შრო-მაში კანონით დაწესებულ მცირე გასამრჩელოსაც ვერ ლებულო-ბდნენ. პოლიციის მოხელეების წინააღმდეგ ჩივილი კი „აჭანყე-ბად“ ცხადდებოდა, რასაც სამხედრო ეგზეკუციები მოსდევდა. ბარის ქართველისა და ამაყი მთიელის შეურაცხოფა-შეეგინება ჩაე-ულებრივ მოვლენად იქცა. ხალხის მოთმინების ფიალა ისებოდა და გამოსავალს ეძებდა.

რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყების შემდევ საგზაო-სატრანს-პორტო ბეგარა და სხვა ვალდებულებანი კიდევ უფრო დამძიმდა. მასთან ერთად ანანურის მაზრიდან ერევნის ექსპედიციაში მონა-წილეობისათვის სახალხო ლაშქარიც მოითხოვეს. არაგველები ლაშქარში ერთსულოვნად გამოვიდნენ, მაგრამ ერევანს კი არ ვა-შმართნენ, არამედ ანტირეუიმული აჭანყების დროშა ააფრიალეს.

1804 წლის ივნისს-ივლისში არაგველებმა აიღეს სტეფან-წმინდა, ლარსი. დაუუფლენენ სამხედრო გზას ანანურამდე და კავ-კასიაში მდგარი რუსთა ქარების კომუნიკაციები შუაზე გაპკეტეს. მალე აჭანყებას შეუერთდნენ ფშავ-ხევსურები. მთიელებმა მოცი-ქულები გაგზავნეს იმერეთში, ბატონიშვილები იულონი და ფარ-ნაოზი აჭანყების ხელმძღვანელებად მიიწვიეს.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტთა, სამეფოს ალ-დეგნისათვის ამ თავგამოდებულ მებრძოლთა მოწვევა თავისთავიდ იმის მაჩვენებელია, რომ მთიანეთის მოსახლეობამ ცარისტულ შმართველობასთან შედარებით უპირატესობა მიინიჭა ოთხი წლის წინ გაუქმებულ ქართლ-კახეთის სამეფოს შმართველობას. აჭანყე-ბულები რუსულ ორიენტაციას არ ლალატობდნენ, მაგრამ საჭი-

როდ მიიჩნევდნენ იმპერიის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის მცირე
ტონომიური სამეფოს აღდგენას.

იულინი და ფარნაოზი იმერეთიდან დაუყოვნებლივ გაემართ-
ნენ აჯანყებით მოცულ მთიანეთისაკენ. მათ შეუერთდა ქართლის
თავადთა ერთი ჯგუფი, სხვები კი სიტუაციის გარკვევას ელოდე-
ბოდნენ. მთავრობამ მთიანეთისაკენ მიმავალი გზები გადაკეტა,
ყველგან რუსთა ჭარის რაზმები ჩაყენა. ერთმა რაზმა იულინი
დაატყვევა, ფარნაოზმა კი გაქცევა მოახერხა. იგი ქვემო ქართლსა
და ბაშბაქს ჩავიდა, აქედან კი კახეთის გავლით მთიულეთს გადა-
ვიდა. კახეთის თავადაზნაურთა საგრძნობი ნაწილი ბატონიშვილს
გაჰყვა, ანტირევიმულ აჯანყებას შეუერთდა.

ციციანოვი და მისი ხელქვეთნი მთიანეთის აჯანყებამ ფრიად
შეაშფოთა. მათ აჯანყებულ მთიანეთს საქართველოში მდგარი ჭა-
რის ნაწილები შეიყვანეს, თანაც შექმნილი ვითარების შესახებ იმ-
პერატორს აცნობეს. ალექსანდრე I-ის ბრძანებით კავკასიის სამ-
ხედრო ხაზიდან საქართველოსაკენ წამოვიდა გენერალი ნესვეტა-
ევი 3000 ჭარისკაცით და 30 ქვემებით. აჯანყებულები ორ ცუცქს
შუა მოექცნენ. მათ ვერ გაუძლეს რუსეთის რეგულარული არ-
მიის მრავალრიცხოვანი ნაწილების შემოტევას და თავიანთი გამა-
გრებული პოზიციები დასთმეს. გენერალმა ნესვეტაევმა დაიკავა
ლარსი, დარიალი და სტეფანწმინდა, სიონთან დაამარცხა ფარნაოზ
ბატონიშვილის რაზმები და 19 ოქტომბერს ანანურთან შეუერთდა
თბილისიდან გამოსულ ციციანოვის ჭარებს. აჯანყებულები დამარ-
ცხდნენ. ფარნაოზ ბატონიშვილი სპარსეთისაკენ გაიქცა, მაგრამ
იგი რუსთა რაზმა დაატყვევა ყაზახის მიდამოებში.

ფარნაოზის დატყვევების ამბავი ციციანოვის ავენტიმა ელიზ-
ბარ ერისთავმა სასწრაფოდ შეატყობინა აჯანყებულთა მეთაურებს
და რუსეთის მთავრობისადმი დამორჩილება ურჩია მათ. საპასუ-
ხოდ აჯანყების ორი მეთაურთაგანი — ბარამი და გელევანი (გვა-
რები დოკუმენტში მოხსენებული არაა) სწერენ ერისთავს, ჩვენ ძა-
ლიან შეგვაწუხა ფარნაოზის დატყვევების ამბავმა, მაგრამ ბრძო-
ლი მაინც უნდა განეაგრძოთ. „რა ვქნა, ჩემო ხელმწიფი, თუ
ფარნაოზ დაიჭირეს ალექსანდრე, თემურაზი და ლევან ხომ ისევ
არიან“⁴¹. აქედან ცხადია, რომ დატყვევებასა და რუსეთს გადასახ-
ლებას გადარჩენილი ბატონიშვილები ბევრს კვლავ აჯანყების დრო-
შად მიიჩნდა. სწორედ ამიტომ ასე დაეინებით ცდილობდა რუსე-

⁴¹ AKAK, II, c. 145.

თის მთავრობა საქართველოს ბაგრატიონებისაგან განწყობილი მუსიკური რუსეთს გადასახლებას.

მთიანეთის აჯანყების ჩატრობა ავტონომისტთა მოძრაობის მძიმე მარცხი იყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენზი იულინ ბატონიშვილი ფარნაოზთან ერთად რუსეთს იქნა გადასახლებული. მარცხით დამთავრდა ქართლ-კახეთის სამეფოს ოდგვინის კიდევ ერთი ცდა. მაგრამ ხალხის ფართო მასების ბრძოლას უქმდა არ ჩაუვლია. ქართველმა ხალხმა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართლის მთიანეთის მოსახლეობამ, რუსეთის მთავრობის აღვირასნილ მოხელეებს დაუმტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა, რომ მისი უსამართლოდ და-ჩაგრა-შეურაცხყოფა არც ისე აღვილია. ციციანოვი იძულებული გახდა მთიელებისათვის მიეცა შტკიცე წერილობითი განაწესი, განესაზღვრა გზის პირის მოსახლეობის უფლება-მოვალეობა, რითაც რამდენადმე შეიზღუდა რუს მოხელეთა თვითნებობა-ბორიტ-მოქმედება.

2. დასავლეთ საქართველოს სახეობ-სამთავროების უისლა რესეტის მუსავლობაზე. ცოლომონ II-ის პრიმის ავტონომიური სახეობის გადარჩევისათვის

XVIII ს. უკანასკნელ შეკვედში იმერეთის სამეფოს საშინაოდა საგარეო მდგომარეობა საქმიანდ მყარი იყო. თურქეთი ამაռდ ცდილობდა გამოეყენებინა ქუჩუკ-კინარჯის ტრაქტატი, რომლითაც რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოზე სულთნის ბატონობას სცნობდა. იმერეთის სამეფომ ბრძოლით მოიგერია თურქეთის შემოტევები, პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, საოსმალო ხარჯს თავი დაალწია. XVIII—XIX სს. მიზნაზე იმერეთი საქართველოს სამეფოსამთავროთა შორის ყველაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით იმერეთის სამეფო ხელისუფლება თურქეთის შესაძლო აგრესისაგან საბოლოოდ თავის დაღწევის საშუალებას დაუცხრომლად ექცებდა და ორიენტაციის აღებას რუსეთზე აპირებდა. XVIII ს. 80-იან წლებში სოლომონ I-მა რუსეთის იმპერატორს ისეთივე მფარველობა სთხოვა, როგორიც გიორგიესესის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ მიიღო. მაგრამ იმ დროს რუსეთის მთავრობას

მიზანშეუწონლად მიაჩნდა თურქეთთან ურთიერთობის განვითარების
და ამიტომ იმერეთის მეფეს მფარველობაზე უარი უთხრა. თურქე-
თის შიშით რუსეთი დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში
ჩარჩოსა და მასზე პროტექტორატის დაწესებისაგან თავს იკავებ-
და XIX ს. დამლევამდე.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ, ბუნებრივია, იმერეთის
მეფე შეაშფოთა. სოლომონ II არ მოერიდა რუსეთის მთავრობის
წყენას, აშეარად დადგა ერეკლეს მემკვიდრეთა მხარეზე და დაქი-
ნებით ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას. როგორც
აღვნიშნეთ, სოლომონმა არაერთხელ სთხოვა რუსეთის იმპერა-
ტორს იულონ ერეკლეს ძის ქართლ-კახეთის შეფედ დამტკიცება,
მაგრამ ამაოდ 1801 წლის იულისში იმერეთის მეფის დღესანები
სოლომონ ლეონიძე და როსტომ ნიქარაძე რუსეთის მთავრობის
კავკასიელ ხელისუფალთ მოახსენებდნენ, რომ სოლომონ II მზა-
დაა შევიდეს რუსეთის მფარველობაში, მაგრამ იმ პირობით თუ
ქართლ-კახეთის მეფედ იულონი იქნება დამტკიცებულიო.

ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისათვის ასეთი ზრუნვა
სავსებით გასავაბია. სოლომონ II-ს კარგად ესმოდა, რომ აღმო-
სავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად იმერე-
თის სამეფოს დამოუკიდებლობასაც უდიდესი საფრთხე ემუქრე-
ბოდა⁴².

კავკასიის მთებს გადმოლმა გადმოსული რუსეთის ხელისუფ-
ლება, რა ოქმა უნდა, ქართლ-კახეთს არ დასჯერდებოდა. ამ ხელ-
საყრელ პლატარიზზე დაყრდნობით იგი მთელი ამიერკავკასიის
დაპყრობას აპირებდა. ირანის მბრძანებელი ბაბა-ხანი ინგლისის მო-
კავშირე იყო. ამიტომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართ რუსე-
თის მთავრობა აშეარად მოქმედებდა, დათათბირებით თუ ძალით
ცდილობდა მაპმადიანური სახანოების რუსეთის იმპერიის შემად-
გენლობაში შეუვანას. თურქეთი კი ამ დროს რუსეთის მოქავშირედ
ითვლებოდა. ბუნებრივია, რუსეთის მთავრობა ერიდებოდა სულ-
თანის წყენას და დასავლეთ საქართველოს მიმართ გარკვეულ
დრომდე საიდუმლოდ მოქმედებდა, გაცილებით მეტ სიფრთხილეს
იჩინდა.

XVIII—XIX სს. მიზნაზე იმერეთის მეფე აქტიურად საქმია-
ნობდა დასავლეთ საქართველოს სამთავროთა დამორჩილებისათ-

42 6. ბერძნიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II, გვ.
279-283.

ვის. გურიელი აღიარებდა სოლომონ II-ის უზენაეს ხელისუფლებულებას, დადიანი კი მეფის ყმობას არ კადრულობდა. ამიტომ სოლომონმა ძალას მიმართა და სამეგრელოს დამორჩილებისათვის ბრძანაში დიდ წარმატებას მიაღწია. შევიწროებული დადიანი დახმარებას ხან აფხაზთა მთავრის თხოვდა, ხანაც ახალციხის ფაშის, ბოლოს კი რუსეთის მთავრობის კავკასიელ ხელისუფალთ მიმართა.

იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც აქამდე თვით მოითხოვდა რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ მიღებას, ქართლკახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ეჭვით უცქერდა რუს ხელმწიფის მოხელეთა ლონისძიებებს და იმპერიის მფარველობაში შესვლის სურვილს უკვე აღმა გამოთქვამდა, ციციანოვის „სიყვარულისა“ და „მშეიღობის“ წერილები მასზე აღმა ახდენდა რუსეთის მთავრობისათვის სასურველ შთაბეჭდილებას. ამიტომ მთავარმმართველმა სხვა საშუალებები გამოიყენა. მან მოქრთამა მეფის კარისკაცები, საერო და სასულიერო მოხელეები, ამავე დროს სამხედრო ძალის გამოყენების მუქარასაც არ მოერიდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ სოლომონ II უხალისოდ დაჰკვეა ციციანოვის სურვილს, რუსეთის იმპერატორს წერილი გაუგზავნა, მფარველობაში მიღება სთხოვა. შექმნილ სიტუაციაში იმერეთის მეფემ „ძალით ჩათრევის ნებით ჩაყოლა“ ამჯობინა, თან კი სამეფოს გადასაჩინებლინისძიებათა გეგმა შეადგინა.

„სოლომონ მეფე დიდი მოხერხებით ცდილობდა დაეცვა თავის სამეფო საფრთხისაგან, რომელიც მას კარზე მოსდგომოდა. მეფეის პირველი სატხოვარი ის იყო, რათა ხელმწიფეს ყველა ქვეყნისათვის ეცნობებინა, რომ იმერეთის მეფე და მისი ქვეყანა მან თავის საფარველში მიიღო. ამ ხერხით სოლომონი, თითქოს და სიხარულით ცას ნაშევი, ვითომ ქვეყანას თავის გაბედნიერებას ატყობინებდა, ნამდვილად კი ამით ის თავის წამხდარი საქმის შეელას აპირებდა. სხვა ქვეყნებს, მსოფლიო პოლიტიკურ აზრს, რომელსაც რუსეთის მთავრობა ოფიციალურად დიდ ანგარიშს უწევდა, იმერეთის მეფე თავის საქმის მოწმედ მოუწოდებდა იმ პატრიონთან ურთიერთობაში, რომელიც პირმტკიცუობას იჩემებდა, მაგრამ მისი ნდობის საფუძველი იმერეთს მეფეს არ ჰქონდა“⁴³.

სოლომონ მეფე კარგად იყო ინფორმირებული რუსეთის მთავრობის განზრახვებში, იცოდა, რომ იგი იმერეთის სამეფოს მოშლას და ქვეყნის უშუალოდ დაუფლებას აპირებდა. ამიტომ როცა

43 ნ. ბერძენიშვილი ი. დასახ. ნოშრ., გვ. 289.

სოლომონი რუსთა ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა კრისტიანები ცდილობდა, რომ მფარველი აეძულებინა სათხოვარი პუნქტები გი-ელო და დაცვა.

მფარველობის სათხოვრად რუსეთის იმპერატორთან ელჩის გაგზავნისთანავე სოლომონ II-მ მოციქული სტამბოლსაც აფრინა და რუსეთ-იმპერეთის ურთიერთობაში თურქების სულთნის ჩარევა მოიწადინა. იგი ვარაუდობდა, რომ ამ ორი მოქიშპე სახელმწიფოს დაპირისპირებით იმპერეთის სამეფოს დაცვის უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა. ამასთან ერთად, სოლომონ II-მ გრიგოლ დადიანთან მთარიგებაც სცადა. წინადაღება მისცა მას უარი ეთქვა რუსეთის მფარველობაში დამოუკიდებლად შესვლაზე. იმპერეთის მეფე ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობაში მთელი დასავლეთ საქართველოს სახელით გამოსულიყო.

თურქეთი თავის მოკავშირე რუსეთთან საქმის გართულებას მოერიდა, დასაცლეთ საქართველოს გამოსარჩევის სურვილი არ გამოიჩინა და სოლომონ II-ის მოციქული უარით გამოისტუმრა. რუსეთის მთავრობის სტამბოლუმა ელჩმა კი სოლომონ მეფის ეს დალატის მსაგვის საქციელი იმპერატორს და ციციანოვს აცნობა. უფრო ადრე კი ციციანოვი ჩაერია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში, სოლომონ მეფეს დადიანის დაჩავრის ნება არ მისცა. გამოირკეა, რომ სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში მიღების საკითხი რუსეთის საიმპერატორო კარზე უკვე გადაეწყვიტათ და ამიტომ სოლომონს უთხრეს, როცა ხელმწიფის საფარველში შენც შემოხველ, მეფისა და დადიანის დაესა იმპერატორი პირუთვნელად გაარჩევს. იმპერეთის მეფეზე ამ ეტაზზე ყველა მიმართულებით მარცხი განიცადა. რუსეთის მთავრობამ იღვვეთა დასავლეთ საქართველოს გერმანების ტენდენცია და ამით აქაური სამეფო-სამთავროების იმპერიასთან შეერთების საქმე გაიადვილა⁴⁴.

1803 წელს გრიგოლ დადიანმა სათხოვარი პუნქტები გაუგზავნა იმპერატორს და რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი გამოთვევა. იმპერატორმა „შეიწყალა“ დადიანი, მისი სათხოვარი პუნქტები დაამტკიცა.

ხელშეკრულების თანახმად, სამეგრელო შედიოდა იმპერიის მფარველობაში როგორც შეზღუდული ავტონომიური სამთავრო-მაგრამ რუსეთის მთავრობას შეერთების ეს ფორმა შექმნილი სი-

⁴⁴ ნ. ბერძენიშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 293.

ტუაციით ნაკარნახევ დროებით ლონისძიებად მიაჩნდა და ხელსაყ-
რელი მომენტის დადგომისთანავე სამეცნიეროს სამთავროს შემატებით
მება ელოდა.

სამეცნიეროს საკითხის გადაწყვეტის პარალელურად მიმდინა-
რებდა რუსეთ-იმპერიის მოლაპარაკება მფარველობა-მოკავშირე-
ობის პირობებზე. 1804 წლის მარტში სოლომონ II-მ ციციანოვ-
თან თავის დესპანები გაგზავნა, რუსეთის მფარველობაში შესვლა-
ზე მზადყოფნა განაცხადა იმ პირობით, თუ იმერეთი ფართო ავ-
ტონომიას შეინარჩუნებდა. რუსეთის მთავრობამ თითქოს ანგარიში
გაუწია სოლომონის სურვილს, მფარველობა-ხელტებულობის ხელ-
შეკრულების პროექტიც შესთავაზა მას. მაგრამ ამ პროექტით იმ-
დენად იზღუდებოდა იმერეთის სუვერენიტეტი, რომ მეფემ მასზე
ხელი არ მოაწერა.

განრისხებულმა ციციანოვმა იმერეთის საზღვარზე მრავალრი-
ცხოვანი ჯარი გაგზავნა და სოლომონ II-ს ხელშეკრულების პრო-
ექტის მიღება-დამტკიცება კატეგორიულად მოსთხოვა. იმერეთის
მეფემ კვლავ სცადა იმერეთის სუვერენიტეტის დაცვა, ავტონომი-
ური უფლებების გაფართოება მოითხოვა, მაგრამ როცა რუსთა ჯა-
რი იმერეთში შეიჭრა და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგუ-
ლებაზე დაფიცებას შეუდგა, სოლომონი იძულებული გახდა დათ-
მობაზე წასულიყო. 1804 წლის 25 აპრილს სოჭ. ელაზნაურში იმე-
რეთის მეფემ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და რუსეთის იმპე-
რატორის ერთგულებაზეც დაიფიცა.

ელაზნაურის ტრაქტატის ძალით იმერეთის მეფობა სოლომონ
II-ს სამეცნიეროდ უმტკიცდებოდა. იმერეთის მეფე პირობას
დებდა, რომ დამორჩილდებოდა რუსეთის იმპერატორის მიერ და-
ნიშნულ ხელისუფალს—საქართველოს მთავარმმართეველს. ქვეყნის
შინაგანი მართვა-გამეობა და სამართალი, მართალია, მეფის ხელთ
რჩებოდა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევისას რუსულ
კანონებს უნდა დაყრდნობოდა. იმერეთის სამეფოში, გარეშე
შტრებისაგან დასაცავად და შინაგანი შშეიღობის უზრუნველსა-
ყოფად, იგზავნებოდა რუსეთის ჯარი. იმერეთის მოსახლეობას
ევალებოდა რუსთა ბატალიონების დაბინავება და სურსათით მო-
მარავება.

ციციანოვმა ფრიად კმაყოფილი ტონით აუწყა იმპერატორს,
რომ სოლომონ მეფემ თავის დიდებულებთან ერთად რუსეთის იმ-
პერატორისადმი ერთგულების ფიცი დადო და ამდენად ეს ქვეყანა
გადაიქცა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად. იმერეთის სამეფოს

შესვლა იმპერიის მფარველობაში იმპერატორმაც აღიქვა როგორც
შეერთება და თავის დიდ მოხელეს მადლობა გადაუხადა ამ კანკინის უკან
კეთილად დაბოლოებისათვის⁴⁵.

მაგრამ სოლომონ II სხვაგვარად ფიქრობდა. იგი ბრძოლას
სულაც არ თვლიდა საბოლოოდ წიგებულად, იმედოვნებდა, რომ
იმერეთის სამეფოს სრულ დამოუკიდებლობას თუ არა, ფართო ავ-
ტონომიას მაინც შეინარჩუნებდა.

სოლომონ II უშვილო იყო. ელაზნაურის ტრაქტატის ძალით
მის მემკვიდრედ დავით გიორგის ძის ვაჟი კონსტანტინე გამოცხა-
დდა. რუსეთის მთავრობის სურვილი იყო იმერეთის ტახტის კანო-
ნიერი მემკვიდრე და მისი მომხრე თავადები სოლომონ მეფეზე
მუდმივი პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად გამოყენებინა.
იმერეთის მმართველმა წრეებმა კარგად იყოდნენ, რომ რუსეთის
ცარიზმის საზრუნავს კონსტანტინე ბატონიშვილის ინტერესთა და-
ცვა კი არა, სამეფოს გაუქმება შეადგენდა ამაში მალე თვით კონ-
სტანტინე ბატონიშვილიც დარწმუნდა. იგი ქართლიდან იმერეთში
გაიქცა. იმერეთის სამეფო კარზე გამოცხადდა. სოლომონ II-მ გა-
იყრითება კონსტანტინეს მომხრე თავადები და ბაგრატიონთა სა-
გვარეულოს ეს წარმომადგენელი, რომელიც მასზე ზემოქმედების
საშუალებად სურდათ ექციათ, რუსეთის მთავრობაზე ზემოქმედე-
ბის საშუალებად გამოიყენა.

ციციანოვი და მისი წარმომადგენელი იმერეთში—ლიტვინოვი
თავის მხრივ ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ სოლომონ II-
ს მდგომარეობის გასართულებლად. ისინა ცდილობდნენ იმერე-
თის მეფის წინააღმდეგ აეჭედრებინათ დასავლეთ საქართველოს
მთავრები, თანდათან შეეზღუდათ სოლომონ მეფის უფლება—კომ-
პეტენცია და, თუ სისხლისლერის გარეშე მოხერხდებოდა, ტახ-
ტიდან გადაეგდოთ იგი და იმერეთი რუსეთის ჩეეულებრივ პრო-
ვინციად გადაეჭირიათ.

სოლომონ II კარგად ხედებოდა და აშეარად ამხელდა რუსე-
თის იმპერატორის დიდმოხელეთა გულისნაფებს. 1804 წ. 22 დე-
კემბერს იმერეთის მეფე ლიტვინოვს სწერდა, რომ ციციანოვმა და-
პირება არ შეასრულა, ლეჩებუმის საკითხი დადგიანის სასარგებლოდ
გადაწყვიტა, ხოლო იმერეთში საჭიროზე მეტი რუსთა ჯარი შემო-
იყვანაო. წარსულ მაგალითებზე მიმითითებენ და ყველა იმას მე-
უბნება, რომ რუსეთის მთავრობა სიცოცხლეშივე ჩამოგართმევს

⁴⁵ АКАК, т. II, с. 374, 391.

სამეფო ტახტს და იმპერიუმი გავისტუმრებსო. მე ამ ხმებს, ჰასკარაუ
ძენს სოლომონი, არ ვერწმუნები, იმდინა ყოვლადმოწყალე ჩატე-
რატორი არ გამშირდეს, მაგრამ იძულებული ვარ სიფრთხილის ღო-
ნისძიებანი მივიღოთ⁴⁶.

იმერეთის მეფე სრულ უნდობლობას უცხადებდა რუსეთის
მთავრობასა და მის ადგილობრივ დიდ მოხელეებს. იგი შიშით შეს-
ცეროდა ქუთაისში დაბანაკებულ რუსთა ჯარის ბატალიონს. სო-
ლომონ II წინადადებას აძლევდა ციციანოვს ბატალიონი ქუთაი-
სიდან გაეყვანა და სალაის დაეყვენებინა. 1805 წ. 15 ივნისს კი მე-
ფე საყვედურით სწერდა ციციანოვს, რომ წერილობითი პირობა
დაარღვივ და ლექსზმის ციცები ჩამომართვით. უცერებონიოდ
ერევით სამეფოს შინაურ საქმეებში. ლიტვინოვი არა მარტო სიტ-
ყვით, არამედ საქმითაც მართვეს მეფის ფუნქციებს და მე არ შე-
შძლია საყვედური არ გამოვთვაო⁴⁷.

1806 წლის დამდეგს, ბაქოსთან მოკლული ციციანოვს ნაცვ-
ლად, საქართველოს მთავარმართველად გენერალი გუდოვიჩი და-
ინიშნა. სოლომონ მეფემ სცადა გუდოვიჩთან საერთო ენის გამო-
ნახვა. ახალი მთავარმართველისათვის გაგზავნილ წერილებში სო-
ლომონი საყვედურებს გამოთქვამდა ციციანოვისა და მის ხელქვი-
ითა მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს ტრაქტატის ზოგი მუხლი
და უსამართლოდ შეავიწროეს იმერეთის მეფე. იმპერატორის ერთ-
გულების გამო მე დავიღიწყებ ამ უსამართლობას. მხოლოდ მოვი-
თხოვ, რომ გაიყვანოთ ჯარი ქუთაისიდან და სათანადო ნოტით ალ-
ჭურვილით ჩემი ელჩები იმპერატორთან გაუშვათო. ელაზნაურის
ტრაქტატის ზოგი მუხლი, აღნიშნავდა სოლომონ II, ციციანოვმა
დაარღვია, ზოგის შესრულება ჩვენ არ ძალგვიძიო. ამიტომ, წერს
მეფე, „დიდითა სურვილითა მოსწრაფე ვაჩო, რათამცა ახლად პო-
ვოთ ოქვენ სამეფო ეს და ოქვენ მიერ ახლითა შეკრულებითა
დავვიმტებიცოთ საუკუნოდ სისხლამდე ერთგულებასა შინა იმპერა-
ტორებისა მათისასა“. ბოლოს მეფე წინადადებას აძლევს მთავარ-
მართველს, ჩემს მიერ შედგენილი ახალი ხელშეკრულების პრო-
ცეტი იმპერატორს წარუდგინე, ხოლო თუ ამსა არ ინებებ, საშუ-
ალება მომეცი ეს პროექტი ხელმშითქვეს ჩემი ელჩის ნიუარაძის ხე-
ლით მივართვით⁴⁸.

⁴⁶ AKAK, t. II, c. 420.

⁴⁷ AKAK, t. II, c. 422, 439, 446.

⁴⁸ იქვ, გვ. 115, 120—121.

სოლომონ II-ის მიერ იმპერატორ ალექსანდრე I-ისათვის
გაგზავნილი რუსეთ-იმპერეთის ხელშეკრულების ახალი პრთექტისა
შინაარსი ასეთი იყო:

1. ჩვენ მეფე იმპერეთისა და სხვათა სოლომონ II ვალიარებთ
რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის უზენაეს ხელისუფ-
ლებას.

2. ვდებ ერთგულ ქვეშეკრდომულ ფიცს მისი იმპერატორო-
ბით უდიდებულესობის წინაშე.

4. მე და ჩვენ მემკვიდრეებს იმპერატორი უცვლელად დაგვი-
ცავს იმპერეთის სამეფო ტახტზე. იმპერეთის ყოველი ახალი მეფე
იმპერატორისაგან მიიღებს დამტკიცების სიგელს იმის გამოცხადე-
ბით, რომ გურია არის იმპერეთის მეფის სამფლობელო.

5. თუ იმპერეთში ოღმანინდება საბადოები, დაიწყება ოქრო-
ვერცხლის მოპოვება და მოწყობა სხვა ფაბრიკა-ქარხნები, მათი
შემოსავლის გარკვეულ წილს იმპერატორი იმპერეთის მეფეს და-
უთმობს.

7. იმპერეთის ტყეებში არსებული გეოთმშენებლობისათვის სა-
ჭირო ხე-ტყე უფასოდ დაეთმობა რუსეთის მთავრობას. მისი დამ-
ზადებისა და ნაესადგურში მიტანის ხარჯებს კი რუსეთის ხაზინა
რეისრებს.

8. რუსეთიდან შემოტანილი საქონელი თავისუფლდება ბაჟი-
საგან.

9. იმპერეთის სამეფოში მუდმივ სამყოფელად გამოიყოფა რუ-
სეთის ჯარის მცირე რაზმი — 120 კაცი და ეს რაზმი იქ დადგება,
სადაც იმპერეთის მეფე საჭიროდ მიიჩნევს.

10. იმპერეთის მეფის კარზე იქნება რუსეთის წარმომადგენე-
ლი—მინისტრი.

11. მტრის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში რუსეთის ჯარი მი-
ეცემა იმპერეთის ტერიტორიაზე დგომა-გავლის უფლება. იმპერე-
თის მეფე ეცდება მომარავოს ეს ჯარი შესაფერისად სურსათ-სა-
ნოვაგითა და ფურაჟით.

12. დაწესდება, რომ საზემო დლებში იმპერეთის ეკლესიები
მოიხსენიებენ რუსეთის იმპერატორს.

ხელშეკრულების პროექტის დამტებაში სოლომონ II მოით-
ხოვს:

1. რუსეთის მთავრობა არ ჩაერიოს იმპერეთის მმართველობაში,
მეფეს შეჩრჩეს თავის ქვეშეკრდომთა დამცრობა-დასჯისა და ილ-
ზევების უფლება. იმპერეთის მეფის მოლალატებს თავშესაფარი არ

შეცემის რესეტში, მფარველი დაქმაროს ხელდებულს შინაგანი ცემთა დასჭაში.

2. იმერეთის მეფეს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს იმპერატორთან. რუსეთის მთავრობის ადგილობრივ დიდმოხელეებს უნდა აეკრძალოს მეფის წერილის შეჩერება, მისი ელჩების გზიდან მობრუნება.

3. კავკასიის ჯარის სარდალს მითითება მიეცეს იმპერატორისაგან, რომ იგი დაქმაროს იმერეთის მეფეს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ომის დამთავრების შემდეგ კი ჯარები გაიყვანოს იმერეთიდან.

4. იმერეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად უნდა იქნეს აღიარებული ლეჩებული⁴⁹.

ხელშეკრულების ამ პროექტს მნიშვნელოვანი კორექტივი შექმნდა ელაზნაურის ტრაქტატში. იგი მიზნად ისახავდა იმერეთის სამეფოს შინაგანი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ავტონომიურ უფლებათა გაფართოებას.

სოლომონ II მწარე პრაქტიკული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ელაზნაურის ტრაქტატზე დაყრდნობით რუსეთის მთავრობის ადგილობრივ დიდმოხელეებს არარაობამდე დაცყავდათ იმერეთის სამეფო ხელისუფლება, იმერეთს იმპერიის ჩეცულებრივ პროექტიად თვლიდნენ. ისინი განსაზღვრავდნენ იმერეთის მეფის არა მარტო საგარეო პოლიტიკას, არამედ უცერემონიოდ ერეოდნენ სამეფოს მართვა-გამგეობაში და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ სამეფოს ფორმალურადაც გაუქმებისათვის.

სოლომონ II-მ, ბუნებრივია, სკადა მოახლოებულ საფრთხის თავიდან აცილება, იმერეთის სამეფოს სუვერენიტეტის ნაწილობრივ მაინც გადატენდა. რუსეთ-იმერეთის ახალი ხელშეკრულების შის მიერ შედგენილი პროექტი ამ მიმართულებით ჩატარებული ერთ-ერთი ორნისძიება იყო. ელაზნაურის ტრაქტატის ძალით იმერეთის მეფე, ვითარცა იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი, ყველაფერში საქართველოს მთავარმმართველს უნდა დამორჩილებოდა. ახალი ხელშეკრულების პროექტში კი ამის მსგავსი არაფერია. იქ შავით თეთრზეა ჩატერილი. რომ იმერეთის მეფეს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონდა იმპერატორთან, ადგილობრივ ხელისუფალთა დაუკითხავად იმპერატორის დასტურით უნდა გადაეწყვიტა გველა საგარეო და ზოგი მნიშვნელოვანი საშინაო საკითხი.

⁴⁹ AKAK, T. IV, c. 217.

XVIII ს-ის 80—90-იან წლებში ერეკლე II-ს და გოთრგვან
XII-ს გიორგიევსკის ტრაქტატის შესრულების წინაპირობაც გამო-
ჩნდათ ქართლ-კახეთში საკმაო რაოდენობის რუსთა ჭარის შემო-
ყვანა. XIX ს-ის დამდეგს კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.
რუსეთის ცარიზმა მშეარად გამოამჟღავნა თავისი მიზ-
ნები, ჭარზე დაყრდნობით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ამა-
ვე ძალის გამოყენებით აპირებდა იმერეთის სამეფოს შეზღუდული
იკტონომიის გაუქმებასაც. სწორედ ამიტომ ჩაწერა სოლომონ II-მ
ახალი ხელშეკრულების პროექტში, რომ იმერეთში ჩაყენებული
რუსთა ასაზმი 120 კაცს არ უნდა აღმატებოდა, ხოლო ომის დროს
სამეფოში შემოყვანილი ჭარები თმის დამთავრებისთანავე უნდა
გაყვანილიყო.

ხელშეკრულების ახალი პროექტი რუსეთის მთავრობის ვიგ-
მებს არსებითად ეწინააღმდეგებოდა და, ბუნებრივია, მას განხორ-
ციელება არ ეწერა. რუსეთის ადგილობრივი დიდმოხელეები აქეთ
ედავებოდნენ იმერეთის მეფეს, საყვედლობდნენ უნდობლობისა-
თვის, მოითხოვდნენ ელაზნაურის ტრაქტატის ყველა მუხლის შეს-
რულებას.

1807 წლის 4 დეკემბერს გენერალი გუდოვიჩი მოახსენებდა
რუსიანცევს, რომ იმერეთის მეფე სოლომონმა რუსეთისაღმი
მტრული დამოკიდებულება გააძლიერაო. იგი ძალიან პრეტეზიუ-
ლი გახდა, აღარ ასრულებს ელაზნაურის ტრაქტატით ნაკისრ ვალ-
დებულებებსო. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი მას შემ-
დევ გახდა, რაც დაირთა ხმები თითქოს დროებით ზავის ძალით
იმერეთი თურქეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. მე მეფეს
მივწერ ამის მსგავსი არაფერი მომხდარათქო, მაგრამ, როგორც
ჩანს, მისთვის ხელსაყრელია ამ ხმების დაგერება. სოლომონ II
მშეარასაც კი ბედავს, კატეგორიულად მოითხოვს ქუთაისიდან
რუსთა ჭარის გაყვანასო.

მე შევისწავლე რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის მასალები,
წერს შემდეგ გუდოვიჩი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სოლომონ
II თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი რუსეთისაღმი გოხოვ,
ამის შესახებ მოახსენო იმპერატორს და გამოითხოვო უმაღლესი
ინსტრუქცია, თუ როგორ მოვექცეთ იმერეთის მეფეს. მე პირადად
მიმაჩნია, რომ ამ ხარეში მშვიდობის დაცვისა და რუსეთის ინტე-
რესები მოითხოვს სოლომონ მეფის გადაყენებას. ეს უნდა გაკეთ-
დეს პირველი ხელსაყრელი მომენტისთანავეონ⁵⁰.

1808 წლის 10 თებერვალს გუდოვიჩს გამოეგზავნა ალექსანდრე რე I-ის სახელმძღვანელო მითითება: მე დავრწმუნდი სოლომონ II-ის რუსეთისადმი მტრულ განწყობილებაში და ორა მარტო ვიზიარებ თქვენს აზრს მისი გადაყენების შესახებ, არმედ გიბრძანებ, რომ ეს საქმე დაუყოვნებლივ დაიწყო, გვეალება—იმერეთის ყოფილი მეფე, მისი ოჯახის წევრები და ბატონიშვილი კონსტანტინე გამოგზავნო რუსეთში; იმერეთში დაწესო დროებითი რუსული მმართველობა, დაარწმუნო იმერეთის მოსახლეობა, რომ დაცული იქნება მისი ინტერესები⁵¹.

იმპერატორის ამ ბრძანების შესრულება არც ისე აღვილი გამოდგა. თურქეთთან ომის ვითარებაში გუდოვიჩმა კერ გაბედა იარალის გამოყენება და მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადა საქმის ვამოსწორება, სოლომონ მეფის ერთგულება-მორჩილებაზე მოქცევა. გუდოვიჩის მითითების თანახმად, იმერეთის მეფესთან მოლაპარაკებს აწარმოებდნენ გენერალი რიგორი და გენერალი ორბელიანი, მაგრამ ამაოდ. ასევე უშედეგოდ დამთავრდა კვევასის გარების ახალი მთავარსარდლის გენერალ ტორმასოვის ღონისძიებებიც.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სოლომონ II-მ კარგად იცოდა რუსეთის მთავრობის საბოლოო მიზანი რომ იმერეთის სამეფოს გაუქმდება იყო. ამიტომ იგი არ ენდობოდა რუს მოხელეთა ტკბილ სიტყვებს და დიდ სიფრთხილეს იჩენდა. მეფემ ქუთაისი დატოვა, ვატრიხეში გამაგრდა. სოლომონ მეფე კვლავ მოითხოვდა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, თავის მეფურ უფლებათა პატივისცემას, იმერეთის ავტონომიის გაფართოებას.

განრისხებულმა ტორმასოვმა მეფესთან მოლაპარაკება შეწყვიტა, პროელამაციით უშეალოდ იმერეთის თავადაზნაურობას და ხალხს მიმართა. პროელამაციაში ლაპარაკი იყო იმერეთის მეფის შეუფერებელ საქციელზე, მის ანტირუსულ განწყობილებაზე და სხვ. რუსეთის მთავრობის დიდმოხელეები ფიქრობდნენ, რომ თავადაზნაურობა და ხალხი მეფეზე სათანადო გაელენას მოახდენდა, დააყენებდა მას იმპერატორის ერთგულების გზაზე, მაგრამ პროელამაციას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა.

სოლომონ II-მ და მისმა მრჩევლებმა ტორმასოვის პროელამაცია შეაფასეს როგორც მეფის ტახტიდან ჩამოვდების განზრახვა. სოლომონმა თავადაზნაურობა და ხალხი შეკვარა და 6 ათას კაცი

⁵¹ АКАК, т. III, с. 154.

კითხვა დაუსვა—სურთ თუ არა იგი თავის მეფედ. შექრებულებში მცდეს ერთგულება შეპოიცეს. სოლომონის ერთგული პირები სისტემა მეგრელო-გურიაშიც გადავიდნენ, იქაც მრავლად დააფიცეს ხალხი მეფის ერთგულებაზე. ამის შემდეგ სოლომონ მეფემ, თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ ტორმასოვს წერილი გაუგზავნა, ტრაქტატის შეცვლა და იმერეთის სამეფოს აკტონომიურ უფლება-თა გაფართოება მოითხოვა.

ბოლოსდაბოლოს ტორმასოვი დარწმუნდა, რომ რუსეთის მთავრობის გეგმები და სოლომონ II-ის ამოცანები დამტკრიულად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, რის გამო მშეიღობიანი მო-რიგების ყოველი ცდა განწირული იყო. კავკასიის ჯარების მთავარსარდალი იარაღის ენით ალაპარაკდა. 1810 წლის 14 იანვარს ივი სწერდა სიმონოვის, რომ სოლომონ II-ის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგაო. ჯარები უკვე მზად არის, მაგრამ საბრძოლო ობერაციები რომ გააღვილდეს, იმერეთის მოსახლეობაში მომხრეები უნდა შეიძინოთ. აღუთქვი მამია გურიელს, თუ ივი ამ ბრძოლაში რუსეთის მხარეს დაიკერს, აღიარებული იქნება დამოუკიდებელ მთავრად და ყველა იმ უფლება-უპირატესობას მიიღებს, რითაც სარგებლობს სამეგრელოს მთავარი. სასურველიათ რაჭის ერისთავის გადმობირებაც.

ამის შემდეგ, განაგრძობს ტორმასოვი, მოიმიჩენე ახალციხის ექსპედიცია, მოულოდნელად შემოერტყი ვარციხეში მეფეს, არ მისცე მას გაქცევის საშუალება. ალყაში მომწყვდეულ სოლომონს გადაცი ჩემი კატეგორიული მოთხოვნა—დაბრუნდეს ქუთაისში და შეასრულოს რუსეთის მთავრობის ყველა მითითება. თუ მან უარი გაძედა, მყისე გავატრცელე პროკლამაციები მისი გადაყენების შესახებ. ამასობაში მე დიდი ჯარით იმერეთისაკენ დავიძერები და საქმე ბრძოლით გადაწყვდება⁵².

სიმონოვიჩმა მოლაპარაკებაც სცადა, ულტიმატუმიც წაუყენა სოლომონ მეორეს, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ 1810 წლის 20 თებერვალს იმერეთში გაავრცელა პროკლამაციები სოლომონ მეფის გადაყენების შესახებ და დაიწყო ხალხის რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება. რუსეთის ჯარები ამოქმედნენ; ერთი ნაწილი გაფშურა ვაზციხისაკენ, სადაც სოლომონი იყო გამავრებული, მეორემ კი გეზა იღლო კონსტანტინე ბატონიშვილის ჩეზიდენცია ჩხარისაკენ. ჯარის ნაწილი გაიგზავნა აგრეთვე რაჭაში. იმერეთის

⁵² AKAK, τ. IV, c. 217—219.

შოსახლეობის დიდი უმრავლესობა უნდობლობით შეხვედა ჰქონის ლამაციის სიტყვების ხალხის ინტერესების დაცვის თაობაზე. ბევრი რა თავადაზნაურმა და გლეხმა უარი თქვა რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიციზე და ტყეს შეაფარა თვითი. მეტის ორგანიზებული ლაშქარი კი ციხეებში გამაგრდა.

1810 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის ჯარებმა ბრძოლით აღეს ვარციხე, ბალდადი. სოლომონ მეფე 4 ათასი მოლაშქრით ხანის წყლის ხეობაში შევიდა. რუსთა ჯარი კვალდაკვალ მიშევა მას. დიდი ბრძოლები მოხდა აგრეთვე ჩხერის ციხესთან და რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე, რის შემდეგ რუსთა ჯარებმა დაიკავეს რაჭის ცახესიმაგრეები — ტოლა, ხვანჭეარა, საღმელი, ხორევი, მინდა ცახე, ხიდიკარი, ონი.

ხანის წყლის ხეობაში რუსთა ჯარმა დიდი გაჭირვებით შეძლო სოლომონ მეორის ალყაში მოქცევა. ასეთ ვითარებაში მეფემ დანებება ირჩია, რუს ხელისუფალთ მიენდო და თავის ამაღლით ქართლში გადავიდა. 1810 წლის 13 აპრილს ტორმისოვი ამაყად აცნობდა რუმიანცევს: გამოვგზავნე მაცნე, რომელსაც მოაქვს ჩემი უშვეშევრდომილესი მოხსენება იმპერატორისადმი იმის შესახებ, რომ უმაღლესი ნება იმერეთის სამეფოს შესახებ შესრულდა. ეს ქვეყანა ცველა თავის ციხესიმაგრეებით დავიკავეთ ერთ თვეში. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღელელოება და ხალხი, სულ 40 ათას კომლამდე დაფიცებულია ხელმწიფის ერთგულებაზე, ურჩივასალ სოლომონ მეფე და არცვევებულია. გილოცავთ ამ დიდ შენაძენს, იმერეთის უშუალოდ იმპერიის შემაღებულობაში შესვლას. ბედნიერად კოვლი თავს, რომ ღმერთმა მე მარგუნა იმპერატორის ესოდენ რთული დავალების შესრულება⁵³.

რუსეთის მთავრობამ საქმე მოთავებულად ჩათვალი, დააჭილდოვა იმერეთის შემოერთებაში დამსახურებული პირნი, ჩამოაყალიბდა იმერეთის დროებითი რუსული მმართველობა. მაგრამ ზემომანადრევი გამოღვა.

როგორც რუსთა აღგილობრივ ხელისუფალთ ტყვედ ნებდებოდა, სოლომონ II-ს მცირე იმედი მაინც ჰქონდა იმპერატორისაგან შეწყალებისა. მაგრამ მას შემდეგ რაც მცველები მიუჩინეს და რუსეთს გამგზავრებაზე დაუფირავიდ ჩამოუგდეს სიტყვა, იგი დარწმუნდა, რომ მისი იმედი ამათ იყო. სოლომონმა მიზნად დაისახა ტყვეობიდან გაქცევა და თავის ერთგულ ქვეშევრდომთა შეშვეო-

⁵³ AKAK, T. IV, c. 245—250.

პირ ჩინებულადაც მოაწყო ეს საქმე. 1810 წლის 10 მაისს, ეგვიპტის
ლაშით, სოლომონი თბილისიდან გაიქცა და ახალციხეს შემფრენების
თავი.

სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამ აუშერელი შეშფოთება
გამოიწვია ტორმასოფსა და მის ქვეშევრდომ მოხელეთა შორის. გა-
მოუთქმელი მწუხარებით შევიტავ, წერდა ტორმასოვი რო-
ზენს, იმერეთის ყოფილი მეფის გაქცევის ამბავი. მე ყოველთვის
შეშინოდა ამის და ამიტომ თბილისიდან წასულის წინ სპეციალუ-
რად დავიბარე, რომ სოლომონი ყოლოდათ მეაცრი მეთვალყურე-
ობის ქვეშ. მაგრამ დაცვის შეცდომების წყალობით ეს არასასია-
მოვნო ამბავი მაიც მოხდა, რაც დიდ უბედურებად დაგვიჯდე-
ბაონ⁵⁴.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლნი
კი სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამ უზომოდ გაახარა. ალექსან-
დრე ბატონიშვილი თავად ოტია ლორთქითანიძეს წერდა. „ამერ-
თი შემობრუნდა ჩვენსკენ და ჩვენი სახლის ბედნიერება დაიწყო“. მეფე სოლომონი გაიქცა თბილისიდან და ქოთელიაში გამოცხად-
და. ყოველმხრივ გაეგზავნე მაცნენი წერილებით. ვიცი, რომ ბავ-
რატიონთა ერთგული ხართ, თქვენი ვაჟკაცობა ახლა გამოჩნდებაონ⁵⁵.

ახალციხეში ჩასულმა სოლომონმა მჩქეფარე პოლიტიკური
საქმიანობა გააჩარა. წერილებით მიმართა თავის ყოფილ მოხელე-
ებს, მღვდელმთავრებს, თავადაზნაურობას, ხალხს. ეს პოწოდებები
საქმის ცოდნით, დიდი ოსტატობით იყო შედგენილი. მეფემ კარ-
გად იცოდა იმერეთის მოსახლეობის რუსული ორიენტაციის ამბა-
ვი. ხედავდა, რომ იმერლებს რუსთა ხელმწიფის მტრობა არ ვდოთ
გულში. მაგრამ სოლომონი იმაშიც დაწმუნებული იყო, რომ იმე-
რეთის მოსახლეობა კიდევ უფრო ერთგული იყო საკუთარი მეფი-
სა, რომელიც თავისი ათასწლოვანი პოლიტიკური თვითმყოფობის
განსახიერებად მიაჩნდა. იმერელ საზოგადოებას ჯერ კიდევ ლრმად
სწამდა, რომ იმერეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს ინ-
ტერესები ერთომეორეს არ გამორიცხავდნენ. ამიტომაც იყო. რომ
სოლომონ მეფე ამ თავის მოწოდებებში ცდილობდა, რომ იმერელ
საზოგადოების თვალში რუს ხელმწიფეს არ დაპირისპირებოდა.
იმერეთის საზოგადოება თვითვე უნდა დაწმუნებულიყო, რომ

54 AKAK, IV, c. 265.

55 იქვე, გვ. 265.

რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფესთან ურთიერთობაში შეუსტიშოვა
გებელ პოზიციას ადგა⁵⁶.

1810 წ. 17 მაისს სოლომონ მეფე გენათელ მიტროპოლიტს
ექითიმეს სწერდა: როცა ჩემი გული დარწმუნდა, რომ რუსეთში
გაგზავნას მიპირებდნენ და ვეღარ ველირსებოდი სამშობლოსა და
თქვენს ნახვას, გადავწყვიტე გაქცევა. 10 მაისს ჩემი ერთგული 23
თავადაზნაურის თანხლებით ღამის 2 საათზე გავიქცევი თბილისი-
დან და ჩავედი ახალციხეს. გოხვეთ, მიიღო ჩემს საქმეში მამობრი-
ვი მონაწილეობა, შეეცადეთ, რომ დამიბრუნონ ჩემი ქვეყანა და
ამით დავალებულ გვყონ მე და ჩემი სამეფო სისხლი დავლვაროთ
რუსების ერთგულებისათვის. ამ მიმართულებით იმოქმედე და იმე-
რეთის საზოგადოების სულისკვეთებაც ამ მიმართულებით წარ-
მართეო⁵⁷.

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა სო-
ლომონმა ზურაბ წერეთელს, შეახსენებდა მას სამეფოსათვის აღრე
გაწეულ სამსახურს და მოუწოდებდა დახმარებისაენ. ზურაბ წე-
რეთელმა მიიღო სოლომონ მეფესთან ერთად გაქცეული თვეისი
ვაჟის სიმონის წერილიც. ეს უკანასკნელი ევედრებოდა თავის გავ-
ლენიან მამას: „ლეთის გულისათვის ეცადეთ ჩვენი მეფისათვის,
ნუ დაგროვებთ თათრების ხელში. შენ შევიძლია შეარიგო მეფე
რუსებთან. სოხოვე და დაგიჯერებენ. თუ შემს თხოვნას ანგარიშს
არ გაუწევენ, ჩვენ მხარეს მაინც იყავი. თუ ამ საქმეზე არ გაირჩე-
ბი, კუშმარიტად მცაცრად აგებ პასუხს ლმერთის წინაშე. შენთვის
შეიძლება კარგი იქნეს რუსებთან ყოფნა... მაგრამ როგორც ჩვენი
მამაპაპანი აქეთებდნენ ჩვენც ისე მოვიქცეთო“⁵⁸.

ამგვარად, სოლომონი, მისი უახლოესი თანამებრძოლები და
მთელი ხალხი რუსეთ-იმერეთის ინტერესთა შერიგებას ჭერ კიდევ
შესაძლებლად თვლიდა. ამისათვის საჭირო იყო იმერეთის სამეფო-
სათვის ფართო შინაგანი ავტონომიის მინიჭება, ხალხის ზნე-ჩვეუ-
ლების, ადამ-წესების, სამეფოს მართვა-გამგეობისა და სამართლის
ნორმებისადმი პატივისცემა. ამ პრინციპებზე აღმოცენებული რუ-
სეთ-იმერეთის კავშირი ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებო-
და. მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთის ცარიზმი არ იწყნარებდა იმე-

56 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 384—385.

57 AKAK, IV, c. 267—268.

58 AKAK, IV, c. 271—272.

რეთის სამეფოს ავტონომიას, საჭირო განდა იარაღისათვის შემცირება
მოკიდება, რათა აეჭულებინათ ჩუსეთის მთავრობა მიეღო იმერე-
თის მმართველი წრების მიერ შემუშავებული და ხალხის მიერ.
მოწონებული ამ ური ქვეყნის ურთიერთობის ნორმები. ამიტომ
იყო, რომ სოლომონის მოწოდებას იმერეთის სამეფოს ავტონომი-
ათავის ბრძოლის საჭიროების შესახებ იმერეთის თითქმის მთელი
მოსახლეობა გამოეხმაურა და თავის მეფის გარშემო დაირაზმა.

სოლომონი ჯერ ისევ ტყვედ იჯდა თბილისში, როცა იმერეთის
სამეფოს ავტონომიის მომხრებმა და რუსეთ-იმერეთის კავშირის
ყველაზე უფრო აქტურმა მოღვაწეებმა — გელათის, ქუთაისის, ნი-
კორწინდისა და ხონის ეპისკოპოსებმა ტორმასოვე სთხოვეს, რომ
მას იმპერატორთან ეშუამდგომლა სოლომონის იმერეთის სამეფო
ტახტზე აღდგენის შესახებ.

ტორმასოვი ამ თხოვნის სრულიად უყურადღებოდ დატოვე-
ბას აპირებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სოლომონმა ტყვეობას თა-
ვი დააღწია და იმერეთში აჯანყების საფრთხე რეალობად იქცა,
მთავარმმართველმა საჭიროდ ჩათვალი იმერეთის მღვდელთავარ-
თა თხოვნაზე ეპასუხნა. თქვენი განზრახვაა, — სწერდა მიტროპო-
ლიტ-ეპისკოპოსებს ტორმასოვი, ჩემი მეშევრობით იშუამდგომლოთ
იმპერატორის წინაშე იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონის და-
ბრუნების შესახებ. ამაზე გიპასუხებთ, რომ სოლომონი დიდი პა-
ტივით იყო მიღებული ჩემს მიერ თბილისში და ვცდილობდი, რომ
ხელმწიფებს მისი ბედი დადებითად გადაეწყვიტა. ხელმწიფე მარ-
თლაც შეიწყალებდა თქვენს ყოფილ მეფეს, მაგრამ სოლომონმა
კიდევ ჩაიდინა დანაშაული, გაექცა იმპერატორის მართლმსაჯულე-
ბას. სოლომონი ახალციხეს გადავიდა და თქვენი საუკუნოვანი
მტრების — თურქეთის ჯარებით აპირებს იმერეთში დაბრუნებას,
ხალხისათვის დიდი უბედურების თავს დატეხს. ასეთი მოქმედე-
ბით მან საბოლოოდ დაყირგა იმპერატორის წყალობის მოპოვების
შესაძლებლობა. ამიტომ, — არიგებდა ბოლოს ტორმასოვი იმერე-
თის მღვდელთავებს, — სოლომონს კი არ უნდა გაუწიოთ დახ-
მარება, არამედ უნდა დაიცვათ იმპერატორის წინაშე დადებული
ერთგულების ფიცი და თქვენ საწმყსოს შთააგონოთ, რომ ურთი-
ერთობა არ დაიკავოს ყოფილ მეფესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში
ისინი დაისჯებიან ღმერთისა და რუსეთის ხელმწიფისაგან.

ტორმასოვი ამაოდ გაისარგა. მის მიერ სოლომონის წილები მოუხდება არავინ ირწმუნა და არც მუქარას მოუხდება რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. იმერეთის მოსახლეობა სამართლიანი საქმისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად დაირაბია.

იმერეთს საყოველთაო აჯანყების ცეცხლი მოედო. 1810 წლის ცენტში აჯანყებულთა რაზებმა ალექსანდრე მიერეთის ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში გამავრებულ რუსთა ჭარებს. იმერეთის მმართველი სიმონოვიჩი ქუთაისიდან ვერ გამოდიოდა. აჯანყებულნი მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდნენ და სოლომონი ახალციციდან იმერეთში მოიწვიეს.

სოლომონმა კარგად იცოდა, რომ აჯანყებული იმერეთი რუსეთის მრავალრიცხოვან ჭარებს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ იგი თუ, ერთი მხრით, რუსეთის მთავრობასთან მორიგებას ცდილობდა, მეორე მხრით, სპარსეთ-ოსმალეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა აჯანყებული იმერეთის ბრძოლა მათ სამხედრო მოქმედებასთან შეეთანხმებინა. ამ მიმართულებით აქტიურად საქმიანობდნენ სოლომონ მეფის მრჩევლები — სოლომონ ლიონიძე და როსტომ ნიკარაძე. იმერეთის მეფე იმედოვნებდა, რომ სპარსეთ-ოსმალეთთან ომში ჩაბმული რუსეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა აჯანყებული იმერეთისათვის დაეთმო, მიენიჭებინა მის-თვის ფართო აეტონომია.

რუსეთის მთავრობა და მისი ადგილობრივი ხელისუფალი შეუშფოთდნენ. ტორმასოვმა სიმონოვიჩს დაავალა მკვლელის მოსუიდვა და ცველა უბედურების წყაროს — სოლომონის თავიდან მოცილება. მეფის მოკვლა მის პირად მტერს ელიზბარ ერისთავს დაუვალა. სხვა ჯაშუშების და მკვლელების დასაქირავებლადაც ტორმასოვი დიდძალ თანხს გამოყოფდა, მაგრამ გაოცებული იყო, რომ აჯანყებულ იმერეთში ფულის ძალა არ ჭრიდა. სოლომონის მოქლის განხრახვა ცარიზმის ადგილობრივმა მოხელეებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს⁶⁰.

1810 წლის 10 ივნისს სიმონოვიჩი ტორმასოვს მოახსენებდა: სოლომონის გაქცევისა და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შემდეგ ცხადი ხდება, რომ მთელ ხალხს ძალიან სურს კვლავ იხილოს იგი იმერეთის სამეფო ტახტზე, მასთან ერთად იყოს რუსეთის ერთგული და დამჯერე ქვეშევრდომი. იმერლები მზად არიან

60 ნ. პერენი შვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 388—389.

რუსეთისადმი ერთგულების გამოსაცხადებლად გამოგზავნონ მშველები მეცნიერების თავის მხრივ თავადაზნაურობას და ხალხს უფლებების შეარიგონ იგი რუსეთის მთავრობასთან. მე თვით ზურაბ წერეთლის ერთგულებაშიც კი ეჭვი მეპარება. შეიძლება ის არ ფიქრობს სოლომონ მეფის მხარდაჭერას, მაგრამ მისი იმედი არც ჩეენ უნდა გვქონდესონ⁶¹.

ტორმასოვი იძულებული გახდა აჯანყების სალიკვიდაციოდ სხვა გადამშევეტი ღონისძიებანი მიეღო. იგი არ მოერიდა თურქეთ-სპარსეთის საზღვრებზე განლაგებულ რუსთა კორპუსის დასუსტებას და გენერალი ორბელიანი სამი ბატალიონითა და კაზაკთა რაზმებით იმერეთისაკენ გაგზავნა.

იქნისის შუა რიცხვებში სოფ. საკაროსთან აჯანყებულთა რაზმა (2000 კაცი) დაამარცხა მაიორ კალატოზოვის ბატალიონი. ბრძოლაში დაიღუპა თვით მაიორი და 17 ჯარისკაცი, 32 კაცი კი დაიტრა⁶². სიმონოვის 23 იქნის აცნობებდა ტორმასოვს, რომ აჯანყებულები სხვაგანაც აქტიურად მოქმედებენ. ყველა ელოდება სოლომონის შემოსვლას, ეტყობა დიდი ბრძოლები მოგველისონ⁶³.

1810 წლის ივლისის დამდეგს გენერალმა ორბელიანმა მიაღწია სურამის ქედს და იმერეთში ორი მიმართულებით სცადა შესვლა. მაიორი ტიხოცი ერთი ბატალიონით ალის გზით გაგზავნა, თვითონ კი მთავარი ძალებით იმერეთისაკენ ვახანის გზით დაიძრავა გრამ ბნელათხევში აჯანყებულებმა მალხაზ ანდრონიკაშვილის და როსტომ წერეთლის მეთაურობით ტიხოცის გზა გადაუჭრეს, ალყაში მოაქციეს და დიდადაც დააზარალეს. ორბელიანი იძულებული გახდა ვახანის გზა მიეტოვებინა და ტიხოცის რაზმს მიშველებოდა. ცხარე ბრძოლის შემდეგ მან იხსნა ტიხოცის ბატალიონის ნაშთი, მაგრამ იმერეთში შესვლა ამის გამო ძალიან დაუგვიანდა⁶⁴.

13 ივლისს მ. ანდრონიკაშვილი და რ. წერეთელი სოლომონ მეფეს სწერდნენ, რომ რუსები სასტიკად დავამარცხეთ. 440 კაცი-დან მხოლოდ 160 კაცი გადარჩა ცოცხალი. ამის შემდეგ რუსების დასახმარებლად დ. ყაფლანიშვილი (ორბელიანი) მოვიდა 500 კაცით. მას ჩეენ საფარში დავხედით და უკან, ქართლისაკენ გაეაძრუნეთ. მისი რაზმის ნაწილი 260 კაცი კი გავწყვიტეთო⁶⁵. ეს მარ-

⁶¹ AKAK, IV, c. 287.

⁶² იქვე, გვ. 291.

⁶³ იქვე.

⁶⁴ 6. ბერძენი შეილი. დასახ. ნაშრ., გვ. 389.

⁶⁵ AKAK, IV, c. 303.

ცხი აღიარა თვით გენერალში ორბელიანშაც. იგი ტორმასოვმა მართვა-
უდედურებით აავსო, ჯარი არ უნდა გაგეუო და შეტევის მიმართუ-
ლება არ უნდა შეგეცვალაო. იდამიანთა დაქარგვა თავისთავად ძა-
ლიან სამწუხაროა, მაგრამ იმერელთა ამ გამარჯვებამ და თქვენმა
უკან დახვევამ აფანყებულები გაამხნევა და დამატებითი სიძნელეები
შეგვიწმნაონ⁶⁶.

15 ივლისს ტორმასოვმა გენერალი ორბელიანი გადააყენა და
იმერეთის აფანყების ჩაქრობა გენერალ როჩენს დაავალა. ეს უკა-
ნასკნელი აფანყებულთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. იმერლებს
გზები ჩაეხერგათ, საფრებში მეთოფეები ჩაესხათ, წინ ეღობე-
ბოდნენ, გვერდებიდან სცემდნენ ცარიზმის ჯარს. ექვს დღეს მოუნდა
როჩენი ჩხერიდან ჭრთაისს ჩასვლას. დიდი ბრძოლები მოხდა
ჩხერს, ცხრაწყაროს, ყვირილას ფონზე, სიმონეთთან. 29 ივლისს
როჩენმა დაამარცხა ჭრთაისს მოალყო აფანყებულთა რაზმები და
სიმონოვის შეუერთდა.

იმერლები თავდაცვაზე გადავიდნენ. ცარიზმის ჯარის სარდლობა
აფანყების სწრაფ ლიკვიდაციის ცდილობდა, იმერეთის მეფე კი
მის გახანგრძლივებას. სოლომონი თავს დიდი მოხერხებით იცავ-
და, სოფლიდან სოფელში გადაიဝიდა, ელვისებრ პარტიზანულ
ბრძოლის უმართავდა მდევარ ჯარებს და სწრაფად უჩინარდებოდა.
8 აგვისტოს დიდი ბრძოლა მოხდა სოფ. რიონთან, 10 აგვისტოს
გელათის ახლოს როჩენმა ვერ შეძლო აფანყებულთა განადგურე-
ბა და სოლომონის შეპყრობა. მეფე ისევ გაუსხლტა მდევარ ჯარს.
ის ახლა უკვე მთელ თავის იმედს სპარსეთ-ოსმალეთის საომარ
კამპანიას უკავშირებდა, მაგრამ რუსეთის ამ მტრებმა ვერ გამოი-
ყენეს ხელსაყრელი სიტუაცია, ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, ერ-
თობლივი ლაშქრობა ვერ მოაწყვეს. 1810 წ. 5 სექტემბერს რუსთა
ჯარმა გენერალ პაულუხის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა
თურქთა ჯარი ახალქალაქთან. სოლომონ მეფემ გარედან დახმა-
რების იმედი დაქარგა, აფანყება უცხრსპექტივო გახდა⁶⁷.

მეფის ჯარის ნაწილებმა სექტემბრის დამდეგს ვარციხე დაი-
კვეც და მიზნად დაისახეს სოლომონისათვის გასაქცევი გზა მოექ-
რათ. აფანყებულმა იმერლებმა ვარციხეში გამაგრებულ ცარისტებს
კომუნიკაციები გადაუჭრეს, ალყაში მოაქციეს და მიმდე მდგომა-
რეობაში ჩააყენეს. გენერალმა როჩენმა ბლოკადაში მოქცეულთა

⁶⁶ ივენ, გვ. 304.

⁶⁷ 6. ბერძენი შეკვეთის დასახ. ნაშრ., გვ. 390—392.

დასახმარებლად 3-ათასიანი ჭარი გაგზავნა, რომელმაც შეკვეთის
აჯანყებულთა გაფანტეა.

3 სექტემბერს ტორმასოვი სიმონოვის სწერდა: მომზის ცნო-
ბები, რომ აჯანყებულთა რაზმები გაფანტულია, ბევრი მათგანი
რუსთის ერთგულებაზეცაა დაფიცებული. მაგრამ შესაძლოა ამას
ისინი თავის სურვილით აქეთებენ, რათა ისევ შეგროვდნენ სხვა
დროს და სხვა ადგილას. ამიტომ ვიდრე ბოროტების სათავე არ
მოისპობა, მანამდე საკითხი გადაჭრილად არ ჩაითვლება. აუცილე-
ბლად საჭიროა სოლომონის შეპყრობა ან მოკვლა, მისი განდევნა
საქმის დასასრულს როდი ნაშნავს. გადადეთ 2 ათასი თუმანი, მო-
ნახეთ საიმედო ადამიანი, რომელიც მიზანს არ ააცდენს, სოლომო-
ნის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალების გამოყენება შეიძლება.
ბოროტების ამ სათავის მოსპობისათვის არ დაზოგო იარაღი, რეი-
ნა, ფული. მისი მოკვლით ყველაფერი კარგად დამთავრდება⁶⁸.
ამის შემდეგაც ტორმასოვი ყოველ ბრძანება-მიმართვაში იმერეთის
მმართველს ამ საქმეს მოაგონებდა, რჩევას ძლიერდა, თანაშემწე-
ებს უსახელებდა, მაგრამ ცოტმორეული იყო, რომ სოლომონის
მოკვლას ვერ ახერხებდა⁶⁹.

1810 წ. სექტემბრის შუა ჩიცხვებში სოლომონი 2000 კაცით
ხანისწყლის ხეობაში გადაეიდა. სიმონოვისმა მის დამარტება-შეპ-
ყრობისათვის დიდალი ჭარები გაგზავნა. მართალია, ბრძოლაში
რუსთა ჭარებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სოლომონის
დატვევება. იგი თავისი ლაშერის ნარჩენებით მტერს გაუსხლტა,
დატოვა იმერეთის საზღვრები და ახალციხეს გადაეიდა. მას თან
გაძყვნენ ცნობილი თავადები — ქაიხოსრო, ბერი, როსტომ და სი-
მონ წერეთლები, დავით და გრიგოლ ერისთავები, კაცია და და-
ვით წულუეიძები, დავით და სიმონ აგიაშვილები, როსტომ, პაა-
ტა და კონსტანტინე ნიუარაძეები, დავით აბაშიძე, ზაალ მიქელაძე,
მალხაზ ანდრონიქაშვილი და სხვ.

ამგვარად, სიმონოვისმა და ცარიზმის 5-ათასიანმა ჭარმა ვერ
შეასრულა ტორმასოვის დავალება, ვერც შეიპყრო და ვერც მოკ-
ლა სოლომონ მეფე. ცდა არ დაგვიკლია, შიმშილითა და ლაშერო-
ბით განაწამები ჭარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ მთა-
ვარი ამოცანა მაინც ვერ შევასრულეთო. — გულდაწყვეტილი

68 AKAK, IV, 316—319.

69 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 393.

სწერდა სიმონოვიჩი ტორმასოვს. სოლომონის ადგილსამყოფელს გავებას ორ-სამ დღეს ცუნდებოდით, არც გამბედავი პირი აღმოჩნდა მისი მოკვლა რომ ეკისრა. საყველთაო რევოლუციის პირობებში არავინ არ დახარდა იმ სარგებელს, რასაც ჩვენი მხარდაჭერით მიიღებდა, — სწერდა ბოლოს იმერეთის მმართველი და რჩევას აძლევდა ტორმასოვს, ახალი აჯანყება თავიდან რომ ავიცილოთ, ამ ზამთარს თავიდაზნაურთა ცველა ოჯახიდან მძევლები უნდა ავიყვანოთ⁷⁰.

ახალციხეს გადასული მეფე კვლავ ცდილობდა საქმის შემობრუნებას, იმერეთის მოსახლეობის ახალი აჯანყებისათვის მომზადებას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მაგრამ რუსეთის მთავრობამ იმერეთში მკაცრი რეემი დაამყარა და არაეითარ გასაქანს არ აძლევდა ხალხს.

1810 წლის 22 დეკემბერს სიმონოვიჩი აცნობებდა ტორმასოვს, რომ სოლომონს ახალციხიდან დახმარების თხოვნით ელჩები გაუგზავნია თურქეთის სულთანთან და ნაპოლეონ ბონაპატეტისათან. სავარაუდებელია, რომ მომავალ ზაფხულს სოლომონი თურქთა ჯარით იმერეთში შემოიჭრეს და აჯანყება კვლავ დაიწყოს. მოსახლეობაში უკვე ცრცილდება სოლომონის მოწოდებები. ჩვენი ჯარის მესაზღვრე ნაწილებს ცველა გამოსასვლელის ჩაევტვა არ შეუძლიათ, იმერლები კი ხელს უწყობენ სოლომონის ემისაჩთა საზღვარზე გადმოსვლასოთ⁷¹.

ტორმასოვი ძალიან შეაშეოთა სიმონოვიჩის პატაქმა. მან კატეგორიული დავალება მისცა თავის ხელქვეითს; ციმბირის გზას გაუყენე წინა აჯანყებაში აქტიურად მონაწილე პირები, დააპატიმრე სოლომონის მოწოდებათა გამავრცელებელნი, სამაგალითოდ დასაჯე ისინი და ყველა ჩვენს მტერს შიშის ზარი დაეციო. უფლებას გაძლევ იმერეთის ლარიბ აზნაურთაგან საიდუმლოდ სამსახურში აიყვან 3-4 კაცი, დაუნიშნო მათ კარგი ჯამაგირი და დაავალო თვალყური ადევნონ ხალხის განწყობილებას, ყველაუერი გვაცნობონ ახალი აჯანყების წინაგანზრახულებათა შესახებ. არასანდო ელემენტების ნაწილი ჩემთან გამოგზავნე, სხვებს კი მძევლები ჩამოართვოთ⁷².

⁷⁰ AKAK, IV, c. 322—323.

⁷¹ AKAK, IV, c. 398.

⁷² იქვ, გვ. 343—345.

მეაცრმა რეფიმა და ჩეპჩესიებმა, აა თქმა უნდა, გარკვეულობა შედეგი გამოილო. მოსახლეობა ვეღარ ბედავდა რუსეთის მთავრობის ბის წინააღმდეგ აშეარა გამოსვლას, მაგრამ დიდ ნაწილს კვლავ შერჩა აღგილობრივი სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების იმედი. იმის გამო, რომ შეუძლებელი გახდა სოლომონის მორიგება რუსეთის მთავრობასთან, ბევრი მხარს უჭერდა კონსტანტინე ბატონიშვილს, იმედს გამოთქვამდა, რომ იმპერატორი შეიწყნარებდა მას ავტონომოური იმერეთის მუცელ.

იმერელ პატრიოტთა ასეთი ვეგმა-ვარაუდი, როგორც ჩანს, ცნობილი გახდა ტორმასოვისათვის. 1811 წელს 8 იანვარს იგი მთავარებდა უმაღლეს მთავრობას, რომ იმერეთში ორი პატრია არსებობსო. ერთი სოლომონს უჭერენ მხარს, მეორენი კონსტანტინეს და ორივე მათგანი თავის კანდიდატის ტახტზე დაბრუნებას იმედოვნებსო. იმერეთის მოსახლეობაში საბოლოოდ რომ აღმოვთხვრათ სამეფოს აღდგენის სურვილი და მოლოდინი, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნება გამოცემა იმპერატორის მანიფესტისა იმერეთის რუსეთთან სამუდამოდ შეერთების, ამ ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარების შესახებ⁷³.

მართალია, იმერეთის რუსეთთან შეერთების შესახებ იმპერატორის მანიფესტი არ დაწერილა, მაგრამ რუსეთის მთავრობის აღგილობრივმა მოხელეებმა როგორც იქნა „შეაგნებინეს“ მოსახლეობას, რომ იმერეთის სამეფო გაუქმდა და გადაიქცა რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ პროვინციად. ამასთან ერთად ისინი პირობას დებდნენ დაუცვათ ყველა ფენის ინტერესები, ხოლო თავადაზნაურობას წინადადებას აძლევდნენ მონაწილეობა მიეღო იმერეთის დროებით მმართველობაში, თავის წრილან აერჩია მსაჭულები და იმერეთის ოკრუგის უფროსთა (რუს მოხელეთა) თანაშემწები.

მრავალგზის მოწვევის შემდეგ იმერეთის თავადაზნაურობა 1811 წლის იანვარში ქუთაისს შეიკრიბა და აირჩია მდივანბეგები. ოკრუგის უფროსთა თანაშემწები, პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტატები. რუს მოხელეთა და იმერეთის მაღალი წოდების ურთიერთობა თითქოს ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ თავადაზნაურობა და ხალხი ვერ ეგუებოდა ახალ რეკიმს. 1811 წლის 13 მარტს იმერეთის წოდებათა წარმომადგენლები სიმონოვის მოახსენებდნენ: არ შეგვიძლია მდგმარედ დაერჩეთ და ჩენი გავირვე-

73 AKAK, IV, c. 345.

ბის შესახებ გწერთ. ორავის მოსახლეება არ აქვს, უკელას თქვენი ფაქტითა და რიც საჭიროებისათვის ამუშავებენ. „ჩვენი მცირის მეფის ხელში“ ეს მოვალეობა არ გვაწვაო. „თქვენით გვეცხადება, რომ გაძლიერდით მისის უდიდებულესობის ქვეშევრდომობის მიღებითათ და არა მხილეელთა ბეჭინიერებისა, იმ მცირის მეფისაგან ნუგეშიცა მოვაყლდა“. ახლა ისიც გამოგვიცხადეს — ნათქვამია შემდეგ წერილში, 480 ცხენი გამოიყვანეთო. „ვიცით, რომ ხელმწიფეს არა ნებავს ჩვენი შეწუხება და არაოდეს ინებებს ქირის მოუცემლობას“. სასურველია, ფული ჩვენს სანდო კაცს ჩაბარდეს და, თუ ქირითაც ვერ შევძლით ცხენების გამოყვანა, დამნაშავედ ჩაგვთვალეთო. ამასთან ერთად „გთხოვთ მოგვცეთ შეჩვევამდე ჩვენ ერთი თავადთაგანი, რომელ თქვენი ბრძანება შეძლებისამებრ მან გვითხრას და ჩვენი მწუხარება მით მოგხსენდეთ, და თვინიერ ამისა ვერ ვხედავთ, რომ მწუხარებისაგან გამოვიდეთ“⁷⁴.

როგორც ვხედავთ, იმერეთის მოსახლეობა ანტიტექიმული აჯანყების მქაცრად ჩაბმობის შემდეგაც ბედავს პროტესტი განაცხადოს რუსული ხელისუფლების მიერ დაწესებულ ბეგარა-გადასახადებზე, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ თხოვნის ხაზგასმულ წინადაღებაზე. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი, მართალია, პრეტენზის ველარცხადებს იმერეთის სამეფო ხელისუფლების აღდგენაზე, მაგრამ შეზღუდულ შინაგანი ავტონომიის მოთხოვნას მაინც ბედავს. დასახელებულ თვეადს ერთგვარი აბიტრის როლი უნდა შეესრულებინა მოსახლეობასა და რუსულ მმართველობას შორის, ხალხის მოთხოვნა-საჭიროებანი მას უნდა მიეტანა იმერეთის მმართველის და მისი მეშვეობით იმპერატორის ყურამდე. მმართველობის ამ წესის გარეშე, წერენ მოთხოვნელები, უბედურება-მწუხარებისაგან ვერ გამოვალთო.

საკუთარ ხელისუფლებას მოქლებული, მაგრამ უხილავი ხელისაგან თვითორგანიზებული მაღალი წოდება და ხალხი ბედავდა და რუსეთის აღგილობრივ მთავრობას იმასაც მოახსენებდა, რომ დეპუტატებად არჩეულ პირებს პეტერბურგს სექტემბრამდე ვერ გაუუშვებთო. კაცების არმიის სარდალმა ტორმასოვმა ეს განცხა-

⁷⁴ AKAK, IV, c. 358.

დება დიდ კადნიერებად ჩათვალა და შეატასა როვორც კულტურული ტების გაგზავნაზე აშერა უარის თქმა. მინ კატეგორიულად წინააღმდეგ დება მისცა სიმონოვის — ოპოზიცია დასძლივ და იმერელთა დეპუტაცია პეტერბურგში დაუყოვნებლივ გაგზავნეო⁷⁵.

ზ. წერეთელმა ტორმასოვს მისწერა, რუსეთის მთავრობის ერთგული თავადების რუსეთს გაგზავნით თქვენდაუნებურად სოლომონის მომხრეთა დასს გააძლიერებთო. თავდაპირველად სარდალმა ეჭვი შეიტანა ზ. წერეთლის კეთილგანზრახვაში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მისცა მითითება სიმონოვის, ჩვენი ერთგული გენათელი ეპისკოპოსისა და სესნია წულუკიძის ნაცვლად დეპუტატებად სხვები გამოყავით, თანაც ეცადეთ ისინი არჩეულ იქნან რუსეთის მოწინააღმდეგე თავადთა წრიდან, რათა მათი გაგზავნით დავასუსტოთო გაქცეული მეფის მომხრეთა პარტია⁷⁶.

ტორმასოვი დაეინგბით ცდილობდა იმერეთში შეექმნა რუსეთის მთავრობის საყრდენი ძალა. 1811 წლის 19 აპრილს იგი უმალეს მთავრობას სწერდა, მიზანშეწონელია, იმერეთის შემოერთება, შემდეგ კი აჯანყების ჩაქრობაში მონაწილე ჩვენი ერთგული იმერლების დროული დაჭილდოება. ახლა მდგომარეობა კვლავ რთულდება, სოლომონი ცდილობს შეექმნას რუსეთის საწინააღმდეგო კოალიცია, იმერეთისაეკნ დაიძრას თურქეთისა და სპარსეთის ჭარებით. ეს დიდ გავლენას ახდენს იმერეთის მოსახლეობაზე, კვლავ სიმპათიურად რომაა განწყობილი თავის მეფის მიმართ. ასეთ პირობებში თუ არ ვიზრუნვეთ რუსეთის მომხრეებზე შეიძლება დავკარგოთ ჩვენი პარტია, რომელიც აჯანყების შემთხვევაში სოლომონის მხარეზე აშეარად არ გადავა, მაგრამ გულგრილად შეხდავს მოვლენათა განვითარებას, რაც მოწინააღმდეგეს მოქმედებას გაუადვილებსო⁷⁷.

ტორმასოვმა სცადა სოლომონ მეფის ერთგული თანამებრძოლის, ჰეკიანი პოლიტიკოსის სოლომონ ლეონიძის გადაბირებაც კი. 1811 წლის 22 ივლისს წერილი მისწერა მას, თბილისში სტუმრად მიიწვია. თუ მომენტობი და ჩამოხვალ, ჩემი შუამდგომლობით რუსეთში იმხელა მამულებს გამოგიყოფენ, რომელიც იმაზე გაცა

75 იქვ. გვ. 359.

76 AKAK, IV, c. 359.

77 იქვ. გვ. 365.

ლებით შეტ შემოსავალს მოგცემს, იმერეთის მეფის სამსახურში მომზადების აღმ იღებდიო⁷⁸.

ტორმასოვი თვით სოლომონ მეფესაც ურჩევდა რუსეთის საზღვრებში დაბრუნებას, იმედს აძლევდა იმპერიატორი შეგიწყალებს. მაგრამ სოლომონ II-მ ოქროს ჭავჭავს თავისუფლებისათვის ბრძოლა არჩია. მას კარგა ხანს არ შეუწყვეტია ახალი აჯანყების მოწყობისა და იმერეთის სამეფოს აღდგენის მცდელობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საზაფო ხელშეკრულება დადო თურქეთთან (1812 წ.) და სპარსეთთან (1813 წ.), რომელთა ძალით საქართველო რუსეთის გაუყოფელ ნაწილად იქნა ცნობილი, სოლომონმა წარმატების იმედი დაყარგა. ქართული სახელმწიფოებრივის აღდგენისათვის ამ თავდადებულმა მებრძოლმა, 1815 წელს უცხოობაში დალია სული.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ არსებითად დამთავრდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროცესი. 1810 წელს გაფორმდა გურიისა და აფხაზეთის სამთავროთა რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში შესვლა. უფრო ვინან ავტონომიური სამთავროს სტატუსი სადადეშექლიანო სვანეთმაც მიიღო. უკიდურესად შეზღუდული ავტონომია, რის წინააღმდეგაც ესოდენ თავგამოდებით იბრძოდა იმერეთის მეფე, საესებით მისაღები აღმოჩნდა გურიელის, შერვაშიძისა და დადეშექლიანისათვის.

ავტონომიური სამთავროების დატოვებას რუსეთის შმართველი წრეები იმპერატორის სამართლიანობის საბუთად ასაღებდნენ, ფარულად კი ამ ფაქტს დროებით მოვლენად თვლიდნენ. ეს დროებითი დათმობა ძეირად არ უღირდა ცარიზმს, რადგან სუსტი სამთავროები საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ მის ბატონობას საქართველო-ამიერკავკასიაში.

⁷⁸ იქვე, გვ. 381.

მორი თაცი

ანტირეზიგული აჯანყებები საქართველოში 1812—1820
 წლებში. ჩართული სახელმწიფო გრიფის აღდგენის
 პროგლემა XIX ს. 30-იან წლებში

1. პახმითის 1812—1813 წლების აჯანყება და სახელოს აღდგენის საკითხი

ეროვნული, ანტირეზიგული აჯანყებების მიზეზები და წინაპირობები, როგორც იღნიშნული იყო, რუსეთის ცარიზმის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ რამდენიმე წელში მომწიფდა. რუსული თვითმეცყრბელური მმართველობის სისტემა მეტნაკლებად მოსახლეობის ყველა კლასის უკმაყოფილებას იწვევდა. თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი, ბუნებრივია, მოწონებით ერ შეხვდებოდა ქართული სახელმწიფო გრიფის მოსპობას. თავადაზნაურობის უკმაყოფილებას ამასთან ერთად იწვევდა სამოურაოთა სისტემის გაუქმება, რითაც დაპარაგა პოლიტიკური წონა და ეკონომიკური ზიარალიც განიცადა. ქართველი სამღვდელოება პროტესტს აცხადებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის მოსპობისა და საეკლესიო მამულების ხაზინის უწყებაში გადაცემის გამო, რაშიც იგი თითქმის მოელი მოსახლეობის მხარდაჭერას პოულობდა. მმართველობის თვითმეცყრბელური სისტემა განსაკუთრებით მძიმედ დაწვა მხრებზე გლეხობას. სატრანსპორტო-საგზაო ბეჭარა, სასურასათო გადასახადი, ახალი უსამართლო „მართლმსაჭულება“, მოხელეთა მექრთამეობა, გათი ბოროტმექმედება, ხალხის აბუჩად აგდება, მისი ზნეობრივი და მორალური დამცირება, ბუნებრივია, გლეხობის პროტესტს იწვევდა და ძალიან ხშირად გამოსავალს საყოველთაო აჯანყებაში პოულობდა.

მართალია, ქართველი ხალხის ყველა კლასი რუსული თვითმეცყრბელური მმართველობის თანაბრად უკმაყოფილო არ ყოფილა, ყველა მათგანის უკმაყოფილებას ერთი და ოცივე საფუძველი არ ჰქონია, მაგრამ ზოგჯერ მოსახლეობის ანტაგონისტური სოციალური ძალები ახალი რეემის წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ, ანტიცარისტული მოძრაობა საყოველთაო-სახალხო ხასიათს ლებულობდა. ასეთი იყო, კერძოდ, ქახეთის 1812—1813 წლების აჯანყება და ნაწილობრივ იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყებაც.

კახეთის აჯანყების უშუალო მიზეზი და საბაბი სოფლებში გამოიწვია სამხედრო ეგზეულციების ჩატარება გახდა. იგი ერთი შეხედვით, თითქოს სტიქიურად დაიწყო, სტიქიურ ხსიათს ატარებდა. მაგრამ სინაძღვილეში აჯანყება კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა, ორგანიზებულად დაიწყო და საერთო გეგმით კითარდებოდა.

1812 წლის 22 თებერვალს საქართველოს მთავარმმართველი პაულუჩი იმპერატორს მოახსენებდა, რომ მთელი კახეთი და ანანურის მაზრის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებულებმა სცადეს ანანურის აღება, რათა სამხედრო გზით კავშირი დაემყარებინათ კაუკასიის მთიელებთან. აჯანყებულებმა მოხხოცეს ბევრი ჩვენი ჯარისკაცი, ჩაიდინეს საშინელი სიმძაცრე, რომლის მაგალითები უფრო ადრე ჩვენ მოვცა საფრანგეთის რევოლუციამ. აჯანყება დაიწყო აგრეთვე დალესტანში, შირვანში, შაქში. კახეთის აჯანყებულთა მეთაური გრიგოლ ბატონიშვილი ცდილობს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ამხედროს ქართლის მოსახლეობაც. ყოველივე ეს, — დასკვნიდა პაულუჩი, ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს შეთქმულებასთან, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ ცარისმის ჯარების გაწყვეტას და კივეასიის რუსეთისაგან ჩამოცილებას. მაგრამ ჩვენი ჯარების გამარჯვებამ დალესტანშა და შირვან-ყარაბაღში ჩაშალა ეს საერთო შეთქმულება. ახლა მე დამრჩაო ერთადერთი ამოცანა—ჩავაქრო აჯანყება კახეთში!

1812 წლის 26 მარტის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში პაულუჩი კელავ ეხებოდა აჯანყების ხსიათის საკითხს და იმპერატორს მოახსენებდა, რომ ეს „რევოლუცია“ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებმა, რომელნიც არ წავიტენ ფარულ მოქმედებას და ერთგული თავადების მეშვეობით ყოველთვის ცდილობენ ხალხის აჯანყებასო². საამისო მიზეზები კი საქმაოზე მეტი არსებობდა: რუსეთის ადგილობრივი მოხელეების უწენება და ბოროტმოქმედება, ძალიან მძიმე სატრანსპორტო და საგზაო ბევრა; სურსათის ამკრეფ მოხელეთა ბოროტმოქმედება, რუსული სასამართლოს გაჭიანურებული ხისიათი, და სხვ. ძალიან უწევარ, რომ დიდი ხნის წინათ მომზადებულმა აჯანყების ამ წინაპირობებმა ჩემს მოკლე ხნის მმართველობისას იჩინა თავი. მე იმპერატორის წინაშე ერთგული სამსახური მამოძრავებს და არა-

¹ AKAK, V, c. 59—61.

² იქვე, გვ. 67—68.

ვითარი ბრალი ამ ამბებში არ მიმიძლვისო, — დაასკუნიდა სკრიფტის
ველის მთავარმმართველი³.

აჯანყების დროშა თავდაპირველად ახმეტელებმა ააფრიალეს (1812 წ. 31. I). მალე მათ შეუერთდნენ გლეხები თიანეთიდან, მარილისიდან, მატინიდან და პირველ თებერვალს კაპიტან-ისპრაენიკი თავის ჯარისკაც-კაზაქებიანა სოფლიდან გააძევეს. აჯანყება სწრაფად გავრცელდა. უკვე 2 თებერვალს აჯანყებულთა მრავალ-ათასიანშა ლაშქარშა სიმონ ბებურიშვილისა და ივანე მაყაშვილის მეთაურობით ქალაქი თელავი აიღო. რუსთა ჯარის გადარჩენილი ნაწილები თელავის ციხეში ჩაიყერნენ. 5 თებერვალს ქიშიუელ მე-ამბოხეთა ჯგუფმა სიმონ და ადამ ბებურიშვილების მეთაურობით ქ. სიღნალი დაიყავა. მეორე ჯგუფმა კოდალის ციხეს შემოარტყა ალყა, შესამემ — სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ბოდბისხევში მდგარი ყაბარდოს პოლკი. 6 თებერვალს აჯანყებულებმა გაანადგურეს ცარიზმის რაზმები ანაგაში, კაკიბეთსა და მანაგში 6—7 თებერვალს აჯანყებულებმა დაამარცხეს კახეთის ოლქის სამხედრო უფროსი გენერალი პორტნიაგინი, აიძულეს იგი თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თბილის გაცეცულიყო.

„აჯანყების მსვლელობიდან აშკარა იყო, რომ მას გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავდა. კარგად ჩანდა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოწინააღმდეგის სუსტ პოზიციებს ითვალისწინებდა და ამ გარემოების გამოყენებას მარჯვედ ცდილობდა. ერთდროული თავდასხმებით მეამბოხეებმა მთავრობის მცირე რაზმებს გერთიანების საშუალება მოუსპეს და ისინი ცალ-ცალკე დავილად დაამარცხეს. ამავე დროს აჯანყებული შეეცადნენ კახეთის მეზობელი თემების მიმხრობას, ქართლსა, ბორისონსა, ყაზახსა და ფშავ-ხევსურეთში აჯანყების გამოწვევის; ჭარ-ბელაქანშიაც მოციქულები აფრინეს და ლეკებს დასახმარებლად მოუწოდეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს აჯანყებულებმა ანანურის მაზრას, არავ-თერგზე აჯანყების გამოწვევით მათ სამხედრო გზის გადაკეტვა და ლინიდან ამიერკავკასიის მოწყვეტა სურდათ. თუ ეს გეგმა წარმატებით განვითარდებოდა, მეამბოხეთა საბოლოო მიზანი თბილისის აღება, იქ რუსული ხელისუფლების მოსპობა იყო“⁴.

3 AKAK, V, c. 81.

4 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 438.

რუსული ხელისუფლებისათვის კახეთის აჯანყება სრულით დამოუღვინდება აღმოჩნდა. დაბნეული მთავრობა თითქოს ახლა და ადგა სამართლიანობის გზის, განკარგულებას უგზავნიდა კაპიტანისპრავნიკებს, მოსახლეობისთან ურთიერთობაში ზომიერებას ავალებდა მათ და ეგზეუციების გამოყენებას საცემით უკრძალავდა. მაგრამ ამ განკარგულებათა შემსრულებელი აღარავინ იყო. კაპიტანისპრავნიკები და საეგზეუციო რაზმების უმრავლესობა აჯანყებულებმა გაწყვიტეს, სხვები კი ალყაშემორტყმულ ცახესიმაგრებში ისხდნენ.

9 ოებერვალს მთიულებშია და ფშავ-ხევსურებმა დუშეთი და ფასანაური იოლეს. აჯანყებულებმა მოციქულები გაგზავნეს მთაულეთს, გუდამაყარს, ხევს, თაგაურს და ყველას თავის დროშის ქვეშ მოუწოდეს. სამხედრო გზის ჩაკეტვამ მთავრობა მეტად კრიტიკულ მდგრმარებობაში ჩააყენა. აჯანყებულები კი იმდენად გაძლიერდნენ, რომ იყვალის მიდამოებში გამოვიდნენ და თბილისში მდგარ მთავრობას დამატებითი სიძნელეები შეუქმნეს.

1812 წლის 21 ოებერვალს გენერალი პაულუჩი ყარაბალიშვან (სადაც იგი სპარსელებს ებრძოდა) თბილის დაბრუნდა და უშუალოდ ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრულ რუსთა მეტის პოლკებს. თავდაპირველად მან სცადა აჯანყების ცეცხლი შევიდობაზი საშუალებებით ჩაუქრო, პროკლამაციით მიმართა კახელებს, ბრალად დასდო მათ ფიცის გატეხა, ქრისტესა და რუსთ ხელმწიფის ლალატი. რამ დაგაბრმავთ, ნუთუ დაივიწყეთ უქლეველობა რუსეთის მხედრობისა, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ლვთის ხელი თქვენს გასანადგურებლადაა მომართული. კახელებო, — მიმართავდა ბოლოს პაულუჩი აჯანყებულთ, — ახლა თქვენს წინაშე ორი გზაა — ერთი გადაჩენისაკენ, მეორე დალუპვისაკენ მიმავალი. დიდი გარით მოვდივარ კახეთისაკენ. ჩემი ხმალი მზადაა გაანადგუროს ურჩი აჯანყებულნი; ამავე დროს მზად ვარ შევიწყალო მომნანიებელნი. პირობას ვიძლევი, ვინც იარაღს დაყრის და დანაშაულს მოინანიებს არ დაისჯებაონ.

პაულუჩის პროკლამაციის მეამბოსეებმა ლირსეული პასუხა გასცეს. ჩვენ, — წერდნენ ძინი, ქრისტეს არ ვუარცოფთ და არც ფიცი გაგვიტეხია და არც ხელმწიფისათვის გვიღალატნიაო. აჯანყების მიზეზი თქვენ მოგვეცით. რაც იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო ის თქვენგან არ შესრულდა. დამნაშავესა და ერთ-

გულს არ არჩევდით, გვეხოცავდით და თოკით გვახრინბდით, რომელიც შეეციითა და ხიშტებით გვაიძულებდით შეუძლებელს. აცლებამ მაკა
და შვილებს შეურაცხყოფდით, გვიხოცავდით. ჩვენ კეშმარიტად
ვიცით, რომ რუსეთის ხელმწიფეს ხალხის გაწყვეტა არ სურს. მი-
ზეზით თქვენა ხართ. თქვენთან შერიგბის პირი ჩვენ აღარა გვაქვს.
ჩვენ ხელმწიფისათვის არ გვიღალატინია და არ ვართ მოღალატენი.
თქვენ გარდახვედით ხელმწიფის ბრძანებას და ჩვენ უსამართლობა
ვეღარ ავიტანეთ. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჭიბია და ჩვენ სა-
მართლიანობისათვის ბრძოლაში უნდა დავიხოცოთოთ⁶.

ამ პასუხში აუტანელი ჩაგვრა-შევიწროებით სასოწარკვეთი-
ლებამდე მისული გლეხობის გულისნადები როდია მარტო გამო-
თქმული. აქე ჩანს აჯანყების იდეურ ხელმძღვანელთა გარკვეუ-
ლი პროგრამა და მიზანდასახულობა. აჯანყებულები დაწმუნე-
ბული არიან, მათ „კეშმარიტად იციან“, რომ რუსეთის იმპერატო-
რი მანიფესტის გატარებას მოითხოვს, მას საქართველოს ხალხის
შევიწროება და მით უმეტეს გაწყვეტა არ ნებავს. მაგრამ აქ გა-
მოგზავნილი მეფის მთავრობის დიდმოწელენი არ ასრულებენ
მანიფესტს, ყოველნაირად შეურაცხყოფენ და ავიწროებენ ხალხს.
ასეთ ადმინისტრატორთა მოთმენა კი ქართველ ხალხს არ შეუძლია
და ამითაა განპირობებული ეს ბოლომოულებელი შეთქმულება-
აჯანყებებით.

ისმის კითხვა—სადაა გამოსავალი, რა საფუძველს უნდა ემყა-
რებოდეს რუსეთ-საქართველოს განუყოფელი კავშირი. როგორ
უნდა მოხდეს რუსეთ-საქართველოს ინტერესთა შეთანხმება? ამ
კითხვაზე ქართველმა ხალხმა აჯანყების მსვლელობაში პრაქტიკუ-
ლი მოქმედებით გასცა პასუხი. ეს პასუხი იყო აჯანყების შეთაუ-
რად და საქართველოს მეფედ გრიგოლ იოანეს ეკ ბაგრატიონის
გამოცხადება.

ქართველი ხალხი ხელს არ იღებდა რუსულ ორიენტაციაზე.
რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს შო-
რის 1812 წელს მომხდარი უდიდესი კონფლიქტის მიუხედავად, ავ-
ტონომისტები კვლავ ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო რუ-
სეთის საიმპერატორო ტახტისა, და საქართველოს სამეფო ტახტის
ინტერესთა მორიგება 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივი ნორმე-
ბის საფუძველზე. შექმნილ სიტუაციაში ეს შესაძლებელი ჩანდა,
მაგრამ სავალალო ის იყო, რომ რუსეთის მთავრობა არ იჩენდა

⁶ ოქე, გვ. 82—85,

ასეთ სურვილს, მას დაუშვებლად მიაჩნდა რესეთის იმპერიასთან უკავშირობის გადასაცემა.

ასეთ შეურიგებელ თვალსაზრისთა პირობებში, ბუნებრივია, ბრძოლა გაგრძელდა. გრიგოლ ბატონიშვილი ცდილობდა აჯანყების გაფართოებას, თავის მოლაშქრეთა კონტიგენტის გაზრდას. 27 თებერვალს იგი ქიზიყის თვედაზნაურობასა და ხალხს სწერდა: ჩემი რაზმით ხაშმისაკენ მოვდივართ, თქვენც იქით გამოემართეთ, რაც შეიძლება სწრაფად შემომიერდოთთ. იცოდეთ, რომ ქიზთლშიც აჯანყებაა, ცხინვალში მდგარი მოხელეების ულ გაწყვეტებს. ახლა მთავარია ხაშმში მდგარი მეფის დამქაშები გავანადგუროთ, რის შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდებათ ქართლი, არაგვის ხეობა და თბილისიო? 5 მარტს გრიგოლ ბატონიშვილი ეშიკალიაშ ნინის აცნობებდა, 4 ათასი კაცით თავანეთიდან გავაზისაკენ მოვდივარ, შენი რაზმით შემომიერთდი. თორემ მოდალატედ ჩაითვლებით. გრიგოლმა წერილით მიმართა აგრეთვე უკანამხრის მცხოვრებლებს, აუწყო მათ. რამდენიმე რაზმის განადგურების მიუხედავად, ბრძოლა კვლავ გრძელდება და თქვენი დახმარება გვესაჭიროებათ. „ვიდრე ერთი კახელი მაინც ცოცხალი იქნება კახეთი უკან არ დაიხევს, იჩქარეთ მოშველება“⁷.

ბრძოლის ასპარეზზე „ქართველი მეფის“ გამოჩენა აჯანყების იდეურ თავმობმას ნიშნავდა, რამაც ფრიად შეაშფოთა საქართველოს რესი ხელისუფალნი. გრიგოლ ბაგრატიონი, სწერდა პაულუჩი რუმიანცეს, მნიშვნელოვანი ფიგურაა არა პირადი ლირსებებით, არამედ იმ პატვისცემით, რითაც ხალხი მოსახს საქართველოს სამეფო გვარის ამ წარმომადგენელს. აქაური შხარის მშეიღობისათვის აუცილებლად იყო მიჩნეული, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს ყველა წევრი საქართველო დაეტოვებინა. გრიგოლ ბატონიშვილი კი მთავარმართველთა ყურადღების მიღმა დარჩა. თავისუფლად ცხოვრობდა საქართველოში და რევოლუციის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. გრიგოლ ბატონიშვილი სიხარულით მიიღეს აჯანყებულებმა, საქართველოს მეფედ გამოაცხადეს და თავის რაზმებს ჩაუყენეს სათავეში⁸.

1812 წლის 1-2 მარტს ოთი ათასი აჯანყებული გრიგოლ ბატონიშვილის მეთაურობით პირისპირ შეეჯახა გენერალ პაულუჩის

7 AKAK, t. V, c. 44.

8 AKAK, t. V, c. 44.

9 იქვე, გვ. 44—45.

მთავარ ძალებს. კახელები მხნედ იბრძოდნენ, დიდი ზარჯურ შედეგ
ყენეს მოწინააღმდევებს, მაგრამ დამარცხდნენ. გრიგოლ მაცხოველი
შვილი რუსთა გენერალს დანებდა. მეთაურის მწყობრიდან გამო-
სვლის შემდეგ აჯანყებულებმა ყველგან შეწყვიტეს წინააღმდევო-
ბა. კახეთის აჯანყების პირველი ეტაპი დამთავრდა.

მეამბოხეთა გარკვეული ნაწილი სასტიკად დაისაგა, მაგრამ
რუსეთის მთავრობის აზრით მარტო რეპრესიები არ კმაროდა მშეი-
ღობა-წესრიგის შესანარჩუნებლად. პაულუჩი გარკვეულ დათმო-
ბაზე წავიდა. სახელგატეხილი ბიუროკრატიული სასამართლოს ნა-
ცვლად კახეთში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული დროებითი სასა-
მართლოები, რომელშიც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ვაძლი-
გის კანონების, სისხლის სამართლისა კი რუსული კანონების სა-
ფუძველზე წარმოებდა. სასამართლოს ენად ქართული ცხადდებო-
და, თუმცა განაჩენი რუსულადაც უნდა გადათარგმნილიყო. კახე-
თის მაზრებში მაღლდა თავადაზნაურთა წინამძღვრების როლი,
დროებით აღსდგა მოურავის ინსტიტუტიც¹⁰. მაგრამ მიუღიერესი
დარჩა მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი—საქართველოს ევ-
რონომიური სახელმწიფოს აღდგენა.

1812 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავარმმართველად პა-
ულუჩის ნაცვლად გენერალი რტიშჩევი დაინიშნა. მან კარგად შე-
ამჩნია, რომ კახეთის აჯანყება მინელებული იყო. კახელებს თავი-
ანთი მიზანი შესრულებულად არ მიაჩნდათ. ისინი ახალი შეტევი-
საოვის ემზადებოდნენ. აპრილის ბოლოს აჯანყების ცეკხლი თით-
ქმის მთელ კახეთს მოედო. აჯანყებულთა რაზმები გააქტიურდნენ
არავის ხეობაშიც, შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთს გაგზავნა
გენერალი სტალი დიდალი ჭარით. მალე კი მის დასახმარებლად
გაუშვა გენერალი რამდენიმე ბატალიონით.

საქართველოს მთავარმმართველმა, დამსჯელი ექსპედიციების
უფროსებმა ძალითა და დაუსჯელობის დაპირებით, როგორც ოქნა
გატეხეს აჯანყებულთა ერთიანობა და სიმტკიცე. საქართველოს
სხვა კუთხეებიდან დახმარების მიუღებლობის პირობებში კახელი
აჯანყებულები დაიშალნენ, მაგრამ ფხიზლად ადევნებდნენ თვალს
მთავრობის საქმიანობას, გააგრძელებდა თუ არა იგი დათმობების
კურსს.

1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო მდგომარეობა არსები-
თად შეიცვალა. ნაპოლეონის არმია რუსეთში შემოიტრა. ქართველ-

¹⁰ AKAK, T. V, c. 64—65.

მა ოპოზიციონერებმა და მათმა აღიარებულმა ლიდერმა ალექსან-
დრე ბატონიშვილმა სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია, რომელიც
დეს იგი თავიანთი სანუკვარი თცნების — საქართველოს სახელშ-
წიფოებრიობის აღდგენისათვის გამოყენებით.

ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი კახეთის აჯანყებაში და-
უსწრებლად მის პირველ-მეორე ეტაპზეც მონაწილეობდა. მისი
მარტო სახელის ხსენება მორალურად ამხნევებდა ავტონომიისათ-
ვის მებრძოლ ქართველებს. ალექსანდრეს უკავშირებდნენ საქარ-
თველოს საკითხის გატანის საურთაშორისო არენაზე, მისი ჰემიერ-
ბით ვარაუდობდნენ გარეშე ძალების გამოყენებას საქართველოს
სამეფოს აღსადგენად.

საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ, მრავალი ცდის მიუ-
ხედავად, ვერ მოახერხა კახეთის აჯანყების განმარტოება, ვერ ალ-
კეთა ქართველი პატრიოტების კავშირი ალექსანდრე ბატონიშვილ-
თან. ეს უკანასკნელი აღფრთოვანებული იყო კახელთა გმირული
ბრძოლით. „თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმან და ნამუსიან სიმ-
ნებმან, — სწერდა ალექსანდრე აჯანყებულებს, — ოთხსავე.. მხა-
რეს მიაღწია. დღეს იდიდნენ საქართველოს შინა მცხოვრებელინი
და დღეს დაგვირგვინდნენ დიდებისა დაგვირგვინებითა. რა ქება
მოგიძლენათ ანუ რა წყალობა აღვითქვათ.. უმაღლეს ღირსებისა
და პატივის ლირის ხართ“. მეფე ერეკლე, შეახსენებდა მეფის ძე
კახელებს, თქვენზე ისევე ზრუნვდა, როგორც საქუთარ შეილებ-
ზე. ახლა თქვენ ამ ზრუნვის სამაგიერო გადამეტებით გადაიხადეთ,
თქვენი ვაკაცობრის სახელი ქვეყანის მოპტინეთ. „განსვენებული
მეფეც ადიდეთ და იმის შეიღებსაც თავისუფლებისა გიხაროდენი-
სა ხმასა გვცემთ“¹¹.

ალექსანდრე ბაგრატიონმა წერილები გაუგზავნა არავის ხე-
ობის მცხოვრებლებსაც, დავალებას აძლევდა მათ, გზები გააფუჭეთ
და გადაკეტეთ, რომ მეფის მთავრობამ საქართველოში დამა-
ტებითი გარები ვერ გადმოიყვანოს, აქეთ მდგარ რუსთა გარებს კი-
ჩენ მოეულითო¹².

1812 წლის ივლისში ალექსანდრე კახელებს აცნობებდა, თქვე-
ნი გამოგზავნილი მოციქულები უკვე მოვიდნენ ჩემთან. რამდენი-
მე დღის შემდეგ საქართველოში მოვალთ და „ჩენ სისხლსაც თქვენ:
სისხლში გავურევთ“. თქვენ ძალიან ბევრი სისხლი დალვარეთ,

¹¹ AKAK. T. V. c. 355.

¹² იქვე, გვ. 356—357.

ამას რუსეთის მთავრობა არაფრით არ გაპატიებთ. ამიტომ არ ენდოთ რუს მოხელეთა ტკბილ სიტყვებს, ბრძოლა გააგრძელეთ, ადგინდეთ მადლით ჩევნც მალე მოგეშველებითო¹³.

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებები მაორგანიზებელ როლს ასრულებდა. ქართველთა უმრავლესობა იზიარებდა მათში გამოთქმულ თვალსაზრისს, მხარს უკერდა ბატონიშვილის მიზანდასახლობას, მზად იყო სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის კიდევ ბევრი სისხლი დაეღვარა. ამ მოწოდებებმა აჯანყება იდეურად შეამზადა. საქართველოს იყო მეთაურის ბრძოლის ველზე გამოჩენა, რომ აჯანყების აღი ისევ ავარდნილიყო. ეს კარგად იცოდნენ რუსეთის იმპერატორის დიდმოხელებმა და შიშით მოელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში შემოსვლას.

სასახლეორ ზონებსა და სტრატეგიულ პუნქტებში განლაგებულმა რუსთა ჭარის ნაწილებმა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის გზის შეკვრა ვერ მოახერხეს. 1812 წლის სექტემბერში იგი საქართველოში შემოვიდა. ხალხი ალფრითოვანებული ხედებოდა მრავალგზის მოპატიუებულ ალექსანდრე ერეკლეს ძეს და მის გარშემოირაზმებოდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი კარგად იყო გარკეეული შექმნილ სიტუაციასა და საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში. განმათვისუფლებელი ომის დაწყებისათვის იგი უკეთეს დროს ვერ დაელოდებოდა. ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული, რუსეთ-ირანის ომი ისევ გრძელდებოდა და თურქეთიც შევიწროებული მეზობლის წინააღმდეგ კბილებს ილესდა. ალექსანდრე ბატონიშვილს ქართველი ხალხის პატრიოტიზმსა და მისაღმი ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ აფიქრებდა მისი ანტისპარსული განწყობილება. მან კარგად იცოდა, რომ ცარიშმის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს კიდევ უფრო სძაგდა ველურ ყიზილბაშთა ბატონობა. ამიტომ ბატონიშვილი ხალხს არწმუნებდა, რომ სპარსეთის ჭარი საქართველოში მოვა, მაგრამ არა ქვეყნის დასაპყრობად, არამედ ბრძოლაში დასახმარებლად, საქართველოს სამეფოს აღსაღენად.

ალექსანდრე ბატონიშვილმა თავანეთიდან მაცნენი აფრინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მის მოწოდებას ფიცხლად გამოეხმაურნენ ფშავ-ხევსურები, ქიზიყელები, კახი თავადები და

¹³ იქვე, გვ. 359.

გლეხები. ქართლის მოსახლეობასაც აჯანყების განწყობილება და უკავალი ეუფლა. ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა მრავალი თავადი ქუთამაშვილი ციშვილთა, ავალიშვილთა, ამილახორთა და სხვა საგვარეულოები-დან, მისკენ საქმაო რაოდენობით დაიძრნენ აზნაურები და გლეხებიც. სხვები კი ბატონიშვილის ქართლში გამოჩენას ელოდნენ, აჯან-ყებისათვის თადარიგს იქერდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო. ერთ გვეუფლება თადია ჩოლოყაშვილი უთავა და მას თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის ჩაეტვა დაავალა, ომან ჩოლოყაშვილის რაზმს ქართლიდან თიანეთ-თელივისაკენ მიმავალი გზის დაცვა უბრძანა. გორგასპი ნათალიშვილისა და პაპოა აბელი-შვილის რაზმები სამხედრო გზის რიონში სამოქმედოდ გამოიყო. მათ კავკასიის სამხედრო ხაზიდან საქართველოში რუსთა ჭარები არ უნდა გაღმოეშვათ. თვით ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებულთა მთავარ ძალებს ჩაუდგა სათავეში და კახეთში მდგარ ჭარის ნაწილებს ფიცხელი ომი გაუმართა.

კახეთის რუსთა ნეფის მოხელეებისაგან გაწმენდა, ქართლის აჯანყება და სამხედრო გზის ჩაეტვა იყო ალექსანდრეს უმაღლესი ამოცანა. იმას უნდა მოჰყოლოდა გარედან დახმარება და საბოლოო მიზნის განხორციელება — საქართველოს სამეფოს აღდგენა. გამორიცხული არც მშვიდობიანი მორიგება იყო, თუ რუსეთის მთავრობა დათმობაზე წავიდოდა და ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოს მეფედ ოფიციალურად სცნობდა¹⁴.

რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება შეშტოთდა. სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედი არმიიდან ჭარის ნაწილები გამოიწვიეს, ლართისკარი და ბულახური გაამაგრეს. სამხედრო გზის გასაწმენდად კავკასიის ხაზიდან საში ბატალიონი გაგზავნეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ დასძრეს აგრეთვე იმერეთში მდგარი ჭარები, რომელსაც გენერალი სიმონოვიჩი ხელმძღვანელობდა. მთავარმართველმა ატიშჩევმა ოქროს ძალაც მოშინავ — 20* ათასი მანეთი აღუთვევა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოჰყევდა.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა გენერალ-ლეიტენანტმა დიმიტრი ორბელიანმა იყიდა. რუსთა ჭარის სხვა გენერლები და ოფიცერები მისი ბრძანებებით მოქმედებდნენ.

მთავრობის რეგულარულ არმიას გაწვრთნილობა-შეიარაღე-

14 ნ. ბერძენიშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 462.

ბით ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშვართან შედარებით ფრთხილი უპირატესობა ჰქონდა. პირისპირ ომში ასეთი ჯარის დამარცხევლებით აფანიუბულები ვერც კი იოცნებებდნენ. მაგრამ მოწინააღმდეგის ამ უპირატესობებს ნიკიერმა საჩდალმა ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი სახალხო ლაშვრის უპირატესობანი დაუპირისპირა. ბატონიშვილმა მთავრობის ჯარებს პარტიზანული ომი გაუმართა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშვარი ძირითადად ცხენისნებისაგან შედგებოდა, სწრაფი მოძრაობისა და მანევრირების უნარი ჰქონდა. რსუსთის მთავრობის ჯარი კი უპირატესად ქვეითი იყო. დ. ორბელიანი ჯარის რაზებად დაყოფას ერიდებოდა, რადგან აფანიუბულთა ცხენისან ლაშვარს შეეძლო ასეთ განმარტოებულ რაზმს ვარბი ძალით დასცემოდა და გაუნადგურებინა, ვიდრე მას დამხმარე ძალა მოუკიდოდა. ამიტომ გენერალი ორბელიანი მთელი თავისი ჯარით ზოზინით დასლევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ადგილს ხშირად იცვლიდა, მოულოდნელად დაარტყამდა მტერს და უცბადვე გაეცლებოდა. ალექსანდრემ მოსახლეობის მხარდაჭერის წყალობით მოწინააღმდეგის ყოველი ნაბიჭი იცოდა, ორბელიანს კი წარმოლენენა არ ჰქონდა აფანიუბულთა ძალების განლაგებაზე და ბატონიშვილის ლაშვარს ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ დაექცებდა.

ყოველი მეტად უცხოებად მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ერთი შეხედვით მთავრობის ჯარი იმარჯვებდა, გენერალი ორბელიანი საქართველოს მთავარმმართველ რტიშევს ალექსანდრე ბატონიშვილის „საბოლოო დამარცხების“ ამბავს აცნობებდა. მთავრობაც ელოდა ალექსანდრეს გაქცევის და მის დასაქერად ზომებს იღებდა, მაგრამ ასეთი „საბოლოო დამარცხება“ ბოლომოულებლად მეორდებოდა. ბატონიშვილი კი არ გარბოდა, არამედ ერთ ადგილის „საბოლოოდ დამარცხებული“ მეორე ადგილის ჩნდებოდა, სადაც მის გარშემო კვლავ აფანიუბულნი ირაზმებოდნენ.

წინააღმდეგ არის ამდგარი, ბატონიშვილს ყველგან ბინა აქვს და ამიტომაც ხელში ვერ ჩავიგდე“. ბრძოლის სწრაფად და წარმატებით დამთავრებისათვის ორბელიანს საჭიროდ მიაჩნდა კახეთში მსხვილი სამხედრო ერთეულების გაღაყვანა. ამით „ხალხს შიშის ზარი დაცემა, ბატონიშვილს აღარ მიუდგებიან და მას აქეთით მიმოსელის საშუალება აღარ ექნება“¹⁵.

15 6. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 464—465.

გენერალმა ორბელიანმა დამხმარე ჭარის ნაწილები შეზრდასთან და
 და 9 ოქტომბერს განთიადისას შილდასთან ბრძოლა გაუმართდა გა-
 ტონიშვილის 6-ათასიან ლაშქარს. მეამბოხენი მამაცურად იბრძო-
 დნენ, იხოცებოდნენ და მტერს კი არ ნებდებოდნენ. შეიღსაათიანი
 ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა შილდის თავისაერ დაიხსუს. მი-
 ხეილ ერისთავი მთავრობის ჭარის ნაწილებით უკანლახეულებს
 ზურგში იდევნა. ალექსანდრე ბატონიშვილი შემობრუნდა და გა-
 თამამებულ მდევარს ალყა შემოახტყა. გვირვებულ ერისთავს
 რუსთა სხვა რაზმები მიეშველენ. მან დიდი ზარალის ფასად დაალ-
 წია თავი სრულ განადგურება-ტყვეობას. მთავრობის ჭარის და
 აჯანყებულებს შორის დიდი ბრძოლები მოხდა 24 და 29 ოქტომ-
 ბერს. ბატონიშვილი თავის ლაშქრით ჩალაუბნის ხეობაში შევიდა.
 გენერალმა ორბელიანმა დადევნება ვერ გაბედა, დამხმარე ჭარს და-
 უწყო ლოდინი.

ნოემბრის დამდეგს კახეთში გაიგზავნა ახალი დიდი ჭარი გე-
 ნერალ სიმონ ვეიჩის მეთაურობით. 21 ნოემბერს სოფ. ხაშმთან მან
 მძიმე ომი გადაიხადა, დაამარცხა მეამბოხენი და ორბელიანთან შე-
 საერთებლად გაემართა. ჩაილურთან რუსთა ჭარის ნაწილები შე-
 ერთდნენ და 26 ნოემბერს გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს ალ.
 ბატონიშვილის ლაშქარი. აჯანყებულნი დაითანტენ. ალ. ბატონი-
 შვილი დაუსხლტა რუსთა ჭარს და თიანეთს ავიდა. აჯანყება არსე-
 ბითად დამთავრდა.

გენერალმა რტიშჩევმა ბრძანებები დაგზავნა კახეთიდან გასას-
 ულელი გზების შეკვრის თაობაზე. ორბელიანი, ტიხანოვსკი, სიმო-
 ნოვიჩი, სტალი და ზოგიერთი ქართველი თავადი თავგამოდებით
 ცდილობდნენ ბატონიშვილის დატყვევებას, მაგრამ ამაოდ. ალექ-
 სანდრე თიანეთიდან ფშავში გადაიდა, შემდეგ ხევსურეთში ავი-
 და და ბინა შატილში დაიდო¹⁶.

ალექსანდრეს შეპრობის საქმეში ხელმოცარული საქართველოს
 მთავარმართელელს სხვა გზა არ დარჩენოდა და ერთხელ კადევ
 სცადა ტკბილი სიტყვით ბატონიშვილის მორჩილებაში მოყვანა.
 ლვისის განვებით, ქართველ მეფეთა სურვილით, სწერდა რტიშჩე-
 ვი ბატონიშვილს, საქართველო მტრებისგან დასაცველად რუსე-
 თის იმპერატორს გადაეცა. შენ კი ამის წინააღმდეგ გამოდიხარ და
 დახმარებას საქართველოს ტრადიციულ მტრებთან ეძებ. კახეთი შე-
 ნი მიზეზით ამოვარდა, მიზანს კი მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან

¹⁶ იქვე, გვ. 466—467, 471—472.

ლმერთი არ გწყალობს. ბრძოლაზე ხელი აიღე, დაშვიდდი, დან-
დობილი მოდი და ხელმწიფის წყალობას შეეფარეო.

ალექსანდრე ბატონიშვილმა რტიშჩევს შესაფერისი პასუხი
გასცა. საყურადღებოა, რომ მან რტიშჩევის თეზის — ქართველ მე-
ფეთა მიერ რუსეთის იმპერატორის მფლობელობაში საქართვე-
ლოს ნებაყოფლობით გადატემის შესახებ პირდაპირ არ უპასუხა,
რადგან დიპლომატ ბატონიშვილს არ უნდა ამით შეურაცხყოს რუს-
თა ხელმწიფე და მოლაპარაკების უკელა გზა აღკვეთოს. იგი
რუს დიდმოხელესთან კამათის დროს იმპერატორს არავითარ
ბრალდებას არ უყენებს, დამნაშავედ უკელაფერში მთავრობის მო-
ხელეები გამოჰყავს.

ალექსანდრე ბატონიშვილი რტიშჩევისათვის გაგზავნილ წე-
რილებში ქართველი ხალხის აჯანყებას სამართლიან ბრძოლად აც-
ხადებს. ქართველები დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული სახელ-
შრიფთობრიობისათვის იბრძვიან, ეს კი წმინდა საქმეა, ადამიანის
საპატიო მოვალეობაა. ვინც სამშობლოსათვის თავს დადგებს, მას
მსხვერპლად შეეწირება, დიდების ლირისა. მებრძოლმა ქართვე-
ლობამ მეთაურად მომიწვია და მეც ცხენი შემოვაგელვე ხალხისა
და სამშობლოს დასაცავადო.

ცარისმის დიდმოხელეები უსაყველურებლნენ ალექსანდრეს, რომ
ეგი სპარსელთა ძალას ეყრდნობოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი
სრულიადაც არ იყო სპარსმოყვარე და რუსთა მოძულე. ეს პოლი-
ტიკოსი დარწმუნებული იყო თავის საქმის სიმართლეში, შეურიგე-
ბელი იყო არა რუსეთთან კავშირისა, არამედ რუსეთის მთავრობის
მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა.

„ალექსანდრე ბატონიშვილი შაპთან თანხმობაშია, მისი „წყალ-
ობით“ სარეგებლობს და სპარსეთი კი საქართველოს მტრად მიაჩი-
ნია, ხოლო რუსთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძვის და რუსეთთან
კავშირს კი ერეკლეს მიერ განხორციელებულს, სასურველად
სთვლის და „ხალხის მიერ კეთილად გამორჩეულ“ ამ საქმის სა-
წინააღმდეგო მოქმედების ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.
გამოდის, რომ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ შეურიგებელი
მებრძოლი ალექსანდრე თავის თავს სთვლის რუსეთთან კავშირის
დამცველად. ალექსანდრე არ ლალატობს ერეკლეს გზას — „აზიი-
სათვის“ პირშექცევისა და „ევროპისკენ“ მობრუნების გზას. მაშა-
სადამე, შაპთან თანხმობას ალექსანდრე უყურებს როგორც ტაქ-
ტიკური ხასიათის დროებით ხერხს რუსთა ბატონობის წინააღმ-

მდეგ ბრძოლაში... ასე რომ ალექსანდრე ბატონიშვილი იმ დრო-
საც კი, როცა სპარსეთის დახმარებით საქართველოში მეფის ასუსტენი
თის ბატონობას ებრძოდა, რუსეთის ორიენტაციის ჩჩებოდათ.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის
შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მისი მეთაურობით რუსეთის მთა-
ერობას გაუმართა, შესაძლებელი იქნებოდა მორიგება, იმედოვნებ-
და, რომ რუსეთის მთავრობა აღადგენდა 1783 წლის ტრაქტატს,
საქართველოს გამოაცხადებდა იმპერიაში შემავალ ავტონომიურ
სამეფოდ. მაგრამ ეს იმედი ამჯერადაც ამათ აღმოჩნდა. გამარჯვე-
ბული რუსეთის ცარიზმისათვის 1783 წლის ტრაქტატი განვლილი
იტაპი იყო. ამიერკავკასიის უშუალო შეერთება მიაჩნდა რუსეთის
ინტერესების ერთადერთ გამოხატულებად, წინა აზიაში მისი გავ-
ლენის გაძლიერების საწინდრად.

ასეთ პრინციპულ აზრთა სხვადასხვაობის გამო ალექსანდრ-
ე ბატონიშვილისა და რტიშჩევის მოლაპარაკება უშედეგოდ და-
მთავრდა. რუსეთის მთავრობა გადაუდებელ საქმედ თვლიდა ბა-
ტონიშვილის შეპყრობის, ან მისი ამიერკავკასიის საზღვრებიდან
განდევნას. 1813 წლის მაისში გენერალმა რტიშჩევმა ოთხი მხრი-
დან შეუსია ლაშქარი ხევსურეთს, სადაც ალექსანდრე ბატონიშვი-
ლი იმყოფებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა 3 ივნისს მოხდა. ხევსუ-
რები მამაცურად იბრძონენ შატილის დაცეისათვის, 600 ვაჟკაც-
მა თავიც შესწირა ამ საქმეს, მაგრამ რუსეთის არტილერიამ გა-
დაწყვიტა ბრძოლის ბედი. შატილი აიღეს მეფის ჭარებმა და იგი
მიწასთან გაასწორეს. მიუხედავად ამისა, მთავარი ამოცანა მეფის
ლაშქარმა ვერ შეასრულა. ალექსანდრე ბატონიშვილი ამჯერადაც
გაუსხლტა მდევარს და დალესტანში გადავიდა. ასე დამთავრდა სა-
ქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლის ერ-
თი უკელახე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი.

2. 1819-1820 წლების იმპორტის აჯანყება და სამიზნე აღდგენის საკითხი

1810 წელს რუსეთის ცარიზმის მიერ იმერეთის სამეფოს გა-
უქმებას თუ რაოდენ დიდი პროტესტით უპასუხა მოსახლეობამ,

17 ნ. ბერძონიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 476—478.

ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. მეფის გენერლებმა სისხლში ჩაითვალისწილები საყოველთაო აგანყება, ხალხი უხეშ ძალას დამორჩილდნენ გრამ იმერეთი, თვით ცარიზმის მოხელეთა განცხადებით, დროებით დაწყნარებულ ცულკანს ჰეგიდა.

რუსი მოხელეები დარწმუნდნენ, რომ ქართველი ხალხი ადვილად არ თმობდა თავის მეობას, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ამიტომ იმერეთის დროებითი რუსული მმართველობა ფრთხილად მოქმედებდა, ცდილობდა რუსეთის მთავრობისათვის სისურველი გარდაქმნები ნელა და შეუმჩნევლად შეეპარებინა მოსახლეობისათვის.

რუსეთის - ცარიზმი აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ კიდევ ათოოდე წელი ურიგდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. 1811 წელს კი მთავრობამ გამოსცა ქანონი საქართველოს საეკლესიო მმართველობის შესახებ, რომელიც სპობდა საქართველოს უძველესი ეკლესიის დამოუკიდებლობას. კათალიკოსი ანტონ II გადააყენეს და რუსეთს გადაასახლეს. საქართველოს მაკლესიის გამგებლობა რუსეთის უშმინდესმა სინოდმა უგზარქოსს მიანდო. პირველ უგზარქოსად დაინიშნა ვარლამ ერისთავი. აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულები ხაზინის გამგებლობაში გადაეიდა, რითაც ქართველ სამღვდელოებას მოუსპეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზა და დასაბამი მისცეს ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ცარიზმის მორჩილ მოხელეებად გადაცევის პროცესს. ამ რადიკალურმა ცვლილებამ ქართლ-კახეთში დიდი პროტესტი გამოიწვია. მაგრამ რეფორმა შედრებით შშივიდობიანად გატარდა.

1815 წელს რუსეთის მთავრობამ ჩამოაყალიბა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. ასრულებდა რა მეფის მთავრობის დავალებას, უგზარქოსმა ვარლამმა დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება. მან იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მღვდელმთავრებს მოსთხოვა ცნობები საეკლესიო ყმა-მამულის რაოდენობისა და შემოსავლის შესახებ. მაგრამ მიტროპოლიტები ეჭვით უცქერდნენ ამ ღონისძიებას და ყოველნაირად ავითანებდნენ ცნობების წარდგენს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში.

მთავრობამ გაუბედავი მოქმედებისათვის ვარლამი გადააყენა და უგზარქოსად დანიშნა თეოფილაქტე რუსანოვი. ეს უკანასკნელი არ იცნობდა საქართველოს, წარმოდგენა არ ჰქონდა მის საეკლესიო წყობასა და ტრადიციებზე. იგი დარწმუნებული იყო სრულ

წარმატებაში და ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული კულტურული სის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. ახალმა ეგზარქოსმა სიონის კულტურული ძალები რუსული მღვდელმსახურება შემოილო და დაიწყო საერთოდ ეკლესის რეორგანიზაცია.

1818 წელს ეგზარქოსმა სინოდში წარადგინა თვისი წინადადებები, რომელიც ითვალისწინებდა ომოსავლეთ საქართველოში სამის ნაცვლად ერთი ეპარქიის შექმნას. გაერთიანებულ ეპარქიის სათავეში უნდა ჩადგომოდა თვით ეგზარქოს და საეკლესიო საქმეები განეგო ვიკარის დამარებით, რომლის თანამდებობას გორის ეპისკოპოსს სთავაზობდნენ. თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთისათვის საქმარისად თვლიდა აგრეთვე ერთ ეპარქიის არქიერის მეთაურობით. მისი აზრით, გურიისა და სამეგრელოს გაერთიანება შეიძლებოდა ერთ ეპარქიაში, მაგრამ სამთავროების არსებობის გამო შეიძლება შევურიგდეთ ორი ეპარქიის არსებობას¹⁸. საქართველო-იმერეთის ეკლესის მთართველობისათვის, ეგზარქოსის აზრით, სინოდალური კანტორის ნაცვლად უნდა შექმნილიყო დიკასტერია. ცალკე უნდა დარჩენილიყო თვეთის კომისია.

საქართველოს ეგზარქოსის წინადადებანი განიხილა სინოდმა და მიიღო ასეთი დადგნილება: 1. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორი დარჩეს თავის უფლებებში. მაგრამ წინასწარ გაიმიჯნოს ეგზარქოსისა და კანტორის ფუნქციები. 2. ომოსავლეთ საქართველოში დაარსდეს ერთი ეპარქია, რომლის არქიერის თანაშემწერი იქნება ვიკარი. 3. სილნალის ეპარქიის არქიერად გარდაცვალებამდე დარჩეს იოანე ბოლელი (მისი დამსახურების აღიარების ნიშანად) იმ პირობით, რომ იგი დაემორჩილება ეგზარქოს. 4. იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში დაწესდეს ცალკე ეპარქიები, რომლის არქიერები დაემორჩილებინ სინოდს¹⁹.

ამ გარდაქმნებთან ერთად თეოფილაქტე რუსანოვმა დასვა დასვლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაიცემის საკითხი, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ამ განხრახვის წინ აღუდგა არა მარტო სამღვდელოება, რომელიც საეკლესიო მამულებს თავის ხელშეუხებელ საკუთრებად თვლიდა, არამედ მის წინააღმდეგ გაიღაშქრეს გურია-სამეგრელოს მთავრებმა და დასავლეთ საქართველოს თავითანაურო-

18 ცГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 150, л. 258—260.

19 ცГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 150, л. 262—264.

ბამ²⁰. ხოლო იმის გამო, რომ ხაზინის გამგებლობაში საეკლესიო მამულების გადაცემის შედეგად იზრდებოდა საეკლესიო გუვეტების გადასახადები, რეფორმას მტრულად შეხვდა გლეხობის საგრძნობი ნაწილიც.

1819 წ. მაისში თეოფილაქტე რუსანოვი პროეურორ ჭილაშვილის თანხლებით იმერეთში ჩავიდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა რეფორმის გატარებას. იმერეთის მმართველის დამარებით ეგზარქოსმა დაიწყო ცნობების შეგროვება იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეკლესიებშე, სამრევლოთა ჩაოდენობაზე, საეკლესიო მამულების შემოსავლის შესახებ. მაგრამ მყისვე წაწყდა მღვდელთაგრების, თავადაზნაურობისა და ხალხის წინააღმდეგობას. ეგზარქოსის მოხელეებს სოფლებშიც კი არ უშევებდნენ.

მოძრაობას გამოუჩნდა ხელმძღვანელი და ერთი მიზნისაკენ წარმმართველი ძალა. 1819 წ. 2 ივლისს იმერეთის თავადაზნაურობა და ხალხი რაჭის თავადაზნაურობას სწერდა: ეგზარქ თეოფილაქტეს მოსელის შემდეგ იმერეთის მოსახლეობა საშინელ მწუხარებას მიეცა. განზრისახვა აქვთ ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დაანგრიონ, წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯერები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველ არქიერებს და მღვდლებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელშეუხებლად რჩება ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონააკლისი მათ შორის? აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყფა, — ახლა განა რა დავაშვეთ, რომ ეკლესიებს გვიცურავენ, არქიერებსა და მღვდლებს გვართმევენ.

1819 წელია, რაც ჩვენ გვაქვს ქრისტიანული წესები. დაე, ნუ დაირღვევა იგი და ჩვენ ვიქნებით ხელმწიფე იმპერატორის ერთგული მონები, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებიბრძოლებთ მისთვის. მაგრამ ხელმწიფისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია, ის მხოლოდ ღმერთის ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ ერთად შეკრებილი თავიადები, აზნაურები და გლეხები ცრემლით შევთხოვთ უფროსებს და გენერლებს, რომ თეოფილაქტეს მიერ ჩვენდა სამწუხაროდ მოფიქრებული ღონისძიება გაუქმდეს. თუ ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ, სჭობს ამოგვწყვიტონ.

ახლა გთხოვთ, აძლევენ იმერლები დავალებას რაჭის თავადაზნაურებს, მოიქცეთ თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად-

20 იქვე, გვ. 260.



ნუ მისცემთ პასუხებს გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ შემდეგ გაწმილებულნი, როგორც ჩენ გავისტუმრეთ. თუ ისინი მოახერხებენ ზოგიერთთა მოტყუებას, ძალით ჩამოართვით შევსებული ფურცლები. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ საქმეში ერთად ვიმოქმედოთ.²¹

ამ მოწოდებას მყისვე გამოეხმაურნენ რატველები. დაიწყეს შეკრებები ეკლესიებში, ერთსულოვან მოქმედებაზე ფიცის დადება. მალე მღვდლარება გურია-ხამეგრელოსაც მოედო. იმერეთის მართველი შეშფოთდა და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაუგზავნა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს (ერმოლოვი ამ დროს სპარსეთში იყო წასული). „აჯანყება, — წერდა იმერეთის მმართველი კურნატოვსკი — საყოველთაოა. ჩვენს მხარეს არავინ არაა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ. აფხაზებიც ამ გზის დაადგებიან. მთავრების ერთგულება საეჭვოა, მათი ძალა საერთო-სახალხო აზრის წინააღმდეგ უმნიშვნელოა“²².

შეშფოთებულმა ველიამინოვმა საყვედურებით ააგსო იმერეთის მმართველი—საქმე რატომ მიიყენეთ აჯანყებამდეო, თან პროკლამაციები გამოიგზავნა მას ხალხში გასავრცელებლად. რუსეთის მთავრობას, ნათქვამია პროკლამაციაში, პქონდა კეთილი განზრახვა, სურდა წესრიგში. მოეყვანა იმერეთის ეკლესიის საქმეები. თქვენ ეს ვერ გაიგეთ, დაუჭერეთ მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილ პირებს და აჯანყებას აპირებთო. გაიხსენეთ რა შედეგი მოჰყვა თქვენს ორგზის აჯანყებას. თუ არ ეთანხმებით ეკლესიის რეფორმის საჭიროებას, აჯანყება კი არ უნდა დაიწყოთ, არამედ ხელმწიფეს თხოვნით უნდა მიმართოთ, შეიძლება დაკაყოფილება მიიღოთო²³.

ველიამინოვმა ბრძანება გასცა აღწერის შეწყვეტის თაობაზე, თანაც ეგზარქოსი თეოფილაქტე იმერეთიდან გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ეჭვი ეპარქებოდა მთავრობის კეთილგანზრახვაში. მართალია, მეთაურებმა გლეხთა დიდი ნაწილი აჯანყებულთა რაზმებიდან გაუშვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად, მაგრამ კვლავ გრძელდებოდა ხალხის დაფიცება, თა-

²¹ AKAK, თ. VI, გ. I, ც. 391.

²² AKAK, თ. VI, გ. I, ც. 536—537.

²³ იქვე, გვ. 538—539.

ვადი, აზნაური, მლედელი და გლეხი პირობას დებდა, რომ ქაშვანი
როების დროს ერთსულოვნად აღსდგებოდა, წმინდა საქმისათვის თავს
დადებდა.

ველიამინოვსა და ერმოლოვს ალბათ თავის გასამართლებლად
სჭირდებოდათ ამ კრიტიკული სიტუაციის შექმნისათვის მთელი
ბრალი ეგზარქოსისათვის დაეკისრებინათ. სინამდევილეში კი აჯან-
ყების მიხეზი მარტო საეკლესით რეფორმა როდი იყო. იგი გამო-
იწვია რუსეთის ცარიზმის მთელმა პოლიტიკამ, მეფის მოხე-
ლეთა ოვირახსნილობა-გაუკითხაობამ. ამიტომ იყო, რომ ეგზარ-
ქოსის იმერეთიდან წასვლა, ველიამინოვის პროელამაცია და დაპი-
რებები არასაკმარისი აღმოჩნდა აჯანყების შესახერებლად. მეთაუ-
რებმა მოციქულები აღმოსავლეთ საქართველოშიც გაგზავნეს. ამას-
თან ერთად გადაწყვიტეს შეერჩით იმერეთისათვის მეფე. მიტრო-
პოლიტები აჯანყებულებს ლოცავდნენ, მოუწოდებლნენ მათ სამ-
შობლოს განსათვასუფლებლად გმირული ბრძოლისაკენ. იმერე-
თის მმართელმა კურნატოვსკიმ კარგად გამოიცნო აჯანყებულთა
მოჩვენებითი პასიურობის მიზეზი. იგი ველიამინოვს აცნობებდა,
რომ იმერლები რეპრესიებს ელოდებიან და შემდეგ აპირებენ ერთ-
დროულად დაეცნენ თავს გამაგრებულ პუნქტებს. ამიტომ იმერეთ-
ში დამატებითი ჯარების გამოგზავნა აუცილებელია²⁴.

მეფის მოხელეთა ზემოთ მოტანილი მიმოწერიდან კარგად ჩანს,
რომ იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის
დაწყებული აჯანყების მიზანი გაფართოვდა. იმერეთის მოსახლეო-
ბამ მიზნად დაისახა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მო-
პოვება, იმერეთის სამეფოს აღდგენა. მეთაურებმა კარგად იცოდ-
ნენ, რომ ამ დიდი მიზნის განხორციელება მარტო იმერეთის ძა-
ლით შეუძლებელი იყო. მათ მოციქულები გაგზავნეს სამეგრელო-
ში, გურიაში, ქართლ-კახეთში და მთელ ქართველობას აჯანყები-
საკენ. მოუწოდებლნენ. აჯანყებულებმა სცადეს კავშირი დაემყა-
რებინათ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ დალესტანთან და თუ შე-
საძლებელი იქნებოდა გამოეყენებით აგრეთვე სპარსეთ-ოსმალე-
თის ანტირუსული განწყობილებანიც.

მართალია, აჯანყების პირველ დღეებში იმერეთის აღდგენი-
ლი სახელმწიფოს მეფობის კანდიდატად დასახელებული იქნენ
ზურაბ წერეთელი და ივანე აბაშიძე, მაგრამ უმრავლესობა ბაგრა-
ტიონთა საგვარეულოს წარმომადგენლის გამეფებას უჭერდა მხარს.

²⁴ АКАК. т. VI, ч. I, с. 534—540.

მათ შორის კი უველაზე დიდი სახელით საქართველოს დამოუკიდებლობის ოლდგენისათვის მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილი გადაიდო

სარგებლობდა.

კახეთში ერთწლიანი ბრძოლით მოლლილი და მეფის გენერლების მიერ დევნილი ალექსანდრე ბატონიშვილი 1813 წლის შემოდგომაზე ჭარ-ბელაქანსა და დალესტანში გადავიდა. აქ იგი დიდ აგიტაციას ეწეოდა რუსთის წინააღმდეგ, როგორც ერმოლოვი წერდა, თესავდა მთის ხალხებში აჯანყების თესლს. ალექსანდრეს მიერ სპარსეთის დახმარებით დაიმედებული მთიელები დიდი რაოდენობით შეიარაღდნენ და დაეცნენ რუსთა ჭარებს. აჯანყებულებმა მიიმჩრეს ტარკის შამხალი, ყარაყაიტალის უწმია. მათ გადაიბირეს აგრეთვე ივარის ხანი, რომელსაც რუსთის მთავრობისაგან მინიჭებული ჰქონდა გენერალ-მაიორის ჩინი და ლანიშნული 5000 მან. ჭამაგირი. ასეთ პირობებში ალექსანდრე ბატონიშვილის მთაში ყოფნა და საერთოდ თავისუფალი არსებობა მეფის გენერლებს უდიდესი უბედურების წყაროდ მიაჩნდათ და ყოველნაირად ცდილობდნენ მის შეპყრობას.

1817 წ. 26 ივნისს გენერალი კუტუზოვი აცნობებდა ერევნის საზღვარზე მდგარი ჭარის უფროსს პოლკ. აფხაზს, რომ ალ. ბატონიშვილმა დატოვა ანცული, გადავიდა ჭარში და ჭარელების დახმარებით სურს გზა გაიკვლიოს ერევნისაკენ. მიიღეთ სიფრთხილის ყველა ლონისმიება, ყოველგვარი საშუალება იხმარეთ მის შესაბყრობად. ასეთივე წერილები მიიღეს შირვანის, შაქისა და ყარაბაღის ხანებმა²⁵.

იმავე კუტუზოვმა მრისხანე გაფრთხილება მისცა ჭარელებს. თუ თქვენ დაარღვევთ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას და ალ. ბატონიშვილს სპარსეთს გაქცევაში დაეხმარებით ცეცხლი და მახვილი აღიმართება თქვენს თავზე. ხოლო თუ ბატონიშვილს გზას არ მისცემთ, ყველა ძველი ცოდვები გეპატიებათ და უვნებელი დარჩებითო²⁶.

ჭარელები არ შეუშინდნენ მეფის გენერლის მრისხანე გაფრთხილებას ცარისმის წინააღმდეგ შეუდრეველ მებრძოლს თვალის ჩინიეთ უფრთხილდებოდნენ. 1817 წ. აგვისტოში 14 ჭარელი მამასახლისის თანხლებით ალ. ბატონიშვილმა მშეიღობით აუარა გვერდი რუსთა ჭარის მრავალ საყარაულო პუნქტს და ალიაბაღში ჩავი-

²⁵ AKAK, T. VI, N. I, c. 287—288.

²⁶ იქვე.

და, საიდანაც პირებდა სპარსეთს გადასვლას. გენერალმა კუტუშევი
ზოგმა გაიგო ეს ამბავი და პოლკოვნიკ კლიმოვსკის დაავალებით უკუკ
ლოდნელად დაეცი ალიაბაძს, შეიძყარი ან დახოცე ცველანიო. რამ-
დენიმე ხნის შემდეგ კი გენერალი დელპოლო კუტუშოვს აცნობებ-
და, ამჟამად ალ. ბატონიშვილი. სოფ. კარალალაში იმყოფება და
სპარსეთს გადასვლას პირებს. თუ კარალალეთა მოსყიდვისათვის
ათიათას მანეთს გავიღებთ, ბატონიშვილი ჩვენს ხელთ იქნებაო²⁷.

ალ. ბატონიშვილმა უხითათოდ დააღწია თავი საყარაულო
პენჯტებში ჩასატრებულ ქარისკაცებს, საზღვარზე გადაეიდა, ჯერ
ახალციხეში შევიდა, შემდეგ კი ერევნის სახანოში გადავიდა. აბას
შირზამ ქართველი მეფისწული დარიალგიოზის ოქრუგის მმართვე-
ლად დანიშნა. ერმოლოვი სიბრაზით ცოლებს ყრიდა, მაგრამ საქმის
გამოსწორება არ შეეძლო. ამიტომ იგი ალ. ბატონიშვილის უგუ-
ლებელყოფის ტაქტიკაზე გადაეიდა, უმაღლეს მთავრობას ურჩია
ალექსანდრეს სპარსეთში ჩასვლა-მიღებაზე რეაგირება არ მოეხ-
დინა, საჭირო არაა დიდი განვაშის ატეხა, ეს კიდევ უფრო გაზრ-
დის ამ ჩვენი დაუძინებელი მტრის ავტორიტეტს²⁸.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი დასავლეთ საქართველოში
დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ამიტომ სულაც არაა გასაკეირი,
რომ იმერეთის აჯანყებულებმა ალექსანდრე ერეკლეს ძეზე შეაჩე-
რეს თავის არჩევანი. მასთან მოციქულები გაგზავნეს. იმერეთის სა-
მეფო ტანტი და აჯანყების მეთაურობა შესთავაზეს. დასავლეთ სა-
ქართველოს პატრიოტები მართებულად ვარაუდობდნენ, რომ ნი-
ჭიერი პოლიტიკოსისა და სარდლის, დიდი ვეტორიტეტის მქონე
ბატონიშვილის მეთაურობა აჯანყებას მეტ გაქანებას მისცემდა.

რუსეთის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფალთ შეუმჩნევე-
ლი როდი დარჩათ აჯანყებულთა ეს ნაბიჯი. დაზვერვის მიერ მი-
ღებულ ცნობებზე დაყრდნობით ველიამინოვი 1819 წ. 10 ნოემ-
ბრის ერმოლოვს მოახსენებდა: ალ. ბატონიშვილმა, მართალია, მი-
იღო იმერელი მოციქულები, მაგრამ არასაკმრისად მიიჩნია ივანე
აბაშიძისა და რამდენიმე პირის წერილი და ხელწერა. მან მოით-
ხოვა იმის საბუთი, რომ ალექსანდრეს გამეფება სურს იმერეთის
მთელ თავადაზნაურობას, სამლელელობას და მეზობელ გურია-სა-
მეგრელოს მთავრებს²⁹.

²⁷ AKAK, t. VI, ч. I, с. 289—291.

²⁸ AKAK, t. VI, ч. I, с. 311.

²⁹ AKAK, t. VI, ч. I, с. 564.

სამეგრელოს და გურიის მთავრები, შართალია, რუსეთის ცა-
რიშმის წინააღმდეგ გალაშქრების ერ ბედავდნენ, მაგრამ ამ მომოვა-
ხეთა თავადაზნაურობისა და ხალხის დიდ ნაწილს არ აქმაყოფი-
ლებდა იმპერატორისაგან დროებით ნაბოძები მეტად შეზღუდუ-
ლი აეტონომია და მიზანშეწონილად თელიდა იმერლებთან ერთად
გამოსკვლას ჭეშმარიტი ავტონომიის, ან სრული დამოუკიდებლო-
ბის მოპოვებისათვის. ერთი დოკუმენტიდან ჩამს, რომ რუსეთის
მთავრობის კონფინდენტებს დიდი დაზვერვითი მუშაობა ჩაუტა-
რებიათ დასავლეთ საქართველოსა და ახალციხის საფაშოში და
დაუდგენიათ, რომ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს თავადებს
და ხალხს პირი შეუკრავთ, რათა 1820 წლის გაზაფხულზე დაიწ-
ყონ საერთო აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ გურიის მა-
მა, დადიანმა და იმერელმა თავადებმა თითქოს ერთად გაუგზავნეს
წერილი სულთანს და ალექსანდრე ბატონიშვილს. ხალხში გვირ-
ცელებული ყოფილა ხმები, რომ ალ. ბატონიშვილმა უარი თქვაო
შეთავაზებულ იმერეთის ტახტზე და სულთანმაც აუკრძალა ახალ-
ციხის ფაქტს იმერლებისათვის დახმარების გაწევა, მაგრამ კონფინ-
დენტებს მიაჩნდათ, რომ ასეთ ხმებს განვეხ აერცელებდნენ, რა-
თა დაეფარათ ნამდვილი განზრახვა ხელსაყრელი მომენტის დად-
გომამდე³⁰.

ველიამინოვი არ დაკმაყოფილდა კონფიდენტთა ზემოთ მოტა-
ნილი ცნობით და კურნატოვსკის დაავალა ჭეშმარიტების დადგენა. ამ უკანასკნელმა აამოქმედა დაზვერება, თავის კაცი გაგზავნა ახალ-
ციხეს, რომელმაც მოახერხა ფაშასთან შეხვედრა. რუსეთის მთავ-
რობის მოხელეს ახალციხის ფაშამ განუცხადა თურმე, რომ იმერ-
ლები, დადიანი და გურიელი დაუინებით სთხოვენ სულთანს მფარ-
ველობას და ჯარით დახმარებას. იმერლები ძალიან ეშმაკურად
იქცევიან; ახლა ას სურთ დაემორჩილონ რუსეთს და ერთგულე-
ბას ეფიცებიან თურქებს, მაგრამ შემდეგ ცდას არ დააკლებენ, რომ
თურქეთის ხელიდანაც განთავისუფლდნენო. კონფიდენტს შეუმ-
ჩნევია, რომ იმერლები გამალებით ემზადებოდნენ ბრძოლისათვის,
ამზადებენ იარაღს, იმარაგებენ ტყვია-წამალს. ქუთათელმა მიტრო-
პოლიტმა სულ დააცარელა თავისი არსენალი, დაარიგა თოფები,
დაშახები და ხმლები. ცეცხლსასროლ იარაღზე ფასები ორჯერ

გაიზარდა. იმერლები მოუთმენლად ელიან სიგნალს და როგორც
კი მივცემთ საბაბს ომს დაიწყებენოვა.³¹

ერმოლოვი, ველიამინოვი და მათი ქვეშევრდომი მოხუცეულები
შეშფოთდნენ, რაღვან ეროვნული მოძრაობა დასავლეთ საქართ-
ველოში ფართო ხასიათს ღებულობდა. მათ გადაწყვიტეს დაესწ-
როთ აჯანყებულთათვის და პირველად დაეპატიმრებიათ აჯანყების
მეთაურები. ველიამინოვმა იმერეთის მმართველ პუზირევსკის და-
ივალა გამოეყენებია ხელსაყრელი მომენტი და კაზაკთა ჭარის შემ-
წეობით ერთდროულად შეეპყრო: სოლომონ პირველის ქალიშვი-
ლი და ივანე აბაშიძის დედა დარეჯანი, მიტროპოლიტი ქუთათე-
ლი, მატროპოლიტი გენათელი, აჩქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდე-
ლი გუგაძე, ბერიან წერეთელი, ივანე აბაშიძე, ნიკოლოზ ფინეზი-
შვილი-აბაშიძე, პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი დავით
მიქელაძე და გრიგოლ ჩხეიძე. დაპატიმრებულნი უნდა გადაყვა-
ნათ ქართლში, საიდანაც მათ მოზღვები გზას გაუყენებდნენ³².

ამ ღონისძიების გატარების წინ, 1820 წ. 23 თებერვალს იმე-
რეთში გამოქვეყნდა ერმოლოვის პროელიაცია, რომელშიაც ნათ-
ქვამი იყო: იმერეთის ეკლესია მოუწყობელია, ქუთათელი და გე-
ნათელი მიტროპოლიტები კი მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის
ზრუნავენ. საქმის გამოსწორებისათვის საჭიროა მიტროპოლიტების
გადაყენება. მათი გაგზავნა რუსეთში. მე თვით მინდოდა ჩამოსელა
იმერეთის საქმეთა მოსაგვარებლად, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემს
დავალებას შეასრულებს ველიამინოვი. გასული წლის მეამბოხენი
არ დაისჯებიან, მაგრამ თუ ახლა ჩენი განზრახვის შესრულებას
ვინმე წინ აღუდგა, მათ დასასჯელად გამოყენებული იქნება ყო-
ველგვარი საშუალებაოვა.³³

1820 წ. მარტის პირველ რიცხვებში იმერეთის მიტროპოლი-
ტები დააპატიმრეს და ქართლში გაგზავნეს, რამაც დიდი აღშფო-
თება გამოიწვია მთელ იმერეთში. ურჩობა აშკარა აჯანყებაში გა-
დაიზარდა. თავდაპირველად შეიირალებული ბრძოლა რაჭველებმა
გააჩაღეს. 1820 წ. 8 მარტს იმერეთის მმართველი პუზირევსკი ვე-
ლიამინოვს აცნობებდა, რომ რაჭაში, საიაშვილისა და საწულუკი-
ძეოს ვოლოსტებში უკვე დაიწყო მღელვარება. ცხადი გახდა, რომ
უკვე გადასახლებულ მიტროპოლიტებს გარდა აჯანყებას სხვა წამე-

³¹ AKAK, t. VI, გ. I, c. 569—570.

³² იქვე, გვ. 375—576.

³³ AKAK, t. VI, გ. I, c. 578.

ზებლებიც ჰყავდა. საიაშვილის კოლოსტს აღრეც არაერთხელ გაუ-
წევია წინააღმდეგობა მთავრობის ლონისძიებებისათვის, ახლა მაშტაც არა
რომ მის მცხოვრებთა სამაგალითო დასჭა. იმერეთსა და გურიაში სი-
სიწყნარეა. მაგრამ აუცილებელია ქაიხოსრო გურიელის შეპყრობა
და მისი რაზმის განადგურებაოშა.

ვიდრე პუზირევსკი დასახულ ლონისძიებას განახორციელებდა
აჯანყებამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მოედო მთელ
იმერეთს, გურიას და სამეგრელოს საგრძნობ ნაწილს. მეფობის
ერთ-ერთი პრეტენდენტი ივანე აბაშიძე თავისი რაზმით ძალიან
ხშირად იცვლიდა ადგილს, იმერეთიდან რაჭაში გადავიდა, იქნადან
ლეჩხუმს, ხოლო ბოლოს გურიაში ჩავიდა და ქაიხოსრო გურიელის
რაზმს შეუერთდა. პუზირევსკი მაინც იმედინად იყო, მთელი და-
საცლეთ საქართველოს შეერთებული ძალებიც ვერას დაგვაკლე-
ბენო, მოახსენებდა იგი ველიამინოვს. იმედი მაქვს იარაღის გამო-
უყენებლად ჩავაჭრობ აჯანყებას, ურჩების ჩამოხრისობას არ ვაპი-
რებ, მათ ბავშვებივით როსგებით დავსციოშა.

პუზირევსკის იმედი არ გამართლდა. მან ვერ შეძლო აჯანყე-
ბის ალის შეჩერება და დამნაშავეთა როზგებით დასჭა. რაჭის აჯან-
ყებულებმა მეუედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთა-
ისისაკენ დაიძრნენ. რუსეთის მთავრობის ერთგული რაჭის ერის-
თავი როსტომი 1820 წ. 22 აპრილს ველიამინოვს მოახსენებდა,
რომ აჯანყების ჩასაჭრობად აუცილებელია 4—5-ათასიანი ჯარის
გამოგზავნაო. თუ დამხმარე ჯარს დროზე არ გამოგზავნით რაჭის
ბუნტი იმერეთშიც გავრცელდებაოშა.³⁴

როსტომ რაჭის ერისთავმა, როგორც ჩანს, ვერ კიდევ არ იცო-
და, რომ აჯანყების ალი მთელ იმერეთსა და გურიაში გიზგიზებდა:
ქაიხოსრო გურიელის ლაშქარმა შემოქმედთან დაამარტხა რუსთა
ერთი რაზმი. ბრძოლაში დაიღუპა თვით იმერეთის მმართველი პუ-
ზირევსკი. დადიანი და გურიელი, მართალია, რუსეთის მთავრობის
ერთგულებას შერჩენ, მაგრამ სამთავროთა მოსახლეობის საგრ-
ძნობი ნაწილი ანტირევიმულ აჯანყებაში ჩაება.

ერმოლოვი შეშფოთდა. მან დაიწყო ჯარების გადაჯგუფება და-
საცლეთ საქართველოსაკენ. ამასთან ერთად შეეცადა კვლავ გამო-
უყენებია პროელამაციის ძალა. 1820 წ. 24 აპრილის თარიღით

34 იქვე, გვ. 583—584.

35 იქვე, გვ. 585.

36 AKAK, T. VI, გ. I, c. 586—87.

გვრცელებულ პროექტიაში ნათქვამი იყო: ქაიხოსრო გურიელის არაადამიანური საქციელი, რაც გამოიხატა პოლკ. პუშჩინევსკის მოქველაში, ცუდ მაგალითს აძლევს ბოროტმზრის გვერდის ინერეთოც, სადაც უკვე დაიწყო მღვლვარება და ჩვენი ჯარის მცირე შენაერთებზე თავდასხმები. გირჩევთ წინამწარ გაითვალისწინოთ რა შედეგი მოჰყვება იმერეთის აჯანყებას. ეს დიდ უბედურებას უქადის მოსახლეობას, ღმერთი დასჯის ფიცის გამტეხლებს.

წარსული წელი იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ მე არ მინდა რეპრესიებს მივმართო, სისხლი დავლვარო. არც ახლა მინდა იარაღის გამოყენება, მაგრამ შესაძლებელია იგი აუცილებელი გახდეს. ფიცის გამტებ თავადაზნაურებს მამულები ჩამოერთმევათ და სახაზინოდ დაიდება. ქაიხოსრო გურიელი, ივანე აბაშიძე და ნიკოლოზ ფინეზიშვილი-აბაშიძე გამოცხადებული არიან სახელმწიფოს მოღალატეებად. ვინც მათ დახმარებასა და თავშესაფარის მისცემს, აგრეთვე მოღალატეებად მიიჩნევენ და მამულებს დაკარგავენ.³⁷

6. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე და სხვა მკვლევრები ტენდენციურობას იჩინენ და წინა პლანზე აყენებენ აჯანყების ანტიბატონუმურ მიმართულებას. ამის გამო თავადაზნაურთა დიდი ნაწილი გამოეთმა აჯანყებას და ცარიზმის მხარეს გადავიდაო. მაგრამ დოკუმენტებში ამის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ აჯანყებაში ერთსულოვნად მონაწილეობდა მოსახლეობის ყველა ფენა და აჯანყების უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ოდგენა.

ერმოლოვამა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა ჯარის მსხვილი ნაწილები გენერალ ველიამინოვის სარდლობით. დიდი ბრძოლები მოხდა რაჭაში. ბევრი ციხე და სოფელი მიწასთან იქნა გასწორებული. დაატყვევეს 70 კაცი, რომელთაგან 10 ჩამოახრჩვეს, სხვები რუსეთს გადაასახლეს. დიდი ბრძოლები მოხდა იმერეთშიც. იმერეთის დამორჩილების შემდეგ გენერალი ველიამინოვი 3200 კაცით გურიაში შეიჭრა. გააფირებული ბრძოლის შემდეგ აიღოს შემოქმედი. ბევრი სოფელი დაანგრიეს. თვით ერმოლოვი წერდა, რომ აჯანყებული სოფელები განადგურებულია, ბალები და ვენახება ძირიადაა ამოძირული და მცხოვრებნი დიდი ხნის განმავლებაში ვეღარ აღიდგენენ აღრინდელ მდგომარეობას, უკიდურესი სილარიბე იქნება მათი სასჯელიო.³⁸

37 ივე, გვ. 591.

38 Ермолов. Записки, 1868, ч. II, с. 212.

იმერეთის აჯანყებულებს სიტყვაც არ დაუძრავთ აეტონომია-
ზე. ეს გასაგებია, რაღაც მათ კარგად იცოდნენ გამოცდილებრივი
რომ რუსეთის ცარიზმი ყოვლად მიუღებლად თვლიდა ამ იდეას.
ეს ცხადი გახდა 1802, 1804, 1810, 1812 წლების აჯანყებების
დროს. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი საქართველოს სრული და-
შოუკიდებლობის აღსაღებენად შეიარაღებული აჯანყება იყო. ცა-
რიზმი, რა თქმა უნდა, ვერ შეუჩიგდებოდა ასეთ პერსპექტივის
და ამით იყო განპირობებული აჯანყებულთა მიმართ ესოდენი სიმ-
კაცრე.

3. საქართველოს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის აღზების
საპირი 1832 წლის ზეთქმულთა გაზიარები

XIX ს. პირველ მეოთხედში საქართველოს საზოგადოებრივი
ქალები არ იჩენდნენ სეპარატიზმს, მიზანშეწონილად არ თვლიდ-
ნენ რუსეთისაგან გამოყოფას. მაგრამ ისინი ვერ შერიგებოდნენ
ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, ვერ ეგუებოდნენ
ცარიზმის მიერ დამყარებულ საოკუპაციო რეჟიმს, რუს მოხელეთა
აღირიასნილობა-თვეითნებობას. ანტიცარისტული აჯანყების ერთ-
ერთი მთავარი მიზანი იყო 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორ-
მათა საფუძველზე საქართველოს ავტონომიის აღდგენა. ქართვე-
ლი საზოგადოების მოწინავე ნაწილი იმდოვნებდა, რომ ამ გზით
შენარჩუნებული იქნებოდა ქვეყნის ეროვნული თავისთავადობა,
დადებითი ტრადიციები, ქართული ენა, კულტურა და საქართველო
რუსეთის მფარველობა-დახმარებით პროგრესული განვითარე-
ბის ფართო გზაზე გამოვიდოდა.

ქართველი საზოგადოების პროგრესული ზედაფენის ეს პრო-
გრამა არ ეთანხმებოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიურ
პოლიტიკას და ამიტომ მეფის გენერლები სისხლში ახშობდნენ
აჯანყებებს. მიუხედავად ამისა, ბაგრატიონთა საგვარეულოს ბევრი
წევრი და საზოგადოების საგრძნობი ნაწილი იმედს არ კარგადდა-
ხან შშვიდობიანი საშუალებებით, ხანაც ბრძოლით ცდილობდა ცა-
რიზმი დათმობაზე წაეყვანა და საქართველოს ავტონომიური სამე-
ფოს აღდგენაზე დაეყოლებინა. ამ მხრივ საყურადლებოა დავით
ბაგრატიონის მიერ შედგენილი საქართველოს ავტონომიური სამე-
ფოს აღდგენისა და მისი პოლიტიკური წყობის პროექტები.

პირველი ბარათი „საქართველოს უკეთესად მოწყობის შესახებ“ დავით ბაგრატიონიმა რუსთის უმაღლეს მთავრობას 1832 წელს სექტემბერში წარუდგინა. ბარათის შესავალ ნაწილში დავითი აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაპირველად პქონდა სახალხო მზართველობა, შემდევ რამდენსამე ხანს მას ალექსანდრე მაკედონელის ნაცვალი განაგებდა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდევ კი საქართველო „ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფოს სახით და მას მართავდნენ მეფები“³⁹.

დიდი ხნის განმავლობაში, განაგრძობს დავით ბაგრატიონი, პქონდა საქართველოს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და უფრო ხშირად იმყოფებოდა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ. 1783 წელს ეკატერინე II-მ დააქმაყოფილა ერეკლე II-ის თხოვნა და ქართლ-კახეთი მიიღო რუსთის მფარველობაში. 1799 წელს იმპერატორმა პავლე I-მა ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა გიორგი XII, რომელმაც მოითხოვა 1783 წლის ტრაქტატის ზოგი შუხლის შეცვლა. კიდეც იქნა წარდგენილი სათხოვარი პუნქტები, მაგრამ პავლე I-ის გარდაცვალების გამო იგი დაუმტკიცებელი დარჩა. დავითი ვერ ხედავს სათხოვარი პუნქტების დაუმტკიცებლობასა და სამეფოს გაუქმებაში ბრალი იმპერატორს დასდოს, იგი მხოლოდ კნორინგსა და ციციანოვს ადანაშაულებს. ციციანოვი მტრულად იყო განწყობილი ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრებისადმი, რადგან ერეკლე II-მ დასაჯა მისი რამდენიმე ნაოესავი, შერისძიების გრძნობით აღვესებულმა მთავარსარდალმა ჩამოგვართვა საუფლისწულოები და რუსეთს გადავისახლა. ციციანოვის, გუდოვიჩისა და ტორმასოვის მცდარმა პოლიტიკაში ქართველთა შორის დაბადა უკმაყოფილება და სიძულვილი რუსებისადმი.

საქართველოს მართვა-გამგების მოუწესრიგებლობისა და ხალხის უკმაყოფილების მიზეზად დავით ბაგრატიონს მიაჩნდა შემდეგი გარემოებანი:

1. ციციანოვს არ უნდა ჩამოერთონა მამულები ბატონიშვილებისათვის, არ უნდა გადაესახლებინა ისინი რუსეთს, რადგან ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე და მეზობელ მფლობელებზე, შეარყია მათი რუსული ორიენტაცია. 2. ცუცილებელ საჭიროების შეაღენდა მთავარსარდლის თანაშემწედ ერთ-ერთი

³⁹ Две записки царевича Давида «О лучшем устройстве Грузии», გამოсაცემა მომზადა ი. ენეოლოფოვმა, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. I, გვ. 128—129,

ბატონიშვილის დანიშვნა, ამასთან ერთად მიზანშეწონილი იყო იმპა-
ვე ბატონიშვილის გამოცხადება სპარსეთის შაპის ნაცელად, უფრო და უძველეს
იქ არ გამოჩენდებოდა ტახტის კანონიერი მექვიდრე (ბაბათანს სპარ-
სეთის ტახტი უკანონოდ უჭირავს). 3. თუ საქართველოს მართვა-
გამგეობა მიენდობოდა ერთ-ერთ ბატონიშვილს, თურქეთს უფ-
ლება აღარ ექნებოდა პრეტენზიები განეცხადებინა იმერეთისა და
ახალციხეზე, რადგან ეს ქვეყნებიც თავის დროზე საქართველოს
ერთიანი სამეფოს განუყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ. 4. თუ სა-
ქართველოში შენარჩუნებულ იქნებოდა სამეფო ხელისუფლება,
საჭირო აღარ გახდებოდა რუსეთის ესოდენ ბევრი ჯარის შემოყვა-
ნა. კაზათა და დრაგუნთა პოლკების მაგივრობის ქართული ლაშ-
ქარი შეასრულებდა, რომელიც შეიკრიბებოდა ერკლესეული მო-
რიგე ჯარის განჩინების საფუძველზე. 5. სახაზინო შემოსავლის
გაზრდის მიზნით საჭირო იყო სამთო მრეწველობის განვითარება
ქართლ-კახეთში, ნოხების წარმოებისა—აზერბაიჯანის ქვეყნებში,
ხეტყის წარმოებისა—იმერეთში, შავი ზღვის გადაქცევა რუსეთ-სა-
ქართველოს სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველების არტერიად⁴⁰.

შემდეგ დავით ბაგრატიონი იძლევა კონკრეტულ წინადაღე-
ბებს, რომელთა განხორციელებას, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა
მართვა-გამგეობის ნაკლოვანებათა გამოსწორება, ქვეყნის საერთო
მდგომარეობის გაუმჯობესება.

დავითი რეალურ ნიადაგზე იდგა. მისი ბარათი არ იყო ფან-
ტაზის ნაყოფი. რუსეთის მთავრობას, თუ ანგარიშს გაუწევდა ბაგ-
რატიონთა საგვარეულოს, ქართველი თავადაზნაურობის, ხალხის
ფართო ფენების სურვილს, შეეძლო თავისი ინტერესებისა-
თვის ზიანის მიუყენებლად აღდგინა საქართველოს სამეფო 1783
წლის ტრაქტატის ან გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების უფ-
ლებრივ ნორმათა საფუძველზე და გამოყენებია იგი სპარსეთში
თავისი გავლენის გაძლიერებისათვის. მაგრამ სავალალო ის იყო,
რომ რუსეთის ცარიზმი, რომელიც მოწინავე უკრობის საზღვარზე
ითმენდა ფინეთის ავტონომიის არსებობას, ჩამორჩენილი აზიის
შეზობლად საქართველოს აკტონომიური სამეფოს დატოვების ზედ-
მეტად თვლიდა, არ უნდოდა მოზიარე ჰყოლოდა საქართველო-ავი-
ერკავკაციის ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის საჭმეში.

⁴⁰ Две записки царевича Давида «О лучшем устройстве Грузии», გამოსაცემად მოამზადა ი. ენიოლოფოვმა. იხ. მისალები საქართველოსა და ქავკაციის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. I, გვ. 131—133.

რუსეთის მთავრობის ასეთი განწყობილების დროს დავითის მიზანი ექტია თავიდანვე ჭარუაზე ბლობისათვის იყო განწყობული, მაგრამ ფორმალურად იგი მაინც განხილული იბიექტია აქციება.

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ო. კოზოდავლევმა დავით ბაგრატიონის ბაჩათი განსახილეულად საქართველოს ყოფილ მთავარმართობის ბაულუჩის გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა, რათა გაექარწყლებინა დავროს „მისწრავება საქართველოს სამეფოს აღდგენისაკენ“, ამ ბარათზე დაწერა ვალიური, ძირითადად უარყოფითი დასკვნა.

ბაულუჩი თავის დასკვნაში, უპირველეს ყოელისა, იმას აღნიშნავს, რომ დავით ბაგრატიონი საქართველოს პარტკა-გამგეობის გაუმჯობესების შინადაღებით არსეპითად სამეფო სელისულების აღდგენის პროექტს გვთვალისწინობს. დავითი მოითხოვს ერთ-ერთი ბატონიშვილის მთავარსარდლის თანაშემწედ დანიშნვას და მის სპარსეთის შაპის ნაცვლად გამოცხადებას. პირველი დაუშვებელია, მეორე კი პარადოქსული. ბატონიშვილი რომ მთავარსარდლის თანაშემწედ გამოცხადდეს, საქართველოს მოსახლეობა ამას შეაფისებს ბაგრატიონებისათვის სამეფო ტახტის დაბრუნების ფაქტად, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. საქართველოს არარსებული მეფის სპარსეთის შაპის ნაცვლად გამოცხადდების მოთხოვნა კი რეალური შინაარსისაგან დაცლილი ფანტაზიაა.

დავით ბაგრატიონი კახეთის 1812 წლის აჭანყების მიზეზად, განაგრძობს პაულუჩი, მე მაცხადებს. მაგრამ სინამდვილეში ეს აჯანყება საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის ჭერ კიდევ 1802 წელს დაწყებული ბრძოლის გავრმელება იყო და იგი ბატონიშვილებისა და ირანის აგნენტთა ანტირუსულმა საქმიანობამ გამოიწვია. დავითი მოითხოვს მეფის სახლის წევრებისათვის საშობლოში დაბრუნებას უფლებას, მაგრამ ეს არც საქართველოსათვის უქნება ხელ-საყრელი და არც რუსეთისათვის. მათი პეტერბურგში ყოფნაც კი საშიშია. ისინი ბევრნი არიან და შეუძლიათ ანტირუსული პარტიის შექმნა. ამის მაჩვენებელია საქართველოს სამეფოს აღდგენის დავითისეული პროექტი. თუ სიცრთხისლის ზომა დროზე არ იქნა ვიღებული, ჭართველი ბატონიშვილები ოდესებ რუსეთს დიდ ვნებას მოუტანენნა⁴¹.

დავით ბაგრატიონის 1812 წლის პროექტი უარყოფილი იქნა,

41 დასახელებული „მასალები“, გვ. 139—156.

მაგრამ ბატონიშვილს იმედი არ დაუკარგავს. 1817 წელს მან იმპერატორი რატორ ალექსანდრე I-ს მეორე ბარათი მიართვა. სიცავითი აღმართვა

საქართველო, ნათელამია დავითის მეორე ბარათში, ხშირად ექ-
სეოდა უცხო სახელმწიფოთა გავლენაში, მაგრამ ალექსანდრე მა-
კედონელის დროიდან მას ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰე-
ჭონდა თავისი „კონსტიტუცია“, რომელსაც მფარველები არ ა-
ღვევდნენ. VI ს-ში საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელ ხოს-
როინთა დინასტიიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა, მიუხედავად ამი-
სა, იუსტინიანეს საქართველოს სამეფო არ გაუუქმებია. ბიზანტი-
ის იმპერატორმა მეფედ გამოვზავნა ბაგრატიონთა საგვარეულოს
წარმომადგენელი, რაღაც მან კარგად იცოდა, რომ „აქაური ხალ-
ხი არავისთვის არ იქნებოდა სასარგებლო თავის წინანდელი უფ-
ლებისა და თავისი კონსტიტუციის გარეშე“.

ჩემი პაპი ერეკლე II, განაგრძობს დავითი, შევიდა რუსეთის
ტარაველობაში. გაფორმდა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება,
ტრაქტატი, რომლის მე-6 მუხლის ძალით იმპერატორი პირობას
დებდა დაცუა მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი საქართველოს
სამეფო ტახტზე. ამ პირობას ასრულებდა თქვენი მამა პავლე I,
რომელმაც გიორგი XII მეფედ დამტკიცა, მე კი მის მემკვიდრედ.
ეს სიგელი ახლაც ჩემთან ინახება. ვიორგი XII-ის გარდაცვალების
შემდეგ 1783 წლის ტრაქტატისა და 1800 წლის საოთვოარი პუნქ-
ტების საფუძველზე მე დავიკავე ქართლ-კახეთის სამეფოს გამგის
პოსტი და ველოდი თქვენგან მეფედ დამტკიცების. მაგრამ კონტინ-
გმა მართვა-გამგეობის სადაცებს ჩამომაშორა და თბილისში გახს-
ნა რუსული მმართველობა. ამის შემდეგ ბატონიშვილებს სა-
უფლისწულოები ჩამოგვართვეს და ყველანი რუსეთს გადაგვიახ-
ლეს.

დიდო ხელმწიფევ, იმედით მიმართავს ბოლოს დავითი ლეგი-
ტიმიზმის პრინციპზე აღზრდილ ალექსანდრე I-ს, თქვენი სახელი
ცნობილია მსოფლიოში, თქვენ სამართლიანი ბრძანდებით და ზრუ-
ნვათ არა მარტო საკუთარი ქვეშევრდომების, არამედ გარეშე ხელ-
მწიფეთა კეთილდღეობისათვისაც. თქვენ აღადგინეთ სამეფო ტახ-
ტზე აესტრიის, პრუსიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგა-
ლიის მეფეენ. ყველა თქვენი მადლობელია. მსგრამ ქართველ ბაგ-
რატიონთა სახლი, რომელიც დიდი იმპერატორებისა და ხელმწიფე-
თა მფარველობით 1266 წელი მეფობდა, ახლა დაკინებულია. ჩვენი
გვარი, ნებარვოფლობით რომ დაუქეემდებარა თავის სკიპტრა და
გვირგვინი რუსეთის იმპერატორთა დიდებულ ტახტს, ახლა მის-

თვის ბოძებულ წმინდა უფლებათა საფუძველზე, ელოდება თავის აღდგენას. თუ ეს ასრულდა საქართველო მოწმენდს ცრემლიადნენ სხვა, ერთ დროს დამხობილ, მაგრამ აღდგენილ სამეფოსთან ერთად იზეიმებს და მადლობით მოიყრის მუხლს თქვენი უდიდებულესობის წინაშე.

საქართველოს სამეფოს აღდგენით, არწმუნებს დავით ბაგრატიონი იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რუსეთი არ იზარალებს. იგი საქართველოდან ყოველგვარი ხარჯის გარეშე ყოველწლიურად მიიღებს 1 მილ მანეთ შემოსავალს. საქართველო თავის ხარჯით შეინახავს იქ მყოფ რუსეთის 6 ათას ჯარისკაცს, საჭიროების შემთხვევაში თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ გამოიყვანს თავის ლაშქარს. ჩვენ რუსეთის წინაშე საუკუნო ერთგულების ფიცს დავდებთ, რომლის შესრულების საწინდრად თქვენი დიდებულების კარზე გამოვგზავნით უფლისწულებსა და დიდ თავადთა შეიღებს. შეხედეთ, დიდი ხელმწიფევ, მოწყალე და სამართლიანი თვალით ჩემს სიტყვებს და მაშინ თაობიდან თაობამდე კეთილმოსაგონრად დარჩება თქვენი სახელი¹².

ისტორიული მაგალითების შეხსენება, ბაგრატიონთა საგვარეულოს სამეფო ტახტისადმი კანონიერი უფლების დასაბუთება-დამტკიცება და ლეგიტიმის პრინციპების მოშეველიება ამაოდ დარჩა. ალექსანდრე I, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ დამხობილ-დამცრობილი მონარქიების აღდგენა-განმტკიცებისათვის, დავით ბატონიშვილის, ისე როგორც სხვა ბაგრატიონების, ველრებისადმი ყრუ აღმოჩნდა.

მინისტრთა კომიტეტმა 1817 წლის 20 მარტს მაინც განიხილა დავით ბაგრატიონის ოხოვნა. სხდომაშე კვლავ, ვინ იცის მერამდენედ, გამეორეს ფაქტიური სინამდვილის ტენდენციურად დამახინჯებული ოფიციალური ვერსია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა ნებაყოფლობით, გიორგი XII-ის ოხოვნის თანახმად. ამასთან ერთად აღინიშნა, რომ დავითსა და სხვა ბატონიშვილებს ჯერ კიდევ 1804 წელს კატეგორიულად აეკრძალათ საქართველოში დაბრუნება, სამაგიეროდ იმპერატორმა მათზე დაიბერტყა თავისი წყალობა-სიუხვის კალთა. მათთვის დანიშნული პენსიები და კაპიტალი ორ წილად ანაზღაურებენ იმ შემოსავალს, რასაც საქართველოში იღებდნენ თავის საუფლისწულოებიდან. ამ მოტი-

12 დასახელებული „მასალები“, გვ. 160—165.

ვის საფუძველზე მინისტრთა კომიტეტმა 1817 წ. 20 ნოემბერს და-
ადგინა—დავით ბატონიშვილს მის თხოვნაზე უარი ეთქვასასწარიცხუადი
მინისტრთა კომიტეტი, რუსი დიდმოხელეები, როგორც კანკ-
დავთ, საკითხს კალმხრივად, მატერიალური სარგებლიანობის თვალ-
საზრისით განიხილავდნენ და გავირვებას გამოთქვამდნენ იმის გა-
მო, რომ მამულებითა და პენსიებით უხვად უზრუნველყოფილი
ქართველი უფლისწულები კვლავ საქართველოს სამეფოს ოღვგუ-
ნას მოითხოვდნენ. ისინი განგებ ივიწყებდნენ საკითხის მეორე უფ-
რო მნიშვნელოვან მხარეს, უგულვაბელყოფდნენ ქართველ ბატო-
ნიშვილთა და საერთოდ ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნო-
ბებს, ივიწყებდნენ ერის ბუნებრივ მოთხოვნილებას—დაცუა და
აღღღენა ერთონული სახელმწიფო.

ყოვლადმოწყალე რუსეთის იმპერატორმა არ ინება საქართ-
ველოს სამეფოს ოღვგუნა. კიდევ მეტი, სასტიკად გაკიცხა დავითი
გადამეტებული პრეტენზიებისათვის. და როცა, ერთი წლის შემ-
დეგ, დავით ბაგრატიონმა კვლავ შეასხენა უმაღლეს მთავრობას
თავის ბარათის შესახებ, არაკჩევემა, უდავოა იმპერატორის დავა-
ლებით, გამოიცხადა დავითს, რომ თუ იგი ამის შემდეგ თავს არ
დაანებებს უსაფუძვლო ბარათების თხზვა-წარდგენას, გამოიცხა-
ბრძანება მისი სამსახურიდან გადაყენებისა და პეტერბურგიდან გა-
სახლების თაობაზე⁴³.

დავით ბაგრატიონმა, როგორც ჩანს, მწვავედ განიცადა თავისი
იძედების დამსხვრევა და არაკჩევების მყაცრი გაფრთხილება. ერთი
წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

* * *

XIX ს. 20-იან წლებში საქართველოს განთავისუფლებისა და
ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეს ოქროპირ გი-
ორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონები ჩაუდგნენ სა-
თავეში. მათი ოჯახები პეტერბურგშა და მოსკოვში ჩასული ქართ-
ველი ახალგაზრდების თავშესაყარს წარმოადგენდა. პეტერბურგში,
დ. ბაგრატიონის ბინაზე ხშირად იქრიბებოდნენ დიმიტრი, ელიზ-
ბარ და ზაქარია ერისთავები, ვახტანგ ორბელიანი, ესტატე ჭავახი-
შვილი, ალექსანდრე, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, გაბრი-

⁴³ იქვე, გვ. 126.

⁴⁴ დასახელებული „მასალები“, გვ. 126.

ელ მამაცაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვ⁴⁵. ურთიერთობა ბავრა—
ტიონებთან, რომელიც დედაქალაქების კულტურული ცხოვრის ცენტრში
ცენტრში ტრიალებდნენ და იმ დროის მოწინავე იდეებით სულლეკა
მცლობდნენ, ბუნებრივია, დიდ გავლენას აზღენდა ახალგაზრდა
ქართველების პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და სულისკვე-
თებაზე.

ლრმად განათლებული დამიტრი ბაგრატიონი თავის ახალგაზრ-
და მსმენელებს მოუთხრობდა ლირსშესანიშნავ, ამგებს მსოფლიო
ისტორიიდან, აქცენტს აკეთებდა თავისუფლებისათვის ბრძოლაზე,
საამისოდ მოჰყავდა საფრანგეთისა და გერმანიის თავისუფალი ქა-
ლაქების მაგალითები. შემდევ მსჯელობა გადადიოდა საქართველოზე
და დ. ბატონიშვილი ამბობდა, რომ „ქართველები ველური და გაუ-
ნათლებელი ხალხია, უმეტოდ არიან და სხვ. ამით უნდოდა,—უცხა-
დებდნენ შეთქმულნი საგამომძიებლო კომისიას—შეურაცხეყო ჩვენი
თავმოყვარეობა და თავის განზრახვეს კიდეც მიაღწია, რადგან ვის
არ უყვარს თავის სამშობლო და ვინ არ გამოიდებს მისთვის თავს.
ვან ისაჩებალი ჩვენი სიტყვის შებრუნვებით და უკვე აშეარად და-
გვიწყო საქართველოზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი. პირველ სა-
შუალებად ის ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების შედგენას, გა-
ნათლებასა და ამ საზოგადოების გავრცელებას ოღიარებდა“. ამ სა-
უბრების დროს, ბუნებრივია, ისმებოდა საკითხი საქართველოს მო-
მარელის შესახებ, ხომ ირაა შესაძლებელი საქართველოს აკტონო-
მიის ან სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. ეძებდნენ საქართვე-
ლოს განთავისუფლების გზებს. ზოგს შეუძლებლად მიაჩნდა, წო-
დებრივი ანტაგონიზმისა. და ხალხის ფეოდალური ექსპლოატაციის
პირობებში, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ამ ძნელი ამოცა-
ნის შესრულება⁴⁶.

კარგა ხნის განმავლობაში 1832 წლის შეთქმულება თავადაზ-
ნაურთა რეაქციულ მოძრაობად იყო გამოცხადებული. მაგრამ ქარ-
თველი საბჭოთა ისტორიკოსების ერთმა ნაწილმა მოძრაობაში შეამ-
ჩნია პროგრესული, რესპუბლიკური მიმდინარეობის მცირე ჭრული.
დღეს კი საყოველთაოდა მიღებული, რომ 1832 წლის შეთქმულე-
ბა ესაა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძ-
რაობის დასაწყისი და ამდენად პროგრესული მოვლენაა. ოცდა-

45 გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. წიგნ II, 1970, გვ. 403.

46 გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. წიგნ I, 1935, გვ.
16-18.

თორმეტიანელთა მოძრაობა შემზადდა ადგილობრივ ნიადაგზე უდაბა
გაძლიერდა დასაცლეთ ევროპის 20-იანი წლების ჩვეოლუფრვის მან
დეკაბრისტთა გამოსვლისა და პოლონეთის 1830 წლის აჯანყების
გავლენით.

ჩვენ მიზნად არ გვაქვს დასახული ამ შეთქმულება-მოძრაო-
ბის სრული სურათი წარმოვაჩინოთ. ჩვენი მოცანაა დავადგინოთ-
ჩა ადგილი ეკავა ფარული საზოგადოების გეგმებში საქართველოს-
აუტონომიური სახელმწიფოს აღდგენის საკითხს და რატომ დაზღა
შეთქმულთა უმრავლესობა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძო-
ლის პოზიციაზე.

კაცობრიობის განვითარების გარევეულ საფეხურზე სახელმ-
წიფოების ჩამოყალიბება საესებით კანონზომიერი მოვლენაა. სი-
ცოცხლისუნარიანი ხალხი, ერი, როგორც წესი, ეერ ურიგებება და-
მოუკიდებლობის დაქარგვის და, ბუნებრივია, ცდილობს თავის სა-
ხელმწიფოებრიობის აღდგენის. ქართველი ხალხი, როგორც და-
ვინახეთ, გამონაცალისი არ ყოფილა. 1801 წლის მანიუსტის გამო-
ცხადების მეორე დღესვე დაწყო მან ბრძოლა სახელმწიფოებრი-
ობის აღდგენისათვის. გარევეულ დრომდე მაღალი წოდება და
ხალხი ბაგრატიონთა მონარქიის აღდგენს მოითხოვდა. უფრო მო-
ციანებით ამოცნდა რესპუბლიკური იდეებიც. ორივე შემთხვე-
ვაში ქვენის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა პროგრე-
სულ მოვლენას წარმოადგენდა.

ცარისტული რუსთის დიდმშერობელური შოვინიზმით გაე-
ლენთილი მოხელეები, რა თქმა უნდა, სხვაგვარად მსჯელობდნენ. ისინი ამართლებდნენ საქართველოს სამეფოს გაუქმების ფაქტს. ამ
დიდმოხელეთა განცხადებით, ყოვლადმოწყვილე იმპერატორმა რუ-
სეთში გადასახლებულ ბაგრატიონებს ცხოვრების შესანიშნავი პი-
რობები შეუქმნა. მათ მაღლობის მეტი არაფერი ჰქონდათ სათქ-
მელი. მაგრამ საოცარია, რომ ბაგრატიონები გულში ატარებდნენ
ფარულ სიძულვილს, რაღაც სიმედო იცნებას, რამაც ისინი ბო-
ლოს დანაშაულამდე მიიყვანა. ბატონიშვილები და მათი ერთგული
თავადაზნაურები ბრალს სდებდნენ რუსთის მთავრობას გიორგი
XII-ის სურვილის უგულებელყოფაში, საქართველოს სამეფოს
გაუქმებაში. საგამომძიებლო კომისიის წევრები აღიარებენ, რომ
გიორგი XII-ის სახოვარ პუნქტებში მართლაც იყო მუხლი
ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების დაცვის აუცილებლობის
შესახებ, მაგრამ მათი განცხადებით, შემდეგში მოვლენები ისე წა-
რიმართა, რომ სამეფოს შენარჩუნება ეწინააღმდეგებოდა ქართვე-

ლი ხალხის კეთილდღეობას. ამიტომ სამეფო გაუქმდა და გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ⁴⁷. ასეთი აზრი ჯერ კიდევ 1801 წელს გამოთქვეს მეფის რესუსტების თის გენერლებმა, მაგრამ იგი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ამიტომ არ მიიღო საქართველოს სამეფო გვარმა, თავადაზნაურობამ და ხალხმა. ქართველი პატრიოტების აზრით, ქვეყნისა და ერის ინტერესებს პასუხობდა რუსეთის მიერ საქართველოს არა უშუალო შეერთება, არამედ მფარეველობა, ქვეყნის შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური სამეფოს სახით. შეთქმულებიც რომ ასე მსჯელობდნენ ეს ძალიან კარგად ჩანს დიმიტრი ერისთავის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტზე გაკეთებული შენიშვნებიდან: მანიფესტში ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა თითქოს ნებაყოფლობით დათმო დამოუკიდებლობა და შეუერთდა რუსეთს. თუ შეერთება ნებაყოფლობით მოხდა, შენიშნავს ერისთავი, რუსეთს გაგზავნილ სამადლობელო დეპუტაციაში რატომ შედიოდა მხოლოდ 6—8 კაცი, ხოლო ცარიზმის საწინააღმდეგო აჯანყებანი რატომ ატარებდა საყოველთაო ხასიათს? ალექსანდრე I-ის მანიფესტი ღალადებს, რომ შინაბრძოლა დალუპვას უქადა სამეფოს და საქართველო შევიტრეთ არა ისედაც ვებერთელა იმპერიის საზღვართა გაფართოებისათვის, არამედ ერთმორწმუნე ხალხის დალუპვისაგან გადარჩენის მიზნითო. „აი კიდევ სისულელე“ — აღშოთებით შენიშნავს ამაზე ერისთავი — თუ ტერიტორიის შემატება არ უნდოდათ, დაემტკიცებინათ ერთ-ერთი ბაგრატიონი მეფედ და შინა ბრძოლაც შეწყდებოდა. მაგრამ რუსეთს სურდა საქართველოს დაპყრობა⁴⁸.

დიმიტრი და ოქროპირი ბაგრატიონებიც იმ აზრის იყვნენ, რომ რუსეთის მეფემ დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, გააუქმა 1783 წლის ტრაქტატი, თვითნებურად მოსპო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო. ამიტომ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მათ დასაშვებად მიაჩნდათ გარეშე სახელმწიფოებისათვის მიმართვა. ბატონიშვილების აზრით, ინგლისს, საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ რუსეთზე და აეჭულებინათ იგი აღედგინა საქართველოს სამეფო 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე.

47 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 838, лл. 11—13.

48 ვ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. I, გვ. 117—119.

შეთქმულების იდეური მომზადების პერიოდში დაწყებული და დასრულდებოდა ს. რაზმაძის ლექსი-არავი „დათვი და ცხვარი“, რომელშიც ალეგორიული ფორმითაა გადმოცემული რუსეთ-საქართველოს, უფრო ზუსტად, ამ ორი ქვეყნის სამეფო სახლების ურთიერთობა 1800 — 1802 წლებში. გიორგი XII ცხვარია, რომელსაც მოსვენებას არ აძლევენ ტურა-მგლები. შევიწროებულმა ცხვარმა შემწიობა სთხოვა მის მეზობლად მცხოვრებ ძლიერ დათვს (რუსეთის ხელმწიფეს). დათვმა თითქოს შეიბრალა სასოწარკეცეთილებაში ჩავარდნილი სუსტი მეზობელი და ტურა-მგლების უსამართლობით აღშფოთებულმა შეპყვირა — „მე ცოცხალი ვარ როგორ თუ მოხდეს უსამართლობა... მიექცა ცხვარსა პანტა ნაკირი, უბრძანა სიტყვა გულის საამო. ან წარეცდ შინა ნულარს ლამი, მე დავუბნელო წუწკის შეილებს დღე მზიანი“. მალე ამის შემდეგ დღისულოვანნა დათვმა ცხვრისა და მისი ოჯახის დასაცავად ნაღირთა ჭარი გაგზავნა აფთრის მეთაურობით. ცხვარმა ფართოდ ვახსნა თავის სახლის კარი და სიხარულით მიიღო დათვის ლაშქარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხვარი გარდაიცვალა. აფთარმა (გენერალმა) ჭარი მიუსია ბატქნებს (ბატონიშვილებს), ყველანი დაპატიმრა და ერთ ჭაობიან აღილს გადასახლა. აფთრისაგან დარბეულმა ბატქნებმა დათვს მიმართეს — „რათა გვართმევ საწყალო ჩვენსა მამულსა ეს არის შენის შეწევნის აღთქმა? „როგორ მიბედავთ?“ ჩუმად ეგდენით, შესძახა დათვმა გაბრაზებულმა. გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე, მოგეფინებათ ჩემი სახის მზე ათასში ერთხელ, სხვა რაღა გინდათ?“ დაჩაგრულმა ბატქნებმა მაინც გაბედეს თავის ბედზე დაჩივლება. „ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ ტურა-მგლისაგან და შველა კონკრეტურა, რადგან ბრძანდები მეფე ძლიერი“. სამწუხაროდ, ამით ვერაცერი შევიმატებთ, თქვენ, მართალია, მგლები განდევნეთ ჩვენი მამულიდან, მაგრამ რაც მათ გადარჩიათ თქვენ მიითვისეთ, ჩვენ კი დატყვევებულნი უცხო ქვეყანაში გადაგვისახლეთო. ცარიშმის დაპყრობითი პოლიტიკით აღშფოთებული ავტორი არავის ბოლოს წერს: „როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად და აღასრულონ სახარებისა სიტყვიანი სრულად“⁵⁰. ს. რაზმაძე აქ წერტილს უსკამს თავის ლექსს, მაგრამ უდივოა შეთქმულთა შეკრებაზე აცხადებდა, რომ რადგან მეფისა და მისი მოხელეების პუმანური აღზრდა შეუძლებელია, რადგან ისინი ხელს არ იღებენ დაპყრობა-

50 ს. რაზმაძის ეს ლექსი დაბეჭდილია გ. გოზალიშვილის პუბლიკაციის I წიგნში, გვ. 98—101.

გარესების პოლიტიკაზე, ჩვენ ბრძოლით უნდა მოვისოფთ და მოვისოფთ სუფლება.

შეთქმულთა სულისკეთებას კარგად გადმოცემს გრ. ორბელიანის მიერ რიცხვების „ნალივაიოს ალსარების“ მიბაძვით დაწერილი ლექსი „ალსარება“. სამშობლოს რომ ტკვექმნილსა და დამონებულს ხედავს, პოეტი გოგონეთურ ტანჯვას განიცდის, როცა მას თავისუფალს იხილავს სასუფლელში შევა. სამარცხევინო ტკვეობის სიკედილი სჭობია. ამიტომა, რომ პოეტი თავისუფლებაზე ოცნებობს. „ეს თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვენების და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის... ხმა სიღუმლო მარადეამს მეჩურჩულების მე ყურსა, ემი არს მტერი მამულის მიკვეთ მახვილსა ლესულსა. მარა მოძღვარო მოთხარ მე ვის? სადა? რომელსა მხარეს? თავისუფლება უმსხვერპლოთ, უსისხლოდ მოუსყიდის? წავრწყმუდები მამულისათვის, ვიცი ვგრძნობ და ალეიარებ და მისთვის ესრეთს ჩემს სიკვდილს აღრევ სიძმით ვაკურთხება“⁵¹.

გრ. ორბელიანი პატივისცემით იყო განწყობილი ყველა იმ ხალხებისადმი ვინც თავისუფლების შენარჩუნება-მოპოვებისათვის იძრძოდნენ. თავის დღიურში („მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტრებურლამდის“), როცა 1831 წ. ყაბარდოზე გაიარა, ჩაწერა: „ყაბარდოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისცა ებრძვიან ესოდენთა წელთა რუსთა, რომელთაც შეავიწროვეს ფრიად, დაამცირეს და დაიძყრეს მთელი ყაბარდო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა—ვერა აღხოცნეს მათ შორის. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საომრად გამზადებულნი და მარადის ეძიებენ შემთხვევას, რათა დაიხსნან მამული თვისნი რუსთავან“⁵².

სტარიოპოლში გრ. ორბელიანი შეხვდა გენერალ ივანე აფხაზს. ორმა პატრიოტმა დაიწყო საუბარი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. გენერალ აფხაზს ვერ წარმოუდგენია საქართველოს არსებობა რუსეთის გარეშე. იგი ლმერთს შესთხოვს „ნუ მიიყვან რუსთა ესრეთია განიწრულებასა შინა, რომელ იძულებული იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიც მყისეე შეიქმნების მსხვერპლად უწესოვანია, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან“. ადრე ქართველებს შეეძლოთ თურქ-სპარსთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა, ახლა კი როცა

51 გრ. ორბელიანი. თხზ., სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 111—112.

52 გრ. ორბელიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 164.

ჩევნმა ამ მოსისხლე მტრებმა რეგულიარული არმიები შემცირებული
 „ჩვენ აღარ ძალგის, რომ გაწყობილ ჯარს ვებრძოლოთ ისე იმ
 ლონისძიებით, ეითარცა იბრძოდნენ მეფების დროსა... ამ მიზეზით
 ვამბობ, — განაგრძობს გენერალი, — რომელ ლერომა ნუ ინებოს
 საქართველოს დატვება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარ მე-
 შინის, ამისათვის რომელ საქართველოს ეკოლება მას დროსა მრა-
 ვალი მსწავლული კაცი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს
 ყოველსა საჭიროებასა და ყოველი კეთილი, ახალი საზოგადო და
 წყობილება ადვილად აღსრულდების“⁵³. როგორც ვხედავთ, გენე-
 რალი ივანე აფხაზი პრინცში საქართველოს დამოუკიდებლობის,
 მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვალსაზრისშე დგას, მაგრამ
 ამისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებლად მიაჩნია თავისი სამშობლო,
 რუსეთის მფარველობის (აეტონომის) აღდგენა მას ალბათ იმ დრო-
 სევ დასაშემცირდებად მიაჩნდა, მაგრამ იკოდა, რომ ამ იდეას არ ღებუ-
 ლობდა ცარიზმი) და ქვეშვერდომობის პირობებში საქართველო
 საგრძნობ ნახტომს გააკეთებდა პროგრესისაკუნ და ასი წლის შემ-
 დეგ შეძლებდა თავის სახელმწიფოებრიობის აღდგენს და დაცას.

ახალგაზრდა ოფიცერი გრ. ორბელიანი არ იზიარებს გენერალ
 აფხაზის თვალსაზრისს. მას სწამს, რომ საქართველო, თუ იგი აღი-
 დგენს თავისუფლებას, ახლავე შეძლებს მტრებისაგან თავის საზ-
 ღვრების დაცას. ქართველები შეძლებენ ერეკლეს ტრადიციის (მო-
 რიგე ჯარი) გაგრძელებას, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას
 და შექმნიან რეგულარულ ჯარს. სამშობლოს სიყვარული და მა-
 მაცობა კი მათ არ აელიათ და ქვეყნის დაცვა არ გაუჭირდებათო. საქმეს ისიც გაადვილებს, შენიშნავს გრ. ორბელიანი, რომ „აშ
 თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედავენ შეცდომილებათა თვეის-
 თა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებოდულმან, დაუმეზობლა
 ესოდენ საშინელი მეზობელი რუსეთი და არა მოინდომებენ, რო-
 მელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე
 ძლიერისა სახელმწიფოსა ევროპასა შინა“⁵⁴.

ამგვარად, გრ. ორბელიანი იყო შეთქმულება-აჯანყების ერთ-
 ერთი იდეური ხელმძღვანელი. მისი „იარალის“, „აღსარება“ და
 „შეზაერობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლიმდის“ სამშობლოს
 თავისუფლების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის
 პიმნია.

53 იქვე, გვ. 172—175.

54 გრ. ორბელიანი დასახ. ნაშრ., გვ. 173.



ოცდათორმეტიანელებს კარგად ესმოდათ პრესის დიდოვნობული
ნელობა ეროვნული იდეების პროპაგანდის საქმეში. ბევრი მათ-
განი ამ მოტივით უჩევდა და ავალებდა ს. დოდაშვილს გაზეთის
გამოცემას. ამ უკანასკნელშა 1832 წელს დაიწყო კიდევ უურნალის
გამოცემა. „სალიტერატურონი ნაწილი ტიფლისის უწყებათანი“,
როგორც მის პროგრამაშია ნათქვამი, არსებობდა „შესაწევნად გა-
ნათლებისა, განცრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩევნისა და მი-
ახლოვებისათვის განბრძობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“. უურ-
ნალს ქართველთა შორის კიდევ უფრო უნდა გაეღრმავებინა „სიყ-
ვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისადმი“. მას უნდა ემო-
ლვაში, როგორც ს. დოდაშვილი მებობდა, ქართული ენის „გამდი-
დრებისათვის, მამულის დიდებისათვის“. ამასთან ერთად თანამედ-
როვეებმა კარგად იცოდნენ, რომ უურნალი საქმიანობდა „საამბო-
ხოდ ერისა“, ქართველი ხალხის აჯანყებისათვის მოსამზადებლად⁵⁵.
უურნალში დაიბეჭდა გ. ერისთავის „ოსური მოთხოვბა“, რომელ-
შიც გადმოცემული ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძო-
ლის ეპიზოდები ქართველ მკითხველში აღვივებდა ეროვნული თვი-
თშეგნების გრძნობას, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძო-
ლის აუცილებლობის შეგნებას. იმავე უურნალში დაიბეჭდა ს. რაზ-
მაძის არავი „დათვი და ცხვარი“.

ოცდათორმეტიანელები, მართალია, შეთქმულება-აჯანყებას ამ-
ზადებდნენ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ მოა-
წავებდა რუსულ ორიენტაციაზე უარის თქმას საერთოდ. მათ უმრა-
ვლესობას შევნებული ჰქონდა საქართველოს რუსეთთან კავშირის
დიდი მნიშვნელობა, იმ პირობებში იდეალად მიაჩნდა რუსეთის იმ-
პერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ
მოწყობა.

ფარული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონა-
წილე ალექსანდრე ორბელიანი ერთ თავის ჩევნებაში აღნიშნავდა,
როცა შეთქმულთა ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ჩემი მიზანი იყო
ყველა გამოქანილი ქართველისათვის მეცნობებინა, რომ გვინდა სა-
ქართველოს სამეცნი აღდგენა. თუ ისინი ამაზე დათანხმდებოდ-
ნენ, მაშინ საზოგადოების სხდომაზე უნდა გამეცხადებინა ჩემი
შემდეგი თვალსაზრისი: „ჩვენ ყოველთ საქართველოს ერთა უნდა
ვიცოდეთ რომელ რუსეთის ძლიერებამ განგვიახლა ჰეშმარიტი

55 ვ. გოცაძე. ქართული უურნალისტიების ისტორია. თბ., 1954, გვ. 182, 198.

სარწმუნოება და მოგვცა მშვიდობა საზოგადოდ... განაქარცხულ ყოფილ კუთხით გველი მოსისის სტატუსი ჩვენი გარეგანი მტერნი და დათრგუნა ისინი. ვინათვან გვსურს, რათა ახლად აღვადგინოთ ჩვენი მეფობა, ამისათვის განვიცხადებთ ყოველთა აზრისა ჩემსა, უკეთუმცა გვქონდეს ძალი მოპოებად მეფობისა ჩვენისა, მაშინაცა ნუ ინებოს ლმერთმა რომელ ქართველ კაცს მისცეს ესრეთი ფიქრი—რუსთა და ქართველთა შინა სისხლ მთხველობანი, მაშინ იდესცა გვაქვს ერთი ბუნება, ერთი სისხლი და ერთი სარწმუნოება... (მაგრამ) რადგანაც გვსურს მეფობა ჩვენი... ამისათვის ვთხოვთ მოწყალესა ხელმწიფელისა იმპერატორსა... ჩვენი მეფობა, აგრეთვე მთელი მოწყალებით მფარველობანი ჩვენსა ზედა, ესე იგი ორი პოლკი, ხაზინა და კაცნი მმართველად". ჩვენმა საზოგადოებამ, განაგრძობს შემდეგ ალ. ორბელიანი, ეს დიდმინიშვნელოვანი თხოვნა სათანადოდ უნდა დაასაბუთოს. პეტიციაში უნდა აღინიშნოს, რომ 1. ბაგრატიონები, არიან რა ბიბლიური დავითის ჩამომავალნი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი სამეფო საგვარეულოა მსოფლიოში და ამიტომ იმპერატორი ინებებს, რომ ეს გვარი „მოუშლელად იდგეს ძველსა თვისაა ალგილსა ზედა“. 2. რომ საქართველო ხალხის საყოველთაო სურვილით შევიდა რუსეთის მფარველობაში და საპასუხოდ ელოდება იმპერატორის მოწყალებას. 3. რომ ძნელი არა ვეებერთელა რუსეთისათვის საქართველოს, რომელიც თავისი ფართობით და მოსახლეობით არ აღმატება შერემეტიევის სამფლობელოს, მიანიჭოს შინაგანი თვითმმართველობის უფლება. 4. რომ, თუ საქართველოში აღდგენილ იქნება ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლება, ამით რუსეთის სახელმწიფო არა თუ იზარალებს, არამედ მიიღებს შეტ საჩერატობას. საქართველოს მეფეს, ალ. ორბელიანის აზრით, იმპერატორის დახმარებით შეეძლო ორ წელიწადში გაეწყო მუდმივი ჯარი, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთის მთავრობის ქართველთა შემწეობით დაეცყრო სპარსეთის ნახევარი⁵⁶.

მე მიზანშეწონილად მიმართდა, წერდა ჩვენების ბოლო ნაწილში ალ. ორბელიანი, ზემოთ მოტანილი შინაგარსის თხოვნა იმპერატორისათვის მიგვერთმია. მინდოდა ამ საკითხზე შევთანხმებოდით ალ. ჭავჭავაძეს და სხვა გამოჩენილ ქართველებს, რაც ვერ მოვახერხე. ჩემს თანამშრაბველ ფარული საზოგადოების ახალგაზრდა წევრებთან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის გამართვას აზრი არ

56 პ გო ჭ ლ ი შ ვ ი ლ ი. 1832 წლის შეთქმულება. I, თბ., 1935, 23. 452-453.

ჰქონდა, რადგან ისინი ასეთ მშვიდობიან წინადაღებას არ უკეტყნებია
ლობდნენ⁵⁷.

ფარული საზოგადოების წევრთა შორის თითქმის არავინ ყო-
ფილა რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით
საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენის პრინციპუ-
ლი მოწინააღმდეგე. მაგრამ შეთქმულებმა წარსული გამოცდილე-
ბით კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის მმართველ წრებს საქართვე-
ლოს სახელმწიფოს აღდგენაზე სიტუაცის გაგონებაც კი არ სურდათ.
ამიტომ ფარული საზოგადოების წევრები მიუღებლად თვლილნენ
ბრძოლის მშვიდობიან საშუალებებს, საქართველოს სახელმწიფოს
აღდგენის ერთადერთ რეალურ გზად შეიარაღებული აჯანყება მი-
აჩნდათ და საქმაოდ აქტიურად საქმიანობდნენ აჯანყების მომზა-
დებისათვის.

შეთქმულება-აჯანყების იდეა, მართალია, მოსკოვ-პეტერბურგს,
ქართველ უფლისწულთა წრეში ჩაისახა, იქვე ჩამოყალიბდა ფა-
რული საზოგადოების ბირთვი, მაგრამ რუსეთის თვითმკრობე-
ლობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის პრაქტიკული მზადება თბილის-
ში შექმნილმა ფარულმა ორგანიზაციამ გააჩარება.

ფარულ საზოგადოებაში ძირითადად თავადაზნაურები შედი-
ოდნენ. ასიოდე შეთქმულს ტერორისტული აქტების მოწყობა შე-
ეძლო მხოლოდ, რაც არ კმაროდა დიდი მინნის განხორციელები-
სათვის. ფარული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ცდილობდნენ
აჯანყებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცათ, მასში მეტ-ნაელებად
საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა ჩაებათ. ისინი განსაკუ-
თრებით დიდ იმედს ამყარებდნენ გლეხობაზე, ვარაუდობდნენ აჯან-
ყებაში თბილისელი ხელოსნების ჩაბმისაც. ფარული ორგანიზაციი-
ს თავადაზნაურთა ყოველი წევრი ვალდებულებას კისრულობდა
სახალხო ლაშქარში გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის ყმა გლე-
ხი. დაბალი ფენიდან გამოსული ს. დოდაშვილი იმედოვნებდა, რომ
მის მოწილებაზე კახეთის მთელი გლეხობა ანტირევიმული აჯანყე-
ბის დროშის ქვეშ დაირაზმებოდა. ქართლის გლეხობის სახალხო
გამათავისუფლებელ ლაშქარში გამოსვლის იმედს ე. ერისთავი იძ-
ლეოდა. თბილისელი ხელოსნების აჯანყების პირობას კი ა. ობე-
ლიანი სდებდა.

XIX ს. პირველი მესამედის საქართველოში, მართალია, ძლი-
ერი იყო კლასობრივი ანტავონიზმი, მაგრამ საერთო მჩაგვრელი

57 დასახ. ნაშრ., გვ. 454.

ମାଲ୍ଲି—ପାରିବଳିମିଳ ଫିନାଙ୍କାଲମଦ୍ଦେଶ ମିଥାରତୁଲ ମନ୍ଦରାମଦାଶ ମାନିଙ୍କ ବ୍ୟାକ୍-
ଦେବନ୍ଦା ସ୍ବେଚ୍ଛାମହାତ୍ମା ସିଂହାଲାମୁଖ ମାଲିତା ମେତ୍ର-ନେପାଲେବି ବେନିତ ଗର୍ଭମାତ୍ରିଯାତ୍ମକ
ତାଙ୍କୁ ବିନ୍ଦୁ ଏହାମାତ୍ରି ହିନ୍ଦା ଫୁଲରାଲ ସାଥିଗାନ୍ଧୀବିଦୀ ଦେବି ହୁଏ-
ଗମିବା, ରାମେଲିବି ମାନ୍ଦରାମିଙ୍କ ଅକ୍ଷାଂଖ୍ୟେବିଲ ମନ୍ଦିରକାଳିକାରେ ଉତ୍ତରାଳିପିତ୍ତିନ୍ଦ୍ରଭଦ୍ରା.

თვითმშეკრობელობის კოლონიურ პოლიტიკას ს. დოდაშვილი
მთელი ქართველი ხალხის სახელით აკრიტიკებდა, მთელი ერის ინ-
ტერესების დამცველად გამოდიოდა. მას განსაყუთრებით აწუხებდა
უნუგეში მდგომარეობა დაბალი მასისა, რომელიც სიღარიბის, რუ-
სული ენის და კანონის უცოდინარობის გამო ყველაზე მეტად
იჩიაგრებოდა. აუტანელი ბეგარა-ვალდებულებები, აბუჩად აგდე-
ბა, მისი კაცური და ეროვნული ღიასების შეურაცხყოფა იყო ქარ-
თველ გლეხთა აჯანყების მიზეზი XIX ს. პირველ მეოთხედში.
ს. დოდაშვილი და ფარული საზოგადოების სხვა წევრები კარგად
იყვნენ ინორმინისტებული გლეხთა ანტირევოლუციულ განწყობილებაში
და, ბენებრივია, მათვან მომავალ აჯანყებაში აქტურ მონაწილე-
ობას ელოდნენ.

ფარული საზოგადოების ლიდერები მარტო საქართველოს შინაგან ძალაში კონსოლიდაცია-დარაზმების როდი ცდილობდნენ. მათი ვარაუდით მომავალ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ სომხებს, აზერბაიჯანელებს, ჩრდილო კავკასიის მთიელებს, რომელთა დიდი ნაწილი იმ დროს უკვე სისხლისმლერელ ბრძოლას აშარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგ.

შეთქმულებმა კავშირი დაამყარეს ალექსანდრე ბატონიშვილთან, შეიყვანეს თავისი მომავალი მოქმედების კურსში და აჯანყების მეთაურობაც მას შესთავაზეს. საქართველოს სახელმწიფო ფონდის აღდგენისათვეს ამ დაუცხრომელმა მებრძოლმა პირველად საეჭვოდ მიიჩნია აჯანყების წარმატება, მაგრამ შემდეგ გაითვალისწინა ხელსაყრელი საერთაშორისო კითარება, იმედით შეხედა მომავალს, თვით დაამყარა კავშირი ფარული საზოგადოების მეთაურებთან, რათა დროზე შეეტყო საქართველოში დაწყებული „აღ-რეულობის“ ამბავი და სათავეში ჩადგომოდა საშობლოს გასათავისუფლებლად შეკრებილ ქართულ სახალხო ლაშქარს.

ფარული ორგანიზაციის გეგმაში შედიოდა აგრეთვე ქართული დიპლომატიური საქმიანობის გაჩაღება. შეთქმულ-აჯანყებულნი ვარაუდობდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში დასაცლეთ ეკროპის დიდ სახელმწიფოებს მიმართავდნენ, მათგან მიიღებდნენ თუ სამხედროსა არა, დიპლომატიურ-პოლიტიკურ დახმარებას მაინც.



ფარული საზოგადოების წევრები დიდი აღფრთოვანებით შეხრავა
ვდნენ პოლონეთის აჯანყების დაწყებას, მის წარმატებას რამდენაც შე
შირეს თავიანთი სამოქმედო გეგმა. საგამომძიებლო კომისიის დას-
კვნაში ნათქვამია, რომ „პოლონეთის აჯანყების გაფართოებასთან
ერთად, ძლიერდებოდა აქაურ ბოროტგამზრაცხელთა საზოგადოე-
ბის საქმიანობაც“⁵⁸. პოლონელ აჯანყებულთა მიერ გარშავის აღე-
ბის შემდეგ ქართველმა შეთქმულებმაც გადაუდებელ საქმედ მიი-
ჩნის აჯანყების დაწყება. მათ მცირეო კონტაქტი დამყარეს რუ-
სეთში მცხოვრებ დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან. კვლავ
ვაგზავნეს მოციქული ირანში, ალ. ბატონიშვილი აჯანყებულთა ლა-
შეწის სარდლად მოიწყის. 1831 წელს ფარული საზოგადოების
წევრებმა მოხერხებულად გაავრცელეს ხმები სპარსელთა ამიერკავ-
კისიაში შემოჭრის შესახებ. საქართველოს რუსულმა ხელისუფლე-
ბამ ეს ხმები სარწმუნოდ მიიჩნია, რუსეთის გარის მსხვილი ერთე-
ულები გაგზავნა ირანის საზღვრებისაენ. აჯანყების დაწყებისათ-
ვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ამ დროს მოვიდა ცნო-
ბა რუსთა გარების მიერ გარშავის აღებისა და საერთოდ პოლონე-
თის აჯანყების დათრგვნების შესახებ. ასეთ ვითარებაში გამოსვლა
მიზანშეწონილი უკე აღარ იყო და შეთქმულებმა აჯანყება ხელ-
საყრელ მომენტიმდე გადადეს⁵⁹.

1832 წელს ფარული ორგანიზაციის საქმიანობა კვლავ გამო-
ცოცხლდა ამ დროს შეადგინა ფილადელფიოს კინაძემ „აქტი გო-
ნიური“, რომლის მიზანი იყო ფარული საზოგადოების რიგების
შემჭიდროება და კონსპირაციის გაძლიერება. შეთქმულებმა სცა-
დეს ალ. ბატონიშვილის მეშვეობით დაკავშირებოდნენ ეგვიპტის
ფაშას და დაცუსტნის ეროვნული მოძრაობის მეთაურს ყაზი მო-
ლის. მიღებული იქნა ოონისძიებანი ქართული ლაშეწის შეკრების,
სამოსწავლო ბატალიონისა და გადმოსახლებულ ტყვე პოლონელთა
(500 კაცი) აჯანყებაში ჩაბმისათვის. შედგა პირველი ღამის განკარ-
გულება, დაინიშნა აჯანყების თარიღი.

შეთქმულთა ორგანიზაცია აჯანყების დაწყებას უკავშირებდა
თავიადაზნაურთა დეპუტატების საქრებულოსა და წინამძღოლთა არ-
ჩევნებს. ამ დღეს თავს მოიყრიდა ოღონისავლეთ საქართველოს თა-
ვადაზნაურობა, რომლის საგრძნობი ნაწილი ფარული საზოგადოე-
ბის წევრი იყო. მათ მხლებელთა სახით თბილისში უნდა ჩამოეყვა-

⁵⁸ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 838, лл. 19.

⁵⁹ ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, д. 838, лл. 21—23.

ნათ გლეხთა მცირე რაზმები, რომლებსაც გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინათ აგანყების პირველ ეტაპზე.

თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს აჩქევნები დანიშნული იყო 1832 წლის 20 ნოემბრისათვის. შეთქმულთა გეგმით ამ დღეს ლ. ორბელიანის სახლში უნდა გამართულიყო ბანკეტი, სადაც მოიწვევდნენ მთავარმართველს, სამხედრო და სამოქალაქო დიდ მოქელეებს. ღამის პირველ საათზე, როცა რაეეტების გაშვებით ნიშანს მისცემდნენ, ბანკეტის ვითომდა მონაწილე ფარული საზოგადოების შეიარაღებულ წევრებს მოქმედება უნდა დაეწყოთ. გაეწყვიტათ ან დაეპატიმრებინათ რუსი მოხელეები. ამის შემდეგ ციხის ასაღებად წაეციდოდნენ გიორგი და რევაზ ერისთავები 40 კაცით, ყაზარმებზე — კაპიტანი ჩილოყაშვილი და პრაპორშიჩიკი ორბელიანი 200 კაცით, არსენალზე, საპროვინციო მაღაზიებზე და ხაზინაზე — პრაპორშიჩიკი ერისთავი, ვ. ორბელიანი, ბ. ამილახევარი, პორუჩიკი გ. თუმანიშვილი და ი. ერისთავი 50 კაცით. აგანყების საერთო ხელმძღვანელთა რეზიდენციად დაინიშნა თათრის მოედანი, სადაც უნდა ყოფილიყვნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდობრი დიმიტრი ორბელიანი, ლუარსაბ და მამუკა ორბელიანები, ელიზბარ ერისთავი და სხვ. იქვე უნდა მოგროვილიყვნენ ტყვე პოლონელები. ზემოხსენებულ პირებს ევალებოდა ქალაქელთა აგანყებაში ჩაბმა და საციროების შემთხვევაში ადგილებზე გაგზავნილთათვის დახმარების გაწევა⁶⁰.

აგანყებულთა რაზმების მიერ ხაზინის, ციხის, არსენალის, ყაზარმების, საცუშავოების და მთავრობის დაწესებულებების დაკავების შემდეგ საქართველოს ყოველ კუთხეში უნდა გავრცელებულიყო ს. დოდაშვილის მიერ დაწერილი შემდეგი შინაარსის პროკლამაცია-მოწოდება: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვდა თეისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისი სჯული, თავისი საჩრმუნოება, თავისი ენა და თავისი ჩვეულება. ჰყვინდა კუკინდა კოვილსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფო სხვასა ზედა და არასოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწარს მამული ესე ჩვენი. სახელი, მხერია და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქონდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის შოწყლულ იყო და დამხობილი... ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, პეტერბურგი შეიწროებას ყოვლისა

60 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, I, გვ. 89—90.

კაცისასა. რაისათვის არს ესრეთ. ნუთუ ჩეენ არ ვართ შვილი მა-
მამაპათა ჩვენთანი, ნუთუ ჩეენ არ ძალგვის შენახვა საქუთარება მა-
მამულისა ...მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ“⁶¹. სისახლითი

თბილისში დაწყებული აჭანყების პირველი წარმატებისთანავე
მოახლოებული თავისუფლება მოქალაქეთათვის ზარების რეკვით
უნდა ემცნოთ. სოფლებში გაგზავნილი საიმედო პირები ხალხს გა-
მოუცხადებდნენ, რომ ალ. ბატონიშვილი უკვე თბილისშია და ქარ-
თველებს თავის ღროშის ქვეშ უხმობს. ფარული საზოგადოების
წევრები გაიგზავნებოდნენ აგრეთვე იმერეთში, დალესტაბში, აზერ-
ბაიჯანის სახანოებში და შეეცდებოდნენ აჭანყებისათვის კავკასიური
მასშტაბი მიეცათ. ყველგან ერთდროულად უნდა დაწყებულიყო
გამოსკლები, რუსთა პოლებისათვის გაერთიანების საშუალება არ
მიეცათ, ცალ-ცალკე გაენადგურებინათ ისინი⁶².

შეთქმულები ვარაუდობდნენ აჭანყების დაწყებისთანავე ალ.
ბატონიშვილთან კაცი გაეგზავნათ და იგი საქართველოს მეფედ მო-
ეწვიათ. დესპანები უნდა გაეგზავნათ უცხო სახელმწიფოებში, რა-
თა დაეყოლებინათ საზღვარგარეთის ძლიერი ქვეყნების მთავრო-
ბები, რომ მათ „რუსეთის იმპერატორისაგან საქართველოს გათა-
ვისუფლება გამოიხმარეთ“⁶³.

ცარიზმის მოხელეთა განდევნის შემდეგ ფარულ სა-
ზოგადოებას მთელი თავისი შესაძლებლობა უნდა მოეხმარებინა
თავდაცვის ორგანიზაციისათვის. უნდა ჩაეხერგათ დარიალისა და
არაგვის ხეობები, კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე განედაგე-
ბინათ შეიარაღებული რაზმები, საშუალება არ მიეცათ რუსეთის
ცარიზმისათვის კვლავ შემოყვანა ჯარი, ილეგინა თავისი ბატო-
ნობა საქართველოსა და იმერკავესიაში. განთავისუფლებულ სა-
ქართველოს ღროებით მმართველად ნაერაუდევი იყო თამარ იუ-
ლონის ასული ბატონიშვილი. შემდეგ კი ტახტზე უნდა დაესვათ
სპარსეთიდან ჩამოსული ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი. შეთქმულნი იმედოვნებდნენ, რომ მოწინავე ევროპა მორალურ-პო-
ლიტიკურად დაეხმარებოდა განთავისუფლებულ საქართველოს,
ნებას არ მისცემდა რუსეთს კვლავ დაეკავებინა ეს ქვეყანა.

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს უფლებას საქართველოს
სამეფო ტახტის მიმართ არავინ ხდიდა სადაცოდ, მაგრამ ფარული

61 იქვე, გვ. 95—96.

62 გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. წიგნი II, გვ. 592.—
593.

63 იქვე, გვ. 292.

საზოგადოების წევრთა უმრავლესობა აჯანყების ძლევამოსილია დამთავრების შემდეგ ვარაუდობდა საქართველოში კონსტიტუციაზე ციურ-მონარქიული, წყობილების დამყარებას. შეთქმულების მონაცემები წილე ზაალ ავთანდილაშვილის განცხადებით „ჯანყის მეორე დღეს უნდა შეექმნათ სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა ჩაებარებინათ სეიმის წევრებისათვის, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია“⁶⁴.

ფარული საზოგადოების მიერ შედგენილი საქართველოს მართვა-გამგეობის პროექტი ითვალისწინებდა ზედა და ქვედა სამმართველოების ჩამოყალიბებას. ზედა სამმართველოს თავმჯდომარედ ნავარაუდევი იყო თვით მეფე. მასში უნდა შესულიყვნენ: სამხედრო მინისტრი ა. ჭავჭავაძე, ფინანსთა მინისტრი ფალაგანლიშვილი, შინააგნ საქმეთა მინისტრი მცხრანსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბებუთაშვილი, სახალხო განათლების მინისტრი ჭილაშვილი. ქვედა სამმართველოს შეადგენდნენ მაზრებში არჩეული და დედაქალაქში გამოგზავნილი დეპუტატები. მაზრების მართვა-გამგეობა უნდა გადასცემოდა სამდივნოებს, რომლებშიც არჩეული იქნებოდნენ თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ხალხის წარმომადგენლები⁶⁵.

შეთქმულების მასალა თითქმის არაფერს ლაპარაკობს ზედა და ქვედა სამმართველოების ფუნქციების, საკანონმდებლო და ორმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. ზემოთ მოტანილი მოკლე ცნობა კი მცირე საფუძველს გვაძლევს ვიკარაუდოთ, რომ ზედა სამმართველო—მეფე და მინისტრთა საბჭო ახორციელებდნენ როგორც საქანონმდებლო, ისე ორმასრულებელ ფუნქციებს. მათ შორის მეფეს ეკუთვნოდა საკანონშდებლო და განმკარგულებელი, მინისტრებს კი ორმასრულებელი ხელისუფლება. ქვედა სამმართველოს დეპუტატებს ენიჭებოდა მხოლოდ სათათბირო ფუნქცია. მათ ზედა სამმართველოში უნდა წარედგინათ მოხსენება-პროექტები ქვეყნისა და მისი ცალკეული ნაწილების აღმინისტრაციული მოწყობის, კუნომიცისა და კულტურის საქითხებზე. სამდივნოებს კი ევალებოდა აღვილობრივი მართვა-გამგეობისა და სამმართლის წარმოების ფუნქციები.

XVIII ს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და შეთქმულთა პროექტის შედარება ცხადყოფს, რომ ქართული

64 გ. გოზალი შვილი. 1832 წლის შეთქმულება. I, გვ. 92—93.

65 იქვე, გვ. 134.

საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფო სამართლის საკითხებში ერთ
წერტილზე არ გაყინულა. ფარული საზოგადოება იბრძოდა შეკრატულ
რებით მოწინავე კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების და
სამყარებლად. შეთქმულთა საოცნებო სეიმი და მათ მიერ დაპრო-
ექტებული ქვედა სამმართველო პარლამენტია, რომელშიც მოსახ-
ლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს მეტ-ნაკლები რაოდენო-
ბით თავისი წარმომადგენლები უნდა აერჩიოთ. დემოკრატიულ სა-
ფუძველზე არჩეული პარლამენტის უფლება ჯერ კიდევ არ იყო
ფართო, მას შეთანხმულ სათაობირო ფუნქციები ეკისრებოდა, მაგრამ
იგი მაინც რამდენადმე ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას.

ფარული საზოგადოების წევრთა საგრძნობი ნაწილი უფრო
შორსაც მიდიოდა. მაგალითად, ოქროპირ ბაგრატიონი სოლომონ
დოდაშვილს ეუბნებოდა: „ქართველებო, ეცადეთ საქართველოს
განთავისუფლებას. თუმცა საქართველოს განთავისუფლება მე იმი-
ტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს,
არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელ-
შწიფოდ“⁶⁶.

როგორც ჩანს, შეთქმულთა შორის საკმაოდ ფართოდ იყო
გავრცელებული რესპუბლიკური იდეები და სამეფო საგვარეულოს
წარმომადგენლებს სურდათ ასეთი განცხადებებით შეერბილებინათ
წინააღმდეგობა მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს შორის, ხე-
ლი შეეწყოთ ქართული სახელმწიფოებრიობის აღსაღენად ეროვ-
ნულ ძალთა კონსოლიდაციისათვის.

ფარული ორგანიზაცია აჯანყების დაწყებას, როგორც აღვნი-
შნეთ, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს არჩევნებს
უკავშირებდა. არჩევნები კი 1832 წლის 20 ნოემბრისათვის იყო და-
ნიშნული. ეს თარიღი მისაღები ჩანდა იმ მხრივაც, რომ საქართვე-
ლოს მთავარმართველი როშენი ჯარის ძირითადი ნაწილით დალეს-
ტანში იყო წასული. ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ზამთრის პი-
რობებში რუსეთიდან საერთოდ ჯარის გადმოყენა გაძნელდებოდა.
გაზაფხულამდე კი აჯანყების წარმატებით დავეირგვინების იმედი
ჰქონდათ. 20 ნოემბერს არჩევნების ჩატარება შეუძლებელი გახდა.
არჩევნები გადატანილ იქნა ჯერ 5 დეკემბრის, შემდეგ კი 15 დე-
კემბრიისათვის. შესაბამისად იცვლებოდა აჯანყების თარიღიც. მაგ-
რამ მოელენათა განვითარებას წერტილი დაუსვა ისაე ფალავანდი-
შვილმა, რომელმაც 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა შეთქმულება.

66 გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. I, გვ. 92.

მთავრობაშ მოკლე ხანში ფარული საზოგადოების თითქმის უცელა წევრი დაპატიმრია. გამოძიების ქვეშ მოქმედა 145 კაცის უცელობის უფლება აჯანყებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის განზრახვა ჩიტალა.

მისამი თავი

ქართველი საზოგადოების პრძოლა ეროვნული თვითგამორკვითათვის XIX ს. მოორი ნახევარში

1. თერადალეულითვის ეროვნული პროგრამა

1832 წელს ქართველ შეთქმულთა ფარული საზოგადოების აღმოჩენა-განადგურებით არსებითად დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მომრაობის ახალი პერიოდი XIX ს. 60-იან წლებში დაიწყო. მაგრამ პირველ და მეორე ეტაპს შორის სრული სიცარიელე როდი იყო. ამ შუალედში მოღვაწეობდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ოცდათორმეტიანელები. ამ დროს გაითურჩქნა ნ. ბარათაშვილისა და გრ. ოჩბელიანის პოეზია. ეს ორი პოეტი, შეიძლება ითვას, ოცდათორმეტიანელთა და სამოციანელთა შემაერთებელ ხიდად იქცა.

ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ოცდათორმეტიანელთა იდეური გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა. იგი ძალიან ადრე დაფიქტრდა სამშობლოს ბედზე; როგორი იყო საქართველოს წარსული, როგორია აწყვო, რა მოელის მას მომავალში? ეს კითხები აღელვებდა ახალგაზრდა პოეტს და ჭერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაწერა ღრმაშინაარსიანი პოემა „ბედი ქართლისა“.

ა. სურგულაძეს მიაჩნია, რომ ნ. ბარათაშვილის პოემას ერთგვარი ანარქიზმი ახასიათებს, რამდენადაც ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის ისტორიული ფაქტი 1783 წლიდან გადატანილია 1795 წელს და მომდევნო ხანაში¹. მაგრამ ეს არა სწორი. ნ. ბარათაშვილმა კარგად იცოდა როდის დაიდო მფარვე-

1 ა. სურგულაძე. ბარათაშვილის ეპოქა. თბ., 1968, გვ. 342.

8. ა. ბენდიანიშვილი

ლობითი ტრაქტატი და თვის პოემის ქარგისათვის ან სცინკებოდა თარიღის გადმოწევა. პოემაში ასახულია XVIII ს. დასასრულის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის რეალური სურათი. კრწანისის ბრძოლაში დამარცხებული ერეკლე II-ის წინაშე კვლავ მთელი სიმწვავით დაისვა საიმედო მოკავშირის გამონახვის საყითხი. მოხუცი მეფე ხედავს, რომ 1783 წლის ტრაქტატმა ვერ დაამყარა რუსეთ-საქართველოს შორის მტკიცე კავშირი, ვერ უზრუნველყო ქართლ-კახეთის უშიშროება. მაგრამ მეფე არ აპირებს ორიენტაციის შეცვლას. მას მიაჩნია, რომ ფიქტიური მფარველობა უნდა შეიცვალოს ფაქტიურით. ამისათვის კი საჭიროა 1783 წლის ტრაქტატში კორექტოვის შეტანა, არსებოთად ახალი ხელშეკრულების გაფორმება. „მოკავშირის დაინტერესების მიზნით ერეკლე მზად იყო რუსეთის სასარგებლოდ ახალ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყო. ამავე დროს ერეკლემ მიიღო ის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას შეეძლო საქართველოს დამოკიდებლობა ეხსნა. მოხუც მეფეს რუსეთის დამარცხებით საქართველოს სახელმწიფო წყობილების ძირითადი რეფორმის გატარება სურდა“².

„ქართლის ბედის“ ავტორი პრინციპულად საქართველოს დამოკიდებლობის მომხრე იყო. იგი სავსებით იზიარებდა თავის პოემის პერსონაჟის — სოფიოს თვალსაზრისს. — „რა ხელშეკრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“? მაგრამ ნ. ბარათაშვილი იწონებდა ერეკლეს პოლიტიკას — საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას რომ ითვალისწინებდა. რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების პირობები, რომლის იდეა ერეკლემ წამოაყენა და „სათხოვარი პუნქტების“ სახით გიორგი XII-მ გააფორმა, უფრო მეტად შეზღუდავდა ქართლ-კახეთის სულერენიტეტს. უფრო მცირდოდ დაკავშირებდა ბრძოლით დალლილ ქვეყანას ძლევამოსილ რუსეთთან, მაგრამ მეფეები იმყდოვნებდნენ, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სახელმწიფოში დაცული იქნებოდა ქართული ენა, კულტურა, ზნე-ჩეულება, დაცებითი ტრადიციები და შინაგან საქმეთა თვითმმართველობა.

ნ. ბარათაშვილი კარგად ერეკლეოდა ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა პოლიტიკაში, იცოდა, რომ მათი განზრახვა იყო

2 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., ტ. II, გვ. 239.



ქართლ-კახეთის არა რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიად გადატესული არამედ ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობა. ეს თვალსაზრისი გატარებულია პოემაშიც. როგორია პოეტის პოზიცია, ერეკლე მეფის თუ სოლომონ-სოფიოს მოსაზრებას ემხრობა იგი? დიალოგი, კაშათი აეტორს ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად მიაჩნია. პოემაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული, მაგრამ ორივე მისაღებია პოეტისათვის, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ. ნ. ბარათაშვილისათვის, როგორც აღვნიშნეთ, სანუკეარია საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ რადგან შექმნილ როცელ ისტორიულ სიტუაციაში ეს შეუძლებელია, იგი მხარს უჭირს ერეკლეს პოზიციას, საქართველოს შესელას რუსეთის იმპერიაში ავტონომიური სამეფოს სახით. მაგრამ გენერალობამ არ უნდა იმსხვერპლოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს ქართველი ხალხის არსებობა, მისი ენა, კულტურა, დადებითი ტრადიციები. ერთი სიტყვით რუსეთის მფარველობაში შესულ საქართველოს, ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს საკუთარი თვით-მმართველობა.

პოემაში 1801 წლის აქტი არცა ნახსენები, რადგან იგი ეწინა-აღმდევებოდა ქართველ მეფეთა და ქართველი ხალხის სურვილებს, წარმოადგენდა საქართველოს ისტორიული უფლებების დარღვევას. ნ. ბარათაშვილი დუმილის პროტესტით უპასუხებდა ცარიზმის დაყრინბით პოლიტიკას, მაგრამ აფასებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებით შედეგებს. საქართველომ დიდი ხნის ნანატრი მშეიდობიანობა მოიპოვა. ქართველ ხალხს საშუალება მიეცა შემოქმედებით შრომას შედგომოდა, დაწინაურებულიყო კულ- ნომიურად, კულტურულულად, მომზადებულიყო სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსაღვენად.

შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის განადგურების შედეგ გრ. ორბელიანი პესიმიზმში ჩავარდა, ხელი იიღო ცარიზმის წინა-აღმდევ ბრძოლაზე, მაგრამ დარჩა საქართველოს აღდგენაზე მეოცნებე პატრიოტიად და თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა გრ. ორბელიანის პოემამ „საღლევგრძელო“, რომლის პირველი ვარიანტი 1827—1828 წლებში დაიწერა და 1870 წლამდე გრძელდებოდა მისი დახვეწა. ახალციხის მხარის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ქართვე-

ლი ლაშქრის ბანაკში დროებითი შესვენებაა და ბრძოლით დამტკიცებული მეომრები ლხინობენ. თამაღა წარმოთქვამს ქართველთა ჯირმები დი წინაპრების სახსენებელ საღლევგრძელოებს, ხოტბას ასხამს ფარნავაზს, ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, კახეთის გმირებს, ცხრა ძმა ხერხეულიძეთ და პატარა კახს, ოთმელნიც საქართველოს თავისუფლების და დიდებისათვის სისხლს დერიდნენ.

პოემის სტრიქონებიდან გამოსტვივის ოპტიმიზმი. პოეტს სწამს, რომ ქართველი ქართველად, თავის ქვეყნის პატრიოტად რჩება. იგი ვაჟა-ფურად უსწორებს თვალს საშიშროებას და მზადაა სამშობლოს დიდებისათვის თავი გასწიროს.

გრ. ორბელიანთან ერთად ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას დაუბრუნდნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გორგი ერისთავი დიმიტრი ყიფიანი და სხვ. ისინი სიკედილმდე პატრიოტებად დარჩნენ, სამშობლოს კეთილდღეობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ეს მოღვაწენი ჩამორჩნენ დროთა მსვლელობას, ფეხი ვერ აუწყვეს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. ამ პატრიოტების ეროვნული პროგრამის სუსტი ადგილი იყო კლასობრივი შეზღუდულობა, სოციალური კონსერვატიზმი.

„მაგრამ სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისის სხვადასხვაობას, — მართებულად წერს ა. სურგულაძე, — „ძველი და ახალი“ თაობა ჩინური კედლით არ გაუმიჯნავს. ... მთავარი ძარღვი ქართული იდეური ცხოვრებისა მათთვის მაინც საერთო დარჩა. ... ეროვნული ტრადიციების დაცის, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების, ერის სულიერი ძალების აღორძინების, ერის ისტორიული საზღვრების აღდგენის, ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მობილიზების საქმეში „ძველი თაობის“ წარმომადგენლები ახალ თაობასთან ხელიხლაჟიდებული თანამშრომლობდნენ“³.

ძველი თაობის სასარგებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ქართული თეატრის აღდგენა და უურ. „ცისკრის“ გამოცემა. „ცისკრის“ ფურცელებზე გამოქვეყნდა ძველი და XIX ს. ქართული მწერლობის არა ერთი ნაწარმოები, მაგრამ „ცისკრიმა“, მის გარშემო შემოკრებილმა პუბლიცისტებმა ვერ შეძლეს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი სიტყვის თქმა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყება

³ ა. სურგულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 375.

1863 წლის იანვრიდან თერგდალეულებმა დაიწყეს ურა „საკართველოს მოამბის“ გამოცემა. ეურნალის პუბლიკისტთა იღეალები ძირითადად ორი პრობლემის გარშემო იყრიდნენ თავს. მათი მიზანი იყო ბატონების მოსპობა და საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ეურნალი გახდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების და გათვითცნობიერების გამოხატველი ორგანო. სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რედაქციის აზრით საფუძვლად უნდა დადგებოდა ერის აღორძინებას, ეროვნულ თავისუფლებას. განახლებულ სოციალურ საფუძველზე უნდა აღმართულიყო თავისუფალი ქართველი ერის სახელმწიფო ბრიობა⁴.

„საქართველოს მოამბე“ შეკურ ცენტურას ექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა რედაქცია მაინც ახერხებდა თავის პროგრესულ-რევოლუციური თვალსაზრისის გამომელავნებას. უურნალის პირველსაც ნომერში გაყრიტიკებულია თვითმყრობელური წყობილება, რომელიც მეტ-ნაკლებად მოსახლეობის ყველა ფენას ბოჭავდა. რედაქციას მიაჩნდა, რომ რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი „დაწყობილება და კანონები“ უპირატესობას ანიჭებდა მოხელეებს, დადგენილი იყო, რომ „ვისაც არ ჰქონდა ჩინი, არ შეეძლო ხმა იმოელო საზოგადოების კრებაში“. მოხელეთა ბატონობა და ზმის იმოუღებლობის კანონი, „რასაცვირეველია, მიიყვანდა ხალხს იქამდინა, რომ თავიდა და აზნაურსაც მოაშელებინებდა ქუდისა უბრალო დიამბეგის წინაშე. ...ჰქიაგრავდნენ არა მარტო ყოველთვის ხმაგაქმეტილს დაბალ ხალხსა, არამედ თავიადაზნაურობასაცა. ცხადია, საყვარელო მეითხველო, — დასკვნის რედაქცია, — ყველას უნდოდა იმ შევიწროებული მდგომარეობიდან განთავისუთლება“.

XIX ს. 60-იან წლებში ქართველი ხალხისა და პრესის მუშაქ-
თა წინაშე მეტად მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი. მაგრამ უკრ-
ნალ-გაზეთებს უფლება არ ჰქონდათ ხმა ამოელოთ ეროვნულ კირ-
ვარიამზე, მოეთხოვათ ერის ისტორიულ უფლებათა პატივისცემა.
ამიტომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები ინილბებოდნენ,

⁴ ა. ათენიძე. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) 1954, გვ. 314—316.

⁵ „საქართველოს მომბე“, 1863, № 1, გვ. 141—142.

უურნალის ფურცლებზე უცხოეთის ამბებს ეხებოდნენ, საქართველოში ლოს ვითარების კი სტრიქონთა შორის გამოხატავდნენ. მაგალითად, დავთ ყიფიანი, აფრთხილებდა მყითხეველებს, რომ ჩევენ საქაცობრიო პრობლემებზე გვექნება სჯა-ბასიო. „ჩევენ ქართველობას სულაც არ მოეიხსენებთ ...მაგრამ რასაც ვიტყვით, მყითხეველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოვლისფერში ...ჩევენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში. ამისათვის გთხოვ, რომა სხვა დასხვა ქვეყნების ...მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოვიდგინო, მოიფიქრე ხოლმე შენს ქვეყანაზე, ქართველობაზე, მის მდგომარეობაზე ...მოიფიქრე ხოლმე და შენს ფიქრებს თავისუფლება თხოვვე და ნე შეგემონდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა საძაც უნდა მიგიყანონ“.

უურნალის რედაქციის მიერ მკითხველის ასეთი წინასწარი მომზადება მყვლევარს ყოველთვის მხედველობაში უნდა პქონდეს და ოგი დარწმუნდება, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ეროვნულ საკითხს საერთოდ, და ქართველთა ეროვნული უფლების აღდგენის, კერძოდ.

„საქართველოს მოამბის“ მეექვეს ნომერში მოთავსებულია წერილი — „მოქლე განხილვა სომხეტი ენის წარმატებისა უკინასკნელ დროს“, რომელშიც ლიტერატურაზე უფრო მეტი ადგილი დათმობილი აქვს თურქეთში მცხოვრებ სომებთა თვითმმართველობისათვის ბრძოლის ისტორიას. სტატიის ავტორი ილია ოქრომჭედლიშვილი ალნიშნავს, რომ თავის ეროვნულ უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლას სომხები დიდი ხაია ეწევიან. თურქეთის შთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1860 წელს „სულთანმა აბდულ მეჰმიდმა მისცა სომხებს კონსტიტუცია“. იქვე ი. ოქრომჭედლიშვილი იძლევა. ამ კონსტიტუციისა და მის საფუძველზე ორგანიზებული სომებთა თვითმმართველობის დახასიათებას. „ამ კონსტიტუციით, — წერს ავტორი, — სულტანს მიუცია სომხებისათვის უველა იმათი სამოქალაქო, შიგნიერი საქმეების გამგებლობა (მართვა), ასე რომ პატრიარქის გარდა, არც ერთ სომებს ხონთქრის მართებლობასთან არათერი საქმე არა აქვს რა“. ამასთან ერთად ალსანიშნავია, რომ სომხებს თვითმმართველობის განხორციელება დაუკისრებიათ საზოგადო კრებისათვის და საყოველთაო-საარჩევნო უფლების საფუძველზე აურჩევიათ ოთხი საბჭო, რომელთაგან ერთი განაკვებდა სახალხო განათლებას. მეორე —

6 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 4, გვ. 95—96.



ადმინისტრაციულ საქმეებს, მესამე—ფინანსებს, მეოთხე—იურიდიკური ულ საქმეებს. სომხეთა თვითმმართველობის უმაღლესი ხელისუფალი იყო პატრიარქი, მაგრამ დიდ საზოგადო ქრებას უფლება ჰქონდა პატრიარქი გადაუყენებია, თუ იგი კონსტიტუციის დაარღვევდა.

ა. ოქრომჭედლიშვილი ხოტბას ასხაშს თავგანწირულ ბრძოლას სომხებისას, რომლებმაც მიიღეს „დიალ მარგი და სასაჩვებლო, ყველა ხალხის ამამაღლებელი“ თვითმმართველობა. მართალია, აბლულ მეჯიდის მემკვიდრე ცდილობს სომხებისათვის მინიჭებული პრივილეგიების შეკვეცას, მაგრამ სომხები დიდი ბრძოლით მოპოვებულ თვითმმართველობას არათუ დათმობდნენ, არამედ მის უფლება—კომიტეტენციის კიდევ უფრო გააფართოებენ?

ი. ოქრომჭედლიშვილის მიზანდასახულობა ძნელი გამოსაცნობი როდია. იგი მოუწოდებს ქართველებს, მიბაძონ სომხებს და იბრძოლონ თვითმმართველობისათვის, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიურ სახელმწიფო ორგანიზაციის ერთეულად მოწყობისათვის.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები სოლიდარობას უცხადებდნენ იტალიელების, პოლონელების და სხვა ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ცდილობდნენ მკითხველისათვის მიეწოდებინათ ამ ბრძოლის ამსახველი მასალა და ქართველებში ჩაენერგათ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები⁷.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორის საშუალება არ ჰქონდა იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე თავისი თანამშრომლის ორგინალური სტატია დაებეჭდა. ამიტომ მან უურნალში გამოაქვეყნა დობროლიუბოვის ცენტრალური თხზულება—„მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“. დობროლიუბოვი შალალ შეფასებას აძლევდა გავაცის ორატორულ ხელოვნებას, მის დიდ დამსახურებად მიაჩნდა ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა და იდგილობრივი ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ნეპოლინის განთავისუფლებისას წარმოოქმულ სიტყვაში გავაციმ მიწათან გაასწორა ბურბონები, რომლებმაც იტალიელებს წაართვეს მოქალაქეობრივი თავისუფლება.

დობროლიუბოვი თავისუფლების ცნებაში ფართო შინაარსს სდებდა. მასში გულისხმობდა ხალხის როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ თავისუფლებას, მაგრამ XIX ს. 50—60-იანი წლების იტა-

7 „საქართველოს მოამბი“, 1863, № 6, გვ. 64—68.

8 იქვე, № 5, გვ. 77.

ლიელი მოღვაწეებისათვის უპირველესი მიზანი ეროვნული თავისა და სუფლების მოპოვება იყო. „ჩემი მეგობრებო, — მიმართაქვა გვაცი მსმენელებს, — მარტო რევოლუციას შეუძლიან შექმნა იტალიისა“. ...თუ რევოლუცია იტალიას შექმნის, დიპლომატია მაშინ ძულებული იქნება მიიღოს იგი, როგორც შესრულებული ფაქტი. მაშისადამე, გარიბალდისა და დიპლომატიას შეუ დიდი ზღვარია. „გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვენი ძლევამოსილისა და გამარჯვებულის რევოლუციისა, რომელიც ნიშნავს ხალხის სკული-ერების ოდგენას მფლობელების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ“⁹.

ალექსანდრე გავაცის ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი შეესაბამებოდა, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ჰემზარიტი თერგდალეულობის“ იდეოლოგიას. ფეოდალური ნაციონალიზმის ნასახიც კი აღარ იყო დარჩენილი სამოციანელთა შემეცნებაში. ისინი თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოზე ოცნებობდნენ.

ქართველი თერგდალეულები განსაკუთრებით დიდ თანაგრძნობას უწევდნენ და სოლიდარობას უცხადებდნენ პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რამაც 1862—1863 წლებში ახალი ძალით იყენება.

1862 წელს შეიქმნა პოლონელის ცენტრალური ეროვნულ-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეროვნულ აგანკუბას. მოძრაობის შესუსტების მიზნით რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა პოლონელი ახალგაზრდების სარეკრუტო შექრება და გარში გახაწევეთა სიაში შეიტანა ყველა ეჭვმიტანილი პირი. ცარიზმის მოხელეთა ამ კერაგულმა ღონისძიებამ აღშფოთება გამოიწვია მთელ პოლონელში. ახალგაზრდებმა უარი თქვეს მეფის ჯარში წასვლაზე, ტყეებში გაიხინენ და აგანკუბას დროშა ააფრიალეს. ამ სამართლიან ეროვნულ-გამათავისუფლებელ ოშში იქტიურად მონაწილეობდა პოლონელის მოსახლეობის თთქმის ყველა სოციალური ფენა—თავადაზნაურობა, გლეხობა, ქალაქის დემოკრატია, მუშები. „მაშინ,—წერდა ვ. ი. ლენინი,—რევოლუციური იყო სწორედ პოლონელი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც“¹⁰.

პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას მოჩალურ და ფაქტოურ დახმარებას უწევდა პროგრესული რუსეთი. რუ-

⁹ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 5, გვ. 85—87, 93.

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 6, გვ. 569—570.

სეთის რევოლუციური ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლია“ პოლონე-
თის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილ რეს თფიცრებს და ჭარბისამავა
კაცებს მოუწოდებდა იარალი მიებრუნებინათ მეფის თვითმშერო-
ბელობის წინააღმდეგ. პეტერბურგში, მოსკოვსა და რუსეთის სხვა
ქალაქებში მიმდინარეობდა ფულადი სახსრების შეგროვება; იქნე-
ბოდა პოლონელთა დასახმარებელი ფონდები.

თვითმშერობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეროვნულ-
რევოლუციური ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა პასუხობდა
ეროვნულ-გამათვაისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა ინტერე-
სებს და ამიტომ, ბუნებრივია, მოწინავე ქართველი საზოგადოება
ცდილობდა კონტაქტი დაეყყარებინა პოლონელ პატრიოტებთან,
დახმარება გაეწია მათვის სამართლიან ბრძოლაში.

პოლონეთის აჯანყების დროს საქართველოში პეტრილული
პრესის ორი ორგანო — „ცისკარი“ და „საქართველოს მთამბე“ გა-
მოდიოდა. ცენზურის მეცრი კონტროლის მოუხედავიად, თერვდა-
ლულთა ორგანომ შაინც მოახერხა აჯანყებული პოლონელებისა-
თვის თანაგრძნობის გამოცხადება. „საქართველოს მთამბის“ 1863
წლის № 7-ში გამოქვეყნდა პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილე-
ბი“. 3. ნაკაშიძე 1863 წლის 27 მარტს პეტერბურგიდან პოლონე-
თხე გავლით გამგზავრებულა უცხოეთში. მატარებლის ვაკონში სა-
უბარი გაუბამს პოლონელ სტუდენტებთან, რომლებიც სამშობ-
ლოში ბრუნდებოდნენ. 3. ნაკაშიძეს შეუქია პოლონელთა მიწა-წყა-
ლი, მაგრამ შეუბრალებია ხალხი „რომელიც ასეთ უბელურებაში
ჩავარდა ამ უკანასკნელ დროს“. ამას არ დაუთანხმა თურმე პოლო-
ნელი სტუდენტი, რომლის აზრით, რაი ხალხმა აჯანყება წამოიწყო
და სისხლსა ლვრის, არ მიაჩნია ეს ამბავი უბედურებად და მზიდაა
სიცოცხლე გასწიროს თავისუფლების მოხაპვებლად. ცენზურას
დაქემდებარებული უცრნალის პუბლიცისტი ინილება, მაგრამ
„სამგზავრო წერილებში“ მაინც ჩანს ავტორის უარყოფითი დამო-
კიდებულება თვითმშერობელობისადმი და თანაგრძნობა პოლონე-
ლი ხალხის გამათვაისუფლებელი ბრძოლისადმი. აჯანყებულთა რი-
გებში ჩასადგომად რუსეთიდან პოლონეთს მიმავალ პოლონელ
სტუდენტს იგი ასეთ სიტყვებს ათქმევინებს. „განა არის ქვეყანაზე
იმისთანა ხალხი, რომელსაც არ ჰსურდეს კეთილი ცხოვრება? უკე-
ლისა ჰსურს, მაგრამ ხალხიც არის და ხალხიც, ზოგის სურვილი ისე-
თივე სუსტია და დამჭერარი, როგორც თვითონ ხალხია გათელილი
და წელმოწყვეტილი, ზოგს კი იმოდენად შერჩენია კაცობრიული
გრძნობა, რომ მისთვის სიცოცხლე და კეთილი ცხოვრება გაუკო-

ფელია. ...ამისთანა ხალხი კი სულ მუდამა სდულს, ან გულის წა-ზე
დილს აისრულებს, ან არა და იმ წადილსა ზედ შეაყვდება ამისთანა
ნა ხალხს ვერაფერი ვერ შეაყენებს! შიშველს ხელით ზარბაზნებს
შოულობს; „ვისაც აქვს ხელები, ამბობენ ინსურეციები, ჯოხს
იშოვნის, ჯოხით თოფსა და თოფით—ზარბაზანსი!“ ისტორია და კა-
ცობრიობა მარტო ამისთანა ხალხს აძლევს ყურადღებას”¹¹.

3. ნაკაშიძე ცენზურის შიშით მკვეთრ გამოთქმებს ვერ ხმა-
რობს, მაგრამ ცხადია, რომ „ხალხის კეთილცხოვრებაში“ ივი გუ-
ლისხმობს ერის თვითმყოფობას და დამოუკიდებლობას. მისი სიმ-
პათია იმ ერის მხარეზეა, რომელიც არ ურიგდება თავისუფლების
დაკარგვის, იმ პატრიოტების მხარეზეა, რომელნიც მზად არიან სი-
ცოცხლე გასწირონ სამშობლოს თავისუფლებისა და ბენიერე-
ბისათვის. ავტორს, რა თქმა უნდა, სურს ასეთ ხალხთა რიგებში
იხილოს ქართველი ერიც.

თვით „საქართველოს მოამბის“ რედაქცია უქმაყოფილებას
გამოთქვამდა, რომ ცენზურის გამო უურნალმა ბევრ საჭირბოროტო
საკითხზე თავისი აზრი ვერ გამოთქვა; „რასაც ჩვენ თვითონ ვთხოვ-
დით უურნალსა, რასაც მოსგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ
დედელი დახვდა“. მიუხედავად ამისა, „სხვის მოსაწონად არც ერ-
თის ჩვენი გულითადის აზრისათვის არ ვეიღალატნია, სხვის მოსა-
ფერებლად არც ერთი ვრძნობა არ გავიყიდია, ჩვენ დაგრუმებულ-
ვართ და სვინდისისათვის კი არ გეიღალატნია“. განსაკუთრებული
გულისტყივილით აღნიშნავს რედაქცია იმას, რომ უურნალმა დრო-
ის მოთხოვნილება მთელი სისრულით ვერ გამოხატა. ჩვენი შინა-
განი ცხოვრების მოვლენები „ რომელიც ყოველი ცოცხალი კაცი-
სათვის საინტერესოა, არამცუ ვერ ასსნა ...არამედ ვერც კი ვაძე-
და რომ მიჰყარებოდა, თუმცა კი სცადა. ...ამის გამო ჩვენს უურ-
ნალს ფერი დაკლდა. „მოამბე“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას,
რაც ახლოს გასასინჯავი იყო“¹².

საქართველოს შინაგანი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნი-
შვნელოვან პრობლემად „საქართველოს მოამბის“ რედაქციის, უდა-
ვოა, ეროვნული საკითხი მიაჩნდა და გულისტყივილით, ხაზგასმით
აღნიშნავდა, რომ ამ „ახლოს გასასინჯ“ პრობლემას შორიდან უვ-
ლიდა, უცხოეთის მაგალითებით აშუქებდა, თვით ქართული სინამ-
დვილის უურნალის ფურცლებზე ასახვას, ქართველი ხალხის ეროვ-

11 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 7, გვ. 44—45.

12 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 11.



ნულ უფლებების აღდგენაზე საუბარს ცენზურის შიშით ვერ მშეცვალა დავდა. რედაქცია იმედს გამოთქვამდა, რომ ახლო მომავალში შეჩელება ჩეცნს უურნალსაც დაუდგეს დარი და უფრო მეტი ნაყოფი მოიტანოს. მაგრამ არ დასცალდა. ერთი ნომრის შემდეგ „საქართველოს მთამბის“ გამოცემა შეწყდა, როგორც ჩანს, მეტის მთავრობის სამხარეო აღმინისტროციამ უურნალს არც ის პატია, რის თქმაც გაბედა და „მავნე მიმართულებისათვის“ ნააღრევად გამოასალმა წუთისოფელს.

XIX ს. 60-იანი წლების საქართველოში ეროვნული საკითხი გაცილებით უფრო მწვავედ იდგა, ვიღრე ეს აისახა „საქართველოს მოაბეში“. პოლონეთის 1862—1863 წლების აჯანყებამ ახალი სტიმული მისცა ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ქართველი პატრიოტები კარგად ითვალისწინებდნენ პოლონელთა წარმატების დიდ მნიშვნელობის რუსეთის იმპერიაში შემავალი დაჩაგრული ხალხების უფლებათა გაფართოებისათვის და ამიტომ მათ ფართო იგიტაცია გააჩაღეს, დაიწყეს პოლონელთა დახმარების ფონდის შექმნა. ახლა უკვე დადგენილია, რომ პოლონელების დასახმარებლად ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება თბილისშიც მოხდა და თანხა გადაეგზავნა პოლონელ პატრიოტებს¹³.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება „ახალგაზრდა და საქართველო“, რომელიც „ახალგაზრდა სომხეთის“ საზოგადოებასთან ერთად ეწეოდა ეროვნული თავისუფლების იდეის პროპაგანდას. ამ ფაქტის კონსტატაცია ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეს, მაგრამ იყო ამავე დროს შეეცადა დაემცირებინა დაარსებულ საზოგადოებათა მნიშვნელობა, რათა მეტის მთავრობის რისკების აეცილებინა მათთვის.

1865 წ. 14 მაისს ნ. ნიკოლაძე სწერდა ოგარევს: „ხომ არ შეიძლება „კოლოკოლის“ შემდეგ ნომერში გამოაქვეყნოთ ერთი საინტერესო ამბავი. მიხეილ ნიკოლაევიჩიმა, ჩევნმა დამთხვეულმა ფელთბებელმა (ლაპარაკია მეფის ნაცეალზე. — ა. ბ.) რუსეთი იხსნა. მან აღმოაჩინა რაღაცა საოცარი შეთქმულება, ანუ ფარული საზოგადოება „ახალგაზრდა საქართველოსი და სომხეთისა“. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ორი-სამი გიმნაზიელი, ორი ნასტუდენტარი—თავი-

¹³ ი. ხ ც ი შ ვ ი ლ ი. „საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიანი, გვ. 21, 26.

სუფლად მოსაუბრენი გლეხობის განთავისუფლებასა და თავისუფლად საქართველოზე... პეტერბურგიდან მწერენ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით იქ მოხსენებით ჩასულა შიკრიკი და ქართველ სტუდენტთა შორის დაპატიმრების ელიანო... ხომ არ შეიძლებოდა ამ ბუზს, რომელიც მიხეილ ნიკოლაევიჩმა სპილოდ აქცია, ისევ ბუზის სახე დაბრუნებოდა?“¹⁴.

ეურ. „კოლოკოლი“ დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა ოუსეთში. ნ. ნიკოლაძე, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ „საქართველოსა და სომხეთის საზოგადოებათა“ ასეთი გაუბრიალოებული სახით წარმოჩენა მეფის სატრაპების გულისწყრომას დააცხრობდა და ისინი საჭიროდ აღარ ჩათვლიდნენ მექანი რეპრესიების გამოყენებას. საბჭოთა მკელევრები კი არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას და თითქმის სრულიად უგულვებელყოფენ დასახელებულ საზოგადოებათა მნიშვნელობას ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

„ახალგაზრდა საქართველოს“ საქმიანობის შესახებ კონკრეტული მასალა გამოვლენილი არაა, მაგრამ უნდა ვითიქროთ, რომ იგი დაარსეს თერგდალეულებმა და ისინი ხელმძღვანელობდნენ მის საქმიანობას.

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით აღტროვანებულმა ო. ჭავჭავაძემ 1860 წ. 29 ივლისს დაწერა ცნობილი სტრიქონები:

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქებს დასათრებულებ მონაბისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში, ლმერთო, ლმერთო, ეს ხმა ტკბილი გამავონე ჩემს მამულში!“

ი. ჭავჭავაძე „თავის მამულში“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების პასიური მომლოდინე როდი იყო. ილია და სხვა თერგდალეულები, უდავოა, არ კმაყოფილდებოდნენ ლიტერატურული საქმიანობით, მოძრაობის თეორიული პრობლემების დამუშავებით. ისინი ეწეოდნენ აგრეთვე გარკვეულ პრაქტიკულ საქმიანობას, რის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ფარული საზოგადოების — „ახალგაზრდა საქართველოს“ დაარსება ამ საზოგადოებას ქართველი ხალხი უნდა მოემზადებინა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, რომლის დამაგვირგვინებელი შედეგი ილიას ასე ჰქონდა წარმოდგენილი.

14 ნ. ნიკოლაძე. თხ., გ. I, 1962, გვ. 249.

„ხალხი აზერთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
ერთი ზღვიდამა მეორემდე ერთ ფიქრსა პფიქრობს,
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!...
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძლება“.

ი. ჭავჭავაძემ თავის პატარა პოემით „დედა და შეილი“ საფუძველი დაუდო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას, რომელიც შემდეგ გააფართოვა და გააღმავა მხარველულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტიკაში. ილიას „მგზავრის წერილები“ საქართველოს თვითმყოფობის, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების პიმნია, ბუნების შეილის, მოხევის ენით გამოთქმული.

მწერალთან საუბარში მოხევე აქებს საქართველოს წარსულს, უპირატესობას იძლევს აწყოსთან შედარებით და ამის ძირითად საბუთად იმის ასახელებს, რომ „აღრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადჲ გვეყუდნეს“, ე. ი. გვერნდა დამოუკიდებლობა და თვითმმართველობათ. მწერლის შენიშვნაზე, რომ სამაგიეროდ ახლა მშეიღობიანობა არისო, მოხევე პასუხობს: „რაის ვაქნევ ცარიელ მშეიღობას. ...რაი არს მშეიღობა? უხმარ სატევარს უნგი დაედევის ...რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშეიღობა მიწაჩიც გვეყოფის“¹⁵.

ი. ჭავჭავაძე თითქოს კომენტარს არ უკათებს მოხევის აზრებსა და მისწრაფებებს, მაგრამ პატრიოტი მოხევის გულლია აღსარებამ მასზე უდიდესი გავლენა იქონია და დაწერინა ქართველთა გრძნობა-გონიერების შემძვრელი სტრიქონები: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხელეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო“—სტევი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უცარმა ტეივილმა ტეინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტეივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის.. ჩემო საყვარელო მიწაწყალო მომეც ამის პასუხი“¹⁶.

ეს ტეივილი, ეროვნული საკითხი, მისი ასე თუ ისე გადაჭრის გზების ძიება მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწუხებდა თერგდალეულებს და ყველა პატრიოტ ქართველს.

იმ დროს, როცა ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებს“ წერდა, პეტერბურვის ქართველ სტუდენტთა ერთი ნაწილი საქართველოს

¹⁵ ი. ჭავჭავაძე. თხ., ტ. I, 1914, გვ. 256—259.

¹⁶ ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშ., გვ. 259—260.

დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობდა. ისინი თვალყურს დღე-
ვნებდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ ჩაგრულ ხალხთა გამა-
თავისუფლებულ მოძრაობას, ეროვნული რევოლუციის იდეას ქა-
დაგებდნენ. მათ შორის იყო გ. წერეთელი. იგი მიზანშეწონილად
ოვლიდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ხალხთა ერთიანი
ფრონტის შექმნას ცარიშმის წინააღმდეგ, რეალურ საქმედ ეწვე-
ნებოდა პოლონელთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელ და სხვა
ხალხთა სამხრიოლო თანამეგობრობის ჩამოყალიბება. გ. წერეთელი,
ისე როგორც მისი დროის ცველა პროგრესულად მოაზროვნე ქარ-
თველი, იბრძოდა ქართველი ხალხის კანონიერ, ეროვნულ უფლე-
ბათა დასაცავად, საჭიროდ თვლიდა ბრძოლას საქართველოს სა-
ხელმწიფოებრიობის აღდგენისათვის¹⁷.

ნ. ნიკოლაძე ფხიზელი თვალით ავირდებოდა ქართველი ხალ-
ხის, მისი მოწინავე მოღვაწეების მისწრაფებას და კარგად ამჩნევ-
და, რომ მეფის მთავრობის რეაქციული, სოციალური და ეროვნუ-
ლი ჩაგვრის პოლიტიკა ქართველთა უმრავლესობას ცარიშმის წი-
ნააღმდეგ განაწყობდა. 60-იანი წლების რეფორმებმა ვერ დააქმა-
ყოფილა გლეხობა და პროგრესული ინტელიგენცია, ვერ გააუმჯო-
ბესა ქართველი ხალხისა და რუსეთის მთავრობის ურთიერთობა. „ქართველი ხალხი, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1865 წ. „კოლოკოლში“, —
დღითიდლე და უფრო მეტად იმსკვალება თავისი ეროვნული დამო-
უკიდებლობის იდეით. მცირეოდნავაც არ შევცდებით თუ ვიტყვით,
რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამჟამად კეთილისმსურ-
ველები არ ჰყავს, გარდა დიდი მთავრის კარის ერთი მუჭა... ბობო-
ლა მოხელეებისა... და მცირერიცხოვან დიდ მიწათმთვლობელებისა,
რომელთა ინტერესების მიხედვით შედგენილია ახალი „კანონდე-
ბულებანი“... ყველა დანარჩენი ვინც კი ცოცხლობს და აზროვნებს,
გამსკვალულია ნაციონალიზმით“¹⁸.

ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა და ყოველთვის ხაზეაშით აღნი-
შნავდა, რომ ქართველ ხალხს არ ახასიათებდა არც ანტირუსული
განწყობილება და არც ეროვნული შეზღუდულობა-განკურძობუ-
ლობისაენ მისწრაფება. იმდენად იყი ცნება „ნაციონალიზმს“ ან-
ტიცარისტული განწყობილების გამოსახატავად ხმარობს. ქართვე-
ლი ხალხი ცარიშმს ებრძოდა თავის ეროვნულ უფლებათა დაცვა-
გაფართოებისათვის. მაგრამ ამ ბრძოლის ყოველგვარი შედეგი

17 გ. გაფრინდაშვილი. ქართველი განმანათლებლობა, თბ., 1966, გვ.
24, 28, 34.

18 ნიკოლაძე. დასახ. ნაშრო., გვ. 264.

6. ნიკოლაძეს მისალებად როდი მიაჩნდა „ჩვენ არ გამოვექიდებით, — წერდა 6. ნიკოლაძე, — რუსეთის მთავრობისათვის, ხსენების როგორც ...საქართველოსათვის საინტერესო საყითხს, საქართველოში არსებულ ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საყითხს: ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ განმარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ ჩვენი მწუხარება ამ მისწრაფებათა წარმატების გამო. ...ჩვენის აზრით, ამ იდეის განვითარებას შეუძლია საქმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის მატერიალურისა და გონიეროვანი განვითარებას. ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამას წინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და საღაც მოთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს. ჩვენი ღრმა რწმენით, — განაგრძობს ეტორი, — ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს ...საქართველო აშეარად და საქმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრას გონიერი და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების (შექმნის) ის საყითხი, რომელიც მას აღელვებს“¹⁹.

6. ნიკოლაძე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის საყითხს განუყოფელ მთლიანობაში განიხილავს, მიაჩნია, რომ ორივე საყითხის გადაწყვეტა პასუხობს ქართველი ხალხის ინტერესებს. 6. ნიკოლაძის აზრით, შექმნილ სიტუაციაში საქართველო კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის „მფარველობით“ ვერც ერთ ამ საყითხს ვერ გადაჭრის, ქართველი ხალხი ვერ მოიპოვებს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას. „ევროპის სახელმწიფოებმა, — წერდა 6. ნიკოლაძე, — საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაინც წაგდებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს. მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვება შეუძლებელია: უამრავი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუდგებობინენ საქართველოს ცივილიზებს აუზირის მზგავსად, ან მის ექსპლოატაციის ინდონინეთის მზგავსად. ასე მოხდებოდა მაშინ, თუ ეროვნული მისწრაფება გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, რაღაც მოიტანდა მარცხი და რამ-

19 იქვე, გვ. 264—265.

დენი შანსია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და წინააღმდეგ —
ყველამ კარგად იცის”²⁰.

6. ნიკოლაძე უარყოფს ევროპისაგან მომდინარე „მფარველო-
ბას“ და უპირატესობას აძლევს საქართველოს დარჩენის რუსეთის
იმპერიის შემადგენლობაში. რაյი ქართველ ხალხს ჯერ არ შეუძ-
ლია ეროვნული დამოუკიდებლობის მომვება და სოციალური
პრობლემების გადაწყვეტა, იგი, რუსეთის განახლების მოლოდინში,
იმპერიის შემადგენლობაში უნდა დარჩეს. ავტორის აზრით, საზო-
გადოებრივი და სახელმწიფო ობიექტების წყობილების „ერთადერთ
ფორმას, რომელსაც შეუძლია ნამდევილი სარგებლობა მოუტანის
საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთ-
რების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმ-
წიფო მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია“. 6. ნიკოლაძე დარ-
წმუნებულია, რომ „საუკეთესო სახელმწიფო ობიექტი და საზოგადო-
ებრივი წყობილების იდეალი... ყველაზე იდრე რუსეთისათვის აზ-
ის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინ-
ციპი — თემობრიობა, შესაძლებელ სისრულით, რუსეთის ხალხშა
შეინარჩუნა რუსეთის თემი იდეალუდ არ მივგაჩნია, მაგრამ იგი
უფრო ბევრად შეეფერება ჩვენს წარმოდგენის (სამართლიანი) სა-
ზოგადოებრივი წყობილების შესახებ, კიდრე დასავლეთ ეკროპაში
გაბატონებული ინდივიდუალიზმის ყოველნაირი პრინციპი. ...ამ მო-
საზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ რომ რაიო საქართველო თავის
სკებედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო
მაღლ მიაღწევს თავის მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობს, ვიდ-
რე მაშინ, როცა მს მოქავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარა-
ფერს გამბობთ მფლობელობაზე) ეკროპის რომელიმე ერი, რომ
აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც სა-
ქართველოში არც ერთი სალად მოზაროვნე ადამიანი მოწადინებუ-
ლი არ არის“²¹.

ხალხოსნური იდეოლოგის გავლენის ქვეშ მყოფი 6. ნიკო-
ლაძე რუსეთისა და საქართველოს უკეთესი მომავლის საფუძვლად
თემსა და თემურ საკუთრებას თვლიდა. „მიწისა და ყოველგვარი
სხვა საკუთრების სათემო განაწილება“, 6. ნიკოლაძის ღრმა რწმე-
ნით, ქართველი ხალხის უმრავლესობას გაათავსისუფლებდა სოცია-
ლური ჩაგრისაგან, ხოლო „სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათე-
მო ორგანიზაცია“ იხსნიდა ეროვნული ჩაგრისაგანაც. საქართვე-
ლო რუსეთის შემადგენლობაში მიიღებდა ავტონომიას, გადაიქცა-

20 6. ნიკოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 264—265.

21 6. ნიკოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 265—266.

ოდა თვითმმართველ ერთეულად. ამიტომ ნ. ნიკოლაძეს მიზანშეუცვალ
წონილად მიაჩნდა, რომ ქართველ ხალხს ხელი აელო გადამეტებულ
ეროვნულ მისწრაფებაზე, სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძო-
ლაშე და დალოდებოდა რუსეთის გარდაქმნას. მაგრამ დალოდებო-
და არა პასურად, არამედ აქტიური მონაწილეობა მიერო რუსეთის
განახლებისათვის ბრძოლაში, მრავალი დიდი და მცირე ერის შემ-
ცველ ამ ვრცელი იმპერიის ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაქმ-
ნის დიად საქმეში.

თემისა და თემური მიწათმფლობელობის გაიდიალება, სახელ-
მწიფო მართვა-გამგეობის თემური ორგანიზაცია, მართალია, განუ-
ხორციელებელი, უტოპიური ოცნება იყო, მაგრამ ეროვნული
პრობლემის ნიკოლაძისეული დამა და გადაწყვეტა პრინციპულად
მისაღები იყო თითქმის ცველა თერგდალეულისათვის.

ნ. ნიკოლაძე ემხრობოდა ერთა თვითგმორკვევის იდეას. თა-
ვის სტატიაში „მთავრობა და ახალი თაობა“ (1866 წ.) იგი წერდა:
„პოლონეთი იძულებულია აჯანყდეს, რათა მიაღწიოს სრულუფლე-
ბიანობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მთავრობა აღრ-
ჩობს მას. ...ახალი თაობა კი ამბობს: რუსეთს არავითარი უფლება,
არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს
თავის ბატონ-პატრიო და თვითონვე გაუძლვეს საკუთარ საქმე-
ებს“²². პოლონეთის აჯანყების სისუსტისა და მარცხის მიზეზად
ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა ის გარემოება, რომ მან ვერ მიიღო საყო-
ველთაო-სახალხო ხასიათი, მასში აქტიურად არ ჩაება ერის უმრავ-
ლესობა—გლეხობა. „პოლონეთის ფლეხები საყმარისად დარწმუნე-
ბული როდი იყვნენ, რომ მათი „პანების საქმე“ მათივე საკუთარი
საქმე იყო, რომ შლიახტის ბატონობის ღროს უკეთესი ცხოვრება
ექნებოდათ, ვიდრე რუსეთის ბატონობის ღროს. სწორედ ეს იყო
მიზეზი, რომ პოლონეთის აჯანყებას ხალხი გულგრილად შეხვ-
და“²³. ამგვარად, ნ. ნიკოლაძის აზრით, აჯანყების მეთაურთა სო-
ციალური კომსიურუატურის ქაუსტებს ეროვნულ-გამათავისუფლე-
ბელი მოძრაობის გაქანებას. იგი რჩევას აღლევს რევოლუციურ
ახალთაობას, გაითვალისწინოს პოლონეთის შრარე გამოცდილება
და მიზნად დაისახოს ხალხის როგორც სოციალური, ისე ეროვნუ-
ლი ჩაგვრისაგან გათავისუფლება. მხოლოდ ასეთი მიზანდასახულო-
ბანი, მრავალწლიანი მუშაობით მომზადებული რევოლუცია მიი-

22 ნ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 355.

23 იქევე, გვ. 328.



საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი და აგრარულ-
გლეხური მოძრაობა თავისი შინაარსით სოციალურ-პოლიტიკური
მოძრაობა იყო, რომლის მიზანი არა მარტო კოლონიური ჩაგვრის
უღლის გადაგდება, არამედ ვლეხთა განთავისუფლება და ფეოდა-
ლურ-ბატონყმური დამოკიდებულების ყოველგვარი ნაშთების მის-
პობა იყო. ამდენად, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფ-
ლებელი მოძრაობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე პროგრესულ
მოძრაობას წარმოადგენდა²⁴.

XIX ს. 60-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს
ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა და
შევენებულ მონაწილეთა უმრავლესობა ეწეოდა საქართველოს და-
მოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდას და შეძლებისდა-
გვარად პრაქტიკულადაც საქმიანობდა ამ მიმართულებით. მომ-
დევნო ხანაში საერთაშორისო ვითარება შეიცვალა. პოლონეთის
ჯანყების ჩატობის შემდეგ რუსეთის შინაპოლიტიკური მდგომა-
რეობაც გარითულდა. გაძლიერდა მთავრობის რეპრესიები როგორც
სოციალ-რევოლუციონერების, ისე ეროვნულ რეცოლუციონერთა
წინააღმდეგ. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, შეზღუდა ქართველ პატ-
რიოტთა ეროვნული იდეალები. მათ ანგარიში გაუწის შექმნილ
სიტუაციას, დროებით ხელი იიღეს პროგრამა-მაქსიმუმშე—საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაზე და ძალა-
უნებურად კმაყოფილდებოდნენ პროგრამა-მინიმუმით, ეწეოდნენ
რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნისა და
საქართველოს აეტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეის პრო-
პაგანდას, ცდილობდნენ ამ პროგრამის მხარდასაჭერად განეწყოთ
რუსეთის საზოგადოებრიობა და მთავრობის წრეები.

XIX ს. 70-იან წლებში ქართველი მოლვაწეები ცენზურის ში-
შით ვერ ბედავდნენ აშკარად წერას. ვერაფერს ამბობდნენ რუსე-
თის ფულერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ. ქართველი
პუბლიცისტები ქართული პრესის ფურცლებზე ავსტრიის იმპერიი-

²⁴ ვ. იოსე ლიანი. საქართველოს ისტორიის პრობლემები და ორგა-
ლეული. თბ., 1972, გვ. 260.



ის შინაპოლიტიკური წყობილების ევოლუციას აშუქებდნენ, უშიდერებელი სალმებოდნენ ფედერაციის საშუისებზე ავსტრიის გარდაქმნის გეგმებსა და პრაქტიკას და სტრიქონთა შორის ამასვე ნატრობდნენ რუსეთის იმპერიისათვისაც.

ცნობილია, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერია, მსგავსად რუსეთის იმპერიისა, მრავალუროვან სახელმწიფოს წარმოადგნდა. იქ მეტად მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი. „ღროებისა“ და „ივერიის“ რედაქციები ძალიან დიდ აღვილს უთმობდნენ ავსტრია-უნგრეთის ერთა ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემებს და თთქმის ყოველთვის მხედველობაში პქონდათ მრავალუროვანი რუსეთი და მისი პრობლემები.

1870 წელს 6. ნიკოლაძემ „ღროებაში“ გამოაქვეყნა წერილი — „ავსტრიის მდგომარეობა“. ავტორი მიუთითებს, რომ ავსტრიის იმპერია მრავალუროვნული სახელმწიფოა. 1848 წლამდე „ამ არეულ-დარეული ხალხების კრებაში პირველი აღვილი გერმანელებს ეკავათ, 26 მილიონი სლოვენები, უნგრელები და სხვ. ისე ცხოვრობდნენ როგორც 8 მილიონ გერმანელებს სურდათ“. გერმანელები ყოველნაირად ცდილობდნენ დაებნელებინათ სხვა ხალხების ეროვნული თვითშეგნება, თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ ამ ერების გამოჩენილი პირები, მაგრამ ავსტრიის მთავრობის საუბედუროდ „ვერც ძალის დატანებამ, ვერც მოქროამეამ ვერ მოიტანეს ის ნაყოფი, რომელსაც გერმანელები ეძებდნენ“. 1848-ში ამ ხალხებმა თავიანთ მხრით ძალა დაატანეს ავსტრიის მმართველობას და დააფუძნებინეს სხვადასხვა ხალხების თავისუფლება თუ მმართველობა“. 6. ნიკოლაძე შემდეგ წერს, რომ 1848 წლის რევოლუციის დროს „უნგრეთი თითქმის ცალკე სამეფო გახდა“, მან შობილოვა თვითმმართველობა. ამასეუ ცდილობდა ჩეხია. ვენეცია და ლომბარდია კი სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. ავსტრიის მთავრობამ რუსეთის მეფის დახმარებით ჩაახშო რევოლუცია და აგანუებული ერები კვლავ დაიმორჩილა. მიუხედავად იმისა ავსტრიის მთავრობამ ეროვნული საკითხის მოუგვარებლობის გამო „ვერასგზით ვერ მოახერხა თავის ქვეყანაში რიგიანი წესრიგის გამართვა“. 1859 წელს საფრანგეთთან, ხოლო 1866 წელს პრუსია-თან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ავსტრიის ერთიანობას ვერ ბერთელა ბზარი გაუჩნდა. ამ სამწუხარო პერსპექტივამ, 6. ნიკოლაძის აზრით, აძლელა ავსტრიის მთავრობა ანგარიში გაეწია ცალკეული ერების სურვილებისათვის. „ყველაზე უწინ მან უნგრეთთან შერიგება მოინდომა“, მისცა მას ავტონომია. ასლა თვითმმართვე-

ლობას მოითხოვენ ჩეხები, სერბები, პოლონელები და სხვ. ერები. თუ აქსტრიის მთავრობამ ეს სამართლიანი მოთხოვნები მრავალი მაყოფილა, დაასკვნის ავტორი, ეროვნული რევოლუციები გარდა უფალი იქნებათ²⁵.

ეგაძ. „დროება“ თავიდანვე სოლიდარობას უცხადებდა ბალკანეთის სლავებს, რომელიც თავგამოდებით იბრძოდნენ თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ სერბები, ბულგარელები, ბოსნიელები, ჰერცოგოვინელები, ხორვატები და სხვ. შეძლებდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ გაერთიანდებოდნენ და ერთად იბრძოლებდნენ თურქეთის წინააღმდეგ²⁶.

ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგებისა და ეროვნული საკითხის მართებული გადაჭრის ნიმუშს თერგდალეულები ხედავდნენ შევიცარიის ფედერაციული რესპუბლიკის, აგრეთვე საფრანგეთისა და მისი გერმანელებით დასახლებული პროვინციის — ელზასის ურთიერთობის მაგალითზე. 6. ნიკოლაძე ონიშნავდა, რომ საფრანგეთმა ელზასი XVII ს-ში დაიპყრო და ელზასელები საუკუნეზე მეტ ხანს იბრძოდნენ საფრანგეთის მეფეების წინააღმდეგ. „მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუციამ საფრანგეთისაც და მაშასადამე, ელზასაც, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესი და წყობილება შეუცვალა ...შეიცვალა ელზასელების გრძნობა საფრანგეთისადმი. რაჯი საფრანგეთმა ელზასელს ჩინებული პოლიტიკური უფლებები მისცა, რაჯი ელზასელი თავისუფალი შეიქმნა და მას მოქალაქეობრივი სიმართლე და თანასწორობა, კენჭი და თვითშმართელობა მიეცა, რაჯი ელზასელმა თავისთვი... დაუჩაგრავ მამულიშვილად იქნა, საფრანგეთს როდილა დასჭირდა სხვანის ღონისძიების ხმარება ელზასის „გასაფრანცუზებლად“. ელზასელებმა შეინაჩიუნეს გერმანული უნა, კულტურა, საკუთარი თვითშმართელობა და სწორედ ამიტომ, ნიკოლაძის აზრით, ისინი გადაიქცნენ საფრანგეთის ერთგულ მოქალაქეებად და პოლიტიკურად გაფრანგდნენ. ამის გამო ელზასელები 1870 წელს მტრულად შექვდნენ გერმანიისთან შეერთებას, „სამშობლო ოჯახში დაბრუნებას“²⁷.

რესეთის ცარიზმი და დიდმშერობელი რესი შოეინისტები არათუ თვითშმართველობას აძლევდნენ სხვა ერებს, არამედ ყო-

25 6. ნიკოლაძე. ობს., ტ. II, 1960, თბ., გვ. 73—77.

26 „დროება“, 1867 წ. № 46.

27 6. ნიკოლაძე. ობს., ტ. III, გვ. 125—126.

ეელნაირად ცდილობდნენ მათ ასიმილაციას. ქართველი პატრიოტები ხმას იმაღლებდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ქართველი სამოქამდებრების რეაქციული ელემენტები და ნიშილისტები აძნელებდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას.

1872 წელს გამ. „კავკაზის“ დამატების სახით გამოქვეყნდა ბროშურა—„О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“. ავტორი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე პირობებში ცივილიზაციის გადამწყვეტი სალა დიდი ერები არიან და მცირე ერებისათვის სასაჩვებლო დაივიწყონ საეჭთარი თვითარებობა და დიდ ერებს შეერწყან. ამ ბროშურამ აღმფოთა მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწენი. გამ. „დროებაში“ გამოქვეყნდა ბიბლიოგრაფიული ცნობა. ს. მესხი დამკინავდ წერდა, ზოგი ჩვენი მდიდარი ოჯახიდან გამოსული ახალგაზრდა სამსახურში იმსათვის შედის, რომ ბრწყინვალე მუნდირით საყვარელს თავი მოაწონოს. უცნობი ავტორის ბროშურის გვაცნობამ მაფიქრებინა, რომ ზოგიერთი მწერლის კალმის ამამოძრავებელი აგრეთვე საყვარლისათვის თავის მოწონების სურვილია. ს. მესხი შეფარვით იმ აზრს გამოთქვამს, რომ ბროშურის ავტორის შეყვარებული რესერტის ცარიზმია და მის საამებლად აუზებელს ასეთ „ბრწყინვაზე“ აზრებს. ბროშურის ანონიმი ავტორის (მალე გამოიჩინა, რომ ავტორი იყო გ. მუხრანისვი) მისამართით ს. მესხი აღმფოთებული წერდა: „პატარა ხალხები უნდა „გაუქმდნენ“, იძათი ენა უნდა მოისპოს და თვითონ ისინი დიდ ხალხებს უნდა შეეთვისონ. ლერთიანი კაცი ითვირებს, რომ უცნობ ავტორს ხალხები და იმათი ენა რომელიმე დეპარტამენტის თანამდებობად მიაწინია! თითქოს ხალხისა და ენის გაუქმება ისე ადვილი იყოს, როგორც რომელისამე თანამდებობისა დეპარტამენტში ...იმას ერთი კალმის მოსმით ჰსურს შესცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება; ჰსურს წართვას მას მშობლიური ენა, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის“. ასიმილატორთა საყურადღებოდ ს. მესხი აცხადებს, რომ პატარა ერები ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან თავის გაქრობაზე, დიდ ერებში გათვეუფაზე. ძალდატანების გამოყენება კი „კაცობრიობის ვონიერ მოქმედებას არ შეჰქვერის. ძალდატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. „თუ არ ძალდატანებით, თუ არ გასაყიცხი საშუალებების შემწეობით,—

კვლავ იმეორებს ს. მესხი, — ხალხი არასდროს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამგვარადაც დაკარგულის (ძალდატანებით დაკარგულის. — ა. ბ.) ოდგენას ყოველთვის ეცდება“. ამიტომ ბროშურის ავტორის რჩევა ანგარიშგასაწევი არა და ნურავინ შეეცდება მისი რეცეპტი გამოიყენოს ერქბის ასიმილაციისათვის²⁸.

მუხრანსკის ბროშურის დედააზრი მოიწონეს მხოლოდ დიდმპყრობელური შოვინიზმის მესვეურებმა და კიდეც იყენებდნენ მას პატრიოტებთან გამართულ პოლემიკაში.

გამ „გოლოსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომლის ავტორი ეყრდნობოდა მუხრანსკის მოსაზრებებს და ასაბუთებდა, რომ ამიერკავკასიის სასწავლებლებში აღგილობრივი ენების სწავლება საჭირო არ არის, კავკასიის ერებისათვის უმჯობესია, დაანებონ თავი მშობლიურ ენებს და ცივილიზაციას რუსული ენის შემწეობით დაეწაფონ. „გოლოსში“ პუბლიცისტი იმასაც აღნიშნავდა, რომ აღგილობრივ ენებს მხოლოდ გამ „მშაკი“ და ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტები იცავენ, რომელიც თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობენ. ეს ბრალდება თავის-თავად საფუძველს მოკლებული არ იყო, მაგრამ ცარისტული რეექტის პირობებში ამის აშეარა აღიარება ქართველ მოღვაწეებს არ შეეძლოთ. ს. მესხმა საყვედური გამოთქვა „გოლოსში“ რედაქტიის მიმართ, რომელმაც წმინდა პედაგოგიურ კამათს პოლიტიკური ხასიათი მისცა. „მე რომ გამოვთქვა, მაგალითად, ის აზრი, — წერდა „დროების“ რედაქტორი, — რომ ყმაწვილს პირველდაწყებითი სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა გადასცეს მასწავლებელმა მეტე, ნუთუ ამ აზრის გამოთქმისათვის, მე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი უნდა შემწეობონ? სწორედ ამნაირად იყო ეს საქმეც. სომხურმა გაზრიმა „მშაკმა“ და ქართულმა „დროებამ“ რამდენჯერმე გამოთქვეს თავისი აზრი აღგილობრივი ენების შესახებ. ...ისინი ამტკიცებდნენ, რომ აღგილობრივი ენების მოპობა სასწავლებლებში შეუძლებელი საქმეა, რადგან უიმათოდ ხალხს, რომელსაც რუსული სრულიად არ ესმის, ვერაფერს გავაგებინებთ. ნუთუ წმინდა პედაგოგიური და საზოგადო აზრების გამოთქმისათვის რალაც პოლიტიკური განზრახვე უნდა დაგვიჩრალდეს? განა მარტო ჩვენ გამოვთქვით ეს აზრი? თქვენს გარშემო, რუსული ლიტერატურაში მიმოიხედეთ, უფალო „ხმის“ პუბლი-

28 „დროება“, 1872, № 35.

ცისტო, და დაინახავთ, რომ საუკეთესო რუსის მწერლები და პრემიუმი
დაგვოგები ამგვარი აზრისანი არიან²⁹.

„დროების“ ჩედაქცია წერდა, რომ როცა სიტყვა ჩამოვარდება ალექსინის გაფრანგებაზე, ინდოეთის გაინგლისელებაზე, ბალკანეთის სლავების გაერმანელებაზე, რუსიფიკაციონებს „თუ არ გაბრაზებით და დორბლით პირზე, ისე ხმის ამოღება არ შეუძლიათ, როცა სხვა ჭვეუნებს შექხება საქმე რადიკალებიც არიან და ნაციონალისტებიც“, ხოლო როცა რუსეთის იმპერიის ხალხებზე ლაპარაკენ, მაშინ კი ლოლიკ იცვლება და ჩეენი გვარტომობის, ენის შეცვლას გვირჩევენ, მაგრამ არაფრი გამოვეათ. „იმ ხალხს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია, რომელსაც თავისი საკუთარი ლიტერატურა და ცოტაც არის შემუშავებული ენაც აქვს, ამგვარ ხალხს, თუნდ ერთი მუჭა ხალხიც რომ იყვეს, ერც ჩეევით და ვერც ძალდატანებით ვერ გამოაცვლევინებთ, ვერ მოასპობინებთ თავის თანაშეზრდილ, თანმებორცებულ ენასა და ლიტერატურას; ვერ მოასპობინებთ იმიტომ, რომ ეს ენა თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნია³⁰.

მაგრამ „დროებას“ დაუშებლად მიაჩნდა ერის თვითარსებობისათვის ბრძოლის თვითდინებაზე მინდობა. გაზითი თავის დანიშნულებად თვლიდა ქართველი ხალხის უროვნული თვითშეგნების ამაღლებას და მასში უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის სურვილის ჩანერგვას. ეს კი ცარისტული რეჟიმისა და სულის შემხუთველი ცენზურის არსებობის პირობებში დიდ სიძნელეებთან იყო დავავშირებული. „ქართულ ლიტერატურას,—წერდა „დროების“ ჩედაქცია,—ერთი მოვალეობა აქვს: თვალი გამოაცყეტინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოაღიძოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამღვპველია ხალხისათვის, რომ ვისაც სიცოცხლე, კაცური სიცოცხლე სურს, ის კველაზე პირველად ხელს უნდა ანძრევდეს, თავის თავს უნდა იცნობდეს, თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს.

კველაზე საშიში, — განაგრძობს ჩედაქცია, — ის არის, როცა ხალხი თავის ჭვეუნის საქმეებს გულგრილად დაუწყებს ცქერას. და ეს ბედი მოელის ქართველ ხალხს, თუ ამ დროის ქართულმა ლიტერატურამ იმდენი ძალა და გამჭრიახობა არ გამოიჩინა, რომ ამ

29 „დროება“, 1872, № 45.

30 „დროება“, 1876, № 14.

გზას ააცდინა ქართველობა, თუ ცოტათი მაინც შეაყვარა, ქართველი ელს ქართული ენა, ქართველების საშმაბლო და რამდენიმე განსაკუთრებული თი აზრი დათესა საზოგადოებაში, რომელიც ქართველს თვალებს გამოაჭერინებს და წარმატებისა და უკეთესი მომავლის სურვილს აღუძრავს, — ამის მეტს, ახლანდელ მდგომარეობაში, ქართულ ლოტერატურას ნურას მოსთხოვთ. ესეც დიდი დამსახურება იქნება³¹.

„დროების“ რედაქტორი ბუნებრივად თვლიდა ყველა ხალხასა და მათ შორის ქართველი ტრის გამოყოფის უფლებას. „ხალხებს, — წერდა იგი, — თვითარებობისა და დამოუკიდებლობის უფლება აქვს და მათდაც უნდა დააჩინოს“³².

ცარიშმის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის წინაპირობად ს. მესხს მიაჩნდა საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის გაერთიანება. მართალია, ყველა კლის თავისი ინტერესი ჰქონდა, მაგრამ ს. მესხის აზრით მათ დროებით უნდა დაევიწყნათ „წვრილმანი ეკონომიკური ინტერესები“ და საერთო ეროვნული საქმისათვის ებრძოლათ ცარიშმის წინააღმდეგ. „მოწინავე კაცების“ ზენობრივ მოვალეობად ს. მესხი აცხადებდა ქართველ ხალხში „ერთობისა და ძმობის“ დამყარებას და მის უკეთესი მომავლისავენ წყვარას. ს. მესხს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ძალად პოტენციაში გლეხობა მიაჩნდა და XIX ს. 70-იან წლებში სინანულით აღნიშნავდა, რომ გაღატებულ-დაბექავებული ეს მისა ჯერ კერ ასრულებდა აქტიურ როლს ამ დიდ საქმეში. მაგრამ გამოჩენილი პუბლიცისტი იმედს გამოთქვამდა, რომ ქართველი გლეხობა აღრე თუ გვიან გამოიღიყებდა და ზემოდან, ინტელიგენციის მიერ უკე დაწყებულ მოძრაობაში მასობრივად ჩაებმებოდა³³.

* * *

1875 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში ანტითურქულმა აჯანყებამ იფეთქა. ქართველი მოღვაწეები სოლიდარობას უცხადებდნენ აჯანყებულებს და აქრიტიკებდნენ ინგლისის მთავრობას, რომელიც მოსალურად და მატერიალურად თურქეთს ეხმარებოდა. „ადვილი გასაცემია, — წერდა „დროების“ პუბლიცისტი, — ინგლისის პოლი-

31 „დროება“, 1875, № 96.

32 ს. გესხი. ნაწერები, 1903, გვ. 143.

33 გ. გაფრინდაშვილი. დაკაბ. ნაშრ., გვ. 152—153, 157.



ტკია: ის შევიწროებული ხალხების მდგომარეობის შემსუბუქებრივ
და ოსმალოს უღლისაგან იმათ დასნაზე არ ჰყიქრობს; მხოლოდ
თავის ეგოისტური სარგებლობა აქვს მხედველობაში³⁴. რამდენი-
მე ხნის შემდეგ „დროების“ რედაქცია აცნობებდა შეითხველებს,
რომ რამდენიმე შეტაქებაში თურქებმა გაიმარტვეს, მაგრამ აგან-
უება მაინც თანდათან ფართოედებათ. აგანყებულებს მეზობელი
ქვეყნებიდან ჩასული სლავი მოხალისები ეხმარებიან, სერბები კი
თავის მთავარ მილანისაგან თურქებისათვის ომის გამოცხადებას
მოითხოვენთ. რასავეირველია, აგანყებულებს, — შენიშვნას რედა-
ქცია, — ამ თავის მოძმე ხალხების დახმარების იმედი აქვთ, თორებ-
ძალიან კარგად იციან, რომ ისინი ერთი მუჭა ხალხია და მარტონი
ოსმალოსთან ვერას გაარიგებენ³⁵.

ბალკანეთის სლავების ანტითურქული აგანყების დროს გამო-
სცლები ოსმალეთის საქართველოშიც მოხდა. „დროების“ რედაქ-
ციის ქობულეთისა და აჭარის მოსახლეობის ურჩობის მიზეზად
მიაჩნდა სულთნის ბრძანება ქართველების ჯარში გაწვევისა და მა-
თი აგანყებულ პერიოგონინელებთან საბრძოლველად გაგზავნის შე-
სახებ. მაგრამ ქართველები არათუ სულთნის ამოიშვი შევიღნენ,
არამედ ანტითურქული აგანყების დროშა მათაც ააფრიალეს. აჭა-
რაში ოსმალეთის ჯარები გაიგზავნენ. შეტაქების დროს რამდენიმე
ქართველი მოკვდა და დაიჭრა. „ახლა ამაზედ, წერდა „დროების“
კორესპონდენტი, სულ ქობულეთის ხალხი გამდგარია და დიდათ-
ალელებული. ჩვენ ვვონებთ, რომ ოსმალოს მმართებლობა ხალხის
შეწუხებისაგან კეთილს არას უნდა მოელოდეს“³⁶.

ოსმალეთის ქართველობის ამოძრავებას ჩვენი მოწინავე მოლ-
დაწები სიხარულით შეხვდნენ და მათთვის დახმარების გაწევა ქარ-
თველი ხალხის მოვალეობად გამოაცხადეს. მასთან დაკავშირებით
ს. მესხმა „დროებაში“ მოათავსა წერილი სათაურით — „ჩვენი
მოვალეობა“. ავტორი აცნობებდა მცითხეველებს, რომ ოსმალეთის
მთავრობისაგან შევიწროებული და „დაწიოკებული ქართველები
სრულიადაც არ ფიქრობენ დაშვიდებასა და დამორჩილებას. მოძ-
რაობა ქობულეთიდან ლაზისტანში და აჭარაში ვრცელდებათ ვა-
რუობინებენ“. რა არის ჩვენი მოვალეობა ასეთ დროს? სკამს კით-
ხვას ს. მესხი და თვითვე პასუხობს: ჩვენ ფართო გასაქანი უნდა-

34 „დროება“, 1875, № 95.

35 იქვე, № 101.

36 იქვე, № 106.

შივცეთ ჰეშმარიტ აღამიანურ პატრიოტულ გრძნობებს, ისე უნდა და დავეხმაროთ ჩვენ დაჩაგრულ ძმებს, როგორც ეხმარებიან სლავები აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს. „თუ უსამართლობისაგან დაჩაგრულმა და მოთმინებიდან გამოსულმა ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ. ...ყოველი ლუკმა პური, ყოველი ნაჭერი ტანსაცმელი, ყოველი ყურუში ძვირფასი იქნება ორათუ თავისითავად, არამედ როგორც ზნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძნობისა, ჩვენი ძმობისა“³⁷.

გამ. „დროება“ საქამაოდ დეტალურად ისახავდა ბალკანეთის სლავების და ქართველების ანტითურქულ მოძრაობას და აცხადებდა მათ ერთიანი პროცესის შემადგენელ ნაწილებად: „ცუდი დრო დაუდგა ოსმალეთს, — წერდა რედაქცია, — თეინიერ მისა, რომ გერულოვინა, ბოსნია, ალბანია, რუმელია, ილარიას ვამბობთ ჩერნოგორიასა და სერბიაზე, რომელნიც დიდი ხანია, რაც თათრების მონობიდან განთავისუფლებას აპირებენ, მცირე აზიიდანაც გაჭირვება ადგებათ. ...ამჟამად ოსმალეთის საქართველოც არამცირე მონაწილეობას იღებს იქაურს მოძრაობაში. ...ოსმალეთის საქართველო, ყარსი და არზრუში პირდაპირ აცხადებენ სათათრეთთან თავის უკმაყოფილებას“. სტამბოლის მმართველობა იძულებული შეიქმნა გაეგზავნა ჯარები მათდა დასამშეიდებლად. მავრამ არც აპან მოიტანა კეთილი შედეგი: „მის მავიერ, რომ ხალხი დაეწყნარებინა გავზიავნილმა ჯარმა სულ ერთიანად ალაშტოთა ხალხი. ასე, რომ ამჟამად შეეცნას ალაგას ნამდვილი აჯანყებაა და შეფრი აღვილებიდან უკვე განდევნებს თათრების კითხვები“³⁸.

ი. ჭავჭავაძე, რომელიც დაძაბული აღევნებდა თვალს აღმოსავლეთის საქოთხის განვითარებას, კარგად ითვალისწინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან შემოერთების შესაძლებლობას და რწმენას გამოთქვამდა, რომ მიუხედავად საჩრ-მუნოებრივი სხვაობისა, ბერიუკულმართობით დაშორებული ძმები საერთო ენას გამონახავდნენ. ოღონდ მოვიდეს ჩვენი კვლავ შეერთების ბეღნიერი დღე და ქართველი დიდი ხნის წინ განშორებულ ძმებს ძმურადე შეითვისებს და თუ საჭირო გახდა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ქართველი უკან არ დაიხეცს და თავს შესწირავს იმ საქმეს, რისთვისაც ორი

37 „დროება“, 1875, № 110.

38 „დროება“, 1876, № 45.

ათასი წელი თავგანწირული უბრძოლიათ ჩეენთა დიდებულთა შემცირები
მაპაპათაობა³⁹.

საქართველოს ისტორიული საზღვრების აღსადგენად მართლაც საჭირო გახდა სისხლის ღვრა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა საქართველოს ერთიანობის იდეის გაეყენა და, როგორც ცნობილია, თავისი დიდი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებაში.

1878 წელს ქართველი პატრიოტები, მოწინავე მოლვაწეები სიხარულით შეხვდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებას. ს. მესხმა „დროებაში“ მოათავსა წერილი სათაურით „ახალი მოვალეობა“. იყტორი მიესალმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებას და იგი მიიჩნია ქართველი ერის კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ფაქტურა. ამან ჩეენ ახალი მოვალეობა დავგაკისრაო. ოსმალეთის საქართველოში უნდა ალვადგინოთ ქართველი ენა, ქართული დამწერლობა. იქ უნდა გავხსნათ რაც შეიძლება მეტი სახალხო სკოლები, საამისო ხარჯის დიდი ნაწილი მთავრობამ უნდა გაიღოს, მაგრამ არც ქართველი საზოგადოება უნდა დარჩეს გულხელდაკრეფილით. ჩეენი ვალია ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოები გავგზავნოთ შემოერთებულ რაიონებში, შევადგინოთ მათთვის ახალი სახელმძღვანელოები და უფასოდ დაურიგოთ მოსწავლეებს. იქვე ს. მესხი შენიშვნას, რომ ყოვლად დაუშვებელია ახლად შემოერთებული ქართველების სარწმუნოების შეხება, მავმადიანი ქართველების გაერისტიანების პოლიტიკის გარიება. ეს თავიდანვე შეულლს დაბადებს ახლად შეერთებულ ქართველებს შორის. თუ ჩეენი ძმები ნებაყოფლობით დაუბრუნდებიან ქრისტეს სჯულს, ხომ კარგი. თუ არა დარჩენ ისე როგორც არაანო. „სარწმუნოების განსხვავება არ დაბრუნოლებს, არ დაუშლის ჩეენსა და იმათ ძმობასა და ერთობას“⁴⁰.

ცარისტული რეუიმის პირობებში ს. მესხის მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკური პრინციპების რეალიზაციას დიდი დაბრკოლებები ელობებოდა. მეფის მთავრობას თავის მიზანი ჰქონდა, იგი კაპიტაც არ გაიღებდა მავმადიანი ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. პირიქით, მთავრობა მავმადიან და ქრისტიან ქართველთა განსხვავებას იყენებდა, უნდობლობას თესდა მათ შორის და ცდილობდა „დაპყავ და იბატონეს“ პრინციპები აქაც გა-

39 ი. ჭავჭავაძე. თხ., ტ. 2, გვ. 312.

40 „დროება“, 1878, № 147.

ეტიარებინა, აქაც განეხორციელებინა განაპირა ერების რუსიულება
ციის პროგრამა.

1873 წელს 6. ნიკოლაძემ, დ. მიქელაძემ და პ. იზმაილოვმა
პარიზში გამოსცეს თავისუფალი ქართული გაზეთი „ლროშის“ სა-
მი ნომერი, ომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული საეკითხი-
საღმის მიძღვნილი.

3. იზმაილოვს იდეალად მიაჩნდა თავისუფალი ფედერაცია კავ-
კისიელი ხალხებისა, ომლისთვისაც საფუძველი უნდა მოემზადე-
ბინა მხარეში დაარსებულ საერობო თვითმმართველობის ორგანო-
ებს. ავტორი ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების საეკითხს არც აუკნე-
ბდა. იყი იმედს ამყარებდა გართულებულ საერთაშორისო კითარე-
ბაზე, რაც ცარიზმს აიძულებდა დატოვებინა კავკასია. თუ ასეთი
ბედნიერი მომენტი დადგებოდა, პ. იზმაილოვის ღრმა ჩრდენით,
საერობო თვითმმართველობებში მუშაობით პოლიტიკური მოღვა-
წეობისათვის მომზადებული ამიერკავკასიელ ხალხთა ლიდერები
შეძლებდნენ ერობის ყრილობის გადაქცევას საყოველთაო პოლი-
ტიკურ კრებად, რომელიც გამოაცხადებდა კავკასიის ფედერაციუ-
ლი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას⁴¹.

იმავე გაზეთის მეორე პუბლიცისტს დათა მიქელაძეს კი მიაჩნ-
და, რომ მშეიღობიანი ეყონომიკური პროგრესი და საერობო თვით-
მმართველობის მოპოვება ქვეყანას ვერ უშველიდა. ცარიზმის რუ-
სიფიკატორული პოლიტიკის პირობებში კავკასიელ ერებს გაქრობა
ელოდა. დ. მიქელაძეს აზრით, იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი;
მთელი ცოდნა, გამოცდილება, ენერგია მოეხმარებინათ საყოველ-
თაო აჯანყების მომზადებისათვის და, როცა რუსეთის ცარიზმი გა-
რეშე მტერს შეებმოდა, ქუდშე კაცი გამოეყვანათ, თავგანწირული
პრძოლა დაწყიოთ სამშობლოს გათავისუფლებისათვის⁴².

1874 წელს უნევაში ჩატარდა კავკასიელ მოღვაწეთა კონგრე-
სი, რომელსაც თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მი-
მართულების წარმომადგენელი ესტრებოდა. კონგრესის უმრავლე-
სობამ მხარი დაუჭირა რუსეთიდან გამოყოფას და ამიერკავკასიის
ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას. მხოლოდ ხალხოსნებმა
დაგმეს გამოყოფას იდეა⁴³.

41 ს. ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორია საქართველოში. ტ. II, 1928, გვ.
315—316.

42 ს. ხუნდაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 319.

43 ს. ხუნდაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 321.

მოტანილი ცნობები ცხადყოფს, რომ თერგდალეულები, რომ კა კი აზრის თავისუფალი გამოთქმის საშუალება ეძლეოდათ მარტივი გარეულოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდის ეწეოდნენ და შესაძლებლობისამებრ პრაქტიკულადაც საქმიანობდნენ ამ მიმართულებით. მაგრამ უმრავლესობა კარგად გრძნობდა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ავანება უპერსპექტივო საქმე იყო, რაც ზღუდავდა ქართველ პატრიოტთა ეროვნულ იდეალებს. თერგდალეულებმა ანგარიში გაუწიეს შექმნილ სიტუაციას, დროებით ხელი აიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაზე. ეწეოდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საცუდეელზე გარდაქმნისა და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეის პროპაგანდას. ცდილობდნენ ამ პროგრამის მხარდასაჭრად განეწყოთ საზოგადოებრიობა და მთავრობის წრევი.

რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის იდეას განსაკუთრებით თანმიმდევრულად და დიდი სამუთანობით ავითარებდა ი. ჭავჭავაძე. ამ პრობლემის გადაქრას უკავშირებდა იგი საქართველოს მომავალს, ქართველი სახელმწიფოებრიობის აღდგენს ჯერ შეზღუდული სუვერენიტეტის, ავტონომიის ფორმით, შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობით.

„რუსეთი ერთი იმისთვის სახელმწიფოა, — წერდა ი. ჭავჭავაძე 1881 წელს, — საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწაწყალზე შეკვეული არიან. ... ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, თუ სხვადასხვა ერის ტომი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან“. ფხიზელ პოლიტიკოსებს, განაგრძობს ილია, ადრევე უნდა შეემჩნიათ, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა მთელი სივრცე-სიგანით წამოიმართებოდა რუსეთის მრავალეროვნული სახელმწიფოს წინაშე და „მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას წინასწარ უნდა სცოლნოდა, რომ დღესა თუ ხეალე რუსეთი იძულებული შეიტმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა“. მას მოითხოვდა, ილიას აზრით, არა მარტო სამართლიანობის პრინციპის ისტორიული განვითარება, არამედ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც. იმპერიის განაპირა მხარეებში თუ რამ უქმაყოფილება და ჩივილი ისმოდა აწყვოს მდგომარეობის

შესახებ „ამას მიზეზი ძირითადად ას იყო, რომ მთელი მოედანი სა-
ზოგადოებრივი ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეტუმისათვა-
ნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულ ცხოვრებაში თავისი საკუ-
თარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულხელდაკ-
რეტილი იყო და ხმამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არ
ჰქონდა და ოც დღეს აქმამდე აქვს გამოკვლეული და დადგენი-
ლი დედაბირი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და
სად იწყება სახელმწიფოსი“⁴⁴.

ილია თავს ესხმის რუსეთის ბიუროკრატიულ აპარატს და კრი-
ტიკის ქარცეცხლში აზრებს მოხელეებს, რომელნიც თვითნებუ-
რად მოქმედებენ, ერების დევნა-შევიწროება სახელმწიფოებრივი
პოლიტიკის ამოცანად და სახელმწიფოს წარმატების საფუძვლად
მიაჩინიათ. მათი მოქმედების შედეგი, ილიას გადმოცემით, ის იყო,
რომ „რუსეთის სახელი შეძირებს მათ, ვის საერთო სიკუარულზე-
დაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალონე, კეთილდღეობა,
წარმატება“.

არსებითი ნიშანი ეროვნებისა, — განაგრძობს ავტორი, — მისი
სული და გული ენაა. „ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხე-
ლეებისა უველავე უწინარეს ენას მისწვდა“. მათი აზრით, სახელმ-
წიფოს ერთიანობის საფუძველი ერთი სახელმწიფო ენაა, მრავალ-
ენიანობის აღიარება იმპერიის დაშლით ემუქრებოდა. აკრიტიკებს
რა მოხელეთა ამ „უგნურ“ აზრებს, ილია აღნიშნავს, რომ რამდე-
ნიმე ხნის წინათ სარწმუნოების მრავალგვარობა სახელმწიფოს დამ-
შლელ ფაქტორად იყო გამოცხადებული, მაგრამ დროთა ვითარებამ
დაამტკიცა, რომ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში კარგად თავსდება
სხვადასხვა სარწმუნოება. „მოვა დრო და... ენის შესახებაც ამას
იტყვიონ ...უმეცარი მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩეხს შეუძ-
ლია თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავის დედაენის
შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამით არამც-
თუ შეიძლეს, არამედ უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს“⁴⁵.

ი. ჭავჭავაძე შემდეგ სიმოვნებით აღნიშნავს, რომ ზემოთ მო-
ტანილი აზრი „ფრთასა ჰშლის თვითონ რუსეთში“, მას ბევრი მომ-
ხრე ჰყავს რუსულ ლიტერატურაში. პირველი მერცხალი ამ საქმე-
ში აზისო უველავე უფრო კუთადამგდარი უურნალი „ვესტნიკ ევ-
როპი“, „რომელმაც ეროვნების დევნის წინააღმდეგ საფუძვლია-

44 ი. ჭავჭავაძე. თხ., ტ. 6, გვ. 105—106.

45 ი. ჭავჭავაძე. გვ. 106—107.

ნად ხმა ომოილო“ და აღიარა, რომ „ეროვნულის უფლებას საჭელ-
მწიფულში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს“.

მას შემდეგ რუსულ პუბლიცისტიკაში კანტიკუნტად ისმოდა
ხმა იმავე საყითხზე. ამ აზრმა იარა, იარა და იმოდენად მომწიფდა,
რომ თითქმის ყველა მოწინავე უურნალ-გაზეთმა დაუჭირა მას მხარი
და „მათ მორის ერთიც არ არის, რომ არ ჰქადაგებდეს „ეროვნუ-
ბის უფლების აღდგენას სახელმწიფოში, როგორც ენის შესახებ,
ისე შესახებ შინაური საქმეების გამგეობისა“⁴⁶.

ეროვნული საკითხის სამართლიან საფუძველზე გადაჭრის მო-
თხოვნილებამ, შენიშვნავს ილია, ესოდენ ფართოდ რომ გაიდგა ფე-
ხი, არ უნდა გვიყვირდეს, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა
მოპყოლოდა ცივილიზაციის წინსვლის. „ჩვენ მარტო ის გვიყვირს,
რომ იყო წრე რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც სწავლა-განათ-
ლების მიმდინარეობაში... წინამსმლერობა ხელთ უბყრია, ...ზან-
გრძლივად უურჩებოდა და დღესაც უურჩება, რაც განათლებას
დღესა თუ ხეალ აუცილებლად ზედ უნდა მოპყოლოდა“. ამ პო-
ლიტიკის აშკარად და ურცხვად ატარებენ მიპერის განაპირა ქვეყ-
ნებში, სადაც სწავლა-განათლების მესვეურები თითქმის დაუძლე-
ველ დაბრკოლებას უქმნიან ადგილობრივ ენებზე სწავლებას.

„აქ უნდა შევწყვიტოთ, — დასტენს ბოლოს ილია, — ჩვენი
ნებითვე სიტყვა, თორემ ძალით შემაწყვეტილებენ ...ამას კი ვიტ-
ყვით, ამ წერილს თირკმელები განვებ ამოვაცალეთ და შუა წელი
გამოვჭერით (ცენზურის შიშით. — ა. ბ.), რომ თავსა და ბოლოს
მაინც ნება ჰქონდა ქვეყანაში გამოსვლისა“. ხოლო რაც შეეხება
იმას, მიმართავს ილია მკითხველს, რომ „შინაურ მიმოხილვას“ დაგ-
პირდით და „გარეულზე გავიბით“ ლაპარაკი, ამისათვის ბოლოშის
მოხდას ნუ მომთხოვთ. „თუ ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ
ლაპარაკი, შინაურ საქმედ არ მიაჩნია მკითხველს, გაშინ მგონია
ბოლიში თვითონ მკითხველმა უნდა მოიხადოს ჩვენი ქვეყნის წინა-
შე. ...შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ისეთი, რომ მაგ საქმეზედ
არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჰამლეტი თავის თავსა
ჰქოთხავდა. ყოფნა თუ არ ყოფნაა“⁴⁷.

ამგარად, ი. ჰავშეავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრა-
ვალეროვნული რუსეთის სახელმწიფოს, ამსოდუტურ-ბიორატი-
ული წყობილების დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე

46 ი. ჰავშეავაძე, თხ., ტ. 6, გვ. 108.

47 ი. ჰავშეავაძე, გვ. 110—111.

რეორგანიზაცია. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაბრტა
ქვეყნები უნდა შესულიყვნენ თვითმმართველი. აგრონომოუწყერთა
თვეულების სახით. ასეთი წყობილების შექმნით მოიპოვებდა რუსი
ხალხი სხვა ერების თანამოქალაქეთა ნდობასა და სიყვარულს, ასე-
თი წყობილება გახდებოდა ამ მრავალეროვნული სახელმწიფოს
შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების საფუძველი.

მიზანი დიდი, რთული და ძნელი განსახორციელებელი იყო.
ილია კარგად ითვალისწინებდა ამ გარემოებას და ყველა ჭრიარიტ
ქართველ პატრიოტს ამოცანად უსახავდა ხალხის მომზადებას ერო-
ვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ამ დიდი მიზნის გან-
ხორციელება ერთს ყველა სოციალური ძალის, ყველა დასისა თუ
პარტიის გაერთიანებას მოითხოვდა და ი. ჭავჭავაძეც დაუღალავად
ქადაგებდა ეროვნული კონსოლიდაციის იდეებს. 1881 წლის მაისის
„შინაურ მიმოხილვაში“ ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რუსეთის ლიბე-
რალურ მიმართულებაში ფეხმოვიდებულ ნიპილიზმს, ყველაფერი
ძველის უარმყოფლობას. ასეთი ნიპილისტები, ილიას განცხადე-
ბით, საქართველოშიც გამოჩნდნენ, მაგრამ საბედნიეროდ უმრავ-
ლესობა ჭრიარიტ ლიბერალობას შერჩიო. ისინი დააკირდნენ სა-
ქართველოს ვითარებას და „ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა
ტკიფილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური
დღევანდელი დღე სულ სხვს თხოულობს და, მაშასადამე, ჩვენებუ-
რი ლიბერალობა სულ სხვა რამეზე უნდა მიიქცეს მთელის თავისი
ძალობრითა. და თუ აქც ბედისწერას ისე ვერ გადაერჩიებოდით,
რომ „მამაშვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა
რამე“ უნდა ყოფილიყო და მამებას და შეილებს შორის მოწნად
დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცე-
მულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცენება
ბა და დაცევა ყოვლის მოსალოდნელი იყო და დღე-
საც თავიდან არ აგვიცდენია, — ყველასათვის ცხადზე ცხადია“⁴⁸.

XIX ს. 60-იან წლებში სამოღვაწეო აპარეზზე გამოსულმა
ახალთაობამ, განავრმობს ილია, მთავარი ყურადღება ეროვნულ
საკითხს მიაქცია. ქართული პერიოდული პრესის ყველა ორგანო
ეროვნული მიმართულების „ბუქა და ნალარასა სცემდა“. მართა-
ლია, ახალ თაობას „ჩვენი ვინაობის“ აღსაღვენად ჭერ ბევრი აზა-
ფერი გაუკეთებია, მაგრამ ისიც ბევრს ნიშნავს, რომ „მაგ მიმარ-

48 ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 6, გვ. 126—127.

თულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მთავიდებინეს.⁴⁹ ...ყოველი კეშარიტი ლიბერალი... დღესაც მარტინ რეინ გავ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ...გ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერ და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი, ამაზე უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არ აქვს ეხლანდელ საქართველოს შეილს. ყველამ ვისაც რა შეუძლაა, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იშოქმედოს. ..სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისტენ უნდა მიეუბრუნოთ თავი. ვაყენებთ საღმე კაცს მასწმლად, თუ ბანკის გამგებლად. თუ მასწავლებლად, თუ საღმე სხვაგან, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწიონთ. აი, კეშარიტი ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში ...აი, რის-თვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილეაცობა, მთელი ევროპის მეცნიერებითა და გამოცდილების ფარგმალით აღჭურვილი⁵⁰.

ასე ჩამოყალიბია ო. ჭავჭავაძემ თერგდალეულების სამოქმედო, სამოლვაშეო პროგრამა, რომელიც ძალასა და მნიშვნელობას რნარჩენებდა XIX ს. ბოლომდე. ამ პროგრამის მიმდევრები მიესალმებოდნენ ბურუუაზიულ რეფორმებს, რადგან ისინი ხელს უწყობდნენ საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას, ამაგრებდნენ პროგრესულ სოციალურ ძალებს, ქმნიდნენ პირობებს ერის პოლიტიკური გააქტიურების, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებისათვის.

ი. ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულები მიესალმენ საგლეხო, სასამართლო, საერთოდ და საქალაქო რეფორმების გატარებას. ისინი, მართალია, ამჩნევდნენ და აკრიტიკებდნენ რეფორმების კულმიკეცილ ხასიათს, მაგრამ რეფორმები მაინც დადგებით მოვლენად მიაჩნდათ და მოითხოვდნენ ცველა მთავანის, რაც შეიძლება სრულად, საქართველოშიც გატარებას. ასეთი სიტუაციების დროს თერგდალეულები წინა პლანზე აყენებდნენ ერის სარგებლობის პრინციპებს.

მეფის მთავრობას საქართველოში არ შემოუღა ერობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ქართველი პროგრესული მოლვაშეები, რა თქმა უნდა, იბრძოდნენ ამ ინსტიტუტების მოპოვებისათვის. „ეს ორივე ცვლილება, — წერდა ო. ჭავჭავაძე, — მეტად სანატრელია და მარგებელი ქვეყნისათვის. მაგრამ... ამ ორივე საგანს

⁴⁹ იქვე, გვ. 128—130.

მრავალკუცი შედეგი და საჭიროება მოსდევს. თუ ერთი რამ გამოაქლდა, სურდაც დატვირთულ ერს, ტვირთო მოემატება და მრავალ წო სივეთე არ მიენიჭება. აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაური ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ აღვიყალებმა და ბრალმდებელმა მცერმეტყველების ყაბაზი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგერიოს თუ რა ჰქნას. და თუ ნაფიც მსაჯულებს კანონით დავუდებთ რუსული ენის ცოდნას, და თუ სახეში მიიღოდთ, რომ რუსული მარტო მოხელეობამ იცის ჩვენში, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკური სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიც მსაჯულობა მარტო იმითავ სანატრელი ... რომ სკის და მსაჯულობს სინდისი ერისა და არა ჩინოვნიერისა. თუ ამ მხრით არას შეკვეცენ და ისე შემოილებენ ჩვენში ნაფიცთა მსაჯულობას, ჩვენ მაგ სანატრელს ცვლილებას დიდის სიხარულით მივევებებით”⁵⁰.

ამავე პრინციპის საფუძველზე განიხილავდა ი. ჭავჭავაძე საქართველოში ერობის შემოლების საკითხს. „თუ ერობის საქმე, — წერდა ილია, — ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესი ნატერა ჯერ ამხანად მაინც მეტისმეტი წადილი იქნება”⁵¹. ამასთან ერთად ი. ჭავჭავაძე იწუნებდა ერობის ასებულ ცარიზმის შეირ შედგენილ კანონმდებლობას, რომელიც აქტიურ და პასიურ საარჩევნო ხმას მხოლოდ მდიდრებს აძლევდა და ერის ძირითად ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის გარეთ ტვირდდა. ილიას არც ის მოსწონდა, რომ კანონი თვით იძლეოდა საერობო დაწესებულებითა მოქმედების სქემას და ერობის საქუთარ ინიციატივას ძალზე ზღუდავდა. „თუ მაგალითად კანონით დაიდეა, — წერს ილია, — რაც მეამება მარტო ისა სთვეიონ და რა წამალიც მე ვინდომო ის წამალი ისმარეო, მაშინ, ერობა ტვირთია და არა შეება და შეღავათი. ... ერობა, — განაგრძობს ილია, — ორჟეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება. ერთით ტვირთია, მეორით ღონეა სიკეთისა, რაღაც ერთი თვითონვე ბატონობს თავის თავს. რაღა თქმა უნდა, ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა. აღამიანი ტვირთს აღვილად იყიდებს, როცა საჭიროა ეგ თავის თავის საკეთოლოდ. მაშინადამე, აქ ცველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება შემოზღუდული ერობს, რა ფართო გზა

50 ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 181—182.

51 იქვ.

მოქმედებისა და ენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი
დაბრულდება რითიმე თუ არა⁵².

ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ ილიას არ მოსწონდა ცარიზმის
გიურიკატიული პარატის დამატების სახით არსებული უფლება-
კომპეტენცია — შეზღუდული ერობა. იგი „საერობო თვითმმარ-
თველობის“ ცნებაში ფართო შინაარსს დებდა და არსებითად იბრ-
ძოდა ეროვნული თვითმმართველობისათვის.

1882 წელს გაუქმდა კავკასიის აღმინისტრაციული აეტონომია,
გაუქმდა მეფისნაცვლის თანამდებობა, დაინიშნა მთავარმთართვე-
ლი. ამისთან ერთად გამოიყო კომისია, რომელსაც უნდა შეედგი-
ნა მხარის ანლებური აღმინისტრაციული დაყოფისა და მართვა-გამ-
გეობის ნაწილობრივი რეორგანიზაციის პროექტი. ა. ჭავჭავაძე მი-
ესალმა კომისიის გამოყოფას და იმედი გამოითქვა, რომ იგი იმუ-
შავებდა სახელმწიფოსა და ერის უფლებრივი საზღვრების დადგე-
ნა-გამიჯვნის პრობლემაზე. „ჩვენის ფიქრით, — წერდა ილია, —
ერთი არსებითი და უდიდესი ნაცილვანება ძევლის წესებისა ის იყო,
რომ ეროვნების საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გაზ-
იეული არ იყო, ყველაფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვ-
ნებას გზა შეუკრეს“. ჩვენ არ ვიცით, განაგრძობს ილია, კომისიას
დაავალეს თუ არა სახელმწიფოსა და ეროვნების არსებით საჭირო-
ებათა გამოყვლევა, თითოეული მათგანისათვის მოქმედების სარჩი-
ელის შემოხაზვა. „ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ თუ კომისიას ეს
საგანი ვალად არ დასდევს, მაშინ კომისიას, ჩვენს თვალში, თავი-
სი უაღრესი მნიშვნელობა ჩამოერთმევა და მისი მოქმედება ისე სა-
ინტერესო და საყურადღებო არ იქნება, როგორც პირველ შემთ-
ხვევაში იქნებოდა“.

ილია ჭავჭავაძე შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწი-
ფოს ინტერესი სრულიადაც არ მოითხოვს ეროვნებათა ბუნებრივი
უფლებების შეზღუდვებს. დაკირკვებული პოლიტიკოსი მიხვდება,
რომ სახელმწიფო და ერი, ცენტრალური მმართველობა და ადგი-
ლობრივი თვითმმართველობა ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან,
არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამაგრებენ. „ამიტომაც, თუ ქვეყნის
სიკეთეს და ბედნიერებას ნიშნად წინ დაუსმენ კომისიას და განზ-
რახულ ცელილებას ამაზედ მიმართავენ, მაშინ სწორედ ეგ საგანი—
ეროვნების და სახელმწიფოს ერთმანეთში მოთავსებისა—უნდა გა-

52 ა. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 182—183.


საკუთრებით გამოიყელიონ, ნაშეტნავად ჩევნში და ცვლილების დე-
დაბოძად დაადებინონ".

თუ ამ გრძნობით და სამართლიანის აზრით, — დაამკვინის
ილია, — არ მოუღებიან ჩევნში ცვლილების საქმეს, ყოველივე
ცვლილება სახელდახელო საქმე იქნება, უსულო, უგულო, უსიცო-
ცხლო და გამოუსადეგარი ქვეყნისათვის ცალკე და სახელმწიფო-
სათვის საზოგადოდ. მაშინ ცვლილება ჩინოვნის ერთი სეამიდან
მეორეზედ გადატუნება იქნება, კანცელარიების სახელების შეცვ-
ლა... ორიოდე გრძმის გამოზოგვა და სხვა არაფერი"⁵³.

ბოლოს ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ აუცილებელია „ჩევნი
გულისტყივილი და ჩევნი ნატერის საგანი“ მთავრობას ვაუწყოთ,
დასაბუთებული შუამდგომლობა უნდა აღვძრიათ და ქვეყანის სამ-
სახური გავუწიოთოთ. „ეს დიდი და წმინდა მოვალეობა, რომელიც
დროთა ვითარებამ ჩევნ ზურგზე წამოგვეიდა, მძიმე ტვირთია. ...მაგ
მიმდე ტვირთს უნდა ყოვლის ჩევნის სულიერის და ხორციელის
ძალით ცნობიურად და წინახედვით გაუძლვეთ“. ილია სვამის კით-
ხეს—პრაქტიკულად ვინ უნდა უთაოს ამ დიდ საქმეს, ვინ უნდა გაგ-
ზინოს მთავრობაში შუამდგომლობა? ჩევნი დიდეკაცობა ამისათვის
გამოუსადეგარია. მას შეიძლება კუთა და გონება არ აკლდეს, მაგ-
რამ ეს არ კმარი. ამისათვის საჭიროა, რომ დიდეკაცობას პატრიო-
ტული გრძნობები გააჩნიას, „თავის პატრიოტულებებს, სახელ-
სა და დიდებს“ ქვეყნისათვის გაწეულ ღვაწლში უნდა ხედავდეს.
სამწუხაროდ, დიდეკაცები ვერ ამეღავნებენ ამ თვისებას, მათ ფე-
ხებზე ჰკიდია სამშობლოსა და საზოგადოების ბეღნიერება. ისინი
არ ეხმარებიან ქართულ თეატრს, უურნალ-გაზეთებს, რომელიც
„ჩევნი ვინაობის დამცველი და შემნახველი“ არიან. ვინც ქარ-
თულ თეატრსა და უურნალ-გაზეთებს ზურგს შეაქცევს, ის ამით
„თავის საკუთარ ვინაობას უარყოფს, თავის აღამიანურ სახელს
შეურაცხვოფს. ...თუ აღამიანს თავის ვინაობა არად მიაჩნია, მაშინ
ის აღამიანში აღამიანური რალაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა,
როცა თავის ვინაობიდან გაღამდგარი კაცი ყველასაგან შერისხუ-
ლი იქნება. ...დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, რომ
თუ კაცი თავისას გადაუდგა, სხვისას ვერ უერთოგულებს. ...და მა-
შინ ვაი თავის ვინაობაზე გულაცრუებულს, გულგრილსა და ხე-
ლაღებულს“⁵⁴.

53 ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 193—194.

54 ი. ჭავჭავაძე. გვ. 195—197.



უდარდელი დიდკაცების ასეთი შეხურების შემდეგ ილიართა-კავკაზია
ვადაშნაურთა მთელ წოდებას მიმართავს და მისგან მორჩეოს
მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძრას. თავადაშ-
ნაურთა საერთო კრებას და არჩეულ დეპუტატებს კანონი აძლევს
სამისო უფლებას და მათ ეს უფლება ქვეყნის საკეთილდღეოდ უნ-
და გამოიყენონ. მართალია, თავადაშნაურთა კრების ყველა მონა-
წილე ერთნაირად არაა გამჭვალული ეროვნული თვითშეგნებითა
და პატრიოტული გრძნობებით, მაგრამ იქ საკმაოდ მოიძებნებინა
ისეთი მოღვაწეები, რომელნიც ქვეყნისათვის თავს გამოიდებენ.

„დიალ, ბატონებო, — დაასკენის ი. ჭავჭავაძე, — ჩევნს ვა-
ნაობას ჩევნს ცხოვრებაში უსათუად გზა უნდა მიეცეს და ამაზედ
თავადაშნაურთა კრებამ თავისი ხმა უნდა ამოილოს. ხმა კანონიერი,
დინგი, დარბაისელი და მშეიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა
შეღობილია. ესეთი ყოფა წარმატების გზისა ერთნაირად საგრძნო-
ბელია ყველასათვის. ამ ერთ ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც,
მღვდელიც და ერიც. თუ განხრასულ ცვლილებამ ჩევნს ვინაობას
არ მოხედა, თუ გვერდზე უარა, ამისი ბრალი ჩევნ დაგვედება, და
მაშინ ნურც მთავრობას დავემდურებით და ნურც ბეღსა“⁵⁵.

ი. ჭავჭავაძის ეჭვნარევი ოპტიმიზმი არ გამართლდა. თავადაშ-
ნაურთა კრებას, მართალია, პერნა თავის წოდებრივ საქმეთა თვი-
თშმართველობის უფლება, მაგრამ მას ნებას არავინ მისცემდა სა-
ქართველოს აეტონომია მოეთხოვა. მიტომ ის შუამდგომლობა, რის
შესახებაც ილია ლაპარაკობს, არც აღძრულა. და კანონსაწინააღ-
მდევრო შუამდგომლობას, კიდეც რომ აღძრულიყო, მეფის მთავრო-
ბა არ დააკმაყოფილებდა.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის
შენაარსი, რა თქმა უნდა, მარტო აეტონომიისათვის ბრძოლით არ
ამოიწურებოდა. აეტონომიის მოპოვებას დრო უნდოდა. დრო კი რუ-
სიფიიატორთა წისქვილზეც ასხამდა წყალს. მოწინვე ქართველ
მოლვაწეებს შეგნებული ჰქონდათ ის საშიშროება, რუსიფიკატორე-
ბი ქართველი ერის თავისთავადობას რომ უქმნიდნენ და ამიტომ
თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლიდნენ აგიტაცია-პროპა-
განდით, ისტორიულ-პატრიოტული ნაწილმოებებით გაელვიძებინათ
ქართველთა ეროვნული თვითშეგნება და ამით ჩაეშალათ ცარიზ-
მის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

უურნალ „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა

55 ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 198.

„შინაური მიმოხილვა“. ანონიში აკტორი თავდაპირველად მატერიალური მასაზე მიმოხილვას გვერდის მინაური მიმოხილვის დაწერა მე ვიყისრეო. მექანიდ უკვე დადგენილია, რომ ამ მოწინავე წერილის აკტორი ი. გოგებაშვილია.

ყველასათვის ცნობილია, წერს აკტორი, რომ მამულის სიყვარული, პატრიოტიზმი ამა თუ იმ ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. რაც უფრო ბევრი ჰყავს ქვეყანის გულშემატეკივარი და ერთგული მამულიშვილი, მით უფრო მტკიცედ მიღის პროგრესის გზაზე. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, აღნიშნავს დიდი პედაგოგი, რომ მამულს ქეშმარიტი სიყვარულის მაღალი გრძნობის აღზრდა ფრიად ძნელია. ზოგიერთს ჰგონას, რომ სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება, ყოველი იდამიანი დედის მუცლიდანვე პატრიოტია. ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა მათ ზედმეტად მიაჩინათ. „ეს რომ ასე ყოფილიყო, — წერს აკტორი, — დედამიწის ზურგზედ უბედურს კუთხეს სანთლითაც ველაზ იპოვიდით; ყოველი ქვეყანა კეთილდღეობით საესე იქნებოდა“. მაგრამ, საუბედუროდ, განავრძობს ი. გოგებაშვილი, ბუნება ადამიანის პატრიოტიზმზე სრულიად არ ზრუნვს. იგი იძლევა არა ჩამოყალიბებულ საზოგადოებას, არამედ ინდივიდებს და არსებობის შესანარჩუნებლად ანიჭებს მათ ეგოიზმს. „ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს და საზოგადოებრივ გრძნობასაც იგი ვერ დაანათლავდა ადამიანსა. პატრიოტიობა საზოგადოებამ და ცალკე პირებმა უნდა დანერგონ. აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ. ამ გზაზედ ერთსაც და მეორესაც დიდი მუყათით ზრუნვა ეჭირებათ“⁵⁶.

XIX ს. 70—80-იან წლებში ი. გოგებაშვილის აზრით ქართველთა ეროვნული თეითშევნება და პატრიოტიზმი ეერ იდგა სასურველ სიმაღლეზე, მაგრამ ჩვენ ხალხს ზოგიერთი ისეთი სიკეთე ჰქონდა, რაც მას უკეთესი მომავლის ღირსაც ხდიდა. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებში არიან ისეთი „პატრიოტები“ რომელთაც უნდათ თავიანთი ქვეყნის ბეღდიერება სხვის უბედურებაზე ააშენონ. საქართველოში კი შოვინისტები არ არიან. „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა. ...იგი იმყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია არა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვი-

56 „ოვერია“, 1882, № 1, გვ. 127—129.

სიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მა-
მულის შეილებს პსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და კუნძულებისა-
ბისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და
აღმიანური არსებობა. ...ჩვენი მამულისშვილები ნატრულობენ
ჩვენის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით,
რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. ...ჩვენი მა-
მულისშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი
დავთრგვნოთ... არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავჰქვლიოთ
გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღე-
ობისა. ერთის სიტყვით. ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისე-
თივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლო უამს დაადგა და-
წინაურებული, საუკეთესო ნაწილი ევროპის ცივილიზაციის წარ-
მომაღენელთა“⁵⁷.

სტატიის გავრცელებაში ი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს,
რომ „მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ერს შო-
რისა არის ერთი დედაბოძთაგანი ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს
ისე არაფერი განამტკიცებს როგორც ხალხოსნური ენის, ეროვნუ-
ლის ლიტერატურისა და სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლა.
...ამიტომ ყოველს ქვეყანაში სამშობლო ენის, ისტორიისა და ლი-
ტერატურის შესწავლა შეადგენს ერთს უმთავრეს საგანს ზრუნვი-
სას და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ად-
გილი. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამ მხრითაც გამოკლებულია სხვა ქვე-
ყნების დასიდგან“. ქართულ ენას და სიტყვიერებას, სინანულით
შენიშნავს სტატიის ავტორი, კვირაში მხოლოდ ერთი საათი და
ისიც მეექვსე გაკვეთილი აქვსო დათმობილი⁵⁸.

ი. გოგებაშვილი იმავე სტატიაში ეხება ეკლესიას და აღნი-
შნავს, რომ ამ სფეროშიაც ირლევაო ერის უფლება. კათალიკო-
სობის გაუქმებისა და ეგზარქოსობის დაწესების შემდეგ რუსეთის
მთავრობამ მღვდელმსახურებას პოლიტიკური მიზანი დაუსახა.
„ნამდვილი ქართული სასულიერო სემინარიების ნაცვლად... დაა-
ფუძნეს სხოლასტიკური ბერძნულ-ლათინურ-რუსული სემინარია,
რომელსაც თითქმის იმდენივე კავშირი აქვს ქართველ ხალხთან და
მის მოთხოვნილებასთან, რამდენიც თათრულ მედრესებს“. სასუ-
ლიერო სემინარიებში არ იმწავლება ქართული ენა და ლიტერატუ-
რა, სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ელემენტი სრული-

57 „ივერია“, 1882, № 1, გვ. 130—132.

58 იქვე, გვ. 92—93.

ად განდევნილია, ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს ეკლესიას ვა-
ნაგებს სინოდი, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, „საზოგადოებრივ
რუსულ დონეზე დაყენოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“.

ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის საერო, სამოქა-
ლაქო უწყებაში უკეთ მიღიოდა საქმე, ამ სფეროში ადგილობრივ
ელემენტს გარკვეული პატივი და უფლება პქონდა შენარჩუნებუ-
ლი. ეს იმით ითხოვდა, ავტორის აზრით, რომ მეფისნაცვალი ალ-
ჭურვილი იყო აღმინისტრაციულ-ავტონომიური სტატუსით და
ცდილობდა „ავფილობრივი ელემენტის პატივდებით დაემსახურე-
ბინა თანაგრძნობა მცხოვრებლებისა.“ ასეთი აღმინისტრაციული ავ-
ტონომიაც კი ცხადყოფდა, ი. გოგებაშვილის განცხადებით, თუ რა
დიდა მნიშვნელობა აქვს ავტონომიურს თეოტიმიართველობის პრინ-
ციპის ჩვენის ქვეყნისათვის და რამდენად საჭიროა, რომ ჩვენი
ეკლესიის მართვა და განვება უმთავრესად იყოს საქართველოს ეგ-
ზარქვის ხელში და პირდაპირ არ ექვემდებარებოდეს პეტერბურ-
გის ინსტანციას“⁵⁹.

დასახელებული სტატიის ბოლო ნაწილში ი. გოგებაშვილი
სვამის ეროვნული და სოციალური საკითხების ურთიერთმიმართვე-
ბის, მათი პნიშვნელობის პრობლემის და არსებითად სწორად
წყვეტს მას. „კარგი რამ გახლავთ, — წერს ავტორი, — ეროვნები-
თის პრინციპის დამყარება ყოველ სფეროში, მაგრამ მარტო ეს არ
არის საქმიარისი ქვეყნის დაყენებისათვის ბედნიერების გზაზედ. თუ
მომეტებულად არა, იმდენადევ მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურ
ცვლილებებზედ, ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობის გაუკეთესება-
ზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედ ეროვნულის უფლე-
ბათა აღდგენასაც კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა,
მხოლოდ შუამავლობით. მეორე მხრით, ეკონომიურად აყვავება გვე-
ნისა ხელი შეურყეველ ბურჯად ეროვნების აღორძინებისა. ამ სა-
ხით ეს ორი დედაბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძ-
ლევენ, ხელი ხელს არიან გადაბმული და მათი გაცალკევება ხეირს
არ დააყრის არც ცალკე პირს, არც საზოგადოებას“. ჩვენი ინტე-
ლიგენცია, შენიშვნას ავტორი, ორივე პრინციპს აქცევდა ყურად-
ღებას, მაგრამ ეროვნული კითხვები მაინც წინა პლანზე იყო წამო-
წეული და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან შექმნილს პოლიტი-
კურ სიტუაციაში ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში
იყო, ვიდრე ეკონომიკური, „ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა

59 „ივერია“, 1882, № 2, გვ. 100—103.

უფრო ძლიერ გვტეიოდა, გვაღონებდა, ვიზრე სოციალური წანათქვამია, რომ რაც უფრო მეტად სტკივა კაცს იმაზე უფრო ხშირად სჩივის, ხშირად ლაპარაკობს⁶¹: ამასთან ერთად ო გოგებაშვილი მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დღემდე სრულად შეუსწავლელი გვაქვს და ამიტომ ქართულმა პრესამ, ჩვენმა ინტელიგენციამ ამ პრობლემებს თანდათან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოსსო⁶².

3. „Տաշարտօղով բազուշութեան, ՀՊՀԿ-

თერმდალულობა შეხედულებები ფართოდ გავრცელდა ქართველ ხალხში. სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ითაცეს რესერტის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, საქართველოს სემინარია-გიმნაზიების მოსწავლეებმა. მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი განიცდიდა აგრძელებულ ხალხოსნური იდეების გავლენას.

რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები სათვისტომოების, ურთიერთდამზარებისა და თვითგანვითარების წრეების დაარსებას XIX ს. 60-იან წლებში იწყებენ. ქართველი სტუდენტები თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. თავიანთ წრეებში, ბუნებრივია, სტუდენტები მსჯელობდნენ საქართველოს მდგომარეობაზე, ოცნებობდნენ სამშობლოს უკეთეს მომავალზე. მაგრამ მათ წრეებს შორის კავშირი თითქმის არ არსებობდა. ქართველმა სტუდენტებმა დიდი ხნის განვალობაში ვერ მოახერხეს ერთიანი საზოგადოების, ერთიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. სტუდენტთა მოძრაობის იდეურობები წლების მიჯნაზე ხდება.

კავკასიის ქანდალშერიის მასალებიდან ჩანს, რომ ქართველ სტუდენტთა წრეების გაერთიანებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა ჩაისახა 1889 წელს, როცა პეტერბურგის სტუდენტთა წრემ წერილით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას ურთიერთგაცნობისა და გაერთიანების მიზანშეწონილობის თაობაზე. პეტერბურგის წრე წინადაღებას აყენებდა, რომ მომავალი წლის ზაფხულის არღვადებულის დროს საჭარ-

60 0339. 33. 108—111.

თველოში ჩატარებინათ სტუდენტთა წარმომადგენლების ყრთლობა
ბა, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა ქართველ სტუდენტთა ერთიან
საზოგადოებას.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა ეს იდეა
შოთიშვილებს, გააფართოვეს და თავიანთი თვალსაზრისი წერილობით
აცნობეს ქართველ სტუდენტთა სხვა წრეებს. მოსკოველი სტუდენტები
წინადაღებას იდლეოდნენ ჩამოყალიბებულიყო „სტუდენტთა
კორპორაცია“. მათი აზრითაც, სტუდენტთა წრეების წარმომადგენელთა ყრილობა უნდა ჩატარებულიყო საქართველოში, რომელზეც
ყოველი წრე წარადგნდა თავის პროექტს მომავალი კორპორაციის ხასიათის შესახებ. ყრილობა განიხილავდა პროექტებს, შეიმუშავებდა საერთო თვალსაზრისს, განსაზღვრავდა სტუდენტთა
ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობის ფორმებს⁶¹.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრემ საერთო ორგანიზაციის პროგრამის შედგენა დაავალა დ. გვაზავას, ჩიქოვანსა და ვაშაკიძეს. უანდარმერიის მიერ დაკავებული სტუდენტთა პირადი წერილებიდან ჩანს, რომ 1890 წლის გაზაფხულზე მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრეში დიდი გამოცოცხლება შეინიშნებოდა, მიმდინარეობდა პროგრამის პროექტის განხილვა⁶².

წინადაღებები სტუდენტთა კრების ჩატარებისა და ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსების შესახებ მიიღეს აგრეთვე ოდესის, ხარკოვის, კიევის, ვარშავის და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა. საკმაო ხანგრძლივი მომწერლის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სტუდენტთა წრეების წარმომადგენელთა ყრილობა ჩატარებინათ საქართველოში 1892 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში⁶³.

ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა მართლაც ჩატარდა ქ. ქუთაისში 1892 წლის 26—29 ივლისს. მონაწილეობდა 20 დელეგატი: მოსკოვის უნივერსიტეტიდან—მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ლამბაშიძე; პეტერბურგის უნივერსიტეტიდან—იოსებ ჩარქევიშვილი. ნიკოლოზ ჭაველი, იაკობ ფანცხავა, ილია ჭიშკარიანი, ვარლამ ჭიჭინაძე; კიევიდან — არქიპო მუსხელიშვილი, ოდესიდან—დავით

61 სსკრა, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 103, 107—108.

62 იქვე, ფურც. 103.

63 იქვე, ფურც. 8—9.

მდივანი, გარშევიდან ანტონ გელიაზაროვი და სხვ. ყრილობაზე უთავს კულტურული მდინარეობდა მ. ხელთუფლიშვილი, მდინარეობდა ვ. ღამბაძე⁶⁴.

ყრილობაზე განხილეს 8 საკითხი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: 1) როგორ ესმით ქართველ სტუდენტებს ეროვნული საკითხი და რამდენად ფიქრობენ მასზე. 2) როგორი უნდა იყოს ქართველ-სომხეთი ურთიერთდამოვიდებულება. 3) როგორი პიზიცია უნდა დაიქავონ ქართველმა სტუდენტებმა „რესერის საქმეების მიმართ“. 4) რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა და რა დახმარებას საჭიროებს იგი.

მომხსენებლებს და მოკამათეებს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ცნება ერისა და ერისათვის დამახსახიათებელი ნიშნების განმარტება-დახსასიათებისათვის. ყრილობამ მიიჩნია, რომ რასას არსებოთი მნიშვნელობა არა აქვთ ადამიანთა ეროვნული კუთვნილების დადგენაში. ამ მხრივ მნიშვნელობა დაკარგავ აგრეთვე რელიგიამ. ორატორების განცხადებით საწმინდობა ხალხის ცხოვრების უარყოფით მხარედ იქცა და იგი არ შეიძლება ჩავთვალით ერის დამახსასიათებელ ნიშნადო. დელეგატების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე ცნება ერი და მისი დამახსასიათებელი ნიშნები ასეთნაირად იქნა ფორმულირებული: ერი არის სულიერი ერთობა ჯგუფებისა, რომლებიც შექავშირებული არიან საერთო ენით, ურთიერთ სიყვარულით, ზე-ჩვეულებებითა და ისტორიული ცხოვრებით. ამასთან ერთად ყრილობამ ხაზი გაუსვა ერისათვის ტერიტორიის დიდ მნიშვნელობას⁶⁵.

ქუთაისის კრების მუშაობის ანგარიში დაწერა, გამრავლდა და დაიგზავნა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, საღაც კი ქართველ სტუდენტთა წრები არსებობდა. ამ ანგარიშის საფუძველზე შედგენილ უანდარმერის პატარიძან ჩანს, რომ კრებამ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის მიზნად გამოაცხადა სამშობლოს სამსახური, ცარიზმის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლება. ყრილობამ სტუდენტთა იდეალების განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნია რესერის მართვა-გამგეობის სისტემის შეცვლა, იქ დემოკრატიული წყობილების დამყარება. ყრილობამ, მართალია, უარყო რუს რევოლუციონერებთან ორგანიზაციიული გაერთიანების აზრი, მაგრამ არა იმიტომ, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ცარიზმის

⁶⁴ ЦГИА УССР, ф. 385, оп. 1, д. 497, лл. 9—10.

⁶⁵ ზ. ვ ვ ლ ი ძ ე. რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბ., 1969, გვ. 56—57.

წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, არამედ მხოლოდ იმ მოტივით, რომ არ დაუკარგათ ისედაც მცირერიცხოვანი ინტელიგენტური ძალები, რაც უფრო საჭირო იყო ეროვნულ ნიადაგზე მუშაობისა და ბრძოლისათვის⁶⁶.

ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ მოიხსოვა საქართველოში ფარიული ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გამართითანგებელი ცენტრის როლს შეასრულებდა. სტუდენტებს მიაჩინდათ, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული მტკიცე ორგანიზაცია დიდ როლს შეასრულებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სახალხო რევოლუციის მომზადების საქმეში⁶⁷. ამასთან ერთად გადაწყდა მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ყველა სტუდენტთან, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან და მოსწოდე ახალგაზრდობასთან. დელეგატები შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად ჩაეტარებინათ სტუდენტთა ორგანიზაციის ყრილობები.

ქუთაისის ყრილობამ, მართალია, საჯუძეელი ჩაუყარა ქართველ სტუდენტთა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციის, მაგრამ ამით მუშაობა, რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა. რესეფთის საუნივერსიტეტო ქალაქებში კვლავ გრძელდებოდა სეაბასი ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობის მეთოდებზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვაჩშავის უმაღლეს სასწავლებლების ქართველი სტუდენტები. სწორედ მათ უწოდეს ჩამოყალიბებულ ორგანიზაციის „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და მათვე შეაღვინეს პროგრამის პროექტი.

ვაჩშავის წრემ პროგრამისა და წესდების შედგენა დაავალა კომისიის. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მიხეილ მირიანშვილი და ნიკოლოზ შენგელია. ეანდაჩმერიის მასალებიდან ჩანს, რომ ნ. შენგელიას თავის ხელით გადაუწერია პროგრამისა და წესდების ასი ეგზემპლარი და გადაუვზავნია ოდესაში სტუდენტივანე აბაშიძისათვის. ამ უკანასკნელს ევალებოდა პროექტი გაევრულებინა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრებს შორის, რომელიც თავის თვალსაზრისს გამოთქვამდნენ პროგრამის ავტოგნონობაზე. მალე ი. აბაშიძემ ნ. შენგელიას აცნობა, რომ ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრე ძირითადად იწონებს „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამის პროექტს. ჩვენს

66 ЦГИА УССР. ф. 385, оп. 1, д. 497, лл. 9—10.

67 ზ. შველიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

განდარმერია ქუთაისის ყრილობის ანგარიშისა და „ლიგის“ პროგრამის დეტალური ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველ სტუდენტთა წრეების გაერთიანებისა და „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შექმნის ინიციატორი იყო ვარშავის წრე. უკელა წრემ მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად დაირაბმენ.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა-წესდების დედანი ქართველ ენაზე ყოფილა დაწერილი. მისი რესული თარგმანი უანდარმერის დავალებით შესრულებულია აზის დეპარტამენტში და სწორედ ეს თარგმანი შემოჩნია ოქტივსაცავებში.

პროგრამის პრეამბულაში ნათქვამია: საქართველო დაჩაგრულ შეგომარეობაში იმყოფება. ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ქინის, ზნე-ჩვეულების და მიწის დაცუარევის საფრთხე. ქართველობა პოკლებულია მატერიალურ კეთილდღეობას და გონიერივი განვითარების შესაძლებლობას.

ქართველი ხალხი თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხშირად ყოფილა ასეთ მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამოსავალი მოუნახავს. მას ასც ახლა დაუკარგავს იმედი. თავიდნ რომ აკიცილოთ ძალთა დაქსაქსულობა და ბრძოლა პერსპექტული გავხადოთ ვაარსებოთ „საქართველოს თავისუფლების ლიგას“.

„თავისუფლების ლიგა“ მიზნად ისახავს საქართველო გამოყვანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. იგი ეცდება ქართველ ხალხს აუხსნას თავის ჩამორჩენილობის მიზეზები, შეაგნებინოს თავისი მძიმე მდგომარეობა, დარაბენოს ჩაგრისაგან გათავისუფლებისათვის საბრძოლველად.

„ლიგას“ მხედველობაში აქვს აგრეთვე, განაგრძობენ პროგრამის აცტორები, კავკასიის სხვა ხალხების მძიმე მდგომარეობა და სურს მათ შორისაც დამყარდეს ისეთი წესრიგი, რომელიც შეესაბამება ამ ერების ზნე-ჩვეულებას და რომელიც მათ დააყენებს ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. ამისათვის „ლიგა“ ეცდება სხვადასხვა საშუალებით შეუწყოს ხელი კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანებას, რომ მათ ერთად იბრძოლონ საერთო მტრის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, „ლიგას“ მიზანია კავკასიის ხალხებმა მოიპოვონ დამოუკიდებლობა და გაერთიანდნენ ფედერაციაში. რაც შეეხება

სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულთ, ჩვენ არ ვაპირებთ მათი ინტერესების უგულებელყოფას. ლიგას იღეალია ისეთი წყობისთვის რომელიც უველა ეროვნებას მისცემს საშუალებას თავისუფლად გაიუმჯობესოს მდგომარეობა. მომავლის ამ საზოგადოებაში აღვილი არ უნდა ჰქონდეს ეროვნების, რელიგიისა და რწმენის შევიწროებას.

ამგვარად, „ლიგა“ დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება არა მარტო ეროვნულ პრინციპს, არამედ საერთო საყაცობრიო პრინციპსაც⁶⁹.

შემდეგ პროგრამის ავტორები ლაპარაკობენ იმ საშუალებებზე, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მიზანდასხულობათა განხორციელებას:

1) ჩვენ დავეხმარებით რუსებს მონარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ძირმომპალი რეუიმის დამხობა უველა ხალხის ინტერესებს პასუხობს. დემოკრატიული წყობილების პირობებში იმპერიის ხალხები მიიღებენ გარკვეულ პოლიტიკურ თავისუფლებას, რაც თავისთავად გაადვილებს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას.

2) ვეცდებით მოვიძოვოთ ევროპის ხალხების და გამოჩენილ დიპლომატთა თანაგრძნობა-მხარდაჭერა.

3) „ლიგას“ მოქმედების გეგმაში შედის რუსეთის იმპერიის დაწაგრულ ხალხთა (პოლონელები, ბალტიისპირელები, ფინელები და სხვ.) ცხოვრების გაცნობა და მათთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ამ ხალხების ერთიანი ორგანიზაცია და ერთსულოვანი მოქმედება გაადვილებს ყოველი მათგანის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

4) თავისუფლების მოპოვების მთავარ საშუალებას ჩვენ ვხედავთ ხალხის განათლებაში და ამიტომ „ლიგა“ ეცდება აუქსნას ქართველებს და სხვა კავკასიელებს მათი მძიმე მდგომარეობა, გამოიწვიოს ამ ერებში თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. რაც შევხება ბრძოლისათვის საჭირო იარაღს, „ლიგა“ დაუყოვნებლივ შეუდგება კაპიტალის შექმნას, რაც თავის დროზე გამოყენებული იქნება იარაღის შესაძენად. თუ რუსეთის მონარქისტული სახელმწიფო შინაგანი ან გარეშე მიზეზების წყალობით შესუსტდება, „ლიგა“ ეცდება გამოიყენოს ასეთი ხელსაყ-

69 სსკია, ფ. 12, ანაწ. 13, საქ. 438, ფურც. 2—4.

რელი სიტუაცია, ააფრიალოს საერთო კავკასიური აჯანყების დრო
ში, იბრძოლოს დასახული მიზნების განხორციელებისათვის.

შემდეგ პროგრამაში ღამპარავია იმ წყობილებაზე, რომელაც
უნდა დამყარებულიყო თავისუფალ საქართველოში. დოკუმენტი
დან ჩანს, რომ „ლიგას“ ლიდერთა იდეალი იყო დემოკრატია და
თვითმმართველობა. ფარულ ორგანიზაციის ხალხი უნდა მოემზადე-
ბინა თვითმმართველობისათვის, რათა თავისუფლების მოპოვების.
შემდეგ უარეს მდგომარეობაში არ ჩივარდნილიყო. „თავისუფლე-
ბის ლიგის“ მესკეურთა აზრია, თუ ხალხი არ მომზადებოდა თა-
ვისუფლების გამოყენებისათვის, ისე აზრიც არ ჰქონდა თავისუფ-
ლებისათვის ბრძოლას.

ამდენად, ნათქვამია პროგრამის ღამსკენით ნაწილში, „ლიგა“
დარწმუნებულია, რომ ემსახურება წმინდა საქმეს და იმედი აქვს
საყოველთაო მხარდაჭერისა. ფარული ორგანიზაცია შეახსენებს
ქართველებს გამოლენიების დროის დადგომას. ქართველებმა უნდა
შეიგნონ, რომ კერძო ინტერესებთან ერთად და მის გვერდით არ-
სებობს საზოგადოებრივი ინტერესები. ჩენ გვწაშს, რომ ქართველ
ხალხს არ დაუკარგავს თავისუფლების მოპოვების იმედი. ქართველ-
მა ხალხმა გაუძლო ისტორიის ქარტეხილებს, რადგან მშობლიურ
მიწაში ლრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ქართველი ერი სიცო-
ცხლისუნარიანია. „ლიგა“ იმედოვნებს, რომ ყოველი ქეშმარიტი
ქართველი მისი წევრი გახდება.

ქართველებო, „ლიგა“ ერთხელ კიდევ შეგახსენებთ ჰამლეტურ
კითხვას „ყოფნა თუ არ ყოფნა“. ერთსულოვნად ვთქვათ „ყოფნა“
და დავიწყოთ მოქმედება⁷⁰.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ლიდერები ცდილობ-
დნენ ფარული საზოგადოება გადაექციათ მტკიცე ორგანიზაციად,
რომლის წევრები დაემორჩილებოდნენ გარკვეულ წესრიგსა და
დისკიპლინას. ამიტომ მათ შეადგინეს „ლიგის“ წესდებაც.

წესდების თანახმად, „ლიგის“ წევრიად შეიძლება გამხდარიყო
ყველა მოქალაქე, ვინც თანაუგრძნობდა მის მიზანს და იმსახურებ-
და ნდობას. გათვალისწინებული იყო ორი სახის წევრობა—წევრინი
შოქმებინი და წევრინი თანამგრძნობნი.

„ლიგა“ იყოფოდა სექციებად. თითოეულ სექციაში იმაცხე-
ბოდა 10 მოქმედი წევრი. ყოველი სექცია „ლიგის“ ცენტრალურ
კომიტეტში გზავნიდა თითო წარმომაღვენელს. ცენტრალური კო-

70 სსტია, ფ. 12, ანაწ. 13, საქ. 438, ფურც. 2—4.

მიტეტი კი ირჩევდა თავმჯდომარეს, მოლარეს, ბიბლიოთეკარს, ფასა
რედაქტორს. ცენტრალურ კომიტეტს ევალებოდა მოწვევია აღმასისურა
ყოველწლიური მორიგი ყრილობა და საჭიროების შემთხვევაში სა-
განვებო ყრილობაც. თავმჯდომარეს წინასწარ უნდა ეცნობდებინა
„ლიგის“ წევრებისათვის ყრილობის დღის წესრიგი.

წესდების ძალით ცენტრალურ კომიტეტს ევალებოდა გაევრ-
ცელებინა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობდა „ლი-
გის“ მიზნების განხორციელებას. კერძოდ, მას უნდა გამოიყენდა:
1) მშობლიური ქვეყანა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეთ-
ნოგრაფიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ნაშრომები დაე-
წერა პოპულარულად, ხალხისათვის გასაგები ენით. 2) ქართველი
ხალხისათვის გაეცნო იტალიელების, ბერძენების, სერბების, ბულ-
გარელების, მადიარებისა და ორლანდიელების ეროვნული მოძრაო-
ბის ფაქტები. 3) შეესწავლა ინტერნაციონალიზმის ისტორია. 4)
დაეარსებინა „ლიგის“ ბეჭდვითი ორგანო.

ამასთან ერთად, ცენტრალურ კომიტეტს ხალხში უნდა გაევრ-
ცელებინა თავის გამოცემები, გაეწია „ლიგის“ პრინციპების სიტ-
ყვიერი პროპაგანდა, მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა კავკასი-
ონა და იმპერიის სხვა დასაგრული ხალხების ორგანიზაციებთან,
კაეშირი ჰქონდა რუს სოციალ-დემოკრატებთან. „ლიგის“ ცენტ-
რალურ კომიტეტს ექროპისათვის უნდა გაეცნო საქართველოს წარ-
სული და აწმუნ, მიმოწერა გაემართა ეკროპის გამოჩენილ დიპლო-
მატებთან. ცენტრალური კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა აგრე-
თვე „ლიგის“ წევრების კონტროლი და თავის წარმომადგენელთა
გაგზავნა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

წესდების თანახმად „ლიგის“ შემოსავალს შეადგენდა საწევრო
შენატანები და შეწირულებანი. ყოველი წევრი ვალდებული იყო
სალაროში შეეტანა თავის შემოსავლის 1% და თანაც ეზრუნა ორ-
განიზაციის შემოსავლის სხვა წყაროთა გამრავლებისათვის. ლი-
გის ყოველ სექციის ჰქონდა საკუთარი სალარო, რომლის შემოსავ-
ლის 50% იგზავნებოდა ცენტრალურ სალაროში და იგი იხარჯე-
ბოდა ცენტრალური კომიტეტის შეხედულებისამებრ. სექციებს უფ-
ლება ჰქონდათ დარჩენილი თანხა დაეხარჯათ ცენტრალური კომი-
ტეტის ნებართვის გარეშე, მაგრამ შემდეგ უნდა წარედგინათ ამ
დანახარჯის ანგარიში.

„ლიგის“ წლიური შემოსავლის 25% ირიცხებოდა ხელშეუხე-
ბელ კაპიტალში, რაც საჭიროების დროს გამოყენებული იქნებოდა

იარაღის შესახენად. თანხის გარკვეული ნაწილი დაიხარჯებოდა „ლიგის“ გამოცემებზე, აგრეთვე დახმარების სახით მიეცემოდა ორგანიზაციის მოქმედ წევრებს.

წესდება ითვალისწინებდა „ლიგის“ პრინციპების ღალატისათვის მყაფრ სასჯელს, გამცემლობისათვის კი დახვრეტას⁷¹.

პროგრამისა და წესდების შედგენის შემდეგ „საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ რამდენადმე გააცხოველა საქმიანობა. სტუდენტთა წრეებს შორის დამყარდა უფრო მჭიდრო კავშირი, საქართველოში ჩამოყალიბდა „ლიგის“ სექციები, რომელშიც გაერთიანდნენ უმაღლეს საქართველოში კულტურულმომთავრულნი, საშუალო სკოლის უფროსკლასელები და სხვა თანამგრძნობნი.

1893 წლის ივლისის ბოლოს თბილიში ჩატარდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მეორე ყრილობა. ყრილობის მონაწილეთა და მასზე განხილული საკითხების შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. უანდარმერიამ მხოლოდ იმის დადგენა შეძლო, რომ პირველ ყრილობასთან შედარებით „ლიგის“ მეორე ყრილობა ნაკლებ წარმომადგენლობითი იყო. მასში მონაწილეობდნენ თელო სახოვია, ვარლამ ჭიჭიაძე, ვახტანგ ლამბაშიძე, შიო დედაბრიშვილი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, გორგი დეკანოზიშვილი და მაკაშვილი. ყრილობის მსგალობის საგნად კვლავ იქცა საკითხი ორგანიზაციულად გაერთიანებულიყვნენ რუს რევოლუციონერებთან, თუ დამოუკიდებლად, ეროვნულ ნიადაგზე გაეშალათ რევოლუციური მუშაობა. აზრთა სხვადასხვაობა იმდრენდ დიდი იყო, რომ დადგენილების მიღება არ მოხერხდა⁷². ყრილობაზე განხილული სხვა საკითხების შესახებ მასალა არ გავაჩინია.

„საქართველოს თავისუფლების ლიგამ“, როგორც ჩანს, გარკვეული ლონისძიება ჩაატარა დასაცელეთ ევროპასთან დასაქაეშირებლად. 1893 წლის 25 დეკემბერს გ. გვაზავა პარიზიდან მიშას (ალბათ მიხეილ ხელთუფლიშვილს) სწერდა, ნ. ნიკოლაძეს სთხოვე გამომიგზავნის სარეკომენდაციო ბარათი რომელიმე პოლიტიკური მოღვაწისადმი. მე, მართალია, ვიცნობ ზოგიერთი მინისტრის. შეიღებს, მაგრამ რეკომენდაცია საქმეს გამიადვილებსო⁷³. ჩვენ არ ვიცით შეძლო თუ არა გ. გვაზავამ დასაცელეთ ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეებთან კავშირის დამყარება. მაგრამ დამოწმებული წერილი

71 სსკია, ფ. 12, ანაწერი 13, საქ. 438, ფურც. 5—7.

72 იქვე, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 11.

73 სსკია, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 104.

ცხადყოფს, რომ ნ. ნიკოლაევ თანაუგრძნობდა „ლიგის“ ჰუნტის და სახულობის და ოლბათ კიდევ ეხმარებოდა მის ორგანიზატორებს საქმიანობაში.

„ლიგამ“ სცადა საქუთარი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. რადგან „მავნე მიმართულების“ ორგანოს გამოცემა რუსეთში ძნელ და სარისკო საქმის წარმოადგენდა, ურნალის გამოცემა ნავარაუდევი იყო კონსტანტინოპოლიში. სამწუხაოროდ, ეს განზრახვა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1894 წლის 22 სექტემბერს რუსეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი აცნობებდა თბილისის გუბერნატორს, რომ სიკო ლარაძე და სალარიძე შეამდგომლობენ თურქეთის მთავრობის წინაშე, მიიღონ ნებართვა გარსსცენ უურნალი, რომელიც მთავრმანადებს კავკასიის განთავისუფლებას. რუსეთის მთავრობის მოთხოვნით თურქეთის პოლიციამ დასახელებული პირები დაპატიმრა⁷⁴.

1894 წელს ეანდარმერიას ხელში ჩაუვარდა „თავისუფლების ლიგის“ პროგრამა და წესდება. მთავრობამ მიიღო სათანადო ზომები და მოქლე ხანში ფარული ორგანიზაციის თითქმის ყველა აქტიური წევრი დააპატიმრა. გამოძიებისა და რეპრესიების ქვეშ მოექცენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, ვარლამ ჭიჭიაძე, თელო სახოკია, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), გიორგი დეკანოზიშვილი, იოსებ ჩარექიშვილი, ილია გიშვარიანი, ანტონ გელიაზაროვი, გიორგი გვარავა, ვახტანგ ლამბაშიძე, იაკობ ფანცხავა, დავით მდივანი, ივანე ელიაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, დავით მიქელაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ერდანია, ნიკოლოზ შენგელია, ივანე აბაშიძე, მიხეილ მირიანაშვილი, სიკო ლარაძე, აჩქიმო მუსხელიშვილი, მიხეილ მელიქიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვაშავიძე, ჩიქოვანი, მახაიძე და სხვ.

ერთ წელს გაგრძელებულმა გამოძიებამ და სასამართლო პროცესში დაადგინა ლიგის წევრთა მავნე განზრახვა, დანაშაულებრივი საქმიანობა, მაგრამ მთავრობამ გარკვეული მოსაზრებით საქმიანოდ არ ჩათვალა სტუდენტთა ფარული ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. სტუდენტებს წინასწარი პატიმრობა სასჯელის მოხდაში ჩაუთვალეს, ყველანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და მეტნაკლები ხნით ეანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ დასტოვეს⁷⁵.

74 იქე, ფურც 1.

75 დეტალურად „თავისუფლების ლიგის“ განადგურების შესახებ იხ. ზ. შევლიძის დასახ. ნაშრ., გვ. 89—97.



ფარული ორგანიზაციის პროგრამის ანალიზსა და მისი შემთხვევაში ბის საქმიანობის ხასიათზე დაკიტებების იმ დასკვნამდე მიღყავართ, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნულ-რევოლუციური პარტიის ჩანასახი. მაგრამ იგი არ ამეღავნებდა ეროვნულ შეზღუდულობა-განკერძობულობას. ამ ორგანიზაციის წევრებს მიაჩნდათ, რომ ჩაბმული იყვნენ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში, თავისი წვლილი უნდა შეეტანათ ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების საქმეში.

„ლიგა“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. მაგრამ თავის მთავარ ამოცანად მიაჩნდა ქართველი ხალხის მომზადება ეროვნული რევოლუციის, თვითმმართველობისა და ქართული სახელმწიფო მიმობის შექმნისათვის: „ლიგა“ იყენებდა ბრძოლის როგორც შევიდობიან, ისე არამშვიდობიან ფორმებს. მისი რადიკალი წევრები ეწეოდნენ აჯანყების იდეის პროპაგანდას, ემზადებოდნენ იმპერიის ჩაგრული ხალხების ერთობლივი ანტიცარისტული გამოსვლისათვის.

პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ „თავისუფლების ლიგის“ სოციალური კრედიტუნდოვანი და კომპრომისულია. მაგრამ პროგრამის ცალკეული მუხლები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წევრთა ერთი ნაწილი კვლავ იმყოფებოდა უტოპიური სოციალიზმის, ხალხისნური იდეოლოგიის გავლენაში, ზოგი იზიარებდა ახლად ფორმირებული სოციალ-დემოკრატიული წრეების იდეალებს. უმრავლესობა იდგა საერთო დემოკრატიულ პოზიციაში, არ სცილდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს.

მსოფლმხედველობრივი სხეადასხვაობა იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ვერ გადაიქცა მონოლითურ თრაგანიზაციად, ერთიან პარტიად. ეს ცხადი გახდა მოგვიანებით, როცა „თავისუფლების ლიგის“ ყოფილი წევრები იომოჩნდნენ სხეადასხვა პარტიებში, უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტი და ეროვნული დემოკრატი გახდა, უმცირესობა კი მარქსიზმის პოზიციაში დადგა.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“, მართალია, დღემოყოლებლობინდა, მაგრამ გადაჭრებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ

„ლიგაშ“ თავისებური ეტაპი შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, ქართული სახელმწიფო ბრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

მოთხოვთავი

საქართველოს აპტონომიის პროგლემა და პოლიტიკური
პარტიის XIX ს. დამდებარება

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს დამოუკიდებლობის ოღვენა, ქართული სახელმწიფო ბრიობის დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაცია იყო. მაგრამ თერჯდალეულები ანგარიშს უწევდნენ არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს და ძალაუნებურად კვეცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. XIX ს. 60-იანი წლების შემდეგ შექმნილ სიტუაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მასში შემავალი ერების ავტონომიურ სახელმწიფო ბრივ ერთეულებად მოწყობას. ავტონომიური საქართველო, მათი აზრით, წარმატებით განვითარებდა ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას და საპატიო აღგილს დაიკავებდა ფედერაციული რუსეთისა და მსოფლიოს ერთა რიგებში.

რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციისა და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეა, როგორც აღნიშნეთ, ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა „ივერიის“ ფურცლებზე. მა იდეის პროპაგანდას გაზეთი 90-იან წლებშიც განაგრძობდა. მაგრამ ფედერაცია-ავტონომიის პრობლემას განსაკუთრებით დიდი ადგილი „ივერიის“ რედაქციაში დაუთმო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

საერთო დემოკრატიულ პოზიციაზე მდგარი „ივერია“ მიესალმა რევოლუციას და შეეცადა საქართველოს მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა უპირველეს ყოვლისა თავის ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის გამოეყენებია.



„ივერიის“ პუბლიცისტებს სახელმწიფო მიაჩნდათ ზექტენდენის ბრივ ორგანიზაციად, რომელიც ერის ძალას ეყიდვებოდა და შთელი ერის ინტერესებს იცავდა. როცა ხალხი გაუნათლებელი და პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო მონარქიულ წყობილებასაც ეგზებოდა. მაგრამ ხალხი გამოფხიზლდა, პოლიტიკური საქმიანობისათვის მომწიფდა და მართვა-გამგეობის ძელი ფორმები აღარ იქმაყოფილებოთ. გაზეთის პუბლიცისტები იდეალი დემოკრატიულ სახელმწიფოს თვლიდნენ, პარლამენტარიზმის, კანონის წინაშე თანასწორობის და საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპებს ქადაგებდნენ. მათი აზრით, სადაც საყოველთაო-საარჩევნო სისტემა იქნებოდა შემოღებული, იქ საქსებით შესაძლებელი გახდებოდა უმცირესობის დათრგუნვა და უმრავლესობის გაბატონება.

გაზეთის პუბლიცისტები იწუნებდნენ ცენტრალიზებული მართვა-გამგეობის პრინციპს, განსაკუთრებით მიუღებლად თვლიდნენ მას მრავალეროვნეულ სახელმწიფოებისათვის. მათი მთლიანობის დარღვევა საჭირო არაა, მაგრამ აუცილებელია ერების გარკვეული გამიგვნა. ეს ერები იგტონომიური პოლიტიკური ერთეულების სახით უნდა მოეწყონ, „საერთო საქმეების მოსაწყობად“ ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ, „თავიათ შინაურ, ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში კი ერთმანეთზე სრულებით არ უნდა იყვნენ და-მოკიდებული¹.

„ივერიამ“ მალე დაანება თავი სახელმწიფო წყობილების ფორმათა შესახებ აბსტრაქტულ მსჯელობას და კონკრეტულად რუსეთის იმპერიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ დაიწყო სჯა-ბაასი. რევოლუციის აღმართების პარალელურად გაზეთის ტრინი თანდათან უფრო გაძელდული, პოლიტიკური მიზანი კი უფრო რადგიალური ხდებოდა. გაზეთის პუბლიცისტები სიხარულით აუწყებდნენ მკითხველებს, რომ რუსეთის ხალხებშია გაიღვიძეს, პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ, დამფუძნებელი კრებისა და საკანონმდებლო უფლებით იღჭურვილი პარლამენტის მოწვევას მოითხოვნონ.

„ივერიას“ რედაქციის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ხალხის წარმომადგენელთა კრებისა და განახლებული სახელმწიფო ორგანოების აგების პრინციპი. მას არ იქმაყოფილებდა „ცენტრალიზმის საფუძველზე“ აგებული პარლამენტი, იგი ერების შეუღლსა და წინააღმდეგობას ვერ აღმოფხვრის, სახელმწიფოში კეშმა-

¹ „ივერია“, 1905 წ. 25 თებერვალი, №9.

რიტ შშვიდობიანობას ვერ დაამყარებსო. „ამ ეროვნული განხეთქი-
ლებისა და უნაყოფო ბრძოლის თავიდან ასაცილებლად, — ნიზამი
მია გაშეთის მოწინავეში, — ითხოვენ სხვადასხვა ერის წარმომად-
გენლები, რომ ახალი წყობილების შემოღების დროს მხედველობა-
ში იქნეს მიღებული რუსეთის ხალხების სხვადასხვაობა... და ამი-
ტომ ხალხის წარმომადგენლობა იყოს აფებული დეცენტრალური-
ის პრინციპზე, ე. ი. ითხოვენ იმას, რომ ყოველ ეროვნებას მიენი-
ჭოს ცალკე არსებობის უფლება, თავის საკანონმდებლო პარლამენ-
ტი, თავისი აეტონომია“. რუსეთის ხალხების ამ მოთხოვნილებათა
დაქმაყოფილებით მოძაბობა ეროვნული შულლი და რუსეთის მთლი-
ანობა კიდევ უფრო განმტკიცდებათ².

კაპიტალიზმის განვითარებამ და რუსეთის ცარიზმის პოლიტი-
კამ ამიერკავკასია ერთ აღმინისტრაციულ და ეკონომიკურ რეგი-
ონად აქცია. გაძლიერდა ერების ურთიერთშერევა, გაფართოვდა
მათი ეკონომიკური და კულტურული კაუშირები. პირველი რევო-
ლუციის ხანაში, რომელიც აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობის ოღმავლობის პერიოდიც იყო, აქტიურად დაისვა
ამიერკავკასიის ერთა ურთიერთობის, მათი პოლიტიკური თანა-
ცხოვრების მოგვარების საკითხი.

„ივერიის“ რედაქციის გეგმით, ფედერაციული რუსეთის შემა-
დგენლობაში უნდა შესულიყო ფედერაციული ამიერკავკასია, რო-
მელიც შეიქმნებოდა ეროვნულ-ტერიტორიული აეტონომიების გა-
ერთობანების გზით. რედაქცია აქტიურებდა სომეხი ბურჟუაზიის ლი-
დერებს, რომელნიც, მართალია, მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის
აეტონომიას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ მხარის ცალკეულ ეროვ-
ნებათა აეტონომიების შექმნის იდეას. „ჩვენც მომხრე ვართ კავკა-
სიის აეტონომიურ თვითმმართველობისა, — წერდა „ივერიის“ რე-
დაქცია, — ჩვენც აუცილებლად მიგვაჩინა ერთა შორის კაუშირი
... მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვვინდა განსაზღვრული ტერიტორიის
ფარგალში ეროვნული არსებობა და მთლიანობის შენარჩუნება. კავ-
კასიის თვითმმართველობის ცენტრალური ორგანო არ უნდა ეხე-
ბოდეს ისეთ საქმეს, რომელიც თითეული ერის და კერძოდ ქარ-
თველი ერის შინაური ცხოვრების მოწილიერებას შეეხება და იქ გა-
დასაწყვეტად მხოლოდ ისეთი საკითხები უნდა გადადიოდეს, რო-
მელიც მთელი კავკასიის ხალხთა სოციალ-პოლიტიკური დამოკი-
დებულებისა და ურთიერთობის მომწერებულებია“. უფლება არ

2 „ივერია“, 1905, № 44.

გვაქვს სომეხი ბურჯუაზის მეთაურებს ჩვენი აზრი მოვახდიოთ.
ისე კი კარგად ვხვდებით, რომ მათი ანტიპათია ავტონომიის მიმმართ
სომეხი ხალხის დასახლების ხასიათით (გაფანტულობა) არის ვამ-
წვეული, რაც არ კმიარა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის
უარსაყოფად³.

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ქართვე-
ლი თავადაზნაურობის მსჯელობის საგანიც გახდა. მაღალი წოდე-
ბის წინამძღვრობთა და დეპუტატთა კრებამ 24 წლის შემდეგ გაიხსე-
ნა ი. ჭავჭავაძის წინადაღება, ინგარიში გაუწია ქართველი ხალხის
დიდი ნაწილის განწყობილებას და დაადგინა, რომ აღეძრა შეა-
მდგომლობა მეფის მთავრობის წინაშე საქართველოსათვის ავტო-
ნომიის ბოძების თაობაზე. „ჩვენ აღტაცებით ვეგებებით, — წერდა
„ივერიის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი, — თავადაზნაურობის ასეთ
გადაწყვეტილებას. ახლა ისეთი დროა, რომ თვითონ ცხოვრება ყვე-
ლას ძალაუნებურად წინ ეწევა და აძალებს მოწინავე აზრების შე-
ოვისებას. უკან ჩამორჩენა და განვლილი ცხოვრების ტრფიალი მო-
მასწავლებელია ყველასათვის სიკედილისა და საქუთრის ხელით და-
მარხვისა. ამას ერტყობა კარგად გრძნობს ჩვენი თავადაზნაურობა და
ამიტომაც ამ შემთხვევაში იგი დაადგა ისეთ გზას, რომელიც მთე-
ლი ქართველებისათვის ეროვნული სიკეთისა და სარგებლობის
აღმოჩეულია“.

„ივერიის“ თანამშრომელმა, ჩანს, კარგად იცოდა, რომ თავად-
აზნაურობის უდიდესი ნაწილი კონსერვატიულ და რეაქციულ პო-
ზიციაზე იდგა, ავტონომიას თავის წოდებრივი პრივილეგიების გან-
სამტკიცებელ საშუალებად თვლიდა. მაგრამ მთავარია ავტონო-
მიის დედააზრი და „ჩვენც სწორედ ამ დედააზრის გულისათვის ვე-
გებებით თანაგრძნობით თავადაზნაურთა გადაწყვეტილებას“.
თუ დედააზრი განხორციელდა და ჩვენს ქვეყანას თვითმმართველობა
მიეცა, ქართველ ერს არ გაუჭირდებათ ავტონომიური მართვა-გამ-
ცეობის დემოკრატიულ საფუძველზე აშენება⁴.

ივერიის ჯგუფს, რომელსაც ამ პერიოდშიც ტონს ი. ჭავჭავაძე
აღლევდა, საცხებით შესაძლებლად მიაჩნდა ავტონომიისათვის ბრძო-
ლაში თავადაზნაურობისა და ბურჯუაზის ჩაბმა, მაგრამ თავის მთა-
ვარ სოციალურ-პოლიტიკურ საყრდენს იგი ხალხის ფართო ფე-
ნებში ხედავდა. გაზეთის პუბლიცისტთა უმრავლესობა აღიარებდა

3 „ივერია“, 1905, № 37, № 38.

4 „ივერია“, 1905, № 42.

საყუთრებით გამოიყელიონ, ნამეტნავად ჩვენში და ცვლილების დე-
დაბორბად დაადგებინონ".

თუ ამ გრძნობით და სამართლიანის აზრით, — დაასკვნის
ილია, — არ მიუღებიან ჩვენში ცვლილების საქმეს, ყოველივე
ცვლილება სახელდახელო საქმე იქნება, უსულო, უგულო, უსიცო-
ცხლო და გამოისადეგარი ქვეყნისათვის ცალკე და სახელმწიფო-
სათვის საზოგადოდ. მაშინ ცვლილება ჩინოვნიერი ერთი სკამიდან
მეორეზედ გადახტუნება იქნება, კანცელარიების სახელებს შეცვ-
ლა... ორიოდე გრძნშის გმირზოგვა და სხვა არაფერი"⁵³.

ბოლოს ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, „რომ აუცილებელია „ჩვენი
გულისტივილი და ჩვენი ნატერის საგანი“ მთავრობას ვაუწყოთ,
დასაბუთებული შუამდგომლობა უნდა აღვძრაოთ და ქვეყანას სამ-
სახური გაფუშითოთ. „ეს დიდი და წმინდა მოვალეობა, რომელიც
დროთა ეითარებამ ჩვენ ზურგზე წიმოგვიდა, მძიმე ტვირთია. ...მაგ
მძიმე ტვირთს უნდა ყოვლის ჩვენის სულიერის და ხორციელის
ძალით ცნობიერად და წინდახედვით გაუძლვეთ“. ილია სეამს კით-
ხეს—პრაქტიკულად ვინ უნდა უთაოს ამ დიდ საქმეს, ვინ უნდა გაგ-
ზავნოს მთავრობაში შუამდგომლობა? ჩვენი დიდეკუობა მისათვის
გამოისადეგარია. მის შეიძლება ქუა და გონება არ აყლდეს, მაგ-
რაც ეს არ კმიტა. ამისათვის საჭიროა, რომ დიდეკუობს პატრიო-
ტული გრძნობები გააჩნდეს, „თავის პატივმოყვარეობას, სახელ-
სა და დიდებას“ ქვეყნისათვის გაწეულ დღაწელში უნდა ხედავდეს.
სამწუხაროდ, დიდეკუები ვერ ამჟღავნებენ ამ თვისებას, მათ ფე-
ხებზე პეირა სამშობლოსა და საზოგადოების ბეჭდიერება. ისინი
არ ეხმარებიან ქართულ თეატრს, უურნალ-გაზეთებს, რომელიც
„ჩვენი ვინაობის დაცველი და შემნახველი“ არიან. ვინც ქარ-
თულ თეატრსა და უურნალ-გაზეთებს ზურგს შეაქცევს, ის ამით
„თავის საყუთარ ვინაობის უარყოფს, თავის აღამინურ სახელს
შეურაცხოფს. ...თუ აღამიანს თავის ვინაობა არად მიაჩნია, მაშინ
იმ აღამიანში აღამიანური რალაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა,
როცა თავის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხუ-
ლი იქნება. ...დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, რომ
თუ კაცი თავისსა გადაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ...და მა-
შინ ვაი თავის ვინაობაზე გულაცრუებულს, გულგრილსა და ხე-
ლაღებულს“⁵⁴.

53 ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 193—194.

54 ი. ჭავჭავაძე. გვ. 195—197.



უდარდელი დიდყაცების ასეთი შეხურების შემდეგ ილია თავაზე
ვადაზნაურთა მთელ წოდებას მიმართავს და მისგან მოიჩხეოს
მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძროს. თავადაზ-
ნაურთა საერთო კრების და არჩეულ დეპუტატებს კანონი აძლევს
სამისო უფლებას და მათ ეს უფლება ქვეყნის საკეთილდღოდ უნ-
და გამოიყენონ. მართალია, თავადაზნაურთა კრების ყველა მონა-
წილე ერთნაირად არა გამსჭვალული ეროვნული თვითშეგნებითა
და პატრიოტული გრძნობებით, მაგრამ იქ საყმაოდ მოიძებნებიან
ისეთი მოღვაწეები, რომელნიც ქვეყნისათვის თავს გამოიდებენ.

„დიალ, ბატონებო, — დაასკვნის ი. ჭავჭავაძე, — ჩევნს ვა-
ნაობას ჩევნს ცხოვრებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზედ
თავადაზნაურთა კრებამ თავისი ხმა უნდა ამოილოს. ხმა კანონიერი,
დიწი, დარბაისელი და შშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა
შელობილია. ესეთი ყოფა წარმატების გზისა ერთნაირად საგრძნო-
ბელია ყველასათვის. ამ ერთ ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც,
მღვდელიც და ერიც. თუ განხრასულ ცვლილებამ ჩევნს ვინაობას
არ მოხედა, თუ გვერდზე აუარა, ამისი ბრალი ჩევნ დაგვედება, და
მაშინ ნურც მთავრობას დავემდურებით და ნურც ბეღსა“⁵⁵.

ი. ჭავჭავაძის ექვნარევი აპტიმიზმი არ გამართლდა. თავადაზ-
ნაურთა კრებას, მართალია, პერნა თავის წოდებრივ საქმეთა თვი-
თმართველობის უფლება, მაგრამ მას ნებას არსებინ მისცემდა სა-
ქართველოს აეტონომიი მოეთხოვა. მიტომ ის შუამდგომლობა, რის
შესახებაც ილია ლაპარაკობს, არც აღძრულა. და კანონისაწინააღ-
მდევრო შუამდგომლობას, კიდეც რომ აღძრულიყო, მეფის მთავრო-
ბა არ დააკმაყოფილებდა.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის
შინაარსი, რა თქმა უნდა, მარტო აეტონომიისათვის ბრძოლით არ
ამოიწურებოდა. აეტონომიის მოპოვებას დრო უნდოდა. დრო კი რუ-
სიფიკატორთა წისქვილზეც ასხამდა წყალს. მოწინვე ქართველ
მოლვაწებს შეგნებული პერნათ ის საშიშროება, რუსიფიკატორე-
ბი ქართველი ერის თავისთავადობას რომ უქმნიდნენ და ამიტომ
თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლიდნენ აგიტაცია-პროპა-
განდით, ისტორიულ-პატრიოტული ნაწარმოებებით გაელვიძებინათ
ქართველთა ეროვნული თვითშეგნება და ამით ჩაეშალათ ცარიშ-
მის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

ურნალ „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა

⁵⁵ ი. ჭავჭავაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 198.

„შინაური მიმოხილვა“. ანონიმი ავტორი თავდაპირველად აკანქაშავა
ნავს, შინაურ მასპინძელს (იგულისხმება უურნალის რედაქტორის
ი. ჭავჭავაძე, — ა. ბ.) არ სცალია და ამჟერად შინაური მიმოხილვის
დაწერა მე ვიყისრეო. მაქაბად უკვე დადგენილია, რომ ამ მოწინავე
წერილის ავტორი ი. გოგებაშვილია.

უკველისათვის ცნობილია, წერს ავტორი, რომ მამულის სიყვა-
რული, პატრიოტიზმი ამა თუ იმ ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი
მთავარი წინაპირობაა. რაც უფრო ბევრი ჰყავს ქვეყანის გულშე-
მატყიფარი და ერთგული მამულიშვილი, მით უფრო მტკიცედ მი-
დის პროგრესის გზაზე. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, აღნიშნავს
დიდი პედაგოგი, რომ მამულის ქეშმარიტი სიყვარულის მაღალი
გრძნობის აღზრდა ფრიად ძნელია. ზოგიერთს ჰგონია, რომ სამ-
შობლო ქვეყნის სიყვარული უკველას ბუნებითვე თანა ჰყვება,
ყოველი ადამიანი დედის მუცლიდანვე პატრიოტია. ამიტომ ამ
გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა მათ ზედმეტად მიაჩნიათ. „ეს რომ
ასე ყოფილიყო, — წერს ავტორი, — დედამიწის ზურგზედ უბე-
დურს კუთხეს სანთლითაც ვეღარ იძოვიდით; ყოველი ქვეყანა კე-
თილდღეობით საესკე იქნებოდა“. მაგრამ, საუბედუროდ, განვიტობს ი. გოგებაშვილი, ბუნება ადამიანის პატრიოტიზმზე სრულიად
არ ზრუნვას. იგი იძლევა არა ჩამოყალიბებულ საზოგადოებას,
არამედ ინდივიდუებს და არსებობის შესანარჩუნებლად არიებს მათ
ეგოიზმს. „ხალხი, ერი, კაცობრიობა ბუნებისათვის არ არსებობს
და საზოგადოებრივ გრძნობასაც იგი ვერ დაანათლავდა ადამიანსა.
პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირებმა უნდა დანერგონ.
აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ. ამ გზაზედ ერთსაც
და მეორესაც დიდი მუყაითი ზრუნვა ეჭირვებათ“⁵⁶.

XIX ს. 70—80-იან წლებში ი. გოგებაშვილის აზრით ქართ-
ველთა ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტიზმი ვერ იდგა სასურ-
ველ სიმაღლეზე, მაგრამ ჩვენ ხალხს ზოგიერთი ისეთი სიკეთე პქონ-
და, რაც მას უკეთესი მომავლის ღირსად ხდიდა. სხვა ქვეყნებში,
განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებში არიან ისეთი „პატრიოტე-
ბი“ რომელთაც უნდათ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება სხვის უბე-
დურებაზე ააშენონ. საქართველოში კი შოვინისტები არ არიან.
„ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა. ...იგი იბყრობს
მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა
ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვი-

56 „იერია“, 1882, № 1, გვ. 127—129.

სიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მა-
მულის შეილებს პსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და კუნძულებისა-
ბისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და
აღმიანური არსებობა. ...ჩვენი მამულისშვილები ნატრულობენ
ჩვენის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით,
რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. ...ჩვენი მა-
მულისშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი
დავთრგვნოთ... არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავჰქვლიოთ
გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღე-
ობისა. ერთის სიტყვით. ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისე-
თივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლო უამს დაადგა და-
წინაურებული, საუკეთესო ნაწილი ევროპის ცივილიზაციის წარ-
მომაღენელთა“⁵⁷.

სტატიის გავრცელებაში ი. გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს,
რომ „მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ერს შო-
რისა არის ერთი დედაბოძთაგანი ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს
ისე არაფერი განამტკიცებს როგორც ხალხოსნური ენის, ეროვნუ-
ლის ლიტერატურისა და სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლა.
...ამიტომ ყოველს ქვეყანაში სამშობლო ენის, ისტორიისა და ლი-
ტერატურის შესწავლა შეადგენს ერთს უმთავრეს საგანს ზრუნვი-
სას და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ად-
გილი. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამ მხრითაც გამოკლებულია სხვა ქვე-
ყნების დასიდგან“. ქართულ ენას და სიტყვიერებას, სინანულით
შენიშნავს სტატიის ავტორი, კვირაში მხოლოდ ერთი საათი და
ისიც მეექვსე გაკვეთილი აქვსო დათმობილი⁵⁸.

ი. გოგებაშვილი იმავე სტატიაში ეხება ეკლესიას და აღნი-
შნავს, რომ ამ სფეროშიაც ირლევაო ერის უფლება. კათალიკო-
სობის გაუქმებისა და ეგზარქოსობის დაწესების შემდეგ რუსეთის
მთავრობამ მღვდელმსახურებას პოლიტიკური მიზანი დაუსახა.
„ნამდვილი ქართული სასულიერო სემინარიების ნაცვლად... დაა-
ფუძნეს სხოლასტიკური ბერძნულ-ლათინურ-რუსული სემინარია,
რომელსაც თითქმის იმდენივე კავშირი აქვს ქართველ ხალხთან და
მის მოთხოვნილებასთან, რამდენიც თათრულ მედრესებს“. სასუ-
ლიერო სემინარიებში არ იმწავლება ქართული ენა და ლიტერატუ-
რა, სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ელემენტი სრული-

57 „ივერია“, 1882, № 1, გვ. 130—132.

58 იქვე, გვ. 92—93.

ად განდევნილია, ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს კულტურის განვითარების სინოდი, რომელიც მხოლოდ იმს ცდილობს, „საზოგადოებრივ რუსულ დონეზე დაყენოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“.

ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის საერო, სამოქალაქო უწყებაში უკუთ მიღიოდა საქმე, ამ სფეროში ადგილობრივ ელემენტს გარკვეული პატივი და უფლება პქნდა შენაძებული. ეს იმით თიხსნებოდა, ავტორის აზრით, რომ მეფისნაცვალი აღჭურვილი იყო აღმინისტრაციულ-ავტონომიური სტატუსით და ცდილობდა „აღგილობრივი ელემენტის პატივდებით დაემსახურებინა თანაგრძნობა მცხოვრებლებისა.“ ასეთი აღმინისტრაციული ავტონომიაც კი ცხადყოფდა, ი. გოგებაშვილის განცხადებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიურს თვითმმართველობის პრინციპს ჩვენის ქვეყნისათვის და რამდენად საჭიროა, რომ ჩვენი ეკლესიის მართვა და განვება უმთავრესად იყოს საქართველოს ეგზარქოსის ხელში და პირდაპირ არ ექვემდებარებოდეს პეტერბურგის ინსტანციას⁵⁹.

დასახელებული სტატიის ბოლო ნაწილში ი. გოგებაშვილი სვამის ეროვნული და სოციალური საეკითხების ურთიერთობიმართების, მათთვის პრიმერების პრინციპების და არსებითად სწორად წყვეტის მის. „კარგი რამ გახლავთ, — წერს ავტორი, — ეროვნებითის პრინციპის დამყარება ყოველ სფეროში, მაგრამ მატო ეს არ არის საემარისი ქვეყნის დაყენებისათვის ბეღნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურ ცვლილებებზედ, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუკეთესებაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედ ეროვნულის უფლებათა აღდგენისაც კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამაცლობით. მეორე მხრით, ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეუჩეველ ბურჯად ეროვნების აღორძინებისა. ამ სახით ეს ორი დედაბობი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი ხელს არიან გადაბმული და მათი გაცალკევება ხეირს არ დაყრის არც ცალკე პირს, არც საზოგადოებას“. ჩვენი ინტელიგენცია, შენიშნავს ავტორი, ორივე პრინციპს აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეროვნული კითხვები მაინც წინა პლანზე იყო წამოწეული და ეს საესებით ბუნებრივია, რადგან შექმნილს პოლიტიკურ სიტუაციაში ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიკური, „ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა

59 „ივერია“, 1882, № 2, გვ. 100—103.



უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვალონებდა, ვიდრე სოციალური, რა ნათქვამია, რომ ჩაც უფრო მეტად სტკივა კაცს იმაზე უფრო ხშირად სწირის, ხშირად ლაპარაკობს". ამასთან ერთად ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დღემდე სრულიად შეუსწავლელი გვაქვს და მიტომ ქართულმა პრესამ, ჩვენმა ინტელიგენციამ ამ პრობლემებს თანდათან მეტი უურადლება უნდა მიაქციოსონ.

3. „საქართველოს თავისუფლების ლიგა“

თერგდალეულთა შეხედულებები ფართოდ გაერცელდა ქართველ ხალხში. სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით აიტაცეს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, საქართველოს სემინარია-გიმნაზიების მოსწავლეებმა. მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი განიცდიდა აგრეთვე ხალხოსნური იდეების გავლენას.

რუსეთის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები სათვისტომოების, ურთიერთდახმარებისა და თვითგანვითარების წრეების დაარსებას XIX ს. 60-იან წლებში იწყებენ. ქართველი სტუდენტები თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. თავიანთ წრეებში, ბუნებრივია, სტუდენტები მსჯელობდნენ საქართველოს მდგომარეობაზე, ოცნებობდნენ სამშობლოს უკეთეს მომავალზე. მაგრამ ამ წრეებს შორის კავშირი თითქმის არ არსებობდა. ქართველმა სტუდენტებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს ერთიანი საზოგადოების, ერთიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. სტუდენტთა მოძრაობის იდეურ-ორგანიზატორულ სფეროში საგრძნობი გარდატეხა XIX ს. 80—90-იანი წლების მიწნაზე ხდება.

კავკასიის უანდარმერიის მასალებიდან ჩანს, რომ ქართველ სტუდენტთა წრეების გაერთიანებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა ჩაისახა 1889 წელს, როცა პეტერბურგის სტუდენტთა წრეებ წერილით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას ურთიერთგაცნობისა და გაერთიანების მიზანშეწონილობის თაობაზე. პეტერბურგის წრე წინადაღებას აყენებდა, რომ მომავალი წლის ზაფხულის არგადევების ფროს საქარ-

თველოში ჩატარებინათ სტუდენტთა წარმომადგენლების ჭრილობა
ბა, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა ქართველ სტუდენტთა ურთიან
საზოგადოებას.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა ეს იდეა
შოთიონეს, გააფართოვეს და თავიანთი თვალსაზრისი წერილობით
აცნობეს ქართველ სტუდენტთა სხვა წრებს. მოსკოველი სტუდენ-
ტები წინადაღებას იძლეოდნენ ჩამოყალიბებულიყო „სტუდენტთა
კორპორაცია“. მათი აზრითაც, სტუდენტთა წრეების წარმომად-
გენელთა ყრილობა უნდა ჩატარებულიყო საქართველოში, რომელ-
ზეც ყოველი წრე წარადგენდა თავის პროექტს მომავალი კორპო-
რაციის ხასიათის შესახებ. ყრილობა განიხილავდა პროექტებს, შე-
იმუშავებდა საერთო თვალსაზრისს, განსაზღვრავდა სტუდენტთა
ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობის ფორმებს⁶¹.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრემ საერ-
თო ორგანიზაციის პროგრამის შედგენა დავალა გ. გვაზავას, ჩი-
ქოვანსა და ვაშაკიძეს. უანდარმერის მიერ დაყავებული სტუდენტ-
თა პირადი წერილებიდან ჩანს, რომ 1890 წლის გაზაფხულზე მოს-
კოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრეში დიდი გამო-
ცოცხლება შეინიშნებოდა, მიმღინარეობდა პროგრამის პროექ-
ტის განხილვა⁶².

წინადაღებები სტუდენტთა კრების ჩატარებისა და ფარული
პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსების შესახებ მიიღეს აგრეთვე
ოდესის, ხარკოვის, კიევის, ვარშავის და სხვა ქალაქების უმაღლეს
სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა. საქმაო ხანგრძლივი მი-
მოწერის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სტუდენტთა წრეების წარმო-
მადგენელთა ყრილობა ჩატარებინათ საქართველოში 1892 წლის
ივლისის ბოლო ჩიცხვებში⁶³.

ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა
მართლაც ჩატარდა ქ. ქუთაისში 1892 წლის 26—29 ივნისს. მო-
ნაწილეობდა 20 დელეგატი: მოსკოვის უნივერსიტეტიდან—მიხეილ
ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ
ლამბაშიძე; პეტერბურგის უნივერსიტეტიდან—იოსებ ჩარექიშვილი.
ნიკოლოზ ჭაველი, იაკობ ფანცხავა, ილია ჭიშკარიანი, ვარლამ ჭი-
ჭინაძე; კიევიდან — არქიპო მუსხელიშვილი, ოდესიდან—დავით

61 სსკია, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 103, 107—108.

62 იქვე, ფურც. 103.

63 იქვე, ფურც. 8—9.



მდივანი, ვარშავიდან ანტონ გელიაზაროვი და სხვ. ყრილობაზე ეთნო-კულტურული მუზეუმის მდივნობდა მ. ხელთუფლიშვილი, მდივნობდა ვ. ღმიბაშიძე⁶⁴.

ყრილობაზე განხილეს 8 საკითხი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: 1) როგორ ესმით ქართველ სტუდენტებს ეროვნული საკითხი და რამდენად ფიქრობენ მასზე. 2) როგორი უნდა იყოს ქართველ-სომხთა ურთიერთდამოკიდებულება. 3) როგორი პიზიცია უნდა დაიყავონ ქართველმა სტუდენტებმა „რუსეთის საქმეების მიმართ“. 4) რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა და რა დახმარებას საჭიროებს იგი.

მომხსენებლებს და მოკამათეებს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ცნება ერისა და ერისათვის დამასახიათებელი ნიშნების განმარტება-დახსაიათებისათვის. ყრილობაშ მიზნია, რომ რასას არსებოთი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანთა ეროვნული კუთვნილების დადგენაში. ამ მხრივ მნიშვნელობა დაკარგავ აგრძელებული იყო. ორატორების განცხადებით საწმუნოება ხალხის ცხოვრების უარყოფით მხარედ იქცა და იგი არ შეიძლება ჩავთვალით ერის დამასახიათებელ ნიშნადო. დელევგატების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე ცნება ერი და მისი დამასახიათებელი ნიშნები ასეთნაირად იქნა ფორმულირებული: ერი არის სულიერი ერთობა ჯგუფებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო ენით, ურთიერთ სიყვარულით, ზე-ჩვეულებებითა და ისტორიული ცხოვრებით. ამასთან ერთად ყრილობაშ ხაზი გაუსვა ერისათვის ტურიტორიის დიდ მნიშვნელობას⁶⁵.

ქუთაისის კრების მუშაობის ანგარიში დაწერა, გამრავლდა და დაიგზავნა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც კი ქართველ სტუდენტთა წრები არსებობდა. ამ ანგარიშის საფუძველზე შედგენილ უანდარმერისის პატავიდან ჩანს, რომ კრებაშ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის მიზნად გამოაცხადა სამშობლოს სამსახური, ცარიშმის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლება. ყრილობაშ სტუდენტთა იდეალების განხორციელების ქრთ-ერთ წანაძირობად მიიჩნია რუსეთის მართვა-გამგების სისტემის შეცვლა, იქ დემოკრატიული წყობილების დამყარება. ყრილობაშ, მართალია, უარყო რუს რევოლუციონერებთან ორგანიზაციული გერთიანების აზრი, მაგრამ არა იმიტომ, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ცარიშმის

⁶⁴ ЦГИА УССР, ф. 385, оп. 1, д. 497, лл. 9—10.

⁶⁵ ზ. შველიძე. რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბ., 1969, გვ. 56—57.

წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, არამედ მხოლოდ იმ მოტივით, რომ არ დაეკარგათ ისედაც მცირერიცხოვანი ინტელიგენტური ქა-ლები, რაც უფრო საჭირო იყო ეროვნულ ნიადაგზე მუშაობისა და ბრძოლისათვის⁶⁶.

ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ მოითხოვა საქართველოში ფარული ოჩვანიზაციის შექმნა, რომელსც გამარტინიანებელი ცენტრის როლს შეასრულებდა. სტუდენტებს მიაჩნდათ, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული მტკიცე ოჩვანიზაცია დიდ როლს შეასრულებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სახალხო რევოლუციის მომზადების საქმეში⁶⁷. ამასთან ერთად გადაწყდა შეიძრო ურთიერთობის დამყარება ყველა სტუდენტთან, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან და მოსწავლე ახალგაზრდობისთან. დელეგატები შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად ჩაეტარებინათ სტუდენტთა ოჩვანიზაციის ყრილობები.

ქუთაისის ყრილობამ, მართალია, საფუძველი ჩაუყარა ქართველ სტუდენტთა ერთიან პოლიტიკურ ოჩვანიზაციის, მაგრამ ამით მუშაობა, რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა. რესეფის საუნივერსიტეტო ქალაქებში კვლავ გრძელდებოდა საგაბაასი ოჩვანიზაციის მიზნებსა და საქმიანობის მეთოდებზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გარშემოს უმაღლეს სასწავლებლების ქართველი სტუდენტები. სწორედ მათ უწოდეს ჩამოყალიბებულ ოჩვანიზაციას „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და მათვე შეაღინეს პროგრამის პროექტი.

ვარშვის წრებ პროგრამისა და წესდების შედგენა დაავალა კომისიის. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მიხეილ მირიანშვილი და ნიკოლოზ შენგელია. უანდამერიის მასალებიდან ჩანს, რომ ნ. შენგელისა თავის ხელით გადაუწერია პროგრამისა და წესდების ასი ეგზემპლარი და გადაუგზავნია ოდესაში სტუდენტივანე აბაშიძისათვის. ამ უკანასკნელს ევალებოდა პროექტი გაევრ-ცელებინა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრებს შორის, რომელნიც თავის თვალსაზრისს გამოთქვამდნენ პროგრამის აკეთ-განმობაზე. მალე ი. აბაშიძემ ნ. შენგელის აცნობა, რომ ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა წრე ძირითადად იწონებს „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამის პროექტს. ჩვენს

66 ЦГИА УССР. ф. 385, оп. 1, д. 497, лл. 9—10.

67 ზევლიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

თვალსაზრისს უფრო დაწვრილებით მოგვიანებით შეგატყობის
ნებთომს.

Հանճարմերուս յշտանուս պրոլոցիս անցարկնուս և „լուցու“ პարագաներու գործառնութիւն անալունու Մեմքայ օմ դասկանամք թուզութ, համ յարտցաւ Տրամադրութա թիրայեցիս ցարտուանեցիս և „Տայարտցաւ-լուս տացուս լուցութեցիս լուցու“ Մեյթնուս օնուցուարութ ուս արմացուս թիր. Կայլա թիր թ մեարու դասպարու ամ մնացուարութ ուս դա Երանցնուլու տացուս լուցութեցիս տացուս սահմանալութ և բարձրեցին.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა-წესდების დღედანი ქართულ ენაზე ყოფილა დაწერილი. მისი რესული თარგმანი უანდარმერიის დავალებით შესრულებულია აზიის დეპარტამენტში და სწორედ ეს თარგმანი შემორჩია ანქივაციებში.

პროგრამის პრესტიულაში ნათქვამია: საქართველო დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფება. ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ენის, ზედ-ჩვეულების და მიწის ღვარების საფრთხე. ქართველობა ჰყულებულია მატერიალურ კეთილდღეობას და გონიერივი განვითარების შესაძლებლობას.

ქართველი ხალხი თავის მრავალსაუკუნოები ისტორიის გან-
ძლებე ხშირად ყოფილა ასეთ მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამო-
სვალი მოუნახავს. მას არც ახლა დაუკარგავს იმედი. თავიდნ რომ
ეკიცილოთ ძალათა დაქსაჭიშულობა და ბრძოლა პერსებრული გავ-
ხართ ვაარსებთ „საქართველოს თავისუფლების ლიკაბა“.

„თავისუფლების ლიგა“ მიზნად ისახავს საქართველო გამოიყანოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განერაციების ფართო გზახე. იგი ეცდება ქართველ ხალხს აუქსინს თავის ჩამორჩენილობის მიზეზები, შეაგნებინოს თავისი მძიმე მდგომარეობა, დარაშორის ჩავრისახვან გათავისუფლებისათვის საბრძოლო ლად.

„ლიგას“ მხედველობაში აქვს აგრეთვე, განიგრძენ პროც-
რამის ავტორები, კავკასიის სხვა ხალხების მძიმე მდგრამარეობა და
სურს მათ შორისაც დამყარდეს ისეთი წესრიგი, რომელიც შეესა-
ბამება მი ერების ზნე-ჩვეულებას და რომელიც მათ დააყენებს ბედ-
ნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. მისათვის „ლიგა“ ეცდება სხვადასხვა
საშუალებით შეუწყოს ხელი კავკასიის ხალხთა ძალების ვართო-
ანებას, რომ მათ ერთად იბრძოლონ საერთო მტრის წინააღმდეგ.
ერთი სიტყვით, „ლიგას“ მიზანია კავკასიის ხალხებმა მოპოვონ
დამოუკიდებლობა და გაერთიანდნენ ფედერაციაში. რაც შეეხება

სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულთ, ჩვენ არ ვაპირებთ მათი ინტერესების უგულვებელყოფას. ლიგას იღეალია ისეთი წყუბოლება, რომელიც ყველა ეროვნებას მისცემს საშუალებას თავისუფლად გაუმჯობესოს მდგომარეობა. მომავლის ამ საზოგადოებაში აღვილი არ უნდა ჰქონდეს ეროვნების, რელიგიისა და რწმენის შევიწროებას.

ამგვარად, „ლიგა“ დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება არა მარტო ეროვნულ პრინციპს, არამედ საერთო საკაცობრიო პრინციპს⁶⁹.

შემდეგ პროგრამის ავტორები ლაპარაკობენ იმ საშუალებებზე, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მიზანდასახულობათა განხორციელებას:

1) ჩვენ დავეხმარებით რუსებს მონარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ძირმომბალი რეუიმის დამხობა ყველა ხალხის ინტერესებს პასუხობს. დემოკრატიული წყობილების პირობებში იმპერიის ხალხები მიიღებენ გარკვეულ პოლიტიკურ თავისუფლებას, რაც თავისთვად გააღვილებს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას.

2) ვეცლებით მოვიპოვოთ ევროპის ხალხების და გამოჩენილ დიპლომატთა თანაგრძინობა-მხარდაჭერა.

3) „ლიგას“ მოქმედების გეგმაში შედის რუსეთის იმპერიის და ჩაგრულ ხალხთა (პოლონელები, ბალტიისპირელები, ფინელები და სხვ.) ცხოვრების გაცნობა და მათთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ამ ხალხების ერთიანი ორგანიზაცია და ერთსულოვანი მოქმედება გააღვილებს ყოველი მათგანის ბრძოლის დამოუკიდებლობისათვის.

4) თავისუფლების მოპოვების მთავარ საშუალებას ჩვენ ვხედავთ ხალხის განათლებაში და ამიტომ „ლიგა“ ეცდება აუხსნას ქართველებს და სხვა კავკასიელებს მათი მძიმე მდგომარეობა, გამოიწვიოს ამ ერებში თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. რაც შეეხება ბრძოლისათვის საჭირო იარაღს, „ლიგა“ დაუყოვნებლივ შეუდგება კაპიტალის შექმნას, რაც თავის დროზე გამოყენებული იქნება იარაღის შესაძენად. თუ რუსეთის მონარქისტული სახელმწიფო შინაგანი ან გარეშე მიზეზების წყალობით შესუსტდება, „ლიგა“ ეცდება გამოიყენოს ასეთი ხელსაყ-

69 სსცია, ფ. 12, ანაწ. 13, საქ. 438, ფურც. 2—4.

რელი სიტუაცია, ააფრიალოს საერთო ქავკასიური აგანყების დროზა, იბრძოლოს დასახული მიზნების განხორციელებისათვის და დამართვა

შემდეგ პროგრამაში ლაპარაკია იმ წყობილებაზე, რომელიც უნდა დამყარებულიყო თავისუფალ საქართველოში. დოკუმენტიდან ჩანს, რომ „ლიგის“ ლიდერთა იდეალი იყო დემოკრატია და თეითმმართველობა. ფარულ ორგანიზაციის ხალხი უნდა მოემზადებინა თვითმმართველობისათვის, რათა თავისუფლების მოპოვების. შემდეგ უარეს მდგომარეობაში არ ჩავიარდნილიყო. „თავისუფლების ლიგის“ მესვეურთა აზრია, თუ ხალხი არ მომზადდებოდა თავისუფლების გამოყენებისათვის, ისე აზრიც არ ჰქონდა თავისუფლებისათვის ბრძოლას.

მდენად, ნათევამია პროგრამის დასკვნით ნეტილში, „ლიგა“ დარწმუნებულია, რომ ემსახურება წმინდა საქმეს და იმედი აქვს საყოველოთ მხარდაჭერისა. ფარული ორგანიზაცია შეახსენებს ქართველებს გამოღვიძების დროის დადგომს. ქართველებმა უნდა შეიგონონ, რომ კერძო ინტერესებთან ერთად და მის გვერდით არ სებობს საზოგადოებრივი ინტერესები. ჩვენ გვწამს, რომ ქართველ ხალხს არ დაუკარგავს თავისუფლების მოპოვების იმედი. ქართველმა ხალხმა გაუძლო ისტორიის ქარტეხილებს, რაღაც მშობლიურ მიწაში ლრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ქართველი ერი სიცოცხლისუნარიანია. „ლიგა“ იმედოვნებს, რომ ყოველი ქვემარიტი ქართველი მისი წევრი გახდება.

ქართველებო, „ლიგა“ ერთხელ კიდევ შეგახსენებთ ჰამლეტურ კითხვას „ყოფნა თუ არ ყოფნა“. ერთსულოვნად ვთქვათ „ყოფნა“ და დავიწყოთ მოქმედება⁷⁰.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ლიდერები ცდილობდნენ ფარული საზოგადოება გადაექციათ მტკიცე ორგანიზაციად, რომლის წევრები დაემორჩილებოდნენ გარევეულ წესრიგსა და დისკიპლინას. ამიტომ მათ შეადგინეს „ლიგის“ წესდებაც.

წესდების თანახმად, „ლიგის“ წევრად შეიძლება გამზარიყო ყველა მოქალაქე, ეინც თანაუგრძნობდა მის მიზანს და იმსახურებდა ნდობას. გათვალისწინებული იყო ორი სახის წევრობა—წევრნი მოქმედნი და წევრნი თანამეგრძნობნი.

„ლიგა“ იყოფოდა სექციებად. თითოეულ სექციაში ირტებოდა 10 მოქმედი წევრი. ყოველი სექცია „ლიგის“ ცენტრალურ კომიტეტში გზავნიდა თითო წარმომადგენელს. ცენტრალური კო-

70 სსკია, ფ. 12, ანაწ. 13, საქ. 438, ფურც. 2—4.

მიტეტი კი ირჩევდა თავმჯდომარეს, მოლარეს, ბიბლიოთეკარს და რედაქტორს. ცენტრალურ კომიტეტს ევალებოდა მოეწვია „ლიგის“ უფლების მორიგეობის შემთხვევაში სამაგისტრო უნივერსიტეტის მინისტრი უნდა ეცნობებინა „ლიგის“ წევრებისათვის ყრილობის დღის წესრიგი.

წესდების ძალით ცენტრალურ კომიტეტს ევალებოდა გაეცრ-ცელებინა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობდა „ლიგის“ მიზნების განხორციელებას. კერძოდ, მას უნდა გამოვკვლია: 1) შობლიური ქვეყანა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ნაშრომები დაეწერა პოპულარულად, ხალხისათვის გასაგები ენით. 2) ქართველი ხალხისათვის გაეცნო იტალიელების, ბერძნების, სერბების, ბულგარელების, მადიარებისა და ირლანდიელების ეროვნული მოძრაობის ფაქტები. 3) შეესწავლა ინტერნაციონალიზმის ისტორია. 4) დაეარსებინა „ლიგის“ ბეჭდვითი ორგანო.

ამასთან ერთად, ცენტრალურ კომიტეტს ხალხში უნდა გაეცრ-ცელებინა თავის გამოცემები, გაეწია „ლიგის“ პრინციპების სიტყვიერი პროპაგანდა, მშეიქრო ურთიერთობა დაემყარებინა კავკასიონისა და იმპერიის სხვა დაჩაგრული ხალხების ორგანიზაციებთან, კავშირი ჰქონოდა რეს სოციალ-დემოკრატებთან. „ლიგის“ ცენტრალურ კომიტეტს ეკრანებისათვის უნდა გაეცნო საქართველოს წარსული და აწყვო, მიმოწერა გაემართა ეკრანის გამოჩენილ დიდლოგატებთან. ცენტრალური კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე „ლიგის“ წევრების კონტროლი და თავის წარმომადგენელთა გაგზავნა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

წესდების თანახმად „ლიგის“ შემოსავალს შეადგენდა საწევრო შენატანები და შეწირულებანი. ყოველი წევრი ვალდებული იყო სალაროში შეეტანა თავის შემოსავლის 1% და თანაც ეზრუნვა ორგანიზაციის შემოსავლის სხვა წყიაროთა გამრავლებისათვის. ლიგის ყოველ სექციის ჰქონდა საკუთარი სალარო, რომლის შემოსავლის 50% იგზავნებოდა ცენტრალურ სალაროში და იგი იხარჯებოდა ცენტრალური კომიტეტის შეხედულებისამებრ. სექციებს უფლება ჰქონდათ დარჩენილი თანხა დაეხარჯათ ცენტრალური კომიტეტის ნებართვის გარეშე, მაგრამ შემდეგ უნდა წარედგინათ ამ დანახარჯის ანგარიში.

„ლიგის“ წლიური შემოსავლის 25% ირიცხებოდა ხელშეუხებელ კაბიტალში, რაც საჭიროების დროს გამოყენებული იქნებოდა

იარაღის შესახენად. თანხის გარკვეული ნაწილი დაიხარჯებოდა „ლიგის“ გამოცემებზე, აგრეთვე დახმარების სახით მიეცემოდა ორგანიზაციის მოქმედ წევრებს.

წესდება ითვალისწინებდა „ლიგის“ პრინციპების ღალატისათვის მყაფრ სასჯელს, გამცემლობისათვის კი დახვრეტას⁷¹.

პროგრამისა და წესდების შედგენის შემდეგ „საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ რამდენადმე გააცხოველა საქმიანობა. სტუდენტთა წრეებს შორის დამყარდა უფრო მჭიდრო კავშირი, საქართველოში ჩამოყალიბდა „ლიგის“ სექციები, რომელშიც გაერთიანდნენ უმაღლეს საქართველოში კულტურულმომთავრულნი, საშუალო სკოლის უფროსკლასელები და სხვა თანამგრძნობნი.

1893 წლის ივლისის ბოლოს თბილიში ჩატარდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მეორე ყრილობა. ყრილობის მონაწილეთა და მასზე განხილული საკითხების შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. უანდარმერიამ მხოლოდ იმის დადგენა შეძლო, რომ პირველ ყრილობასთან შედარებით „ლიგის“ მეორე ყრილობა ნაკლებ წარმომადგენლობითი იყო. მასში მონაწილეობდნენ თელო სახოვია, ვარლამ ჭიჭიაძე, ვახტანგ ლამბაშიძე, შიო დედაბრიშვილი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, გორგი დეკანოზიშვილი და მაკაშვილი. ყრილობის მსგალობის საგნად კვლავ იქცა საკითხი ორგანიზაციულად გაერთიანებულიყვნენ რუს რევოლუციონერებთან, თუ დამოუკიდებლად, ეროვნულ ნიადაგზე გაეშალათ რევოლუციური მუშაობა. აზრთა სხვადასხვაობა იმდრენდ დიდი იყო, რომ დადგენილების მიღება არ მოხერხდა⁷². ყრილობაზე განხილული სხვა საკითხების შესახებ მასალა არ გავაჩინია.

„საქართველოს თავისუფლების ლიგამ“, როგორც ჩანს, გარკვეული ლონისძიება ჩაატარა დასაცელეთ ევროპასთან დასაქაეშირებლად. 1893 წლის 25 დეკემბერს გ. გვაზავა პარიზიდან მიშას (ალბათ მიხეილ ხელთუფლიშვილს) სწერდა, ნ. ნიკოლაძეს სთხოვე გამომიგზავნის სარეკომენდაციო ბარათი რომელიმე პოლიტიკური მოღვაწისადმი. მე, მართალია, ვიცნობ ზოგიერთი მინისტრის. შეიღებს, მაგრამ რეკომენდაცია საქმეს გამიადვილებსო⁷³. ჩვენ არ ვიცით შეძლო თუ არა გ. გვაზავამ დასაცელეთ ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეებთან კავშირის დამყარება. მაგრამ დამოწმებული წერილი

71 სსკია, ფ. 12, ანაწერი 13, საქ. 438, ფურც. 5—7.

72 იქვე, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 11.

73 სსკია, ფ. 153, ანაწ. I, საქ. 3202, ფურც. 104.



ცხადყოფს, რომ ნ. ნიკოლაევ თანაუგრძნობდა „ლიგის“ უზრუნველყოფის სახულობას და ალბათ კიდეც ეხმარებოდა მის ორგანიზატორებს საქმიანობაში.

„ლიგამ“ სცადა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. რადგან „მავნე მიმართულების“ ორგანოს გამოცემა რუსეთში ძნელ და სარისკო საქმეს წარმოადგენდა, უურნალის გამოცემა ნავარაულევი იყო კონსტანტინოპოლში. სამწუხაროდ, ეს განზრახვა შეუმჩნეველი არ დარჩენილია. 1894 წლის 22 სექტემბერს რუსეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი აცნობებდა თბილისის გუბერნატორს, რომ სიკო ლარაძე და სალარიძე შუამდგომლობენ თურქეთის მთავრობის წინაშე, მიიღონ ნებართვა გარსეცენ უურნალი, რომელიც მოამზადებს კავკასიის განთავისუფლებას. რუსეთის მთავრობის მოთხოვნით თურქეთის პოლიციამ დასახელებული პირები დააპატიმრა⁷⁴.

1894 წელს უანდარმერიას ხელში ჩაუვარდა „თავისუფლების ლიგის“ პროგრამა და წესდება. მთავრობამ მიიღო სათანადო ზომები და მოკლე ხანში ფარული ორგანიზაციის თითქმის ყველა აქტიური წევრი დაპატიმრა. გამოძიებისა და რეპრესიების ქვეშ მოვქცნენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, თედო სახოკია, შიო დედაბრიშვილი (არავისპარელი), გიორგი დეკანოზიშვილი, იოსებ ჩარეჯიშვილი, ილია ჭიშკარიანი, ანტონ გელიაზაროვი, გიორგი გვაჩავა, ვახტანგ ლამბაშიძე, იაკობ ფანცხავა, დავით მდივანი, ივანე ელიაშვილი, ნიკოლოზ ჭაველი, ნიკოლოზ ნავაშიძე, დავით მიქელაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე კორდანია, ნიკოლოზ შენგელია, ივანე აბაშიძე, მიხეილ მირიანაშვილი, სიკო ლარაძე, არქიპო მესხელიშვილი, მიხეილ მელიქიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვაშაკიძე, ჩიქოვანი, გაჩაიძე და სხვ.

ერთ წელს გაგრძელებულმა გამოძიებამ და სასამართლო პროცესშია დაადგინა ლიგის წევრთა მავნე განზრხეავა, დანაშაულებრივი საქმიანობა, მაგრამ მთავრობამ გარკვეული მოსაზრებით საჭიროდ არ ჩათვალა სტუდენტთა ფარული ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. სტუდენტებს წინასწარი პატიმრობა სასჯელის მოხდაში ჩაუთვალეს, ყველანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და მეტადაულები ხნით უანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ დასტოვეს⁷⁵.

74 იქვე, ფურც 1.

75 დეტალურად „თავისუფლების ლიგის“ განადგურების შესახებ იხ. ზ. შველიძის დასახ. ნაშრ., გვ. 89—97.



ფარული ორგანიზაციის პროგრამის ანალიზსა და მისი შემთხვევაში ბის საქმიანობის ხასიათზე დაკიტებების იმ დასკვნამდე მიღყავართ, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნულ-რევოლუციური პარტიის ჩანასახი. მაგრამ იგი არ ამეღავნებდა ეროვნულ შეზღუდულობა-განკერძობულობას. ამ ორგანიზაციის წევრებს მიაჩნდათ, რომ ჩაბმული იყვნენ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში, თავისი წვლილი უნდა შეეტანათ ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების საქმეში.

„ლიგა“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. მაგრამ თავის მთავარ ამოცანად მიაჩნდა ქართველი ხალხის მომზადება ეროვნული რევოლუციის, თვითმმართველობისა და ქართული სახელმწიფო მიმობის შექმნისათვის: „ლიგა“ იყენებდა ბრძოლის როგორც შევიდობიან, ისე არამშვიდობიან ფორმებს. მისი რადიკალი წევრები ეწეოდნენ აჯანყების იდეის პროპაგანდას, ემზადებოდნენ იმპერიის ჩაგრული ხალხების ერთობლივი ანტიცარისტული გამოსვლისათვის.

პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ „თავისუფლების ლიგის“ სოციალური კრედიტუნდოვანი და კომპრომისულია. მაგრამ პროგრამის ცალკეული მუხლები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წევრთა ერთი ნაწილი კვლავ იმყოფებოდა უტოპიური სოციალიზმის, ხალხისნური იდეოლოგიის გავლენაში, ზოგი იზიარებდა ახლად ფორმირებული სოციალ-დემოკრატიული წრეების იდეალებს. უმრავლესობა იდგა საერთო დემოკრატიულ პოზიციაში, არ სცილდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს.

მსოფლმხედველობრივი სხეადასხვაობა იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ვერ გადაიქცა მონოლითურ ორგანიზაციად, ერთიან პარტიად. ეს ცხადი გახდა მოგვიანებით, როცა „თავისუფლების ლიგის“ ყოფილი წევრები იომოჩნდნენ სხეადასხვა პარტიებში, უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტი და ეროვნული დემოკრატი გახდა, უმცირესობა კი მარქსიზმის პოზიციაში დადგა.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“, მართალია, დღემოკლეალმოჩნდა, მაგრამ გადაჭრებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ

„ლიგამ“ თავისებური ეტაპი შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულობის გამათავისუფლებელ მოძრაობაში, ქართული სახელმწიფო ეროვნული აღდგენისათვის ბრძოლაში.

ვიოთხვ თავი

საქართველოს ავტონომიის პროგლემა და პოლიტიკური პარტიები XX ს. დამდეგს

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესუეურთა პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს დამოუკიდებლობის ოდგენა, ქართული სახელმწიფო ეროვნული საფუძველზე რეორგანიზაცია იყო. მაგრამ თერჯდალეულები ანგარიშს უწევდნენ არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს და ძალაუნებურად კეცუავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. XIX ს. 60-იანი წლების შემდეგ შექმნილ სიტუაციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და გასში შემავალი ერების ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად მოწყობას. ავტონომიური საქართველო, მათი აზრით, წარმატებით განავითარებდა ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას და საპატიო ადგილს დაიკავებდა ფედერაციული რუსეთისა და მსოფლიოს ერთა ჩიგებში.

რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციისა და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეა, როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძემ „წამოაყენა „ივერიის“ ფურცლებზე. ამ იდეის პროპაგანდას გაზეთი 90-იან წლებშიც განაგრძობდა. მაგრამ ფედერაცია-ავტონომიის პრობლემას განსაკუთრებით დიდი ადგილი „ივერიის“ რედაქციის დაუთმო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

საერთო დემოკრატიულ პოზიციაზე მდგარი „ივერია“ მიესალმა რევოლუციას და შეცადა საქართველოს მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა უპირველეს ყოვლისა თავის ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის გამოეყენებია.

„ივერიის“ პუბლიცისტებს სახელმწიფო მიაჩნდათ ზეპირის გადა
ბრივ ორგანიზაციად, რომელიც ერთს ძალს ეყიდვა გამოარებოდა და მთელი
ერთს ინტერესებს იცავდა. როცა ხალხი გაუნათლებელი და პოლი-
ტიკურად მოუმზადებელი იყო მონარქიულ წყობილებისაც ეგუე-
ბოდა. მაგრამ ხალხი გამოფეხიშლდა, პოლიტიკური საქმიანობისათ-
ვის მომწიფება და მართვა-გამგეობის ძევლი ფორმები აღარ აქმა-
ყოფილებსო. გაზეთის პუბლიცისტები იღეალად დემოკრატიულ სა-
ხელმწიფოს თვლილნენ, პარლამენტარიზმის, კანონის წინაშე თანა-
სწორობის და საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპებს ქა-
დაგებდნენ. მათი აზრით, სადაც საყოველთაო-საარჩევნო სისტემა
იქნებოდა შემოღებული, იქ საესებით შესაძლებელი გახდებოდა
უმცირესობის დათრგვნება და უმრავლესობის გაბატონება.

გაზეთის პუბლიცისტები იწუნებდნენ ცენტრალიზებული მარ-
თვა-გამგეობის პრინციპს, განსაკუთრებით მიუღებლად თვლილნენ
მას მრავალეროვნულ სახელმწიფო პირობისათვის. მათი მთლიანობის
დარღვევა საჭირო არაა, მაგრამ აუცილებელია ერების გარკვეუ-
ლი გამიჯვნა. ეს ერები ავტონომიური პოლიტიკური ერთეულების
სისით უნდა მოეწყონ, „საერთო საქმეების მისაწყობად“ ერთმანეთს
უნდა შეუერთდნენ, „თვითან შინაურ, ადგილობრივ საქმეების
მართვა-გამგეობაში კი ერთმანეთზე სრულებით არ უნდა იყვნენ და-
მოკიდებული“¹.

„ივერიამ“ მალე დაანება თავი სახელმწიფო წყობილების ფორ-
მათა შესახებ აბსტრაქტულ მსჯელობას და კონკრეტულად რუსე-
თის იმპერიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ დაიწყო
სჭაბაასი. რევოლუციის აღმავლობის პარალელურად გაზეთის ტრ-
ნი თანდათან უფრო გაძელდული, პოლიტიკური მიზანი კი უფრო რა-
დიკალური ხდებოდა. გაზეთის პუბლიცისტები სიხარულით აუშე-
ბდნენ მკითხველებს, რომ რუსეთის ხალხებმა გაიღვიძეს, პოლიტი-
კური ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ, დამფუძნებელი კრებისა
და საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი პარლამენტის მოწვევას
მოითხოვენ.

„ივერიას“ რედაქციის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა
ხალხის წარმომადგენელთა კრებისა და განახლებული სახელმწი-
ფო ორგანოების აგების პრინციპი. მას არ აქმაყოფილებდა „ცენ-
ტრალიზმის საფუძველზე“ აგებული პარლამენტი, იგი ერების შულ-
სა და წინააღმდეგობას ვერ აღმოფხერის, სახელმწიფოში კეშმა-

¹ „ივერია“, 1905 წ. 25 ოებერვალი, №9.

რიტ მშევიდობიანობას ვერ დაამყარებსო. „ამ ეროვნული განხეთქა-
ლებისა და უნაყოფო ბრძოლის თავიდან ასაცილებლად, — ჩათქმული
მია გაზეთის მოწინავეში, — ითხოვენ სხვადასხვა ერის წარმომად-
გენლები, რომ ახალი წყობილების შემოღების დროს მხელელობა-
ში აქნეს მიღებული რუსეთის ხალხების სხვადასხვაობა... და ამი-
ტომ ხალხის წარმომადგენლობა იყოს აგებული დეცენტრალურა-
ის პრინციპზე, ე. ი. ითხოვენ იმას, რომ ყოველ ეროვნების მიერი-
კოს ცალკე არსებობის უფლება, თავის საკანონმდებლო პარლამენ-
ტი, თავისი ავტონომია“. რუსეთის ხალხების ამ მოთხოვნილებათა
დაქმაყოფილებით მოისპობა ეროვნული შულლი და რუსეთის მთლი-
ანობა კიდევ უფრო განმტკიცდება².

კაპიტალიზმის განვითარებამ და რუსეთის ცარიზმის პოლიტი-
კამ ამიერკავკასია ერთ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ რეგი-
ონად აქცია. გაძლიერდა ერების ურთიერთშერევა, გაფართოვდა
მათი ეკონომიკური და კულტურული კავშირები. პირველი რევო-
ლუციის ხანაში, რომელიც აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდიც იყო, აქტიურად დაისვა
ამიერკავკასიის ერთა ურთიერთობის, მათი პოლიტიკური თანა-
ცხოვრების მოგვარების საკითხი.

„ივერიის“ რედაქციის გეგმით, ფედერაციული რუსეთის შემა-
დგენლობაში უნდა შესულიყო ფედერაციული ამიერკავკასია, რო-
მელიც შეიქმნებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიების გა-
ერთიანების გზით. რედაქცია აქტიურებდა სომხეთი ბურუუაზიის ლი-
დერებს, რომელნიც, მართალია, მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის ავტონომიას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ მხარის ცალკეულ ეროვ-
ნებათა ავტონომიების შექმნის იდეას. „ჩვენც მომხრე ვართ კავკა-
სის ავტონომიურ თვითმმართველობისა, — წერდა „ივერიის“ რე-
დაქცია, — ჩვენც აუცილებლად მოგვაწნია ერთა შორის კავშირი
... მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვინდა განსაზღვრული ტერიტორიის
ფარგალში ეროვნული ახსებობა და მთლიანობის შენარჩუნება. კავ-
კასის თვითმმართველობის ცენტრალური ორგანო არ უნდა ეხე-
ბოდეს ისეთ საქმეს, რომელიც თითეული ერის და კერძოდ ქარ-
თველი ერის შინაური ცხოვრების მოწესრიგებას შექება და იქ გა-
დასაწყვეტილ მხოლოდ ისეთი საკითხები უნდა გადადიოდეს, რო-
მელიც მთელი კავკასიის ხალხთა სოციალ-პოლიტიკური დამკი-
დებულებისა და ურთიერთობის მომწესრიგებელია“. უფლება არ

2 „ივერია“, 1905, № 44.

გვაქვს სომეხი ბურჟუაზიის მეთაურებს ჩვენი აზრი მოვახდით. ისე კი კარგად ვხვდებით, რომ მათი ანტიპათია ავტონომიის მიმართ სომეხი ხალხის დასახლების ხსიათით (გაფანტულობა) არის გამოწვეული, რაც არ კმარაო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის უარსაყოფად.

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ქართველი თავადაზნაურობის მსჯელობის საგანიც გახდა. მაღალი წოდების წინამდოლთა და დეპუტატთა კრებამ 24 წლის შემდეგ გაიხსნა ი. ჭავჭავაძის წინამდებარება, ანგარიში გაუწია ქართველი ხალხის დიდი ნაწილის განწყობილებას და დაადგინა, რომ აღეძრა შუამდგომლობა მეფის მთავრობის წინაშე საქართველოსათვის ავტონომიის ბოძების თაობაზე. „ჩვენ აღტაცებით ვეგებებით, — წერდა „ივერიის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი, — თავადაზნაურობის ასეთ გადაწყვეტილებას. ახლა ისეთი დროა, რომ თვითონ ცხოვრება ყველას ძალაუნებურად წინ ეწევა და აძალებს მოწინავე აზრების შეთვისებას. უკან ჩამორჩენა და განვლილი ცხოვრების ტრიფიალი მომახსწავებელია ყველასათვის სიკეთილისა და საკუთრის ხელით დამარტინისა. ამას ეტყობა კარგად გრძნობს ჩვენი თავადაზნაურობა და ამიტომაც ამ შემთხვევაში იგი დაადგა ისეთ გზას, რომელიც მთელი ქართველებისათვის ეროვნული სიკეთისა და სარგებლობის აღმთქმელია“.

„ივერიის“ თანამშრომელმა, ჩანს, კარგად იცოდა, რომ თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი კონსერვატიულ და რეაქციულ პოზიციაზე იდგა, ავტონომიას თავის წოდებრივი პრევილეგიების განსამტკიცებელ საშუალებად თვლიდა. მაგრამ მთავარიამ ავტონომიის დედააზრი და „ჩვენც სწორედ ამ დედააზრის გულისათვის ვაგებებით თანაგრძნობით თავადაზნაურთა გადაწყვეტილებას“.³ თუ დედააზრი განხორციელდა და ჩვენს ქვეყნას თვითმმართველობა მიიცა, ქართველ ერს არ გაუჭირდებათ ავტონომიური მართვა-გამუეობის დემოკრატიულ საფუძველზე აშენება⁴.

ივერიის ჭგუფს, რომელსაც ამ პერიოდშიც ტომს ი. ჭავჭავაძე აძლევდა, სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა ავტონომიისათვის ბრძოლაში თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ჩაბმა, მაგრამ თავის მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ საყრდენს იგი ხალხის ფართო ფენებში ხედავდა. გაზეთის პუბლიცისტთა უმრავლესობა აღიარებდა

³ „ივერია“, 1905, № 37, № 38.

⁴ „ივერია“, 1905, № 42.

ქართველი საზოგადოების პოლიტიკური დიფერენციაციის და
კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავების ფაქტს მია-
კარგად იცოდნენ, რომ შეუძლებელი იყო შეურიგებელთა შერიგე-
ბა, მებრძოლ კლასთა შორის ზავის ჩამოგდება და ავტონომისტთა
ერთიანი არმიის შექმნა. ამიტომ „ივერია“ ძირითად იმედს მშრო-
მელ მასაზე ამყარებდა, იგი მიაჩნდა „ნაციონალური უფლებისათ-
ვის“ მებრძოლ მთავარ ძალად და თავის მოვალეობად მშრომელი
ხალხის სასისახლის აცხადებდა. „მთელი ერის ძალა და მერმისი, —
უკითხულობთ განეთის მოწინავეში,—ამ მშრომელი ხალხის გარჯა-
შრომაზეა დამყარებული და მისი ინტერესების უარყოფა მთელი
ერის უარყოფასა და განწირებს ნიშნავს“⁵.

„ივერიის“ პუბლიკისტები აღიარებდნენ, რომ „მშრომელი
ხალხის ინტერესთა ნამდეილი დამცველები“ სოციალ-დემოკრატე-
ბი იყვნენ, მაგრამ მათ ვერ გაეგოთ სოციალ-დემოკრატიული პარ-
ტიის ეროვნული პროგრამის არსი, გაუგებრიბად მიაჩნდათ ქართ-
ველი მარქსისტების მიერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაზე
უარის თქმა. „ივერიის“ ჯგუფი საერთო დემოკრატიულ თვალსაზ-
რისს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების ფარგლებს არ
სცილდებოდა. ასეთი წყობილების დროს კი განაპირო ქვეყნების
მშრომელთა ინტერესების დაცვა, მისი აზრით, მხოლოდ ავტონო-
მიურ ერთეულთა ფარგლებში იყო შესაძლებელი. „ივერია“ ზედ-
მეტად თვლიდა იდეოლოგიურ დავას, კლასობრივი ბრძოლის პრინ-
ციპს, შორეულ მომავალზე ქიცენტის გაკეთებას და საკითხს კონკ-
რეტულად სკამდა: სისახლებლო იყო თუ არა ქართველი ხალხისა-
თვის საერთოდ და მშრომელი მოსახლეობისათვის კერძოდ, დემო-
კრატიულ საფუძველზე დაარსებული ავტონომიური თვითმმართვე-
ლობა? განეთის ჩედაქცია, თითქმის მისი ყველა თანამშრომელი ამ
კითხვაზე დადგინდა პასუხს იძლეოდა. მათი აზრით, „დამოუკიდებე-
ლი დემოკრატიული თვითმმართველობა ისეთი პოლიტიკური ფარგ-
ალია, რომელშიაც ქართველ მშრომელ ხალხს საუკეთესოდ შეუძ-
ლიან დაცვას თავის ინტერესები და გააუმჯობესოს თავის ცხოვ-
რება“. ეს ჩენი სუბიექტური თვალსაზრისი როდია, ასეთი დასკვნა
საქართველოს მდგომარეობიდან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძა-
ლთა განლაგებიდან გამომდინარეობს. განეთის ჩედაქცია აღნიშ-
ნავდა, რომ ქართველი ხალხის თვითცნობიერება საკმაოდ მაღალია,
ერის კლასობრივი შემადგენლობა — თანაფარდობა, პოლიტიკური

5 „ივერია“, 1905, № 32.

პარტიების განწყობილება ისეთია, რომ ავტონომიურ საქართველო
საქანონმდებლო და ოლმასრულებელ დაწესებულებებში უპირატესად
სობას მზრომელი ხალხის წარმომადგენლები მოიპოვებენ, ფერდა-
ლურ-ბურუაზიული ელემენტები კი იქ ნიდავს კერ იძოვიანონ.

საერთო დემოკრატიულ პლატფორმაზე მდგარ გაზეთისათვის
აქ სადაც არაფრი იყო, მაგრამ პროლეტარული ინტერნაციონა-
ლიზმის პრინციპზე მდგარი სოციალ-დემოკრატებისათვის, რომელ-
ნიც ყოველგვარ მოვლენას მუშათა კლასის, მისი მომავლის ინტე-
რესების პოზიციებიდან აფასებდნენ, ავტონომიის მოთხოვნის და-
სასაბუთებლად ზემოთ მოტანილი არგმენტები სულაც არ აღმო-
ჩნდა საქართვისი. ამიტომ „ივერიის“ ჯგუფი დაუზარებლად აგრძე-
ლებდა ავტონომიის იდეის პრიპაგნდას, ცდილობდა მისაღები ვაე-
ხადა იგი სოციალ-დემოკრატებისათვის.

„ივერიის“ ჯგუფმა დაინახა, რომ ავტონომიის ცნებაში ყველა
კლასი თავისათვის სასურველ შინაარსს დებდა, ყოველი კლასი ავ-
ტონომიის თავის ინტერესებისათვის გამოყენებას ვარაუდობდა. მაგ-
რამ ეს გარემოება, ჯგუფის აზრით, არ გამორიცხავდა დაპირისპი-
რებული კლასებისა და პარტიების დროებით შეთანხმებას საერთო
დემოკრატიული ამოცანების შესასრულებლად. „ივერიის“ რედა-
ქციის განცხადებით, ყველას ინტერესი მოითხოვდა ბიუროკრატი-
ული წყობილების „თავიდან მოშორებას და მის ნაცვლად საზოგა-
დოებისათვის თავისუფალი განვითარების პირობათა შექმნას“.

„ივერიის“ რედაქციის აზრით, პოლიტიკური ცელით და
სებისათვის ოვითმიზანურ როდი წარმოადგენს. „თავისუფალი პოლი-
ტიკური წესწყობილება მიზანი კი არა, სამუალებაა, ერთი მხრით,
თითოეული კლასის ინტერესების დასაცავად და მეორეს მხრით, სა-
ერთო საზოგადოებრივი კულტურის გასაძლიერებლად. ...თავისუფ-
ლება აუცილებელი პირობაა ...ცხოვრებაში კონკრეტული სარეც-
ლობის მოსაპოვებლად, რომელიც სხვადასხვა კლასებს სხვადასხვა-
გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგი აქვთ. აქ არის „ერთობა“ სა-
შუალების მოიპოვებაში და არა მიზნისა და საბოლოო იდეალის გან-
ხორციელების საქმეში“. ზოგს შეიძლება მოეჩენოს, რომ ჩევნი
მსჯელობა განყენებულია, მას კავშირი არ აქვს რეალურ ვითარე-
ბასთან და ჩევნის ახლანდელ პოლიტიკურ საჭიროებასთან, მაგრამ
ეს ასე როდით. თუ რესეტის სხვადასხვა კლასებისაგან პოლიტი-
კურ თავისუფლებათა მოთხოვნა „მუშა ხალხს არ ართმევს კლასო-

ბრივ ნიადაგს“, ცხადია იგივე შეიძლება ვთქვათ საქართველოს შე-სახებაც. საქართველოშიც შეიძლება წამოყენებულ იქნეს ისტორია საერთო პოლიტიკური მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც თავისუფალი და დაუბრკოლებელი განვითარების საშუალებას შეუქმნის როგორც თითოეულ საზოგადოებრივ კლასს, ისე მთელ ერს, მთელ საზოგადოებას. ასეთი უნდა ყოფილიყო, რედაქტირის აზრით, მოთხოვნა და განხორციელება საქართველოს ავტონომიური მართვა-გამგეობისა, რომელიც თავისუფალი განვითარების საშუალებას შეუქმნიდა ერს, მის უკელა კლასს და აჩც პროლეტარიატის საბოლოო მიზნისათვის ბრძოლას დააბრკოლებდა⁷.

ამგვარად, „ივერიის“ ჯგუფი ცდილობდა სოციალ-დემოკრატებთან დროებითი ბლოკი მაინც შეეკრა და ამ გზით ავტონომისტთა ძალები მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა. მაგრამ საერთო-დემოკრატიულ პლატფორმაზე ქართველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების გაერთიანება შეუძლებელი აღმოჩნდა.

თერგდალეულების მიერ წამოყენებული ფედერაცია-ავტონომის იდეა სოციალ-ფედერალისტებმაც აიტაცეს და მის პროპაგანდას ეწეოდნენ ჯერ გაზ. „საქართველოს“, შემდეგ კი „ცნობის ფურცლის“ მეშვეობით.

1903 წელს ქართველ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა პარიზში დაარსა გაზ. „საქართველო“ და მასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სოციალ-ფედერალისტურ პარტიის. განეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა რედაქტირის „ლია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“, რომელშიც არსებითად პარტიის ეროვნული პროგრამა გაღმოცემული. ლია წერილში ნათქვამია: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშენარად ვამბობთ—ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანოების ჩარჩოებში, მხოლოდ მასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“⁸.

სოციალ-ფედერალისტების ორგანო ფართოდ აყენებდა პრობლემას. იგი საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის

⁷ „ივერია“, 1905 წ. 26 მაისი, № 85.

⁸ „საქართველო“, 1903 წ. № 1.

საკითხს რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციის უფრო დიდი საკითხის შემატებულება დაწილად თვლიდა. რუსეთის წინაშე, რედაქციის აზრით, შემდეგი გადაუდებელი პრობლემა იღვა: „შემუშავება იმკვარ წესწყობალებისა, რომელიც, ერთის მხრივ, აალორინებს სლავიანთა ელემენტს და მეორეს მხრივ, მშეიღობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირო ქვეყნებს შორის. ეს წესწყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული, ხოლო განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წესწყობილებამდის მიიყვანს. ...ჩვენ, ქართველებს გვეონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნული ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღვძარით რუსეთის მომავალი ფედერაციის საკითხისი⁹.

ქართველ სოციალ-ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ დიდი რუსეთის სახელმწიფოს ფედერაციულ საწყისებზე რეორგანიზაცია რუსი და სხვა ერების მოწინავე საზოგადოების საერთო ამოცანა იყო. ამიტომ ისინი საქართო პრობლემებზე თავის აზრს, მართალია, გამოთქვამდნენ, მაგრამ მთავარ ყურადღებას საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოს მოწყობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას აქცევდნენ. ფედერალისტების აზრით, საქართველოს ავტონომიის საკითხი თუმცა დაკავშირებული იყო კავკასიისა და მთელი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაციის პრობლემისთან, მაგრამ მას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდა. გამ. „საქართველოს“ პუბლიკისტები ასე მსჯელობდნენ: თუ საქართველოს ავტონომიური მოწყობისათვის უკვე არსებობს პირობები, საქმის გადადება სრულიადაც არაა საჭირო იმ დრომდე, ვიდრე ავტონომიისათვის მომწიფებელიან იმპერიის სხვა ერები. ვრცელი რუსეთის ფედერაციისათვის მოუმზადებლობა არ გვავალდებულებს გადაუდოთ სათანადო მოთხოვნის წამოყენება და საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ ოჩვანიშებაო.

გამ. „საქართველოს“ რედაქცია, მართალია, იხსენიებდა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატს და ავტონომიურ ქართლკახეთის სამეფოს, მაგრამ მას დაუშვებლად მიაჩნდა მონარქიის აღდგენა და საქართველოს განახლებული ავტონომიის აგებას კონს-

⁹ „საქართველო“, 1903 წ., № 1.

ტიტულიურ-პარლამენტურ საფუძველზე ვარაუდობდა. პარლამენტი აღისურებოდა საკანონმდებლო უფლებით. მის მიერ გამოტუქმებული კანონები განსახლერავდა აღმინისტრაციული ორგანოების, სასამართლოს, მილიციის, სკოლის და სხვ. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მოწყობა-საქმიანობას. საქართველოს ავტონომიის ფარგლებში სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდებოდა, შეგრძელებული კანონმდებლობა უზრუნველყოფდა ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ეროვნულ თავისებურებათა და ენების დაცვა-განვითარებას.

სოციალ-ფედერალისტების პროექტის მიხედვით ავტონომიური საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება შეასრულებდა შინაგანი მართვა-გამგების უკელა ფუნქციას. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება კი მას არ ექნებოდა. საქართველო თავის წილს შეიტანდა ფედერალურ პიუჯეტში საერთოდ და რუსეთის თავდაცვის ხარჯებში კერძოდ. რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს საერთო საქმეთა გამგებლობაში ავტონომიური საქართველო მონაწილეობას მიიღებდა ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილი წარმომადგენლების მეშვეობით¹⁰.

პარიზში გამომვალი გაზ. „საქართველოს“ რედაქტირა თავის ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის საქირო სოციალურ საყრდენს, ბუნებრივია, საქართველოში ექვებდა. იგი შეუძლებლად თვლიდა დაყრდნობოდა ერთი რომელიმე კლასის ძალის, მხარდაჭერის და უკელა სოციალურ ფენას საერთო ნიადაგზე კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებდა. მისი სურვილი იყო ბრძოლის ასპარეზზე ეხილა ქართველთა ერთიანი მძღვარი ლაშქარი, რომლის დროშაზეც წაწერილი იქნებოდა „ეროვნული თავისუფლებისა და ხალხის ეკონომიკური აღორძინების ლოშენგი“¹¹.

ქართულ ნიადაგს მოწყვეტილი გაზ. „საქართველო“ და მის გარშემოკრებილი სოციალისტ-ფედერალისტები დიდ გავლენას ვერ ახდენდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გვათავისუფლებელ მოძრაობაზე. სოციალ-ფედერალისტური პარტიის როლი რამდენადმე გაიზარდა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, როცა იგი გაზ. „ცნობის ფურცლის“ მეშვეობით ეწეოდა ავტონომია-ფედერაციის იდეის პროპაგანდას და ცდილობდა ავტონომიის მოპოვებას.

10 „საქართველო“, 1903, № 2.

11 იქვე, № 4.

„ცნობის ფურცლის“ რედაქტირის აზრით, ერთა თანასწორობაზე გამოიყენებოდა მოვლენას წარმოადგენდა. არ არსებობდნენ მაღალი და დაბალი კატეგორიის ერები, ყველა ერი ერთნაირად იყო გაჩენილი „თავისუფლებისა, სამართლიანობისა და ადამიანური ცხოვრებისათვის“. ხოლო სადაც ეს ბუნებრივი კანონი ირღვეოდა, სადაც ერთი ერი მეორეს ჩაგრავდა, იქ არსებობდა ეროვნული მოძრაობის საფუძველი. ამდენად, სოციალ-ფედერალისტებისათვის ეს პრინციპები აბსტრაქტული როდი იყო, მცირდოდ უკავშირდებოდა პოლიტიკას. თავისუფლება და თანასწორობა მხოლოდ მაშინ იქცეოდა რეალურ ცნებებად, როცა ერებს ჰქონდათ თვითმოქმედების შესაძლებლობა, იყვნენ საკუთარი თავის „გამგებელი და პატრონი“, გააჩნდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა. „თავისუფალი, თანასწორი და თვითმოქმედი ადამიანები, თავისუფალი თანასწორი და თვითმოქმედი ერები“, რაი არსებობს ერი და ეროვნება, უნდა არსებობდეს ეროვნული დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა—ასეთი იყო სოციალ-ფედერალისტების იდეალი¹².

სოციალ-ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული საკითხი ქართველი ხალხისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო „მწვევე საკითხი“ იყო. ეროვნულ საკითხში ისინი ძირითადად პოლიტიკურ შინაარსს დებდნენ, თავის უმთავრეს მიზნად ქართული სახელმწიფო ებრიობის აღდგენას აცხადებდნენ, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის იბრძოდნენ. მათი განხეთი დიდ უურადღებას აქცივდა ავტონომიისა და ფედერაციის პრობლემის დამუშავების, მაგრამ განსაკუთრებული გულმოდგინებით ავტონომიისტთა სოციალური ბაზის გაფართოებისათვის იღვწოდა. სოციალ-ფედერალისტების გულისწყრომას გამოთქვამდნენ სოციალ-დემოკრატების მისამართით, რომლებმაც თითქოს უსამართლოდ მიაკერეს მათ ბურუჟაზე ბული პარტიის იარღიყი და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი მცირერიცხვევანი ბურუჟაზის კი არის, არამედ მრავალრიცხვევანი მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავდნენ და სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ავტონომიას.

„რა არის აეტონომია? სეამდა კითხვას „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი სამსონ ფირცხალავა და თვითონვე პასუხობდა: „ეს არის საუკეთესო, დემოკრატიული, ხალხური წესწყობილება, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ...ჩვენი ეროვნული ავტონომია არაა ისეთი, სადაც გაბა-

12 „ცნობის ფურცლი“, 1905, № 2732.

ტონებული იყოს ოლიგარხია და უმცირესობა. არა, ჩვენ ეჭიოული
ლობთ ისეთ ეროვნულ იეტონომიის, რომელიც იქნება სრულიად
დემოკრატიული, რომელიც მოწყობილი იქნება ერის უმრავლესო-
ბის, მშრომელი ხალხის დასაცავად, რომელშიც გაბატონებული იქ-
ნება უბრალო ხალხი¹³.

სოციალ-ფედერალისტები საერთო დემოკრატიულ პლატფორ-
მაზე იდგნენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოცანების ფარგლებს
არ სცილდებოდნენ და ავტონომიის მოთხოვნას ამ ამოცანების გა-
დაწყვეტის საჭიროებით ხსნიდნენ. სოციალ-დემოკრატები უფრო
შორს იხედებოდნენ. ისინი კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტა-
რული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე იდგნენ, ყოველ მოვლენას
პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით ზომავდნენ. მათ გულ-
წრფელად სწამდათ, რომ პირველი რევოლუციის წლებში ავტონო-
მიის მოთხოვნა არ პასუხობდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძო-
ლის წარმატების ინტერესებს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ
ეროვნულ მოთხოვნათა წამოყენება შეაფერხებდა რუსეთის ვანმა-
თავისუფლებელ მოძრაობას. ჯერ დამტუქნებელი კრების მოწვე-
ვას, რუსეთის პროგრესული საზოგადოებრივი ძალების ყველა სო-
ციალურ-პოლიტიკური მოთხოვნის დაქმაყოფილებას უნდა მი-
ვაღწიოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დადგებათ ეროვნულ საჭირო-
ებაზე ლაპარაკის დრო. ზოგი სოციალ-დემოკრატი ეროვნული სა-
კითხის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გადადებას
მოითხოვდა.

სოციალ-ფედერალისტების აზრით კი ეროვნული საკითხი ბურ-
ჟუაზიული რევოლუციის დროს, დემოკრატიულ გარდაქმნათა პრო-
ცესში უნდა გადაჭრილიყო. საერთო დემოკრატიის პოზიციებიდან
ავტონომიისა და ფედერაციის საჭიროებას შედარებით დამაჭრებ-
ლად გ. ლასხიშვილი ასაბუთებდა. იგი აცხადებდა, რომ ვინც ეროვ-
ნული საკითხის გადადებაზე ლაპარაკობს, „მას არ ესმის აზრი და
შინაარსი თვით გამათავისუფლებელი მოძრაობისა. ...აგრეთვე
საკითხი ვერ გაუგია დღევანდელი ისტორიული მომენტის მნიშვ-
ნელობა.

დღევანდელმა რუსეთის მოძრაობამ, — განაგრძობს გ. ლას-
ხიშვილი, — წინ წამოყენა ორი დიდი საკითხი — პოლიტიკური
და სოციალური. გამოირკვა, რომ დღევანდელს პირობებში დარჩე-
ნა არ შეიძლება ...ამასთან გამოირკვა, რომ ცხოვრების ახალ მოთ-

¹³ „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2800.

ხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ძველ სახელმწიფო წყობრივობისა და ძალა აღარ შესწევს. ...თვით ხალხმა უნდა შექმნას ახალი ფორმები ცხოვრებისა, რომელთა ფარგალში უფრო სამართლიანად დაკავყითალდება მისი ნივთიერი და სულიერი საჭიროებანი და მასთან უკეთესი პირობები შეიქმნება ხალხის მომავალი იდეალებისათვის სამუშაოდ“.

რაյი ეს უამოირკვა, წერს შემდეგ აკტორი, ყველა საკითხმა აღვილი დაუთმო პოლიტიკას, მთავარი გახდა სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაციის პრობლემა. „დამფუძნებელი კრება მოწვეული უნდა იქნას ახალ სახელმწიფო ფორმების მოსაწყობად, ახალი ძირითადი კანონების შესაქმნელად. ...უცემელია ამ ძირითად კანონშივე უნდა იქნას აღნიშნული ეროვნებათა უფლება, ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი“.

გ. ლასხიშვილი აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის წინა პლაზე წამოწევა სრულიადაც არ აფერხებს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის ძირითადი მიზანი პოლიტიკური პრობლემების და მათ შორის ეროვნული საკითხის გადაწყვეტაა. ეს მარტო ჩვენი აზრი როდია. „დღევანდელი ისტორიული მომენტის მნიშვნელობა ასევე ესმის რუსეთის ყველა ერს, რომელიც კულტურულად ცხოვრობენ. ...ყველანი ენერგიულ მონაწილეობას იღებენ დღევანდელ მოძრაობაში, რადგან დარწმუნებული არიან, რომ შიდა რუსეთის საკითხთან ერთად უნდა გადაწყდეს განაპირა ქვეყნებისა და არარუსი ერების სკეპტიცია“.

„როგორი იქნება არარუსთათვის ახლო მომავალი?“ — ამ კითხვაზე გ. ლასხიშვილი ასე პასუხობს: „რაც უნდა ოპტიმისტები ვიყოთ, როგორი აზრისაც არ უნდა ვიყოთ გამათავისუფლებელი მოძრაობის მომავალ წარმატებზე, იმაში მაინც ყველანი დარწმუნებული ვიჩით. რუსეთი ვერ გადაწყვეტს ახლო მომავალში დაიდ სოციალური საკითხს; დიდი, დიდი რუსეთი გაუსწორდეს ევროპის მოწინავე სახელმწიფოებს და განახორციელოს ცოტად თუ ბევრად დემოკრატიული რეჟიმი. ამით არ მოისპობა ბურჟუაზიის ბატონობა და სოციალური ერთობა არ დამყარდება. ბურჟუაზიის ბატონობას კი თან სდევს... ერთი ერის მეორეზე გაბატონების პრინციპი. ამის უტყუარ მაგალითს ევროპის დღევანდელი სახელმწიფოები წარმოვეთებულია. სადაც კი არსებობს დამპურობელი და დაპყრობილი ერები, ეროვნულ დასაგვერასაც აღვილი აქვს და ერთა ბრძოლა აბრკოლებს კლასთა ბრძოლას ხალხთა შორის ნამდვილი გაერთიანების, სოლიდარობის დამყარებას... „რუსეთის არარუსმა ერე-

ბშა,—განავრძობს აეტორი, — იგემეს რუსეთის ცენტრალურიკომისადმის სიმწარე და ერთი ერის მეორეზე გაბატონების მნიშვნელობა. ამიტომაც ვხედავთ, რომ, მაგალითად, რუსეთის პოლონეთში უკიდურესი პარტიებიც კი თხოვლობენ აეტონომიას. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის მომავალი წესწყობილება ბურუუაზიული იქნება და არა თუ არ მოსპობს მწვავე ეროვნულ განხეთქილებას, არამედ კიდევ უფრო გაამშვავებს ერთა შორის ურთიერთობას. ხოლო ეს გარემოება, ე. ი. დაუსრულებელი ბრძოლა ერთა შორის შეაფერხებს სოციალური, კლასიურის თვითცნობიერების განვითარებას პოლონეთის ხალხისას და დააბრუოლებს მთელი რუსეთის მშრომელი ელემენტების ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ¹⁴.

როგორც ვხედავთ, გ. ლასხიშვილი ცდილობს სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისი მათივე არგუმენტებით დაარღვიოს და მათი არგუმენტებით დამტკიცოს აეტონომიური მართვა-გამჭვების საჩვებლიანობა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და მომავალი იდეალების გამარჯვებისათვის. იგი საქმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „ეროვნული საკითხის მდგრამარეობა დღევანდელ ბურუუაზიულ ცხოვრებაში ხელს უშლის წმინდა კლასობრივ ბრძოლას, აბრკოლებს მუშა ხალხის ბრძოლას კაპიტალთან. ეროვნებათა შევიწროება ზედმეტი უბედურებაა, რომელიც ავგიანებს ხალხის სრულ გამარჯვებას და ამიტომ დღეს ისე უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, რომ ამა თუ იმ ერს, რამდენადაც შესაძლებელია, ბრძოლა ალარ ჰქონდეს ეროვნული უფლების დაცვისათვის“.

ამ ჩვენი არგუმენტების წინააღმდეგ, გამარჯვებულის ტონით შენიშვნას გ. ლასხიშვილი, სოციალ-დემოკრატები ვერაფერს იტყვიან, ისინი ვერასგზით ვერ დამტკიცებენ, რომ აეტონომია ხელს უშლის პროლეტარიატს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ისინი აეტონომიას ბურუუაზიის მოთხოვნად აცხადებენ და ეროვნული საკითხის კეშმარიტ გადაწყვეტის პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ გვპირდებიან.

ეროვნული საკითხის რომანტიკოსები, წერს ბოლოს გ. ლასხიშვილი, არც სოციალ-ფედერალისტები არიან, მაგრამ ჩვენ იმ ფაქტიდან გამოვდივართ, რომ სანამ კაპიტალისტური წყობა არსებობს ეროვნული ჩაგრა არ მოისპობა და ეროვნული ბრძოლა არ შეწყდება. „ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ რუსეთის გამათავისუფ-

¹⁴ „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 27 აპრილი, № 2805.

ლებელი მოძრაობა პროლეტარიატის იდეალის სრული გამარჯვებულების ბით დამთავრდება, მაშინ ეროვნულ საკითხებზე ლაპარაკეს, რასეცვიტის უკლია, ზეღმეტად ჩაფიქრდით. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ აღრეა და ამლო მომავალში ბურუჟუაზია გაბატონდება. ყველა ამ ფაქტს ვუწევთ ანგარიშს და ვაპტერუებთ, რომ საჭიროა სრულიად რუსეთის ბურუჟუაზის დღესვე დაგეთმობინოთ ავტონომია, რათა მომავალში თავიდან აეიცილოთ ერთა გამწვავებული ბრძოლა, რომელიც ხელს უშლის კლასთა პირდაპირ ბრძოლის ...არც დასელები უარყოფენ იმ მბაცს, რომ ბურუჟუაზის გაბატონებას თან სდევს ეროვნებათა დაჩაგვრა. მაშა არც იმს უნდა უარყოფდნენ, რომ პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვს, ისე მოაწყოს სახელმწიფო, რომ ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრა შესუსტდეს. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი შესუსტება უკეთესად შეიძლება ავტონომიის პირობებში და არა იმ ცენტრალური დემოკრატიული წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობით, რომელსაც დასელები გვისახელებენ¹⁵.

„ცნობის ფურცელის“ თანამშრომელთა ნაწილი არ უარყოფდა ავტონომიაში ბურუჟუაზის გაბატონების შესაძლებლობას და ამიტომ ავტონომიის მოთხოვნის მიზანშეწონილობას კაპიტალიზმის განვითარებისა და ბურუჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საჭიროებით საბუთებდა. ვ. წერეთელი, მაგალითად, როკა ა. წულუკიძის მიერ ავტონომიის საწინააღმდეგოდ გამოყენებულ არგუმენტების გაბათილებას ცდილობდა, აღნიშნავდა, რომ რაკი რუსეთის ბურუჟუაზის აქვს ბაჟების დაწესების უფლება, ასეთ სურვილს თუ ვამოიჩენს ავტონომიური საქართველოს ბურუჟუაზია, ბუნებრივი იქნებათ. „ამის გარდა ტუულად გვარწმუნებათ, ეითომ ბურუჟუაზია მარტო ბაჟებსა და პრივალეგიებს შემოიტანს ჩვენშით. თუ არსად არ ყოფილი ასეთი ბურუჟუაზია, არც ჩევნში იქნება. ბურუჟუაზია ცდილობს წინ წასწიოს თავის ერის განათლებაც, რადგან ახლანდელ დროში ბაჟები და პრივალეგიები კი არ იმარჯვებენ მრეწველობაში, არამედ განვითარებული მეცნიერება, ტექნიკა და სახალხო განათლება. ...მხოლოდ აღგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა მოვანიჭებს თანამედროვე განათლებას... და განვითარებს მრეწველობას, რომელიც შექმნის და გააძლიერებს პროლეტარიატს“¹⁶.

15 „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2808.

16 „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2814.

სოციალ-ფედერალისტები არც იმას უარყოფნენ, რომ საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო, მაგრამ ეს გარემოება მათი აზრით, იმას არ ნიშნავდა, რომ ავტონომიური მმართველობა წვრილი ბურჟუაზიის ხელში იღმოჩნდებოდა და ამდენად რეაქციულ მიმართულებას მიიღებდა. „თავისთვალი ეროვნული თვითმმართველობა, — წერდა „ცნობის ფურცლის“ რედაქტირა, — ერთ-ერთი სოციალური კლასის ინტერესთა განხორციელების ფორმა არ არის. ეროვნულ თვითმმართველობაზე სახელმწიფო შესაძლოა მსხვილ კაპიტალისტებსაც ემსახუროს, წვრილ ბურჟუაზიასაც და მუშებსაც, იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასი გაიმარჯვებს და რომელი კლასი ჩაიგდებს ხელში სახელმწიფო უფლებას“. დაუშვათ, განავრძობს რეაქტირა, რომ აეტონომია წვრილბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში, „განა აქედან იმ აზრის დასკვნა შეიძლება, რომ ეროვნული თვითმმართველობის მომხრე აუცილებლად რეაქციონერი და წვრილი ბურჟუა იყოს? ...ვინ არ იცის, რომ მთელ რუსეთში გაცხოვრებთა 85% ისეთივე წვრილი მესაჟურრეა, ისეთივე წვრილი ბურჟუაა, როგორც ჩვენში, მაგრამ რომელი რუსი იტყვის, უარყოთ ჩვენი თვითმმართველობა და გერმანიის, ინგლისის ან საფრანგეთის კანონებით ვიცხოვროთ. ვინ იტყვის, რომ რუსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა წვრილი ბურჟუაზიისათვის იყოს სასარგებლო და ამიტომ ყველა არარეაქციონერი უნდა ეწინააღმდევებოდეს მას?“

კაპიტალიზმის კანონზომიერება „ცნობის ფურცლის“ რედაქტირით ძეგლია, რომ რაიმ რომელიმე ქვეყანაში მოიციდებს ფეხს, სხვა ქვეყანაშიც შეიქრება და ძირს გამოიუთხრის წვრილ საკუთრებას. საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოებრივმა თვითმმართველობამ თუ ვერ შეაჩერა კაპიტალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა, „რა უფლებით უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეროვნული თვითმმართველობა მოახერხებს მიუვალი სიმაგრეების შექმნას და ძველ წესებში სულის ამოხრჩობას“. ჩვენმა მარქსისტებმა, დაასკვნის რედაქტირა, უნდა იცოდნენ, რომ ეროვნული თვითმმართველობა კაპიტალიზმის განვითარების პროცესს ვერ შეაჩერებს და თუ საქართველოს ავტონომია წვრილბურჟუაზიის ინტერესთა იდეურ გამოხატულებად მიაჩნიათ, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თავის მარქსისტობა ეროვნული დამოუკიდებლობის საწინააღმდევობის სურთო გამოიყენონ. რედაქტირა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართველი მარქსისტები რუსი სოციალ-დემოკრატების იდეური საკვებით საზრდოობენ, მათ თითქოსდა არა აქვთ დამოუ-

კიდებელი აზროვნებისა და საკუთარი სამშობლოს ინტერესთა შეცემა
ნობის უნარი. მათ ძალა არ შესწევთ „მოიპოვონ თავისი აზროვნების
ბის ემანსიპაცია და სწორედ იმ პრინციპებით იხელმძღვანელონ,
რომლებიც თანამედროვე ევროპის სოციალისტური მიმართულების
დედაბირად ითვლება“¹⁷.

სოციალ-ფედერალისტები, როგორც ვხედავთ, მკეთრად უპი-
რისპირდებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, კერძოდ ბოლ-
შეციკებს. სამაგიეროდ ისინი ძალიან ბევრ საერთოს პოულობრნენ
დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან. ეროვ-
ნულ საკითხზე ბოლშევიკებთან კამათში ფედერალისტები ძალიან
ხშირად რევიზიონისტებს ყურდნობოდნენ და თავს ევროპული სო-
ციალიზმის მიმდევრებად აცხადებდნენ.

1905 წლის სექტემბერში ჩატარდა რუსეთის იმპერიის საერთ-
ბო და საქალაქო მოღვაწეთა კრება, რომლის დადგენილებაში,
უხვასთან ერთად, შევიდა ასეთი მუხლებიც: 1) როცა დამყარდება
სამოქალაქო თავისუფლება და შეიქმნება წესიერი სახალხო წარ-
მომადგენლობითი დაწესებულება საკონსტიტუციო უფლებით, იმ-
პერიის ერებს უნდა მოეცეს აღვილობრივ ავტონომიათა ორ-
განიზების უფლება. 2) ავტონომიური ოლქების დაარსება ყო-
ველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი კანონის გამოცემით
უნდა გაფორმდეს. 3) აღვილობრივ ავტონომიათა საკანონმდებლო
კრება იირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარიული
კენჭისყრით. 4) ყოველი ავტონომიური ოლქის შინაგანი წყობილე-
ბის ხასიათს განსაზღვრავს აღვილობრივი საკანონმდებლო კრება,
მაგრამ დაუყული იქნება საერთო სარუსეთო ძირითადი კანონი და
კანონი ავტონომიის უფლებამოსილების შესახებ.

„ცნობის ფურცელი“ მოესალმა ამ დადგენილებას და იგი დე-
ცენტრალიზაციის პრინციპის გამარჯვებად გამოაცხადა. რუსეთის
ინტელიგენცია ავტონომია-ფედერაციის იდეას უჭერს მხარს და,
უცველია, ეს გარემოება რუსეთის ხალხთა და მათ შორის ქართ-
ველი ერთს უკუღმართი ბედის წილმა შემობრუნებას შეუწყობს
ხელს, ქართველი ერის ქუჩაშეც დადგება დღესასწაული და „უპრი-
ანიც არის. ვინ დასძრახავს და ეტყვის შენ მონაწილეობა არ მივა-
ლია გამათავისუფლებელ მოძრაობაში და ამიტომ გამორიცხული
იქნები ბედნიერთა სიიდანო. ჩვენს ერს დიდი ღვაწლი მიუძღვის
ძეველი ბორკილების დამსხვრევაში და სრული უფლება აქვს თვით-

17 „ცნობის ფურცელი“, 1905, 19 ივლისი, № 2890.

მმართველობაზედ, რომელიც საშუალებას მისცემს კვლავ აყვავდეს
და გაიფურჩქნის¹⁸.

„ცნობის ფურცელი“ ერების უფლებრივ გათანასწორებაზე გვკვეთა
დაუდებელ ამოცანად თვლიდა. მისი აზრით, ამისათვის სულაც არ
იყო საჭირო ერების სრული გამოყოფა. ერების მისწრაფება დამო-
უკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ გაზეთის რედაქციის იმ სა-
შინელებად ესახება, „რომელსაც განუზომელი და უაზრო უბედუ-
რება შეეძლიან დაატრიალოს მთელ რუსეთში. ამ მისწრაფების სა-
შუალო საუკუნეებში აქეს ფესვები და მშრომელი ხალხის ეხლან-
დელ ინტერესებს არაფერში არ შეესაბამება. სწორედ ამიტომ
ვართ მთელის ჩვენის შეგნებით სეპარატიზმის მოწინააღმდეგენი.
მაგრამ გვახსოვს რა აუცილებელი საჭიროება ერების გათანასწო-
რებისა, ჩვენ ბეჭითად ვიცავთ ადგილობრივი ეროვნული თვით-
მმართველობის საჭიროებას რუსეთის იმპერიის მთელ სივრცეზე¹⁹.

1906 წლის დამდეგს თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძა-
ნებით „ცნობის ფურცელის“ ბეჭდვა აიკრძალა. სოციალ-ფედერა-
ლისტებმა დაიწყეს გაზ. „შრომის“ გამოცემა. ახალი ორგანო თან-
მიმდევრულად აგრძელებდა თავის წინამორბედის ხაზს, მთავარ
ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საყითხს საერთოდ და აეტონო-
მია-ფედერაციის პრინციპების განსაკუთრებით.

1906 წელს მენშევიკებმა, რომლებიც აქმდე პრინციპები
ეწინააღმდეგებოდნენ ავტონომიის იდეას, წმოაყენეს კულტურულ-
ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა, რომლის მიხედვით ავტო-
ნომია უნდა მისცემოდა არა საქართველოს, არამედ ქართველ ერს
ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად და მის კომპეტენციაში უნდა
შესულიყო მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები.
სოციალ-ფედერალისტებმა დაიწუნეს მენშევიკების ეროვნული
პროგრამა და მყიდვე დაიწყეს მისი ქრიტიკა.

მენშევიე ბ. ნათაძე ტერიტორიულ-ეროვნულ აეტონომიის მო-
თხოვნას იმ მოტივით უარყოფდა, რომ წმინდა ეროვნული ტერი-
ტორიები თითქმის არ ასევებობს, ერები ერთმანეთში არეულად
ცხოვრობენ. ვერ დავთანხმებით ნათაძეს, წერდა „შრომის“ რე-
დაქცია, რომ ეს მოსახრება სამართლიანი იყოს. „შორს რომ არ წა-
ვიდეთ აღილოთ თუნდაც ჩვენი ქვეყანა—საქართველო“, იდეალურად
მთლიანი ქვეყანა, რომელიც მჭიდროდა დასახლებული ერთი

18 „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2915.

19 „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2943.

მოდგმის ხალხით. ...რომელსაც თავის ენა აქვს, თავის კულტურა, თავის ზნე-ჩეულება და ტრადიციები. ...ამ შემთხვევაშე, ჩვენ თვალწინ არის ის ბედნიერი კომინაცია, როცა ტერიტორიაზე და მას ერთი და იგივეა. აქ აღარ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ავტონომია უფრო სამართლიანია. მგვარ შემთხვევაში აუცილებელია ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომია“.

ბ. ნათაძე ფიქრობს, განაგრძობს შემდეგ კრიტიკისი, რომ ტერიტორიული ავტონომიის დაარსებისას უმრავლესობა ერთი ერისა მოინდომებს სხვა ერთა წარმომადგენლებზე გაბატონებას. მაგრამ ამ მოტივით უმრავლესობის ინტერესების უგულვებელყოფა უსამართლობა იქნებათ. მით უმეტეს, რომ სხვა გზითაც შეიძლება უმცირესობის დაცვა. დემოკრატიულ და ფედერალულ სახელმწიფოში, ყოველ მოცემულ ტერიტორიაზე მცირე ეროვნებებს დაიცავს ძირითადი და სპეციალური კანონები, რომელთა დარღვევის უფლება ცალკეულ ავტონომიურ ერთეულებს არ ექნებათ²⁰.

სოციალ-ფედერალისტები საქმაოდ დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროზე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სათათბიროში წარმოდგენილი დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები აღმრავდნენ მოწიფებულ საკითხებს, შეიმუშავებდნენ ეპოქის შესაფერის კანონპროექტებს და სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენ ერთა ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემასაც. გაზ. „შრომის“ რედაქტირა განსაკუთრებული სიხრულით შეხვდა სახელმწიფო სათათბიროში ავტონომიისტ-ფედერალისტთა კავშირის ფრაქციის ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ფრაქცია, რედაქტირა გაღმოცემით, იცავდა რუსეთის იმპერიის მთლიანობას, მაგრამ გაღაულებელ საქმედ მიაჩინდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაცია დემოკრატიულ და ფართო საოლქო ავტონომიათა საფუძველზე. ფრაქცია მოითხოვდა ერების უფლებათა შემზღვდველი კანონების გაუქმებას და ერთა თვითგამორჩევების პრინციპის დაუყოვნებლივ დაკანონებას. „ასეა თუ ისე, — დასკვნის „შრომის“ რედაქტირა, — ავტონომიისტ-ფედერალისტების კავშირი და მისი საპარლამენტო ფრაქცია... ისეთ ძალის წარმოადგენს, რომელსაც ყველა პარტიამა და ჯგუფმა სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს. თუ გაიისხენებთ იმ გარემოებასაც, რომ საქმაოდ დიდი ჯგუფი სოციალ-დემოკრატებისა და რადიკალ გლეხებისა პრინციპულად ავტონომიის იდეას წინ არ აღუ-

20 გაზ. „შრომა“, 1906, 16 პრილი, № 11.

დგებიან, სახელმწიფო სათათბიროში ავტონომია საკანონმდებლო
სანქციას მიღებს". მაგრამ კანონის საბოლოო მიღება დამტკიცებული
ბული იყო სახელმწიფო საბჭოს მიერ დაკავებულ პოზიციებზე,
რომელიც, რედაქციის აზრით, მის დამტკიცებაზე ნებაყოფლობით
არასდროს დათანხმდებოდა, ნებაყოფლობით არ იტყოდა უარს
„ინოროდცების" ჩაგრაზე²¹.

სოციალ-ფედერალისტური მიმართულებისა იყო აგრეთვე
„პატარა გაზეთი", რომელსაც უფრო რადიკალური პოზიცია ეკავა.
ამ ორგანოს რედაქციას უაზროდ მიაჩინდა არსებული მთავრობისა-
თვის თხოვნა-პეტიციების წარდგენა, ავტონომიის საჩუქრად გამო-
თხოვა. ამიტომ იგი მწვავედ აქტიტიკებდა თავადაზნაურობას, ქარ-
თველ კონსტიტუციურ დემოკრატებს, კადეტებს და სხვა მემარჯვენე
პარტიებს. მათ არ შეუძლიათ მოვლენები მშრომელი ხალხის თვა-
ლით შეაფასონ, მათ მხოლოდ მონური თხოვნის უნარი აქვთო.
გაზეთის რედაქცია ცარიშმის დამხობის წინაპირობად აცხადებდა
სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, რეაქციის წი-
ნააღმდეგ მათ შეერთებულ ბრძოლას. „რუსეთის მშრომელი ხალ-
ხი, — წერდა რედაქცია, — გაიგებს ჩვენს სურვილს და წინ არ
აღუდება. ...რუსეთი იქნება კრებული თავისუფალი ერებისა, შე-
ერთებული შტატები თავისუფალი ავტონომიებისა"²².

სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გა-
შოჩინილი ლიდერი და თეორეტიკოსი არჩილ ჭორჭაძე იყო. მან
განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ამ პარტიის ეროვნული
პროგრამის შემუშავებაში: წინა პლაზე წამოსწია ე. წ. „ხავრთო
ნიადაგის თეორია" და თავგამოდებით ცდილობდა „მოკამათე და-
სების" გაერთიანებას ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის
ბრძოლაში.

ა. ჭორჭაძეს ერთ და სახელმწიფო განუყოფელ ერთიანობად
მიაჩინა. „თუ ერთა და სახელმწიფოს შუა გათიშვა მოხდა (ე. ი. თუ
ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაყარგა. — ა. ბ.), ერთ
სულ იმის ცდაშია, რომ გათიშვულ სახელმწიფოსთან ან ხელმეო-
რედ შექმნას კავშირი, ან შექმნას რაიმე მისი მზგავსი ორგანიზა-
ცია. ...აյ იმალება იმის მიზეზი, რომ თანამედროვე ეროვნული მო-
ძრაობა არის მოძრაობა ან ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა,
ან მათ მზგავს დაწესებულებათა დაარსებისა. ავტონომია, ფედერა-

21 „შრომა", 1906, 18 მაისი, № 35.

22 „პატარა გაზეთი", 1906 წ. № 2.

ცია და დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ მოძრაობის რგოლებია, მოძრაობის შემადგენელი ელემენტებია²³.

ეროვნული
სამართლებრივი
უნივერსიტეტი

თავის კონცეფციის დასასაბუთებლად ა. ჯორგაძე ისტორია-შიც იხედებოდა, საქართველოს წარსულშიც პოულობდა სათანადო მასალას. ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე, მისი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ დაღვა. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო XVIII ს. ბოლოს, მართალია, აღარ პასუხობდა დროის მოთხოვნილებას, მაგრამ საჭირო იყო არა მისი მოსპობა, არამედ რეორგანიზაცია. ასე ფიქრობდა ხალხის უმრავლესობა და ამიტომ ჯერ კიდევ ასი წლის წინათ „ახდენდა აჯანყებას პოლიტიკური თავისუფლების შესაჩინად“. ქართველები, აღნიშნავს შემდეგ ა. ჯორგაძე, 1783 წლის ტრაქტატის ნიადაგზე იდგნენ, სრული დამოუკიდებლობისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულად დარჩინას მოითხოვდნენ. რუსეთის ცარიშმა არ შეისმინა ქართველთა ეს სამართლიანი თხოვნა, ქართული სახელმწიფო გაუუქმა და რუსიფიკაციის პოლიტიკით საფრთხის ქვეშ დააყენა ქართველი ერის არსებობა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლადაა საჭირო აღდგენა ქართული სახელმწიფოებრიობისა, რომელსაც ამ ასი წლის წინათ ძალადობით მოუღესო ბოლო.

„აქედან გამომდინარეობს, — დასკვნის ა. ჯორგაძე, — ჩვენი მოთხოვნა ავტონომიისა, ავტონომიურ-დემოკრატიული თვითმმართველობისა, რომელიც, დღევანდელი პირობების მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობის შინაარსად ჩაითვლება. ჩვენი ავტონომია არც გაფართოებული ერობაა, არც ოლქობრივი თვითმმართველობა, არამედ პოლიტიკური თვითმმართველობით აღჭურვილი ტერიტორიულ-ეროვნული ერთეულია. საქართველოს პარლამენტი იქნება გამომსახული და გამტარებული ამ პოლიტიკური უფლებებისა და ეს კი უნდა მოხდეს რუსეთის პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ნიადაგზე. ამ ძალაუფლების ერთ ნაწილს, კონსტიტუციით განსაზღვრულს, რუსეთის პარლამენტი დაუთმობს საქართველოს პარლამენტს და ამ უკანასკნელს მიენიჭება ავტონომიური სახელმწიფოს ძალაუფლება“²⁴.

23 ა. ჯორგაძე. თხზ., ტ. I, გვ. 88.

24 ა. ჯორგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 132—133.

რესეტის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თავიდანვე დემოკრატიული ცენტრალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ. II ყრილობაზე ბუნდელები პარტიის ავტონომის ფედერაციულ პრინციპს იცავდნენ, მაგრამ შათოვის მხარი არავის დაუჭირია. ვ. ი. ლენინმა თავის გამოსვლაში მოუთათა, რომ ფედერაციის პრინციპი აჯანმებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განკერძოებულობას, მარქსისტებს კი დიდი ამოცანების შესახულებლად ესაჭიროებათ არა გათიშვა, არამედ მციდრო ორგანიზაციული მთლიანობა, ყველა ერის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ არმიად დარიზმვოთ. ამის ნიმუშს იძლეოდნენ ამიერკავკასიელი სოციალ-დემოკრატები, რომელებიც ეროვნების განურჩევლად ერთ ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებული და თავდადებით იბრძოდნენ მშრომელი მსების სოციალური და ეროვნული ჩაგრისაგან გათავისუფლებისათვის.

რესეტის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობამ განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო პროგრამის შემუშავებას, რომელშიც სათანადო ადგილი დაიკავა ეროვნულმა საკითხმაც. პარტიის პროგრამა-მინიმუმი უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად აცხადებდა თვითმშერობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, რომლის კონსტიტუცია უზრუნველყოფდა:

„1) ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებინ განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით. 2) წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა. 3) მოსახლეობის უფლებას მიღლოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თითოეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე, მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენის თანაბრად. 4) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“²⁵.

²⁵ სკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 44.

ამ პუნქტების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ყრი-
ლობას პარტიის ორგანიზაციული პრინციპი მთლიანად როგორ-გვიმა-
დაპქონდა სახელმწიფოებრივი წყობის სფეროში. მოსახლეობის
ეროვნული შემადგენლობითა და საყოფაცხოვრებო პირობებით
განსხვავებული მხარეებისათვის პროგრამა ითვალისწინებდა საოლ-
ქო თვითმმართველობას. ამასთან ყველა ერის თვითგამორჩევევის
უფლების აღიარება იმასაც ნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატები
პრინციპულად ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ
ცერ გამოვიდოდნენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები, რა თქმა უნდა, II ყრილო-
ბის მიერ მიღებულ ეროვნულ პროგრამას უქმერდნენ მხარს, მაგრამ
ამ პროგრამის ცალკეული მუხლების თავისებურ ინტერპრეტაციას
იძლეოდნენ და ტაქტიკური მოსახრებით საქართველოს ავტონომი-
მიის მოთხოვნაზე უარს აცხადებდნენ. ზოგი მათგანი გაცხარებული
კამათის დროს ავტონომიის იღეას პრინციპულადაც უარყოფდა.

ავტონომისტებს განსაკუთრებით მყაცრად ა. წულუკიძე და ფ.
გახარაძე აკრიტიკებდნენ. ისინი ავტონომიის მოთხოვნაზე უარის
თქმას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წარმატებების, ამ
კლასის მომავლის ინტერესებით ასაბუთებდნენ. ა. წულუკიძე სტა-
ტიაში — „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ ხაზგას-
მით წერს, რომ კაპიტალისტთა შეერთებული ძალის გატეხვის მხო-
ლიდ შეკავშირებული პროლეტარიატი შესძლებსო. მა ერთიანობის
განმტკიცებას ცდილობს დღეს პროლეტარიატი, ავტონომისტები კი
გვირჩევენ დაიქსაქსეთო და დაიშალენითო. „ჩვენმა ნაციონალის-
ტებმა, — აღნიშნავს ა. წულუკიძე, — ორი გზა აირჩიეს ავტონო-
მიის მისაღებად: 1) დღესვე თხოვნით, 2) ხვალ კრებიდან მოთხოვ-
ნით. ...თავისითავად ცხადია, რომ თხოვნა ბრძოლის უარყოფს, ხო-
ლო ავტონომიის იღების გავრცელება ხალხში ქართველების გამო-
ყოფის საჭიროებას ქადაგებს. ამნაირად ჩვენი ავტონომისტები დღე-
ვანდელი მოძრაობის მთავარი ძალის, მშრომელი ხალხის საშუალე-
ბას — ბრძოლას საქმით უარყოფენ, ხოლო მის შეერთებულ ძალას
განცალკევებას უპირებენ. შედეგი? ერთობის შესუსტება და ბიუ-
როკრატიისაგან მოწყვალების მიღების იმედი. ერთიც და მეორეც
შებრძოლთ ასუსტებს. ეს სრულიად უწინააღმდეგება პროლეტარი-
ატის დღევანდელ ტაქტიკას და ამიტომ მას გასავალიც არ ექნება“.

შემდეგ ა. წულუკიძე სვამის კითხვას — წარმოვიდგინოთ, რომ
მეფის მთავრობის ავტონომია ახლავე გვიშალობა, რა მოჰყება ამ-
ას? ქართველებმა თავის ავტონომიურ სახელმწიფოს მოწყობას უნ-

და მოპეილონ ხელი, რუსეთის განახლებისათვის ბრძოლას კი უნდა გამოეთიშონ. ისიც უნდა ვივარიადოთ, რომ ერთიანი მომრაობის გათიშვის გამო რუსეთში შეიძლება ვერ დამყარდეს ჰეშმარიტი დე მოკრატიული წყობილება. მაშინ ხომ საფრთხე მოელის საქართველოს პეტონომიისაც „მაშ რა გარანტია აქვთ ჩვენს ავტონომისტებს ავტონომიის დაცვისა. ...გაიხსენეთ ფინეთი, რა იქნა მისი „თავისუფლება“, თქვენც კარგად მოგეხსენებათ რა იქნა და რად გაიქცელა, აქედან ცხადია, თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ცველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას. ...ავტონომიის თხოვნა დღეს ამას ხელს უშლის და ამიტომ ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ“.

ასეთია, განაგრძობს ა. წულუკიძე, ბოძებული, ნაჩუქარი ავტონომიის ბედი. ვნახოთ როგორი იქნება დამფუძნებელი კრებილან წამოლებული ავტონომია. იგი აღნიშნავს, რომ ავტონომიის ეროვნული ბურჯუაზია თავის კონკურენტების დასამარცხებლად, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გამოიყენებს. იგივე ავტონომია კი პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას დაადაბლებს და სხვადასხვა ერების პროლეტართა ერთობას დაასუსტებს. ავტონომიებში ჩაკეტილი პროლეტარიატი ნაკლებ წარმატებას მოიპოვებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფოში გაერთიანებული ამიტომ, დაასკვნის ა. წულუკიძე, „დღევანდელ პირობებში პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახითვათოა“²⁶.

ამ წერილის მთელი ორგუმენტაცია, განსაკუთრებით კი მისი დასკვნა ცხადყოფს, რომ ა. წულუკიძე ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის უარყოფდა არა საერთოდ, არა პრინციპულად, არამედ მხრივ ტაქტიკური მოსახრებით. პირველი რევოლუციის ხანაში მიზანშეწონლად მიაჩნდა ავტონომიის მოთხოვნა.

ბურჯუაზიულ სახელმწიფოსა და ბურჯუაზიული ავტონომიის წინააღმდეგ განსაკუთრებით შეურიგებელ ბრძოლას ფ. მახარაძე ეწეოდა. იგი გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მთავარია არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასობრივი ბრძოლა. ფ. მახარაძე გმობდა ნაციონალისტებს, რომელნიც კლასობრივ ბრძოლას განვებ ჩქმალავდნენ, ერთიანი ნიადაგის თეორიის პროპაგანდას ეწეოდნენ და ქართველი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ოცნებობდნენ. „ჩვენ, — წერდა ფ. მახარაძე, —

26 „მოგზაური“, 1905, 8 მაისი, № 17.

ბურუუაზიული სახელმწიფო ბის მოსპობის, ეროვნული ზღუდეების დანგრევისათვის ვიბრძით. ...დღევანდელი სახელმწიფო ბის კაპიტალისტური წარმოების ნაყოფია და მუშა სალი არათქ არ შეუწყობს ხელს დღევანდელ სახელმწიფოს გამავრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ დღევანდელი სახელმწიფო დაინგრეს. ...ჩვენი ნაციონალისტების აზრით, ეროვნულ საკითხს გადაწყვეტს ფრონტიმია; ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნული კითხვის გადაწყვეტა ამით არათუ გაადვილდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება. მაგალითი იგივე ავტორია-უნგრეთია. ჩვენი შეხედულებით ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა. ...ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, როგორ შეიგნებს შერომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას. როცა შეერთდებიან ყველა ერის მუშები ყველა მხაგრელის წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურუუაზიულ წყობილებას, ბოლოს მოუდებენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოედება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადაწყდება ეროვნული კითხვაც²⁷.

სოციალ-ფედერალისტებთან კამათით გატაცებული ფ. მახარაძე ამ შემთხვევაში „მემარტენე“ გადახრას იჩენს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობამ ეროვნული საკითხი პროგრამა-მინიმუმში შეიტანა, საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი ბურუუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების ეპოქისათვის წამოაყენა. ფ. მახარაძეს თითქოს დაავიწყდა ეს გარემოება და ეროვნული საკითხის გადაჭრა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გადადო. ეროვნული საკითხის უგულვებელყოფით, საერთო დემოკრატიული ამოცანების დავიწყებით ფ. მახარაძე თავისდაუნებურად ხელს უწყობდა პროლეტარიატის იზოლაციას, აფერხებდა ცარიზმის დამხობისათვის საერთო დემოკრატიული ფრონტის შექმნას. მაგრამ ფ. მახარაძემ მაღე გამოასწორა ეს შეცდომა. ამის შემდეგ სოციალ-ფედერალისტებთან კამათში ავტონომიის უვარებისობის დასასაბუთებლად ხენებული არგუმენტი მას აღარ გამოუყენებია.

„მოვზაურის“ პუბლიცისტთა ერთი ნაწილი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის მოვაჟშირეების საკითხს. ღარიბ გლეხობას იგი, მართალია, პროლეტარიატის ბუნებრივ მოვაჟშირედ თვლიდა, მაგრამ საშუალო ფენებს, წვრილ ბურუუაზის სოციალ-ფედერალისტების

27 „მოვზაური“, 1905, 5 ივნისი, № 21.

ვაკლენაში ტოვებდა. გაზეთის არაერთ კორესპონდენციაში ის აზ-
რია გატარებული, რომ სოციალ-ფედერალისტების მიერ წამოუქა-
ნებულ ავტონომიის იდეას ზურგს უმავრებს წვრილი ბურჟუაზია—
„კლასი ცვალებადი, ორპირი ბუნების მქონე, ხშირად კონსერვატი-
ული, ხშირად რევოლუციონერი, უმეტეს წილად კი რეაქციონერი“.

ამ წვრილის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ქვეყნის კაპიტა-
ლისტური განვითარება საფრთხის ქვეშ იყენებს თავადაზნაურულ
და წვრილბურჟუაზიულ საკუთრებას. აჩებულ პირობებში თავად-
აზნაურობისა და წვრილი ბურჟუაზიის დაღუპვა გარდაუვალია და
ამიტომ ხსნას ეძებენ „ნაციონალურ-ტერიტორიულ ავტონომიაში“.
ავტორის აზრით, თავადაზნაურობას არავითარი მნიშვნელობა აღარ
შერჩი ქვეყნის ცხოვრებაში. წვრილი ბურჟუაზია კი მრავალრიც-
ხოვანი და გავლენიანი ძალაა. „მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში
დღითიდღი იზრდება: „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“, აი ორი
ცენტრი, რომლის გარშემო ტრიალებს ჯერჯერობით ეს ჯგუფი.
...დემოკრატიზმი და სოციალისტური ფრაზეოლოგია — აი, ორი
თვისება, რომელიც მეორე მიმართულების განსაკუთრებულ დანს
ასვამს. მასი დემოკრატიზმი კეშმარიტია. კეშმარიტია იმიტომ, რომ
ის კლასი, რომლის წარმომადგენლადაც უნდა ჩაითვალოს ეს ჯგუ-
ფი—წვრილი ბურჟუაზია. ...თავგამოდებით იბრძეს სიტყვის, ბეჭდ-
ვის, კრებისა და სხვა დემოკრატიული თავისუფლებისათვის, საყო-
ველთაო ხმის უფლებისათვის“.

ჩვენი ქვეყნის და რუსეთის პირობებში, განაგრძობს ავტორი,
წვრილი ბურჟუაზია გულწრფელი რევოლუციონერია. „ამიტომ ის
ადვილად შეითვისებს იმ ფართო დემოკრატიულ პროგრამას, რო-
მელსაც ჩვენი ფედერალისტები წამოაყენებენ“. მას მიაჩნია, რომ
თუ წვრილი ბურჟუაზია ავტონომიურ მართვა-გამგეობას ხელში
ჩაიგდებს, შეეცდება ხელისუფლება თავისი კლასობრივი ინტე-
რესებისათვის გამოიყენოს. წვრილი ბურჟუაზია შელახავს ღარიბი
გლეხობის ინტერესებს. უმცირესობაში მყოფ ქართველ პროლეტა-
რიატის კი ამ რეაქციონერი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდე-
ბა. ამიტომ პროლეტარიატის პარტია ავტონომიის მოთხოვნას მხარს
ვერ დაუჭირსო²⁸. როგორც ვხედავთ, „მოგზაურის“ კორესპონდენ-
ტი მემარცხენე გადახრას იჩენს. მას სულაც არ მიაჩნია საჭიროდ
სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა წვრილი ბურჟუაზიის მიმსრობის,
ფართო დემოკრატიული ფრონტის შექმნისათვის.

28 „მოგზაური“, 1905, 4 აგვისტო, № 30.

ავტონომის საკითხის კონკრეტულ-ისტორიული ვითარების
შესაბამისად გადაწყვეტის ცდილობდა ა. ჯაფარიძე თავის წერილ-იმავა
ში — „ნაციონალური საკითხი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი
ერის მიერ მეორის ჩაგრძამ წარმოშვა ნაციონალური ბრძოლა, რაც
თანდათან ძლიერდებათ. ერთი შეხედეთი ნაციონალურ ბრძოლაში
მარტო ბურჟუაზია იღებს მონაწილეობას, სინამდვილეში კი ეროვ-
ნული ჩაგრძა. სხვა კლასების უქმაყოფილებასაც იწვევს და ნაციო-
ნალურ ბრძოლაში სხვადასხვა მორიცვით და მეტნაკლები აქტიურო-
ბით ყველა კლასი მონაწილეობსო. „თუ ბურჟუაზია დაჩაგრუ-
ლი ერისა დაინტერესებულია დაიცვას ბაზარი, პროლეტარიატი
იმავე ერისა დაინტერესებულია დაიცვას ენა, ეს იარაღი მისი კლა-
სიური ინტერესების შეგნებისა. ასე რომ ნაციონალურ ბრძოლაში
მთელი ერი (დაჩაგრული) ერვა და იღებს აქტიურ მონაწილეობას.
...მიტომ არის სწორეთ, რომ ჩვენ ე. ი. სოციალ-დემოკრატიას არ
შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ნაციონალური ბრძოლა, რა-
დგანაც უკანასკნელი არის მართლა ნაციონალური ბრძოლა და არა
მარტო ბურჟუაზიის ბრძოლა“.

ავტორს სოციალ-დემოკრატიის მოცანად მიაჩნია, ერთი მხრივ,
პროლეტარიატის დაცვა ეროვნული ბრძოლის მეთაურის ბურჟუა-
ზის იდეური გავლენისაგან, მეორე მხრივ, ბრძოლა ეროვნული ჩა-
გრძას წინააღმდეგ, რადგან გაბატონებული ერის ბურჟუაზია ავი-
წრიობს არა მარტო დაჩაგრული ერის ბურჟუაზიას, არამედ ხელს
უშლის პროლეტარიატის ენისა და კულტურის თავისუფალ განვი-
თარებას²³.

ეროვნული საკითხის გადაჭრის საუკეთესო საშუალებად, ამ-
ბობს წერილის გაგრძელებაში ა. ჯაფარიძე, ერთნი თვლიან ნაციო-
ნალურ-ტერიტორიულ ავტონომიას, მეორენი — ექსტერიტორიულ,
კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, მესამენი კი სახელმწიფოს
დემოკრატიზაციასა და ეროვნულ თავისებურებათა გარინტის სა-
ხელმწიფო კანონმდებლობის მიერ. ავტორის აზრით, ავტონომია
სასარგებლოთა ჩაგრული ერის ბურჟუაზიისათვის, რომლის ინტერე-
სებს საქართველოში სოციალ-ფედერალისტები და „ივერიის“ პუბ-
ლიცისტები გამოხატავენო.

როგორ უნდა უყურებდეს ავტონომიას პროლეტარიატი? სვამს
კითხვას წერილის ავტორი და პასუხობს: „ცხოვრებიდან ჩვენ ვი-
ცით, რომ სოციალ-დემოკრატია ზოგიერთ შემთხვევაში მომხრეა

23 გამ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906, № 9.

ავტონომიის, ზოგიერთში კი წინააღმდეგი. თუ პოლიტიკური კულტურული ნომია ააშეარავებს კლასთა მრიძოლოს და ამით ათვითცნობის გრძელების პროლეტარიატს, სოციალ-დემოკრატია მას მხარს უჭირს, არ იბრძვის მის წინააღმდეგ. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოდ ჩვენ მომხრე ვართ ავტონომიისა, აგრეთვე არ ვიტკვით, რომ წინააღმდეგი ვართ მისი. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე".

ავსტრიაში, ა. ჯაფარიძის აზრით, ფართო ეროვნული ავტონომია ხელს შეუწყობდა პროლეტარიატის გათვითცნობიერებას. ასე-თივე შედეგი მოჰყვებოდა პოლონეთის ავტონომიას. „პოლონეთში პროლეტარიატის დიდი ნაწილი ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ არის, მისი დროშის ქვეშ იბრძვის. სოციალ-დემოკრატია კი შედარებით სუსტია. ნაციონალური ბრძოლა თვითმშეკრიბელობის დამხობის შემდეგაც იქნება, იგი მარტო ფორმას შეიცვლის, კონსტიტუციონურ ფარგლებში ჩადგება. ამ ბრძოლაში პოლონეთის პროლეტარიატი ისე კუდში მიძყვება ბურჟუაზიის. ეს კი სრულებით არ არის სასურველი სოციალ-დემოკრატიისათვის. ამ მოვლენის რომ ბოლო შოვულოთ, ჩვენ ვთხოულობთ პოლონეთის ავტონომიას. ავტონომიის ფარგლები პროლეტარიატი პირისპირ შეხვდება თავის მტერს ბურჟუაზიის, დაინახავს თავის წინანდელ სიბრძმავეს და სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ მოიყრის თავს".

საქართველოში, განაგრძობს ავტორი, სულ სხვაგვარი ვითარებაა. ქართველი პროლეტარიატი არათუ ბურჟუაზიის იდეური გავლენის ქვეშაა, არამედ პოლიტიკური მოშპალებით ბურჟუაზიაზე მაღლა დგის. ქართველმა პროლეტარიატმა უფრო აღრე შექმნა თავისი პოლიტიკური პარტია. სეთ პირობებში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფო ხელსაყრელი იქნება ბურჟუაზიისათვის. „პროლეტარიატს კი ავტონომია არათუ არაფერს მისცემს, ერთ მძლავრ მტერთან (რუსეთის ბურჟუაზია) მეორე მტერსაც დაუყენებს (ქართველი ბურჟუაზია). აი, რატომ ვართ ჩვენ წინააღმდეგი საქართველოს ავტონომიისა"³⁰.

ა. ჯაფარიძე კიდევ უფრო შეაცრად ესხმოდა თავს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, რომელიც ერს ტერიტორიისა-გან თიშავდა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს აღვივებდა. მისი აზრით, ეროვნული საკითხის გადაჭრის წინაპირობა იყო სახელმწიფოს დემოკრატიზაცია. ვისაც ეროვნულ ურთიერთობათა მოვვა-

30 „ჩვენი ცხოვრება“, 1906, 5 სექტემბერი, № 13.



რება სურს, მან მთელი ძალა რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას უნდა მოახმაროს. დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად კანონში, მისი აზრით, აღიარებული უნდა ყოფილყო: 1) მოქალაქეთა თანასწორობა განურჩევლად ეროვნებისა. 2) ენათა თანასწორობა, 3) ყველა ერის ენის, ლიტერატურის და კულტურის განვითარების დაბრკოლებათა მოსპობა. ავტორს მიაჩნდა, რომ ფედერაცია კარგ შედეგს მოიტანდა თანაბრად განვითარებულ პროვინციებისაგან შემდგარ სახელმწიფოში. რუსეთში კი ასეთი მდგომარეობა არაა და ამიტომ სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპზე მოწყობა მის დაშლას გამოიწვევს. პროვინციების თავისებურებათა დასაცავად საკმარისიათ ფართო ოლქობრივი თვითმმართველობა კავკასიისათვის!

მენშევიკებმა, რომელნიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ნიადაგზე იდგნენ და სოციალიზმს შორეული მომავლის საქმედ თვლილენ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა კლასისა და პარტიის ერთიანობის იდეას დაუჭირეს მხარი. რაյი რუსეთის იმპერიაში შემავალი თითქმის ყველა ერის ბურჟუაზია თავის ქვეყნისათვის ავტონომიას მოითხოვდა, მენშევიკებმა მხარი დაუჭირეს ამ მოთხოვნას, რათა ამით ანტიცარისტულ ძალთა კონსლიდაცია გაედვილებინათ.

ავტონომიისა და ფედერაციის საფუძველზე რუსეთის რეორგანიზაციის იდეას მხარს უჭერდა რუსი მენშევიკების ორგანო „ნაჩალო“. ამან გავლენა მოახდინა ქართველ მენშევიკებზე და ბევრი მათგანი ავტონომისტთა რიგებში გადავიდა. ისინი თავის ამ ახლებურ პოზიციის პარტიის პროგრამაზე დაყრდნობით ასაბუთებდნენ. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, — წერდა ელ. დარჩიაშვილი, — ეროვნული საკითხის შესახებ მბობს: „დაჩაგრულ ეროვნებათ უნდა მიენიჭოს სრული უფლება ეროვნული თვითგამოორკვევისა“. როგორც ხედავთ, სოციალ-დემოკრატია ეროვნული კითხვის გადაწყვეტის უმორჩილებს თვითონ ერის სურვილს. თუ, მაგალითად, ერის სურვილია საკანონმდებლო თვთმმართველობა (ავტონომია), სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს ავტონომიას და, თუ ერი ითხოვს სრულ განცალკევებას სახელმწიფოსაგან, პარტია მომხრე იქნება სეპარატიზმისა; ერთი სიტყვით, ერის სურვილი იქნება სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანონი“. ქართველი ერის სურვილი, დასძენს დარჩიაშვილი, ჯერ არ ვიცით,

31 „ჩვენი ცხოვრება“, 1906 № 13.

რადგან ამ საკითხზე ჩეფერენდუმი არ ჩატარებულა, მაგრამ უფლება მქონდა ამ პრობლემაზე ჩემი აზრი გამომეთქვა და სხვამომავალი თაობირზე მხარი დაცუჭირეთ ავტონომიას³².

უფრო გარევევით დადგა ავტონომისტთა თვალსაზრისში მენ. შეცვალ ე. ეგვიტაშვილი. მან „ივერიაში“ მოათავსა წერილი — „პროლეტარიატი და ეროვნება“. იგი ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ავტონომია სასარგებლოა მთელი ქართველი ხალხისათვის. „მე როგორც სოციალ-დემოკრატი, — წერდა ნ. ეგვიტაშვილი, — მოუწოდებ ყველა შეგნებულ პროლეტარებს და ყველა იმ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც პროლეტარიატისათვის ცენტრალიზმს ამ ბოლო დროს ვითომდა უფრო ხელსაყრელიად. სცნობენ, ...თავი დაანებონ ორქოფობას და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, რომ ყველა ერის პროლეტარიატის კულტურულად აყვავებისათვის ფართო თვითმმართველობაა საჭირო და ფართო თვითმმართველობის გამომსახველი კი დემოკრატიული ეროვნული ავტონომიაა³³.

ეროვნული პროგრამის გარშემო, კერძოდ კი ავტონომიის საკითხზე დიდი დისკუსია გაიმართა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. პირველნი პოლიტიკური ცენტრალიზაციის პრინციპს იცავდნენ და მას პროლეტარიატის კლასიზრივი ბრძოლის წარმატებათა ინტერესებით ასაბუთებდნენ. ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდნენ მენშევიკი ავტონომიისტები ვლ. დარჩიაშვილის მეთაურობით. ეროვნული საკითხი დიდი დავის საგნად იქცა მიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1906 წლის სექტემბერში. ბოლშევიკები ცენტრალიზმის პოზიციაზე დარჩინენ, მენშევიკებმა ნ. კორდანის მეთაურობით მხარი დაუჭირეს კავკასიის საოლქო თვითმმართველობას³⁴.

ა. ჯორგაძე მიესალმა მენშევიკების ბოლშევიკებისაგან გამიჯვნის ფაქტს და ამის ძირითად მიზნად ეროვნული პროგრამა, კერძოდ კი ავტონომიის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა მიიჩნია. „ყვალისათვის აშვარა შეიქმნა, — წერდა სოციალ-ფედერალისტთა თეორეტიკოსი, — რომ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში სწორედ ამ ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ნიადაგზე მოხდა განხეთქილება და საზოგადოებამ დიდის ყურადღებით აადევნა თვალი ჩვე-

32 „ივერია“, 1905, № 211.

33 „ივერია“, 1905, № 222.

34 ე. ა თ ბ ა ძ ე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.), თბ., 1965, გვ. 246—249, 256.

ნი ცხოვრების ამ ახალ მოვლენას". ა. ჯორჯაძე, მართალია, სკრი-
ტიკებდა ნ. ეორდანიას, ა. ჩხერიელის, ვლ. დარჩიაშვილის და მენა-
შენშევიყების მიერ ეროვნულ საკითხში დაკავებულ არათანმიმდევ-
რულ პოზიციას, მაგრამ სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ისინი არ-
სებითად ავტონომისტთა ბანაჟში გადავიდნენ. „სოციალ-დემოკ-
რატია ვალდებულია, — დასკვნიდა ა. ჯორჯაძე, — დაამთავროს
ეროვნული პროგრამის გადაშინვეის საქმე. მისი გაჩერება შეუა გზა-
ხე შეუძლებელია. რავი ამრი ჩვეული აღგილიდან დაიძრა, თავს
მოძრაობაში იგი მივა ბოლო დასკვნამდე და ბოლო დასკვნა კი უნ-
და იყოს ეროვნულ-ტერიტორიული. ავტონომიის აღიარება სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ფრაქციის მიერ, ამ ავტო-
ნომიის წიადაგზე მათი შეთანხმება სოციალ-ფელიურალისტებთან
და სხვა ავტონომისტებთან. ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე, რომ-
ლის მზადებასა და ლოდინში უნდა ვიყვეთ დღეიდან"³⁵.

სოციალ-ფელიურალისტებმა და მენშევიკებმა მართლაც გამო-
ნახეს საერთო ენა. მათ წინა პლაზე ეროვნული საკითხი და ავტო-
ნომია წამოსწიეს. ბოლშევიკები კი კვლავ მტკიცედ იცავდნენ
კლასობრივი ბრძოლის პრიმატობას და სოციალ-პოლიტიკური
პრობლემების გადაჭრა მიაჩნდათ ეროვნული საკითხის გადაწყვე-
ტის წინაპირობად.

სტოლიპინის რეაქციის წლებში ცარიზმა კიდევ უფრო გააძ-
ლიერა რუსიფიკაციისა და ეროვნული ჩაგრის პოლიტიკა. დიდ-
მპერაბელური შოვინიზმის თარეშმა, ბიუროკრატიის მეც-
ამა რეპრესიებმა, ბუნებრივია, განაპირობებული საპასუხო რე-
აქცია გამოიწვია. აღვილობრივი ნაციონალიზმი მკეთრად დაუ-
პირისპირდა დიდმპერაბელურ შოვინიზმს. წარმოიშვა სა-
ფრთხო, რომ ორივე სახის ნაციონალიზმი უარყოფით გავლენას მო-
ახდენდა პროლეტარიატის განწყობასა და შოთლმხედველობაზე.
მაგრამ საჭირო იყო დიდმპერაბელური რეაქციული შოვინიზმისა
და აღვილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გარჩევა, რად-
გან „ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმი არის
საერთო დემოკრატიული შინაარსი ჩაგრის წინააღმდეგ“ და ამ
შინაარსს ბოლშევიკები ყოველთვის უკერდნენ მხარს³⁶. ასეთ პი-
რობებში საჭირო გახდა ეროვნული საკითხისამდი მეტი ყურადღე-

35 ა. ჯორჯაძე. თხზ., ტ. I, გვ. 269—270.

36 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 504.

ბით მოპყრობა, ბოლშევიკური ეროვნული პროგრამის დაზუსტება
და დაკონკრეტება.

ბოლშევიკებმა ეროვნულ საკითხს და ეროვნული პროგრამის
დამუშავებას განსაყუთოებით დიდი უურადღება მიაქციეს ახალი
რევოლუციური აღმაღლობის პერიოდში. ამ დროს დაწერა სტა-
ლინმა თავის ცნობილი ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური სა-
კითხი“. ავტორი აღნიშნავდა, რომ დაჩაგრული ერებისათვის საარ-
ჩევნო ხმის უფლების წართმევა, ენის შევიწროება, სკოლების შემ-
ცირება და სხვ. მუშათა კლასს ბურჟუაზიაზე ნაკლებ როდი აღაშ-
ფოთებს. ამასთან ერთად, „ნაციონალისტური რეპრესიების პოლი-
ტიკა ფართო ფენების უურადღებას აშორებს სოციალურ საკით-
ხებს, კლასობრივი პრიოლის საკითხებს და მიმართავს მას ნაციო-
ნალური საკითხებისაკენ, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის „სა-
ერთო საკითხებისაკენ“. ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის „ინტე-
რესთა პარმონიის“ „ყალბი თეორიის ქადაგებისათვის, პროლეტა-
რიატის კლასობრივი ინტერესების მიჩქმალუისათვის, მუშების სუ-
ლიერი დამონქებისათვის“³⁷.

ი. სტალინის აზრით, ეროვნული საკითხის საბოლოო გადატრა
და ეროვნული პრიოლის შეწყვეტა მხოლოდ სოციალიზმის დამყა-
რების შემდეგ მოხდებოდა, მაგრამ კაპიტალიზმის ჩარჩოებშიც შე-
იძლებოდა ეროვნული წინააღმდეგობების განიმუშავდე დაუყანა,
მისი მხრიდან პროლეტარიატის უვნებელყოფა. ამის წინაპირობად
ი. სტალინის მიაჩნდა ქვეყნის დემოკრატიზაცია და ერებისათვის
თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის შექმნა.

„ერს უფლება აქვს, — წერდა ი. სტალინი, — მოწყობის ავტო-
ნომიურად. მას გამოყოფის უფლებაც აქვს. მაგრამ ეს კიდევ იმას
არ ნიშნავს, რომ იგი ასე უნდა მოიქცეს ყოველგვარ პირობებში,
რომ ავტონომია, სეპარაცია ყველგან და ყოველთვის სასარგებლო
იქნება ერისათვის, მისი უმრავლესობისათვის“³⁸.

ი. სტალინი მეაცრად აქტიტიკებდა მენშევიკების მიერ ჯერ კი-
დევ 1906 წელს წამოყენებულ კულტურულ-ნაციონალური ავტო-
ნომის თეორიას, რომელიც ნიადაგს ქმნიდა არა მარტო ერების
განკერძოების, არამედ მუშათა მოძრაობის დაქსაქსვისა და ერთი-
ანი მუშათა პარტიის დანაწილებისათვის. ი. სტალინი ეროვნული
საკითხის გადაწყვეტის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ერთა

37 ი. სტალინი. თხზ., ტ. 2, გვ. 332.

38 იქვე, გვ. 336.



მარგერიტა
მისამისი

თვითგამორკვევის უფლებას. ხოლო რომელი ერიც გამოყოფილ ავტორის მისი მოწყობის საუკეთესო ფორმად ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას აღიარებდა. „საოლქო ავტონომიის უპირატესობა, — წერდა ი. სტალინი, — უწინარეს ყოვლის ის არის, რომ ამ ავტონომიის დროს საქმე გვაქვს არა უტერიტორიო ფიქციასათან, არამედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ განსაზღვრულ მოსახლეობასთან. იგი არ მიჯნავს აღამიანებს ერების მიხედვით, იგი არ ამაგრებს ნაციონალურ ტიხერებს, — პირიქით იგი ამსხვევს ამ ტიხერებს და აერთიანებს მოსახლეობას იმისათვის, რომ გზა გაუსხნას სხვაგვარ გამიჯვნას, კლასების მიხედვით გამიჯვნას. ბოლოს იგი შესაძლებლობას იძლევა საუკეთესოდ გამოყენონ ოლქის ბუნებრივი სიმდიდრენი და განავითარონ საწარმოო ძალები, ისე რომ არ დაელოდონ ცენტრის გადაწყვეტილებებს“³⁹.

ი. სტალინი მისანშეწონილად თვლიდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიურ ერთეულებად მოწყობილიყვნენ პოლონეთი, ლიტვა, ჟერაინა, კავკასია და სხვა ქვეყნები. ეს ავტონომიები წმინდა ეროვნული არ იქნებოდა, მაგრამ იქ მცხოვრებ ნაცუმცირებობათა ინტერესების დაცვას, ავტორის აზრით, მთელი სახელმწიფოს დემოკრატიზაცია უზრუნველყოფდა⁴⁰.

კავკასიელ ბოლშევიკთა ნაწილი, როგორც ჩანს, არ დაეთანხმა ი. სტალინის თვალსაზრისს და კვლავ ილაშქრებდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ. საყითხის გარკვევის მიზნით ს. შაუშმიანმა კ. ი. ლენინს მიმართა. საპასუხოდ ბელადა სომეხ თანამებრძოლს სწერდა: „თქვენ წინააღმდეგი ხართ ავტონომიისა, თქვენ მხარს უჭირო მხოლოდ საოლქო თვითმმართველობას. სრულიად არ გეთანხმებით. მოიგონეთ ენგელსის განმარტება, რომ ცენტრალიზაცია სრულიადაც არ გამორიცხავს ადგილობრივ „თავისუფლებათ“, რატომ უნდა მიეცეს ავტონომია პოლონეთს, ხოლო კავკასიას, სამხრეთ რუსეთს და ურალს არა? ავტონომიის ფარგლებს ხომ ცენტრალური პარლამენტი განსაზღვრავს! ჩვენ დემოკრატიულ ცენტრალიზმს ვუჭიროთ მხარს, უსათუოდ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა. ჩვენ მხარს ვუჭიროთ იაკობინელებს ეროვნდისტების წინააღმდეგ. მაგრამ ავტონომიის შეში რუსეთში... რას ბრძანებთ, ეს სასაცილოა. ეს რეაქციულია. მომიუვანეთ მაგალითი, მოიგონეთ მაგალითი, სადაც ავტონომიას შეუძლია ზიანი

³⁹ ი. ბ. სტალინი. ონ., ტ. 2, გვ. 390.

⁴⁰ იქვე.

მოიტანოს! ვერ მოიყვანო. ხოლო ვიწრო გაგება: მხოლოდ თუ მართველობა რუსეთში (და პრუსიაში) ხელსაყრელია მრჩეველი პოლიციელებისათვის⁴¹.

შემდეგ, იმავე პასუხში ვ. ი. ლენინი ურთიერთმიმართებაში განიხილავს სრული გამოყოფისა და ავტონომიის პრინციპებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლშევკები გამოყოფის უფლების მომხსრენი ვართ, მაგრამ პრაქტიკულად მას მხარს დაუჭრებოთ მხოლოდ გამონაცვლის შემთხვევებში. „ჩვენ მომხსრე ვართ გამოყოფის უფლებისა შავრაზმული ველიკოჩესული ნაციონალიზმის გამო, რომელმაც ისე წაბილწა ნაციონალური თანაცხოვრების საქმე, რომ ზოგჯერ მეტი კავშირი იქნება თავისუფალი გამოყოფის შემდეგ“. რაც შეეხება ავტონომიას, წერდა იქვე ვ. ი. ლენინი, „ჩვენ ავტონომიის მომხსრე ვართ უკელა ნაწილისათვის. ...ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ჩვენი გეგმა“⁴².

ისე ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა ბოლშევკიების თვალსაზრისი ავტონომიის არსის, ამ პრობლემისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ. ბელადი სულაც აზ ივიწყებდა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს და პარტიის საბოლოო მიზანს, მაგრამ მიაჩნდა, რომ ავტონომია ამ სფეროში დაბრკოლებას სრულიადაც აზ ქმნიდა. ვ. ი. ლენინმა გაასწორა ეროვნულ საკითხში ზოგი ბოლშევკიების მიერ დაშვებული შეცდომები და ამით აღმოიფხრა მემარცხენე გადახსრის საფრთხე. სწორი ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა საერთო დემოკრატიული ფრონტის შექმნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო დემოკრატიულ რევოლუციისთან შერწყმის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო.

მასუთი თავი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სახართველოს სახელმწიფო გარემონდის აღდგენის პროგლოვა

1. მროვლელი მოქაობა საართოებოში 1914—1918 წწ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების ეროვნული პროგრამის ღერძს ავტონო-

41 ვ. ი. ლენინი, ტ. 19, გვ. 597.

42 იქვე, გვ. 598—599.

შის მოთხოვნა წარმოადგენდა. მაგრამ ამ იდეის ჩეალიზაციისთვის მათ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. ყველაზე უფრო თავგამო-დებული ავტონომისტების — სოციალ-ფედერალისტების საქმია-ნობა ძირითადად ავტონომია-ფედერაციის იდეის პროპაგანდაში გამოიხატა.

წვრილბურუუაზიული მიმართულების პრესა მთელი ათი წლის განმავლობაში დაუნდობლად აკრიტიკებდა სოციალ-ფემო-კრატიას ეროვნული საკითხის უგულვებელყოფისა და ავტონომიის მოთხოვნის უარყოფისათვის. სოციალ-ფედერალისტები მოწინააღ-მდეგეთა კრიტიკას არ დასკერდნენ და პრაქტიკული ნაბიჯიც გადა-დგეს. მათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ავტონომიის მო-თხოვნით გამოსცლა ვარლამ გელოვანის დაავალეს. ამ უკანასკნელმაც შეასრულა თვის პარტიის ნება და 1912 წ. სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაშე ასეთი სიტყვით გამოვიდა: „პატარა ქვეყანამ, რომელ-მაც მე აქ გამომგზავნა, დამივალა მონაწილეობა მივიღო სრულიად რუსეთის საკანონმდებლო შუშაობაში და ქართველი ხალხის საჭი-როების გამომხატველი ვიყო“.

საქართველო, განაგრძო სოციალ-ფედერალისტების დეპუტატ-მა, რუსეთის იმპერიაში შედის. ქართველი ხალხი პატივს სცემს რუსულ მეცნიერებას, კულტურას, თავის ბედს რუსეთის უკეთეს მომავალს უკავშირებს. რუსეთის ზოგი პოლიტიკოსი ქართველ ერს სეპარატისტად აცხადებს, მაგრამ ეს სიცრუეა. „ჩვენ ქართვე-ლები როგორც რუსეთის მოქალაქენი, დემოკრატიასთან ერთად ხელჩაკიდებული, მიზნად პოლიტიკური თავისუფლების დამყარე-ბას ვისხვავთ ...მაგრამ ქართველ ხალხს თავისებური საპოლიტიკო-საზოგადოებრივი საჭიროება და მისწრაფება აქვს.

ცარიშმის ბიუროკრატიამ, — განაცხადა შემდეგ გელოვანმა, — 1801 წელს დაარღვია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოქმედებდა არა როგორც მფარველი. ასი წლის პოლიტიკა ნათ-ლად მოწმობს, რომ ქართველებს ცარიშმის ბიუროკრატიის „იმე-დი არ უნდა ჰქონდეს. ...დღევანდელი ორგანიზაცია, დღევანდელი მართვა-გამგეობა არ ეთანხმება ჩვენს ხალხში მომწიფებულ პოლი-ტიკურ მოთხოვნებს. ...რუსეთის მთლიანობა მოითხოვს, რომ რუ-სეთის იმპერიაში შემავალ ყოველ ერს ადამიანური, შესაფერი პოლიტიკური ცხოვრება მიენიჭოს. ...პოლიტიკური ავტონომია, როგორც მშრომელს, ისე მთელ ხალხს თავისუფალი განვითარების გზაზე დაიყენებს“.

„ბატონებო, — მიმართა ბოლოს ვ. გელოვანმა სათათბიროს

დეპუტატებს, — თქვენ 5 დეკემბერს მხერვალე ტაშის ცემონიუმის
შედით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, როცა მან სიყვარულით
მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები. ... ცხადია, ჩემსასაც მიხედვე-
ბით... სრული ასი წელია საქართველო ბალკანეთის სლავიანთა
შეგავსად დამკირზულია და შეურაცხყოფილი. ცარიშმის ბურო-
კრატია ჩვენთვის იგივე იყო, რაც თურქები სლავებისათვის. დარწ-
მუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, არ მოიმოქმედა ცარიშმის ბიუ-
როკრატიამ, იმას რუსი ხალხი და მისი წარმომადგენლები იყის-
რებენ".

ასე სცადეს სოციალ-ფედერალისტებმა სახელმწიფო სათათბერ-
ოს მუშაობის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის საქონის
შეტანა. რუსთან საზოგადოების პროგრესული ნაწილი და სათათ-
ბიროს მემარტენე ფრაქციები, მართალია, თანაუგრძნობდნენ და-
ჩაგრულ ერებს, მაგრამ სათათბიროს მემარტენე უმრავლესობა
შტეკედ იდგა დიდმცურობელური შოვინიზმის პოზიციაზე. მისტომ
პატარა ერების უფლებათა დასაცავად, ავტონომიის იდეის ხორც-
შესხმისათვის სათათბიროს არაფერი გაუკეთებია.

პირველი მსოფლიო ომის წინ სოციალ-ფედერალისტთა პოლი-
ტიკური დიფერენციაცია გაძლიერდა, ცალკე გამოიყეთა ეროვ-
ნულ-დემოკრატთა ბირთვი, რომელთა ჯგუფები ჩამოყალიბდა თბი-
ლისში, საქართველოს რამდენიმე რაიონში და ქ. ბაქოში.

ეროვნულ-დემოკრატთა ბაქოს ორგანიზაცია ჯერ კიდევ რეაქ-
ციის წლებში ჩასახულა. მას თავის პროგრამის პროექტიც კი შე-
უდგენია. პროექტის ავტორების განცხადებით, პატარა ქართველი
ხალხი არასდროს არ საჭიროებდა თავის ძალთა გაერთიანებას რო-
გორც ამჟამად, მაგრამ ქართველები არასდროს არ ყოფილან ისე
დაქაქსული როგორც ამ გარდამავალ პერიოდში არიან. საქართ-
ველობში არსებულ არც ერთ პარტიის არ შეუძლია პრეტენზია გა-
ნაცხადოს თავის პროგრამის უნივერსალობაზე და ამდენად არ შე-
უძლია ყველა ქართველის თავის დროშის ქვეშ გაერთიანება. ისინი
ივიწყებენ საერთო ეროვნულ ინტერესებს, მსხვერპლად წირავენო
მას ვიწრო პარტიულ ამოცანებს. ჩვენ ვიკისრეთ საერთო ქართუ-
ლი ინტერესების განსაზღვრისა და მისი ხორციელების უველა
ქართველის გაერთიანების რთული საქმე, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ
ყოველი ქართველი, რომელსაც შერჩენია ეროვნული ღირსების
გრძნობა, ჩვენი პარტიის რიგებში დადგებათ. ეროვნულ-დემოკრა-

1 გაზ. „იმერეთი“, 1912, № 75.

ტებითა თავიანთ ლოზუნგად წამოიყენეს — „ქართველებო, ყავშიათოვან კლასისა შეერთდით“. გარეთიანდით არა სპეციალურად პარტიული, სპეციალურად გლეხური, თვადაზნაურული, საეკლესიო და სხვა ინტერესებისათვის, არამედ სპეციალურად საერთო ქართული ეროვნული ამოცანების განხორციელებისათვის.

ეროვნული დემოკრატების უახლოესი პროგრამა იყო: 1) ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. 2) კავკასიის ავტონომიური ერთეულების ფედერაცია. 3) საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. 4) დემოკრატიული წესწყობილების დამყარება. 5) ფართო კულტურული მუშაობა. 6) ქართველთა შორის ურთიერთდახმარების ორგანიზაცია².

ეროვნული დემოკრატები 1917 წლამდე სოციალ-ფედერაციისტები პარტიის შემადგენლობაში რჩებოდნენ. მაგრამ ისინი ხშირად არ ემორჩილებოდნენ უმრავლესობას, ცდილობდნენ თავიანთი თვალსაზრისის დაცვას, საკუთარი მეთოდებით იბრძოდნენ საქართველოს სახელშიცოდებრიობის აღდგენისათვის. ეროვნულ-დემოკრატთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1913 წელს საზღვარგარეთ (ჟენევაში) ჩამოყალიბდა ჯგუფი — „ჭავალუფალი საქართველო“, რომელმაც დაიწყო ასეთივე სახელწოდების ეურნალის გამოცემა. ამ ორგანოს პირველ ნომერში გამოქვეყნდა მოწოდება — „საქართველოს მამულიშვილნო!“ მოწოდების შესავალ ნაწილში ლაპარაკია საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების. ქართველი ხალხის ძნელების, ცარიზმის ასიმილაციორული პოლიტიკის შესახებ. შემდეგ კი იწყება მოწოდება ბრძოლისაკენ. მამულიშვილნო! ცარიზმის „უხეში ძალა ქართველ ერს მოსპობას, განადგურებას, სულიერ გათახსირებას უქადას. სამშობლო განსაცდელშია. სამშობლო თქვენგან მსხვერპლს მოითხოვს. შემოირჩეთ სამშობლოს გარშემო, იბრძოლეთ მისი მოწოდებულის დაცვისათვის ...იცოდეთ მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება თავისუფლება, იცოდეთ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყოფს საქართველოს არსებობას. მაში იბრძოლეთ სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის. დიდებულ ქართველთა სული თქვენ გავამნევებთ, სხვა ერთა საუკეთესო შეილნი ტანს დაგიქავენ. სამშობლოს თავისუფლება თქვენი ადამიანობის თავისუფლებაა. ...მაში შემოვიქმიბოთ ძალნი, შევერთდეთ ყველანი, ვისაც ქართველი ერის ბედნიერება სწყურია. ვეაფრიალოთ დროშა საქართ-

2 სსტია, ფ. 94 ს, ანაწ. I, ს. 433, 19.

ველოს თავისუფლებისა, დროშა დიდებულ გმირთა ...გაუმარჯოს
სამშობლოსათვის შეგრძოლთ, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს
ლოს"³.

ცარიზმის ეპიდარმერის საზღვარგარეთულ აგენტურას შეუმ-
ნეველი როდი დარჩა „თავისუფალი საქართველოს“ დაბადება.
მან მალე პოლიციის დეპარტამენტს აცნობა, რომ ახალი ორგანიზა-
ცია მიზნად ისახავსო რესაციის იმპერიიდან საქართველოს გამო-
ყოფს, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესუბლიკის შექმნას,
აგენტურის ვარაუდით ჯგუფში შედიოდა ვარლამ ჩერქეზიშვილი,
მ. წერეთელი, პ. სურგულაძე, გ. ქიქოძე, ალ. შანშიაშვილი⁴.

1914 წ. გამოვიდა უურ. „თავისუფალი საქართველოს“ მესამე
ნომერი, რომელშიც სხვათა შორის დაბეჭდილია სტატია — „რა-
ტომ ესაჭიროება ქართველ ხალხს საკუთარი სახელმწიფო“. აქ აღ-
რეულია სოციალ-ფედერალისტების და ეროვნული დემოკრატების
თვალსაზრისი, სახელმწიფოს არსის მცავებური გაგება. ხალხის გან-
ვითარების ისტორია, წერს ავტორი, ყოველთვის თავდება სახელ-
მწიფოს წარმოშობით. არ ყოფილა არც ყრთი, ე. წ. ისტორიული
ერი, რომელსაც არ შეექმნას საკუთარი სახელმწიფო, არ ყოფილა
არც ერთი ერი, რომელსაც დამოუკიდებლობა დაეკარგოს და მოე-
ლი ძალა არ მოეხმაროს მისი აღდგენისათვის.

ერთიანობის სახელმწიფო თავდაცვი¹, ერთადერთი იარაღია.
შართალია, ზოგერ ეს ძალა გამოიყენება სხვა ხალხების ტერიტო-
რიის დაპყრობისათვის, ხშირად ერთი გაბატონებული კლასები სა-
ხელმწიფოს იყენებენ ღარიბი კლასების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ
ცელისო სახელმწიფოს ხასიათს. ჩაგვრისა და უსამართლობის წინა-
აღმდეგ ბრძოლა ყოველ სახელმწიფოში მიმდინარეობდა. ახლაც
კაცობრიობა იმისათვის იძრდება, რომ ერთ მოწყვოს სამართლიანო-
ბის საფუძველზე და მალე დადგება ის დრო, როცა სახელმწიფო
ნამდვილიდ გადაიქცევა სამართლიანობის, თანასწორობის, თავი-
სუფლების დამცველ ძალად.

მაგრამ სამართლიანად სარგებლობს თუ უსამართლოდ ერთ
თავის სახელმწიფოებრივი ძალით, განაგრძობს სტატიას ავტორი,
ამას არც წარსულში პქნია გადამწყვეტი მნიშვნელობა და არც
ახლა აქვს. მთავარია ის, რომ ერს სახელმწიფოს გარეშე არ შეუძ-
ლია არსებობა და ქართველი ხალხი, რომელსაც ცარიზმა წაართ-

³ უკანინის ციია, ფ. 268, ანაწ. 1, საქ. 901, ფურც. 115.

⁴ იქვე, საქ. 301, ფურც. 1.

ეა დამოუკიდებლობა, ახლა დგას დალუპვის საფრთხის წინა-
შე. წერილში დასაბუთებულია დებულება, რომ ტეროტოლობა
ისა და ენის გარეშე ერი არ არსებობს. ქართველებს ჭერ არ აქვთ
ებრაელთა მსგავსი ხევდრი, მაგრამ ჩანს ამის ნიშნები. ასეთი უსა-
ხელო დასასრულის თავიდან აცილების წინაპირობაა ქართული სა-
ხელმწიფოს აღდგენა: წარსული ისტორია ცხადყოფს, რომ ქართვე-
ლებს აქვთ სახელმწიფოს შექმნისა და მისი მართვა-გამგეობის უნა-
რი. მრავალრიცხოვან მტრებს გაუქმელით, სახელმწიფოებრიობა
XIX ს-მდე მოვიტანეთ. ქართველები არ შერიგებიან დამოუკიდებ-
ლობის დაქარგვის და იმთავითვე დაიწყეს ბრძოლა ცარიზმის წინა-
აღმდეგ. მართალია, არაერთი აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგ-
რამ ქართველმა ერმა მაინც გაუძლო განსაყდელს, შეინარჩუნა-
ვნა. ტერიტორია. ქართული სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ქარ-
თველი ხალხი თანაბრად განსახლდება თავის ტერიტორიაზე, დიდ
წარმატებას მიაღწევს კულტურის განვითარებაში.

„განთავისუფლების ჯგუფის“ მოწოდებასა და ზემოთ განხილულ სტატიაში ერთი სიტყვაც არა ნათეამი ავტონომიის შესახებ.
ცხადია, ცენტურაგაულელ თავისუფალ პრესაში სოციალ-ფედერა-
ლისტები და ეროვნული დემოკრატები უფრო თავისუფლად გამო-
თქვამდნენ სურვილებს. მართალია, არ იღავერგებდნენ ავტონომია-
ფედერაციის წინააღმდეგ, მაგრამ იღეალად მიაჩნდათ საქართვე-
ლოს სრული დამოუკიდებლობა, ეროვნული სახელმწიფოს აშენე-
ბა. ამასთან, მათი შეხედულება სახელმწიფოს არსის შესახებ არსე-
ბითად განსხვავდება მარქსისტული შეხედულებისაგან. მარქსიზმი
გვასწავლის, რომ სახელმწიფო გაბატონებული კლასის იარაღია.
„თავისუფალი საქართველოს“ რედაქციის თვალსაზრისით კი იგი
ერის არსებობის და განვითარების ქვეყნის და ურნალის პუბლი-
ცისტები არსებითად უარყოფნენ სახელმწიფოს კლასობრივ ბუნე-
ბას და ქართველ ერს სახელმწიფოებრიობის ბურჟუაზიულ თეო-
რიასა და პრაქტიკის სთავაზობდნენ.

„თავისუფალი საქართველოს“ ჯგუფის მოწოდება გაერცელდა
ინტელიგენციის წრეში. შედარებით შეტი გავლენა მან მოახდინა
რუსეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებზე. გაღაწყდა
სევადასხვა ქალაქებში გაბნეულ სტუდენტთა კონფერენციის მო-
წვევა, რომელიც მიიღებდა აღორძინებული სოციალ-ფედერალის-
ტური პარტიის მოქმედების პროგრამას. კიევის ქართველ სტუდენ-
ტთა კომიტეტმა განა. „ზაკავკასკაია რეგის“ დაბმარებით ურთიერ-

თობა დაამყარა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტებთან, დაწყო დელეგატების შერჩევა და მომავალი კონფერენციის დღისას წესრიგის შედგენა. მაგრამ პოლიციამ დაპატიმრა საქმის ორგანიზატორები. ამის გამო სტუდენტებმა შეაჩერეს აქტიური საქმიანობა. ფედერალისტები დაუბრუნდნენ ლეგალურ მოღვაწეობას და თავის იდეათა პროპაგანდას ეწეოდნენ ლეგალური გაზეთების მეშვეობით („ერი“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „ზავეაზეკაია რები“, „ზავეაზეკაზე“).

პრესის ჩამოთვლილ ორგანოებში იბეჭდებოდა სტატიები აგრძარულ, სასკოლო, ეროვნულ და სხვ. საკითხებზე. პუბლიცისტები გმობდნენ მიწის უცხოელებზე გაყიდვის ფაქტებს, ილაშქრებდნენ საქართველოს კოლონიზაციის წინააღმდეგ. ისინი ასაბუთებდნენ დედაქანზე სწავლების აუცილებლობას, მოითხოვდნენ ქართული უკლესის ავტოკეფალობის აღდგენას. აშექებლნენ რა შექმნალ მდგომარეობას ქართველი ხალხის საერთო ინტერესების სულისკვეთებით, დასახელებული უტრნალ-გაზეთები, პოლიციის მოხელეთა აზრით, ცდილობდნენ პატრიოტულ გრძნობებზე ზემოქმედების გზით გაელვივებინათ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, დაერაზმათ იგი საქართველოს ავტონომიისათვის საბრძოლველად. უანდარმერის მიაჩნდა, რომ სოციალ-ფედერალისტების ამ ძირითად იდეას გლეხობა გულგრილად უყურებდა, ინტელიგენციის დიდი ნაწილი კი იზიარებდა და სათანადო საქმიანობასაც ეწეოდა.

პირველი მსოფლიო ომი სოციალ-დემოკრატიული პარტიების მეცრ გამოცდას წარმოადგენდა. ომისადმი დამოკიდებულების საკითხში პროლეტარული და ინტერნაციონალური პოზიცია მხოლოდ ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს. მათ სამოქმედო პროგრამად იქცა გ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული ლოზუნგი — გადავაქციოთ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად. მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები კი ჩადგნენ თავის ქვეყნის ეროვნული ბურჟუაზიისა და იმპერიალისტური მთავრობების სამსახურში.

ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი უარყოფდა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მას ერების ომად აცხადებდა. გამ. „სახალხო ფურცლის“ რედაქციის მსოფლიო ომის დაწყება მიაჩნდა ინტერნაციონალიზმის იდეის მარცხისა და ეროვნული იდეის გამარჯვების მაუწყებელ მოვლენად. „დღევანდელი

ომი,—წერდა გ. ჭიქოძე,—ეროვნული ომია და სწორედ ამიტომ მრავალი ის იგი გამსჭვალული დიდი მიზნებითა და იდეალებით⁶”。 „პარლე-ტარიატმა, სოციალ-დემოკრატიამ, — აცხადებდა თ. ღლონტი, — გააჩალა ეროვნული ომი⁷. იგი აღნიშვნელია, რომ „ევროპის ახლან-დელმა ოშმა სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაში ეროვნული მი-მართულება გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს შორის ახლა ნა-ციონიალური მისწრაფება უკიდურეს ზომამდე ვითარდება“⁸.

ქართველ სოციალ-ფედერალისტთა და ნაციონალ-დემოკრატ-თა ერთი ნაწილი ქართველი ხალხის ეროვნული იდეალის (ავტო-ნომია, დამოუკიდებლობა) განხორციელებას ომში რუსეთის გამარ-ჯებას უკავშირებდა, მეორე ნაწილი კი პირიქით, საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის წინაპირობად გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკის გამარჯებას და რუსეთის დამარცხებას მიიჩნევდა, რის გამო ანტიცარისტული ბრძოლის ტაქტიკას დაადგა. მათი წარმო-მადგენლების ინიციატივით ქუთაისში ჩატარდა თაბირი, რომელ-ზედაც ახალგაზრდობამ წამოაყენა დაუყოვნებლივი ანტიცარისტუ-ლი აჯანყების წინადადება. კ. აბაშიძე, გ. ზდანოვიჩმა და მათმა თანამოაზრებმა აჯანყების იდეა არ გაიზიარეს. მათ უფრო მიზანშე-წონილად მიიჩნიეს თანაგრძნობის დეპეშის გაგზვნა ინგლისა და საფრანგეთში, რადგან შათო აზრით ეს ორი დიდი სახელმწიფო გა-დამწყვეტ როლს შეასრულებდა ომის შემდგომ მსოფლიოს მოწყო-ბაში და სათანადო მოლაპარაკების დროს ქართველი ხალხის ინტე-რესერვსაც გაითვალისწინებდნენ. 1914 წ. სექტემბრის ბოლოს თბი-ლისში ჩატარდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ყრილობა, რო-მელმაც ანტიცარისტული აჯანყების დაწყება გადადო ხელსაყრელი მომენტის დადგომიამდე⁹.

მალე ამის შემდეგ უცხოეთში შეოფი მ. წერეთელი და გ. მა-ჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომაღებებს. მ. წე-რეთელმა გრაფ პურტალესს მიმართა თურმე შეუკითხვით—მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართვე-ლოს მემორანდუმი. საპასუხოდ გერმანიის რწმუნებულმა განაცხა-და, რომ ეს დამოკიდებულია ქართველების პოზიციაზე, თუ ისინი აქტიურად გამოვლენ რუსეთის წინააღმდეგ, გერმანია დაიცვსო სა-

6 „სახალხო ფურცელი“, 1915, № 217.

7 იქვე, № 448.

8 თ. ღ ღ თ ტ ი. ავტონომია და ფედერაცია, თბ., 1917, გვ. 192—193.

9 სსკია, ფ. 94, საქ. 695, ფურც. 277.

ქართველის ინტერესებს. მ. წერეთელმა იმედი გამოიქვა, ქართველები რუსეთის წინააღმდეგ 50-ათასიან ლაშქარს გამოიყვანებოდა კარგი გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიცვალა არალება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ქართველები, რომ საომარი საჭურველის ნაწილი უკვე მიტანილია ტრაპიზონში და თუ შეთანხმება დაიდო, იგი გაეგზავნება ქართველ აჯანყებულთა ლაშქარს¹⁰.

რუსეთის საზღვარგარეთულმა დაზვერვამ თავის მთავრობას აცნობა: გერმანია ცდილობს გამოიწვიოს ქართველთა აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ და ამას უკავშირებს ოში თურქეთის ჩაბმის მომენტს. გერმანიიდან აჯანყებულთათვის გამოიგზავნება იარაღი 50 ათას კაცზე, აგრეთვე ფული 2 მილ. მანეთის ოდენობით¹¹.

გერმანიის მთავრობას, რა თქმა უნდა, იმპერიალისტური ზრაბები ამოძრავებდა. მისი მიზანი იყო ქართველთა აჯანყებით რუსეთისათვის დამატებითი სიძნელეების შექმნა და ამიტომ არ თავილობდა ქართველი ავტონომისტები დახმარების დაპირებით გამოვლება. მ. წერეთულმა და მისმა თანამოაზრუებმაც ალბათ, კარგად იცოდნენ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ერთ კაპიქსაც არ დახარჯავდა. მაგრამ მათ სურდათ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგობები თავიანთი ეროვნული იდეალის ხორციელების გამოყენებით და სწორედ ამიტომ დაუკავშირეს აჯანყება რუსეთ-თურქეთის ფრონტზე საომარი შოქმედების დაწყებას.

1914 წ. ოქტომბერში ავტონომისტთა ერთ-ერთი აქტიური წევრი გ. მაჩაბელი უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ეროვნული კომიტეტის ჩამოყალიბება. კომიტეტში მიწვეული იქნენ ავტონომიის მომხრე უკელი მიმდინარეობის წარმომადგენლები და მათ ამოცანად დაუსახეს ქართველთა ანტიცარისტული აჯანყების მომზადება.

1914 წლის ბოლოს შობის არდადეგების დროს ქართველ სტუდენტთა დილი ნაწილი სამშობლოში ჩამოვიდა. მათ თბილისში ჩამოყალიბეს სტუდენტთა კომიტეტი, რომელიც მუშებსა და გლეხებს შორის ეწეოდა ეროვნული აჯანყების იდეის პროპაგანდას. გაღმმუვატი მომენტის დადგომის გამო კომიტეტმა მიიღო დადგენილება სტუდენტთა თბილისში დარჩენისა და მუშაობის გაგრძე-

10 უკრაინის ცისია, ფ. 385, ანაწ. 2, საქ. 24, ფურც. 10—12.

11 იქვე, ფურც. 19.

ლების თაობაზე. მაგრამ ამასობაში სოციალ-ფედერალისტებმა, როგორც იქნა, შექმნეს „ქართული ნაციონალური კომიტეტი“¹². მელშიც შევიღნენ ყველა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენელნი, იგრეთე უპარტიონი ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა წრიდან. სტუდენტთა კომიტეტმა თავის უფლებამოსილება ნაციონალურ კომიტეტს გადასცა, მის შემადგენლობაში შევიდა¹².

ქართული ეროვნული კომიტეტის ჩამოყალიბებამ საქმეს ვერ უშეველა. კავკასიის ფრონტზე თურქეთის წარმატება მეტად გვიზოდური გამოდგა. რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, სწრაფად გაათვისუფლეს თურქთა მიერ ოკუპირებული ბათუმის ოლქის ტერიტორიები და არზუმ-ტრაპიზონის მიმართულებით დაიძრნენ. ასეთ პირობებში ეროვნული კომიტეტის მიერ წამოყენებულმა ანტიცარისტულ აჯანყების იდეამ მიმშიდველობა დაკარგა. გერმანია-თურქეთის ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი სწრაფად შემცირდა. სოციალ-ფედერალისტების უმრავლესობამ საქართველოს ივტონომიური სახელმწიფოს შექმნის პროცესში რუსეთში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებს დაუკავშირა და სათანადო მუშაობაც გაიჩარდა, რათა ხელსაყრელ მომენტს მომზადებული შეხვედროდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის აღტაცებით შეხვდნენ რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხები. მაგრამ რუსეთის დროებით მთავრობას არაფერი გაუკეთებია ეროვნული საკითხის გადაწრისათვის, იგი კელავ იცავდა „ერთიანი და განუყოფლი რუსეთის“ კარიბშისძროინდელ პრინციპს. ამიტომ დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების შემდეგ განაპირობები ეროვნული მომრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა. „რუსეთის ეროვნებებმა, — წერდა ამ დროს სტალინი, — რომელთაც საუკუნეების განმავლობაში სჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა „ძველი რევიმი“, პირველად იგრძნეს ძალა და გააჩალეს ბრძოლა მჩაგვრელებთან. ... რუსეთის განაპირობა მხარები მყისვე დაიფარა საერთო ნაციონალური დაწესებულებებით. ეროვნული საბჭოები“ ლატვიაში, ესტონელთა მხარეში, ლიტვაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, კავკასიის მთებში, ყირგიზისტანსა და ვოლგის შეა მხარეში; „რადა“ უკრაინასა და ბელორუსიაში ... ავტონომიური მთავრობა თურქესტანში — აი ის საერთო ნაციონა-

¹² უკრაინის სცია, ფ. 385, ანაწ. 2, საქ. 24, ფურც. 105—106.

ლური ინსტიტუტები, რომელთა ირგვლივ ჰქონდა ძალებს ნაცი-
ონალური ბურჯუაზია¹³.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ძალიან დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა ეროვნულ საკითხს. ამიტომ მისი ასე თუ ისე გადა-
წყვეტის გარშემო მძაფრი ბრძოლა გაჩადდა პარტიებს შორის. მეტ-
ნაელებად განსხვავებული ეროვნული პროგრამები შეადგინეს
ბოლშევიკებმა, მენშევიკებმა სოციალ-ფედერალისტებმა, ეროვ-
ნულ-დემოკრატებმა.

ომისა და რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკები კვლავ ერთა
თვითგამორჩევის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპზე იღვნენ, მაგ-
რამ ახალ სატუაციაში საჭირო გახდა ეროვნული პროგრამის ზო-
გი მუხლის შეცელა-დაზუსტება. ვ. ი. ლენინმა კარგად შეამჩნია,
რომ ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში ერებს აღარ
აქმაყოფილებდა საკანონმდებლო უფლებას მოქლებული საოლქო
თვითმმართველობა. ამიტომ ბელაზის მითითებით პორონინოს თათ-
ბირმა (1913 წ.) მიიღო დადგენილება ეროვნული პროგრამის რამ-
დენადმე შეცელის თაობაშე. პროგრამაში, რა თქმა უნდა, დარჩა
ერთა იყითგამარტივების პრინციპი, მაგრამ იქ ფართო საოლქო
თვითმმართველობის ადგილი დაიკავა ფართო საოლქო ავტონო-
მიამ, ე. ი. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი რუსეთის იმპერიის დე-
მოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნა, საკანონმ-
დებლო უფლებით აღჭურებილ ავტონომიურ სახელმწიფო ერთე-
ულთა ნებაყოფლობითი კავშირის შექმნა¹⁴.

ქართველი მენშევიკები რამდენადმე განთავისუფლდნენ ნაცი-
ონალურ-კულტურული ავტონომიის სენისაგან, მაგრამ ისინი არსე-
ბითად ვერ გასცილდნენ თვითმმართველობის მოთხოვნას. 1917
წლის ივნისში მენშევიკთა ყრილობამ დაადგინა: „არსებული პო-
ლიტიკური წყობილების ფარგლებში ეროვნული კულტურის გან-
ვითარება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას რუსეთში მოსახ-
ლე თითოეული ეროვნებისათვის ფართო შინაური თვითმმართვე-
ლობის მინიჭებით. ნ. უორდანის აზრით, ქართულ, სომხურ და
თათრულ ეროვნულ ერთეულებს მიეცემოდა თვითმმართველობის
უფლება, ისინი შექმნიდნენ ადგილობრივ ორგანოებს ადგილობრივ

13 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თბ., 1934, გვ. 70.

14 ი. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურეუა-
ზიული და წვრილბურეუაზიული პარტიების ნაციონალისტური პოლიტიკა
წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გარარების პერიოდში.
„მაცნე“, 1965, № 3, გვ. 2.

აულტურულ-სამეცნიერო ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ ამას გაუკეთებდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ სახელმწიფოს უდიშვილოებითაც. კომინტაზი ზედმეტია — უორდანის სეული თეითმართველობა სახელმწიფო ბრივი ერთეული როდია. იგი დიდად არ განსხვავდებოდა ცარიზმის დროინდელი უფლება-კომპეტენციაშეზღუდულ საქალაქო და საერობო თეითმართველობისაგან.

თებერვლის ბურუუზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ შეცვალა სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების პოზიცია. მათ თითქმის ერთხმად უარყვეს დასავლეური ორიენტაცია, უცხო ძალებზე დაყრდნობის ტაქტიკა და საქართველოს მომავალი რუსეთის განახლებას დაუკავშირეს. სოციალ-ფედერალისტებმა გააძლიერეს ავტონომია-ფედერაციის იდეათა პროპაგანდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა თათბირებში, ცდილობდნენ დათმობებზე წაეყვანათ რუსეთის დროებითი ბურუუზიული მთავრობა, უზრუნველეყოთ საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობა.

სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი გრ. რცხილაძე ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერიის ერთა ინტერესები მოითხოვდა, ერთი მხრივ, ცალკე ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი ზოგი საქმის მართვა-განვითარების ცენტრალიზაციას და საერთო კანონმდებლობას. გრ. რცხილაძის აზრით, ორივე რიგის ინტერესთა დაქმაყოფილების საუკეთესო პოლიტიკური ფორმა იყო „ნაციონალურ სახელმწიფოთა ფედერაცია, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა“. ფედერაციული სახელმწიფოს სიმტკიცისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო საერთო საქმეთა გამგებლობა დამყარებოდა „რუსეთის ყველა ხალხთა წარმომადგენლობაზე და არა ნაციონალურ სახელმწიფოთა ერთობაზე“¹⁵.

ეროვნულ სახელმწიფოთა ფედერაციის იდეას თავგამოდებით იცავდა აგრეთვე თ. ლლონტი. მისი განცხადებით, ცარიზმის დამხობის შემდეგ „საავტონომიო და საფედერაციო მოძრაობას“ ფართო გასაქანი მიეცა. დიდი რუსეთი ფედერალისტური მოძრაობის აღმი გაეხვია; ყველა ერთ ავტონომიას და რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ-ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნას მოითხოვ-

15 გაზ. „ერთობა“, 1917, № 77.

16 გრ. რცხილაძე, ამიერკავკასიის თეითმართველობა. თბ., 1917, 23. 20—23.

და. თ. ღლონტი ასაბუთებდა, რომ ქართველი ხალხი მომზადებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვეში, რა მათ იგი ფედერაციული რუსეთის განვითარებაში საკუთარ წელის შეიტანდა¹⁷.

სოციალ-ფედერალისტებმა ომისა და რევოლუციის პერიოდში კვლავ გამოაცოცხლეს ერთიანი ნიადაგის თეორია. ისინი ასე მსჯელობდნენ: იმ დროს, როცა მძღვანელი მიმერიალისტურ სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა კლასობრივი ნიადაგი დატოვეს და თავითნ ქვეყნების ბურჟუაზიას ეხმარებიან, რატომ არ უნდა გაერთიანდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი პატარა რა საქართველოს სოციალური ძალები? „თანამედროვე საქართველოს მდგომარეობაში, წერდა თ. ღლონტი, დანაშაულად მიგვაჩნია გაეჩიმდეთ და არ ვიბრძოლოთ ერის სხვადასხვა ჯგუფის შესათანხმებლად ეროვნული ინტერესების დასაცავად“. მას საქართველოს კლასებისა და პარტიების გაერთიანების საფუძვლად მიაჩნდა ავტონომიისა და ფედერაციის იდეა, იგი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ 1917 წელს ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სხვადასხვა პარტიების ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებისათვის¹⁸.

სოციალ-ფედერალისტების მისწრაფება თითქოს ხორციაც ის-ხამდა. 1917 წლის სექტემბერში ეროვნულმა დემოკრატებმა, მენ-შევიცებმა და ფედერალისტებმა მოქმედების ერთიანი პროგრამის შესამუშავებლად შექმნეს „ინტერიატიული საბჭო“. მალე ამის შემდეგ აღნიშნულმა პარტიებმა ერთიანი დელეგაცია გაგზავნეს დემოკრატიულ თაბიირზე პეტერბურგში და ქართველი ხალხის მოთხოვნილებებით გამოსვლა აკ. ჩხერიელს დაავალეს. ამ უკანასკნელმა თათბირის ტრიბუნიდან განაცხდა, რომ ეროვნულ საკითხე ქართველ ხალხს, მის პოლიტიკურ პარტიებს უკვე აქვთ საერთო აზრი, ისინი მოითხოვენო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აღდგენს. 1783 წლის ხელშეკრულების უფლებრივ ნორმათა საფუძველზე¹⁹.

ამგვარად, გერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა არსებითად უკვე ჩამოიყალიბეს ბლოკი, ერთად დაიწყეს საქმიანობა სა-

17 უ. სიღამონიძე. საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. თბ., 1970, გვ. 202—207.

18 უ. სიღამონიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 210—211.

19 იქვე, გვ. 186—187.

ქართველოს ეროვნულ-ბურუჟაზიული სახელმწიფოს შექმნისა-
თვის. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-ფედერალისტური შემცირებულ
ძენშევიყები ავტონომიის მოთხოვნას სჯერდებოდნენ, ეროვნული კულტურული
დემოკრატები კი საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის
იბრძოდნენ. მა განსხვავების მიუხედავად ისინი თანხმობით მოქმე-
დებდნენ, რაღაც ითვალისწინებოდნენ იმ გარემოებას, რომ საქართ-
ველოს სახელმწიფოს ფორმის საკითხი დამოკიდებული იქნებოდა
კონკრეტულ-პოლიტიკურ სიტუაციაზე.

საქართველოს შშრომელი მასის დიდი ნაწილი აღტაცებით შეხ-
ვდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ბოლშევიკებმა მა-
სებს მოუწოდეს ეცნოთ პეტროგრადში შექმნილი მუშარ-გლეხუ-
რი მთავრობა, მყისვე დაეწყოთ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების
ორგანოთა შექმნისათვის. სრულიად განსხვავებული პოზიცია და-
იყავეს მენშევიკებმა. მათი კარნახით მიერკავებასის მუშათა სამხა-
რეო საბჭომ „ანარქიის მორეეში ჩაძირული რუსეთისაგან“ ამიერ-
კავკასიის გამოყოფა მოითხოვა.

1917 წლის 11 ნოემბერს მენშევიკების ინიციატივით ჩატარდა
მუშათა საბჭოს, თბილისის თეითმმართველობისა და ანტისაბჭოთა
პარტიების წარმომადგენელთა თაობირი, რომელზეც ნ. კორდანიაშ
განაცხადა: ას წელზე მეტია ამიერკავებისა რუსეთიან ერთად არ-
ის. ახლა თავს დაგვატყდა უბედურება, ბოლშევიკური გადატრია-
ლების გამო კაეშირი რუსეთიან გაწყვეტილია. ცენტრალური ხე-
ლისუფლების ორგანიზაცია (ლაბარაჟია მენშევიკებისათვის მისა-
დებ ხელისუფლებაზე). — ა. ბ.) ფერხდება. ამიტომ უცილებელია
ადგილზე ჩამოყალიბდესო ხელისუფლების ორგანოები²⁰.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზება უფრო ენერგიუ-
ლად მოითხოვეს წვრილბურუჟაზიულმა და ბურუჟაზიულმა პარ-
ტიებმა (სოციალ-ფედერალისტები, ესერები, დაშნავები, მუსავატე-
ლები). გაფორმდა მათი ხელშეკრულება მენშევიკებთან. ამ ბლოკის
მოთხოვნით დროებითი მთავრობის ფილიალი—ამიერკავების სა-
განგებო კომიტეტი გადადგა. ჩამოყალიბდა ამიერკავების კომი-
სარიატი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ე. გეგეშევორი, წევრე-
ბად კი ა. ჩხენეველი (მენშევიკი), დ. ღონისევი (ესერი), შ. ალექსი-
შესხიშვილი (ფედერალისტი), ს. ხარჩიკიანი (დაშნავი), ხან ხოის-
კი (მუსავატელი) და სხვ.

20 სსკია, ფ. 1825, ანაწ. I, საქ. 4, ფურც. 33.

ქართველი მენშევიკები თითქოს ბოდიშს იხდიდნენ ხალხის
წინაშე, რომ კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა ისინი ექვეული
ბული გახადა შეკავშირებულიყვნენ ბურუუაზიულ პატრიუალის
მათთან ერთად ემუშავთ საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის
გამოყოფის, ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბებისათვის.
1917 წ. 20 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე ნ. უორ-
დანიამ განაცხადა: ჩვენს წინაშე ახლა იგივე დილემა დგას, რაც
ასი წლის წინ იდგა. ყველას სურვილია, რომ რუსეთში აღდგეს
ცენტრალური რევოლუციური ხელისუფლება, რომელთან ერთად
ჩვენც ვიმუშავებდით საერთო საკითხების გადასაჭრელად. ჩვენი
ვალია ხელი შევუწყოთ დემოკრატიული რუსეთის ერთიანობის აღ-
დგენას, მაგრამ ეს მომავლის საჭმა. დღეს კი აუცილებელია ამი-
ერკავკასიის კომისარიატის ჩამოყალიბება და ადგილობრივი სე-
იმის მოწვევა.

რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ,
განაგრძობდა ნ. უორდანია, ყველა დემოკრატი დამფუძნებელ კრე-
ბას აქადემის. მაგრამ თუ რუსეთში ანარქია გაგრძელდა და დამ-
ფუძნებელი კრების მოწვევა არ მოხერხდა, ჩვენ იძულებული ვიქ-
ნებით ადგილზე მოვიწვიოთ საკუთარი დამფუძნებელი კრება, შე-
ვადგინოთ ამიერკავკასიის ახლად ფორმირებული სახელმწიფოს
კონსტიტუცია. ჩვენი პოზიცია, დასკვნიდა ქართველ მენშევიკთა
ლიდერი, გარკვეულია; მხარს ვუჭროთ რუსეთის დემოკრატიულ
რესპუბლიკასთან გაერთიანებას, მაგრამ რაღან რუსეთში ანარ-
ქიაა, სპეიროდ ვთვლით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმ-
წიფოებრიობის შექმნას, რათა პერიტერიტიდან ვემსახუროთ დემო-
კრატიის ინტერესებსმო²¹.

მენშევიკები, როგორც ვხედავთ, ფრთხილად მოქმედებდნენ.
ბურუაზიული პარტიების დაწოლის მიუხედავად, ისინი ჯერ კა-
დევ თავს იყავებდნენ იურიდიულად გაეფორმებინათ და ოფიცია-
ლურად გამოეცხადებინათ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. და-
ახლოებით ასეთსავე პოზიციაზე იდგა ესერთა ნაწილიც. ი. თარხნი-
შვილი ერთ-ერთ სტატიაში წერდა, რომ ამიერკავკასიის დამოუკი-
დებლობის გამოცხადება მწვავე კამათსა და ბრძოლას გამოიწ-
ვესო. იმ დროს, როცა ნაციონალისტური და სხვაგვარი „სოცია-
ლისტური“ პრესა ნალარმა სცემს, მშრომელ დემოკრატიაში დაბ-

21 სსკია, ფ. 1825, ანაწ. I, საქ. 4, ფურც. 37—38.

ნეულება შეიმჩნევა. ამ საკითხის პრიცულოდ გადაჭრა შეიძლება ურთიერთ განვითარების გზით²². ამ მხოლოდ სახალხო რეფერენციუმის გზით²³.

ქართველი ბოლშევიკები გმობდნენ კოალიციური მთავრობის შექმნისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფის ცდებს. გამ. „ბრძოლას“ კორესპონდენტი აღნიშნავდა, თავბრუდამ-ხვევი სისწრაფით შეიქმნაო ამიერკავკასიის მთავრობა. აღგილობრივმა პარტიებმა რამდენიმე საათში მიაღწიეს შეთანხმებას ამ საკითხზე. თათბირმა, რომელშიც ბოლშევიკებს მონაწილეობა არ მიუღიათ, შექმნა მთავრობა, გაანაწილა პორტფელები. კომისარიატს, მართალია, არ გამოუქვეყნებია თავის მოქმედების პროგრამა, მაგრამ მისი შემადგენლობა თავისთვის მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მტერია. არავითარი მხარდაჭერა კომისარიატს, რომელიც შექმნეს მენეშვიერებმა, დაშნავებმა, ესერებმა და კადეტებმა ხალხის ზურგს უკან. მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო მხარი დაუკირეთ რუსეთის მუშურგლებურ მთავრობას. მხოლოდ რუსეთის მშრომელებთან სოლიდარობა მოვციტანს თავისუფლებასა და ბედნიერებას²³.

1918 წ. 5 იანვარს მოსკოვში გაისხილ დამფუძნებელი კრების უმრავლესობა ბურუუაზიულ და შემთანხმებლურ პარტიებს ეკუთვნოდა. კრებამ უარი თქვა ეცნო საბჭოთა ხელისუფლება, მის მიერ გამოცემული დეკრეტები. საბჭოთა მთავრობამ გარეკა საეთი შემადგენლობის დამფუძნებელი კრება. საპასუხოდ ამიერკავკასიის ბურუუაზიულმა და შემთანხმებლურმა პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან ჩამოცყალიბებინათ აღგილობრივი სეიმი—პარლამენტი.

1918 წ. 15 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი. პირეელ სხდომაზე განიხილეს მხარის დამოუკიდებლობის საკითხი. სოციალ-ფედერალისტებმა, დაშნავებმა და მუსავატელებმა უყოფანოდ დაუკირეს მხარი ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, მოიხსოვეს ენერგიულ ღონისძიებათა გატარება დამოუკიდებელი ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი პარატის განმტკიცებისათვის. მემარცხენე ესერები წინ აღუდნენ გამოყოფას, მენშე-

²² А. Н. Муджири. Политические партии и национальный вопрос в Закавказье в период подготовки и проведения Октябрьской революции. Автореферат докторской диссертации, 1970, с. 35.

²³ Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, Тб., 1958, с. 150—152.

გი კვლავ ყოყმანობდნენ, ორჭოფულ პოლიტიკას შესრულებდნენ. ბოლშევეკებმა უარი თქვეს ბურუაზიულ პარლამენტშია: მონაწილეობაზე, ისინი უშუალოდ ხალხში ეწეოდნენ ფერაცია პაროპავენდას გამოყოფის წინააღმდეგ, რუსეთის საბჭოთა ხელი-სუფლების ცნობისათვის.

სეიმის პირველ სხდომაზე მენშევიკური ფრაქციის პროგრამით ნ. უორდანია გამოვიდა, სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) მიაჩნიათ, განაცხადა მან, რომ მიმდინარე რევოლუცია არ იძლევა კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლებას, იგი მხოლოდ სამისიო პირობებს ამზადებს, ე. ი. ქმნის ისეთ პოლიტიკურ და სამეურნეო ფორმებს, რომლებიც მომავალში გაადვილებენ ჩეენს ბრძოლის სოციალიზმისათვის. ქართველი მენშევიკები და ჩეენი რუსი ამხანაგები პეტროგრადში ამ თეორიის საფუძველზე ვმოქმედებდით, დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები წყდებოდა საერთო რუსული მასშტაბით. მაგრამ ჩეენი ამგვარი საქმიანობა შეწყვიტა ბოლშევიკების გამოსვლამ. რუსეთის პროლეტარიატში გაიმარჯვა მაქსიმალისტურმა იდეებმა, მუშათა კლასმა დაიწყო სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა. რუსეთი დამოკიდებულ ოლქებად გაითარშა. ისეთ პირობებში სეიმის ამოცანაა ამიერკავკასიის მისცეს სამართლებრივ პრინციპებზე დამყარებული რესპუბლიკური ფორმა.

ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, განაგრძო შემდეგ ორატორმა, ეროვნული საკითხია. მას ჩეენ ყოველთვის ორ ასპექტში განვიხილავდით, ყურადღებას ვაქცევდით როგორც ამიერკავკასიის ხალხთა ცენტრთან დამოკიდებულების, ისე შინაგავასიური ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემებს. ჯერ არ ვიცით მომავალში როგორი იქნება ჩეენი ურთიერთობა რუსეთთან, ამიტომ პირველი მხარე მოსხილია. სეიმში ძირითადად შინაგანი ეროვნული საკითხის გადაჭრაზე უნდა იმუშაოს. რაგი რევოლუცია ხალხებს თვითმმართველობას აძლევს, ეს თვითმმართველობა ეროვნული უნდა იქნეს. ერების ურთიერთობა თანასწორუფლები-ანობის პრინციპს უნდა ეყმარებოდეს²⁴.

ამიერკავკასიის სეიმში ყველაზე მეტი დეპუტატი (32) მენშევიკებმა გაიყვანეს. მუსავატელებმა მიიღეს 30, დაშნაკებმა 27 ადგილი. სხვა პარტიათა ფრაქციები გაცილებით მცირერიცხვანი იყო. საბჭოთა რუსეთის ცნობაზე უარის თქმით ქართველმა მენშევიკებმა ამიერკავკასიის ბურუაზიული პარტიების მეტი წდობა დაიშახურეს და სეიმისაგან მთავრობის ჩამოყალიბების სანქცია

24 სცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 4, ფურც. 43—47.

მიიღეს. ე. გეგეჭიორის თავმჯდომარეობით შექმნილ მთავრობაში მოსახული პოსტების უმრავლესობა მცნვევიყებმა, მუსავატელებმა და უძლიშნამყავე კებმა დაისაკუთრეს²⁵.

ამიერკავკასიის მთავრობას რთულ შინაპოლიტიკურ და საერთა-შორისო პირობებში მოუხდა საქმიანობა. ბოლშევიკებისა და მუშათა კლასის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ჯარისკაცთა რევოლუციური განწყობილება, ფრონტის დაშლა კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდა ბურუუზლი და შემთანხმებლური პარტიების ბლოკს. ეროვნულმა საბჭოებმა, მართალია, შექმნეს ეროვნული (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური) ჯარის ნაწილები, მაგრამ ისინი ქვეყნის შიგნით „წესრიგის“ დაცვასაც კი ვერ უზრუნველყოფდნენ, თურქთა აგრძესიის შეჩერება მათ არ შეეძლოთ.

ამიერკავკასიის მთავრობამ არ მიიღო ბრესტის ზავის პირობები, განვაში ატენა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ბრალად დადო მას ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესების ღალატი, ბათუმ-ყარსის ოლქების თურქებისათვის დათმობა. ე. გეგეჭიორმა თურქეთთან სეპარატიული საზავო მოლაპარაკებისათვის სპეციალური დელეგაცია გაგზავნა, რომელმაც აგრძესორს უანქქსიო ზავი შესთავაზა. მაგრამ ამიერკავკასიის მესევეურები მალე დარწმუნდნენ, რომ გერმანია-თურქეთის ბლოკთან სამართლიან ზავზე ლაპარაკი ფუჭი იცნება იყო.

1918 წ. მარტში თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ, ორი თვეს განმავლობაში მათ დაიკავეს ყარსი, არდაგანი, ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე, ხალხი, მართალია, აღსდგა დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მთავრობის მაორგანიზებელი როლი თითქმის არ ჩანდა. სეიმის შიგნით თავი იჩინა უთანხმოებამ. მუსავატელები თურქეთთან მორიგებას მოითხოვდნენ, საქართველოსა და სომხეთის საპარლამენტო ფრაქციები კი უფრო კულტურულ შფარველს ეძებდნენ.

ფრონტზე დამარცხებამ ამიერკავკასიის მთავრობა დათმობათა გზაზე დააყენა. მან განაცხადა, რომ სცნობდა ბრესტის ზავის პირობებს, თურქეთის საეუთრებად აღიარებდა ყარსისა და ბათუმის ოლქებს. მოლაპარაკების განახლებაც გადაწყდა. მაგრამ თურქეთის მთავრობამ საზავო ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობად მიიჩნია ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ოფიციალური და დექლარაციული გაფორმება.

25 საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 556—558.



ქართველმა მენშევიცებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი 1918 წ. 9 აპრილს განიხილეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო: ამიერკავკასია გამოცხადდეს ფედერაციულ რესპუბლიკად საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიული ერთეულებით. სხვა უროვნებებს, შესაფერისი ტერიტორიების ფარგლებში მიეცეთ ავტონომია. 6. ეორდანიამ ქენჭისყრის დროს თავი შეიკავა. როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაყარგული რუსეთში ბურუაზიული წყობილების აღდგენის იმედი და ამიტომ ნაჩქარევად მიაჩნდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიული გაფორმება.

1918 წ. 22 აპრილს სეიმში დამთავრდა კამათი ამიერკავკასიის სახელმწიფო დამოუკიდებლობის საკითხზე. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მიღლო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად მისი გამოცხადების შესახებ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აქტი იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, მართალია, არ პასუხობდა რუსეთის მრავალ-ეროვნული პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს. მაგრამ არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც ერთა თვითგამორკვევის უფლების შესაბამისად აღიარა ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობა, ეცნო ამიერკავკასიის ბურუაზიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. და თუ ეს ცნობა არ მოხდა, ამაში ძირითადი ბრალი მიუძლოდათ ამიერკავკასიის შმართველ წრეებს, რომლებმაც მეტად მტრული პოზიცია დაიკავეს საბჭოთა რუსეთის მიმართ²⁶.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებას მოჰყვა ამიერკავკასიის მთავრობის შეცვლა. სეიმშა მთავრობის შედეგენა დაავალა ა. ჩხერიელს, რომელმაც დაიკავა თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნ. რამიშვილი, ფინანსთა — ა. ხატისოვი, ოუსტიციონის — ფ. ხოსკი, სამხედრო — გრ. გორგაძე, მიწათმოქმედების — ნ. ხომერიკი, სახალხო განათლების — ნ. უსუპბეკოვი, შრომისა — ა. ერზინკიანი, სასურსათო საქმეთა მინისტრი ა. საავიანი და სხვ²⁷.

1918 წ. 11 მაისს თურქეთთან საზაფო მოლაპარაკება განახლდა. ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად დადგებოდა ბრესტის ზავის პი-

²⁶ ა. მ უ გ ი რ ი. დასახ. ეტორეფერატი, გვ. 36—37.

²⁷ სსკია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 9, ფურც. 1.

რობები, მაგრამ სამხედრო შარმატებებით გააშავებულმა თურქებმა რეაცია
გაცილებით მეტი მოითხოვეს: ხელშეკრულების პროექტით მშერტობა
კავკასიას უნდა დაეთმო ერევნის გუბერნიის ორი მესამედი, თბი-
ლისის გუბერნიის ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და მშვიდობი-
ანობის დამყარებამდე თურქეთის კონტროლქეუშ უნდა გადასუ-
ლიყო ამიერკავკასიის რეინიგზა. სომხეთისა და საქართველოს მმარ-
თველ პარტიათა ლიდერები, ბუნებრივია, თურქეთის ასეთ გადა-
ჭრებებულ პრეტენზიებს ვერ მიიღებდნენ. ისინი ცდილობდნენ
გერმანიის დელეგაციის დახმარებით შეეზღუდათ თურქ დამპყრობ-
თა მაღა. აზერბაიჯანის ბურუუაზიულ პარტიებს კი მიზანშეწონი-
ლად მიაჩნდათ მათ ქვეყანაზე თურქეთის პროტექტორატის დამ-
ყარება²⁸.

1918 წ. 15 მაისს ა. ჩხერიელი ბათუმიდან აცნობებდა ნ. რამი-
შვილს, რომ გერმანია მხარს უჭერს ამიერკავკასიის ერთიანობას,
თურქები კი მისი დაშლისაკენ მიისწრაფანო. აზერბაიჯანის ლიდე-
რებს გამოყოფა სწადიათ, ამისათვის მზად არიან სომხები გასწი-
რონ და ქართველებიც ზედ მიაყოლონ. თუ თურქეთთან ომი გა-
ნახლდა ეს ასეც იქნებათ. სომხები ვერასგზით ვერ შეურიგდებიან
თურქთა გეგმას და ომს გამართავენ, მით უმეტეს, რომ მათ შორე-
ული იმედი მაინც რჩებათ ინგლისისა. ჩხერ კი ამ გზას ვერ გვყვე-
ბით, რადგან ინგლისელების ამიერკავკასიაში მოსვლამდე ყველა-
ფერს დავკარგავთო²⁹.

ერთი სიტყვით, საქართველოს მმართველი წრები მიეიღნენ
იმ დასკვნამდე, რომ ომის გაგრძელება ქვეყანას დაუჭავდა. შექ-
მნილ სიტუაციაში ისინი მთელ იმედს გერმანელებზე ამყარებდნენ.
თუ საერთო პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე შეუძლებე-
ლი გახდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის სამი ერთეულის მო-
რიგება, უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლო-
ბა. ამას, ა. ჩხერიელის აზრით, ისიც აადვილებდა, რომ ჭერ კიდევ
1917 წლის შემოდგომაზე გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ბულგა-
რეთმა და თურქეთმა გაცვალეს ნოტები, იყისრეს ვალდებულება,
ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა³⁰.

ა. ჩხერიელმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურჩია დაუ-
ყოვნებლივ გამოცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, სა-
ქართველოს მთავრობას კი მოეთხოვა გერმანიისაგან მფარველობა.
ეს ასეც მოხდა. გერმანიის ჩარევამ, მართალია, „იხსნა“ საქართველო

28 სსტი, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 23, ფურც. 3—4.

29 იქვე, ფურც. 5—8.

30 იქვე, ფურც. 3—4.

თურქეთის იუსტიციისაგან, მაგრამ ქართველი ხალხის საქართველოდან
სტუმრები, რა ოქმა უნდა, არც გერმანელები აღმოჩნდნენ და მათ
ამგვარად, მენშევიკების თეორია და პრატიკა არსებითად დას-
ცილდა ერთმანეთს. ისტორიის მსვლელობამ დამსხვრია ნ. ეორდა-
ნიასა და მის თანამშრახელთა სახელმწიფო ორგანიზაციული პრო-
გრამა. ამიერკავკასიის პარლამენტმა და მთავრობამ ავტორიტეტი
ფერ მოიპოვა, ამიერკავკასიის ერების შეთანხმებული მუშაობა ვერ
უზრუნველყო, ფედერაციული რესპუბლიკა ვერ განამტკიცა. სა-
ქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები
სეიმის დადგენილებებს ანგარიშს არ უწევდნენ, ეროვნული ჯარის
ნაწილები ფედერალურ მთავრობას არ ემორჩილებოდნენ. სახელ-
მწიფოს წინაგან კრიზისს საგარეო საფრთხეები დაემატა, რამაც
ამიერკავკასიის ბურუუაზიულ-ფედერაციული რესპუბლიკის დაშ-
ლა გამოიწვია. ასეთ პირობებში მენშევიკებმა უარყვეს თავიანთი
ეროვნული პროგრამა და სანქცია მისცეს ერების სახელმწიფო-
ებრივ გამიჯვნას. 1918 წ. 26 მაისს სეიმმა გამოაქვეყნა თავისი უკა-
ნასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სე-
იმის თვითლიკვიდაციის შესახებ.

2. ქართველი მთავრობის პურუაზიული სახელმწიფოს მფრინავობის
სათავმაზი. მთავრობის საშინაო პოლიტიკა

საქართველოს წერილბურუუაზიული და ბურუუაზიული პარ-
ტიების ლიდერები ამჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის
დასასრული ახლოვდებოდა. ამიტომ ისინი წინასწარ ამზადებდნენ
ნიადაგს სეპარატული აქციისათვის. ამ მიმართულებით განსაკუთ-
რებით აქტიურობდნენ ეროვნული დემოკრატები და სოციალ-
ფედერალისტები, რომლებმაც თავიანთი მისწრაფება ეროვნული
სახელმწიფოს შექმნისაც მენშევიკებსაც გადასდეს.

ამიერკავკასიის ბურუუაზიულ-ფედერაციული რესპუბლიკის
დაშლის თარიღი საქართველოს დამოუკიდებელი „დემოკრატიული
რესპუბლიკის“ დაბადების დღედ იქცა. 1918 წ. 26 მაისს საქართ-
ველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამო-
აცხადა.

მენშევიკების მიერ შეთხულ „საქართველოს დამოუკიდებ-
ლობის აქტში“ ნათქვამი იყო: თებერვლის რევოლუციამ რუსეთში
ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ სამხრეთის ფრონტი და-
იშალა და რუსეთის ჯარმა დატოვა ამიერკავკასია. დარჩენენ რა თა-

ვისი ძალების ამარა, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებშე უკანონო ითვალისწინებული საკანონო და საქართველოს გამომისახურის მიერ გამოსახურის გამო ამიერკავკასიის ერთა კავშირი დაირღვა, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა.

ასეთ პირობებში, განაგრძობენ აქტის ვეტოები, ქართველი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფო ბრიტანული ინტერესი უკავშირდებოდა მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობის საფრთხეს თავი დააღწიოს და დამოუკიდებელი განვითარების საძირკველი ჩაიყროს.

ამ ამოცანების შესაბამისად ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ ქართველი ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

„სუვერენული“ საქართველოს მესვეურები პირობას დებდნენ, რომ შეინარჩუნებდნენ მუდმივ ნეიტრალიტეტს, ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით მოსაზღვრე ქვეყნებთან დაამყარებდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ქვეყნის შიგნით დაიცავდნენ მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუსხსნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერსა და ეროვნებას.

აქტის ბოლო ნაწილში აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას განახორციელებდა ეროვნული საბჭო. და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა საბჭოს წინაშე.

საქართველოს მშრომელები და ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებათა აღდგენას, საქართველოს სახელმწიფო ბრიტანიის შექმნას. მაგრამ ისინი გმობდნენ მენშევიკების სეპარატულ აქტს, რომელშიც დავიწყებული იყო მშრომელი მასის სოციალური ინტერესები და პოლიტიკური მიზნები.

ქართველი ბოლშევიკები მართებულად აღნიშნავდნენ, რომ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და სოციალისტური სახელმწიფოს, საბჭოთა რუსეთის შექმნა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა განაპირა მხარეებში და მათ შორის საქართველოშიც სოციალისტური სახელმწიფო ბრიტანიის ჩამოყალიბებისათვის და ამიტომ მათ დაგმეს საქართველოს მენშევიკური და მოუკიდებლობა, მყისვე დაიწყეს ბრძოლა ქართული ბურჟუაზიუ-

ლი სახელმწიფოს დანგრევისა და ქართული სოციალისტური საზოგადო ხელმწიფობრივის შექმნისათვის.

ამ აქტის შესაბამისად საქართველოს ეროვნული საბჭო მართლაც შეივსო ახალი დეპუტატებით და მას ეროვნული კრება (პარლამენტი) ეწოდა. ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე ანგარიშ-ვალდებული დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა. ნ. უორდანია. სამხედრო მინისტრი გახდა გრ. გიორგაძე, შინაგან საქმეთა — ნ. რამიშვილი, იუსტიციის — შ. მესხიშვილი, გზა-თა — ივ. ლორთქიფანიძე, განათლების — გ. ლასხიშვილი, ფინან-სთა — გ. უურული, მიწათმოქმედების — ნ. ხომერიკივა. ამ კოალი-ციურ მთავრობაში წამყან როლს მენშევიკები ასრულებდნენ.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პირები ღონისძიება იყო გერმანიასთან ხელშეკრულების დადგება და გერმანიის ჯარების მოწვევა. ცდილობდა რა გაემართლებინა მთავრობის ასეთი ნაბიჭი, ნ. უორდანიამ 1918 წ. 9 ივნისს თბილისის მუშათა საბჭოს სხდო-მაზე განაცხადა, რომ საქართველოს თურქეთისაგან ოკუპაციის საფრთხე ელოდა და ამიტომ მოვიწვიეთ გერმანელებით. შეიძლება გერმანიამ სცადოს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის შეზღუდვა, მისი დამოუკიდებლობის გაუქმებაც კი, მაგრამ თუ ჩვენ ძლიერ ხელისუფლებასა და არმიას შევქმნით, ასეთ საფრთ-ხეს თვითდან ავიცილებთოვა.³¹

მენშევიკებმა ეროვნულ ნიადაგზე დადგომით, მართალია, მო-პოვეს გაბატონებული კლასებისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილის ნდობა, მაგრამ ზოგს კვლავ აშინებდა მათი „სოციალისტობა“, უცნაურად ეჩვენებოდათ ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ყოფნა. მენშევიკთა ლიდერი ე. უორდანია, ცდილობდა რა გაეფანტა ეს ეჭვები, აცხადებდა, რომ სოციალისტებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მართვა-გამგების გარკვეული გამოცდილება აქვთო, ფინეთის ავტონომიურ ერთეულს ჯერ კიდევ ცარიშმის დროს სოციალისტური მთავრობა განაგებდა, შეუკიარიაში რამდენიმე ქანტონის მთავრობა სოციალისტურია და გერმანიაშიც ზოგიერთი ავტონომიური სახელმწიფოს სამინისტროები სოციალისტების ხელშიათ. მარქსისტულ პოზიციაზე მდგარ მუშებს კი ნ. უორდანია ასე არიგებდა: თქვენ ფიქ-

31 სსცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 156, ფურც. 75—76.

32 იქვე, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 218, ფურც. 205.

33 იქვე, ფ. 1825, ანაწ. 7, საქ. 4, ფურც. 67.

რობთ, რავი მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახოვანია ელოს სოციალიზმი, მაგრამ ეს ბოლშევიკური თვალსაზრისია. სოციალ-დემოკრატები კი სხვა შეხედულებისა ვართ. ჩვენ, მართალია, ბურუუაზიულ სახელმწიფოში ვმოღვაწეობთ, მაგრამ არ შევვიძლია უსაქმოდ ვისხდეთ, ჩვენი მიზანი სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაათვა³⁴.

მენშევევები, მართალია, აღიარებდნენ, რომ ისტორიის ჩარხის ტრიალმა მათ ქართული ბურუუაზიული სახელმწიფოს მშენებლობა დაკისრა, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას არ განამტკიცებდნენ, დაქირავებულ შრომას არ ამარადისებდნენ. რავი სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ვაძეს—წერდან. უორდანია, — „შეიძლება მხედველობაში ვიქონიოთ სოციალური რევოლუცია როგორც მიზანი და როგორც ისტორიული პერსპექტივა და არა როგორც პირდაპირი პრაქტიკული სავანი. ამ პერსპექტივებით განვსვავდებით ჩვენ ყველა ბურუუაზიული პარტიებისაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო დწესებულებათა აშენების საქმეში, იმ მიზნით, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური საზოგადოება“³⁵.

მენშევევები თითქოს ისეთი რესპუბლიკისათვის იბრძოდნენ, რომელიც ხალხს სახელმწიფოებრივი საშუალებებით ბურუუაზიას არ დაუმორჩილებდა, მაგრამ ამავე დროს ხელს არ შეუშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას. 6. უორდანის აზრით, ამ მიზნისათვის პარლამენტური რესპუბლიკა არ გამოდგებოდა. საჭირო იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის ნიმუშად იგი აშშ-ს და შევეიცარიას ასახელებდა. ამ ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპები მაინც რამდენადმე შეკვეცილია, ჩვენ კი ისეთ შეკვეცას არ, დაუშვებოთ³⁶.

ისეთი შეხედულების მქონე მენშევევები, ბუნებრივია, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს ვერ მიიჩნევდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად. ისინი თანდათან ამცირებდნენ საბჭოების როლსა და მნიშვნელობას. საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ გამოცხადების შემდეგ, როცა ხელისუფლება პარლამენტისა და მისაღმი პასუხისმგებელი მთავრობის ხელში გა-

34 სსკია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 4, ფურ. 68—69.

35 გზ. ურთობაა, 1918 წ. 30 აგვისტო.

36 გ. ჯანვარი 1920 ა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურუუაზიული და წვერილბურუუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 231—232.

დავიდა, მენშევიკების კარნახით საბჭოებმა დათმეს ძალაუფლება და თავის ფუნქციები მთავრობის მოქმედების მოჩვენებით ტრანსფორმირდა და აგიტაცია-პროპაგანდის წარმოებით შემოფარგლეს.

1918 წ. 24 ივნისს მრავალპარტიული ეროვნული კრების სხდომაზე ნ. ეროვნული თავმომწოდე აცხადებდა, პარლამენტის გარეშე ასესბული და აღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი რევოლუციური ორგანიზაციები ძალაუფლებას თმობენ, მიმდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ ორგანოში კონცენტრაციის პროცესი, საბჭოებმა უკვე მიიღეს დადგენილება მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების მთავრობისათვის გადაცემის თაობაზე. იმავე სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარებ ილაპარაკა მტკიცე აღშინისტრაციული აპარატის, სასამართლო დაწესებულებების, აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ეროვნული გვარდიისა და ჯარის ჩამოყალიბება-განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. მტკიცე იძულებითი ხელისუფლების გარეშე, დაასკვნა 5. ეროვნული თვით სახელმწიფო პრ არსებობს, უიმისოდ შეუძლებელია ანარქიის აღმოფხვრა და ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ პარლამენტი და მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროთა აპარატის გაძლიერებას, ადმინისტრაციისა და მილიციის ჩამოყალიბებას. 1918 წ. 2 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა სპეციალური კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო აღმინისტრაციის შტატების შესახებ, რომლის თანახმად დაინიშნენ თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები, მათი თანაშემწერები, სოხუმისა და ზაქათალის ოლქის კომისრები, 14 სამაზრო კომისარი, 56 სახაიონო კომისარი. ყოველ სასოფლო საზოგადოებაში წესრიგის დასაცავად შეიქმნა მუდმივი სასოფლო მილიცია სასოფტლო კომისრისა და 5 მილიციონერის შემადგრნლობით³⁷.

მთავრობა და იუსტიციის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად საქმიანობდნენ ოფიციალური სასამართლოს ხელში მართლმსაჯელების ცენტრალიზაციისათვის. მათ გააუქმეს რევოლუციური ტრიბუნალები და სხვადასხვაგვარი საგამომძიებლო კომისიები, სამოსამართლო ფუნქცია ჩამოართეს საბჭოებს, რასაც მენშევიკთა აზრით თითქოს ის შედევგი მოჰყვა, რომ „რევოლუციის პირველ ხა-

37 სსცრა, ფ. 1938, ანაწ. 1, საქ. 37, ფურც. 23—24.

ნებში სრულიად დატვეული და შეფერხებული საქმიანობა სახა-
მართლო პარატისა მოწესრიგდა, სახელმწიფოს სხვა მხარეებთან
შედარებით მაინც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა³⁸.

1918 წ. 24 სექტემბრის კანონშა მოახდინა მომზრიგებელ მოსა-
მართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია. ცალკე კანონის საფუ-
ძველზე ჩატარდა სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის რეფორ-
მა. 1919 წლის დამდეგს პარლამენტმა მოიღო კანონი ნაფიც მსა-
ჭულთა სასამართლოს ორგანიზაციის თაობაზე, დამტკიცდა აგრე-
თვე „უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულების“—
სენატის დებულება. იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა განსა-
კუთრებული საკოდიფიციაციო განყოფილება, რომელიც 1919 წლის
იანვრიდან რეგულარულად ქვეყნებდა „ოფიციალური კანონებისა
და მთავრობის განკარგულებათ კრებულს“. 39

მენშევიურმა სასამართლომ ფეხი იდგა, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს აზრით მის მუშაობას აფერხებდა: ადმინისტრაციული პარატის მოუწყობლობა, საერთო და საქალაქო თეოთმართველობათა მოხელეების უპასუხისმგებლობა, იურიდიული კადრების ნაკლებობა. იუსტიციის მინისტრი აღიარებდა, რომ მთავრობის ადმინისტრაციული პარატი ჭერ არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, მოხელეებს ან არ ჰქონდათ შეგნებული თავის მოვალეობა, ან არ სურდათ ამ მოვალეობის შესრულება. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობად იუსტიციის სამინისტროს მიაჩნდა: 1) სასამართლოს პარატში ხელფასის გადიდება; 2) მილიციის მიერ სასამართლოს განკარგულებათა დაუყოვნებლივ შესრულება; 3) სისხლის სამსახურის მილიციის შექმნა; 4) იურიდიული კურსების გახსნა; 5) ადგილობრივი თეოთმართველობის ორგანოთა განმეორება, მათ მოხელეებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება⁴⁰.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი საქართველოში საერობო თვითმმართველობის შემოღებისათვის ოზაყომის დროს გადაიღვა, მაგრამ საქართველოს ბურუუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე ეროვნების ჩამოყალიბება არ მოხერხდა. საერობო თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები 1918 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა. მართალია, ხმების უმრავლესობა მენშივისტებმა მიიღო.

38 Ապրիլ, թ. 1938, հնգիւն. 1, և մ. 37, դեկտ. 26—31.

39 0139

40 ପିତ୍ତ, ଅନୁରା, 63—66.

ლეს, მაგრამ საქმაო რაოდენობით ხმოსნები აირჩიეს სოციალისტურებულისტების, ეროვნული დემოკრატებისა და სოციალისტურებულისტების რევოლუციონერთა წრიდან. თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საერობო კრებები და გამგეობები.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გააუქმა ქვეყნის დაუოფა გუბერნიებად, რის გამო, ბუნებრივია, ზედმეტი გახდა ერობის საგუბერნიო დაწესებულებათა ჩამოყალიბება. საქართველოში სულ შეიქმნა 21 სამაზრო საერობო თვითმმართველობა. ყოველი მაზრის ერობას დაევალა თავის ტერიტორიაზე ერობის წერილი ერთეულების ჩამოყალიბება. მაგრამ ბევრ თემში ეს საქმე 1920 წლამდე გაიკანისრდა⁴¹.

საერობო თვითმმართველობის ჩამოყალიბების შემდეგ მოქმედება შეწყვიტეს აღმასრულებელმა კომიტეტებმა. ლიკვიდირებულ იქნა აგრეთვე სამაზრო და სარაიონო კომისართა თანამდებობა. ერობები ადგილობრივი ხელისუფლების ერთადერთ ორგანოებად გადაიქცნენ. მათ ხელში გადავიდა ადგილობრივი აღმინისტრაცია და მილიცია. მათვე დაეკისრა ადგილობრივი სასამართლოების ჩამოყალიბების საქმე.

საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მესამეურებს კარგად ესმოდათ სახელმწიფო სათვის შეიარაღებული ძალის დიდი მნიშვნელობა და ყოველნაირად ცდილობდნენ ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას.

ახალი, ეროვნული ჯარის პირველი ბირთვი შეადგინა ორმა ქართულმა პოლქმა, რომლებიც ჩამოყალიბდა ჯერ კადევ ცარიზმის დროს — 1915—1916 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წ. ივლისში რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის შესახებ, რომლის საფუძველზე წარმოებდა სახალხო გვარდიისა და მუდმივი ჯარის დაკომპლექტება.

საქართველოში რეეოლუციის პირველ დღეებშივე ჩამოყალიბდა წითელი გვარდია, რომელსაც მენშევიკებმა სახალხო გვარდია უწოდეს. თავდაპირველად სახალხო გვარდიის შენახვა-შეიარაღების ხარჯები იქმნებოდა კერძო შემოწირულებითა და სუბსიდებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ. 2 ივლისის კანონით სა-

41 В. Ванишвили. Борьба грузинской общественности за земское самоуправление. Крах земской политики меньшевистского правительства. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1974, с. 24—26.

ხალხო გვარდია აღიარეს სახელმწიფო-სამხედრო ორგანიზაციად
და მისი წყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ადრე გვარდია მნიშვნელოვნად
მოდ მოხალისე მსროლელთაგან შედგებოდა, შემდეგ თანდათან
ჩამოყალიბდა გვარდიის არტილერია, ცხენოსანთა დივიზიონი,
ტუვიამფრქვეველთა რაზმი, ჯავშნიანი მატარებლებისა და ავტო-
მობილების რაზმი, საინეინრო ნაწილი. გვარდიასთან შეიქმნა 17
სარეზერვო ბატალიონი.

1919 წლის 2 ივლისის კანონის თანახმად საქართველოს რეს-
პუბლიკის მუდმივი რეგულარული არმია შედგებოდა სამი ქვეითი
ბრიგადის, სანაპირო ჯარის, თბილისის სადარაჯო ათასეულის, ერ-
თი ცხენოსანი რაზმის, ერთი საარტილერიო დივიზიონის, ერთი მე-
სანკრეთი ათასეულის, ავტომობილისტთა, საავიაციო და რადიო-
ტელეფრაფისტთა რაზმისაგან. 1919 წ. 29 ივლისის კანონმა
საქართველოს შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად
გმოაცხადა პარლამენტი. სამხედრო უწყების უშეალო ხელმძღვა-
ნელად დაინიშნა სამხედრო მინისტრი. ომიანობის დროს მტრის წი-
ნააღმდეგ მოქმედ ყველა შეიარაღებულ ძალას სათავეში უნდა
ჩადგომოდა მთავრობის საგანგებო დყენერტით დანიშნული სარდა-
ლი. მთავრობისაგან ინიშნებოდა აგრეთვე შეიარაღებული ძალების
პტაბის უფროსი.⁴²

პარლამენტის დეკრეტები და კანონები, რა თქმა უნდა, არ კმა-
რიოდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გან-
მტკიცებისათვის. მრავალრიცხოვანი არმიის შენახვა-შეიარაღებას
სკირდებოდა დიდი მატერიალური სასსრები, რის ნაკლებობას
მთავრობა ყოველთვის მწვავედ განიცდიდა. ამის გამო მუდმივ აო-
მიაში არასდროს არ ყოფილა 25—30 ათას კაცზე მეტი. გვარდიის
პირადი შემადგენლობა გაცილებით ნაკლები იყო.

სახელმწიფო ძლიერების საფუძველი საერთოდ ეკონომიკური
ბაზისია. მენშევიკურ მთავრობასაც შეგნებული პქონდა ეს გარე-
მოება და გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა სოფლის მეურნეო-
ბისა და მრეწველობის ნერევის შესახერებლად, სახელმწიფო შე-
მოსავლის წყაროთა გასაღიდებლად. მშრომელი მასის მხარდაჭერის
უზრუნველყოფის მიზნით მენშევიკურ მთავრობას საჭიროდ მიაჩნ-
და აგრეთვე ზოგი მომწიფებული რეფორმის გატარება.

ოქტომბრის რევოლუციამ დაარღვია რუსი და ქართველი მენ-
შევიკების ორგანიზაციული მთლიანობა. რუსეთის მენშევიკური

42 სსკია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 177, ფურც. 3—4, საქ. 80, ფურც. 397—399.

პარტია სულ დაფავდა, ქართველი მენშევიები კი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სათავეში მოექცნენ. ასეთ პრემიერის ბებში მათ დღის წესრიგში დასვეოს თავიანთი პარტიის დამოუკიდებლობის საკითხიც. 1918 წლის 19 ნოემბერს შედგა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია ნ. კორდანია, კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, რ. არსენიძე, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ა. ლორთქიფანიძე, ე. გეგეუქოჩი და სხვ.⁴³

რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ მოისმინა ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის მოხსენება, რომელიც არ-სებითად მიძღვნილი იყო მთავრობის სამოქმედო პროგრამის შემუშავებისადმი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ნათევამი იყო ყრილობის დადგენილებაში, დაიყრო მთელი ძალა-უფლება საქართველოში. პარტიის მიზანია განამტკიცოს დემოკრატიული წყობილება, განახორციელოს პირველ რიგში პროგრამა მინიჭები და ამავე დროს დემოკრატიული გზით თანდათან გაატაროს პროგრამა მაქსიმუმი. სოციალ-დემოკრატია ცდილობს ძალა-უფლება გამოიყენოს ყველა სოციალ-ეკონომიკური რეფორმის საესებით გასატარებლად და წარმოების შემდგომი განვითარებით შექმნას პირობები სოციალისტური წყობილების დასაფუძნებლად. ამ მთავარი მიზნის მისაღწევად პარტიის დადგენილებით სახელმწიფოს გადაეცა საკუთრებად რესპუბლიკის მთამადნეული და ტყეები, მსხვილი მამულები, რეინიგზები და სატრანსპორტო საშუალებანი. ფართოვდება სახელმწიფო, ქალაქთა, ეროვნებისა და კოოპერატიული საწარმოები. ხოლო მთავარ საექსპორტო საქონელზე მონაბოლის დაწესებით სახელმწიფო გაელენიან ძალად ხდება მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ამ გარდამავალ ხანაში, როცა ეკონომიკური ცხოვრება ძირფესვიანად შერყეულია, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები მოყლებული არიან საშუალებას წარმოება-აღებ-მიცემობა მარტო საკუთარი ძალით მოაწესრიგონ და ამიტომ კერძო ინიციატივას, რამდენადაც ის ემსახურება საწარმოო ძალთა განვითარებას, შესაფერისი ასპარეზი ეთმობათ.⁴⁴

43 სსკია, ფ. 1825, ანაწ. I, საქ. 49, ფურც. 40.

44 სსკია, ფ. 1825, ანაწ. I, საქ. 125, ფურც. 23—27.



ამ დაღვენილებაში, რა თქმა უნდა, შელამაზებულია მეწარეთა უკური პარტიის პოლიტიკა. რევოლუციური ფრაზები და სტუდენტების ლიტერატურული განვითარების მიზანის შექმნა ამ პარტიას პროლეტარიატის ნდობის მოპოვებისათვის სჭირდებოდა. ამასთან ერთად მეწარეთა უკური განვითარების სურდათ შექმცირებინათ საბჭოთა რუსეთის სოციალისტურ გარდაქმნათ მაგალითის გავლენა. ისინი მშრომელ მასებს ეუბნებოდნენ ბოლშევიკები სოციალიზმს დიქტატურის მეშვეობით აშენებენ, ჩვენ კი ამისათვის დემოკრატიულ მეთოდებს ვიყენებთო. მეწარეთა უკური განცხადებით სოციალიზმის წინაპირობათა მომზადებას ემსახურებოდა მათ მიერ გატარებული მუშათა კანონმდებლობა, აგრძოლული რეფორმა და ზოგი სხვა ღონისძიება.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, მართალია, ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ მის ტერიტორიაზე საქმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები. სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები და სხვა ერთა წარმომადგენლები. ამიტომ მეწარეთა უკური მთავრობა გარკვეულ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ ურთიერთობათა „მოწესრიგებას“, ეროვნული საყითხის მოგვარებას.

მეწარეთა უკური ალიარებდნენ ერთა თანასწორობის პრინციპს და ერთა თვითგამორჩვევის უფლებას, მაგრამ საქართველოს პირობებში მათ ძალიან გაუჭირდათ ამ პრინციპის პრაქტიკული ჩეალიზაცია. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა აფხაზეთის, ოსეთის, ავარისა და ზაქათალის საყითხების გადაწყვეტა.

ჭერ კიდევ 1918 წლის 8 ივნისს საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის წარმომადგენლებმა აფხაზეთის სახალხო საბჭოს რწმუნებულებთან ასეთი ხელშექრულება გათვარმეს:

1) საქართველოს დროებით მთავრობასთან მიწვეული იქნება აფხაზეთის წარმომადგენელი, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი.

2) აფხაზეთის შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა ცკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

3) აფხაზეთის მართვა-გამგეობისათვის საჭირო კრედიტები და ფული გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ და იხარჯება აფხაზეთის სახალხო საბჭოს სურვილისამებრ.

4) რევოლუციური წესრიგის დამყარებისა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის აფხაზეთში იგზავნება გვარდიის ნაწილები.

5) აფხაზეთში ყალიბდება ინტერნაციონალური რაზმი და იგი იქნება აფხაზეთის სახალხო საბჭოს განკარგულებაში.

6) აფხაზეთში სოციალურ რეფორმებს ატარებს აფხაზეთის ხალხო საბჭო საქართველოს საერთო კანონების საფუძველზე რეფორმის გილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

7) აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობა მოიწვევა რაც შეიძლება მაღვე და იგი საბოლოოდ გადაწყვეტს აფხაზეთის წყობრლების საკითხებს⁴⁵.

მენშევიური მთავრობა, როგორც *ვხედავთ, პრინციპულად ცნობდა აფხაზეთში ჩამოყალიბებულ ადგილობრივ მმართველობას, მზად იყო მიეცა ამ კუთხის მოსახლეობისათვის ავტონომია. მაგრამ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ზოგადი დებულებები არასაქამარისი აღმოჩნდა ადგილობრივი მმართველობის უფლება-კომპეტუნციის დაფლენისა და ცენტრალურთობის ნორმების განსაზღვრისათვის. ამ ნიადაგზე ხშირი იყო კონფლიქტები და ინ-ციდენტები. საქართველოს მთავრობა დაპირებას იძლეოდა, აფხაზეთის მართვა-გამგეობის ფორმას დამტუქნებელი კრება და რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავსო, მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭო საკითხის დაუყოვნებლივ გადაქრას მოითხოვდა.

1919 წლის 4 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია საქართველოს მთავრობას მოახსენებდა, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცებამდე საჭიროა განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების ურთიერთ-დამოკიდებულება. „აფხაზეთის დემოკრატიას“ შეუძლია საქანონ-მდებლო მუშაობა, მხარის მართვა-გამგეობა. აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობის თვითმოქმედების განვითარების ინტერესი თხოულობს „დემოკრატიულ ცენტრაზე“ მჟიდრო კავშირს და ურთიერთობის ნორმების მოვალეობას, მაგრამ აქმდე ეს არ ხერხდებაო.

ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, განავრძობდა შემდეგ დელეგაცია, თავის ურთიერთობაში ცენტრაზე არ შეუძლიათ დაეყრდნონ კანონით დადგენილ ნორმებს, განუსაზღვრელია ამ ორგანოების უფლება და მათი ვალდებულება ცენტრის მიმართ. ამიტომ საჭიროა შეიქმნას წერილობითი აქტი, სადაც გამოთქმული იქნებათ საქართველოს მთავრობის თვალსაზრისი შემდეგ საკითხებზე:

.1) ცნობს თუ არა რესპუბლიკის მთავრობა აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ აეტონომიურ პოლიტიკურ ერთეულს, მის საკანონ-მდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შინაგანი თვითმმართვე-

45 სსკია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 37, ფურც. 58.

ლობის უფლებით. 2) როგორი აზრისაა მთავრობა აფხაზეთის კულტურულ ტონომატის კონსტიტუციის პროექტში ფიქსირებულ უფლებათაზე განვითარებას ხორციელდის თაობაზე. 3) როგორია საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებაზე დამფუძნებული კრების აჩერენები მოანდინოს განსაკუთრებული სიების მიხედვით აფხაზეთის ეროვნებათა რაოდენობის შესაბამისად⁴⁶.

მმ წერილის პასუხად საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობამ დაადასტურა აღრევე გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ცნობდა აფხაზეთის ავტონომიას. მაგრამ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ნორმალური ურთიერთობა, ხშირად ირლევეოდა, ურთიერთდამოკიდებულების მტკიცე ნორმების დადგენა შეუძლებელი გახდა.

კიდევ უფრო გართულდა სამხრეთ ოსეთის, ზაქათალის და აჭარის ავტონომიური ერთეულების მოწყობის საკითხი. მართალია, შეადგინეს სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი, მაგრამ მისი განხორციელებისათვის პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. ზაქათალის მართვა-გამგეობის თაობაზე კი ფორმალური აქტიც კი არ ყოფილა შედგენილი. ბათუმის ოლქი 1920 წლამდე ინგლისელი ოკუპანტების ხელში იყო და მხოლოდ მის შემდეგ დადგა დღის წესრიგში ამ მხარის მაჰმადიანი ქართველებისათვის შინაგანი ავტონომიის მიცემის საკითხი.

საქართველოს მკვიდრი სხვა ეროვნებები კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ, ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნებს ვერ აქაყოფილებდნენ. მათი ეროვნული უფლებების დაცვა საერობო თვითმმართველობის კომპეტენციის დაეჭვემდებარა.

ერობის მოღვაწე ლ. ნათაძე წერდა: „ნაციონალური საკითხის თითქმის ყველა თეორეტიკოსი თანახმანი არიან იმაში, რომ საუკეთესო გადაწყვეტა ნაციონალური საკითხისა ის იქნებოდა, რომ ყოველ ერს ჰქონდა თავისი სახელმწიფო. ... მაგრამ სამწუხაოდ ერები ერთ კომპაქტურ ტერიტორიაზე არ ბინადრობენ. ამიტომ უეროვნული სახელმწიფო“ მხოლოდ ტენდენციაში არსებობს და არსად წმინდათ არ განხორციელებულა“. ამ დაბრკოლების დაძლევის საუკეთესო საშუალებად, განაგრძობდა შემდეგ წერილის ავტორი, მიჩნეულია „ერთა ფედერაცია“, მაგრამ ფედერაციულ სახელმწიფოში დამაკაყოფილებლად შეიძლება მხოლოდ ის ერები

⁴⁶ სსკია, ფ. 1861, ახაწ. 2, საქ. 73, ფურც. 1—2 .

მოეწყონ, რომელიც ავტონომიურ ერთეულებში უმრავლესობას:
შეადგენენ, უმცირესობაში მყოფ ერთა მდგომარეობა კი ფედერა-
ციულ სახელმწიფოში არა თუ უმჯობესდება, არამედ უარესდება.
ამ ბოროტების დასაჭლევად ავსტრიის ერთეულებმა საჭიროდ მიიჩნიეს სა-
ხელმწიფოს დანაწილება უფრო წვრილ ერთეულებად, ეროვნულ
ოქროგებად.

ამ მსჯელობის საფუძველზე ლ. ნათაძე ასკვნის, რომ სხვათა
გამოცდილება ჩვენც უნდა გამოვიყენოთ, საერობო თეითმმართვე-
ლობათა ერთეულების გამიჯვნა შეძლებისდაგვარად ეროვნული
ნიშნით უნდა მოვაზდინოთ. „რაც უფრო მცირეა ის ერთეულე-
ბი, რომლებშედაც ვანაწილებთ ჩვენს სახელმწიფოს, მით უფრო
ეუახლოვდებით ეროვნული საკითხის მოგვარების იდეალს, რად-
გან მით უფრო ადვილი ხდება სახელმწიფოს ცხოვრების დაუბრ-
კოლებლად ისეთი ერთეულების გამოქრა, რომლებიც ადგილობრი-
ვი თეითმმართველობის როლსაც შეასრულებენ და ამავე დროს
ეროვნულადაც ერთგვარი იქნებიან“⁴⁷.

1920 წელს საქართველოში ყალიბდებოდა ერობის წვრილი
ერთეულები, იქმნებოდა თემების მართვა-გამგეობის ორგანოები.
ლ. ნათაძე მთავრობის წევრებსა და ერობის ლიდერებს ურჩევდა
გამოეყენებიათ ეს ხელსაყრელი მომენტი. მართალია, წერდა იგი,
განუხორციელებელია წმინდა ეროვნული სახელმწიფოს, წმინდა
ეროვნული ავტონომიის პრინციპი, მაგრამ სავსებით შეიძლება გან-
ხორციელდეს წმინდა „ეროვნული თემის“ პრინციპი. ფართო ა-
პარეზი უნდა გაეხსნასო ეროვნული ნიშნით გამოქრილ მცირე ერ-
თეულებს, რომლებიც დაუბრკოლებლივ გადაქრიან ადგილობრივ
საქმეებს და მათ შორის ეროვნულ-ეულტურულ საქმეებსაც. თე-
მებს კოლეგა ეროვნული აღმინისტრაცია, ეროვნული სასამართ-
ლო, ეროვნული სკოლა და მასწავლებელი. მართალია, ერთი თე-
მის ფარგლებში ვერ გადაიჭრება ყველა ეროვნული პრობლემა,
მაგრამ ეროვნულად ერთნაირ თემებს არავინ დაუშლის ერთმანეთ-
თან დაკავშირებას. საესებით შესაძლებელი იქნება ასეთმა კავში-
რებმა მოიცვან ჩესპუბლიკის ყველა ის თემი, რომელთა ეროვნული
შემადგენლობა ერთგვაროვანია. „ამნაირად, — დასკვნის ავტო-
რი, — შედგება ჩესპუბლიკის მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობა-
თა ეროვნული კაშირები, მაგრამ ეს არ ემგვანება იმ ეროვნულ
კაშირს, რომელზედაც მიგვითოთებენ... ექსტერიტორიალური ერო-

47 „ერობა და ქალაქი“, 1920, № 6, გვ. 8—11.



ვნული კავშირების მოტრფიალენი. ეროვნულ თემთა კავშირის და მიმღებების არის ექსტერიტორიალური, სახელმწიფოს კალაპოტს გარეშე მდებარებარე. მას ფესვები მიწაში იქვე გადგმული, თემის ტერიტორიაში, მისი ცხოვრება სახელმწიფოს კალაპოტში მიმღინარეობს და სახელმწიფოს ძლიერებით ნომიკედება⁴⁸.

ლ. ნათაძის აზრით, სომხური თემები უნდა შექმნილიყო ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში, თათრული — ბორჩალოს, თბილისისა და ახალციხის მაზრებში; რუსული — თბილისის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრებში, არეთვე სოხუმის ოლქში; სოური — გორისა და დუშეთის მაზრებში; გერმანული — თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში; ბერძნული — ბორჩალოს მაზრასა და სოხუმის ოლქში⁴⁹.

ლ. ნათაძის წინადადება მისაღებად მოეჩენათ მთავრობის წრეებში და კიდეც დაიწყო თემების ეროვნული ნიშნით გამიჯვნა. მაგრამ ეს ლონდისძება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი.

1919 წ. 18 II 6. უორდანიამ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე დემაგოგიურად განაცხადა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე მიადგა იმ ნაპირს, საიდანაც იწყება ხალხის ნორმალური განვითარება. დღეს ჩვენ უკვე ვვაჭვს გარკვეული სოციალური და პოლიტიკური წყობა, მხოლოდ საქიროა მიყცეთ მას იურიდიული და კონსტიტუციური ფორმა, რასაც შეასრულებს უახლოეს ხანს მოწვეული დამფუძნებელი კრება“. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო მდგომარეობა, განაგრძობდა მენშევითა ლიდერი, საქმაოდ მტკიცეა, მაგრამ რთული ვითარებაა ქვეყნის განაპირა მხარეებში (ბათუმის, სოხუმისა და ახალციხის ოლქები). მტრებს ვებრძევთ, ვიცავთ საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილებს. ჩვენ მიუდიდებთ ამ ცანაპირა მხარეებში არა მათი ძალით დაპყრობის მიზნით, არამედ გვინდა, რომ გავუწიოთ მათ დახმარება დემოკრატიული წყობილების დამყარებაში. მუსლიმანებს, აფხაზებს, სომხებს ჩვენ ვეუბნებით, რომ გვინდა მათთან ნებაყოფლობითი კავშირი, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება, ორივე მხარეს გააძლიერებს.

შემდეგ 6. უორდანიამ აღნიშნა, რომ განაპირა მხარეების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა თავისებურია, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ მათ ზნე-ჩვეულებას, ტრადიციებს და ამიტომ მთავრობამ დაადგინა, მისცეს მათ ავტონომია, მხოლოდ იმ

⁴⁸ იქვე, გვ. 12—16.

6. յորդանու ամ և սուրպազու հորոտագո անհո ու ոյս, հռմ և յահուցելու դրուցիութիւն Արևամեննում և դրուցիութիւն մտաշիռօձամ մեռլուց մուսամենացքեցու մոշառա հաճարակը. յահուցու սակելմ-բուցուցիոնօձա մցահո Մենածու ացքա և մոմացլու Արոցհամու Մե-Մոշացքա յո և ամուսնեցու յուրեցու մոռպանս Մյաջցընդա.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში ჩატარდა. სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) დამფუძნებელ კრებაში გაიყვანეს 109 დეპუტატი, სოციალ-ფედერალისტებმა — 8 დეპუტატი (გ. ლასხეშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გეღვევანიშვილი, ს. მდივანი), ეროვნულმა დემოკრატებმა — 8 დეპუტატი (ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. ქიქოძე, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ალ. ასათიანი, პ. სურგულაძე), სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 5 დეპუტატი (ლ. შენგელია, ი. ნუცუბიძე, ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, გ. ნათაძე).

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს
ჩატარდა. უხუცესმა დეპუტატმა ს. ჯიბლაძემ წარმოთქქა პირველი
სიტყვა, რომელშიც ფრიად შელამაზებული და მაღალფარდოვანი
ფრაზებით იყო დახსიათებული ეს „ისტორიული მომენტი“. თე-
ბერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად, აღნიშნა ორატორმა,
ხალხმა მოიცილა საძულველი მეფის მთავრობა. ახლა თვითმშეკრ-
ბელობის ნანგრევებზე უნდა დაფუძნდეს ხალხის მმართველობა.
ს. ჯიბლაძემ შექმნილი ვითარება ისე დახატა, თითქოს საქართვე-
ლოს მენშევიკურმა მთავრობამ მოიგერია შინა და გარეშე მტრები
და განამტკიცა ახალი სახელმწიფობრივი შენობა. სიძნელე ჯერ
კიდევ ბევრია, მაგრამ ხალხი, რომელმაც მრავალი საუკუნის განმავ-
ლობაში დაიცვა თავის ვინაობა, არ დაიღუპება და რევოლუციის
მონაპოვარს შეინარჩუნებსმა⁵⁰.

1919 წ. 14 მარტს დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე მინისტრთა საბჭოს საქმიანობის შესახებ განცხადებით გამოვიდა ნ. ფორდანია. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნიდან რუსეთის წაკვლის და თურქების შემოსევიმ განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების უცილებლობა. შექმნილ მთავრობას დაე-

49 სასკრი, ფ. 1825, ანაწ. I, საქ. 6, ფურტ. 76.

50 საცია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 3, ფურც. 6—9.

კისრა მეტად რთული მისია — ომისა და რევოლუციის ქარტეცხლ-ში უნებლად გაეტარებინა ჩვენი ქვეყანა. „დღეს თამამად შეგვიძლოთ ძლია განვაზადოთ, რომ ეს ისტორიული დანიშნულება მთავრობამ გაამართლა“. ნ. ეორდანიამ არსებული მთავრობის უდიდეს დამსახურებად მიიჩნია საერთო დემოკრატიის განმტკიცება. მთავრობას არ წამოუყენებია არც ერთი ისეთი ლოზუნგი, არ მიუღია არც ერთი ისეთი კანონი, რომელიც ჩამოაშორებდა ერთს რომელიმე სოციალურ ჯგუფს, ერთს რომელიმე სასიცოცხლო ელემენტს.

ნ. ეორდანიას მისი თავმჯდომარეობით მოქმედი მთავრობის დიდ დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ საქართველო შეჩერდა ბურჯუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო, გატარდა ბურჯუაზიული რეფორმები, ჩამოყალიბდა ვარებისა და მუდმივი ჯარი. ერთი სიტყვით, ნ. ეორდანიას მენშევიური მთავრობის დამსახურებად ის მიიჩნდა რაშიც ბოლშევიკები მას სამართლიანად, სასტიკად აკრიტიკებდნენ. მთავრობის თავმჯდომარემ თავის სიტყვა ასე დაამთავრა: „რაც შეგვეძლო ვიმუშავეთ, რუსეთის სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდათ მოვიყვანეთ თქვენამდის. აი ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადაცე და გააეყოთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაყეოთ. ...პარლამენტის მთავრობა მიღის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას“.

ამის შემდეგ დამფუძნებელ კრებაში კამათი გაიშართა საკითხზე — პრეზიდენტი თუ პრემიერი ჩაეყენებინათ სახელმწიფოსა და მთავრობის სათავეში. ბოლოს კრებამ ხმის უმრავლესობით მიიღო მენშევიკების ასეთი წინადადება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის თავმჯდომარე არის იმავე დროს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“⁵¹, ე. ი. დამფუძნებელმა კრებამ უარყო განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის არჩევის საჭიროება, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების გაფართოება.

მენშევიკებმა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენეს ნ. ეორდანიას კანდიდატურა. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულმა დე-

51 სსტი, ფ. 1833 ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 3—14.

მოკრატებმაც. სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა თავისებული იყვნეს. 1919 წ. 21 მარტს გამოცხადდა ახალი კბინეტის შემდგენლობა; მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ეორდანია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი — ე. გეგეჭიორი, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრი — ნ. რამიშვილი, მიწათმოქმედებისა და მრომის მინისტრი — ნ. ხომერიე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — კ. კანდელავი⁵². როგორც ეხედავთ, შედგა წმინდა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მთავრობა და თანაც ერთი პირის ნებას დაუქვემდებარეს რამდენიმე სამინისტრო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საჭირო გახდა მთავრობაში ახალი მინისტრების მოწვევა.

დამფუძნებელი კრების 21 მარტის სხდომაზე ე. გეგეჭიორმა წაიკითხა მთავრობის მკვეთარა დეკლარაცია: „მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრებო! ასრულდა საქართველოს ერთს სურვილი, შედგა სუვერენული ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცენიადაგნე დაამკიდროს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო დამფუძნებელი კრებისა და პასუხისმგებელი მის წინაშე, მიზნად ისახავს დემოკრატიის ინტერესთა დაცვას... ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ქვეყანა არასდროს არ შეურიგდება პოლიტიკურ მონობას და ქედს არ მოიხრის მოწინააღმდეგეთა წინაშე, რომელიც მის არსებობას ემუქრებიან“. იქვე ლაპარაკე იყო მთავრობის უახლოეს ამოცანებზე პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის სფეროში⁵³.

დეკლარაცია, მართალია, შეიცავდა რევოლუციურ ფრაქტოლოგიას, მაგრამ მის მიღმა კარგად ჩანდა მენშევიკების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სამოქმედო პროგრამა და სულ არ შეინიშნებოდა სოციალისტური მიზანდასახულობა. ამიტომ იყო, რომ მთავრობის დეკლარაცია სოციალ-ფედერალისტებმა და ესერებმა მარცხნიდან გააკრიტიკეს და მხოლოდ ეროვნულმა დემოკრატებმა დაიკავეს უფრო მემარჯვენე პოზიცია.

სოციალ-ფედერალისტების ფრაქციის წევრმა შ. მესხიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობა არსებითად იმეორებს ძველ დეკ-

⁵² იქვე, ფურც. 25.

⁵³ სსკა, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 2, ფურც. 1—3.

ლარაციას, რაც ახლა საქმარისი აღიან. „ჩვენ მოწმენიუფართ და
რუსეთში და ევროპაში შრომისა და კაპიტალის, სოციალიზმისა და
იმპერიალიზმის ბრძოლისა. რევოლუციურმა ქარცეცხლმა ნათ-
ლად დაანახვა თვით იმპერიალისტებსაც კი, რომ ძველ სოციალურ
ურთიერთობათა დამრუნება შეუძლებელია. ... ამით იმის თქმა კი
არ მინდა, თითქოს დღისვე შეიძლებოდეს სოციალიზმის განხორ-
ციელება. არა, მე მხოლოდ აღვნიშვნავ, რომ თვით იმპერიალისტე-
ბიც კი გრძნობენ სერიოზულ სოციალურ გარდაქმნათა უცილებ-
ლობას. სოციალისტები კი მოვალენი არიან, სადაც კი მათ შეუძ-
ლიათ, გამალონ შემოქმედებითი ნიჭი და მტკიცე ნიადაგი მოუპო-
ვონ სოციალისტურ წყობილებს. სოციალისტური მთავრობა, სო-
ციალისტური დამფუძნებელი კრების ნდობით აღჭურვილი, დალ-
დებულია გამჭედული ნაბიჯი ვადადგას, თორებ იმ გზით. რომელიც
დეკლარაციაშია ნაჩენები და რადიკალურს უფრო შეეფერება,
ვიდრე სოციალისტებს, ვერაფერს გასდება“⁵⁴.

შ. მესხიშვილმა შემდეგ განაცხადა, რომ რამდენადც სო-
ციალ-დემოკრატებმა თავს იდევს საქართველოს დამოუკიდებლო-
ბის აღდგენა, ქართული სახელმწიფოებრივობის ჩამოყალიბება, სო-
ციალ-ფედერალისტებმა მათთან საერთო ენა გამონახეს. შარ-
შან დიდი საგარეო საშიშროება დაგვემუქრა, რის გამო უცილე-
ბელი გახდა შეერთებული ბრძოლით თავისუფლების შენარჩუნე-
ბა. „პირველ ხანებში საქართველოში მართლაც, გაერთიანებული
უროვნული ფრონტი იყო, მაგრამ მალე დაირღვა იგი და მთელი
სიმძიმე ბრძოლისა ახალი წყობილების განსამტკიცებლად მხო-
ლოდ ორ პარტიის — სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედე-
რალისტებს დაწერა. ჩვენი და მათი შეთანხმებული მუშაობა, კრი-
ტიკის შენელება, დადებითი საქმიანობა უცილებელი პირობა იყო
ახლად შექმნილი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

ეხლა დამფუძნებელი კრების წინაშე, — განაგრძობდა შ. მეს-
ხიშვილი, — დგება გადასაწყვეტი საქითხი — რა რეალური შინა-
არსის უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო, რა უნდა განახორციელოს,
რა მიზანი უნდა დაისახოს? აქ ჩვენი და მმართველი პარტიის პრო-
გრამები ერთმანეთს შორდება. მმართველი პარტია პირებს საქარ-
თველოში დამყაროს მარტოდენ დემოკრატიული სახელმწიფო
და ერიდება მისცეს მას სოციალისტური ხსიათი. ჩვენ კი სოციალ-
ფედერალისტები ვამტკიცებთ: ეროვნული აღორძინება წილად

ხედა საქართველოს მშრომელ ხალხს და მის იდეოლოგიას, საქართველოს განთავისუფლების დროშა არის ღროშა სოციალისტური დემოკრატია. ამ დემოკრატიის, მშრომელი მასის საქმეა ჩენენი ქვეყნის უკონიმიური აღორძინებაც განსაზოგადოებული მეურნეობით, რომელიც უნდა მოაწყონ კოოპერატივებმა, საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა და მთელმა სახელმწიფომ. დამფუძნებელმა კრებამ ამ მიზნით უნდა გადასინჯოს აგრძელული კანონი და მიწათმფლობელობა მოაწყოს სოციალიზაციის პრინციპები. მსროლოდ ამ გზით დაიძლევა ეკონომიკური კრიზისი, შეიქმნება სიმდიდრე, ნაწილობრივი განსაზოგადოებული მეურნეობით შეცვეზადებით სოციალისტური წარმოებისათვეს⁵⁵.

სოციალ-ფედერალისტები მიზანშეწონილად თველიდნენ უახლოეს ღროში ჩატარებულიყო ბანკების, სამთამაცნო მრეწველობის, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების, ელსადგურების, აფთიაქების, სასურათო საქმის და სხვ. ნაციონალიზაცია. მართალია, ისინი არ მოითხოვდნენ კერძო ინიციატივის შესლუდვას, მაგრამ მთავრობა კერძო კაიტალს კი არა საზოგადოებრივ წარმოებას უნდა ემყარებოდეს.

სოციალ-ფედერალისტები, როგორც ვხედავთ, თითქოს უფრო სერიოზულ ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ, უფრო რადიკალურ პროგრამას იძლეოდნენ სოციალიზმისათვის საფუძვლების ჩასაყრელად, მაგრამ იმასაც ცხადებდნენ, რომ ახლავე სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია. „დღეს არის მხოლოდ ვარდამავალი ხანა და ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სოციალიზმის ელუმენტები. სოციალიზმი მარტონდნენ საქართველოს ფარგლებში ვერ განხორციელდება, მაგრამ საქართველო მზად უნდა იყოს სოციალიზმის მისაღებად“⁵⁶.

დამფუძნებელ კრებაში რადგალური პროგრამით გამოვიდნენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც (ლ. შენგელია). მათი აზრით, მხოლოდ ჰეშმარიტად სოციალისტური პარტია შეძლებდა ხალხის მეთაურობას, მხოლოდ ისეთ პარტიას დაუჭირსო მხარს ესერთა ფრაქცია. სოციალისტ-რევოლუციონერებმა საქვეყნოდ განაცხადდეს, რომ დამფუძნებელ კრებაში იბრძოლებდნენ მთავრობის მიერ გატარებული წვრილბურეუაზიული აგრძარული კანონის წინააღმდეგ, დაიცავდნენ მიწის სოციალიზაციის პროგრამას, მოით-

55 სსკია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 3. ფურც. 31—32.

56 სსკია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 3, გვ. 32—33.

ხოვდნენ წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, სამუშაო დღის შემცირებას, მხარს დაუკერდნენ საზოგადოებრივი წარმოება ბის ენვითარებას. ესერებს საჭიროდ მიაჩნდათ მეცნიბრული ურთიერთობის დამყარება დემოკრატიულ და სოციალისტურ სახელმწიფო ფობთან, რადგან, მათი აზრით, მხოლოდ ამით განმტკიცდებოდა საქართველოს თავისუფლება, გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა მშრომელთა რეკოლუცია⁵⁷.

სოციალ-ფედერალისტები და ესერები კარგად ხედავ-დნენ, რომ მშრომელი მასის დიდი ნაწილი სოციალისტურ გარდა-ქმნებს მოითხოვდა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმრძოდა. ეს ვარემოებაც აიძულებდა მათ რეკოლუციური და სოციალისტური პროგრამები წამოეყენებით, გარკეული ნაბიჯი გადაედგათ კერძო საკუთრების, კაპიტალისტური წარმოების შეკვეცის, სოციალიზმისათვის საფუძვლების მომზადების მიმართულებით. თუ ეს არ გავაკეთოთ, აცხადებდნენ ისინი, „ამით შეიძლება საბაბი მიეცეს ანარქიულ ელიტების სოციალიზმის სახელით ჩვენსკენ გამოილაშერონ. აგვირდაგვირევენ წესიერებას და მიზანშეწონილი, საღი სახელმწიფო შემოქმედების მავრერ ჩვენში გაჩაღდება ანარქია და სამოქალაქო ომი“⁵⁸. მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა. ვერც მენტევიკებმა, ვერც სოციალ-ფედერალისტებმა და ესერებმა ვერ დაიმკვიდრეს კერძმარტი სოციალისტური პარტიების სახელი.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ თდეებმა მიზიდულობის ძალა უერ დაუკარგეს საბჭოთა რესერვის სოციალურ გარდაქმნებს და ქართველი პოლშევიკების საბრძოლო პროგრამებს.

აშერა ბურჟუაზიული პროგრამით გამოიდნენ ტრონული დემოკრატები. ამ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ს. კედიაშ განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები ფსიქოლოგიურად და იდეოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდენონ საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას. ცხადია, ის პარტია, რომლის პროგრამაში არასრუოს არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფო კონკრეტური პროგრამებს.

57 იქვე, გვ. 37—39.

58 იქვე, ფურც. 31—32.

ეროვნულ-სახელმწიფო ბრივი პოლიტიკის შორის. „მთავრობას დღესაც არა აქვს გამორჩეული სახელმწიფო ბრივი შემოქმედების ბის ორინტაცია, ის თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა და სახელმძღვანელოდ გაიხადოს—მოსკოვის პრინციპი თუ პარიზისა“.

ს. კედიამ საქართველოს ეკონომიკის მოშლაში მთავარი ბრალი მთავრობას დასდო. ამ სფეროში განსყვითებით ცხადად გამოვლინდათ ჩვენი მთავრობის „სოციალისტური ცოდო და დანაშაული. „რაც უფრო მალე დაადგება მთავრობა ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-სახელმწიფო ბრივი შემოქმედების გზას, მით უფრო მალე და ადვილად მოხდება ჩვენი ეკონომიკურ-ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჩვენი სახელმწიფოს კონსოლიდაცია“.

ს. კედიამ პრინციპულად დაიწეუნა მთავრობის წარსული საქმიანობა, სრული უნდობლობა გამოიუცხადა მის პროგრამასაც. მაგრამ რაც შეეხება ბრძოლის საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, „ამ საკითხში, — განაცხადა კედიამ, — ყველა მთავრობისათვის კინებით ყოველ გასაჭიროს დროს. დანარჩენ საკითხებში, სადაც მთავრობის რევოლუციური სოციალიზმის მისწრაფება და მეთოდია, პრინციპულ და საქმიან ოპიზიციის დავადგებით, რადგან დღევანდელი მთავრობა მხოლოდ მაშინ გახდება გამოსადეგი, როცა იგი თავის თავს რადიკალურად გარდაქმნის, „როცა იგი შესძლებს თავის უარყოფას და დაადგება ნამდვილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გზას. ...დასასრულ, — ამბობდა იგი — მინდა სურვილი გამოვთქვა, რომ დამთურნებელმა კრებამ, რომელსაც დაევალა ჩვენი ქვეყნის დაფუძნება, გამოიჩინოს საქირო გონების სიფიზზე და უტოპიურ ანთებაში არ ჩაწვას ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალიზე“.

კამათის დასასრულს მთავრობის პოლიტიკის დაცვით გამოვიდა მენშევიკი რ. არსენიძე. მან უდავოდ მიიჩნია ის, რომ სოციალ-დემოკრატები მიზნად ისახავენ „სოციალიზმის განხორციელებას“. მისი ფარისევლური განცხადებით მთავრობა დღესვე ვერ შეუდგება საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ექსპრიმენტებს. ჩვენ სოციალიზმისაკენ დემოკრატიის გზით მივდივართო. საქართველოს ცხოვრების გულში ვინც ჩაიხედავს, განაგრძობდა ნ. არსენიძე, ცხადად დაინახავს, რომ ჩვენ გვლუპავს არა მოქარბებუ-

59 სსცია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 3, ფურც. 33—36.



ლი წარმოება, არამედ მისი სათანადოდ განუვითარებლობა. მანა უკავშირო საყვედლი გამოიტვია იმ ორატორების მისამართით, რომლებმაც შოთოვეს წარმოების ნაციონალიზაცია. ვიდრე წარმოება დაბალ დონეზე დგას, მის ნაციონალიზაციაზე ლაპარაკი დაუშვებელია, ჩვენ კერძოდ წარმოების აღორძინება-განვითარებისათვის უნდა ვიმუშაოთო. „ჩვენთვის, რასაკეირეველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ, შეერთებულ მოღვაწეობას, როგორიც არის ქალაქის თვითმმართველობა, ეროვნები და კოოპერატივები, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კერძო ინიციატივას. ვისმიაც კი ასეთ ინიციატივას დავინახავთ, ჩვენ მხოლოდ ხელის შემწყობი ვიქნებით მისი“. ამ ძირითადი პრინციპის საფუძველზე მოხდა უკალა რეფორმის გატარება და მათ შორის აგრარული რეფორმისა, რომელიც ხალხმა მოიწონაო. რ. არსენიძემ დამფუძნებელ კრებას მოუწოდა მხარი დაუჭიროს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას უკითხესი მერმისისათვის ბრძოლაში⁶⁰.

მოტანილი მხალა ცხადყოფს, რომ დამფუძნებელი კრების ფრაქციები სულაც არ იღვნენ ერთსა და იგივე თვალსაზრისშე, არ არსებობდა ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიების მტკიცე ბლოკი. მმართველ პარტიის აკრიტიკებდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოპოზიცია. ერთსულოვნად მოქმედებდნენ ისინი მხოლოდ საგარეო პოლიტიკის სფეროში. მათ აერთიანებდა საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილი და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი.

ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ დამფუძნებელი კრება შეუდგა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებას, დაიწყო საკანონმდებლო მუშაობა.

დამფუძნებელმა კრებამ, ბუნებრივია, განსაკუთრებული უკრადება მიაქცია ფინანსიურ და ეკონომიკურ საკითხებს, რადგან მათი მოწესრიგების გარეშე შეუძლებელი იყო ახლად შექმნილი სახელმწიფოს პარატის ნორმალური მუშაობა და ქვეყნის თავდაცვისარისანობის განმტკიცება.

6. ეორდანია აღიარებდა, რომ საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკა“ თავიდანვე ფინანსიურ კრიზისს განიცდიდა. „როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, — ამბობდა იგი, — ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მოუხედავად ამისა დღემდე სული

მაინც მოვიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ აგვიღია. შემოსავლის წყაროები ფინანსური თვალსაზრისით ვერავიზარდა კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომ ბონების ბეჭდების მეტი სწავ გზა არ გვქონდა. ამას მოჰყვა ფულის კურსის დაცემა. ე. ი. გამოცე-მული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სექტია, მარა საგარეო სესხი ცველა ამ ვნებას მოვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოქალაქე გავხდებოდითო". მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ 7 თვეში საქართველოს ხაზინის შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 96 მილ. მანეთი, გასავალმა კი მიაღწია 342 მილ. მანეთს. დეფიციტი 242 მილ. მან. დაიფარის ბონების გამოცემით. 6. უორდანიამ ისიც აღნიშნა, რომ მთავრობის ხელში გადასული 2 მილ. დეს. ტყე, 800 ათასი დეს. საძოვრები, კურორტები და სხვ., თუ მათ ექსპლოატაციაზე 71 მილ. განეთს დავხარჯავთ, 90 მილ. მანეთ შემოსავალს მოგვცემს. მაგრამ დეფიციტი მაინც უერ დაიფარებაონ!

კაპიტალისტურ საქართველოში დაწესებულებათა უმოქმედობის პირობებში მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა სახელმწიფო ბანკზე, რომლის წესდება 1919 წლის დეკემბერში დამტკიცდა. სახელმწიფო ბანკის მუშაობას ძელი ყაიდის ეკონომისტური აღლევლნენ ტონს. მათ არაფრი სწამდათ სოციალისტური ექსპრომენტებისა და მთავრობას კაპიტალისტური კომერციის საფუძველზე დადგომას ურჩევდნენ. ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენისა და ფულის კურსის განმტკიცების წინაპირობად მათ მიაჩნდათ საგალურო ფონდის შექმნა, რომელიც საგარეო ვაჭრობიდან მიიღებოდა.⁶¹

სხვადასხვა თვალსაზრისი ბევრი გამოიწმოდა, დადგენილებებიც ბევრი მიიღებოდა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური ორგანიზაციის გაჯანსაღება შეუძლებელი გახდა. სათბობისა და ნედლურლის უქონლობის გამო სრულიად შეწყდა ლითონდამუშავება და საფერო მრეწველობა, რამდენჯერმე შემცირდა ხე-ტყის, თამბაქოს, სპირტ-კონიაჟის და სხვ. წარმოება. მინიმუმამდე შემცირდა საგარეო ვაჭრობა. 1920 წ. 13 ოქტომბერს ეკონომიკური საბჭოს სტრატეგიული ნ. უორდანია სასოწარკვეთილი აცხადებდა: „ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკური მხრივ კატასტროფისაცენ მიეისწრაფით. ...დღეს თითოეული ჩვენგანი გრძნობს, თითოეული მწვა-

61 სსცია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 3, ფურც. 6—9.

62 სსცია, ფ. 1833, ანაწ. I, საქ. 74, ფურც. 163—164.

ედ განიცდის, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივეძით იქამდე⁶³.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მთავარი მიზანი ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შედგენა იყო. სპეციალურად არჩეული საკონსტიტუციო კომისია მოული წელი მუშაობდა და 1920 წლის „აპრილში დამტკიცა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ კონსტიტუციის პროექტი და შეიტანა იგი დამფუძნებელ კრებაში განსახილეულად.

კონსტიტუციის პროექტით საქართველო ცხადდებოდა თავისუფალ, დამოუკიდებელ, განუყოფელ სახელმწიფოდ, დემოკრატიულ რესპუბლიკად. კონსტიტუციაში შეტანილი იყო მუხლები წოდებრივ განსხვავებათა მოსახლის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის შესახებ; გამოცხადებულია, რომ მოქალაქეებს აქვს სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცების თავისუფლება, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ თუ ამ უფლებების გამოყენების დროს მოქალაქე ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა, მისი ქმედობა დანაშაულის ხსიათს მიიღებდა, კანონით განსაზღვრულ ფრაგალს გადასცდებოდა ადმინისტრაცია და სასამართლო მასშე სათანადო რეაგირებას მოახდენდა. ხოლო „შინაური ამბოხებისა და უცხო სახელმწიფო ორგანიზაციების შემთხვევაში“ პარლამენტს უფლება ჰქონდა მთელ რესპუბლიკაში დროებით მოეხსნა მოქალაქეთა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების გარანტია და მიემართა რეპრესიუბისთვის.

კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავში განსაზღვრული იყო რესპუბლიკის პარლამენტის უფლება—კომიტეტის უფლება, მისი საქმიანობის წესები, კანონების განხილვა-მიღების პროცედურა. მეხუთე თავში ლაპარაკი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებზე, მთავრობის შედგენის წესებზე. კონსტიტუციის პროექტის მეექვეს თავი ეძღვნება სასამართლოს, მეშვიდე — სახელმწიფო ფინანსებს, მერვე — სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, მეცხრე — სახელმწიფოს თვედაცეს, მეათე — ადგილობრივი მმართვოლობის თავმდებობებს. კონსტიტუციის პროექტის მეთერთმეტე თავში კონკრეტულად ლაპარაკი იყო აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალის შესახებ, ძირითადი კანონით მათ ავტონომიური მმართველობის უფლება უნდა მინიჭებოდათ.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებს

63 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., № 235.

უფლება ჰქონდათ შეეღებინათ ეროვნული კავშირები, მთეწყვითა
„დედაენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა
შინაური მართვა-გამგეობა“.

ცალკე მეცამეტე თავში განსაზღვრული იყო რესპუბლიკის
მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და სახელმწიფო
ორგანიზაციების სოციალურ-ეკონომიკური მოლიტივი. სახელმწიფოს მოვა-
ლეობად ცხადდებოდა ზრუნვა მოქალაქეთა ღირსეული არსებო-
ბის უზრუნველყოფისათვის. საკუთრების იძულებითი ჩამორჩმე-
ვა დაიშვებოდა გამონაქლის შემთხვევაში, როცა მას მოითხოვდა
სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები. რესპუბლიკას უფ-
ლება ჰქონდა კანონმდებლობის გზით სახელმწიფოსა და მუნიცი-
პალიტეტებისათვის გადაეცა სავაჭრო, სამუშაველო და სასოფ-
ლო-სამუშრეო საწარმოები, რომელიც საზოგადოებრივი სექტო-
რის საფუძვლად გამოდგებოდა. კანონმდებლობის ზრუნვის სავ-
ნად ცხადდებოდა დაქირავებული შრომა. ადგილობრივი მმართვე-
ლობის ორგანოებს უვალებოდა შრომის ბირების, საშუალებო კან-
ტორებისა და სხვ. დაწესებულებათა დაარსება, უმუშევართათვის
დახმარების გაწევა. კონსტიტუციის პროექტი აქანონებდა 8 საა-
თიან სამუშაო დღეს, კვირაში ერთხელ 42 საათიან დასვენებას,
კრძალვდა 16 წლიდე მოზარდთა შრომას. სახელმწიფოს უნდა
ეჩრუნა შრომის ნორმალური პირობების შექმნისა და ხელფასის
მინიმუმის განსაზღვრისათვის, რისთვისაც არსდებოდა შრომის
ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის
პროექტი, რომელიც 166 მუხლისაგან შედგებოდა, 1920 წლის ვა-
ისში სტამბურად დაიბეჭდა და დამფუძნებელი კრების დეპუტა-
ტებს დაურიგდა. მისი განხილვა ღიღხანს გაგრძელდა, ყველა ფრა-
გიამ წარადგინა პროექტის დამატება-შესწორებების საერთო
თვალსაზრისის შემუშავება ძალიან გაძნელდა. სამოქალაქო ობის
პირობებში მენშევიკური მთავრობა ანგარიშს არ უწევდა პირო-
ვნების თავისუფლების პრინციპს და მოწინააღმდეგე ძალე-
ბის, პირველ რიგში კი ბოლშევიკების დათრგუნვისათვის იყენებდა
საგანგებო კანონებს, აღმინისტრაციულ ღონისძიებებსა და რეპ-
რესივებს. მთავრობის პრაქტიკაში დემოკრატიულ თავისუფლებათა
დარღვევა იშვიათი გამონაკლისი როდი იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გა-
 რეშე სამყარო რამდენადმე გაფართოვდა. საქართველოს რესპუბ-
 ლიკისთან მიმართებაში საზღვარგარეთის ჭვეულებად იქცნენ საბ-
 ჭიოთა რუსეთი, მუსავატური აზერბაიჯანი, დაშავური სომხეთი,
 მთავრთა რესპუბლიკა და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექ-
 მნილი სხვა მომენტალური სახელმწიფოები. მათთან ურთიერთო-
 ბა საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნი-
 შვნელოვან მხარეს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პე-
 რიოლშივე დაიწყო დავა ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული
 გამიგნის საკითხზე. ფედერაციის დაშლის შემდეგ ტერიტორიუ-
 ლი დავა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოსა და სომხეთის მთავ-
 რობები დაობდნენ ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილზე, საქარ-
 თველო და აზერბაიჯანი ზაქათალის თაობაზე, სომხეთი და აზერ-
 ბაიჯანი ყარაბაღის გამიგნის შესახებ.

1918 წ. ნოემბრში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის „საერთა-
 შორისო კონფერენცია“, რომლის დღის წესრიგში შედიოდა ამიერ-
 კავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხები. მხარეებმა საჭიროდ მიიჩნიეს: 1) ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთ
 ცნობა; 2) ყველა სადაც საკითხის დაინტერესებული მთავრობების
 შეთანხმებით გადაწყვეტა, წარუმატებებლობის შემთხვევებში სერ-
 თაშორისო აჩბიტრაჟისათვის მიმართვა; 3) სოლიდარული, ურთი-
 ერთმხარდამჭერი გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე იმ მიზნით,
 რომ მიღწეული ყოფილიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი
 რესპუბლიკების საერთაშორისო აღარება, მათთვის დეისურე ცნობა⁶⁴.

ამ შეთანხმების ჩერალიზაცია შეუძლებელი გახდა. ამიერკავკა-
 სიის სახელმწიფოთა ურთიერთობა არა თუ გაუმჯობესდა, კიდევ
 უფრო გაუარესდა.

1918 წ. 30 ოქტომბერს თურქეთმა ინგლის-საფრანგეთან
 ხელი მოაწერა მუდროსის დროებით ზავს, რის შემდეგ დატოვა
 ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები. როგორც კი თურ-
 ქები ლორედან წავიდნენ, სომხეთის ჯარმა მყისვე დაიწყო წინ
 წამოწევა და დაიკავა ეს ტერიტორია. ბორჩალოში მდგარი ქარ-
 თველთა ჯარის უფროსმა მომხდარი ფაქტი საქართველოს მთავ-

⁶⁴ ს.ცია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 3, ფურ. 1.

რობას აცნობა, დამატებითი ძალების გავზავნა მოითხოვა საზღვ-
რების ოლიადგენად⁶⁵. ნოუმბრის ბოლოს სომეკ-ქართველის გადა
რებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა.

საქართველოსა და სომხეთის ომს ამ სახელმწიფოთა მთავრო-
ბები ერთმანეთს აბრალებდნენ. 1918 წ. 17 დეცემბერს საქართვე-
ლოს პარლამენტის სხდომაზე ნ. უორდანიშ განაცხადა: „მოქალა-
ქენო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსო-
ფლიონ იმის ხანძარი ჩაქრა, როცა მთავარი სახელმწიფოები ხმალს
ქარქაში ავებენ და იწყებენ მშვიდობიან ცხოვრებს, სომხეთის
მთავრობა ფარულად ესხმის თავს საქართველოს რესპუბლიკას“. საღი მოსაზრება, უორდანის აზრით, მოითხოვდა, რომ სომხეთის
მთავრობას, რომელიც ომს აწარმოებდა აზერბაიჯანთან, საქართვე-
ლოსთან მაინც შეენარჩუნებია კეთილმეზობლური ურთიერთობა.
მან კი ანგარიში არ გაუწია შექმნილ სიტუაციას და ომი გამოვი-
ცხადა. სომხეთის მმართველი წრები ალბათ დახმარებას გარედან
ელიან, მაგრამ არა მვლნია კინებმ გასმართლოს ჩეგი მეზობლის
მოქმედება და მას დახმარება გაუწიოს. ამჟამად შექმნილი კონკ-
რეტული სიტუაცია მოითხოვს, რომ მშვიდობიანი შეთანხმებით
განისაზღვროს ამიტრავეკასიის ხალხთა უფლებრივი მდგომარეობა,
მათი ტერიტორიების საზღვრები. მაგრამ სომხეთის მთავრობა
მშვიდობიანი პოლიტიკის წინააღმდეგია, ერებს შორის მტრობას
თვალის. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ შევიდობიანობის პოლი-
ტიკა მის იარაღის ძალით მივაღებინოთ⁶⁶.

სომებ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავებასა და ომის
გაჩაღებაში არც საქართველოს მთავრობა იყო უცოდველი, მაგრამ
პარლამენტი ივაციით შეხვდა უორდანის განცხადებას და ფრონ-
ტზე ჯარის ახალი ნაწილების გავზავნა მოითხოვა. საომარი მოქმე-
დება გაფართოვდა. ქართველთა ჯარმა შეაჩერა სომებთა შემოტევა
და 1918 წ. 20 დეკემბერს კონტრშეტევაზე გადავიდა, გამარჯვების
სასწორი მისევენ გადაიხარა. ასეთ მომენტში აზბიტრის როლი ინ-
გლისის მისამ იყიდა და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდევ და-
აზავა მხარეები. ომი შეწყდა. ჯარებმა დატოვეს საღავო ტერიტო-
რია. შეიქმნა დემილიტარიზებული ზონა, მაგრამ საქართველოსა და
სომხეთის მთავრობათა შეთანხმება კერ მოხერხდა.

1919 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის ინიციატივით
თბილისში ჩატარდა აშიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენ-

65 იქვე, ფურც. 25.

66 სსცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 68—69.

ლეპის კონფერენცია. საქართველოს მთავრობის ჩრდილოეთი განვითარებისა და განვითარების აღნიშნა, რომ კონფერენცია შეიტანიბა ძალას და საპასუხისმგებლო მომენტში. მსოფლიო ომი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ჩვენი ვარლია გამოვნახოთ საერთო ენა, სოლიდარული ვიმუშაოთ სისწლე-თა აღმოფხვრისათვის. ყველა ვგრძნობთ, განაგრძობდა იგი, ჩვენს წინაშე აღმართულ რეალურ საშიშროებას, რაც შემჭიდროვებასა და გარეშე მტრებთან ერთობლივ ბრძოლას გვიყარნახებს. ვიმედოვ-ნებ, რომ ეს შეხვედრა საშუალებას მოგვცემს საფუძველი ჩავუყა-როთ ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს, აღვადგინოთ საერთო ფრონტი, დავიცვათ ქვეყნის საზღვრები⁶⁷.

შემდეგ კონფერენციებზე სიტყვებით გამოიიდნენ სომხეთის წარმომადგენელი ს. ტიგრანიანი და აზერბაიჯანის წარმომადგენე-ლი ფ. ხოისკი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კონფერენციამ თითქ-მის უცვლელად მითოო საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზე-ბული დღის წესრიგი. მის სამუშაო პროგრამაში შევიდა რკინიგზე-ბის, ფოსტა-ტელეგრაფის, ფინანსური, საბაჟო, საქონელმიმოქ-ცევისა და სხვ. ეკონომიკური საკითხები. მანვე ღიღი ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერ ურთიერთუნიბისა და საერთაშორისო არენაზე ერთობლივად გამოსვლის პრობლემას. კონფერენციის მიერ გამოყოფილი კომისიების მუშაობა თითქმის ურთ თვეს გაგრძელდა. მაგრამ თითქმის ყველა საკითხი გადაუჭ-რელი დარჩა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ასეთი ხელშეკრულება: 1) ტერიტორიული და სხვა სადაც საკითხების მოსავარებლად უკვე დაწყებული მოლა-პარაკება უფრო ენტრეფულად უნდა გაგრძელდეს. 2) თუ 6 კვირის განმავლობაში ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყევა, დავა გადა-წყდეს არბიტრაჟის მეშვეობით. 3) მოდაცე მხარეები ამ მიზნით იყალიბებენ სამ საარბიტრაჟო კომისიას, ერთს სომხეთისა და აზერ-ბაიჯანის, მეორეს აზერბაიჯანისა და საქართველოს, მესამეს სომ-ხეთისა და საქართველოს უთანხმოებათა მოსავარებლად. 4) თუ კომისიების მუშაობასაც არ მოჰყევა სასურველი შედეგი, ამიერკავ-კასის რესპუბლიკები ერთად მიმართავენ სამოკავშირეო საბჭოს

67 სსკია, ფ. 1861, ანაზ, 2, საქ. 58, ფურც. 1.

ან ერთა ლიგას, რათა გამოიყოს საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისია, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება⁶⁸. მაგრამ ერთ ამ გადაწყვეტილებამ და საერთაშორისო აზისტრაჟმა უშევლა საქმეს. ამიერკავკასიის ბურუუაზიული რესპუბლიკების ტერიტორიისული დავა ბოლომდე გადაუწყველი დარჩა.

საქართველოს რესპუბლიკის მდგრამარეობას ისიც ართულებდა, რომ მას ხშირი კონფლიქტები ჰქონდა ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკას და დენიკინთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აფხაზეთში ეშბის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბოლშევკითა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დახმარება სოხოვა ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკას. ყუბანიდან აფხაზეთში მართლაც გამოიგზავნა 2-ათასიანი რაზმი, რომელმაც გუდაუთასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა მენშევიური საქართველოს ჯარის აქ მდგარი ნაწილი. მენშევიურმა მთავრობამ აფხაზეთში თავისი ჯარის მსხვილი შენაერთები გაგზავნა. 1918 წ. ივნისის ბოლოს მთავრობის ჯარი შეტევაზე გადავიდა. წითელარმიელებმა და ავანკუბულებმა უკან დაიხიეს. 22 ივნისს მენშევიური გვარდიისა და ჯარის ნაწილები გაერთიაში შევიდნენ, 2 ივნისს კი აღლებს დაეუფლნენ. 6 ივნისს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს სოჭი, 26 ივნისს კი მათგრი ბრძოლის შემდეგ იღეს ტუასე. საქართველოს მენშევიურმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ მის გეგმაში არ შედიოდა ტერიტორიების შემატება, ჩენი ჯარის შეტევის მიზანია უზრუნველყოს რესპუბლიკის უშიშროება ჩრდილოეთიდან, თავიდან ავგაცილოს ბოლშევიური საფრთხე⁶⁹.

საქართველოს ბურუუაზიული რესპუბლიკის მესევეურებმა, მართალია, დროებით თავიდან აიცილეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, მაგრამ მალე ისინი დენიკინის კონტრრევოლუციური არმიის დარტყმის ქვეშ მოექცნენ. დენიკინმა 1918 წ. სექტემბერში დაიკავა ნოვოროსიისკი, მალე იგი მიადგა ტუაფსეს და საქართველოს ჯარი იძულა გასცლოდა ქალაქს. ამის შემდეგ დენიკინის მოხალისეთა არმია სოჭს მიუახლოვდა. ქალაქის სოციალ-დემოკრატიულმა და ესერულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ მოიწვიეს სხდომა. ორატორებმა დაგმეს ძალა მკვლელი სამოქალაქო ომი, აღნიშნეს, რომ მხოლოდ საქართველოში არსე-

68 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურ. 118—119.

69 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 40, ფურ. 1—2.

ბობსო შედარებითი შევიდობა და საზოგადოებრივი წესრიგის შესრულების თაღია, ეკონომიკურად სოჭი ყუბანში შედის, მაგრამ ყუბანზე მიერდება ვაძლიერებებსო დენიკინის კონტრარევოლუციურ დიქტატურას. ამიტომ მათ მისამშეწონილად მისინის მენშევიურ მთავრობას განსაკუთრებული დეცენტით გამოეცხადებინა სოჭის დროებითი შეერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში⁷⁰.

საქართველოს ჯარის ნაწილი 7 თებერვალს დენიკინის არმიის ქვედანყოფი მოულოდნელად გარსმებოდგა სოჭს და მის გარნიზონს იარაღის დაყრა მოიხსოვა. საქართველოს ჯარის ნაწილმა დანებებაზე უარი განაცხადა, რის გამო ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ანტიბოლშევიურად განწყობილი ძალების ურთიერთბრძოლა ინტერვენტთა მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ინგლისის მისია კონფლიქტში ჩაერია, არბიტრის როლი იყიდუა, მხარეებისაგან ბრძოლის შეწყვეტა მოიხსოვა. მაგრამ ცეცხლის შეწყვეტამდე დენიკინმა თავისი ერთ-ერთი მიზანი შეასრულა, სოჭიდან ქართველები განდევნა. საქართველოს მთავრობამ არაერთხელ მიმართა ინგლისის მისიას, მოიხსოვდა დენიკინის მტრული მოქმედების აღკვეთას, სოჭის რაიონის ისევ საქართველოსათვის გადაცემას. ინგლისელები საქართველოს ჯარის სოჭის რაიონში ყოფნას დასამვებად მიიჩნევდნენ, მაგრამ დენიკინი შემოტევას განაცხადოდა. სოჭის დაკავების შემდევ მოხალისეთა არმიამ საომარი მოქმედება გაფრის რაიონში გადმოიტანა.

1919 წ. 23 ივნისს ინგლისის მისიას მეთაურ გენ. ტომპსონის მოიხსოვნით საქართველოს მთავრობისა და მთხოვნისათვის არმიის წარმომადგენელთა მოლაპარაკებებს განახლდა. სამოქალაქო ომის ფრონტზე დროებითი წარმატებით გაამსყებულ დენიკინის კონტრარევოლუციური არმიის წარმომადგენლობას თავი მედიდურად ეცირა, საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობდა, მისგან მოარჩილებას მოიხსოვდა, დაპირებას იძლეოდა საქართველო თვითმმართველობას დენიკინისაგან მიიღებსო. მაგრამ ქართველი მენშევიკებისათვის მიუღებელი იყო ერთიანი და განუყოფელი რუსეთის პრინციპი დენიკინისაგან იქნებოდა იგი წამოყენებული თუ ბოლშევიკებისაგან. ამიტომ მოლაპარაკება ჩიტში მოექცა, ომის სუნი დატრიალდა.

70 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 40, ფურც. 2—4.

ასეთ სიტუაციაში, 1919 წ. 1 ივნისს ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელზეც მთავრობის განცხადებით საფარეო საქმეთა მინისტრი დ. ვინიშვილი გამოვიდა. „მოქალაქენო! — მიმართა მან დამფუძნებელი კრების წევრებს, — დენიკინის შავმა ლაშქარიმა გაანადგურა მოილოს რესპუბლიკა და აზერბაიჯანის საზღვარზე გვიდა. ამავე დროს მტერმა გააქტიურა მოქმედება სოჭის ოლქში, საქართველოს მთავრობის სურვილი იყო სადაც საკითხები დენიკინთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოეგვარებინა. მაგრამ მალე დაკრიშუნდით, რომ დენიკინს მარტო რუსეთის საზღვრის აღდგენა არ აქმაყოფილებს, მისი მიზანია დემოკრატიული რევოლუციის ჩატობა, საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება. „ჩევნ ღრმად ვართ დარჩმიუნებული, — თქვა შემდეგ ე. გვინდურიძა, — რომ მთელი საერთაშორისო დემოკრატია, მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ეცრობისა... მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას და ამიერკავკასიის ერებს... მაგრამ უმთავრესი ძალა ჩვენში უნდა ვეძიოთ... ეჭვი არ გვაქვს, რომ საქართველოს ულეხთა და მუშათა კლასი სასტიკად შეებრძოლება დენიკინს, ვინაიდან დენიკინს მოაქვს შავი რეაქცია... დენიკინის შემოსვლა უქადის ჩვენს ქვეყანას აოხრებას და მოსპობას ...ჩევნ თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დენიკინი და მისი ლაშქარი ამიერკავკასიის საზღვრებს ვერ იხილავს და საქართველოს რესპუბლიკა მალლა ააფრიალებს თავისუფლების და თავის სახელმწიფოებრივ ღროშას“⁷¹.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით სიტუაცია გამოვიდა შ. მესხიშვილი, ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით ი. გობეგია. მათ მხარი დაუჭირეს მთავრობის განცხადების, მოითხოვეს ქვეყნის შინაგან ძალთა გაერთიანება, ქართველი ერის ყველა სოციალური ფენის მტრის წინააღმდეგ ამხელეება; მართალია, ჩვენ, დენიკინის მსგავსად, უცხო ქვეყნებისაგან არც იარაღი მიყვილია და არც ფული, მაგრამ ჩვენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად უძლიერესი იარაღი გვაქვსო ეს არის თავისუფლებისადმი უსაზღვრო სიყვარული. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წარმომაზგენერალმა ს. კედიაშვილი ძირითადად მოიწონა მთა-

71 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 22-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2-5.

ვრობის განცხადება, მაგრამ დაიწუნა მისი ფორმა. სამშობლოს და-
საცავად მარტო გლეხსა და მუშას როდი უნდა მოვუწოდოთ, ამ
დიადი ამოცანის სამსახურში ყველა მოქალაქე უნდა ჩაეყენოთ
განურჩევლად წოდებისა და კლასისათ. მან იმედი გამოიქვეა, რომ
ამ კრიტიკულ მომენტში თვით მთავრობაც გარდაიქნებოდა, თა-
ვის გარშემო შემოიკრებდა მთელ ერს და წილუანდა მას გამოჩ-
ვებისაკენ⁷².

კამათის დამთავრების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო
აცეთი განცხადება: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება მოხალი-
სეთა ჭარბის შემოსევის შესახებ, დამფუძნებელი კრება საქვეყ-
ნოდ აცხადებს, რომ ეს თავდასხმა გამოწვეულია ძველი რუსეთის
მოტრფიალეთა იმპერიალისტური ზრახვებით, წვრილი ერების და-
მონებისა და დემოკრატიის დათრგუნვის სურვილით. დამფუძნე-
ბელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოფანი ჭარი და
გვარდია ლირსეულად შეხვდება მტერს და მთელი ძალონონით და-
ცავს საქართველოს არსპეციალის ხელშეუხებლობას. დამფუძნე-
ბელი კრება მოუწოდებს მთელ დემოკრატიას, მთელ ერს შემო-
კრებეს მთავრობის გარშემო, ზურვი გაუმავროს ლაშეას.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის
რესპუბლიკები და მათი დემოკრატია ამ საფრთხის წინაშე გაერ-
თიანდებიან. ...დამფუძნებელი კრება რწმენს გამოიქვამს, რომ
ეროვნის სახელმწიფო ობიექტ უოვლისა მუშათა დემოკრა-
ტია ხმას აღიმაღლებს ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცა-
ვად. დამფუძნებელი კრება მიმართავს პარიზის საზაფო კონფერენ-
ციას და ევროპის ყველა პარლამენტს პროტესტით წინააღმდეგ
დენიკინის შემოსევისა და მისი შესახალებისა წვრილ ერთა დასა-
თრგუნავად⁷³.

როგორც ვხედავთ, დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციაშ,
მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე აზრთა სხვა-
დასხვაობისა, ერთსულოვნად გაიღაშეჩა დენიკინის რეაქციული
ზრახვების წინააღმდეგ, ყველა დადგა საქართველოს დამო-
უკიდებლობის დაცვის პოზიციაზე. გამოცხადდა მოპილიზაცია,
დაიწყო ჭარბის გადაადგილება ჩრდ. კავკასიის საზღვრებისაკენ.
მაგრამ დიდი ომი დენიკინის წინააღმდეგ საჭირო არ გახდა, საბ-

72 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 22-ე სხდომის სტენოგრაფიული
ანგარიში, გვ. 11—20.

73 იქვე, გვ. 21.

ჭითა რუსეთის მიერ თეთრი არმიების განადგურებაში საქართველოს რესპუბლიკა იხსნა თეთრგვარდიელთა ურდოების შემოსევის საფრთხისაგან.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ოლიარების მოპოვება, დიდი სახელმწიფოების მიერ მისი „დე-ფაქტო“ და „დეიურე“ ცნობა. ამ მიზნით სპეციალური დელეგაცია გაიგზავნა დასავლეთ ევროპაში. ამავე მიზნით საქართველოს მენშევიურმა მთავრობამ დასავლეთისაკენ გაგზავნა არა ერთი მემორანდუმი, ნოტა და განცხადება.

მსოფლიო ომის აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე შექმნილმა სიტუაციამ 1918 წ. მაის-ივნისში საქართველოს მთავრობა იმპერიალისტურ გერმანისათვის დააყვაშირა. მენშევიურმა გაითვალისწინეს გერმანიის დაპყრობითი გეგმები ამიერკავკაზიაში და მისი მეშვეობით თავიდან აიცილეს თურქთა ხარგებისაგან იყუპაციის საფრთხე. უდავოა, გერმანიის იმპერიალიზმი ემზადებოდა თურქეთისათვის წარმეული გემჩიდელი ლუქია თვეთონ გადაეყლა, საქართველო გადაეცია თავის გავლენის სფეროდ და „მოკავშირ“ მთავრობისათვის შეთანხმებით ხელი მოეთხო მისი მუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის ხარჯზე. მაგრამ არ დასცალდა. მსოფლიო ომში გერმანიისა და თურქეთის მარცხმა ძირითადად შეცვალა ძალთა განლაგება ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკაზიაში.

საქართველოს მენშევიური მთავრობის მესვეურებმა ჯერ კიდევ გერმანიის არმიის კაპიტულაციამდე დამყარეს ურთიერთობა ანტანტის სახელმწიფოებთან. 1918 წ. 7 სექტემბერს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ზ. ავალიშვილმა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-სა და იტალიის მთავრობებს აცნობა, რომ 1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთის ცარიზმის 117 წლის ბატონობის შემდეგ ქართველმა ხალხმა კვლავ დაიყვა აღვილი თავისუფალ ერთა შორის და თავის შინაგან ცხოვრებას დემოკრატიულ თავისუფლებათა საფუძველზე აგებსო⁷⁴.

74 სსკია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 47, ფურც. 2.

იმავე წლის 14 სექტემბერს ანტანტის სახელმწიფოებს გაეგზავნა უფრო ვრცელი მემორანდუმი. იქ ლაპარაკის რუსეთის მეორე რევოლუციის შევლელობაზე, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასა და მის დაშლაზე. მემორანდუმის აკტორები სინანულით ოლნიშნავენ, რომ თურქეთმა დაიყორ სომხეთის დიდი ნაწილი, სრული კონტროლი დაამყარა აზერბაიჯანზე. თავისუფალი რჩებათ მხოლოდ საქართველო. რევოლუციის პირველ ეტაპზე საქართველო სჯერდებოდა რუსეთის სახელმწიფოს ჩარჩოებში პოლიტიკურ აკტონობის, მაგრამ რუსეთის იმპერიის დაშლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გამოტანადების წინაპირობა გახდა.

„საქართველოს მთავრობა, — ნათქვამია მემორანდუმის დასკვნაში, — მტკიცედა დარწმუნებული, რომ თუ საგარეო ფაქტორები ხელშემწყობი იქნება, შეიძლება აღსდგეს ამიერკავკასიის ერთიანობა სამი სახელმწიფოს კონფედერაციის სახით. ... მაგრამ მანამდე საქართველომ უნდა განამტკიცოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამისათვის კი აუცილებელია მისი ოფიციალურად ცნობა მთავარი სახელმწიფოების მიერ. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ დასავლეთის დიდი დემოკრატია სცნობს ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულ დამოუკიდებლობას“⁷⁵.

გერმანიისა და აესტრიის კაპიტულაციის შემდეგ საქართველოს მთავრობის დიპლომატიური ურთიერთობა ანტანტის ქვეყნებთან გაადვილდა და გაატესლია. საქართველოს რესპუბლიკამ საერთშორისო არენაზე პირველ წარმატებასაც მიაღწია. 1918 წ. ბოლოს იყი სცნეს აესტრია-უნგრეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა სახელმწიფოებმა და ნეიტრალურმა ქვეყნებმა (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, შვეცია, დანია, შვეიცარია, ნორვეგია). ინგლისის მთავრობამ კი საქართველოს წარმომადგენლებს კონკრეტული ცნობები მოთხოვა ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ინგლისის ამიერკავკასიით დაინტერესება შემთხვევითი როდი იყო. ჯერ კიდევ 1917 წ. 23 დეკემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ანტისაბჭოურ ხელშეკრულებას, რომლის ძალით უკრაინა და ყირიმი საფრანგეთის, ხოლო მთელი კავკასია ინგლისის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა. მალე მას შემდეგ რაც მოკავშირებებმა დამარცხებულ თურქეთს თავს მოახვიეს მუდროსის ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობის დე-

75 სსცია, ფ. 1864, ანაზ. I, საქ. 47, ფურც. 4—7.

ლეგაციაშ მიიღო ინგლისის ნოტა იმის შესახებ, რომ დიდი მომავალი მისა-
ტანეთი თანაუგრძნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მხა-
დაა გამოფიდეს საზავო კონფერენციაზე მისი ცნობის სასარგებ-
ლოდ⁷⁶.

ინგლისის იმპერიალიზმს ამიერკავკასია, უპირველეს ყოვლისა,
ანტისაბჭოურ პლაცარმად სკირდებოდა. ქართველი მენშევიკე-
ბიც აგრძელე საპორთა ხელისუფლების დამხობაზე და რუსეთში
ბურჟუაზიული წყობილების აღდგენაზე ოცნებობდნენ. ისინი
ხელს უწყობდნენ დიდი ბრიტანეთის ანტისაბჭოური გეგმების გან-
ხორციელებას, ცდილობდნენ ახალი მფარველის ნდობის მოპოვე-
ბას, რათა მისი დახმარებით მიეღწიათ საქართაშორისო აღიარებისა
და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ამ პე-
რიოდში ვ. ი. ლენინი ქართველი მენშევიკების შესახებ წერდა:
„რაკი ხედავთ, რომ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია იმარჯვებს,
ისინი ყველანი მის მხარეზე გადაღიან და მზადებენ გარიგებას
ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენს
ერაშზე⁷⁷.“

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობაშ პარიზის საზავო კონ-
ფერენციაზე თავის დელეგატებად გაგზავნა ზ. ავალიშვილი, დ. ლამ-
ბაშვიძე, კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი. ინგლისისა და საფრანგეთის
მმართველმა წრეებმა ნდობა გამოუცხადეს ჩხეიძესა და წერეთელს,
რის მიზეზიც, ზ. ავალიშვილის გადმოცემით, ის იყო, რომ „მათი
სახელები ჯერ კიდევ ჩევჭის ახსოვდა, მათ მიერ რუსეთის რევო-
ლუციის პირველ დღეებში დაკავებული პოზიციის გამო. ვაიხ-
სენეს, რომ ისინი იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ...დამამ-
შვიდებლად მოქმედებდა აგრძელე მათი თავდაჭრილი მინიმალისტ
სოციალისტების რეპუტაცია“⁷⁸.

მიესტადავად ამისა, მოყავშირეთა მიერ საქართველოს დამო-
უკიდებლობის ოფიციალური ცნობა ავგისნებდა. 1918 წ. 18 დე-
კემბერს საქართველოს დელეგაცია დიდი ბრიტანეთის საგარეო
საქმეთა მინისტრს სწერდა, რომ საქართველოს მთავრობა ფაქტი-
ურად არსებული კანონიერი მთავრობაა, რომელიც უკვე სკნეს
ცენტრალური ეფრთხის ქვეყნებმა და ნეიტრალურმა სახელმწი-

⁷⁶ ვ. ლ ა ბ ბ ა შ ი ძ ე. საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორი-
ადან. (1917—1921), თბ., 1961, გვ. 9—12.

⁷⁷ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხს., ტ. 28, გვ. 123.

⁷⁸ ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921
წლების საქართაშორისო პოლიტიკაში. გვ. 232.

ფოებმა. საქართველოს მთავრობამ ჩვენ მოგვანდო დიდ სახელმწიფო წიფოებთან მოლაპარაკება და ახლა მთავრობის აწმუნებით კლასტერი კურეილთ პატივი გვაქვს ვთხოვთ ინგლისის მთავრობას სცნოს საქართველოს რესპუბლიკა დეფაქტო, დანიშნოს დიპლომატიური წარმომადგენელი თბილისში, დაუშეკს საქართველოს წარმომადგენლობა ლონდონში და აწარმოოს მასთან მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი მომავალი ბედის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა დაწმუნებულია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მხარს დაუჭირს საქართველოს, როგორც მისი ცნობის საკითხი განხილულ იქნება გამარჯვებულ სახელმწიფოთა საზაფო კონფერენციაზე⁷⁹.

საქართველოს მთავრობამ თავის აწმუნებულთა შეშევეობით კიდევ რამდენჯერმე მიმართა ინგლისის მართველ წრეებს. 1919 წ. 30 იანვარს კი ურცელი წერილი მიართეა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. წერილის პირველ ნაწილში ლაპარაკია საქართველოს სახელმწიფოებრიობის ოლგენისა და მის საგარეო პოლიტიკაზე, შემდეგ კი დასმულია საქართველოს მომავლის საკითხი: რუსეთის იმპერია აღარ არსებობს, საქართველომ კი დამოუკიდებლობა დაიბრუნა; თუ დიდი სახელმწიფოები განიხილავენ რუსეთის ოლგენის საკითხს, საქართველოს წინაშე დამდგარი ალტერნატივა შეიძლება ფორმულირებული იქნეს ასე—საქართველოს ისევ რუსეთის შემადგენელ ნაწილად გახდომა სურს, თუ განხრას უსული აქვს დარჩეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. წავიდა ის დრო, როცა საქართველოს არჩევანი უნდა მოეხდინა უბრალო გუბერნიისა და ადგილობრივ ავტონომიის შორის. ახლა არჩევანი უნდა მოვახდინოთ ავტონომიისა და დამოუკიდებლობას შორის, რაც ქართველი დემოკრატიისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საქართველოს დემოკრატია ვერ გაჰყება ქართველ მეცეთა კვალს. ქართველ ხალხს არც რუსეთის ქვემეცრდომობა სურს და არც უცხო ძალის კონტროლს ქვეშ ყოფნა. მას უნდა, გამოსცადოს საკუთარი ძალა, თავის ხელში აიღოს საქართველოს მართვა-გამგეობის ძნელი საქმე და დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიის ერთა ლიგისაგან ელოდებათ⁸⁰.

საქართველოს მმართველი წრეების თხოვნა-ცედრება კარგანას უპასუხოდ რჩებოდა. ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიას, რა-

79 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 48, ფურ. 8—9.

80 იქევ, საქ. 47, ფურ. 22—23.

თქმა უნდა, იზიდაედა ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმღიდოების გადაცემის „მოკავშირედ“ მოწვეული ინგლისელი ინტერვენტები ზღუდავდნენ საქართველოს სუვერენიტეტს, მათ საქართველოს მოწყვიტეს ბათუმის ოლქი, კონტროლი დაამყარეს მის რეინიგზებზე. მაგრავ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აჭიანურებდა საქართველოს „დეფაქტო“ ცონბასაც კი და მასთან არაეითარ ხელშეკრულებას არ აფორმებდა. ამის მიხევი ძნელი გამოსაცნობი როდია. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრების მთავრი მიზანი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების განადგურება და მონარქიის ან ბურჟუაზიული რესპუბლიკის აღდგენა იყო. ამის გარეშე რეალური ხდებოდა რუსეთის მეფისათვის სესხად მიცემული მილიარდების, ვერბერთელა სანედლეულო ბაზისა და გამსაღებელი ბაზის დავარგვის საფრთხე. 1919 წელს ინტერვენტები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ძირითად იმედს კოლჩაკისა და დენიკინის კონტრრევოლუციურ არმიებზე ამყარებდნენ. ეს გენერალები კი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“, ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღდგენისათვის იმპროდნენ. ისინი არ სცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნაგრევებზე აღმოცენებულ ეროვნულ სახელმწიფოებს. სწორედ ამის გამო ინგლის-საფრანგეთის მთავრობებიც თავს იყვებდნენ ამ ეროვნულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ცნობისაგან, მათი საკითხის განხილვას საერთო რუსული პრობლემების გადაწყვეტის უკავშირებდნენ.

ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრების დუმილით განაწყენებული საქართველოს მთავრობის დელეგაცია 1919 წ. 8 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აცნობებდა, რომ მოკავშირეებისაგან აქამდე პასუხი არ მიგვიღიაო. როგორც ჩანს ამ სახელმწიფოთა მთავრობები ერიდებიან საქართველოს საკითხის ცალკე განხილვას, მაგრამ ეს უსამართლობაა. საქართველო უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ის ტერიტორია, რაზეც ქართველი ხალხი თავის კანონიერ პრეტენზიას აცხადებს, საქართველოს ეკუთვნოდა იმ დიდი სახელმწიფოების აღმოცენებამდე, რომლებიც ახლა მსოფლიო პოლიტიკაში გადამწყვეტი როლს ასრულებენ.

რუსეთის ცარიზმი, განაგრძობდნენ ქართველი დიპლომატები, საქართველოს დაპყრობითი პოლიტიკის პლაცდარმად იყენებდა. თავისუფალ რუსეთს კი ჩენი ქვეყანა აღარ ესაჭიროება. თანაც გაუგებარია რა მოტივით უნდა უთხრათ უარი დამოუკიდებლობაზე იმ ქვეყანას, რომელიც გეოგრაფიული, ეთნოკური და ისტო-

რიული თვალსაზრისით აქმაყოფილებს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის ყველა მოთხოვნილებას. საქართველო აღმართებული იძლება განხილულ იქნას სხვა სახელმწიფოს ქვეშეერდომად, მან უნდა პოვოს თავის საკუთარი აღვილი წინა აზიაში. ამისათვის აუცილებელია საქართველოს საკითხი დაუყოვნებლივ განიხილონ დიდმა სახელმწიფოებმა, რომელთა ნება საფუძვლად დაედებათ მომავალ საერთაშორისო საზოგადოებრივ წესრიგს⁸¹.

არც აშშ-ის მთავრობა ჩქარობდა საქართველოს დელუგაციის თხოვნაზე პასუხის გაცემას. შეგრამ საქართველოს წარმომადგენლობამ თავის მიზანდასახულობაზე ხელი არ აიღო. 1919 წ. მარტში საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ვრცელი ნოტა წარადგინა პარიზის საზაფო კონფერენციაზე. ნოტის პირველ პარაგრაფში ლაპარაკია ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, მის ოქროს ხანაზე, შემდეგი საუკუნეების ძნელბეღლობაზე, აქევ აღნიშნულია, რომ აზიელი დამპყრობლებისაგან შეეწიროებულმა საქართველომ დახმარება ჩრდილო მეზობელს სთხოვა. 1783 წელს საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, მაგრამ რუსეთის ცარიზმა დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულება.

შემდეგ ნოტაში მოტანილია ფაქტები ცარიზმის ასიმილაციორულ-კოლონიურ პოლიტიკისა და ქვეყნის ობიექტურ-პროგრესული განვითარების შესახებ, დემოკრატიულ მოძრაობაში ქართველი ხალხის მიერ შეტანილ წელილზე. ნოტის მეოთხე-მეხუთე პარაგრაფში მიერკავება იმიერკავებასის ფედერაციისა და დამოუკიდებელი საქართველოს მდგომარეობის ანალიზია მოცემული. მიერკავებასის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ნოტის ავტორთა აზრით, ბოლშევიკური გამოსელითა და ფრონტის დაშლით იყო განპირობებული. მიერკავებასის ფედერაცია დღემოკლე აღმოჩნდა, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. რადგან საქართველო შორის იყო ანტანტის ქვეყნებისაგან, ივი იძულებით დაეყრდნო გერმანიის მხარდაჭერას და ამით ვადაირჩინაოთ თავი თურქეთის მიერ თურქეთის საფრთხისაგან.

ნოტის ავტორები ხოტბას ასხმენ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ წყობილებას, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველომ თავიდან აიცილა სამოქალაქო ომი, რევოლუციას იქ არ მოუსპია სახელმწიფოებრივ წესრიგი. საქართველო-

81 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურც. 24—26.

ში განხორციელდა მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია. მიუხედავად სიძნელეებისა, ახალგაზრდა დემოკრატია აღმავლობის სტატუსზე აშიარ.

ნოტის ბოლო ნაწილში ჩამოყალიბებულია „საქართველოს მოთხოვნილებები“. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული საფუძველი, ნოტის ავტორთა აზრით, ყველასათვის ცნობილია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი გაგრძელება მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობისა, რომელიც მხოლოდ XIX ს-ში გაწყდა. ახალი საქართველოს საზღვრებში, მათი განცხადებით, უნდა შესულიყო თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ბათუმისა და ზექათალის ოლქები, ყაჩისის ოლქის ოლოთისისა და არტანის ოკრუები, შავი ზღვის ოლქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწილი. ამ ტერიტორიების მოსახლეობის 75% ქართველები შეადგენენ.

საქართველოს მისის მაღალფარდოვანი განცხადებით დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს ოფიციალური ცნობა, მისი დამოკიდებულობის საერთაშორისო გარანტიები საბოლოოდ განამტკიცებდა სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის ახალ კერას, რომ დამოუკიდებელი საქართველო საუკეთესოდ ორგანიზებული წევრი გახდებოდა იმ საერთაშორისო წესრიგისა, რომელსაც დაამყარებდნენ დასაცელეთის სახელმწიფოები ხმელთაშუაზღვიდან კავკასიის ქედამდე ყველა ცივილიზებული ერისა და მთელი კაცობრიობის ინტერესთა შესაბამისად⁸².

საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ცნობა, მისი սაკუთაშორისო აღიარება ჭიათურდებოდა, რაც მენშვერების აზრით თეთრგვარდიელთა წისქვილზე ასხამდა წყალს, 1919 წლის 25 მაისს საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა ოთხ დიდი სახელმწიფოს მისიებს დაეცეათ საქართველო დენიკინის პრეტეზიებისაგან. სათანადო ნოტაში ნათქვამია, რომ ანტარტიისაგან შეიარაღებული მოხალისეთა არმია ცდილობს საქართველოს ტერიტორიების მითვისებას, დენიკინის ფლოტს ბლოკადაში ჰყავს საქართველო, იყი მოწყვეტილია გარე სამყაროს. ნოტის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ დასავლეთ ეროვნებისა და ჩრდილო ამერიკის „დემოკრატია“ დაეხმარებოდა საქართველოს ამ ბლოკადის მოსხნასა და დასავლეთის სამყაროსთან საკაჭრო ურთიერთობის დამყარებაში⁸³.

82 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურც. 32—40.

83 სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურც. 51—55.

ინტერვენტებს, როგორც აღნიშნული იყო, მიზანშეუწოდათ
მიაჩინდათ კოლჩაქ-დენიკინის თეთრი არმიებისა და რუსეთის მთავრობის
პირა მხარეებში აღმოცენებული ზურუუაზიული სახელმწიფოების
ურთიერთშორის ბრძოლა. ისინი, მართალია, ცდილობდნენ მხარე-
ების მორიგებას, მთელი მათი ძალების საბჭოთა რუსეთის წინა-
აღმდევ წარმართებს, მაგრამ როცა კონფლიქტი მაინც ხდებოდა
ინტერვენტები კოლჩაქ-დენიკინის თეთრი არმიების მხარეს იქტერ-
ნენ. გარეშე ძალის ასეთი პოზიცია, ბუნებრივია, არ მოსწონდათ
ეროვნულ-ბურუუაზიულ სახელმწიფოთა მესკეურებს. 1919 წლის
7 ივნისს ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გამოაცვეუნეს სა-
ერთო დეკლარაცია, რომელშიც პროტესტს გამოთქვამენ თეთრი
არმიების შეიარაღების წინააღმდევ და საქვეყნოდ აცხადებდნენ:
აზერბაიჯანის, ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ჩრდ. კავკასი-
ის, ბელორუსიის და უკრაინის რესპუბლიკები შეიქმნა და არსებო-
ბენ ამ სახელმწიფოთა ხალხების თავისუფალი ნების საფუძველზე.
ამ სახელმწიფოთა კომსტიტუციები შემუშავების პროცესშია. მე-
ზობლებთან ურთიერთობას განსაზღვრავენ დასახელებულ სახელ-
მწიფოთა უკვე მოწიცეული დამფუძნებელი კრებები. ამიტომ რუსე-
თის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტი-
ლებას არ შეიძლება რამე კავშირი ჰქონდეს ჩამოთვლილ სუვერე-
ნულ სახელმწიფოებთან და რუსეთის ურთიერთობა დასახლებულ
რესპუბლიკებთან შეიძლება მოწესრიგდეს თანასწორუფლებიანო-
ბისა და სუვერენულ უფლებათა პრინციპების საფუძველზე. დასა-
ხელებულ სახელმწიფოთა მთავრობები იმუორებენ თხოვნას, რომ
პარიზის საზავო კონფერენციამ დაუყოვნებლივ სცნოს მათი პილი-
ტიური დამოუკიდებლობა⁸⁴. მაგრამ ეს საერთო თხოვნაც დარჩა
ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა.

1919—1920 წლების მიზნაზე საბჭოთა რუსეთმა გადამწყვეტი
გამარჯვება მოიპოვა სამოქალაქო ომის ფრინველებზე. დამირცხე-
ბულმა დენიკინის არმიის ნაშთებმა სამხრეთისაკენ მოკურცხლეს,
ჩრდ. კავკასიაში ჰქონდეს დროიებითი თავშესაფარი. ანტანტის მეს-
ვეურები შემფოთდნენ, ინტერვენტებმა შექმნილი მძიმე მდგომა-
რეობიდან გამოსავლის ძებნა დაიწყეს და ასეთ პირობებში გაიხსე-
ნეს ამიერკავკასის რესპუბლიკების საკითხი.

1920 წლის 10 იანვრს დიდი ბრიტანეთის მინისტრთა საბ-
ჭოს სხდომაზე პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: დენიკინის

არმია გარშის, საბჭოთა არმია გამოდის შევი და კასპიის ზღვის/ პირებთან, მთელი ჩრდ. კუვასია სამოქალაქო ომის აღმიარებული. თუ მოვლენები მომავალშიც ასე განვითარდა მთელი კვაჭყასხელი დაგვეკარგება. საჭირო გამოინახოს ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ბრძოლაში ჩაბმის საშუალება, უნდა დავეხმაროთ იქ არსებულ მთავრობებს ჩარალით. ლოიდ ჯორჯის ეს თვალსაზრისი საფრანგეთის პრემიერმა კლემანსომაც გაიზიარა.

რამდენიმე სნის შემდეგ ჩატარდა დიდ სახელმწიფოთა სავარეო საქმეთა მინისტრების სხდომა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა საჭიროდ მიიჩნია საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა დეფაქტო ცნობა. დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გაითვალისწინეს მუსავატური აზერბაიჯანისა და მერშევიური საქართველოს მთართველი წრეების ანტისაბჭოური განწყობილება და 1920 წ. 11 იანვარს მიიღეს გადაწყვეტილება მათი დეფაქტო ცნობის თაობაზე⁸⁵.

დასავლეთის იმპერიალისტები უპირობოდ როდი სცნობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. ამ უკანასკნელთ ანტისაბჭოთა პლაცდარმის როლი ეყისრებოდოდათ. ინტერვენტები იმედოვნებდნენ, რომ ამიერკავკასიაში განალაგებდნენ თავის ჯარებს და ახალი მოვაკენირების დახმარებით შეაჩერებდნენ საბჭოთა ჯარების წინსვლას. დასავლეთის იმპერიალისტები ვარაუდობდნენ, რომ ახლო მომავალში შეძლებდნენ დუნიინის ჯარის ნაშთების, პოლონეთისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ერთობლივი ლაშქრობის ორგანიზებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ქართველი მენშევიკები დარწმუნდნენ, რომ რევოლუციური სენიორ დაავადებული ინგლის-საფრანგეთის არმიებს არ შეეძლოთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა. ამიტომ დენიკინის არმიის განადგურების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მალისით როდი მონაწილეობდა ინტერვენტების ანტისაბჭოური გეგმების დამუშავებაში. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს დელეგაციის უფროსის წერილი (1920 წ. 6 მარტი) ინგლისის პრემიერ ლოიდ ჯორჯისადმი. „მისი აღმატებულების მთავრობაში, — წერდა ქართველი დაპლომატი, — კარგად იცის, რომ საქართველო და აზერბაიჯანი რუსეთთან მიმართებაში ყოველთვის თავდაცვით პოზიციას იჰქიდნენ. რუსე-

85 გ. ლ. მ. ბ. შ. ი. ე. საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორია იდან. თბ., 1961, გვ. 56—57; სსკია, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურც. 131—133.

თას მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა იყო ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობის შთავარი მიზანის მშენებელის ას წინათ, როცა უმაღლესმა სამოქავშირეო საბჭომ გაინიშლა ბოლ-შევიების შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში ამიერკავკასიის რეს-პუბლიკებისათვის სამხედრო დამტარების გაწევის საკითხი, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თუმცა დიდი სურვილი გვაქვს დავიცვათ დამო-უკიდებლობა, მაგრამ მიზანშეწონილად ამ მიზანისა საბჭოთა რუ-სეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ მხად ვართ დავამყაროთ რუსეთ-თან მეომარეობის ურთიერთობა.

„იმედი გვაქვს, — დაასკვნის ქართველი დესპანი, — რომ და-გვეხმარებით ჩვენი რესპუბლიკების „დეიურე“ ცნობაში და გამ-წევთ არბიტრის როლს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუ-სეთის მორიგების საქმეში. რასაც ალბათ მოჰყება ჩრდილოელი მეზობლის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა“⁸⁶.

ქართველი ხალხი აშერა უკავითილებას აცხადებდა ინგლი-სელი იმპერიალისტების მიმართ, რომელმაც მოახდინეს ბათუმის ოლქის ოკუპაცია, ზღუდვების საქართველოს რესპუბლიკის სუ-ვერენულ უფლებებს, ცდილობდნენ წაუყვანათ იგი დათმობებზე რუსეთის კონტინენტულუკის მიმართ. მენტევიებს, ბუნებრივია, სურდათ ქართველი ხალხის თვალში აღედგინათ დაკარგული პრეს-ტური და ამიტომ გამედეს ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების მოთხოვნა. 1920 წლის 16 მარტს საქართველოს დე-ლუგაციის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე სამოქავშირეო საბჭოს თავმჯ-დომარეს სწერდა: 1) ბათუმის ოლქი, რომლის მოსახლეობის დი-დი ნაწილი ქართველი მამადიანები არიან, ისტორიული და სხვა საბუთების ძალით საქართველოს შემადგენლობაში უნდა შეეიღეს. 2) ამ ოლქის დაკოფა, მისი ერთი ნაწილის სხვა სახელმწიფოსათ-ვის გადაცემა, დიდ უკავითილებას გამოიწვევს ქართველ ხალ-ში, მოწამლას ურთიერთობის ამიერკავკასიის ერებს შორის. 3) თუ დასაბუთდება, რომ სომხეთისათვის აუცილებელია ზღვაზე გა-სასელელი და მას მიეცემა ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე რეი-ნიგზის გაცვანის უფლება, ეს უნდა გაცეთდეს განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ამ შელახავს ამ ტერი-ტორიის მიმართ საქართველოს სუვერენულ უფლებას. 4) ბათუ-მის ოლქის ტერიტორიაზე კ. ჭ. სამხრეთ-დასავლეთის სახელმწი-ფოს შექმნა კიდევ უფრო გაართულებს ამიერკავკასიის ხალხთა

86 სსცია, ფ. 1864, ანაწ. I, ხაქ. 47, ფურც. 101—102.

ურთიერთობას, განსაკუთრებით კი გაანაწყენებს ქართველ ხალხსა და
ამიტომ ამ გეგმაზე ხელი უნდა იღოთ. მით უმეტეს, რამაც ჩატურებულ
მის გადასვლა პოლიტიკურად საქართველოს ხელში როდი გააძნე-
ლებს მის გამოყენებას მოქავშირეების მიერ როგორც საყრდენი
პუნქტისა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის. 5) ამას-
თან, საქართველოს მთავრობა მოითხოვს, რომ მას გადაეცეს ყირ-
სის ოლქის ორტაანისა და ოლთისის ოკრუგები⁸⁷.

ანტანტი, როგორც ჩანს, ბათუმის განსაკუთრებული პოლი-
ტიკური ერთეულის სტატუსის შექმნას სომხეთ-აზერბაიჯანის ინ-
ტერესებისათვის ანგარიშგაწევების მოტივით მაპატებდა. ამიტომ
საქართველოს მთავრობამ უშუალოდ მეზობელ სახელმწიფო ორგანიზაციან
ვამართა მოლაპარაკება, რის შედევვადაც დაიდო მეთი შეთანხმე-
ბა: 1) აზერბაიჯანი და სომხეთი თანახმა არიან ბათუმის ოლქი შე-
ციდეს საქართველოს შემადგენლობაში. 2) აზერბაიჯანი და სომხე-
თი თანახმა არიან ბათუმის ნავსადგურშე დაწესდეს საქართვე-
ლოს სუვერენიტეტი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნავსადგურში
დაცული იქნება მათი ეკონომიკური ინტერესები. 3) საქართველოს
ექსპობლივა ვალდებულებას კისრულობს მეზობელ სახელმწიფო ორგანიზაციან
პისცეს იმის გარანტია, რომ ბათუმის ნავსადგურით ექნებათ ზღვა-
ზე თავისუფალი გასასვლელი. 4) ამ ვარანტის უზრუნველყოფის
მიზნით ბათუმში მოეწყობა კომერციული ბაზარი. მხედველობა-
ში მიღება ბაქოს ნავთობის ექსპორტის ინტერესები, ხოლო სომ-
ხეთს უფლება მიეცემა თავისი რეინიგზები მოიყვანოს ბათუმის
ნავსადგურამდე. 7) უთანხმოებანი უნდა გადაიკრის არბიტრაჟის
მეშვეობით⁸⁸.

ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს ბათუმი,
ვართალია, მნიშვნელოვან ანტისაბჭოურ ბაზად მიაჩნდათ, მაგრამ
სამოქალაქო ომის ფრონტებზე დენიინის დამარცხების შემდეგ
მათ პესმიზმი დაეუფლა. მოქავშირეებმა ვერ გაძედეს ბათუმში
დიდი სამხედრო შენაერთების გადმოყვანა. 1920 წლის ივნისში
ინგლისის 2-ათასიანმა გარნიზონმა ბათუმი დატოვა. ქალაქსა და
მის ოლქზე საქართველოს სუვერენული უფლებები იღსდგა, რა-
საც ინტელიგენცია და ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა. მოუხე-
დავად მისა, საქართველო კვლავ ინგლისელ იმპერიალისტთა გავ-
ლენის სფეროში ჩატოვდა. მენშევიკურ მთავრობას ინგლისისა

87 სსტა, ფ. 1864, ანაწ. I, საქ. 47, ფურც. 104—105.

88 იქვე, ფურც. 117.



და დასაცლეთის სხვა დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერა ჰაშოვრული უკიდებლობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობაზე მია-აჩნდა.

4. საქართველოს „დემოკრატიული რესუბლიკის“ ურთიირთობა საპაოთა რუმეთთან. პრძოლა საქართველოს გრუზიული სახელმწიფოს საპაოთა სახელმწიფო გარდაქისისათვის

სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა რუსეთმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას წინადაღებით კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და დენიურის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო. მენტევიურები ერთდებოდნენ დასაცლეთის იმპერიალისტთა წყენს და საბჭოთა რუსეთთან არ თუ მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდნენ, არამედ ხშირად მის წინააღმდეგ აშკარა მტრულ პოზიციას იყვებდნენ.

1920 წლის განახლებულზე საერთაშორისო ძალთა განლაგება არსებითად შეიცვალა. კოლხიაისა და დენიურის თეთრი არმიები საბოლოოდ განადგურდა. დასაცლეთელმა ინტერვენტებმა საბჭოთა რუსეთი კერ წამოაჩიქეს. წითელმა არმიამ კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან გაწმინდა რუსეთის თითქმის ცველა ოლქი, დაცუფლა ჩრდილო კავკასიას და ამიერკავკასიის საზღვაოზე გამოვიდა. საბჭოთა რუსეთის გამეზობლობითა და საქართველოს შურობელი მასების რევოლუციური ბრძოლით შეშინებული ქართველი მენტევიურების ტონი სავრმობლად შეიცვალა. მათ თავი დაანებეს ბოლშევიკების აშკარა ლანძლე-გინებას და საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების შესაძლებლობაზე ალაპარაკდნენ. 1920 წ.

14 აპრილს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ნოტით მიმართა საბჭოთა მთავრობისა და სამშეიდობო მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა თვით გამოიჩინა. საბჭოთა რუსეთმა ურანგელთან და პოლონეთთან მოსალოდნელი ომის პირობებში მისაღებად ჩათვალი სამხრეთელი მეზობლის წინადაღება და მაცე მოლაპარაკებაც გაიმართა.

1920 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ლევ კარახანმა და საქართველოს მთავრობის რწმუნებულმა გრიგოლ ურატაძემ ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს სამშეიდობო ხელშეკრულებას, რომლის ძირითადი მუხლები ასეთი იყო: 1) ერ-

თა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე საბჭოთა რესეტი სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის ჟველა სუვერენულ უფლებაზე. 2) რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩატევაზე. 5) საქართველო ვალდებულებას კისრულობს განაიარალოს და საკონცენტრაციო ბანკებში მოათავსოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი, რუსეთის მთავრობის სახელით მოქმედი ჯარის ნაწილები (თეთრგვარდიელები.—ა. ბ.) და მათი კუთვნილი იარალი გადასცეს საბჭოთა რუსეთს. არ შეუშვას საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები საქართველოს ტერიტორიაზე. 6) რუსეთი ვალდებულებას კისრულობს თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას საქართველოს მთავრობის დამხმობისათვის მებრძოლი პირები და ორგანიზაციები. 8) მესუთე-მეექვსე მუხლების შესასრულებლად მხარეები აყალიბებენ შერეულ კომისიას. 10) საქართველოს მთავრობა ვალდებულია ვაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთისა და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის დასჭირი პირები⁸⁹.

ამ ხელშეკრულებაში კარგად ჩანს მხარეების მიზანდასახულობა. ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ურთ-ერთი ჟველაზე მერძნობიარე კვანძია და ამ ქვეყანაში ჩენ ორი მიზანი დაეისახეთ; აღმოგვეფხვრა საქართველოს ტერიტორიიდან მტრულად განწყობილი ძალების თავდასხმა და ამავე დროს საქართველოს კომუნისტებისათვის ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა მიგვეცაო.⁹⁰ საქართველოს მთავრობას კი სურდა ამ ხელშეკრულებით დრო მოეგო ვიდრე ანტარტიის სახელმწიფოებისაგან რეალურ დახმარებას მიღებდა და ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას განამტკიცებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას კმაყოფილების საფუძველი, რა თქმა უნდა, პერნადა. გაფორმებული ხელშეკრულება თავისთვავად საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დეისტრ ცნობას ნიშნავდა, რის გამოყენებასაც, ბუნებრივია, იგი ცდილობდა დასავლეთელ მოკაეშირეთა თვალში თავის პრესტიჟის ასამაღლებლად. მენშეეცურა თუკიციოში გას. „ერთობა“ სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითად ღირსებას იმა-

⁸⁹ სსკია, ფ. 1833, ანწ. 1, საქ. 227, ფურც. 26—28.

⁹⁰ ა. სურგულაძე. სოციალისტური რევოლუციის გმარჯვება ამიერკავკასიაში, ტ. II, გვ. 150.

ში ხედავდა, რომ იგი ხელს გაუხსნიდა ევროპას ეცნო საქართველოს უკუკილობობა⁹¹.

1920 წ. 8 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ სამოქავში-რეო საბჭოსათვის გაგზავნილ ვრცელ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტის აღიარება საქმარისი არაა და ქართველი ხალხი ელოდებათ მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აქტით აღიარებას, მთავარი სახელმწიფოებისაგან დეისურე ცნობას. დიდ სახელმწიფოთა მთავრობებმა კარგად ციიან თუ რას წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა, როგორია ამ დემოკრატიის პოლიტიკური მძიმელი ფერი. საქართველოს დელეგაციას ზედმეტად მიაჩინია ევლავ ილაპარაკოს რესპუბლიკის დეისურე ცნობის დასასაბუთებლად, მით უმეტეს, რომ ქართველი ხალხი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას თვლის თვისის ბუნებრივ უფლებად და მისა ოფიციალური ცნობა იქნება მხოლოდ მოვლენის ლოგიკური დასასრული.

1920 წლის ზაფხულში მემორანდუმის ავტორების აზრით, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ საქართველოს დეისურე ცნობა გადაუდებელია. საბჭოთა რესერვი უკვე სცნ საქართველოს დამოუკიდებლობა. მართალია, ევროპას ჯერ თვით საბჭოთა რესერვი არ უცვნია, მაგრამ რესერვის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება საფუძველს იძლევს მას დაუყოვნებლივ სცნს საქართველოს რესპუბლიკა ოურიდიულად. საქართველოს დეისურე ცნობის საჭიროება, ქართველთა დელეგაციის აზრით, განპირობებული იყო წინა აზიაში შექმნილი მდგომარეობითაც. ახლა ფორმდება ხელშეკრულება, რომელმაც უნდა განსაზღვროს თურქეთის ყოფილი იმპერიის ზედი და გადაჭრას დამოუკიდებელი ხელშეთის პრობლემაც. ამასთან დაკავშირებით ისმება საქართველოს სომხეთის საზღვრების დაგენის საკითხი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოს მთავრობისთან მოლაპარაკების ვზით და თუ საქართველო ოურიდიულად არ იქნა ცნობილი, ისე არ შეიძლება მისი მონაწილეობა რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებაში. საქართველოს დეისურე ცნობას, ქართველთა დელეგაციის განცხადებით, მოითხოვდა ავტორე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საჭიროება. საქართველოს მთავრობის გაცხოველებული მოლაპარაკება დასავლეთ ევროპულ ფირმებ-

91 სსცია, ფ. 1864, ანწ. 1, საქ. 47, ფურც. 126—128.

თან სხვადასხვა კონცესიების გაცემის თაობაზე წარმატებით ფერადი დაგვირგვინდებოდა საქართველოს იურიდიულად ცნობის ჟარიშე.

ქართველი ხალხი, დაასკვინან ქართველი დესპანები, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას განაგრძობს. საქართველოს მთავრობა იმდოვნებს, რომ მოყავშირები იურიდიულად ცნობენ მას და მით დიდ მორალურ დახმარებას გაუწევენ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში⁹².

აღნიშნული მემორანდუმის ანტანტის სახელმწიფოებისათვის გადაცემის მომენტში რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. რუსეთის კონტინენტულუკის ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაეკარგა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ერთიანი ბურჟუაზიული იმპერიის აღდგენის იმდიდი. ამიტომ დასაცლეთ ეკრობის დიდი სახელმწიფოები საქართველოს დეისტრე ცნობის საკითხში კვლავ მერყეობდნენ, საქართველოს მთავრობის თხოვნაზე დადგებითი პასუხის გაცემას კვლავ აქინანურებდნენ.

1920 წელს დიდმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს სევრის ხელშეკრულებას, რომელიც ანაწილებდა თურქეთის ყოფილი იმპერიის სამფლობელოებს და თავისებურად წყვეტდა შევი ზღვის სრუტეების პრობლემას. ეს ხელშეკრულება უფლებელყოფდა საქართველოს ინტერესებს. ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქ-ნაერსადგურად, რომლის საკავშიროდ გამოყენებისათვის საქართველოს მხოლოდ იმდენივე უფლება ჰქონდა, რამდენიც სხვა სახელმწიფოებს. კიდევ უფრო უფლებებიყოფილი იყო საქართველოს უფლებები შევი ზღვითა და სრუტეებით საჩიგებლობის სფეროში. სრუტეების მართვის საერთაშორისო კომისიაში საქართველოს აღგილი არ ეძღვოდა და საერთოდ საქართველო იყო ერთადერთი შევიზვისპირა სახელმწიფო, რომლის ხსენება სრუტეების საკითხთან დაკავშირებით დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს⁹³.

აშშ-ის მთავრობას სევრის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია. მისი თვალსაზრისი რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე გამოთქმულ იქნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლბის ნოტაში, რომელიც სევრის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს გამოქვეყნდა. ანტისაბჭოთა სულით გამსჭვალული ეს

92 სსკია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 47, ფურც. 131—133.

93 გ. ღ. ა ბ ბ ა შ ი ძ ე. იმპერიალისტური სახელმწიფოების იგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და მიერკავკასიის მიმართ 1920 წელს. თბ., 1970, გვ. 108—112.

დოკუმენტი რუსეთის საყითხს თითქოს განიხილავდა და მომინდობა
 ბურჯუაზიული ჩევიმის პოზიციებიდან და რუსეთის ერთიანობა-
 ზე ღალადებდა. მის საზღვრებში, ნოტის ავტორის აზრით, უნდა
 შესულიყო მთელი ყოფილი ობჟარია ფინეთის, პოლონეთისა და
 იმ ტერიტორიების გამოკლებით, რომელიც სევრის ხელშეკრულე-
 ბით უნდა გადასცემოდა დამოკუიდებულ სომხეთს. გამონაცელის იმიტომ იყო დაშვებული, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მესვე-
 ურთა განცხადებით მხოლოდ პოლონელებმა, ფინელებმა და ცომ-
 ხებმა გამოიჩინეს განსაკუთრებით დიდი სწრაფვა დამოკუიდებ-
 ლობისაეკნ. საქართველოსა და აზერბაიჯანის ე. წ. ჩესპებლივების
 დეფაქტო ცნობა შეცდომაა და ეს ქვეყნები ბურჯუაზიული რუ-
 სეთის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდნენ. აშშის მთავრობა
 შეურაცხყოფდა ქართველების, აზერბაიჯანელების და რუსეთის სხვა
 ბევრი დაჩაგრული ერის პატრიოტულ გრძნობებს, მათ მისწრაფე-
 ბას თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორჩვევისაეკნ. ქარ-
 თველი ხალხისათვის, რა თქმა უნდა, გაუდებარი იყო, თუ რა უფ-
 ლებით მიიჩნევდა ამერიკის მთავრობა მის ბრძოლის თავისუფლე-
 ბისათვის უკანონოდ, ისეთ კრიმინალი, რის გამოც შესოფლიო
 საზოგადოებრივ აზრს მისთვის ანგარიში არ უნდა გაეწია, მხარი
 არ უნდა დაეჭირა. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ აღნიშნა
 კოლბის ნოტის ანტიხალხური ხსიათი, საგარეო საქმეთა კომისა-
 რიატმა თავის საზღვარგარეთულ წარმომადგენლებს აცნობა, რომ
 უსაფუძვლო იყო ქართველი, აზერბაიჯანელი, ლიტველი, ლატვი-
 ლი, ესტონელი და უკრაინელი ხალხების დამოუკიდებლობისა-
 ეკნ მისწრაფების უკანონოდ გამოცხადება⁹⁴.

ამერიკის მთავრობის 10 ავგვისტოს ნოტას, ბუნებრივია, სა-
 ქართველოს მენშევიკური მთავრობაც პროტესტით შეხვდა. მის
 მიერ 15 ავგვისტოს მოკავშირეებისათვის გაგზავნილ მემორანდუმ-
 ში ნათქვამი იყო, რომ ქართველი ხალხი არ დალოდებია ვილსო-
 ნის პრინციპების გამოქვეყნებას, უფრო აღრე გამოაცხადა თავისი
 დამოუკიდებლობა. ქართველმა ერმა ცხადყო, რომ შესწევს დე-
 მოქრატიული სახელმწიფოს შექმნის და დამოუკიდებელი არსე-
 ბობის უნარი. იმედია ეცრობის დიდი სახელმწიფოები თანმიმდევ-
 რობას გამოიჩინენ, დეფაქტო აღიარებულ სახელმწიფოს დეიურე-
 დაც სცნობენ. დარწმუნებული ვართ, დასკვნიდნენ მემორანდუ-

მის ავტორები, რომ ეს სახელმწიფოები არასდროს არ ჩხელმ-
შძღვანელებენ ბევრი შექანიური თეორიით რუსეთის იმპერიას
მთლიანობის შესახებ და საჭიროდ არ ჩათვლიან რუსეთში მომდევნობა
ვალი კეთილდღეობისათვის გასწირონ იმპერიის ნაგრევებზე აღმო-
ცენებული ახალი რესპუბლიკები და მათ შორის საქართველოს დე-
მოკრატიული ბურჟუატულიკები⁹⁵.

საქართველოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის მმართველი წრე-
ბი დიდი იმედით შეხვდნენ ერთა ლიგის შექმნას. ჯერ კიდევ
1920 წ. პრიოლში მათ ჩამოაყალიბეს ერთა ლიგის საქართველოს
საზოგადოება. საქართველოს წარმომადგენლები აქტიურად მონა-
წილეობდნენ ერთა ლიგის სხვადასხვა კომისიების მუშაობაში. მი-
უხედავად ამისა, ერთა ლიგის წევრიად საქართველოს მიღება გაუი-
ანურდა. 1920 წ. 16 დეკემბერს ერთა ლიგამ სპეციალურად სა-
ქართველოს საკითხი განიხილა, მაგრამ უმრავლესობამ საქართვე-
ლოს ერთა ლიგის წევრიად მიღებამ მხარი არ დაუკირა. საქართვე-
ლოს წარმომადგენლობამ მიიღო მხოლოდ ერთა ლიგის ტექნიკუ-
რი კომისიების მუშაობაში მონაწილეობის უფლება. საქართვე-
ლოს რესპუბლიკის ერთა ლიგის სრულუფლებიან წევრიად მიღე-
ბა იმიტომ გაძნელდა, რომ ეს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო
ცნობილი დეიურე. მენშევიკები, ბუნებრივია, კვლავ აგრძელებდ-
ნენ ბრძოლას საერთაშორისო ორარქიზმისათვის. მხოლოდ 1921
წლის დამდეგს შეისმინეს დიდმა სახელმწიფოებმა მენშევიკების
ველდრება. 26 იანვარს მათ მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს
რესპუბლიკის დეიურე ცნობის თაობაზე⁹⁶. მაგრამ ამ დავვიანე-
ბულ აქტს უკვე აღარ შეეძლო არსებითი დაბმარება გაეწია სა-
ქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს მესვეურთათვის.

საქართველოს მშრომელები, რა თქმა უნდა, ეროვნული თა-
ვისუფლებისათვის იბრძოდნენ და ერთა თვითგამორჩვევის მარქ-
სისტულ-ლენინურ პრინციპს იწონებდნენ, ბურჟუაზიული და
წვრილბურჟუაზიული პარტიები რამდენიმე ხანს კარგად იყენებ-
დნენ ხალხის ასეთ სულისკვეთებას თავიანთი ნაციონალური პრო-
გრამის განხორციელებისა და ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმ-
წიფოს მშენებლობის საქმეში. მენშევიკებიც საგაროდ აცხადებდ-
ნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა მშრომე-

95 სსცია, ფ. 1864, ანაწ. 1, ხაქ. 47, ფურც. 136—138.

96 გ. ლ. მ. მ. შ. ი. ძ. ე. საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტო-
რიიდან, თბ., 1961, გვ. 78—79.

ლი მასების სურვილის თანახმად და საქართველოს სუვერენიტეტი უფლებების ხელყოფის უფლება საბჭოთა რუსეთს არა აქვს. ამასთან ერთად, მენშევიები უკველნაირად ცდილობდნენ მოგვარულებინათ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარდაჭერა. როგორც ვნახეთ, მხოლოდ საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ სკნო ანტანტიმ საქართველო დეიურე და ცდილობდა ცენტრალური ეკრობის სახელმწიფოების მსგავსად გადაექცია იგი სანიტარულ კორდონად სოციალიზმის გზაზე დამდგარ რუსეთსა და წინა აზიას შორის. დასავლეთის დიდი სახელმწიფოები არა მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდნენ, აქტიურად ერეოდნენ მის საშინო პოლიტიკაში, ეწინააღმდევებოდნენ მომწიფებული სოციალური პრობლემების გადაჭრას, აფერხებდნენ რევოლუციის გაღრმავებას.

საქართველოს მშენები მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მენშევიები მთავრობას არც სოციალური საკითხების რაღიალური გადაწრა შეეძლო და არც საქართველოს დამოუკიდებლობის თანმიმდევრული დაცვა. შემთხვევით არ წერდა სამჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატი თავის ინფორმაციაში, რომ დამოუკიდებლობის უორდანისეულ გაგებას ქართველი ხალხი არ იზიარებსო. ქართველ მუშებსა და გლეხებს ნამდვილად სურთ დამოუკიდებლობა და ამითაა განპირობებული მათი ბრძოლა მენშევიური „დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, საბჭოთა ფედერაციისათვის, საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის“⁹⁷.

1917 წლამდე კომუნისტურ პარტიას, ვ. ი. ლენინს რუსეთის პირობებში მიუღებლად მიაჩნდა ფედერაციის პრინციპი. მიზან-შეწონილი იყო ცენტრალიზებულ მონარქიულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ნანგრევებზე ცენტრალიზებული პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ 1917 წლის ორი რევოლუციის შედეგად რუსეთის მთლიანობა დაირღვა, წარმოიშვა ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ბურჟუაზიული, ესერული, მენშევიური სახელმწიფოები. ახალ პირობებში კონფედერაციას და ფედერაციას უნდა შეესრულებინა ფაქტოურად უკვე დაშლილი რუსეთის შემკრების როლი. ამიტომ, ბუნებრივია კომუნისტებმა

97 Борьба за победу Советской власти в Грузии, с. 350—351.

გადასინჯეს თავისი შეხედულება. ვ. ი. ლენინმა ბურუუაზიულ ფე-
დერაციას საბჭოთა ფედერაცია დაუპირისპირა.

ვ. ი. ლენინი აქტიურიკებდა რუსეთის დროებითი მთავრობის
მპერიალისტურ პოლიტიკას ჰევენის შიგნით. „თქვენ და თქვენი
მთავრობა, — მიმართავდა ლენინი ბურუუაზის ლიდერებს, —
სინამდვილეში განაგრძობთ ანექსიების პოლიტიკას ფინეთისა და
უკრაინის მიმართ. თქვენ გადაპყიდვებიხართ უკრაინელთა ყრილო-
ბას, კრძალავთ მის გრებებს თქვენი მინისტრების მეშვეობით. გა-
ნა ეს ანექსია არ არის? ეს არის პოლიტიკა, აბუჩად ამგდები იმ
გროვნების უფლებებისა, რომელიც ტანჯვა-წამებას განიცდიდა მე-
ფეებისაგან იმიტომ, რომ ამ ეროვნების ბავშვებს უნდოდათ დე-
დაენაზე ლაპარაკი. ეს იმას ნიშნავს, რომ გეშინიათ ცალკეული
რესპუბლიკებისა. მუშათა და გლეხთა თვალსაზრისით ეს საშიში
არ არის. დაე, რუსეთი თავისუფალ რესპუბლიკებთა კავშირი
იყოს⁹⁸, ცხადია, რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთაურს მი-
აჩნდა, რომ ბურუუაზიულ-დემოკრატიული წყობილების პირობებ-
შიც სასურველი იყო რუსეთის გადაქცევა თავისუფალ რესპუბლი-
კათა კავშირად, ფედერაციულ სახელმწიფოდ.

ვ. ი. ლენინი მიზანშეწონილად თელიდა სოციალიზმის მშენე-
ბლობის გზაზე დამდგარი ერებისა და სახელმწიფოების ფედერა-
ციულ გაერთიანებასაც. ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე
ხნით ადრე იგი წერდა: „ჩევენ გესურს რევოლუციური შეერთება,
ამიტომ არ ვაყენებთ საერთოდ ყველა და ყოველგვარი სახელმ-
წიფოს გაერთიანების ლოზუნებს, რაღაც სოციალისტური რევო-
ლუცია დღის წესრიგში აყენებს მხოლოდ იმ სახელმწიფოთა გა-
ერთიანებას, რომლებიც გადავიღნენ და გადადიან სოციალიზმე“⁹⁹.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემ-
დეგ, პირველ დღეებიდანვე, ვ. ი. ლენინი ბევრს მუშაობდა სახელ-
მწიფოებრიობის ახალი ფორმების, ერებისა და მშრომელი მასები-
სათვის მისაღები აგტონომიისა და ფედერაციის პრინციპების და-
ნერვირისათვის, იბრძოდა საბჭოთა რესპუბლიკების შექმნისა და
მათი ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის. 1917 წლის 22 ნოემ-
ბერს ვ. ი. ლენინი მეზღვაურთა წარმომადგენლებს ეუბნებოდა,
ჩვენ არ უნდა გვეშინოდესო რუსეთის ტერიტორიაზე ეროვნული
საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის. პირიქით, ჩვენ იმის იმედი

98 ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 25, გვ. 30.

99 ვ. ი. ლენინი. თხ., ტ. 26, გვ. 199.

გვაქვს, რომ სხვა ერებს მოვიზიდავთ არა ძალმომრეობით, არა—
მეღ იმით, რომ „ისინი შექმნიან თავიანთ სოციალისტურ ქამყა-
რის, თავიანთ საბჭოთა რესპუბლიკებს“¹⁰⁰. სისახლით ეს

1917 წლის 24—25 დეკემბერს, როგორც ცნობილია, ხარუვ-
ში ჩატარდა უკრაინის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც
მიიღო დადგენილება უკრაინის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარების შესახებ. უკრაინა გამოცხადდა მუშათა, გლეხ-
თა და გარისეაცთა საბჭოების რესპუბლიკად. სრულიად რუსეთის
საბჭოების მესამე ყრილობამ მოიწონა უკრაინის დამოუკიდებელი
საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების აქტი. სახკომსაბჭომ ვ. ი.
ლენინის მეთაურობით სცნო უკრაინის დამოუკიდებლობა, იგი
აღიარა სუვერენულ და თანასწორუფლებიან საბჭოთა რესპუბლი-
კად.¹⁰¹

სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლე-
ნინი ამბობდა: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუცი-
ური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიქრიბება თა-
ვისუფალი ერების... სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლო-
ბით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად გაიზრდება ეს ფე-
დერაცია“¹⁰² და უძლეველი გახდება.

კომუნისტური პარტიის მეწევე ყრილობაზე მიღებულ პროგ-
რამაში ჩაიწერა, რომ საბჭოთა ფედერაციის გაფართოება-განმტ-
კაცება წარმოადგენს საიმედო ვზს ერთა სოლიდარობის დასამ-
ყარებლად, მათი ერთიანობის მისაღწევად.

ზემოთ აღნიშნულის ფონზე თუ განვიხილავთ ქართველი
პოლშევიკების პოზიციას, მათ დამოუკიდებულებას მრავალეროვანი
პროლეტარული სახელმწიფოს მოწყობის პრობლემისადმი, ცხადი
გახდება, რომ ისინი ეროვნულ საკითხში ზოგჯერ შეცდომებს
უშევებდნენ. ზოგიერთ ქართველ კომუნისტს, მაგალითად, ავტონო-
მის მოთხოვნა საერთოდ ნაციონალისტობად მიაჩნდა. ასევე
გრძელდებოდა, სამწუხარიღ, ოქტომბრის რევოლუციის შემდე-
გაც, მაშინ როცა საბჭოთა ფედერაციის (რსფსრ) შექმნა უკვე
ფაქტი იყო. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ზოგი-
ურთი ხელმძღვანელი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის
ვერ ახერხებდა წვრილბურუჟუაზიული პარტიების ეროვნული პრო-
ვრამისათვის ნათლად დაეპირისპირებინა ეროვნული საკითხს

100 იქვე, გვ. 581.

101 ვ. გ. გ. ა. დ. ა. დასახ. ნაშრ., გვ. 302.

102 ვ. ი. ლ. ე. ნ. ი. ი. თხშ., ტ. 26, გვ. 562.

გადაჭრის ლენინური თეორია და პოლიტიკა, მრავალროვნეული სახელმწიფოს მოწყობის ლენინური პრინციპები. ასეთი, ქელმზა ძლვანელები მაშნაც კი უარყოფნენ ეროვნული საბჭოთა საქართველოს პუბლიკების შექმნისათვის ბრძოლის საჭიროებას, როცა მიერკავკასიაში ბურუუაზიული სახელმწიფოები უკვე შექმნილი იყო, როცა წერილბურუუაზიული პარტიები გამოდიოდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების დროშით და კომუნისტებს ბრალს სდებდნენ მის უარყოფაში¹⁰³.

ზოგიერთ ბოლშევეკის ერის თვითგამორკვევის უფლება მის ურკავებისის პირობებში გააზრებული ჰქონდა დამოუკიდებელი ცროვნული სახელმწიფოს შექმნის გარეშე. 1919 წლის 7—8 მაისს ბაქოში გამართულ მიერკავებასიკ ბოლშევიკების კონფერენციაზე ბაქოს დელეგაციიმ დასვა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხი, მაგრამ ჩეკ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიუროს წევრებმა მემარცხენე სექტანტური პოზიცია დაიკავეს, უარყვეს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის საჭიროება.

ვ. ი. ლენინმა მკაცრად დაგმო ასეთი პოზიცია. ამის შესახებ სინტერესო ცნობას შეიტანეს ბუნიატ-ზადეს მოგონებები: როდესაც მე ვუამბე ლენინს, წერს ავტორი, რომ აზერბაიჯანში არსებობს ორი მიმდინარეობა, რომელთაგან პირველი წინადაღებას იძლევა მუსავარელებისაგან აზერბაიჯანის განთავსუფლების შემდევ შეიქმნას დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო მეორე გვთავაზობს აზერბაიჯანის გუბერნიებად დაყოფას და რსფსრ-სთან შეერთებას-თქმ, ილიჩმა თქვა: პირველი შეხედულება დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ სწორია, ხოლო მეორე წარმოადგენს კოლონიზატორობას და სისულელესო¹⁰⁴.

ვ. ი. ლენინის თვალსაზრისი ბოლოს და ბოლოს ცნობილი ვახდა მიერკავებისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ყველა ხელმძღვანელისათვის, რამაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მათზე. 1919 წლის მაისის ბოლოს ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარი დაუჭირა ეროვნული რესპუბლიკების შექმნის იდეას და მიზნად დაისახა მიერკავებასიაზი არსებული მთავრობების დამზობა, აზერბაიჯანის, საქართველო-

103 გ. ვ. ნ. გ ვ ე ლ ა მ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 303—304.

104 Воспоминания азербайджанских коммунистов о В. И. Ленине, 1958, с. 39—40.

სა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა. იმავე წლის ივნისში სამხარეო კომიტეტის მიერ სპეციალურად ვამოშვებულ დღის დარღაციაში ნათქვამი იყო, რომ ბოლშევიკური ორგანიზაცია შეუცდება მიაღწიოს ახერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ბურუუაზიულ სახელმწიფოთა გარდაქმნას საბჭოთა რესპუბლიკებად. ამიერკავკასიელი კომუნისტების ეს გეზი მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომის.

ამგვარად, ეროვნულ საკითხში დაშვებული შეცდომები გამოსწორდა. კომუნისტების გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტელიგენციისა და წვრილი ბურეუაზიის წრეებში, შესაბამისად მენშვიკების, სოციალ-ფედერალისტებისა და ბურეუაზიული პარტიების საყრდენი სოციალური ბაზა საგრძნობლად შეთხელდა. ამან გაადგილა ბრძოლა ამიერკავკასიაში სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა და საბჭოთა რესპუბლიკების შექმნისათვის.

რუსთის საბჭოთა ხელისუფლება თავის კლასობრივ, ინტერნაციონალურ მოვალეობად თვლიდა დახმარებოდა ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა მშრომელ მასებს ფეოდალური და კაპიტალისტური ექსპლოატაციისგან განთავისუფლებაში. ჩოგორუ კი შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა რუსეთმა ეს მოვალეობა შეასრულა ქართველი მშრომელების მიმართაც.

1921 წლის დამდეგს სამოქალაქო ომი საქართველოში დასასრულს მიუახლოვდა, განსაკუთრებით ხელსაყრელი საშინაო და საერთაშორისო პირობები შეიქმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასათვის. 11 თებერვალს ქვემო ქართლში დაიწყო შეიათებული აჯანყება, რაც სწრაფად გავრცელდა საქართველოს სხვა რაიონებშიც. 16 თებერვალს ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას, ა. გვერდის და სხვ. ხელმძღვანელობით. რევოლუცია გაითვალისწინა საქართველოს მენშვიკეური მთავრობის კავშირი დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან და ამიტომ დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, პირადად ვ. ი. ლენინს. ბელადის მითითებით მენშვიკეური რევოლუციების წინააღმდეგ აჯანყებული საქართველოს მშრობელების დასახმარებლად წითელი არმიის ნაწილები გამოიგზავნა, რამაც საგრძნობლად დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენს ქვეყანაში.

105 Г. К. Жвания. Великий октябрь и борьба большевиков Закавказья за Советскую власть, с. 203—208.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა დაიმსხვრა და სოციალურის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. დაიწყო ქართული სახელმწიფო ბრიობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული და თანასწორულებიანი სახელმწიფო ბრიოვი ერთეულის სახით შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

НАЦИОНАЛЬНЫЙ ВОПРОС В ГРУЗИИ В XIX — НАЧАЛЕ XX ВВ.

Резюме

Грузинский народ на протяжении более чем двадцати столетий героически отстаивал свою государственную независимость в борьбе против всех и всяческих завоевателей. Разумеется, эта борьба шла с переменным успехом. Особенно обострилось внешнеполитическое положение Грузии, начиная с XV в., когда единая в прошлом страна распалась на отдельные царства и княжества.

Оказавшись в кольце враждебных мусульманских государств, с надеждой взирая на растущую мощь России, грузинский народ издавна проникся верой в то, что действительная помощь придет к нему лишь с Севера от могущественного единоверного соседа. Со своей стороны и русский царизм, вполне сознавая недостаточность своих сил в Передней Азии, рассчитывал использовать вековую борьбу грузинского народа против ирано-турецкой агрессии в своих целях. Выражением полного совпадения обоюдных интересов сторон и явился трактат 1783 года, в силу которого над картлийско-кахетинским (т. е. Восточногрузинским) царством был установлен протекторат России. Отныне Восточная Грузия входила в состав Российской империи в качестве автономного государства.

Однако к началу XIX в. царизм, уже не считая нужным ни для себя ни для грузинского народа существования в Грузии автономных государств, непосредственно присоединил страну к России.

В истории Грузии началась новая эпоха. В огражденную русским оружием страну прекратились, наконец, непрерывные нашествия турецких и иранских завоевателей. Народ, обретший долгожданный мир, стал на путь обновления и прогрессивного развития. Однако вскоре обнаружились и некоторые

отрицательные факторы господства царского самодержавия. Введенная царизмом система управления оказалась неподходящей и неприемлемой для грузинского народа. Правда, интересы страны требовали решительного отказа от устаревших норм феодально-вассальных отношений и поднятия Грузии до уровня абсолютной монархии, однако царская бюрократия не способна была осуществить эту прогрессивную задачу в справедливой и приемлемой для грузинского народа форме. Падкие на взятки, корыстолюбивые царские чиновники не считались с особенностями быта и жизни грузинского народа, с его исторически сложившимися обычаями и традициями. Рассматривая Грузию как источник своего личного обогащения, возлагая на грузинский народ бремя непосильных налогов и нескончаемых экзекуций, они беспощадно притесняли мирное население.

Разумеется, не все сословия грузинского народа одинаково испытывали на себе жесткость новой системы управления, недовольство тех или иных слоев населения подчас было вызвано вовсе не одними и теми же причинами; однако нередко эти антагонистические слои выступали заодно против царистского режима и движение таким образом получало всенародный характер. Таковыми было по сути дела восстания в Нагорной Грузии (Мтианети) в 1804 г., в Имерети в 1810 г., Кахети в 1812—1813 гг., Имерети — 1819—1820 гг. и т. д. и т. п. Одной из главных целей всех этих восстаний было упразднение самодержавно-бюрократического управления и восстановление утраченной грузинской государственности. Хотя восставшие и выступали против ненавистного режима, однако сепаратизма они почти не проявили. Их целью было восстановление внутренней автономии Грузии, сохранение в непрекосновенности и утверждение незыблемости русско-грузинского союза на основе трактата 1783 г.

В 20—30-х годах XIX в. национально-освободительная борьба грузинского народа обогатилась новыми идеями. Участвовавшие в ней наряду с представителями грузинского дворянства выходцы из третьего сословия придавали ей заметный радикальный оттенок. Действовавшее в ту пору в Грузии тайное общество уже не мечтало о восстановлении грузинской феодальной монархии, стремилось к установлению сравнительно передового конституционно-монархического строя. Среди заговорщиков были также и сторонники республики.

Второй период национально-освободительной борьбы грузинского народа, начатый в 60-х годах XIX в., продолжался до конца 90-х годов. Во главе движения стояли грузинские демократы, т. н. «тергадеулеби», которые, преодолев социальный консерватизм участников заговора 1832 г., увязали

проблему освобождения грузинского народа от национального гнета с уничтожением крепостничества и борьбой за прогрессивное переустройство страны вообще.

Передовые грузинские деятели, проведя резкую грань между официальной царской Россией и Россией неофициальной, прогрессивной, революционной, твердо верили в то, что рано или поздно Россия встанет в ряды демократических государств, что идеи национальной и социальной свободы будут, наконец-то, воплощены в плоть и кровь. Однако эта вера в грядущее обновление России вовсе не обрекала их на бездействие в настоящем. Наоборот, грузинские шестидесятники, считая своей обязанностью наносить все более и более яростные удары по царизму со своих национально-освободительных позиций, рассчитывали тем самым еще более расширить рамки общедемократического движения.

В начале XIX в. активную пропаганду идеи автономии и федерации вели стоявшие на общедемократических принципах газеты «Сакартвело» («Грузия»), «Иверия» и «Цнобис пурцели» («Листок известий»).

Публицисты этих органов печати рассматривали государство, как надклассовую организацию, опиравшуюся на национальные силы и отстаивавшую интересы всего народа. Они считали вполне возможным включение дворянства и буржуазии в борьбу за автономию, рассматривая однако главной движущей силой трудящиеся массы. По их мнению интересы всех без исключения классов требовали «упразднения» бюрократического режима и установления демократического строя. Вместе с тем общеполитическим требованием всего грузинского народа должно было стать завоевание автономного государственного управления, при котором все классы и слои получили бы возможность свободного развития.

При определении сущности нации и государства в суждениях публицистов «Цнобис пурцели» чувствовалось влияние идеалистических концепций, но в самом требовании автономии не было ничего ни идеалистического, ни неразумного. Оно отражало тенденцию национально-освободительного движения грузинского народа. В. И. Ленин учит, что «для всего цивилизованного мира — типичным, нормальным для капиталистического периода является национальное государство»¹.

Следует отметить, что на рубеже XIX—XX вв. тенден-

¹ В. И. Ленин. О праве наций на самоопределение, М., 1975, изд-во полит. лит-ры, с. 37—38.

цией национально-освободительного движения грузинского народа было создание именно национального государства. Однако грузинские национально-общественные деятели несколько ограничивали свои требования, борясь лишь за создание автономного грузинского государства в пределах Российской Федерации.

Принятая на втором съезде РСДРП программа-минимум явствует, что большевики признавали право наций на самоопределение. Это само собой означает, что они в принципе вовсе не выступали против национально-территориальной автономии. Однако некоторые грузинские социал-демократы, забывая о том, что II съезд РСДРП включил национальный вопрос в программу — минимум партии, разработав ее именно для эпохи буржуазно-демократических преобразований, объявили разрешение национального вопроса задачей лишь победоносной пролетарской революции.

Такая позиция во время первой русской революции угрожала изоляцией пролетариата, препятствуя установлению тесного союза рабочего класса и крестьянства, ослабляя общедемократические силы, задерживая победу буржуазно-демократической революции — пролога революции социалистической.

Борьба мнений вокруг вопроса национальной автономии не прекращалась и в эпоху столыпинской реакции и нового революционного подъема. Некоторые кавказские большевики — противники автономии обратились по этому поводу со специальным вопросом к В. И. Ленину.

Вождь мирового пролетариата, не согласившись с их аргументами, назвал территориальную автономию большевистским планом «демократического устройства государства». В. И. Ленин, исправив ошибки некоторых большевиков, допущенные ими в национальном вопросе, устранил опасность левого уклона, что было необходимо для создания единого демократического фронта против самодержавия для слияния национально-освободительного движения с общедемократической революцией.

Октябрьская революция еще больше обострила противоречия между различными классово-политическими силами Грузии. Большевики, потребовав признания Советской власти, объявили предпосылкой для решения национального вопроса и восстановления грузинской государственности, переход к социалистической революции. Националистические и буржуазные партии, осудив «большевистскую авантюру» отказавшись признать советское правительство России, поставили своей целью отделить Закавказье от России, «погряз-



шей в трясине анархии». Им даже удалось организовать на месте власть, создав Закавказскую буржуазную федеративную республику.

Закавказская федерация, оказавшись эфемерным объединением, вскоре распалась. 26 мая 1918 года была объявлена независимость Грузии.

Правительство многонациональной Грузии делало вид, что стремится к урегулированию взаимоотношений различными национальностями. Меньшевики на словах признавали необходимость предоставления автономии Абхазии, Южной Осетии, Аджаре и Закаталы, однако реальную автономию получила лишь Абхазия. Предоставление автономии трем остальным областям не вышла за рамки теоретических обсуждений. Неразрешенной осталась также проблема устройства судеб малочисленных национальных групп, план создания русской, армянской, греческой, немецкой и др. национальных общин.

Трудящиеся Грузии, борясь за социальную и национальную свободу, одобряли принцип самоопределения наций, однако им пришлось на опыте убедиться, что меньшевистское правительство не в силах было ни радикально решить социальный вопрос, ни обеспечить независимость Грузии. Трудящиеся массы, отказавшись принимать свободу в меньшевистском смысле, все более усиливали свою борьбу против меньшевистской «независимости», стремясь вступить в федерацию суверенных советских социалистических республик.

Советская Россия считала своим классовым и интернациональным долгом оказание помощи всем народам, входившим в состав бывшей Российской империи, в их борьбе за социальную свободу. При первой же возможности Советская Россия выполняла свой долг и в отношении тружеников Грузии, оказав ей помощь в свержении меньшевистского режима.

В результате победы социалистической революции в Грузии была сломана буржуазная государственная машина и заложены основы социалистического строительства. Начался совершенно новый этап грузинской государственности. Грузия вошла в Союз Советских Социалистических Республик в качестве суверенного и равноправного государства.

შ 0 6 1 6 1 6 0

პირველი თავი. ჩუსეთის მიერ საქართველოს შეერთება. ქართველი საზოგადოების ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის XIX ს. პირველ ათწლეულში	11
მეორე თავი. ანტირევიმული აჭანყებები საქართველოში 1812—1820 წლებში. ქართული სახელმწიფოებრიობის ოლდგენის პრობლემა XIX ს. 30-იან წლებში	66
მესამე თავი. ქართველი საზოგადოების ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის XIX ს. მეორე ნახევარში	113
მეოთხე თავი. საქართველოს იერონომიის პრობლემა და პოლიტიკური პარტიები XX ს. დამდეგს	164
მესუმე თავი. საქართველოს სოციალისტური რევოლუცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ოლდგენის პრობლემა	196

Александр Сергеевич Бендианишвили

НАЦИОНАЛЬНЫЙ ВОПРОС В ГРУЗИИ
В XIX — НАЧАЛЕ XX ВВ.

(на грузинском языке)

დაბეჭდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დაგენილებით

რეცენზენტები: პროფესორები ი. უთურაშვილი, შ. ხანთაძე;
ისტ. მეცნ. კანდიდატები: ლ. ჩიქოვანი, ო. ქორდანია

*

ИБ 1127

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
ტექნიკადაქტორი ც. ქამუშავაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წიგნითას 7.2.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 8.7.1980;
ქაღალდის ზომა $60 \times 90!$ /გ/; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 17.3;
საალიცენზო-საგამომცემლო თაბაზი 14.9;

ფ. 00044; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 461;
ფასი 1 მან. 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

